

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ანამკი

ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2002

წინამდებარე კრებული მოიცავს არა მხოლოდ ტრადიციულ ჰუმანიტარულ მეცნიერებებს – ისტორიას და ფილოლოგიას, არამედ მათ საფარქვეშ მოქცეულ ისეთ დარგებს, როგორცაა: წყაროთმცოდნეობა, დიპლომატიკა, კოდიკოლოგია, სურაგისტიკა, გენეალოგია. აქედან წინა თაობების მეცნიერთა მიერ საფუძველ-ჩაყრილი ზოგი დარგი ვითარდება, ზოგიც, სხვა მომიჯნავე დარგებთან ერთად, თანამედროვე მეცნიერთა დიდ ძალისხმევას ითხოვს, რომ არ მოკვდეს. ერთი-ორი ასეთი დარგი აღნიშნულ კრებულში რუბრიკებითაა აქცენტირებული.

კრებულში შესული მასალის გეოგრაფია ვრცელია: უკიდურესი დასავლეთი წერტილი პარიზია, აღმოსავლეთი – ქალაქი ბაღდადი, ჩრდილოეთი – პეტერბურგი, ხოლო სამხრეთი – ეგვიპტის მამლუქთა სასულთნო. თემატურად იგი მრავალფეროვანია: შეიცავს სამეცნიერო სტატიებს თეორიულ ისტორიოგრაფიაში // ისტორიის მეთოდოლოგიაში, მეცნიერებათა ისტორიაში, ქართული სულიერებისა და მაკრო- და მიკროისტორიებში.

განკუთვნილია ისტორიკოსთათვის, ფილოლოგთათვის, აღმოსავლეთმცოდნეთა და ხელოვნებათმცოდნეთათვის, აგრეთვე, კულტურის ისტორიკოსთათვის.

შემდგენელი და რედაქტორი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფ. ნათელა ვაჩნაძე

რეცენზენტი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფ. ციალა ქურციკიძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002

0503000000

608(06) – 02

ISBN 99928-932-0-6

კრებული ეძღვნება გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის –
ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილის ნათელ ხსოვნას.

„განვეკრძალნეთ ჟამისა
მისთვის საზარელისა, ოდეს გა-
ნეშორებოდის სული ჯორჯთა-
გან, რამეთუ დიდ არს შიში,
ოდეს წარიყვანონ სული და მო-
აგებდენ მისაგებელსა საქმეთა
მისთასა“ /ცხოვებაჲ იოანე ზე-
დაზნელისაჲ/.

ამ შეგნებით იცხოვრა ნე-
ტარხსენებულმა. ამიტომაც უდ-
იდესი სიყვარული, თაყვანისცემა
და მოკრძალება დაიმსახურა.

პრობლემა

დაიბადა 1924 წელს, 10 ივნისს, ქ. ვაზის, მონასტრის
 ოჯახში. 1937 წელს, ოჯახიან კლასს, სერბულენაძის ვაშლიანი
 ქ. ბაგრატიონის. 1941 წელს დაიბრუნდა თბილისის 107-ე ს. შ. სკო-
 ლა და იმავე წელს განუგებდა სწავლა თბილისის სახელმწიფო
 უნივერსიტეტში, ისტორიის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტი დაიბრუნა
 1946 წ. და იმავე წელს დაიბრუნდა ახალი უნივერსიტეტი, სერბულ-
 ელის ისტორიის სპეციალიზაციაში. ახალი უნივერსიტეტი დაიბრუნა
 1949 წელს. 1953 წელს დაიბრუნა სერბულენაძის
 სპეციალური ფაკულტეტი: „ქართული საზოგადოების სერბულენაძის
 ფაკულტეტი“. 1951 წელს დაიბრუნდა 1952 წელს ოქტომბრის რევოლუციური
 მუშაკთა სპეციალური ფაკულტეტი, ვიქტორიანის,
 ბაგრატიონის ფაკულტეტის ფილოსოფიის განყოფილებაში. 1952 წელს
 ოქტომბრის 1972 წელს დაიბრუნდა ვიქტორიანის სპეციალური
 სსსი ფაკულტეტი. ვიქტორიანის ფილოსოფიის განყოფილებაში ვიქტორიანის
 ფაკულტეტი. ფილოსოფიის განყოფილებაში ვიქტორიანის ფილოსოფიის
 განყოფილებაში (1960-1963 წ. სერბულენაძის ფაკულტეტის დაიბრუნდა
 ვიქტორიანის, 1963-1968 სერბულენაძის, 1968-1972 წ. დაიბრუნდა
 სერბულენაძის ვიქტორიანის). 1972 წელს დაიბრუნდა ვიქტორიანის
 ოჯახის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური ისტორიის
 ფაკულტეტის ფილოსოფიის განყოფილებაში.

1938-1954 წ. ვიქტორიანის სპ. სკოლაში დაიბრუნდა. 1954 წელს დაიბრუნდა
 ვიქტორიანის ფილოსოფიის განყოფილებაში.

გამორჩენილი სწავლული

გამორჩენილი ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნოდარ (ნუკრი) თევდორეს ძე შოშიაშვილი დაიბადა 1924 წლის 10 ივნისს ქ. გორში. 1941 წელს დაამთავრა თბილისის 107-ე საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, საქართველოს ისტორიის სპეციალობით. მან თავიდანვე მიიქცია თავისი მასწავლებლების, აკადემიკოსების სიმონ ჯანაშიას და ნიკო ბერძენიშვილის ყურადღება. პირველ კურსზევე რამდენიმე თანაკურსელთან ერთად მას დაუნიშნეს ივ. ჯავახიშვილის სახელობის სტიპენდია. ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა 1946 წელს და იმავე წელს შევიდა უნივერსიტეტის ასპირანტურაში საქართველოს ისტორიის სპეციალობით.

ნოდარ შოშიაშვილი ნიკო ბერძენიშვილის გამორჩეული მოწაფე იყო. იგი თავიდანვე წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის საკითხებით დაინტერესდა. მის საკანდიდატო დისერტაციაში: „რკონის დაწერილი როგორც საისტორიო წყარო“ (დაიცვა 1953 წელს) განხილულია 1260 წლის ქართული დოკუმენტი როგორც წყარო საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხასიათის, სამონასტრო მეურნეობის, ფეოდალურ საგვარეულოთა ისტორიის, XIII საუკუნის ისტორიული ქრონოლოგიის შესახებ, აგრეთვე, როგორც ქართული დიპლომატიკის ნიმუში.

1951-1958 წლებში სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შუა საუკუნეების მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილების ჯერ უმცროს, შემდეგ უფროს მეცნიერ-თანამშრომლად მუშაობდა. 1958-1972 წლებში კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ისტორიული დოკუმენტებისა და არქივების განყოფილების (1960-1963 წწ.), შემდეგ – პალეოგრაფიის განყოფილების (1963-1968წწ.) და ბოლოს დიპლომატიკის განყოფილების (1968-1972წწ.) ხელმძღვანელია. 1972 წლიდან გარდაცვალებამდე იყო თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის დოცენტი, შემდეგ, 1992 წლიდან – პროფესორი.

ნოდარ შოშიაშვილი 1954 წლიდან კითხულობდა ლექციებს ჯერ თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო შემდეგ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის, აღმოსავლეთმცოდნეობის და სხვა ფაკულტეტებზე. მისი კურსები იყო: საქართველოს ისტორია, საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა, ქართული ისტორიოგრაფია, ქართული პალეოგრაფია და ქართული დიპლომატიკა. მიჰყავდა აგრეთვე შემდეგი სპეცკურსები: ანტიკური ხანის ქართულ სახელმწიფოთა და შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო წყობილება; ქართული ფეოდალური საგვარეულოების და ქართული ქრისტიანული ეპარქიების ისტორია.

ნოდარ შოშიაშვილი გამოირჩეოდა ხალასი ნიჭით, ფართო განათლებითა და დიდი შრომისუნარიანობით, რის შედეგადაც შექმნა უაღრესად ფასეული რამდენიმე ათეული სამეცნიერო ნაშრომი საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის, წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის, დიპლომატიკის, პალეოგრაფიის, საქართველოსომხეთის ურთიერთობის თუ რუსთველოლოგიის დარგში.

ქართულ ეპიგრაფიკასა და პალეოგრაფიაში გამოქვეყნებულ ნაშრომთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ქართული წარწერების კორპუსი“ (1980 წ. 40 თაბახი), რომელიც ავტორმა სადოქტორო დისერტაციად მოგვიანებით 1998 წლის 21 სექტემბერს დაიცვა. ნაშრომში გამოთქმული და განხილულია V-X საუკუნეების ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები, სულ 187 წარწერა. თითოეული ძეგლის გამოცემას ახლავს მისი პალეოგრაფიული და შინაარსობრივი დახასიათება, დათარიღება, ბიბლიოგრაფია, ყველა წარწერის ფოტო და გრაფიკული მონახაზი. ნაშრომში განხილულია ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების სახეები და მათი წყაროთმცოდნეობითი დახასიათება, წარმოჩენილია V საუკუნის ეპიგრაფიკული ძეგლების ჯგუფი (ურბნისის, ნიქოზის, აკაურიას, ბოლნისის). ახლებურადაა წაკითხული და დათარიღებული მთელი რიგი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები (სამშვილდის სიონი, ატენის სიონი, ბანა, მარტვილი, ურბნისი და სხვ.). ნაშრომმა დაიმსახურა

საუნივერსიტეტო პრემია. იგი გამოყენებულია ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელოდ პალეოგრაფიასა და ეპიგრაფიკაში.

ნაშრომში: „ურბნისის ძველი ქართული წარწერები“ (კრებულში: „პალეოგრაფიული ძიებანი“, I, 1964 წელი) განხილულია ურბნისის სიონის კედლებზე შემორჩენილი V-XVIII საუკუნეების ქართული წარწერები, მოცემულია მათი პალეოგრაფიული და წყაროთმცოდნეობითი დახასიათება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ აქ ურბნისის სიონის საამშენებლო წარწერა, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, V საუკუნის პირველი ნახევრითაა დათარიღებული. ამრიგად, დადგენილია ბოლნისის სიონის საამშენებლო წარწერაზე უფრო ადრინდელი ეპიგრაფიკული ძეგლი.

საყურადღებო ნაშრომია „სოფელ დოდოთის ცხრაკარის ეკლესიის წარწერები“ („საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, ტ. XIX-A და XXI-B, თბ., 1957 წ.), რომელშიც განხილულია X საუკუნის შიდა ქართლის ეპიგრაფიკული ძეგლები (დიდოთის, ერედვის, ტბეთის). წარწერებში იხსენიებიან დიდაზნაურთა საგვარეულოს, ტბელების წარმომადგენლები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ამ პერიოდის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, დადგენილია ტბელების საგვარეულოს გენეალოგია.

განსაკუთრებით საინტერესოა სტატია: „Развитие грузинской эпиграфики и палеографии“ (კრებული: „Проблемы палеографии и кодикологии,“ М., 1974 г.), რომელშიც განხილულია ქართული პალეოგრაფიისა და ეპიგრაფიკის განვითარების ისტორია.

ნოდარ შოშიაშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ქართულ დიპლომატიკასა და წყაროთმცოდნეობაში. ამ რიგის ნაშრომთაგან აღსანიშნავია „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი“ (32 თაბახი, თანავეტორები: თ. ენუქიძე და ვ. სილოგავა), თბ., 1984 წელი. მასში სრულადაა გამოცემული და კომენტირებული IX-XIII საუკუნეების ისტორიული საბუთები. ნაშრომს ახლავს ნ. შოშიაშვილის გამოკვლევა, რომელშიც განხილულია ქართული დიპლომატიკის საკითხები (ქართული საბუთების აღმნიშვნელი ტერმინე-

ბი, საბუთების გამოცემები და სხვ.). ნაშრომი გამოყენებულია ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელოდ ქართულ წყაროთმცოდნეობასა და დიპლომატიკაში.

ნოდარ შოშიაშვილის ნაშრომში: „თამარ მეფის წყალობის სიგელი გელათის მონასტრისადმი“ (კრებული: „Источниковедческие разыскания“, Тб., 1979 г.) დიპლომატიკური და წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით განხილული და დახასიათებულია თამარის 1197 წლის სიგელი გელათის მონასტრისადმი, დადგენილია აქ მოხსენიებულ პირთა ვინაობა, აღდგენილია საბუთის დაზიანებული ადგილები და სხვ.

ნოდარ შოშიაშვილის სამეცნიერო მოხსენებაში: „ქართული დიპლომატიკის ზოგიერთი საკითხი (XI – XIII საუკუნეების სამეფო სიგელების „თავი“ და „ბრძანებულება“, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის IX სამეცნიერო სესია, თბ., 1967 წ.), განხილულია ქართული ისტორიული საბუთების შედგენილობა XI-XIII საუკუნეებში. დადგენილია, თუ როგორ იცვლებოდა ქართული სამეფო სიგელების შედგენილობა საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების შეცვლის შედეგად.

ნოდარ შოშიაშვილის კვლევის ერთ-ერთი ობიექტი „ქართლის ცხოვრებაც“ იყო. 1975 წელს გამოქვეყნდა მისი სტატია „ანასეული ქართლის ცხოვრების პირის გადაწერის თარიღი“ („მრავალთავი“, V, 1975წ.). ნოდარ შოშიაშვილმა 1985 წელს, წაიკითხა მოხსენება ქ. ბათუმში ჩატარებულ სამეცნიერო სესიაზე: Некоторые вопросы истории создания "Картлис цховреба" (Актуальные проблемы изучения и издания письменных исторических источников. Всесоюзная научная сессия. Тезисы докладов. Тб., 1985 г.). 1996 წელს, ილია ანთელავასთან ერთად, გამოსცა „ქართლის ცხოვრების“ ძველი ციკლის ნუსხების შეჭერებული ტექსტი, რომლის საფუძველია „ძველი ქართლის ცხოვრების“ ე.წ. „მცხეთური ციკლი“. გამოცემა ითვალისწინებს ადრინდელ, მათ შორის ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით განხორციელებულ აკადემიურ გამოცემას, აგრეთვე, მკვლევართა მიერ უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე „ქართლის ცხოვრებაზე“ გაწეული მუშაობის შედეგებს. იგი განკუთვნილია მკით-

ხეულთა ფართო საზოგადოებისათვის. 90-იან წლებში გამოვიდა აგრეთვე „ქართლის ცხოვრების“ ადაპტირებული ტექსტის ორი ტომი მანანა სანაძის თანაავტორობით. პირველ ტომში შედის ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა“, ხოლო მეორეში – ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ და ლეონტი მროველის „წამება წმინდისა არჩილისა“. ორივე ტომს ახლავს ვრცელი გამოკვლევა და კომენტარები, სადაც გაანალიზებულია „ქართლის ცხოვრების“ ცნობები და შეჭერებულია მეცნიერების თანამედროვე მიღწევებთან. ის დიდ დახმარებას გაუწევს მოსწავლე ახალგაზრდობას და მკითხველთა ფართო საზოგადოებას საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში.

ნოდარ შოშიაშვილის წყაროთმცოდნეობით ნაშრომთაგან მნიშვნელოვანია XIII ს-ის სომეხი ისტორიკოსის გრიგოლ აკანელის „მოისართა ტომის ისტორიის“ სომხური ტექსტის გამოცემა, თარგმანითა და გამოკვლევით.

ნოდარ შოშიაშვილმა მნიშვნელოვანი გამოკვლევები უძღვნა შოთა რუსთაველის წარმომავლობისა და ბიოგრაფიის საკითხებს. ასეთ ნაშრომთაგან აღსანიშნავია: „XII-XIV სს. საქართველოს სახელმწიფო სამართლის ისტორიისა და რუსთველოლოგიის ზოგიერთი საკითხი“ (ეურნალი „ცისკარი“, №9, 1965 წ.); „თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი“ (კრებული: „შოთა რუსთაველი“, 1966 წ.); „შოთა რუსთაველის ვინაობის საკითხისათვის“ („მნათობი“, №11, 1969 წ.).

ნოდარ შოშიაშვილი თანაავტორია „ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევების“ ორტომეულისა, რომელიც უნივერსიტეტმა გამოსცა 1998 წელს. ამ მნიშვნელოვანი გამოცემის ერთი თავი – „ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია III საუკუნიდან V საუკუნის 1 ნახევრამდე“ – შესრულებულია მაღალ პროფესიულ დონეზე; მას დიდი წვლილი შეაქვს ქართული დიპლომატიის ისტორიის შესწავლის საქმეში.

ნ. შოშიაშვილი თანაავტორია საქართველოს ისტორიული რუკების: „საქართველო IX-X საუკუნეებში“, „საქართველოს სახელმწიფო XIII საუკუნის დამდეგს“, „საქართველო XVI საუკუნის

პირველ ნახევარში“, რომლებიც გამოქვეყნებულია „საქართველოს სსრ ატლასში“ (1964 წ.).

დიდი წვლილი შეიტანა ნ. შოშიაშვილმა ქართული ენციკლოპედიის მაღალ დონეზე გადმოცემის საქმეშიც. ათი წლის განმავლობაში (1978-1988 წწ.) იგი ხელმძღვანელობდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის საქართველოს ისტორიის რედაქციას. მან საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხებზე 200-მდე ორიგინალური საენციკლოპედიო სტატია დაწერა შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიულ პირებზე, ფეოდალურ საგვარეულოებზე, ბაგრატიონთა დინასტიაზე, ქრისტიანულ ეპარქიებზე, ქართული დამწერლობის წარმოშობა-განვითარებაზე, ეპიგრაფიკაზე და სხვ. გარდა ამისა, ნ. შოშიაშვილის მიერაა შესრულებული ქართული დამწერლობის განვითარების ქრონოლოგიური ტაბულები, რომელიც წინ უძღვის ენციკლოპედიის ტომებში შესულ ყოველ ახალ ასოს.

ნ. შოშიაშვილი გამორჩეული ლექტორი და პედაგოგი იყო. იგი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა სტუდენტ ახალგაზრდობაში. მან მრავალი ახალგაზრდა მეცნიერი აღზარდა, რომელთაგან რამდენიმე დოქტორია. სტუდენტი ახალგაზრდობისა და ახალგაზრდა მეცნიერთა აღზრდის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის ნოდარ შოშიაშვილი დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

ბატონი ნოდარი აქტიურად ეხმაურებოდა სტატიებით პრესაში როგორც მეცნიერულ, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პრობლემათურ საკითხებს.

ნ. შოშიაშვილი გარდაიცვალა 1999 წ. 2 იანვარს. მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია ქართული მეცნიერებისათვის, მისი კოლეგებისა და მეგობრებისათვის, რომლებიც ყოველთვის გრძობდნენ მის გულისხმიერ დამოკიდებულებას.

ნოდარ შოშიაშვილის სახელი სამუდამოდ დარჩება ქართულ მეცნიერებაში. მისი შრომები ახალ სტიმულს მისცემს მეცნიერების იმ დარგებს, რომელთაც ის ღირსეულად ემსახურებოდა.

გ. ჯამბურია

ნოდარ ზოზიაშვილის მიერ გამოქვეყნებულ
ნაშრომთა ნუსხა

მონობრაჟიები და სამეცნიერო სტატიები

1. XI-XIII საუკუნეების საქართველოს მატერიალური კულტურა, აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. გამოფენის გზამკვლევი, თანაავტორები: ა. ბაქრაძე, ვ. ჯაფარიძე, ვ. კაპანაძე, ალ. ჯავახიშვილი, თბ., 1953.

2. საქართველოს ერთიანი ისტორიულ-არქეოლოგიური გამოფენა, XIX საუკუნის გამოფენის გენერალური გეგმა, შედგენილი: ნ. შოშიაშვილის, ა. ბაქრაძის, შ. ბურჯანაძის, აბ. როგავას, ელ. მეტრეველის, ლ. გვახარიას, ალ. ჯავახიშვილის მონაწილეობით, თბ., 1954.

3. Рконская грамота как исторический источник. Автореферат кандидатской диссертации. Тб., 1953.

4. XIII საუკუნის საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის (XIII საუკუნის 40-იანი წლების კათალიკოსთა რიგი), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVIII-ნ., თბ., 1954.

5. ვარძია, გზამკვლევი, თანაავტორები: კ. მელითაური, შ. ხანთაძე, გ. ჯამბურია, თბ., 1955.

6. სოფელ დოდოთის ცხრაკარის ეკლესიის წარწერა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, თანაავტორი ვ. ცისკარიშვილი, XIX-A და XXI-B., თბ., 1957.

7. Вардзия. Путеводитель. Соавторы: К. Мелитаури, Ш. Хантадзе, Г. Джамбурия. Тб., 1957.

8. ურბნისი— საქართველოს უძველესი ქალაქი, „ცისკარი“ №4. თბ., 1958.

9. აკანელი გრიგოლ, მოისართა ტომის ისტორია, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით და კომენტარით გამოსცა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1961.

10. ურბნისის ეკლესიის წარწერები, პალეოგრაფიული ძიებანი, I. თბ., 1965.

11. XII-XIV საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო სამართლის ისტორიის და რუსთველოლოგიის ზოგიერთი საკითხი, „ცისკარი“ №9, თბ., 1965.

12. თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 1966.

13. ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობაზე ახალი თვალსაზრისის შესახებ, „მნათობი“ №11, თბ., 1969.

14. შოთა რუსთაველის ვინაობის შესახებ, „მნათობი“ №12, თბ., 1972.

15. Развитие грузинской эпиграфики и палеографии. Проблемы палеографии и кодикологии в СССР. М., 1974.

16. „ანასეული ქართლის ცხოვრების“ პირის გადაწერის თარიღი (ხელნაწერი Q-795, შედგენილი XVI საუკუნის ბოლოს და XVII საუკუნის დასაწყისში), შპაქიჩიჩიჩიჩი V, თბ., 1975.

17. Vardzia, Care-monastery (თანაავტორები: კ. მელითაური, შ. ხანთაძე, გ. ჯამბურია), Georgia, Bucharest, 1978.

18. ქართული წარწერების კორპუსი I, ლაპიდარული წარწერები I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X საუკუნეები), შემდგენელ-გამომცემელი ნ. შოშიაშვილი, თბ., 1980.

19. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი I, IX-XIII საუკუნეები, თანაავტორები: თ. ენუქიძე, ვ. სილოგავა, თბ., 1984.

20. საქართველოს სახელმწიფო დროშები და გერბები, თანაავტორები: ზ. ხიდურელი, ს. გამსახურდია, თბ., 1990.

21. ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი შეადგინეს, კომენტარები და ლექსიკონი დაურთეს მ. სანაძემ და ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1994.

22. ქართლის ცხოვრება, „ძველი ქართლის ცხოვრება“, თანაავტორი ილ. ანთელავა, თბ., 1996.

23. ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია III საუკუნიდან V საუკუნის პირველ ნახევრამდე, ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1998.

24. საბეჭდავი ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვნიდან, ძიებანი №1, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ჟურნალი, თანაავტორი ბ. ჯორბენაძე, თბ., 1998.

25. ქართლის ცხოვრება, II, ტექსტის ადაპტაცია, ბოლოთქმა და განმარტებები ეკუთვნის მ. სანაძეს და ნ. შოშიაშვილს, თბ., 1998.

26. აბუსერისძეთა სახლი XI-XVI საუკუნეებში, აბუსერისძე ტბელი-800, თბ., 1999.

ბატონ ნოდარ შოშიაშვილის სამეცნიერო შრომების ჩამონათვალში, რომელიც მისი ხელითაა დაწერილი და პირად საქმეში ინახება, აღნიშნულია ერთი ნაშრომი სათაურით: „ტბელების წარწერა შიდა ქართლიდან (თანაავტორი ო. ტყეშელაშვილი): „მაცნე“ (1 თაბახი)“. აღნიშნულ სტატიას ჩვენ ვერ მივაგენით უურნალ „მაცნეს“ 1972-1991 წლების ვერც ერთ ნომერში.

რესაუბლიკურ და საკავშირო სამეცნიერო კონფერენციებზე წაკითხულ მოხსენებათა თეზისები

1. წერილობითი წყაროების ცნობები ურბნისის შესახებ, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის III სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1955.

2. ივ. ჯავახიშვილი და საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა, ხელნაწერთა ინსტიტუტის II სამეცნიერო სესია, მიძღვნილი აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების 20 წლისთავისადმი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1960.

3. XII-XIV საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო სამართლის ისტორიის საკითხები პ. ინგოროყვას რუსთველოლოგიურ შრომებში, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის IV სამეცნიერო სესია, მიძღვნილი დავით ჩუბინაშვილის დაბადების 150 წლისა და ნიკო მარის დაბადების 100 წლისთავისადმი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1964.

4. შოთა რუსთაველის ვინაობის საკითხისათვის, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის VIII სამეცნიერო სესია,

მიძღვნილი შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1966.

5. ქართული დიპლომატიკის ზოგიერთი საკითხი XI-XIII საუკუნეების სამეფო სიგელების „თავი“ და „ბრძანებულება“, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის IX სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები; თბ., 1967.

6. ვ. ი. ლენინი — მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი და მასწავლებელი, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის XI სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1969.

7. Работа по изучению грузинских исторических документов в Институте рукописей им. К. С. Кекелидзе АН ГССР. Конференция по вопросам археографии и изучения древних рукописей. Тезисы докладов. Тб., 1969.

8. ქართული დიპლომატიკის განვითარება საბჭოთა საქართველოში, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის XII სამეცნიერო სესია, მიძღვნილი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და საქართველოში კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავისადმი, თბ., 1971.

9. საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავი, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის XIV სამეცნიერო სესია, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი, თბ., 1972.

10. ივანე ჯავახიშვილი ქართული დამწერლობის შესახებ, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი, თბ., 1976.

11. Жалованная грамота ("сигели") царицы Тамар Гелатскому монастырю (дипломатическое исследование). Соавтор: Т. П. Энукидзе. Вопросы изучения и издания письменных источников по истории Грузии. Всесоюзная научная сессия. Тезисы докладов. Тб., 1979.

* მოხსენება: თამარის წყალობის სიგელი გელათის მონასტრისადმი (თანაავტორი თ. ენუქიძე) ბატონმა ნ. შოშიაშვილმა წაიკითხა საკავშირო სამეცნიერო სესიაზე ქ. ქუთაისში 1979 წლის ოქტომბერში.

12. Актуальные проблемы изучения и издания письменных исторических источников. Всесоюзная научная сессия, посвященная 60-летию образования СССР. Тезисы докладов. Тб., 1982*

13. Некоторые вопросы истории создания "Картлис цховреба". Актуальные проблемы изучения и издания письменных исторических источников. Всесоюзная научная сессия. Тезисы докладов. Тб., 1985.**

14. აკაკი შანიძე და ქართული ემიგრაცია, საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების შესწავლის საკითხები, რესპუბლიკური სამეცნიერო სესია, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისადმი, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1987.***

15. ივანე ჯავახიშვილი — ქართული მეცნიერული პალეოგრაფიის ფუძემდებელი, საუნივერსიტეტოაშორისო სამეცნიერო სესია, მიძღვნილი დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ივ. ჯავახიშვილის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი; მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1996.****

16. ივანე ჯავახიშვილი — შოთა რუსთაველის შთამომავალი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი ივ. ჯავახიშვილის დაბადების 120 წლისთავისადმი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1996.

* საკავშირო სამეცნიერო სესია გაიმართა ქ. სოხუმში 1982 წლის ოქტომბერში.

** საკავშირო სამეცნიერო სესია გაიმართა ქ. ბათუმში 1985 წლის ოქტომბერში.

*** რესპუბლიკური სამეცნიერო სესია გაიმართა ქ. მახარაძეში 1987 წლის მაისში.

**** საუნივერსიტეტო სამეცნიერო სესია გაიმართა ქ. ქუთაისში 1996 წლის სექტემბერში. ნ. შოშიაშვილი იმავე მოხსენებით წარსდგა სამეცნიერო საზოგადოების წინაშე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა ივ. ჯავახიშვილის დაბადებიდან 120 წლისთავს. მოხსენებითი თეზისები, თბ., 1997.

პართული საბჭოთა ენციკლოპედია

1. აბაზასძე ივანე	განმეორებულია საქართველოს ენციკლოპედიაში*
2. აბაზასძენი	სე
3. აბუსალანი	სე
4. აბულეთი	სე
5. აბულეთისძე ივანე	სე
6. აბულეთისძე მოდისტოს	სე
7. აბულეთისძე ჭირჭიშ (თირქაშ)	სე
8. აბულეთისძე ძაგან I	
9. აბულეთისძე ძაგან II	სე
10. აბულეთისძენი	სე
11. აბუსერისძე აბუსერ	სე
12. აბუსერისძე გრიგოლ	სე
13. აბუსერისძე ტბელი	
14. აბუსერისძენი	სე
15. ათრაქა შარალანის ძე	სე
16. ამანელისძენი	სე
17. ანტონ გნოლისთავის ძე	სე-ში ანტონ ჭყონდიდელ- მწიგნობართუხუცესი
18. აფრიდონი	სე
19. ახალციხელები	სე
20. ახალციხელი ივანე	სე
21. ახალციხელი ფარადავლა	სე
22. ახალციხელი შალვა	სე
23. ბაგრატიონები	სე-ში თანაავტორი ვ. გუჩუა
24. ბაგრატუნები	
25. ბარამი	

* ქვემოთ ყველგან „საქართველოს ენციკლოპედია“-ს ვუთითებთ შემოკლებით: სე.

26. ბოცოსძე ბოცო
27. ბოცოსძე მემნა
28. ბოცოსძენი
29. გაგელები
30. გაგელი ვარამ (ვაპრამ)
31. გაგელი ზაქარია
32. გურკლელი მურვან
33. გურკლელი მახუნჯაგისძე ბეშქენ
34. დავით სოსლანი
35. დარბაზი
36. დარბაზის ერნი
37. დიპლომატიკა
38. ერისთავი
39. ერისმთავარი
40. ვარდანისძე
41. ვასალიტეტი
42. ვიპატოსი
43. თმოგველები
44. თმოგველი თაყაიდინ სარგისის ძე
45. თმოგველი სარგის
46. თმოგველი სარგის თაყაიდინის ძე
47. თორელები
48. თორელი გამრეკელი კახას ძე
49. თორელი გამრეკელი კახას ძე
50. თორელი კახა გამრეკელის ძე
51. თორელი კახა გამრეკელის ძე
52. კორინთლები
53. მამული
54. მარუშიანები
55. მარუშიანი ზვიად I
56. მარუშიანი ზვიად II
57. მარუშისძე ივანე (იოანე)
58. მათიანე
59. მახატლისძე

სე
სე
სე
სე
სე
სე

60. მხარგრძელები
61. მხარგრძელი ავაგ
62. მხარგრძელი ავაგ-სარგის
63. მხარგრძელი ზაქარია I
64. მხარგრძელი ზაქარია II
65. მხარგრძელი ზაქარია III
66. მხარგრძელი ივანე I
67. მხარგრძელი ივანე II
68. მხარგრძელი სარგის
69. მხარგრძელი შანშე (შაჰანშა)
70. მხარგრძელი ხოსრო (ხოსროვი)
71. პატრონი
72. პატრონყმობა
73. საეკლესიო აზნაური
74. საერისთავო
75. სათავადო აზნაური
76. სამეფო აზნაური
77. სამძივრები
78. სალირისძენი
79. სახასო
80. სახლი
81. სეფე
82. სპა
83. სულა კალმახის ერისთავი
84. სურამელები
85. სურამელი ბეგა I
86. სურამელი ბეგა II
87. სურამელი გრიგოლ
88. სურამელი რატი I
89. სურამელი რატი II
90. სურამელი სულა
91. სურამელი ჰამადა, აჰმადა
92. სხვილოსელნი
93. ტბელები

94. ტბელი ივანე
95. ტბელი ქავთარ I
96. ტბელი ქავთარ II
97. ტოლო შელეები
98. უფალი
99. უფლისწული
100. ფავნელები
101. ფანასკერტელები
102. ფანასკერტელი ზაქარია
103. ფანასკერტელი თაყა
104. ფარსმან თმოგველი
105. ფხენელნი
106. ქავთარ ბარამის ძე
107. ქავთარ ივანეს ძე
108. ქვენიფნეველები
109. ქვენიფნეველი ვირ შელ
110. ლობიარები
111. ყმა
112. შაბურისძენი
113. შოთა ძე ართავაჩოსძისა
114. ჩორჩანელები
115. ციხისჯვარელები
116. წოდება
117. ქიაბერი
118. ქყონდიდელი
119. ქყონდიდის საეპისკოპოსო
120. ხურსი
121. ხურსისძენი
122. ჭავახი შვილები
123. ჭავახი შვილი გამრეკელ
124. ჭავახი შვილი პაატა
125. ჭავახი შვილი როინ
126. ჭაყელები
127. ჭაყელი ბეშქენ I

128. ჯაყელი ბეშქენ II

129. ჯაყელი ბოცო

130. ჯაყელი მურვან

საქართველოს ენციკლოპედია*

ადარნასე II

ათაბაგი

ვაზირ-ათაბაგ-ამირსპასალართა ქრონოლოგიური რიგი

ამილახორი, ამირახორი, ამილახვარი

ამირბარი, ამილბარი

ამირსპასალართა ქრონოლოგიური რიგი

ამირსპასალარი

ანასეული „ქართლის ცხოვრება“

ანტონ ქუთათელი

არსენ ბერი

არქეოგრაფია

(თანაავტორი შ. ჩხეტია)

ასპანისძენი

აძიკვი

ბატონი

ბაჰლაუნდები

ბიჭვინთის საეპისკოპოსო

ბაგრატიონთა გენეალოგიური ცხრილები (თანაავტორი ვ. გუჩუა)

ქსე-სა და სე-ში მოცემული პალეოგრაფიული ცხრილები

შედგენილია ნოდარ შოშიაშვილის მიერ

* სე-ს მომდევნო ტომებში ნაწარაუდევია ნ. შოშიაშვილის ავტორობით შედგენილი რამდენიმე ათეული ორიგინალური შინაარსის სტატიის გამოქვეყნება.

** ცხრილებში ქრონოლოგიური თანამიმდევრობით მოცემულია ქართული ასოების გრაფიკული მოხაზულობისათვის დამახასიათებელი ისტორიული ნიმუშები (ქართული დამწერლობის სამივე სახე: ასომთავრული, ნუსხური, მხედრული). ისინი ამოკრებილია V-XVIII სს. ეპიგრაფიკული ძეგლებიდან და ხელნაწერებიდან.

ნოდარ ზოზიაშვილის მიერ შედგენილი რუკები

1. ა) საქართველო IX-X საუკუნეებში; ბ) საქართველოს სახელმწიფო XIII საუკუნის დამდეგს; გ) საქართველო XVI საუკუნის პირველ ნახევარში; საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ატლასი (ქართულ და რუსულ ენებზე), თბილისი-მოსკოვი, 1964.
2. საქართველოს სახელმწიფო XVI საუკუნის I ნახევარში. შემდგენლები: ალ. ასლანიკაშვილი, მ. ბერძნიშვილი, ნ. შოშიაშვილი, რუკა შედგენილია ქსე „საქართველოს სსრ“ მიხედვით კარტოგრაფ ლ. დათუაშვილის მიერ, თბ., 1988.
3. საქართველოს სახელმწიფო XIII საუკუნის დამდეგს. შემდგენლები: ალ. ასლანიკაშვილი, მ. ბერძნიშვილი, ნ. შოშიაშვილი, რუკა შედგენილია ქსე „საქართველოს სსრ“ მიხედვით კარტოგრაფ ლ. დათუაშვილის მიერ. თბ., 1989.

ნოდარ ზოზიაშვილის რედაქტორობით ბამოცემული შრომები

1. ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო. თბ., 1959.
2. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI საუკუნეები), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრისტიანა შარაშიძისა, თბ., 1961.
3. პალეოგრაფიული ძიებანი I, თბ., 1965.
4. ქართული სამართლის ძეგლები II, თბ., 1965.
5. მცირე ქრონიკები (კინელოსების ისტორიული მინაწერები), ტექსტი გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა, თბ., 1968.

* რუკებს ერთვის IX-X, XIII და XVI საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური ისტორიის მცირე ექსკურსები.

** რუკას ერთვის მცირე მასშტაბის ორი რუკა: ა) მწიგნობრობისა და განათლების ცენტრები საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ; ბ) საქართველოს სახელმწიფო და მოსაზღვრე ქვეყნები XIII საუკუნის დამდეგს.

6. პალეოგრაფიული ძიებანი II; თბ., 1969.
7. ნ. ვაჩნაძე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1975.
8. ტბეთის სულთა მატთანე, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ, თბ., 1977.
9. მ. სანაძე, გლეხობა დასავლეთ საქართველოში მე-15 მე-18 საუკუნეებში, თბ., 1979.
10. გ. ოთხმეზური. XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1981.
11. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი I, ქართული ისტორიული საბუთები, IX-XIII საუკუნეები, თბ., 1984.
12. სვანეთის წერილობითი ძეგლები I, X-XVIII საუკუნეები, ისტორიული საბუთები და სულთა მატთანეები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო საცნობარო აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ, თბ., 1986.
13. მ. ახალაშვილი, X-XV საუკუნეების წარწერები სვანეთის ქედური ხელოვნების ძეგლებზე, თბ., 1987.
14. სვანეთის წერილობითი ძეგლები II, X-XVIII საუკუნეები, ეპიგრაფიკული ძეგლები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო საცნობარო აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ, თბ., 1988.
15. კორიდეთის საბუთები, გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1989.
16. დ. ქლენტი, შინაფეოდალური ბრძოლა XVII საუკუნის 60-70-იანი წლების აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1994.

შეადგინა საქართველოს ისტორიის კათედრის
თანამშრომელმა ნ. სანიკიძემ

საქართველოს ისტორია

ზაზა ალექსიძე

უძველესი ცნობა გაბრატონთა დინასტიის შესახებ

1975 წლის 26 მაისს სინას მთაზე, წმიდა ეკატერინეს მონასტერში ხანძარი გაჩნდა. დაიწვა იუსტინიანე კეისრის მიერ VI საუკუნეში მონასტრისათვის შემოვლებულ გრანდიოზულ ზღუდეში მოთავსებული წმიდა გიორგის სახელობის სამლოცველო, რომელიც, ბერძნული წყაროების ცნობით, ქართველ მეფეთა საფასურით იყო მოხატული¹. სინას მთაზე სასწაულებით ვერავის გააკვირვებ, მაგრამ ის, რაც სამლოცველოს ჩანგრეული იატაკის გასუფთავების მონაწილე ბერებმა იხილეს, მაინც განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო: სამლოცველოს ქვეშ მოთავსებულ, ორ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე მივიწყებულ სათავსში 1100 მეტ-ნაკლებად სრული ხელნაწერი და ურიცხვი ფრაგმენტი აღმოჩნდა.²

1990 წლიდან დღემდე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევითა და ხელშეწყობით წმ. ეკატერინეს მონასტერში ხელნაწერთა ინსტიტუტმა ახლად აღმოჩენილი ქართული ხელნაწერების შესასწავლად და სამკურნალოდ სამი სამეცნიერო და სარესტავრაციო ექსპედიცია ჩაატარა. აღიწერა სულ 141 ხელნაწერი და დაფიქსირდა 1600 ფრაგმენტი³.

ხელნაწერთა ინსტიტუტის ექსპედიციამ თავისი მუშაობის პირველივე წელს ქართულ ხელნაწერებს შორის აღმოაჩინა უნიკალური კრებული, რომელსაც მიანიჭა N/Sin -50 ლიტერი (N მიუთითებს ახალ სინურ კოლექციაზე). კრებული თავბოლო ნაკლულია და, დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით, მასში გაერთიანებულია სამი თხზულება: „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, „წმიდა ნინოს ცხოვრებითურთ“, „საქმენი იოვანე ზედაზნელისა და მის მოწაფეთა“ და „აბიბოს ნეკრესელის მარტილობა“. კრებული, ყველა

რეალიის მიხედვით, უეჭველად შედგენილი ან გადაწერილია X საუკუნის დამდეგს.⁴

„იოვანე ზედაზნელისა და მის მოწაფეთა საქმენის“ ტექსტში ჩართულია ისეთი ცნობები, რომელთაც ტექსტთან პირდაპირი კავშირი არა აქვთ. ამათგან ერთი, სხვადასხვა ვარიაციით, ერთვის „ასურელ მამათა ცხოვრების“ გვიანდელ რედაქციებსაც. ეს არის ზედაზნის მამასახლისთა სია, მათი მოღვაწეობის ხანგრძლივობის ჩვენებით, დასაბამიდან X ს-ის დამდეგამდე. დანარჩენი ჩანართები კი სრულიად უნიკალურია და სხვა არც ერთი წყაროთი არ დასტურდება. ესენია: ჭვრის, ზედაზნისა და დავითგარეჯის ბიბლიოთეკათა აღწერილობანი, ამავე მონასტერთა საქურქლის აღწერილობანი შემწირველთა ვინაობაზე (მათ შორისაა „რუვისთაველთა სახლი“) მითითებით, ქართლის მეფეთა და ერისმთავართა საოჯახო ეპიტაფიები ზუსტი გენეალოგიური და ქრონოლოგიური მითითებებით. ცხადია, ეს ჩანართები ტექსტის კუთვნილება არ არის. ისინი გაკეთებული იყო ხელნაწერის დედნის არეზე ან თავისუფალ გვერდებზე და რამდენიმე გადაწერის შემდეგ, უყურადღებო გამძწერის წყალობით, შედარებით გვიან (არა უგვიანეს X ს-ის დამდეგისა) თვით ტექსტში შეტანილები აღმოჩნდნენ. უკვე ეს გარემოება გვაძლევს პირველ სიგნალს, რომ „იოვანე ზედაზნელისა და მის მოწაფეთა საქმეში“ ჩართული დანამატები X ს-ზე გაცილებით უფრო ადრინდელ ხანას უნდა მივაკუთვნოთ.

მეორე მომენტი, რაც ჩანართებს ზოგადად განსაზღვრავს ადრინდელი შუა საუკუნეებით, არის ის, რომ ჩანართებში მოხსენიებული არც ერთი მოღვაწე VIII ს-ის ბოლოს აქვთ აღარ გადმოსცილდება.

ამრიგად, გვაქვს უფლება განვაცხადოთ, რომ ჩანართები გაკეთებულია VIII ს-ის ბოლოსა და X ს-ის დამდეგს შორის, მაგრამ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ მათი უმრავლესობა გაკეთებულია VIII ს-ის ბოლოს (შენამატები მოსალოდნელია შემდეგაც).

ამ ნაშრომში მე მხოლოდ ერთ ასეთ ჩანართზე შევჩერდები.

N/Sin -50-ში კვითხულობთ:

„ოდეს გარდაიცვალა კურთხეული და დიდებული მამფალი ადარნერსე, ძმ სტეფანოზისი, ძმისწული დემეტრისი, ძისწული დიდისა გუარამისი. და მეოცე წელსა გარდაიცვალა კურთხეული მეუღლე მისი გუარამავრი, დეკენბერსა 2-ს. და თთუესა იანვარსა 20-ს გარდაიცვალა კურთხეული დედუფალი ლატავრი, ასული სტეფანოზისი, დაჲ ადარნერსსი, დედაჲ ბაგრატუნიანისაჲ და კუროპალატიანისაჲ, და დაეფლა ჭუარს, მარიამ-წმიდას, ძით და ასულის წულითურთ“.

მკითხველი ადვილად შეამჩნევდა, რომ ტექსტს დასაწყისში რაღაც აკლია. შეუძლებელია მასში პედანტურად ჩამოთვლილი ყოფილიყო გუარამავრისა და ლატავრის გარდაცვალების ზუსტი თარიღები, თვისა და რიცხვის ასევე ზუსტი მითითებით, ადარნერსეს გარდაცვალების წლიდან ათვლით („მეოცე წელსა“), ხოლო თვითონ ადარნერსეს გარდაცვალების წელი მაინც მასში აღნიშნული არ ყოფილიყო. ან სტილისტურად დავაკვირდეთ მას: „ოდეს გარდაიცვალა ... ადარნერსე ... და მეოცე წელსა გარდაიცვალა გუარამავრი“ და ა.შ. ცხადია, ტექსტს რაღაც აკლია. ესეც კიდევ ერთი არგუმენტი იმის სასარგებლოდ, რომ ჩანართის დედანი რამდენიმე გადაწერის შემდეგ დაზიანებულია და იგი ჩვენამდის მოღწეულზე გაცილებით უფრო ძველი და სანდო იქნებოდა.

ვინ არის ის ადარნერსე მამფალი, რომელიც ჩანართის მთელი ტექსტისთვის მთავარი პერსონაა?

სრულიად ნათელია, რომ ამ ცნობაში ლაპარაკია იმ ადარნერსეს შესახებ, რომელიც ერთ-ერთი ქტიტორია მცხეთის ჯვრისა და მისი გამოსახულება არის კიდევ აღბეჭდილი ჯვრის რელიეფზე, ხოლო თვითონ დასახელებულია აქვე ჯვრის პოსტამენტის წარწერაში⁵. ეს იგივე ადარნერსეა (ატრნერსე), რომელიც საეროთაგან წამყვან როლს ასრულებდა VII ს-ის დამდეგს ქართველთა და სომეხთა შორის მომხდარ საეკლესიო განხეთქილებაში, მტკიცედ ედგა მხარში კირონ ქართლის კათალიკოსს მართლმადიდებლობის გამო მომხდარ ამ საერთაშორისო კონფლიქტის დროს⁶.

ამრიგად, მოტანილი ცნობის მიხედვით, VI-VII საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე ქართლის ერისმთავართა გენეალოგიური ტაბულა ასეთი იქნება:

გუარამ დიდი

I

სტეფანოზი - დემეტრი (მისი ძმა)

I

ლატავრი (მისი და) - ადარნერსე მამფალი - გუარამავრი (მისი მეუღლე)

რა სიახლეებს გვაძლევს საქართველოს ისტორიისათვის მოტანილი ცნობა:

1. პირველად ვხვდებით წყაროში მოხსენიებას ადარნერსე (ადარნასე) ერისმთავრის მეუღლის გუარამავრისა და მისი დის ლატავრის შესახებ. 2. ადარნერსე (ატრნერსე) ერისმთავარი აქამდე ცნობილი იყო მხოლოდ უპატოსის ტიტულით. მართალია, მოსე კალანკატუელის ცნობით (VII-X სს), ჩვენ ვიცოდით, რომ ადარნერსე რომაელთაგან „სამმაგი პატივით“ იყო განდიდებული⁷, მაგრამ კონკრეტულად რა იგულისხმებოდა მასში, არ იყო ცნობილი⁸. შეიძლება დაეუშვათ, რომ ადარნერსემ, როდესაც ქართლის ერისმთავარი გახდა, ბიზანტიის კეისრისაგან პატრიკიოსის წოდებაც მიიღო მამამისის მსგავსად. მაშინ მესამე პატივი მისთვის იქნებოდა უკვე საკუთრივ ქართული ტიტული — „მამფალი“. 3. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ზუსტად მიუთითებს გუარამ კურაპალატის, სტეფანოზ ერისმთავრისა და დემეტრეს (დემეტრი) ნათესაური ურთიერთობის შესახებ (მამა და შვილები)⁹, მაგრამ არაფერს ამბობს მათთან ადარნერსეს მიმართებაზე. ჯუანშერის მიხედვით, გუარამი და მისი შვილები სხვა საგვარეულოს (ბაგრატიონთა) ეკუთვნიან, ხოლო ადარნერსე (ადარნასე) სხვას (ზოსროიანთა), იგი ბაკურის ძეა¹⁰. სუმბატ დავითის ძე, რომელიც ამ ადგილას თითქოს მთლიანად „მოქცევაჲთ“ სარგებლობს, მოულოდნელად ადარნერსეს (ადარნასე) სტეფანოზის ძედ აცხადებს¹¹. დავუმატოთ ყოველივე

ამას ისიც, რომ სტეფანოზი, დემეტრე და ადარნერსე მცხეთის ჯვრის პოსტამენტის წარწერაში ერთმანეთის გვერდით მოიხსენებინან. ყოველივე ამან ქართულ მეცნიერებაში ერთმანეთისაგან განსხვავებული რამდენიმე შეხედულება დაბადა: ა) სტეფანოზი და დემეტრე, ერთი მხრივ, და ადარნერსე, მეორე მხრივ, სხვადასხვა საგვარეულოს წარმომადგენლები არიან¹². ბ) სტეფანოზი, დემეტრე და ადარნერსე ერთმანეთის ძმები არიან¹³. გ) გუარამის შვილები არიან სტეფანოზი და დემეტრე, ხოლო ადარნერსე არის სტეფანოზის ძე¹⁴. როგორც ვხედავთ, N/Sin -50 ამ ბოლო შეხედულებას უჭერს მხარს და ვფიქრობ, ეს მხარდაჭერა გადამწყვეტი უნდა იყოს, ვინაიდან მას მიმოქცევაში შემოაქვს თვისებრივად სრულიად ახალი მასალა – ეპიტაფიები თუ საოჯახო ქრონიკები.

ცალკე მინდა განვიხილო ცნობა სტეფანოზის ქალიშვილისა და ადარნერსეს დის ლატავრის შესახებ, რომელიც მოხსენიებულია როგორც „დედაჲ ბაგრატიუნნიანისაჲ და კურაპალატიანიისაჲ“.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ქართლის ერისმთავართა საგვარეულოს არ აკავშირებს მომავალ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებთან. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იგი ამ საკითხს საერთოდ არ ეხება. იგი IX–X საუკუნეებში რომ იყოს შედგენილი, ბაგრატიონთა საგვარეულოს ასე თუ ისე იდენტიფიკაციას ვერ ასცდებოდა, ისე როგორც ვერ ასცდა ვერც ერთი ამ და უფრო მოგვიანო ხანის წყარო. მარტო ეს არგუმენტიც კი საკმარისი იქნებოდა „მოქცევაჲს“ IX ს-ზე აღრინდელი ხანით დასათარიღებლად. დაბეჭითებით იმის თქმა, იყო თუ არა ჯუანშერთან ეს ორი საგვარეულო დაკავშირებული ერთმანეთთან, ძნელია. ტექსტში ეს პირდაპირ არსად არ არის მითითებული. მხოლოდ სათაურებში, რომლებიც არ გვხვდება ყველა ნუსხაში (მათ შორის ე.წ. ანასეულსა და მარიამისეულ ნუსხებში), შეიძლება ამოვიკითხოთ შემდეგი: „მეოცდაცხრამეტე მეფე ქართლისა, კურაპალატი გუარამ ბაგრატიონი“; „მეორმოცე ერისთავთა-მთავარი ქართლისა სტეფანოზ, ძე გუარამ კურაპალატისა, ბაგრატიონი“¹⁵. მხოლოდ ერთგან ტექსტში გვაქვს ისეთი მითითება, რომელიც შეიძლება მიგვანიშნებდეს ტაო-კლარჯეთის ბაგრატი-

ონთა რაღაც კავშირზე გუარამ და სტეფანოზ ერისმთავართა ჩამომავლებთან. როდესაც ჰერაკლე კეისარმა სტეფანოზ ერისმთავარი მოაკვლევინა და ქართლი დაიკავა ადარნასე ბაკურის ძემ (სათაურის მიხედვით, ხოსროიანმა), ჯუანშერმა შენიშნა: „და შვილნი სტეფანოზისნი დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისათა“¹⁶. ამის შემდეგ იგი მოგვიტხრობს ერთი მთავრის შესახებ, „რომელი იყო ნათესავისაგან დავით წინასწარმეტყველისა, სახელით ადარნასე, ძმისწული (უნდა იყოს „ძისწული“, როგორც შემოგვინახა ანასეულმა ნუსხამ) ადარნასე ბრმისა, რომლისა მამა მისი მზახებულ იყო ბაგრატიონიანთად და ბერძენთა მიერ დადგინებულ იყო ერისთავად არეთა სომხითისათა, და ტყვეობასა მას ყრუისასა შთასრულ იყო იგი შვილთა თანა გუარამ კუროპალატისთა კლარჯეთს, და მუნ დარჩომილ იყო“¹⁷. აი, ამ ადარნასემ, ჯუანშერის მიხედვით, სთხოვა არჩილ ერისმთავარს (ჯუანშერით, მეფეს), ადარნასე ბაკური ძის შვილიშვილს, დასამკვიდრებლად ქვეყანა მის ტერიტორიაზე და მიიღო კიდევც.

„მატიანე ქართლისაჲ“ აგრძელებს ჯუანშერის თხრობას შემდეგნაირად: არჩილის ვაჟი, ჯუანშერი ცოლად ირთავს ზემოთ დასახელებული ადარნასეს ქალიშვილს ლატავრს. დედამისი ამ ქორწინების წინააღმდეგია, ვინაიდან არ იცის კარგად, რომ ბაგრატიონნი დავით წინასწარმეტყველის ჩამომავალნი არიან. შემდეგში ყველაფერი კარგად მთავრდება და ადარნასე ბაკურის ძის ჩამომავალნი და ბაგრატიონნი ერთმანეთის მოყვრები ხდებიან. ასე უკავშირდებიან „მატიანე ქართლისაჲს“ მიხედვით ბაგრატიონები ქართლის ერისმთავართა საგვარეულოს.¹⁸

სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე სუმბატ დავითის ძის „ქრონიკაში“: ფილისტიმელთაგან წამოსული შვიდი ძმა მოვიდა ჯერ სომხეთში. სამი მათგანი იქ დარჩა და „დღეინდელად დღემდე შვილნი მათნი მთავრობენ სომხეთს“. ოთხი ძმა ქართლში წამოვიდა. „ერთი მათგანი, სახელით გუარამ, განაჩინეს ერისთავად, და ესე არს ერისთავი ქართლისა და მამა ბაგრატიონთა. და ესე ქართლისა

ბაგრატიონიანნი შვილის შვილნი და ნათესავნი არიან მის გუარამისნი“¹⁹.

XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფია, რომლის ყველაზე მკაფიო წარმომადგენელია ექვთიმე თაყაიშვილი, სუმბატ დავითის ძის ცნობებს ტენდენციურ შენატხზად მიიჩნევს. ე. თაყაიშვილი თვლის, რომ სუმბატმა მიაწერა გუარამს და მის ჩამომავლებს ბაგრატიონობა და სუმბატმავე გამოაცხადა გუარამის შემდეგ ყველა ერისმთავარი, მათ შორის ადარნასეც, ერთმანეთის შვილად²⁰. ასეთ დასკვნას ერთგვარ დაბრკოლებად ეღობებოდა და კვლავაც ეღობება (იგი არავის მოუხსნია) კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობა იმის შესახებ, რომ „იერუსალიმიდან მათი (ბაგრატიონების - ზ.ა.) გამოსვლისა და აწინდელს ქვეყანაში შემოსვლიდან დღემდე (952) ოთხასი ან ხუთასი წელი გასულაო“²¹. 952 წლის წინ ოთხასი წელი კი სწორედ გუარამ კურაპალატის ერისმთავრობაზე მოდის.

ე. თაყაიშვილი თვლის, რომ პირველი ბაგრატიდი, რომელიც ქართლში მოვიდა, იყო ადარნასე ძე ვასაკისა, სომხეთის მთავრის აშოტ ბრმის ძისა.²² XIII ს-ის სომეხი ისტორიკოსის ვარდან დიდის ცნობით, ეს აშოტი მამიკონიანებმა დააბრმავეს 758 წელს და გარდაიცვალა 761 წელს²³. პირველი ქართლის ერისთავი, ე. თაყაიშვილის აზრით, ბაგრატიონთა შტოდან იყო აშოტ I დიდი, ძე ადარნასესი, რომელიც 826 წელს მოკლეს.²⁴

ამრიგად, კავკასიოლოგიური ისტორიოგრაფია იმ აზრისაა, რომ ქართველი და სომეხი ბაგრატიდები ერთი დინასტიის განაყოფი არიან. ქართული შტოს მამამთავრები სომხეთის შტოს გამოეყვნენ და საქართველოში დამკვიდრდნენ დაახლოებით VIII ს-ის ბოლოს. განსხვავებული შეხედულებები ამის შემდეგ იწყება. კავკასიოლოგთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ბაგრატიდთა საგვარეულო წარმოშობით ქანურია და მხოლოდ შემდეგ მოხდა მათი ერთი შტოს გასომხება.

მაგრამ, რა დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს N/Sin-50-ის ჩანართი ყველა იმ პრობლემის შესახებ, რის შესახებაც ზემოთ იყო ლაპარაკი:

1. როგორც დავინახეთ, N/Sin-50-ის მიხედვით, გუარამი, სტეფანოზი და ადარნასე ქართლის ერისმთავრები ნამდვილად ერთმანეთის მამა, შვილი და შვილიშვილი ყოფილან. ამით ეს ცნობა მხარს უჭერს და ამბავებს სუმბატ დავითის ძის ვერსიას. 2. მათემატიკურად ზუსტი აღმოჩნდა სუმბატ დავითის ძის ცნობა იმის შესახებ, რომ „ესე ბაგრატიონიანნი შვილიშვილნი და ნათესავნი არიან მის გუარამისანი“-ო. 3. ბაგრატიონთან დედა მართლაც ყოფილა გუარამ კუროპალატის შვილიშვილი ლატავრი. 4. ქართველ ბაგრატიონთა არავითარი პირდაპირი კავშირი არ შეიძლება ჰქონდეთ სომხეთის მთავრებთან – აშოტ ბრმასთან და ვასაკთან. ისინი N/Sin -50-ის მიხედვით, გაცილებით ადრე ჩანან ქართლში, ვიდრე ჩამოთვლილი პირები მოღვაწეობდნენ. 5. „მატიანე ქართლისაჲს“ მსგავსად, ბაგრატიონნი და ქართლის ერისმთავრები მოყვრობით ყოფილან დაკავშირებული ერთმანეთთან. ჩანს, რომ ლატავრი გათხოვილი ყოფილა ბაგრატიონთა გვარის წევრზე. ზუსტად ისე, როგორც სუმბატ დავითის ძე ამბობს გუარამ დიდი კუროპალატის შესახებ, რომ იგი „არს მამა ბაგრატიონთა“, N/Sin -50-ც გუარამის შვილიშვილის ლატავრის შესახებ აცხადებს, რომ იგია „დედაჲ ბაგრატუნისაჲსაჲ“. „მატიანე ქართლისაჲს“ მიხედვით, ერისმთავრების საგვარეულო ბაგრატიონთა დაემზახა არჩილ მეფის შვილის ჭუნშერის მეშვეობით, რომელმაც ცოლად შეირთო სომხეთიდან გადმოხვეწილი ადარნასე ბაგრატიონისაჲს ქალიშვილი ლატავრი. ამ ორ ცნობას აქვს საერთოც და უფრო მეტი კი – განსხვავება. საერთოა სახელები პერსონაჟთა – ადარნასე (ადარნერსე) და ლატავრი. განსხვავებულია მათ შორის ნათესაური დამოკიდებულება: ადარნერსე და ლატავრი, N/Sin -50-ის მიხედვით, და-ძმანი არიან და არა მამა-შვილი; ადარნერსე და ლატავრი ქართლის ერისმთავართა საგვარეულოს ეკუთვნიან და არა ბაგრატიონთა; „მატიანეს“ ადარნასესა და ლატავრის დამზახება ქართლის ერისმთავრებთან ერთი საუკუნით ან საუკუნენახევრით უფრო გვიან ხდება, ვიდრე N/Sin 50-ის ადარნერსესა და ლატავრის დამზახება ბაგრატიონთა საგვარეულოსთან. და მაინც მგონია, რომ „მატიანე ქართლისაჲს“

ცნობაში აისახა რეალური ვითარება ამ ორი საგვარეულოს დამოყვრების შესახებ.

ჯუანშერის ცნობაში ყურადღებას იპყრობს ერთი ნიუანსი: კლარჯეთიდან ქართლში რომ გადმოვიდა პირველი ბაგრატიონი — ადარნასე, მისი პაპის მამა უკვე „მზახებულ იყო ბაგრატიონიანთადვე“. როდის უნდა მომხდარიყო ეს? რომელი „ბაგრატიონიანები“ უნდა ჰყავდეს მხედველობაში ავტორს? ე. თაყაიშვილი თვლის, რომ ადარნასე ქართლში მოვიდა VIII ს-ის პირველ ნახევარში. ამ დროს იგი უკვე კარგად მოწიფული მამაკაცი უნდა ყოფილიყო. ცხადია, მისი პაპის მამის ახალგაზრდობა VII საუკუნის პირველ ნახევარზე მოვა, სწორედ მაშინ, როდესაც ქართლში ერისმთავრობდა გუარამ კუროპალატის შვილიშვილი ადარნერსე, რომლის და ლატავრი, N/Sin-50-ის მიხედვით, იყო „დედაჲ ბაგრატუნიანისაჲ და კუროპალატიანისაჲ“. ვფიქრობ, სპეციალური დასაბუთება არა სჭირდება ბაგრატიონთა შორის შიდა, საგვარეულო ქორწინების ფაქტებს. ასეთი შემთხვევები გვაქვს და მას კონსტანტინე პორფიროგენეტი თეორიულადაც ასაბუთებს²⁵. რაც შეეხება „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობას არჩილ მეფის ძის ჯუანშერის მიერ ადარნასეს ქალიშვილის ლატავრის შერთვის შესახებ, იგი შესაძლოა ბაგრატიონთა მეორედ დამოყვრებას ასახავდეს, თუკი არ არის უფრო ადრინდელი ამბის გვიან გადატანის შემთხვევა.

სპეციალურ განხილვას საჭიროებს გამოთქმა „დედაჲ ბაგრატუნიანისაჲ და კუროპალატიანისაჲ“. ვარაუდის სახით წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ცნობის ავტორისათვის ეს არის მითითება ქართლის ერისმთავრებისა (კუროპალატიანები, გუარამ კუროპალატის ჩამომავლები) და ბაგრატიონთა საგვარეულოს გაერთიანებაზე. ამავე დროს, VIII-IX საუკუნეებში კუროპალატობა მხოლოდ ბაგრატიონთა პრივილეგია იყო. ვფიქრობ, აღნიშნული ცნობა შედგენილია მაშინ, როდესაც ბაგრატიონები ჯერ კიდევ არ იყვნენ მეფეები, ანუ ადარნასე II-მდე (IX ს-ის მიწურული). წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია მათი მხოლოდ „კუროპალატიანობით“ მოხსენიება.

„ქართლის ცხოვრების“ ე.წ. მარიამისეულმა ნუსხამ, როგორც ჩანს, შემოგვინახა რაღაც ანარეკლი ბაგრატიონთა დამოყვრებაზე ადარნასე ერისმთავართან, თუმცა ეს ცნობა მას სომხითში გადააქვს.

N/Sin-50-ის ცნობა კიდევ ერთ ვარაუდს ამართლებს. კერძოდ იმას, რომ მცხეთის ჯვარი გამხდარა ქართლის ერისმთავართა საძვალე, იმათი მაინც, ვინც უშუალო მონაწილეობა მიიღო მის მშენებლობაში: გუარამი, სტეფანოზი, დემეტრე, ადარნასე და მათი ოჯახის წევრები. მაგრამ სრული სიახლეა ის ფაქტი, რომ მცხეთის ჯვარში დაკრძალულნი ყოფილან ბაგრატიონებიც. სხვას რას შეიძლება ნიშნავდეს ჩანართის ცნობა, რომ მცხეთის ჯვარში დაიკრძალა „დედაჲ ბაგრატუნინათაჲ ...ძით და ასულის წულით“? ბაგრატიონთა დედას ძე ხომ უეჭველად ბაგრატიონი ეყოლებოდა! ბაგრატიონთა საძვალე მცხეთის ჯვარი შეიძლებოდა გამხდარიყო მხოლოდ ქართლის ერისმთავრებზე გავლით. როგორც ჩანს, ამავე გზის გავლით გახდნენ ისინი ქართლის ერისთავებიც, ხოლო შემდეგ მეფენიც, კანონიერი ჩამომავალნი ფარნავაზიანთა და გორგასლიანთა.

ქართული მეცნიერებისათვის სიახლეა, აგრეთვე, მცხეთის ჯვრის მარიამ-წმიდობით მოხსენიება. გასარკვევია მხოლოდ, მცირე ტაძარზეა ლაპარაკი თუ დიდზე. მაინც საჭირო იქნება გავიხსენოთ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ერთი ცნობა, რომელსაც ახლად აღმოჩენილი N/Sin -50-ის მიხედვით მოვიტან, ვინაიდან იგი ამ ადგილას სხვა რედაქციებზე უფრო სრულია:

„და მეთერთმეტმ მეფობდა დაჩი უუარმელი და კათალიკოზი იყო სამოელ. და მისსა ზე ქალაქსა ტფილისს კაცნი დასხდეს (დასხდებოდეს — შატ.) და მარიამ-წმიდაჲ (მარიამ-წმიდისა — ქელ.) ეკლესიაჲ ალა მშნეს. და კათალიკოზი იყო პეტრე მესამე“²⁶.

კონტექსტი თითქოს გარკვევით ამბობს, რომ მარიამ-წმიდა თბილისში ააშენეს აქ დასახლებულმა „კაცებმა“. ჩვეულებრივ, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“-ში მოხსენიებულ „მარიამ-წმიდას“ გვიანდელი სახელით (1675 წლიდან) ცნობილ ანჩისხატის ეკლესიას მიი-

ჩნევენ ხოლმე, მაგრამ ამისათვის რაიმე მყარი არგუმენტი არ არსებობს. ამ სახელით ანჩისხატი არც ერთ ძველ წყაროში მოხსენიებული არ არის. ისტორიული ტრადიციით, ამ ეკლესიას 1675 წლამდე, სანამ აქ ანჩის „პირი ღმერთისას“ ხელთუქმნელ ხატს გადმოასვენებდნენ, „ზარის საყდარს“ უწოდებდნენ. ძნელია ამის დასაბუთება, მაგრამ ვფიქრობ, იქ, სადაც „მოქცევაჲში“ მარიამ-წმიდის მშენებლობაზეა ლაპარაკი, ტექსტი შეიძლება ნაკლები იყოს. იქნებ ამის ბრალია, რომ შატბერდულ რედაქციაში შესაბამისი ზმნები ერთმანეთთან შეუთანხმებელია: „ტფილისს კაცნი დასხდებოდეს და მარიამ-წმიდაჲ ეკლესიაჲ აღაშენეს“. ხომ არ იყო ორიგინალში ასე: „ტფილისს კაცნი დასხდებოდეს და [მცხეთას...] მარიამ-წმიდაჲ აღაშენეს“? საქმე ის არის, რომ დაჩის მეფობიდან მოკიდებული „მოქცევაჲ ქართლისაჲს ქრონიკაში“ მცხეთა და თბილისი ყველგან ერთ კონტექსტში არიან მოხსენიებული. მაგალითად: „მცხეთაჲ ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემცირდებოდეს და კალაჲ განდიდნებოდა“; „ამან დადგა საფუძველი პატიოსნისა ჭუარისაჲ ... და ტფილისისა მკუდრთა დიდსა ეკლესიასა დაიწყეს“; „ამან განიშორა ჭუარისა ეკლესიაჲ ...და ტფილისს დაჯდა სტეფანოზ“²⁷ (ციტატები მოტანილია შატბერდული რედაქციის მიხედვით). საკითხის ასე დაყენების შემდეგ უნდა ვიფიქროთ, რომ N/Sir-50-ის ჩანართში ლაპარაკია ჯვრის მცირე ეკლესიაზე, რომელიც V ს-ის პირველი ნახევრით დათარიღდება და რომელიც გარკვეულ ფუნქციას შეინარჩუნებს ჯვრის დიდი ეკლესიის აშენების შემდეგაც.

მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ქართველი ბაგრატიონები გენეტურად არ არიან დაკავშირებული სომხეთის მთავრებთან – აშოტ ბრძმასა და ვასაკ ბაგრატიუნებთან, ბუნებრივია, დაისვას კითხვა: არიან კი საერთოდ ქართველი ბაგრატიონები და სომეხი ბაგრატიონები ისტორიულად საერთო წარმომავლობის? ვფიქრობ, ამ კითხვაზე ძველებურად უეჭველად დადებით პასუხს ვეღარ გავცემთ, მაგრამ ალბათობა მათი ნათესაობის შესახებ მაინც რჩება. ამას, გვარების იდენტურობის გარდა, გვაფიქრებინებს ეპისტოლეთა წიგნში შემონახული ცნობები ვრკანის მარზპანის, სმბატ ბაგრატიუნის შესახებ.

სმბატ ბაგრატიუნის მშობლების სალოცავი მცხეთის ჯვარი იყო. მათ დიდხანს შვილი არ ჰყავდათ. მცხეთის ჯვრის მორიგი მოლოცვისას ღმერთს შეავედრეს თავიანთი მომავალი და მართლაც მალე ძე შეეძინათ²⁸. შესაძლოა, მანამდეც ასე იყო, მაგრამ ამის შემდეგ უკვე ნამდვილად ბაგრატიუნები ყოველწლიურად დადიოდნენ მცხეთაში სალოცავად. ეს ტრადიცია დაირღვა მაშინ, როდესაც სმბატი ირანის შაჰის კარზე გაიწვიეს ვრკანის მარზპანად და ირანის ჭარების მხედართმთავრად. ამის შემდეგ რვა წლის განმავლობაში სმბატ ბაგრატიუნის სამშობლოში დაბრუნებისა და მცხეთის მოლოცვის საშუალება აღარ ჰქონია, რასაც იგი, მისი წერილების მიხედვით, მწვავე ნაკლად აღიქვამდა²⁹. როდესაც ქართლისა და სომხეთის ეკლესიებს შორის კონფლიქტი გამწვავდა, სმბატ ბაგრატიუნი უკვე სომხეთში იმყოფებოდა შვებულებით და ირანის შაჰის სპეციალური დავალებით, მოეწესრიგებინა სომხეთში შიდა საეკლესიო სიტუაცია³⁰. რას გულისხმობდა ეს?

საქმე ის არის, რომ სომხეთი მონოფიზიტობის გზაზე იყო დამდგარი და ირანის სამეფო კარი ქრისტიანობის ამ მიმართულებას უჭერდა მხარს. ბიზანტიის ხელშეწყობით კი ნახევარი სომხეთი ქალკედონური გამხდარიყო და თავისი კათალიკოსიც დაესვათ. სომხეთში ძლიერი მონოფიზიტი კათალიკოსი მოსე რომ გარდაიცვალა, მის მაგიერ ტახტზე ახლის და პროირანული ორიენტაციის კაცის დასმა გაძნელდა, არჩევნებიც კი ჩაიშალა. აი, ამ ვითარების გამოსასწორებლად არის სმბატი ღვინში გამოგზავნილი და სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა ქართლის კათალიკოსის მიერ აშკარად გაკეთებული არჩევანი ქალკედონიტობაზე. ცხადია, სმბატ ბაგრატიუნი ამ კონფლიქტშიც უნდა ჩაერთოს, თუ სურს ირანის გავლენა კავკასიაზე არ შესუსტდეს. მაგრამ ყოველგვარი ცდა სომეხთა მხრიდან მისი კონფლიქტში ჩართვისა და ირანის სამხედრო ძალის გამოყენებისა, უშედეგოდ მთავრდება. სმბატი აცხადებს, რომ მას არ შეუძლია ხელთ ხმალი აიღოს და თავის ძმებს (აქ ტექსტი დაზიანებულია და წაკითხვის სიზუსტეში დარწმუნებული არ შეიძლება ვიყოთ) შეერკინოს³¹. მე ვფიქრობ, N/Sin-50-ის ჩანართი

და „ეპისტოლეთა წიგნის“ დოკუმენტური ტიპის ცნობები ქართველ და სომეხ ბაგრატიდთა აშკარად მცხეთურ წარმომავლობაზე მიუთითებენ. ამიტომ მათ საგვარეულო ლეგენდებში დაცულ ცნობებს საქართველოში მოსვლის მარშრუტის შესახებ ხელახლა მიბრუნება და სერიოზული კრიტიკა სჭირდება.

¹ Митрополит Родосский Паисий. Описание Святой Горы Синайской и её окрестностей в стихах, написанное между 1577-1592 гг., изданное в первый раз с предисловием А. И. Пападопулю-Керамевском и переведенное Г. С. Дестунисом, ППС, т. XII, вып. II. СПб, 1891, გვ. 53, 129.

² Treasure of the Monastery of Saint Catharine, 1990, გვ. 354.

³ სტუმრები სინის მთიდან, ჟურნალი „წვარი ვაზისა“, თბ., 1987, გვ. 18-19; ზ. ალექსიძე, ალბანური მწერლობის ძეგლი სინას მთაზე და მისი მნიშვნელობა კავკასიოლოგიისათვის, თბ., 1998, გვ. 5.

⁴ Z. Alexidze, The New Recensions of the "Conversion of Georgia" and the 'Lives of the 13 Syrian Fathers' recently discovered on Mt. Sinai, Settiamane Di Studio Del Centro Italiano Di Studi Sull'alto Medievio XLIII, Il Caucaso: Cerniera Fra Culture Dal Mediteraneo Alla Persia (Secoli IV-XI) 20-26 aprile 1995, Spoleto, 1996.

⁵ ლაპიდარული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 95-97.

⁶ ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, თბ., 1968, გვ. 35, 40, 72, 76, 83, 143-შენ. 2.

⁷ შოშიაშვილი ნ. წიგნი ეპისტოლეთა წიგნის შესახებ, თბ., 1983, გვ. 178.

⁸ ივ. ჭავჭავაძის აზრით, ადარნასე, უპატრონობის გარდა, შესაძლოა, ფლობდა პროტოსპათარისა და სპათაროკანდიდატის ტიტულსაც (ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IX, თბ., 1996, გვ. 158-159); კ. თუმანოვი კი „სამშაგ პატივში“ უპატრონობასთან ერთად პატრიკიოზობასა და აპო-უპატრონობას გულისხმობს იხ. С. Toumanoff, Iberia between Chosroid and Bagratid Rule, Studies in Christian Caucasian History, Georgetown University Press, 1963, გვ. 392, შენ. 11.

⁹ მოქცევა ქართლისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. I, თბ., 1963, გვ. 95.

¹⁰ ჭუნაშვილი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 222-225.

¹¹ სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთან, ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 375.

¹² ივ. ჩაჩახიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 156-163; C. Toumanoff, Iberia on the Eve of the Bagratid Rule, *Muséon*, 65, 1952, გვ. 205; მისივე, Iberia between... გვ. 391-393, 395-398; აგრეთვე ტაბულა: Table of the Kings and Princes of Iberia from the sixth to ninth Century; ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 177.

¹³ Чубинашвили, Памятники типа Джвари, გვ. 114; W. Djbadze, The Sculptures on the Eastern Facad of the Holy Cross of Mtzket'a, *Oriens Christianus*, B. 44, 1960, გვ. 123.

¹⁴ შ. ჩხარტიშვილი, მარტვილობა და მოთმინება მწიღისა ევსტათი მცხეთელი-სა; ცხოვრება და მოქალაქობა მწიღისა სერაპიონ ზარზმელისა; წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა, თბ., 1994, გვ. 86-91.

¹⁵ ჯუანშერი, გვ. 218, 222.

¹⁶ იქვე, გვ. 226.

¹⁷ იქვე, გვ. 243.

¹⁸ მატჩიანი ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 251.

¹⁹ სუმბატ დავითის ძე, გვ. 273.

²⁰ ე. თაყაიშვილი, სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, გამოცემა მესამე, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1949, გვ. 13-15.

²¹ კონსტანტინე პორფიროგენეტი, De Administrando imperio, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, გეორგიკა, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1952, გვ. 259.

²² E. Taqaiishvili, Georgian Chronology and the Beginning of Bagratid Rule in Georgia, *Georgica, A Journal of Georgian and Caucasian studies*, გვ. 21-22.

²³ შხუნი, წარუთაჲ კოსთანიანის სტყუარსკას, შოსქსა, 1861, გვ. 103.

²⁴ E. Taqaiishvili, დასახ. ნაშ., გვ. 25.

²⁵ კონსტანტინე პორფიროგენეტი, დასახ. ნაშ., გვ. 255-256.

²⁶ შდრ. მოქცევა ქართლისა, ძეგლები I, გვ. 93-94.

²⁷ მოქცევა ქართლისა, შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979, გვ. 326-327; შდრ. მოქცევა ქართლისა, ძეგლები, გვ. 95, 97.

²⁸ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 78-79.

²⁹ კოსთანიანის სტყუარსკას, მკვლევარის კოსტანტინე ფ. ი. აქაფარეაზის, სტყუარსკას, 1979, გვ. 100.

³⁰ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 73-74.

³¹ იქვე, გვ. 82-83.

თამარ მეფის მღვიმისადმი 1195/1196 წლის
სიბელის ანალიზისათვის

თამარ მეფის აღნიშნული სიგელი ხელრთვების სახით დამატებით კიდევ ორ საბუთს შეიცავს: მღვიმის კრებულისა და ანტონ მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდლისა. ყველა მათ ანტონის მიერ მღვიმისადმი ორი გლეხური კომლის შეწირულების ერთი საერთო საქმე აერთიანებს.

თამარის სიგელი იწყება იმის აღნიშვნით, რომ მოვიდაო ჩვენ წინაშე ვაზირი ჩვენი ანტონ ჭყონდიდელი და მწიგნობართუხუცესი „და გუეჰაჯა და მოგუაჰენა, რაითამცა შევიწყალნეთ და რომელი მღუიმეს, მონასტერსა სამლოცველოსა ჩუენსა, წყალი მიიყვანეს სხალტბისაით და წყლისა მის სათავესა ზედა გლეხი ჯდა სასეფოი, მის წყლისა მკაზმავად იგი გლეხი, სამკუიდროდ შესაწირავად მღუიმისად, სულისა მისისათუის მას მიუბოძეთ“¹.

ესე იგი, ანტონს შიომღვიმის მონასტრისათვის წყალი გაუყვანია სხალტბიდან. წყლის სათავეზე გლეხი მჯდარა სასეფო, ანუ სამეფო. ანტონმა მეფეს შეწყალება სთხოვა, რათა ეს გლეხი მისთვის ებოძებინა, რომ მას, თავის მხრივ, სამეფო მღვიმისათვის შეეწირა „წყლისა მკაზმავის“ ვალდებულებით თავისი სულის შესავედრებლად. თამარმა დააკმაყოფილა მისი ვაზირის თხოვნა და „რომელი სხალტბას მის წყლისა მისგან მიღებულისა სათავესა ზედა გლეხი ზის, მიწად ერთი და კუამლად ორი, ქოსაისძენი საუკუნოდ მის წყლისა მკაზმავად, მღუიმისა მონასტრისა შესაწირავად, მისდა მიგუითავისუფლებია“².

ეს „გლეხი“, ახლა უკვე კონკრეტულად „მიწად“ (ანუ „ფუძედ“, როგორც ამ დოკუმენტის სხვა ადგილასაა აღნიშნული) ერთი და „კუამლად ორი“ ყოფილა, გვარად ქოსაისძენი. შემდეგ მეფე ამ კომლების თავკაცებს სახელებითაც ჩამოთვლის: სუიმონ, გიორგი და იაბერი მათი შვილებითა და შვილიშვილებით. ანტონისათვის ბოძებული ორივე კომლი, მეფის გადაწყვეტილებით, „ყოვ-

ლითურთ შეუვალი და თავისუფალი არს კელისუფალთაგან.“ მხოლოდ მღვიმის მონასტრისადმი „რაიცა ანტონი ჭყონდიდელმა გაუჩინოს სამსახური მის წყლისაი, მას ჰმსახურებდეს“.

თავის ხელრთვაში მღვიმის კრებული აღნიშნავს, რომ „ქრისტეს სწორმან ანტონი ჭყონდიდელმან დიდითა ღუაწლითა და გულსმოდგინებითა და საფასოთა აღუჰამრავითა, მოიყვანა წყაროჲ ესე ნუგეშინის-საცემელად ამის უდაბნოსათჳს, რომლისა საუკუნომცა არს ქენებაჲ“.

შემდეგ მღვიმის კრებული თამარის სიგელზე მითითებით აღნიშნავს, რომ „ესე გლეხნი ქოსაჲსძენი, ფუჲედ ერთი კუამლად გ ... მათგან (ანტონისგან) მოგებული არს და წყაროჲსათჳს მიყენებული. ესე მიწანი, რომელნი თუთ საუფლოჲთა კელითა მისითა სწერიან, და ვენაჲ, ჰქონდეს მათ გლეხთა“³. თავის მხრივ, კრებულს ქოსაისძეთა აღნიშნული ორი გლეხური კომლი არ მიუჩინევია საკმარისად ამ წყალგაყვანილობის სისტემის მოსაწესრიგებლად და ამიტომ, როგორც მღვიმელნი მიუთითებენ, „მათითავე (ანტონისავე) კითხვითა და ბრძანებითა ერთი მეორეშაბათე გლეხი, სახელით პატარ, და მეორე გლეხი, გარეთმოსული ქაჩაბურაჲსძე, ესენიცა წყაროსავე მიუყენენით მკაზმავად“⁴. მაგრამ თუ ისინიც საკმარისი არ იქნებოდნენ, მთელი კრებული ივალდებულებდა თავს წყლის მკაზმავად გამოსულიყო; ხოლო, როგორც ანტონი აღნიშნავს: „მილი ოდესცა უნდეს, მემღუიჲმე გაიღებდეს ეკლესიისა ძალითა და საფასოითა.“

განსაკუთრებით საინტერესოა ანტონ ჭყონდიდელის დაწერილი, რომელიც მთელი რიგი საკითხების დაყენებისა და მათზე პასუხების გაცემის საშუალებას იძლევა. მემღვიმე მამათა მიერ „ქრისტეს სწორად“ წოდებული ანტონი, თავის მხრივ, თამარისა და მისი ქმარ-შვილის „მეფობის მიწად და მლოცველად“ აცხადებს თავს და შემდეგ მოგვითხრობს მღვიმის მონასტრისათვის გაწეული ღუაწლის შესახებ.

ვინაიდან მღვიმის მონასტერში მყოფნი წმ. მამანი დიდ გაჭირვებაში იყვნენ „ურწყულობის“ მიზეზით: „...ვძებნე და ვპოე წყალი

ადგილსა სხალტბისასა... ეამთა წელიწდისა სამისათა, დიდითა შრომითა და გულსმოდგინებითა... მოვიყვანე წყაროი კარსა წმიდისა ეკლესიისასა“ -ო. მაგრამ თამარის ვაზირი ამითაც არ დაკმაყოფილდა. მას წყლის ძებნა გაუგრძელებია. როგორც თვითონ ამბობს: „მასვე სათავესა თანა ვძებნე სხუაი წყალი, რომელი მკუიდრთა მის ადგილისათა არა მოაკლდა, ეგზომივე და უმეტესიცა წყალი“⁵. როგორც ჩანს, ორივე შემთხვევაში სარწყავ წყალზე უნდა იყოს საუბარი, რადგან „ურწყულობა“ მოურწყველობა უნდა იყოს და არა უწყლობა საერთოდ.

ანტონის სიტყვებიდან ირკვევა, რომ მღვიმელთათვის გამოყვანილი წყლის სათავესთან მან იპოვა „სხუაჲ“, ანუ დამატებითი წყალიც არა მარტო იმავე დებიტისა, არამედ „უმეტესიცო“. ეს წყალი მან იმ ადგილების „მკვიდრთ“ (ცხადია, იმავე მონასტრის გლეხებს) გაუყვანა. თამარის ამ ვაზირის მიერ შიომღვიმისათვის გაყვანილი 2 კმ წყალსადენი, რომელიც ჩვენს დროში იქნა გათხრილი და შესწავლილი, მონასტერს დღე-ღამეში 243 ტონა წყალს აწვდიდა, რაც, უეჭველია, ბალ-ბოსტნების მოსარწყავადაც იქნებოდა გამოყენებული. იმავე სათავე ნაგებობიდან გაყვანილი ყოფილა 1 კმ სიგრძის წყალსადენი სოფელ სხალტბამდე. სწორედ ეს უნდა იყოს ანტონის მიერ იმავე სათავედან „ამ ადგილების მკვიდრთათვის“ გაყვანილი მეორე წყალსადენი.

ამ წყალსადენების გაყვანის შემდეგ, ანტონმა, როგორც თვითონ ამბობს, „ჰკადრა და მოაქსენა“ მეფეთა-მეფეს თამარს, რომ იმ წყაროს სათავესა მყოფი ორი კვამლი სამეფო გლეხები, „სახელით აფხაზთანი“ (ანტონი მათ ამ შერკმეული სახელით მოიხსენიებს და არა გვარით) ამ წყაროს მკაზმავედ ებოძებინა იმის სრული უფლებით, ანუ „თავისუფლებით“, რომ, თავის მხრივ, მას ეს გლეხები შიომღვიმის მონასტრისათვის „მოეხსენებია“, ანუ, როგორც მეფე ამბობს, „შეეწირა“ ანტონისავე მიერ წყაროსათვის გაჩენილი „სამსახურის“ ვალდებულებით – „სხუაი სამსახური არცა რაი ედვას“ -ო. კონკრეტულად კი ეს სამსახური გამოიხატებოდა შემდეგში: „ორისავე სახლისაგან თუითოი შვილი მათი ქუქანკად გაისწა-

ვლებოდეს და ჰკაზმეიდენ მას წყაროსა". ეს მძიმე სამსახური რომ ქოსაისძეებს შეესრულებინათ, ანტონის სიტყვით: „...ამათ გლებთა ორთავეს სწორად მივსცენით მიწანი მონასტრისაგან სხალტბას, სახელდებით: ბოტკოს და დიდველს დღისა ათისაი და წყაროსა სათავესა ორისა დღისაი და ვენაჯი, რომელ საკრებულოი იღვა სხალტბას“⁶.

ანტონ მწიგნობართუხუცესმა, მას შემდეგ, რაც ქოსაისძეებს ბოტკოს და დიდველს ათი დღის მიწა, ხოლო წყაროს სათავესთან კიდევ ორი დღისა და ვენახი სწორად მისცა, ჩემი აზრით, ისინი სრულფუძიანებად აქცია. მანამდე ერთ ფუძეზე ორ კომლად მჭდარი ქოსაისძენი, ანტონის მიერ ამ მიწების მიცემის შემდეგ, უთუოდ *სრული ფუძის მქონებელნი შეიქნენ*, იმდენჯერაა აღნიშნულ დოკუმენტში მათი აღრინდელი არასრულფუძიანობა ხაზგასმული. „სწორად“, ანუ თანაბრად იმიტომ უვსებს მათ მიწებს ანტონი, რომ ამით ის ქმნის თანაბარი ეკონომიკური შეძლების გლებურ კომლებს, თანაბარი ვალდებულებით მონასტრის წინაშე. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ აღრინდელი ნაქონებიც მათ თანაბრად ჰქონდათ ერთმანეთში გაყოფილი.

ამ საბუთზე დაყრდნობით, ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ ფუძე თორმეტ დღიურ მიწას და ვენახს უდრიდა, რადგან ანტონმა სწორედ ამდენი მიწით უზრუნველყო ქოსაისძეები⁷. მაგრამ ჩემთვის ნათელი აღარაა მისი დასკვნა, რომ, აქედან გამომდინარე, თითო კომლს ექვსი დღიური მიწა და ვენახი ერგებოდა. ხომ არ ფიქრობდა მეცნიერი, რომ ანტონის ამ ღონისძიებით შეიქნენ ქოსაისძეები სწორედ ფუძედ ერთი და კომლად ორი? თუ ასე ფიქრობდა, სწორი არ იყო. ქოსაისძეები, საეკვო არაა, რომ უკვე მანამდე, როგორც სასეფო გლებები, იყვნენ „ფუძედ ერთი და კვამლად ორი“ და არა ანტონის მიერ თორმეტი დღიური მიწისა და ვენახის მიღების შემდეგ. ამის შესახებ ხომ პირდაპირ ამბობს ის: „მის წყაროსა სათავესა იყო კუამლი ორი სასეფოი... და ფუძედ ერთი“, რომელიც წყალობად ითხოვა (აბა მეფე ხომ არ გაყიდდა). საერთოდ კი, ივ. ჯავახიშვილის აზრი, რომ ფუძე ამ დოკუმენტის თანახ-

მად თორმეტ დღიურ მიწას და ვენახს უდრის, სწორია. ამაში ეთანხმება მას მ. ლორთქიფანიძეც⁸. ბოლო დროს ეს შეხედულება საგლახო ფუძის ოდენობაზე დამატებითი საბუთიანობით მართებულად მიიჩნია, აგრეთვე, დ. მეგრელაძემ. ავტორის აზრით: რადგან ქოსაისძეები, „სახელით აფხაზთანი“, ე.ი. დასავლეთ საქართველოდან იყვნენ, ახალმოსულები ჩანან, ამის გამო მათ ჭერ კიდევ არ ჰქონდათ სამემკვიდრეო მიწა, ფუძე. მათ ჰქონდათ მხოლოდ ორი დღის მიწა „წყლისა მის სათავესა ზედა“, სადაც ეს ორი კომლი „იჭდა“. ამიტომ ანტონ ჰყონდიდელმა ამ ორ დღიურს დაუმატა კიდევ ათი დღის და „საკრებულოს“ ფონდიდან ვენახიც. შექმნილი მიწის ერთეული, მისი აზრით, მეტ-ნაკლებად უკვე ფუძე უნდა ყოფილიყო, ე.ი. თორმეტი დღიური და ვენახი⁹.

როგორც ჩანს, მკვლევარს ეს აზრი იმიტომ შეეჭმნა, რომ ანტონისგან მიცემული თორმეტი დღიური მიწიდან ორი დღიური მიწა და ვენახი სწორედ იმ წყაროს სათავესთან იყო მდებარე, სადაც ეს გლეხები ისხდნენ ადრიდანვე. ამდენად, ანტონის დონისძიებამდე, მათ მხოლოდ ეს ორი დღიური მიწა ჰქონიათ. მაგრამ წარმოუდგენელია, რომ ქოსაისძეების ორ გლეხურ კომლს სულ ორი დღიური მიწა ექირა (ამით იარსებებდნენ ან თავიანთ სასეფო ვალდებულებას მოიხდიდნენ?) და ამის შესაბამისად თითოეული კომლი ერთ დღიურ მიწაზე მეურნეობდა. ამის დაშვებით გამოვა, რომ ფუძე, რომელზედაც ეს გლეხები ორ კომლად გაყოფილი ისხდნენ, ორი დღიური მიწა ყოფილა, რაც, ცხადია, გამორიცხულია. ამასთან, თუ ეს ორი დღიური მიწა ამ გლეხებს მანამდეც ჰქონდათ, ანტონი ვერ იტყოდა, რომ ათ დღიურ მიწასთან ერთად დამატებით მათ ეს ორი დღიურიც „მისცა“. ამდენად, ქოსაისძეებმა ეს ორი დღიური მიწა და ვენახი მათი მიწების ახლო ბოტკოსა და დიდველს არსებულ ათ დღიურ მიწასთან ერთად დამატებით მიიღეს, რითაც მათ შეუუესეს სრული ფუძისათვის განკუთვნილი ნორმა. უეჭველია, საბუთში ამ მიწების ქოსაისძეებისათვის ახლად მიცემაზეა ლაპარაკი. ანტონმა მათ ძველი მიწები კი არ გაუნაწილა თანაბრად, არამედ ახალი მისცა „სწორად“. ამის გათვალისწინე-

ბით, მათ ძველი მიწებიც თანაბრად ჰქონიათ ერთმანეთში გაყოფილი. ეს დამატებითი მიწები მონასტრისაა. რადგან ქოსაისძეებისათვის მათი მიცემის თაოსანი ვაზირი ანტონია, მან დამატებითი მიწები მონასტრისაგან ხომ არ იყიდა და ამით ეს გლეხები სრულფუძიანებად აქცია? თუ მღვიმელნი დაითანხმა მისგან შეწირული გლეხებისათვის მონასტრის სამიწო ფონდიდან დამატებითი მიწების მიცემაზე? მღვიმელთა დაწერილში ეს ისეა ნათქვამი („ესე მიწანი, რომელნი თუთ საუფლოთა კელითა მისითა სწერიან, და ვენაკი ჰქონდეს მათ გლეხთა“), რომ დასმულ კითხვებზე ძნელია გარკვეული პასუხის გაცემა.

ქოსაისძეები რომ მღვიმის მონასტრის ყოფილიყვნენ, თამარის ვაზირი მათ იყიდა და მერე ისევ მონასტერს, ვითარცა ნასყიდს, შეწირავდა. მაგრამ რადგან მას ეს გლეხები მეფემ უბოძა, ანტონმა არა „ნასყიდი“, არამედ მისგან „მოგებული“ (მღვიმელ მამათა განმარტებით) შეწირა მონასტერს.

თამარის მწიგნობართუხუცესის სურვილი და მიზანი გასაგებია. მას უნდა მონასტერს არა მარტო წყალი გაუყვანოს, არამედ სათანადოდ განსწავლული გლეხებიც „მიუყენოს მკაზმავად“ (ასე ეთქვათ, მადლს მარილიც მოაყაროს). უფრო მეტიც. ქოსაისძეებს რომ თავისი სამსახურის ეკონომიკური შეძლების თავი ჰქონებოდათ, ჰყონდიდელმა მთავარეპისკოპოსმა და მწიგნობართუხუცესმა არც მათი სრულფუძიანად ქცევისათვის დაიშურა მცდელობა. „სწორად“, ანუ თანაბრად ამ გლეხებს იმიტომ აძლევს მიწებს, რომ ამით ის ქმნის მონასტრის კუთვნილ თანაბარმიწიან გლეხურ კომლექსს. იმიტომ მათი ვალდებულებაც მონასტრის წინაშე – შრომითი ბეგარა – ერთნაირია: ორივე, ამჯერად უკვე სრულფუძიანი კომლიდან თითო ქუქენკის გამოყვანა [ქართულად: „მეწყაროე“ (საბუთის ენაზე)] ევალებათ, რომ „ჰკაზმვიდენ მას წყაროსა“. ანტონმა რომ ქოსაისძეებს „სწორად“ მისცა თორმეტი დღიური მიწა და ვენახი, იმას ნიშნავს, რომ ისინი მანამდეც ორ კომლად იყვნენ გაყოფილი და ვაზირთა უპირველესსაც ისინი ერთად არ შეუყრია, ე.ი. მათ თანაბრად და ცალ-ცალკე მისცა მიწები.

ასე უნდა იქნეს გაგებული მათთვის ამ დამატებითი მიწების „სწორად“ მიცემა.

ამრიგად, მას შემდეგ, რაც ქოსაისძეთა ორივე გლეხურმა კომლმა დამატებით თორმეტი დღიური მიწა და ერთი დღიური ვენახი თანაბრად განაწილებული მიიღო და სრულფუძიანი გახდა, ამ დროს და ამ მხარეში ფუძე დაახლოებით სწორედ თორმეტი დღიური მიწა და ვენახი ყოფილა (ამდენივე მიწა, რომელიც ფუძეს ქმნიდა, როგორც ვთქვით, მათ თანაბარ საკომლოებად ჰქონდათ ერთმანეთში გაყოფილი).

ახლა შევხვთ საკითხს, თუ რამდენად მისაღებია მოსაზრება ქოსაისძეების საკუთრივ აფხაზეთიდან („სახელით აფხაზთანი“) ან საერთოდ დასავლეთ საქართველოდან მოსულობის შესახებ. ეს მოსაზრება, როგორც ცნობილია, ს. ჭანაშიას ეკუთვნის და გაზიარებულია სხვების მიერაც.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ქოსაისძეებს ეს სახელი იმის გამო შეერქვათ, რომ ისინი „სასეფო“, ანუ სამეფო გლეხები იყვნენ, და ეს კონკრეტული მინიშნებითი სახელი მათი დასავლეთიდან მოსულობაზე კი არ მიუთითებს, არამედ ამ გლეხების სამეფო სახლის კუთვნილებაზე. ხოლო სამეფო სახლის მეთაურებს ქართლში მოკლედ „აფხაზთა მეფეებად“ იხსენიებდნენ. მაგალითად, კახა თორელი რკონის ღმრთისმშობლისადმი დაწერილში ჭერ კიდევ გაერთიანებული საქართველოს მეფეს, როგორც წესი, მარტივად „აფხაზთა მეფეს“ უწოდებს, რაც შემთხვევითი არაა — ასეთი იყო აქაურთა სოციალურ-პოლიტიკური აზროვნება, შემუშავებული რეალურ ისტორიულ საფუძველზე (ამ მეფეთა პოლიტიკური წინაპრები ტრადიციულად ხომ „აფხაზთა მეფეებად“ იწოდებოდნენ, რაც მერე ერთიანი საქართველოს მეფეებზეც გადაიტანეს, რომელთა გრძელი ტიტულატურა სწორედ ასე იწყებოდა. გრამატიკული მომენტიც — „აფხაზთანი“ სწორედ ამასვე მოწმობს. საბუთში მოცემული ამ სახელის მეორე ფორმა — „აფხაზეთნი“ საქმის არსში გაუცნობიერებლადაა შექმნილი. მაგრამ არც ის მიუთითებს ამ გლეხების „აფხაზობაზე“. მით უფრო, რომ ამ გლეხების გვარსახე-

ლის ფუძე სიტყვა იმდენად გამჭვირვალე ქართული შინაარსისაა, რომ საკუთრივ აფხაზეთიდან მოსულობას მაინც გამოირიცხავს).

ამ დოკუმენტში მოხსენიებულ პირთაგან თუ ვინმეს მოსულობაზე შეიძლება ლაპარაკი, ეს „გარეთმოსული“ ქაჩაბურაისძეა, პატარა, „მეორე შაბათე“ მკვიდრი გლეხისგან განსხვავებით. „გარეთმოსული“, ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, მონასტრის მფარველობაში (ყმობაში) საკუთარი ნებით მოსულზე მიგვანიშნებს. ს. ჭანაშია ფიქრობდა, რომ „გარეთმოსული“ ქაჩაბურაისძე აფხაზეთიდან უნდა ყოფილიყო მოსული, რაშიც მისი გვარის ფორმაც გვარწმუნებსო — აქ აფხაზური დაბოლოება ორმაგი ქართული სუფიქსაციით არის წარმოდგენილი — ბა+ურ+ძე¹⁰. შესაძლებელია, რომ ეს ასეც იყოს, მაგრამ არც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთიდან მისი მოსულობა გამოირიცხება —ურ გვარის მაწარმოებელი სუფიქსის გათვალისწინებით.

შემთხვევითი არაა, რომ თამარ მეფე, როგორც სახელმწიფოებრივ პრაქტიკაში იყო მიღებული, ქოსაისძეებს მხოლოდ „სასეფო გლეხებს“ უწოდებს, ვაზირი ანტონი კი სასეფოს გვერდით იმავე კუთვნილებითი შინაარსის გამომხატველ მეორე სახელსაც ხმარობს, ხოლო გვარსახელით მათ არ იხსენიებს.

ქოსაისძეები (გიორგი და იაბერი) ერთ ფუძეზე ორ კომლად მჭლომი მეორე თუ მესამე თაობაა. ისინი ძმები თუ არა, ბიძაშვილები მაინც არიან და დიდი ხნის გაყრილები არ ჩანან, რადგან ფუძე ჭერ კიდევ საერთო აქვთ („ფუძედ ერთი და კომლად ორი“ არიან). ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ისინი მკვიდრი სასეფო გლეხები არიან, რაც მათი დასავლეთ საქართველოდან მოსულობას, უკანასკნელი ორი-სამი თაობის სიგრძეზე მაინც, ამ თვალსაზრისითაც არ ადასტურებს. ამიტომ რა აზრი უნდა ჰქონოდა ამ გლეხების სახელით, გვართ და კუთვნილების აღნიშვნის შემდეგ მათი სადაურობის მითითებასაც, როცა პირადად თითოეული მათგანი აფხაზეთიდან მოსული არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ თუ იმთავითვე ორ დამოუკიდებელ კომლად მოიყვანეს და ერთ საერთო ფუძეზე დასვეს? არაბუნებრივი იქნებოდა ამის დაშვება.

ამიტომ „აფხაზთანი“ სასეფოს შინაარსით ქოსაისძეებს არაოფიციალურად შერქმევიათ გარემომცველ მიწებზე მოსახლე შიომღვიმის მფლობელობაში ერთიანად მყოფ გლეხებისგან გამოსარჩევად. აღსანიშნავია, რომ თვითონ მემღვიმე მამანი თავიანთ დაწერილში მათ ამ სახელით არ იხსენიებენ.

ამრიგად, ჩვენი დაკვირვებით, ანტონის ზემოხსენებული დონისძიების შედეგად ქოსაისძეები სრული ფუძის მქონენი შეიქნენ. „ფუძე“, როგორც ცნობილია, საგადასახადო, ფისკალური ერთეული იყო, რამდენადაც გლეხის ნორმალური სამეურნეო საქმიანობის ძირითად ობიექტს წარმოადგენდა ძველთაგანვე. ამიტომ აღრე, სასეფო გლეხებად ყოფნისას, მიუხედავად იმისა, რომ ქოსაისძეები ცალკე კომლებად ცხოვრობდნენ, მათი სამეფო ვალდებულებები საერთო ფუძეზე იქნებოდა დადებული („კომლი“, ჩვენს მაგალითზე, საოჯახო ერთეული ჩანს დამოუკიდებელი მეურნეობით, მაგრამ, საფიქრებელია, არაა ავტონომიური ფისკალური ერთეული).

როგორც აღვნიშნეთ, ქოსაისძეების ორივე გლეხურ კომლს ერთნაირი, მაგრამ ცალ-ცალკე და თანაბარი ოდენობის სამსახური დაეკისრა მღვიმის წინაშე. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ ქოსაისძეთა კომლები ახალი პატრონის წინაშე დამოუკიდებელ ეკონომიკურ ერთეულებად ქცეულან, რაც თითოეულის სწორედ სრულფუძიანობაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ თუ წინა წინადადებაში ანტონი ამბობს, რომ მეფემ სიგელით შემიწყალა და მიბოძა გიორგი და იაბერი, რომლებიც ორ კომლად ერთ ფუძეზე ცხოვრობდნენო, ამ გლეხების მის ხელში გადასვლისა და მღვიმის წინაშე მათთვის სამსახურის გაჩენის შემდეგ, „კომლების“ ნაცვლად მათ უკვე „სახლებად“ მოიხსენიებს. შემთხვევითია თუ არა ეს? მაგალითად, გ. ძიძიგურის აზრით, გარკვეულწილად უჩვეულოა ის ფაქტი, რომ აღნიშნულ სიგელში „კვამლი“ და „სახლი“ სინონიმებად იხმარება. რადგან მკვლევარი „სახლისა და „კვამლის“ იდენტურობას სამართლიანად გამორიცხავს, თამარ მეფის სიგელში „კვამლის“ „სახლით“ შენაცვლებას იმ მიზეზით ხსნის, რომ „სახლი“ აქ გამოყ-

ენებელი უნდა იყოს თავისი ვიწრო, კერძოდ, დამოუკიდებელი საოჯახო ერთეულისა და, შესაბამისად, საცხოვრებელი ნაგებობის მნიშვნელობით¹¹.

ჩვენ სხვაგვარად ვფიქრობთ. თითქოს შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ „სახლებად“ ქოსაისძეთა „კვამლებს“ ანტონი მას შემდეგ იხსენიებს, რაც ისინი სრულფუძიანები შეიქნენ (მართალია, საბუთში ამის მერეა მათთვის დამატებითი მიწების შესახებ ლაპარაკი, მაგრამ, როცა შემწირველი მათ სამსახურს განსაზღვრავს მღვიმის წინაშე, ეს უკვე იგულისხმება). თუ ასეა, „სახლი“, როგორც ნათესაური და სამეურნეო-ეკონომიკური ერთეული, ამ დროისათვის სრულ ფუძეს ემყარება (მოგვიანებით ვითარება იცვლება). VII ს-ის ცნობილ არაბულ „დაცვის სიგელში“ ხომ „სახლზეა“, როგორც საგადასახადო ერთეულზე მითითება. საარაბო გადასახადის გადამხდელ ძირითად მოსახლეობას, რა თქმა უნდა, ქართლის სამეფოს მიწათმოქმედი საზოგადოება შეადგენდა, რომელიც ამ ცნობის თანახმად სწორედ „სახლებად“ ცხოვრობდა.

„ფუძისა“ და „სახლის“ დანაწილების პროცესი სასოფლიო თემების რღვევის შედეგად განვითარდა. ამ პროცესს არაბთა ბატონობის პირობებში ხელოვნურად აფერხებდნენ დამპყრობლები: რადგან საარაბო ხარკი „სახლს“ ეკისრებოდა, „სახლების“ დანაწილება მოსახლეობისათვის არახელსაყრელი იყო. რადგან ეს ქართველების ინტერესებში არ შედიოდა, არაბები, გადასახადების გადიდების მიზნით, ამის წინააღმდეგ იმ პერიოდში არ წასულან.

თემში „მდაბიურები“ „სახლებად“ არიან გაერთიანებული, რაც, თავის მხრივ, სრულფუძიანობას ემყარება. „სახლი“ და „ფუძე“ საგადასახადო ერთეულები არიან და ამიტომ თემი ხელს უშლის მეურნეობის განვითარების ნიადაგზე „ფუძის“ დანაწილებას და შესაბამისად „სახლის“ „კომლებად“ დაყოფას. ე.ი. სასოფლო თემებში სრულ ფუძეზე მჭდარი მეთემეები „სახლებად“ არიან გაერთიანებული (რაც დიდი ოჯახების ნიშანია).

რა თქმა უნდა, ეს არ გამორიცხავს „სახლებიდან“, როგორც საცხოვრებელი ნაგებობებიდან, მცირე, ანუ ინდივიდუალური ოჯახების ცალკე გასვლას. მაგრამ ეს კომლები ორგანიზაციულად და

ეკონომიკურად „სახლებს“ ჯერ კიდევ არ გამოეყოფიან და ერთ საერთო ფუძეზე მეურნეობენ. IX საუკუნიდან სასოფლო თემების დაშლის პროცესი თანდათან და შეუფერხებლად განვითარდა: „სახლი“ „კომლებად“ დანაწილდა, „ფუძე“ – „საკომლოებად“; ამის შესაბამისად, „მდაბიურის“ ნაცვლად „გლები“ მივიღეთ – ინდივიდუალურად თუ კომლობრივ შესული პატრონის მორჩილებაში. შემდეგ, სრულფუძიანობის შემთხვევაში, შეიძლება, გლებური კომლებიც იწოდებოდნენ „სახლებად“, მაგრამ, ცხადია, ეს „თემურობის“ აღდგენა აღარ იქნება, რაც განხილული დოკუმენტის მაგალითზეც ჩანს.

1 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 100.

2 იქვე.

3 იქვე, გვ. 101.

4 იქვე.

5 იქვე, გვ. 102.

6 იქვე, გვ. 103.

7 ივ. ჭავჭავაძის შვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, თბ., 1907, გვ. 17.

8 მ. ლორთქიფანიძე, გლებობის ეკონომიური მდგომარეობა (VI ს.-XIII ს. დამდგამდე), ნაწ. I. გლებობის ეკონომიური მდგომარეობა, იხ. დ. მეგრელაძე, მ. ლორთქიფანიძე, გ. აკოფაშვილი, ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლებობის ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 20.

9 დ. მეგრელაძე, საქართველოს გლებობა XIII-XV სს., თბ., 1991, გვ. 54-55.

10 ს. ჭანაშია, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 479.

11 გ. ძიძიგური, საკუთრებისა და ექსპლოატაციის ფორმები ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1988, გვ. 40.

ქართული ფეოდალური ცენტრალიზებული მონარქიის შემხნა (შეღარების ცდა)

ფეოდალური ქვეყნების გაერთიანების და ერთიანი ცენტრალიზებული შუასაუკუნოვანი მონარქიების შექმნის პროცესი ევროპის მასშტაბით ძირითად ხაზებში საერთო მოვლენებით ხასიათდება. მაგრამ, ამავე დროს, ყველა ქვეყანაში ამ პროცესს თავისებურებანი გააჩნია, რაც კონკრეტულ-ისტორიული პირობებითაა გაპირობებული.

ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი ევროპის ქვეყნებში, როგორც წესი, ფეოდალური ურთიერთობის აღმავალი განვითარების ეტაპზე იწყება. მაგრამ გაერთიანება და ცენტრალიზებული მონარქიის შექმნა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, მაგ., საფრანგეთსა და ინგლისში, ფეოდალიზმის განვითარების უმაღლეს საფეხურზე, ფეოდალიზმის რღვევის ეტაპზე ხორციელდება. უფრო კონკრეტულად, ფეოდალიზმის შიგნით ახალი ძალების, ქალაქების და მოქალაქეთა ძლიერი ფენის ჩამოყალიბება, მათი და მეფის ინტერესების დამთხვევა საერთო ძალით აღწევს ცენტრალიზებული ხელისუფლების განმტკიცებას. ასე ხდება ეს დასავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში, მაგ., საფრანგეთში, სადაც XV ს-ის მეორე ნახევარში ლუდოვიკო XI-ის დროს მიმდინარეობდა ბრძოლა ერთიანი ფრანგული სახელმწიფოს შექმნისათვის ქალაქებთან მჭიდრო კავშირში, XV ს-ის დასასრულისათვის საფრანგეთის გაერთიანება განხორციელდა მეფის მიერ, რომელიც ძირითადად ეყრდნობოდა საშუალო და წვრილ ფეოდალებს და ბიურგერებს. საფრანგეთში დამყარდა ძლიერი ფეოდალური მონარქია, გაერთიანებასთან ერთად იქმნებოდა საერთო ფრანგული სამწერლობო ენა, საერთო ფრანგული კულტურა, საფუძველი ეყრებოდა საერთო ფრანგულ ეროვნულ თვითშეგნებას, ფრანგი ერის ჩამოყალიბებას.

ინგლისში XV ს-ის მეორე ნახევარში ედუარდ იორკელის და შემდეგ რიჩარდ VII თიუდორის დროს ძირითადად სრულდება ბრძოლა გაერთიანებისათვის. ძლიერი სამეფო ცენტრალური ხელისუფლების დამყარება ქალაქებსა და მოქალაქეთა ზედაფენასთან კავშირში ხორციელდება. XIV ს-ის დასასრულსა და XV ს-ის დასაწყისისათვის საფუძველი ეყრება ერთიანი ინგლისელი ერის ჩამოყალიბებას, ერთიანი ინგლისური ენით. ამ ენაზე ითარგმნება ბიბლია, საფუძველი ეყრება ინგლისურ ლიტერატურას, ტერიტორიულ ერთიანობას. საუკუნეთა მანძილზე მიმდინარეობდა ბრძოლა ავსტრიის ერთიანი სახელმწიფოს შექმნისათვის, რაც მეტ-ნაკლებად განხორციელდა ჰაბსბურგების დროს (1282-1918). გასაგები მიზეზების გამო აქ შეიქმნა მრავალეროვანი სახელმწიფო, გერმანული ენით. სხვადასხვა ევროპული ქვეყნების ავსტრიაში ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება მნიშვნელოვანწილად განაპირობა საერთო საგარეო საფრთხის არსებობამ ოსმალთა იმპერიის სახით. ჰაბსბურგთა ხელისუფლება ფეოდალურ ძალებს, აგრეთვე გაძლიერებულ ქალაქებსა და საქალაქო ზედაფენებს ეყრდნობოდა. გერმანია ამ ეტაპზე ვერ გაერთიანდა. ასევე ვერ გაერთიანდა ამ ეტაპზე, როგორც ცნობილია, იტალია. XV ს-ის მეორე ნახევარში გაერთიანდა ესპანეთი, მაგრამ ეს არ იყო იმ ტიპის გაერთიანება, როგორც იყო საფრანგეთი, ინგლისი.

ფეოდალური ურთიერთობის განვითარების აღმავალ ეტაპზე მიმდინარეობდა რუსული ქვეყნების გაერთიანება, მაგრამ, განსხვავებით დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან, ერთიანი რუსული სახელმწიფო ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების აღმავალ ეტაპზევე ჩამოყალიბდა. XV ს-ში შეიქმნა ერთიანი ცენტრალიზებული რუსული სახელმწიფო გაერთიანებული მოსკოვის გარშემო. ეს პროცესი მონღოლთა წინააღმდეგ საბრძოლველად დარაზმვამ დააჩქარა. ფეოდალური შინაომები, რომელიც XV ს-ის მეორე ნახევარში ცენტრალიზაციის მოწინააღმდეგეთა დამარცხებით დამთავრდა, აპირობებდა რუსული (და შემდეგ არა მხოლოდ რუსული) ქვეყნების გაერთიანებას მოსკოვის ირგვლივ და ცენ-

ტრალიზებული სახელმწიფოს შექმნას. ბრძოლას მონღოლთა წინააღმდეგ სათავეში მოსკოვი ედგა. ივანე III-ის, ვასილ III-ის ღონისძიებანი ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის, თვით მონღოლთა დასუსტება, მათში მიმდინარე დაშლის პროცესები, კულიკოვის ბრძოლა 1380 წელს, მონღოლთა საბოლოო დამარცხება 1480 წელს ქმნიდა საფუძველს ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის. რუსეთი მრავალეროვან სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა (ჩუვაშები, მორდვა, მარი, რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ე.წ. თათრები...). ამავე დროს მიმდინარეობდა რუსული (ველიკორუსული) ეროვნების ჩამოყალიბება, მტკიცდება სახელწოდება „როსსია“, ყალიბდება ერთიანი რუსული სალიტერატურო ენა, რუსული კულტურა, რუსული ეროვნული თვითშეგნება. დიდ როლს ამ პროცესში ასრულებდა რუსული მართლმადიდებლური ეკლესია. ევროპის ყველა ქვეყანაში, სადაც ფეოდალიზმის ხანაში იქმნებოდა ცენტრალიზებული სახელმწიფოები, გაერთიანებისათვის ბრძოლას სათავეში ედგა ცენტრი. ასეთი იყო პარიზი, ლონდონი, ვენა, მოსკოვი...

ერთიანი ქართული შუასაუკუნოვანი სახელმწიფოს „საქართველოს“ ჩამოყალიბების ისტორიული პროცესი, მნიშვნელოვან მსგავსებასთან ერთად, რიგ თავისებურებებს ამჟღავნებს ევროპის ქვეყნებში მიმდინარე პროცესებთან შედარებით.

ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნის პრობლემა ქართულ ისტორიოგრაფიაში საქართველოს გაერთიანებასთან ერთად დადგა და თავისი პასუხი საქართველოს ისტორიის ამ მნიშვნელოვან საკითხზე უკვე შუასაუკუნოვანმა ქართულმა ისტორიოგრაფიამ გასცა. შემუშავებულ იქნა საქართველოს პოლიტიკური და ეთნიკურ-კულტურული ერთიანობის კონცეფცია, რომელიც ქართველთა ეროვნულ ისტორიაში „ქართლის ცხოვრებაში“ შევიდა.

ამ საკითხში „ქართლის ცხოვრების“ კონცეფცია ბატონობს შუა საუკუნეებისა და XIX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფი-

აში, რომელსაც ეს პროცესი სამთავროთა შორის ბრძოლამდე და ცალკეულ პირთა ინიციატივამდე დაჰყავდა.

მეცნიერულ საფუძველზე ფეოდალური საქართველოს გაერთიანების პრობლემის შესწავლა, ისევე როგორც საქართველოს ისტორიის მრავალი სხვა საკითხი, ივანე ჯავახიშვილმა დააყენა. მან ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს შექმნა განიხილა არა როგორც ცალმხრივი ისტორიული ფაქტი, არამედ როგორც ხანგრძლივი ისტორიული პროცესის შედეგი. ივანე ჯავახიშვილმა გააფართოვა ამ პროცესის როგორც შინაარსობრივი, ისე ქრონოლოგიური საზღვრები. გაერთიანებისათვის აქტიური ბრძოლის ქრონოლოგიურ საზღვრებად მან IX-X საუკუნეები დასდო. მაგრამ გაერთიანების პროცესს ის VIII საუკუნიდან, საუკუნის ბოლო მონაკვეთიდან, ახალი ქართული სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბების დროიდან იწყებდა. ივანე ჯავახიშვილი ამ პროცესს ზოგადად მთელი საქართველოს მასშტაბით და ცალკეული სამთავროების ფარგლებშიც გარეშე მტრის დასუსტების ფაქტორს უკავშირებდა, რითაც ხაზს უსვამდა ამ მოვლენის პოლიტიკურ არსს. გაერთიანებისათვის ბრძოლაში ივანე ჯავახიშვილმა სომხური სამეფოს შემოსვლაზეც გაამახვილა ყურადღება, რითაც ეს პროცესი ამიერკავკასიის მასშტაბით წარმოადგინა. მან მიაქცია ყურადღება ქართულ წერილობით წყაროებში დაცულ ცნობებს ქართლის (საკუთრივ შიდა ქართლის) მნიშვნელობის შესახებ ამ ბრძოლაში და აღნიშნა, რომ „ქართლი ქვეყნის შუაგული არის და თითოეული მთავრის მომავლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ეს ადგილი იმას შერჩენოდა“. მანვე გაერთიანებისათვის ბრძოლაში დიდაზნაურებიც შემოიყვანა, რითაც მიუთითა ამ პროცესის სოციალურ მხარეზე.

საქართველოს გაერთიანების პროცესში ეკონომიკური ფაქტორის მნიშვნელობაზე სიმონ ჯანაშიამ მიუთითა, ხოლო ნიკო ბერძენიშვილმა ეკონომიკურთან ერთად ამ პროცესის სოციალურ ფაქტორზეც გაამახვილა ყურადღება. შემდგომ უკვე დაისვა საკითხი ამ მოვლენისადმი საზოგადოების სხვა ფენების, სახელდობრ,

მწარმოებელი საზოგადოების დამოკიდებულების, გარეშე მტრების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის აუცილებლობის, ეკლესიის როლის, ქართული ენის, ქართული ეროვნული თვითშეგნების და სხვა საკითხთა შესახებ.

ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების ტენდენცია უძველესი დროიდანვე გასდევს საქართველოს ისტორიას. არახელსაყრელი საგარეო პირობები, შინაგანი დეცენტრალისტური ტენდენციები ხელს უშლიდნენ ქვეყნის ერთიანობას და გაერთიანებული ქვეყანა იშლებოდა, ისევ ერთიანდებოდა...

VIII ს-ის 70-80-იანი წლებიდან, როდესაც იწყება დამპყრობელ არაბთა და ბიზანტიელთა წინააღმდეგ საერთო ფრონტით გაშლილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და იქმნება გარეშე ძალისაგან დამოუკიდებელი დასავლურქართული სახელმწიფო აფხაზთა სამეფო, სამხრეთქართული სახელმწიფო – ქართველთა სამეფო, აღმოსავლურქართული სახელმწიფოები – კახთა, ჰერთა სამეფოები, ამ სახელმწიფოებში ხდება შედარებით წვრილი ერთეულების გაერთიანება. შემდეგ ისინი იწყებენ ბრძოლას საკუთარი სახელმწიფოების საზღვრების გასაფართოებლად (ძირითადად ერთმანეთის ხარჯზე). ამ ბრძოლის საბოლოო შედეგი ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებაა. ამ სამეფოსამთავროთა შექმნით იწყება ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების ხანგრძლივი პროცესი.

დაახლოებით ასეთივე პროცესი მიმდინარეობდა ჩვენ მეზობელ სომხეთში, სადაც შეიქმნა ანისის, ანუ შირაკის სამეფო ბაგრატიუნთა დინასტიით, ვასპურაკანის სამეფო არწრუნთა დინასტიით, სივნიეთის სამთავრო... IX საუკუნის ბოლოდან და X საუკუნის დასაწყისიდან ქართულ სახელმწიფოებს შორის მიმდინარე ბრძოლაში სომხეთის შირაკის სამეფოც აქტიურად ჩაერია, რამაც გააფართოვა ბრძოლის ფარგლები და დღის წესრიგში ამიერკავკასიაში ერთიანი ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნის საკითხი დააყენა. როგორც ცნობილია, სომხეთში შექმნილმა მდგომარეობამ (ბიზანტიელთა მიერ სომხური სახელმწიფოს დამოუკიდებლობის

გაუქმება, შემდეგ თურქ-სელჩუკთა მიერ სომხეთის დაპყრობა) სომხეთის პრობლემის გადაწყვეტას სხვა მიმართულება მისცა.

ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნის ისტორიაში სამი ძირითადი ეტაპი გამოიყოფა. პირველი ეტაპია დამოუკიდებელი ქართული სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბება. დამპყრობთა (ბიზანტია, სახალიფო) შედარებით დასუსტების პირობებში მიმდინარეობს მათი მცდელობით დაქუცმაცებული, შედარებით წვრილი ადმინისტრაციული ერთეულების სახელმწიფოებად გაერთიანება: აფხაზეთი და ეგრისი – დასავლეთ საქართველოში (აფხაზთა სამეფო), კახეთ-კუხეთ გარდაბანი – კახთა საქორეპის-კოპოსოში, შავშეთ-კლარჯეთი, ტაო – ქართველთა საკურაპალატოში (ქართველთა სამეფო), კამბეჩიანი (ჭიზიყი), სუჯეთი, წუჭეთი, შაქი – ჰერეთის სამეფოში. მეორე ეტაპია ქართული ქვეყნების უდიდესი ნაწილის გაერთიანება ერთ სახელმწიფოდ (X ს-ის 70-იანი წლები, XI ს-ის 10-იანი წლები) ერთი მეფის ბაგრატ III-ის გვირგვინის ქვეშ და ერთიანი სახელმწიფოს „საქართველოს“ შექმნა, ხოლო მესამე ეტაპია – ბრძოლა ამ „საქართველოს“ ფარგლებს გარეთ დარჩენილი ქართული ქვეყნების შემოერთების და სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის, რაც ბაგრატ III-დან მოყოლებული, საბოლოოდ დავით აღმაშენებლის ხანაში (1089-1125) სრულდება. დავითის მეფობის ბოლო წლებში იწყება ბრძოლა საქართველოს შემადგენლობაში არაქართული ქვეყნების შემოსაყვანად.

საქართველო ფეოდალური ურთიერთობის აღმავალი განვითარების ეტაპზე გაერთიანდა. საქართველოს გაერთიანების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა იყო. ცალკეული რეგიონების დაწინაურება მეურნეობის სხვადასხვა დარგში დღის წესრიგში გაერთიანების საკითხს აყენებდა.

მაგრამ განვითარების ამ ეტაპზე, ფეოდალური ეკონომიკის განუსაზღვრელი ბატონობის პირობებში, ქვეყნის გაერთიანების და ერთიანი ცენტრალიზებული მონარქიის შექმნის აუცილებელი პირობა დამაჩქარებელი ფაქტორის არსებობა იყო, რომელიც

ძირითადი საზოგადოებრივი ფენების ინტერესების ერთი მიზნისაა, საკენ მიმართვას შეძლებდა. ასეთი ფაქტორის როლში კი ამ დროს საქართველოს საგარეო საშიშროება გამოდიოდა.

საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლა არაბთა და ბიზანტიელთა უღლისაგან განთავისუფლების პარალელურად მიმდინარეობდა. ჯერ კიდევ ბოლომდე გაუერთიანებელ ქვეყანას თურქისელჩუკების წინააღმდეგ მოუხდა ბრძოლა. ამდენად, საგარეო საშიშროების ფაქტორი, ე.ი. უცხოელ დამპყრობთაგან თავდაცვის აუცილებლობა აჩქარებდა გამაერთიანებელი ძალების კონსოლიდაციას.

ფეოდალური საქართველოს გაერთიანებისა და ცენტრალიზებული მონარქიის შექმნის ერთ-ერთი თავისებურება იმაშიც მდგომარეობდა, რომ, თუ გაერთიანებისათვის ბრძოლის საწყისი ეტაპი, დასავლეთ ევროპის ქვეყნების მსგავსად, აქ ფეოდალური ურთიერთობის აღმავალი განვითარების საფეხურს ემთხვევა, ქვეყნის შემდგომი ცენტრალიზაცია და ერთიანი მონარქიის შექმნა ჩვენში ჩქარდება, რაც აპირობებს ქალაქების თავისებურ როლს ამ პროცესში. განსხვავებით დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან, ქალაქები არ წარმოადგენენ მეფის ხელისუფლების დასაყრდენ ძალას.

ფეოდალური საქართველოს გაერთიანების თავისებურებაა აგრეთვე ის გარემოება, რომ განსხვავებით დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან, სადაც გაერთიანება ერთი ცენტრის გარშემო მიმდინარეობდა და გაერთიანებისათვის ბრძოლას პოლიტიკური ცენტრი ხელმძღვანელობდა (პარიზი, ლონდონი, მოსკოვი...), ქართველი ხალხის ბრძოლა დამპყრობთა წინააღმდეგ პერიფერიებში დაიწყო და იქვე ჩაისახა გაერთიანების იდეა. ბრძოლა ცენტრალური რეგიონის, შიდა ქართლისათვის მიმდინარეობდა, ბრძოლა „ქართლსა ზედა“, როგორც წერს ქართველი ისტორიკოსი და მთელი ქვეყნის მასშტაბით. „მეფის“ ხელისუფლება დასავლეთ-სამხრეთ საქართველოს და შიდა ქართლის გაერთიანების შემდეგ იქმნება. ამის შემდეგაა, რომ იქმნება სახელმწიფო „საქართველო“.

დიდ როლს საქართველოს გაერთიანებაში ასრულებდა ქართული ეკლესია. პოლიტიკურად გაერთიანებამდე საქართველო ეკლესიურად გაერთიანებული იყო. ქართული სამეფო-სამთავროები მცხეთის ტახტის იურისდიქციაში შედიოდნენ.

ისევე როგორც ვეროპის ქვეყნებში, ჩვენშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნულ თვითშეგნებას. ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების პროცესს საქართველოს ფეოდალურ-კულტურული გაერთიანების პროცესი და ერთიანი ქართველი ერის საბოლოო ფორმირება ერთვოდა, რისთვისაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართულის, როგორც მწერლობის, სახელმწიფო მმართველობის, წირვა-ლოცვის ენის არსებობას.

როდესაც მომწიფდა ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების პირობები, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ პიროვნებანი, რომელთაც სრულყვეს ეს საქმე. შემუშავდა იოანე მარუშისძის გეგმა, შეპირობებული ბაგრატ ბაგრატიონის გენეალოგიით, რომელსაც მემკვიდრეობით ეკუთვნოდა სამხრეთ-დასავლეთი საქართველო – ქართველთა სამეფო, დასავლეთ საქართველო – აფხაზთა სამეფო, შიდა ქართლითურთ, გეგმა, რომლის რეალური განხორციელება მხოლოდ დავით ტაოელს შეეძლო, და რომელსაც ეახლა კიდევ თავისი გეგმით იოანე მარუშისძე. პიროვნებანი არ ქმნიან ისტორიას, მაგრამ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პიროვნებანი მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ისტორიული პროცესების განვითარებაზე. ასეთ პიროვნებებად მოველინენ თავისი ქვეყანას ამ დროს იოანე მარუშისძე, დავით ტაოელი. სამი ტახტის მემკვიდრე ბაგრატ ბაგრატიონის გამეფებით (975/978) იწყება ახალი ეტაპი საქართველოს ისტორიაში.

ევროპის „ფედერალიზმის კრიზისისა“ და „ჩინის“
თეორიის გიგანტობისათვის

XII-XIII საუკუნეების დასავლეთ ევროპაში საყოველთაოდ ცნობილი უმნიშვნელოვანესი მოვლენები განვითარდა: პირველ რიგში, ვგულისხმობთ, ე.წ. „გლეხთა პირადი დამოკიდებულებისაგან გათავისუფლების პროცესს“,¹ როცა ისინი ღებულობენ პირად თავისუფლებას, საგრძნობ უფლებებს მემკვიდრეობასა და ქორწინებაზე, გარკვეულ გარანტიებს ქონების დაცვაზე, საშუალებებს, მიმართონ სამეფო სასამართლოს და სხვ. XIII საუკუნეში ევროპის ეკონომიკურად დაწინაურებულ რაიონებში გამოსყიდვამ მასობრივი ხასიათი მიიღო. გლეხთა გათავისუფლებამ აამაღლა მათი მდგომარეობა და საერთოდ, საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით, დიდი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები მოიტანა; მიმდინარეობს ბატონყმობის გაუქმება, რაც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში თანდათან მთავრდება კიდევ. გლეხს უკვე თავის ნებაზე შეეძლო მიწის გაყიდვა-შესყიდვა, ნაკვეთებად დაყოფა... გათავისუფლების პროცესმა უზრუნველყო გლეხთა ლტოლვა-გადასვლა ქალაქში, რამაც გაზარდა მუშახელი, დააწინაურა ხელოსნობა-ვაჭრობის საქმე და სხვ. ყოველივემ ქალაქების² განვითარება გამოიწვია, მათი თვითმმართველობაც წარმოშვა და, საბოლოოდ, პოლიტიკურ სფეროში უმნიშვნელოვანესი ცვლილებები განაპირობა. მხედველობაშია წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოების (პარლამენტი, გენერალური შტატები...) წარმოქმნა, რაც ახალი, მნიშვნელოვანი ეტაპია საზოგადოების განვითარების ისტორიაში. XIV-XV საუკუნეების ევროპის პოლიტიკურ რუკაზე საგრძნობ ტერიტორიულ ცვლილებებს თან ახლდა სახელმწიფოს მართვის სხვა ახალი საშუალებების, მმართველობის გაუმჯობესებული ფორმების გაჩენა. პარალელურად, ევროპისათვის ეს არის ასწლიანი ომის, შავი ქირის, სახალხო აჯანყებების, ფეოდალური ანარქიისა და პოლიტიკური კრიზისის ხანი, რაც, მაგალითად, საფრან-

გეტში იწვევს მოსახლეობის შემცირებას, ქალაქების დროებით გა-
ლატაკებას და სხვ. ფაქტია, რომ ეკონომიკური ზრდა ნელდება,
ამით ყველაზე მეტად სოფლის მოსახლეობა ზიანდება. ისინი თავის
გადარჩენას ქალაქში ცდილობენ, მაგრამ გლეხობას იქ მხოლოდ
სიღარიბე, სიდუხჭირე ხვდება, რაც მათ მრავალრიცხოვან მღელ-
ვარებებს იწვევს. გარკვეული პერიოდით ირღვევა ის, რაც ასე
დამახასიათებელია ევროპისათვის – ერთიანობა, ასე დამახასიათე-
ბელი XIII საუკუნის ევროპისათვის, უკვე აღარ არსებობს³. მთავა-
რი ამ საკითხში ისაა, რომ დასავლეთ ევროპის ეს საზოგადოებები,
სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, განვითარების აღმა-
ვალ ხაზს ადგნენ, პოლიტიკური მოწყობა ეპოქის შესაბამისია,
გრძელდება სხვა პროგრესული პროცესებიც (ბატონყმობის
გაუქმება...); ამიტომაც, ეს პერიოდი არ არის კრიზისი პირდაპირი
გაგებით, იგი წარმოადგენს ფეოდალური ურთიერთობების რღვე-
ვის განმაპირობებელ კრიზისს და გზას ახალი საზოგადოებისაკენ.
თორმეტი ცნობილი ევროპელი ისტორიკოსის („ევროპის ისტო-
რია“) დასკვნა ამ საკითხზე ასეთია: „Тем не менее было бы оши-
бкой считать, что весь этот период сводится к разрушению
и упадку: в течение двух веков феодальная раздробленность
постепенно уступает место суверенным государствам, в ко-
торых развивается новый тип правления. Вновь наступит
процветание, успешно развиваются торговля и промыш-
ленность. Церковь, которая была поколеблена Великим рас-
колом 1378 г., обретает единство...“⁴ აქედან გამომდინარე, სა-
გარეო ფაქტორმა დასავლეთის ქვეყნების განვითარების სტაგნაცია
ვერ განაპირობა – მიუხედავად იმისა, რომ საგარეო ვითარება
ანელებს განვითარების ტემპებს, აღნიშნული „აღმავალი ხაზი“
მაინც უზრუნველყოფს პროგრესულ პროცესებს, წოდებრივ-
წარმომადგენლობით ორგანოთა ფუნქციონირებას, საშუალებას
იძლევა ბატონყმური კარჩაკეტილობიდან გამოსვლისათვის, მაგ.,
იმავ საფრანგეთმა ასწლიან ომში გარდატეხის შემდეგ თავისი
პოტენციალი სწრაფად გამოავლინა, სოციალურ-ეკონომიკური
სტრუქტურები აღადგინა და კვლავ განვითარების გზას დაადგა⁵.

ამიტომაც არის, რომ, საქართველოსაგან განსხვავებით, საგარეო ფაქტორი არ გახდა დასავლეთის საზოგადოებების სტაგნაციის მიზეზი – საქართველო ამ პერიოდში ჩამორჩენილი (ძირითადად მომთაბარე) საგარეო ძალის მუდმივი ზემოქმედების ქვეშ იმყოფება, ხოლო ევროპის სახელმწიფოებს, განვითარების თვალსაზრისით, დაახლოებით იმავე დონის ქვეყნებთან ჰქონდათ ურთიერთობოლა თუ ურთიერთმეზობლობა. ევროპის სახელმწიფოები, მისი პოლიტიკური ორგანიზაციები თუ ეთნიკური ერთეულები, ერთი ასაკის, ერთი წონის, ერთნაირი სიძლიერის იყვნენ, ბუნებრივია, მცირე მეტ-ნაკლებობით, ამიტომ ასეთ გლობალურ საკითხში იგი უარყოფით ზეგავლენას ვერ ახდენს და მნიშვნელოვნად ვერაფერს ცვლის. ზოგიერთ არასასურველ მოვლენას დიდი დროებით ფარავს დადებითი იმპულსები, რაც მუდმივად განაპირობებს დასავლეთის საზოგადოებების ურთიერთშევისებასა და განვითარებას. ზოგჯერ გარეშე მტრის გამოჩენა ევროპის სხვადასხვა ქვეყნისათვის კონსოლიდაციის, ნაციონალური სულის გაღვივების, ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბების განმაპირობებელი ფაქტორი ხდება.

XIV-XV საუკუნეებში განვითარებული პროცესების შედეგად დასავლეთი ე.წ. „ფეოდალიზმის საყოველთაო კრიზისისაკენ“ მიდის. მის აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინს იყენებენ. დასავლური ისტორიოგრაფიაში ხმარებაშია „ქრისტიანული სამყაროს კრიზისი,“ რომელიც ჯაკ ლე გოფთან ფიქსირდება⁶. საქართველოსა და დასავლეთში მიმდინარე პროცესებში არსებული განსხვავების გასარკვევად ეს საკითხი მნიშვნელოვანია, ამიტომ XIV-XV საუკუნეების „კრიზისზე“ შეჩერება მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

XIV საუკუნეში თითოეული ქრისტიანული სახელმწიფოს საზღვარი ცვალებადობას განიცდის, თუმცა, ზოგადად, ქრისტიანული სამყაროსათვის, როგორც ერთობლიობისათვის, ამ მხრივ სტაბილიზაცია მყარდება. ქრისტიანული სამყარო, აღნიშნულ პერიოდში, საზღვრების თვალსაზრისით, მაქსიმუმს აღწევს – „შუა საუკუნეების ექსპანსია მთავრდება.“ როცა პროცესი განახლდა

(XIV საუკუნის ბოლო), იგი უკვე განსხვავებულ ხასიათს ატარებდა⁷. ერთი მხრივ, „ქრისტიანული სამყაროს კრიზისი“, საზღვრების ზრდის შეჩერების პარალელურად, ეკონომიკური განვითარების შეფერხებაში, ახალი მიწების ათვისების შეწყვეტასა და სოფლების დაცარიელებაში გამოიხატა. ჩნდება „Wüstungen“⁸, ანუ გაუდაბურებული ადგილი („ნამოსახლარი“), რაც გარკვეულად მსგავსი ჩანს ქართულ ისტორიულ-გეოგრაფიაში მიღებული ტერმინისა - „ვერანა“, „ვერანაები“. სახეზეა მონეტის დევალვაცია, იტალიური ბანკები ბანკროტები ხდებიან, ადგილი აქვს დემოგრაფიულ კლებას, დიდი ტაძრების მშენებლობა აღარ მიმდინარეობს; 1248 წელს ბოვეს ტაძრის სვეტები, რომელიც 48 მეტრზე იყო აღმართული, ჩაინგრა. ეაკ ლე გოფის ფიგურალური გამოთქმით: „გოთური ოცნებები ასე მალლა აღარასოდეს ატყორცნილა“.⁹

ყოველივე ზემოაღნიშნული ფეოდალური ძალაუფლების საფუძვლების დასუსტებასა და მისი სტრუქტურული მსხვრევების პროცესს აჩქარებს. ამიტომ, „ფეოდალიზმის კრიზისს“ მეორე მნიშვნელოვანი მხარეც აქვს - კრიტიკული მოვლენები სხვადასხვა სფეროში არ განაპირობებენ მთელი დასავლური ეკონომიკის დაცემას და მომავალში ხელსაც უწყობენ საზოგადოებრივ წინსვლას: თუ რომელიმე გეოგრაფიულ თუ ეკონომიკურ რეგიონში იგი თავს იჩენდა, მაშინ გვერდით შეიმჩნეოდა ახალი აღმავლობა, რომელიც შემცველად მოდიოდა და მეზობელი რეგიონის ზარალის კომპენსაციას ახდენდა,¹⁰ - აღნიშნავს ეაკ ლე გოფი. თორმეტი ევროპელი ისტორიკოსის „ევროპის ისტორიაში“ კი ვკითხულობთ: ვილაპარაკოთ დაცემაზე, დაღმავლობაზე, ნიშნავს დავემორჩილოთ ნაჩქარევ განსჯას, რადგან თუ ეკონომიკის ერთი დარგი არ ვითარდება, მეორეს შეეძლო გაფურჩქნილიყო. უფრო მეტიც, რაც მიმდინარეობს ერთ რეგიონში, აბსოლუტურად არ არის აუცილებელი ევროპის დანარჩენი ნაწილისათვის.¹¹ ისევ საფრანგეთის მაგალითი: აღსანიშნავია, რომ ეკონომიკურმა მოშლილობამ მთელი ქვეყანა მოიცვა. სამაგიეროდ, სხვა რეგიონებში, მაგალითად, ფლანდრიასა და ბრაბანტში ეკონომიკის გამოცოცხლება. როცა

ფლანდრიაში მაუდის წარმოება დაცემას განიცდის, ბრაბანტში იგი აყვავების გზაზე; როცა შამპანის ბაზრობა კარგავს თავის მნიშვნელობას, ამ ფუნქციას იღებს ენევა და ზოგიერთი გერმანული ქალაქი, განსაკუთრებით, ლაიფციგი. ხმელთაშუაზღვისპირეთის, ბურგუნდიისა და რეინის ვენახები ბორდოს ჩამორჩენის კომპენსაციას ახდენენ; დანიური ზეთი ცვლის ნორმანდიულს და ა.შ.¹² ისევ ზემოაღნიშნული „ევროპის ისტორიიდან“: უფრო მისაღები და სწორი იქნება ვილაპარაკოთ ცვლილებებზე, ვიდრე დაცემაზე, რამდენადაც კრიზისულ სიმპტომებს მუდმივად თან სდევდა ეკონომიკური აღმავლობა. არსებობს მოძრაობაში გარკვეული „რიტმულობა“ წინ და უკან.¹³ როგორც ცნობილია, ასეთი დინამიკა საქართველოში ვერ განვითარდა და XV საუკუნის მეორე ნახევრიდან იგი არც შეიძლება არსებულებოდა.

გაბატონებულ ფეოდალთა სხვადასხვა ფენა მდგომარეობის შესაცვლელად განსხვავებულ გზებს იყენებს, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთი ერგება ახალ პირობებს (მხოლოდ ნიჟიერნი და ძლიერნი ახერხებენ მოგების მიღებას); ვითარების შესამსუბუქებლად ომის საშუალებასაც მიმართეს — ომმა დააჩქარა მოვლენების მსვლელობა და ნანგრევებსა და მკვდართა გვამებზე გადავლით ჩამოყალიბდა ახალი ეკონომიკისა და ახალი საზოგადოების სახით.¹⁴ ძველი ურთიერთობების რღვევისა და ახლის ჩამოყალიბების გზაზე, XIV-XV საუკუნეების „ფეოდალიზმის კრიზისმა“, აღორძინებისა და „ახალი ხანის“ წარმოშობა განაპირობა — ბევრისათვის უფრო ბედნიერი, ვიდრე დამხუთველი ფეოდალური საზოგადოება¹⁵.

რუსული (მაშინ საბჭოთა) ისტორიოგრაფია (ე. კოსმინსკი, მ. ბარგი, ა. ჩისტოზონოვი, ი. ბესმერტინი)¹⁶ უარყოფს „ფეოდალიზმის საერთო კრიზისის“ არსებობას, თუმცა დასახელებული ისტორიკოსები თავად აღნიშნავენ, რომ XIV-XV საუკუნეები ფეოდალიზმის განვითარების „დაღმავალი ფაზაა“; ამ პერიოდს უწოდებენ ფეოდალური წარმოების წესის კრიზისს, წყალგამყოფს მის სხვადასხვა ეტაპებს შორის. თვალში საცემია, რომ ეპოქის დახასიათებისას, ორივე მხარე (დასავლური და რუსული) ძირითადად

ერთსა და იმავე ნიშნებს ასახელებს, მოვლენებსაც ხშირად ერთნაირად აფასებს; მიზეზი კამათისა, როგორც ჩანს, თვითონ ტერმინი „კრიზისის“ სხვადასხვაგვარი გაგება გახდა — იგი არ უნდა იქნეს განხილული პირდაპირი მნიშვნელობით; „ფეოდალიზმის კრიზისში“ იგულისხმება XIV-XV საუკუნეებში ევროპის არა დაქვეითება, დეპრესია-სტაგნაცია, არამედ ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმში გარდამავალი საზოგადოების შიგნით ძველი სტრუქტურების მსხვრევის პროცესი, რაც თანდათანობით მომავალში ხარისხობრივ ცვლილებას განაპირობებს და „ახალ ხანას“ წარმოშობს. მართლაც, თუ XIV-XV საუკუნეები ფეოდალიზმის „დასისა“, ამდენად, იგი "ფეოდალიზმის კრიზისიცაა" (დავის ასეთი მაგალითია ე. გუტნოვასა და რ. ჰილტონის მოსაზრებები).¹⁷

დადმავლობა მხოლოდ გარკვეული პერიოდისათვის არის დამახასიათებელი, იგი შემდეგ აღმავლობის „ციკლით“ იცვლება. აღმავლობისა და დადმავლობის ციკლთა ცვალებადობა არ ნიშნავს წრეზე მოძრაობას, მათი ყოველი ახალი ცვლილება ასუსტებს ფეოდალური სისტემის სიმტკიცეს და საბოლოო ჯამში კაპიტალიზმის გენეზისს უწყობს ხელს.¹⁸ რადგან შედეგი ფეოდალურ ურთიერთობათა რღვევაა, ამდენად, XIV-XV საუკუნეებში ამ კუთხით სწორედ რომ ფეოდალური სისტემის კრიზისია. XIV-XV საუკუნეების ეს „კრიზისი“ (მას „ფეოდალიზმის პირველ კრიზისსაც“ უწოდებენ) ფეოდალიზმის დაღუპვას მოასწავებდა, რომელსაც „გრძელი XVI საუკუნე“ (ფ. ბროდელი) მოჰყვა და კულმინაციას XVII საუკუნეში¹⁹ „ფეოდალიზმის საყოველთაო კრიზისის“ („général crisis“) სახით მიაღწია. ამდენად, დასავლეთი ამგვარად განვითარებული პროცესების შედეგად თავს აღწევს „ჩიხს“ და „ახალი ხანისაკენ“ იკაფავს გზას.

XII-XIII საუკუნეების მიჯნის თამარის საქართველო თავისი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარებით მომზადებულია იმ პროცესებისათვის, რაც დასავლეთ ევროპაში თანდათანობით ვითარდება. ამ პერიოდის ქართულ სახელმწიფოში საზოგადოების სრული ფეოდალიზაცია სახეზეა, ქვეყანა დიდი ფეო-

დალური სენიორიებითაა მოფენილი, სადაც ბატონყმობამ თავისი პროგრესული როლი უკვე შეასრულა. საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარება ეწ. „გლეხთა გათავისუფლების“, ქალაქების როლის დაწინაურებისა და წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიის წარმოქმნის გზით უნდა წასულიყო, რაც მომავალში ბატონყმობისა და ნატურალური მეურნეობის გაუქმებას მოიტანდა. თამარის მეფობის ხანაში ასეთი პოტენციული არსებობს და შესაბამისი კუთხით ამის ცდასაც აქვს ადგილი: ყუთლუ-არსლანის „კარავი“ და მისი პროგრამა წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოს შექმნას ითვალისწინებდა; სამეფო ტახტმა „კარავი“ არ დაუშვა, სამაგიეროდ, „კარავისელთა“ მიმართ კომპრომისზე წავიდა და მათი გარკვეული მოთხოვნილებები დააკმაყოფილა. შედეგიც შესაბამისი აღმოჩნდა: დიდებულთა „გაჟღმწიფების“ ტენდენცია ძლიერდება, სამეფო ტახტის დასაყრდენი ძალები თანდათან სუსტდება, ვაჭრობა არ ვითარდება, ფეოდალური სეპარატიზმის მძლავრობის გამო, ქალაქი ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენი ვერ ხდება, ქალაქების თვითმმართველობაც არ ყალიბდება, იგი ფეოდალებს ეთმობათ, რაც რეაქციაა და ცუდ პერსპექტივას შეიცავს. თამარის დროინდელი პოლიტიკური ბრძოლა და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება ისე შეიძლება განვითარებულიყო, რომ თავიდან აგვეცილებინა XIII-XIV საუკუნეების ურთულესი კრიზისი. როგორც ჩანს, თამარის ძის – ლაშა-გიორგის ბრძოლაც ამისაკენ იყო მიმართული. საგარეო ფაქტორის ზეშეფასებას არ ვახდენთ, მაგრამ მისი პერმანენტულობის გამო იგი ამ მწვავე ვითარების ჩამოყალიბების კატალიზატორად იქცა. ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესები ჯერ კიდევ განვითარების სტადიაში იმყოფებოდა და ამიტომაც დაუმთავრებელი იყო. სწორედ ამ დროს გამწვავდა საგარეო ფაქტორი, რომელმაც რეაქციულ პერსპექტივას მისცა გამოვლენის შესაძლებლობა. ყოველივემ ქართული საზოგადოება „ჩიხის“ მდგომარეობამდე მიიყვანა.

ტერმინი „ჩიხი“ ნ. ბერძენიშვილის შემოღებულია; მის მიერ ჩამოყალიბებულ ზოგიერთ დებულებას, „ჩიხთან“ დაკავშირებით,

დღევანდელი პოზიციებიდან შეიძლება ვერ დავეთანხმოთ, მაგრამ აღნიშნული პერიოდის – XIV-XV საუკუნეების განხილვისას, მიზანშეწონილად გვეჩვენა „ჩიხის“, როგორც ტერმინის, გამოყენება.

ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით, „ჩიხი“ არის „შეუსაბამო ურთიერთობა“, როცა ქვეყანაში „თავადურბატონყმური სისტემა სუფევედა“.²⁰ რა თქმა უნდა, „ჩიხის“ თეორიაში მიუღებელია დასკვნა, რომ XIII საუკუნის დამდეგიდან საქართველოს განვითარება მხოლოდ ფეოდალური ურთიერთობის რღვევისა და ახალი – ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩასახვა-წარმოქმნის გზით შეიძლებოდა წასულიყო (ბუნებრივია, იგი ჯერ კიდევ საკმაოდ ნაადრევია); რადგან ეს არ მოხდა, ნ. ბერძენიშვილის შეხედულებით, **ზრდასრული(?)** ქართული ფეოდალური საზოგადოება დაიჩიხა და განვითარებისათვის საჭირო პირობები მეტისმეტად შეეზღუდა – „XI-XII საუკუნის საქართველო ესაა ბატონყმობის გამარჯვების ხანა, წინაბურჟუაზიული გაერთიანებისათვის ბრძოლის ხანა, რომ XII საუკუნის საქართველო ვერ ამაღლდა წინაბურჟუაზიული გაერთიანების საბოლოო გამარჯვებამდე“.²¹

მეორე მხრივ, „ჩიხი“ მართლაც არის „პროგრესის შეფერხება, ფეოდალური რეაქციის გამარჯვება“²²; „ქვეყნის წინსვლა დაეხუთა ხანმოთველ ბატონყმობას“ და ამ ყავლგასულ ბატონყმურ ურთიერთობაში მყოფ საზოგადოებას გარეშე და შინაური „შუმლი გარს ეხვეოდა“. აქედან გამომდინარე, „ქვეყანა ჩიხშია მოქცეული, მას წინსვლა არ ეტყობა, პროგრესის შემოქმედება, ახლის შენება არსადაა“...²³ „ჩიხი“ დასრულებულ სახეს XV საუკუნეში იღებს – „თითქოს რაღაც დასრულდა საქართველოს ცხოვრებაში, თითქოს რაღაც გაწყდა, ცხოვრების წინსვლა შეფერხდა და წარსული სანატრელი გახდა... ამის მოწმობაა ქვეყნის სახელმწიფო მესაქეთა პოლიტიკური მოღვაწეობაც. „რომანტიკოსები“ არიან XIV-XV საუკუნეთა ყველაზე დიდი პოლიტიკური მოღვაწენი გიორგი ბრწყინვალე და ალექსანდრე I. მათი პოლიტიკური იდეალი „თამარის ხანის“ რესტავრაციაა“...²⁴ ბატონყმობის დაჩიხულობის პირობებში სათავადოთა სისტემა ყალიბდება, რამაც შერყეული ცენტრალი-

ზაცია კიდევ უფრო შეასუსტა. გაუქმების მაგივრად ბატონყმობამ მახინჯი სახე მიიღო – გახანგრძლივდა და სწორედ ესაა ე.წ. "ჩიხი". შემდგომი წინსვლისათვის ქვეყანაში "ბატონყმობის კრიზისი"²⁵ უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ურთულესი საშინაო და საგარეო ვითარების გადაჯაჭვის გამო ქართულ საზოგადოებას ეს არ დასცალდა. "ბატონყმობიდან გამოსავალი არა ჩანს: იქნება ჩიხი", - აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი²⁶; "ჩიხმა" დაშლა განაპირობა – "და ერთიანი საქართველო მწარე მოგონების საგანი გახდა".²⁷ "ჯანსაღსა და მოზარდ საზოგადოებას სარომანტიკოსო და ისიც წარსულისაკენ პირისმისაქცევი რა უნდა ჰქონოდა".²⁸ ბაგრატიონთა სამეფო სახელი ურთულეს ვითარებაში აღმოჩნდა, "ჩიხიდან" გამომდინარე პროცესების შეჩერება მან ვეღარ შეძლო – "დიმიტრი თავდადებული უსასო თავწაგებულია და არა გმირი შემოქმედი, სადუნსუმბატ-უგარსლანების ჟამია, ჯიქურები იღუპებიან..."²⁹ ცენტრი და სამეფო ტახტი თავის ფუნქციას ვეღარ ასრულებს, მეფეს საყრდენი ფენა აღარ ჰყავს, ახალი კი არ ჩანს. შედეგად მივიღეთ „ხალხშემოცლილი და ფუნქცია გამოღებული მეფე";³⁰ „მეფე თითქოს მარტოა, ორიოდ ერთგული შერჩენია."³¹ სწორედ ესაა ე.წ. „უმიწაწყლო მეფის"³² საკითხი, რომელიც ამ დროს განსაკუთრებით მწვავედება, უკვე "თავად მთავრების ამინდია და ასე დარჩება, ვიდრე ქვეყანა „ჩიხშია" მოქცეული".³³ ნ. ბერძენიშვილისეული ფიგურალური გამოთქმით, „ვიდრე ქვეყანა ჩიხშია, გმირი კახაბერი „ორმოშია".³⁴ „ჩიხში" და „ორმოში" მყოფი საზოგადოება ახალს – პროგრესულს ვეღარ შობს, ამიტომაც „ახალი ხანა" არ ჩანს.

საგარეო ფაქტორის ზეგავლენის ძალა ბევრადაა დამოკიდებული საზოგადოების შინაგანი განვითარების თავისებურებაზე. საქართველოში შექმნილმა ვითარებამ მას საშუალება მისცა მთელი ხარისხით გამოევიდინა თავისი ზემოქმედების ძალა. სამეფო ტახტის დასუსტებისა და სახელმწიფო აპარატის მოშლის ფაქტი აშკარაა. მეფემ „ვერ სცვალნის" თავისი ერისთავნი, მისი სოციალური დასაყრდენი ფენა თანდათანობით ქრება, ქალაქი თავის პროგრესულ როლს ვეღარ ასრულებს, შინაგანი ერთიანი ბაზრის

წარმოსაქმნელად საჭირო ეკონომიკური პირობები ვერ იქმნება, ვაჭართა ფენის დაწინაურება არ მოხერხდა (თავისუფალი ვაჭრობით დაინტერესებული ვაჭართა ფენა საფეოდალოების საზღვრების მოშლას და ქალაქების განვითარებას უწყობს ხელს. ამ პერიოდის საფრანგეთის სოფელშიც ძლიერია ნატურალური მეურნეობა, რაც ქვეყნის ცალკეულ ნაწილებს შორის სუსტ კავშირებს განაპირობებს, მაგრამ ქალაქში ფულადი მეურნეობის წინსვლა, ვაჭართა დაწინაურება-გაძლიერება და მეფის ხელისუფლების ქალაქებზე დაყრდნობა, საქართველოსაგან განსხვავებით, ფრანგული საზოგადოების აღმავლობას განაპირობებს). საქართველოში გლეხთა გათავისუფლების ვერ განვითარებამ სენიორების "მეორე გამოცემას" შეუწყო ხელი, რაც სათავადოების სახით ჩამოყალიბდა — სათავადო თავისი სამმართველო აპარატით უფრო მეტად ახერხებს მწარმოებლის უფლებრივ დამოკიდებულებაში შენარჩუნებას.

სახეზეა სოციალური და ეკონომიკური სფეროების რეგრესი — ბატონყმობა გახანგრძლივდა: მეურნეობის კარჩაკეტილობის შედეგად ერთიანი ეკონომიკური კავშირები დაირღვა, ნატურალური მეურნეობის პირობებში ფულად-სასაქონლო ურთიერთობა არ ჩანს, ვერ ვითარდება საფინანსო საქმე, ფინანსები კი, რიშელიეს ტერმინით, „სახელმწიფოს ნერვებს" წარმოადგენს; მიმზიდველობადაკარგული სამეფო ცენტრი წინააღმდეგობას ვლარ უწევს სახელმწიფოებად დაშლის ტენდენციას. ყოველივეს საქართველოს სახელმწიფოს განვითარებაში, სტაგნაცია მოჰყვა, ქვეყნის წინსვლა „ჩიხში" მოექცა, ანუ შეფერხდა და დაღმავალი გზით წარიმართა. "ჩიხი" ე.წ. ბატონყმობის „მეორე გამოცემის" მსგავსი მოვლენაა. XIV—XV საუკუნეების „ჩიხი" თავისი შინაარსით საპირისპირო ხასიათის ვითარებაა XIV—XV საუკუნეების დასავლეთ ევროპის კრიზისთან შედარებით.

"ჩიხი" გახანგრძლივებულ კარჩაკეტილ ბატონყმურ ურთიერთობაში ჩამოყალიბებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარებაა. აკად. ნ. ბერძენიშვილის ლაკონური განსაზღვრით, "ჩიხი" არის ქვეყნის განვითარებაში "საშინაო და საგარეო ურთიერთობათა

ნიადაგზე წარმოქმნილი სტაგნაცია.³⁵ სამეფო ტახტი გამწვავებულ სოციალურ ურთიერთობებს და სხვა პროცესებს კონტროლს ვეღარ უწევს. რადგან ქვეყნის განვითარებაში შეფერხება მოხდა, საბოლოოდ, იგი დაღმავალი ხაზით შეიცვალა. ბატონყმობის გაუქმებისა და გლეხთა გათავისუფლების პროცესის მაგივრად, საქართველოში ბატონყმობა გახანგრძლივდა და დამძიმდა – პროგრესული ძალების დამარცხების პირობებში ნატურალური მეურნეობის ბატონობა იძენს ერთგვარ უძრავ ხასიათს, თანდათან ყალიბდება ვითარება, რასაც ისტორიოგრაფიაში "ხელმეორე დაყმევება" (ე.წ. "ბატონყმობის მეორე გამოცემა") ეწოდა.

დასავლური ისტორიოგრაფია ევროპის ტერიტორიაზე ხელმეორე დაყმევების პროცესის განვითარებას ძირითადად XVI საუკუნით ათარიღებს, როდესაც ელბის აღმოსავლეთით დიდ რეგიონზე (ბალტიიდან შავ ზღვამდე, ბალკანებზე, ნეაპოლის სამეფოში, სიცილიაზე, მოსკოვის სახელმწიფოში, ჩეხეთში, უნგრეთში, პოლონეთსა და ცენტრალურ ევროპაში იმ ხაზამდე, რომელიც გადაჭიმული იყო დაახლოებით ჰამბურგიდან ვენისა და ვენეციისაკენ) „ხელმეორე დაყმევება“ ხდება.³⁶ აღმოსავლეთ ევროპას ნედლეულის მწარმოებლის როლი (პურის ექსპორტი და სხვა...) „დაეწავა“. ასევე მოხდა „ოსტელბის“ (ანუ აღმოსავლეთ ელბისპირა) გერმანიაში, სადაც, განსაკუთრებით გლეხთა ომის შემდეგ, ადგილი აქვს „ბატონყმობის მეორე გამოცემას“.³⁷ საერთოდ, გერმანიასთან დაკავშირებით, საინტერესოდ გვეჩვენება სამეფო ხელისუფლების ევოლუციის საკითხი გერმანიაში შტაუფენების იმპერიული პოლიტიკიდან ტერიტორიული მთავრების პოლიტიკამდე, კერძოდ, ვორმსის კონკორდატიდან (1122წ.) ტახტისათვის ბრძოლამდე (1314 წლამდე);³⁸ საქმე იქამდე მივიდა, რომ სამეფო ტახტის მფლობელობის წესში მემკვიდრეობით გადაცემის პრინციპს თანდათან აძევებს არჩევითობის პრინციპი (იგი იმარჯვებს XIII საუკუნის II ნახევარსა და XIV საუკუნის დასაწყისში, რაც ხელს უწყობს გერმანიის დაქუცმაცებას); ასევე საინტერესოა XIII საუკუნის 50-70-იანი წლების გერმანიის ვითარება, რომელიც საქართველოს "მრავალმეფიანობას" (1298-1318 წწ.) ემსგავსება.³⁹

მიუხედავად ასეთი ვითარებისა, იმავე გერმანიაში ბრძოლა სამეფო ხელისუფლებასა და მთავრებს შორის ეკონომიკური აღმავლობის, ქალაქების სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობის ზრდისა და სხვა მსგავსი მოვლენების ვითარებაში მიმდინარეობს. მართალია, გერმანიის არათანაბარი განვითარების გამო, ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლებას შექმნა ვერ მოხერხდა, მაგრამ, სამაგიეროდ, თვითონ ცალკეულ სამთავროებში მთავართა მმართველობა გაძლიერდა, რაც მათში აბსოლუტიზმის წარმოშობას უწყობს ხელს (მანამდე მთავრები შეზღუდულნი იყვნენ წოდებრივი ორგანო – ლანდტაგით, ხოლო გერმანიის იმპერატორი – რაიხსტაგით). მიუხედავად ერთიანი ძლიერი ცენტრის ვერ შექმნისა და დაქუცმაცებულობისა (საქართველოს მსგავსად), სამთავროებში განვითარების აღმავალი ხაზის გამო, გერმანია საერთო ჯამში ასცდა იმ ანომალიას, რასაც "ჩინი" ვუწოდებთ.

საბოლოოდ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ე.წ. "ხელმეორე დაყმევება" გადაილახა – დასავლეთ ევროპასთან მათმა უშუალო მეზობლობამ და იქედან მომდინარე ძლიერმა იმპულსებმა ეს საზოგადოებები კვლავ აღმავლობის გზაზე დააყენა, იგივე "ოსტელბის" ტერიტორია ხომ ევროპის ერთიანი სისტემის⁴⁰ შემადგენელი ნაწილი იყო, რომლის გარკვეულ რეგიონებში კაპიტალიზმი სულ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს. ამ სისტემაში არსებული ურთიერთკავშირი საბოლოოდ ერთიანი ევროპის განვითარებას განაპირობებს (ზევით უკვე მოვიყვანეთ ამ საკითხთან დაკავშირებული ჟაკ ლე გოფის საინტერესო მოსაზრება). დასავლური საზოგადოებები ახერხებენ ამ პროცესში ყველა ახალი დაღმავლობისა თუ შინაგანი კრიზისის გადალახვას – ეს იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ საზოგადოების შიგნით არსებული სტრუქტურები კანონზომიერად ვითარდება და მას აქედან გამომდინარე საგარეო ფაქტორი ხელს არ უშლის. როცა ეს მომენტები უარყოფითი მხრიდან ერთმანეთს ეხლართება, მაშინ ასეთი საზოგადოება კრიზისიდან აღმავლობის მაგივრად "ჩინში" ექცევა. დასავლეთ ევროპისაგან განსხვავებით, სწორედ ეს მოხდა საქართველოში. ცნო-

ბილია, რომ ძალზე სპეციფიკური იყო იტალიის განვითარება, სადაც, გარკვეული პერიოდიდან, დასავლეთ ევროპის სხვა დაწინაურებულ სახელმწიფოებთან შედარებით, შენელება შეიმჩნევა: თუ XVI-XVII საუკუნეების ქართულ სამეფო-სამთავროებში "დაჩიხულობაა" და, შესაბამისად, პოლიტიკური დაშლილობაც გრძელდება, XVII საუკუნის იტალიაში დაცემა-შეფერხება თავიდან იქნა აცილებული – ყველაფერი პროგრესული თუ ახალი შენარჩუნდა და გადარჩა, მათ შორის წარმოების მანუფაქტურული ორგანიზაცია, გრძელდება მსხვილი ინვესტიციები ვაჭრობაში და ა.შ. ამდენად, XVII საუკუნე იტალიისათვის არ არის წარსულისაკენ მიბრუნება,⁴¹ ანუ "ჩიხის" გარღვევა აქაც მოხერხდა.

საქართველო XV საუკუნის II ნახევრიდან და, განსაკუთრებით, XVI საუკუნიდან მოწყვეტილი აღმოჩნდა მსოფლიო პოლიტიკის ცენტრებსა და უმნიშვნელოვანეს სავაჭრო გზებს: XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში საქართველო იბრძვის და გარკვეულად აღწევს აღმოსავლეთ-დასავლეთსა თუ ლევანტისაკენ მიმავალ სავაჭრო-საქარავნო გზაზე კონტროლს და გარკვეულ მონაკვეთზე ბატონობას; საქართველო მსოფლიო პოლიტიკისა და ეკონომიკის ცენტრშია და მოქმედებს როგორც მისი სრულფუნქციონირების წევრი. ამ დროს მსოფლიო მართლმადიდებლური ცივილიზაციის ერთ-ერთი ცენტრი – ბიზანტია და სავაჭრო გეოგრაფიულ-სოციალური ერთიანობა – ხმელთაშუაზღვისპირეთი საქართველოს მეზობლად და მის ახლოს მდებარეობს. პერმანენტული შემოსევების (მონღოლები, თემურ-ლენგი...) შემდეგ საქართველო თანდათან კარგავს გავლენასა თუ კონტროლს ამ სავაჭრო-სატრანზიტო გზებზე. იგი სულ უფრო ჩამოცილებული აღმოჩნდა მსოფლიო პოლიტიკისა და ეკონომიკის ცენტრს: ბიზანტიისა და ტრაპიზონის იმპერიათა დაცემას მაჰმადიანური ოსმალეთის გამეზობლება მოჰყვა; თურქეთი აღმავლობის გზაზე მდგომ დასავლეთ ევროპასა და ლევანტს შორის ჩადგა. ამ დროს მსოფლიო ეკონომიკის ცენტრს ხმელთაშუაზღვისპირეთი წარმოადგენს,⁴² რომლისგანაც საქართველო მოწყვეტილია, მით უმეტეს, როცა თურქებმა შავი

ზღვა „ოსმალეთის ტბად“ აქციეს; სამხრეთ-აღმოსავლეთით შავ-ბატკნიან და თეთრბატკნიან თურქმანთა ტომები ბატონდებიან. საქართველო თავის საერთაშორისო როლს ვეღარ ასრულებს – შავი ზღვის დაკარგვამ, ამერიკის აღმოჩენამ და ინდოეთისაკენ აფრიკის შემოვლით საზღვაო გზის გაჩენამ მნიშვნელობა დაუკარგა ევროპიდან ინდოეთისაკენ ამიერკავკასიაზე გამავალ გზას. შესაბამისად, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის დამყარება საქართველოს ხმელთაშუაზღვისპირეთთან უკვე აღარ შეუძლია.

ეკონომიკური ცენტრი და მსოფლიო პოლიტიკის ინტერესები სულ უფრო და უფრო სცილდება საქართველოს საზღვრებს: საქართველოსთან შედარებით ახლოს მდებარე ხმელთაშუაზღვისპირეთის სამყარო დროთა განმავლობაში თავის როლს კარგავს – „Упадок Средиземноморья – это ни что иное, как превращение европейской экономики из Средиземноморской в Атлантическую.“⁴³ თავიდან ატლანტიკის ოკეანისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის სამყარო თანაარსებობდნენ, ხან როგორც მოკავშირეები და ხანაც მტრები. 1580 წელს ფილიპე II თავისი საგარეო პოლიტიკის პერეორიენტაცია ატლანტიკის ოკეანეზე მოახდინა, რასაც XVII საუკუნეში ხმელთაშუაზღვისპირეთის როლის დაცემა მოჰყვა. ასეთი ტეხილის პერიოდია, ფ. ბროდელის ტერმინით, „გრძელი XVI საუკუნე“: „XVI век – это последнее великое столетие Средиземноморья как центра европейской цивилизации, это столетие интенсивного процветания“.⁴⁴ ცენტრის ოკეანეზე გადანაცვლებამ იგი კიდევ უფრო დააცილა საქართველოს – ქრიატიანული ქვეყანა მუსლიმურ გარემოცვაში აღმოჩნდა; ინგლისის სავაჭრო კომპანიის აგენტი და დიპლომატი ჯერომ გორსეი ხაზს უსვამს, ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, საქართველოს საერთაშორისო გართულებებს: თურქები დაპყრობით ემუქრებოდნენ დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოს მისი ადგილმდებარეობის მიზეზით; იქ მცხოვრები ქრისტიანები ყოველი მხრიდან შემორტყმული იყვნენ მაჰმადიანური და წარმართული ქვეყნებით.⁴⁵ პარალელურად, კავკასიის მთიანეთის ხალხებში სულ უფრო იკიდებს ფეხს ისლამი. ამან საქართველოს ჩრდილოეთიდან

მთაც დაუპირისპირა. საბოლოოდ, აღმოსავლეთში საქართველო დარჩა ერთ პატარა კუნძულად დიდ მაჰმადიანურ ზღვაში. ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით, XVI საუკუნიდან "საქართველო ასეთი უმეზობლო... ასე მტრებშემოცვეული არასოდეს ყოფილა".⁴⁶ ამდენად, საქართველო ევროპის ერთიანი სისტემის წევრი ვერ გახდა, შესაბამისად, არც ის იმპულსები იშვა, რომელიც ქვეყანას "ჩიხიდან" გამოიყვანდა.

XIV-XV საუკუნეებში ევროპის შუა საუკუნეები დასასრული-საკენ, ახლო დაღუპვისაკენ მიეჭანება; მიზეზი მისი შინაგანი კრიზისი, ამ საზოგადოების სულიერი პოტენციალის ამოწურვაა. ამ "კრიზისის" საფუძველზე მოდის "ახალი ხანა", რომელიც საქართველოში არ ჩანს და იგი არც შეიძლება გაჩენილიყო. მართალია, ეს პერიოდი დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეებისათვის "შემოდგომის" ხანას წარმოადგენს, მაგრამ, ახლისაკენ გზის არსებობის გამო, უკვე XV საუკუნეშივე წინსვლის გენიალური გამოვლინებანი სახეზეა (აღრეული რენესანსი...), საქართველო კი ყოველივე ამის მიღმა აღმოჩნდა. ი. ჰაიზინგა XV საუკუნეს საფრანგეთის ისტორიაში "ზურგუნდიის საუკუნეს" უწოდებს და მას შუა საუკუნეების მზის ჩასვლად მიიჩნევს. ი. ჰაიზინგას დასკვნა ამ პერიოდზე ერთ წინადადებაში ასე ყალიბდება: „Конец средних веков – это тупик“⁴⁷, ანუ იგი ჩიხია ფეოდალიზმისათვის. საქართველოსთვისაც XIV-XV საუკუნეები "ჩიხია", ოღონდ ეს "ჩიხი", ევროპის "ფეოდალიზმის კრიზისთან" შედარებით, სულ სხვა ხასიათს ატარებს. მართალია, XIV-XV საუკუნეები "კრიზისად," შუა საუკუნეების დასასრულად მიიჩნევა, მაგრამ ეს დასკვნა კეთდება რენესანსის ეპოქასა და "ახალ ხანასთან" მიმართებაში, რომელსაც სწორედ ეს "კრიზისი" განაპირობებს. ამიტომაცაა ეს ეპოქა შუა საუკუნეების "დაისი". მეორე კუთხით, ამ პერიოდის კულტურა არის იმ ძალისა და გენიალურობის ნიშნის მატარებელი, რომელმაც ღრმა და მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია დასავლეთის მომავალ ისტორიას.

ამდენად, XIV-XV საუკუნეების "ქრისტიანული სამყაროს კრიზისი" (თუ "ფეოდალიზმის კრიზისი") თანდათან ანგრევს ევროპის

ქველ ეკონომიკურ, სოციალურ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ სტრუქტურებს, იწვევს აღორძინებასა და "ახალ ხანას". აღმავალი ციკლები, რომლებიც ამ პერიოდში არსებობენ, არა ფეოდალიზმის განვითარებას, არამედ მის "შემოდგომას" აახლოვებენ – მიმდინარეობს კანონზომიერი პროგრესული პროცესი და ამიტომ, მალე კაპიტალიზმშიც ყალიბდება. ამდენად, ასეთმა "კრიზისმა" თვისებრივად ახალი ეტაპისათვის მოამზადა ნიადაგი – ე.წ. "ფეოდალიზმის კრიზისი" (XIV-XV საუკუნეები) "შუა საუკუნეების შემოდგომა" (ვსარგებლობთ ი. ჰაინინგას⁴⁸ ტერმინით), საფუძველია პროგრესისა – "ახალი ხანისა". "ჩიხი" აღნიშნულის საპირისპირო მოვლენაა, ამიტომ საქართველო ასცდა განვითარების იმ გზას, რასაც დასავლეთი დაადგა. XV საუკუნე საქართველოსათვის "დაბურული ტყეა თუ უდაბნო,"⁴⁹ საიდანაც დასაღწევი გზა ქართულმა სახელმწიფოებრიობამ ვერ იპოვა. ევროპისათვის გაერთიანების ტენდენციისა და ეროვნულ სახელმწიფოთა ჩამოყალიბების ეპოქაში, საქართველო, პირიქით, სამეფო-სამთავროებად დაიშალა.

"ჩიხიდან" საქართველოს გამოსავალი მხოლოდ ხანგრძლივ მშვიდობიანობაში არსებობდა, რისი საშუალებაც ქვეყანას, მუდმივი შემოსევებისა და აღმოსავლური იმპერიების მოწოლის შედეგად, არ მიეცა. ამან ქართული სახელმწიფო კანონზომიერი განვითარების გზას ააცდინა. აღმავალი ხაზი დაღმავალმა ხაზმა შეცვალა. მოხდა რეაქციული პერსპექტივების გამოვლენა, რამაც "ჩიხიდან" ერთადერთ "გზად", XV საუკუნის ბოლოს, ერთიანი სამეფოს დაშლა აქცია. თუ XIV-XV საუკუნეების საქართველოში "ჩიხია", დასავლეთ ევროპაში, ამავე პერიოდში, ე.წ. "ფეოდალიზმის კრიზისია", რასაც მოჰყვა ე.წ. "ახალი ხანა", რენესანსული აზროვნება, რეფორმაცია, ხოლო პოლიტიკურ სფეროში – აბსოლუტური მონარქია; ეს უკანასკნელი ფეოდალიზმის შლისა და კაპიტალისტურ ურთიერთობათა ზრდის პირობებში იქმნება – ფეოდალთა ფენას თავისი ბატონობის შესანარჩუნებლად კარდინალური ნაბიჯების გადადგმა უზღუდა და ძალაუფლების განმტკიცებას მეფისათვის შეუზღუდავი ხელისუფლების მინიჭების გზით ცდილობს. ყა-

ლიბდება მმართველობის ფორმა, სადაც ყველაფერს აბსოლუტური მონარქის ფრაზა წყვეტს (იგი დოკუმენტის ბოლოს ისმებოდა): "Car tel est notre plaisir" ("ასეთია ჩვენი ნება"); მაგრამ, საპირისპიროდ, სწორედ ამ დროს აქვს ადგილი ფეოდალური საზოგადოებისათვის ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიშან-თვისებების წინააღმდეგ ბრძოლას, რაც, საბოლოოდ, კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჯამარჯვებას განაპირობებს. ზემოაღნიშნულის გამო, საქართველოში ამ პროცესების განვითარებას დღე არ ეწერა. "ჩინი" და საქართველოს სამეფოს დაშლა "ახალი ხანის" დასაწყისს ვერ განაპირობებს, თუმცა ქართულ ისტორიოგრაფიაში არის ცდა, რომ XV საუკუნის მიწურული ქართული სახელმწიფოებრიობისათვის შუა საუკუნეებისა და "ახალი ხანის" მიჯნად იქნეს მიჩნეული.⁵⁰ ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით, ამ პერიოდის საქართველო "ეს არაა დასავლეთ ევროპის შესატყვისი რენესანსი, რაც აღმავალმა საზოგადოებრივმა კლასმა გამოიწვია. სამწუხაროდ, ჩვენში არაერთი ახალი კლასი XVII-XVIII საუკუნეებში საზოგადოებრივ ასპარეზზე ამ ასპარეზის დაუფლების პრეტენზიით არ გამოდიოდა... ფეოდალური ურთიერთობები უცილობლად ბატონობდა და მისი მეტოქე და მესაფლავე ჯერჯერობით არ ჩანდა".⁵¹ ბაგრატიონებს, მათი მდგომარეობის გამო, არ შეეძლოთ განეცხადებინათ და სამოქმედო პროგრამად გაეხადათ ის, რაც საფრანგეთის მეფეს ანრი IV-ს უთქვამს: "სადაც ლაპარაკობენ ესპანურად – მართოს ესპანელმა მეფემ, სადაც გერმანულად – ავსტრიის იმპერატორმა, მაგრამ იქ, სადაც ლაპარაკობენ ფრანგულად – უნდა ვმართო ქე".⁵²

დასასრულს, უცვლელად მოვიყვანთ ზემოხსენებული თორმეტი ისტორიკოსის ერთ-ერთ დასკვნას: „XIV и XV вв. долго считались, и не без основания, мрачным периодом в истории Европы. Тем не менее время кризиса - это и время надежды... Эти два века, в которых кто-то предчувствовал осень, являются сегодня для других началом весны современной Европы".⁵³ მართლაც, ეს იყო ევროპის შუა საუკუნეების შემოდგომა, რასაც თანამედროვე ევროპისათვის გაზაფხული – "ახალი

ხანა" მოჰყვა. XIV-XV საუკუნეების "ჩიხის" გამო, XVI საუკუნიდან ჭართული სახელმწიფოებრიობა წარმოადგენს სტაგნაციაში მყოფ ბატონყმობა — გახანგრძლივებულ სამეფო-სამთავროებად დაშლილ ორგანიზმს. ესაა "გვიანი" შუა საუკუნეები, სადაც ვერ იქმნება პირობები აბსოლუტური მონარქიის შესაქმნელად. საქართველოსა და დასავლეთ ევროპის განვითარების გზები მნიშვნელოვნად აცდა ერთმანეთს. "ჩიხმა" შუა თუნდაც ის სააზროვნო სისტემა, რასაც ჩვენ "პროვინციის მეფეთა" თვითშეგნებას ვუწოდებთ. "ჩიხის" ზემოწარმოდგენილი დახასიათება, ფეიქრობთ, გასაგებს ხდის იმ მიზეზებს, რამაც განაპირობა აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ ხაზგასმული ვითარება: "სწორედ იმ დროს, როდესაც დასავლეთ ევროპაში რენესანსად წოდებული კულტურის მძლავრი აყვავება დაიწყო და შეუჩერებელი წარმატებით მიმდინარეობდა, საქართველოს ყოველგვარი საშუალება მოესპო, რომ ამ ნაყოფიერს შემოქმედების წყაროს გასცნობოდა და თვითონაც ამ მოძრაობის მოზიარე გამხდარიყო".⁵⁴

1. M. Bloch. Rois et serf — un chapitre d'histoire capétienne, Paris. 1920; M. Bloch. Mélanges historiques, t. 1 et t. 2, Paris, 1962.

2. Ф. Бродель. Материальная цивилизация, экономика и капитализм, XV-XVIII вв., т. I. Структуры повседневности: возможное и невозможное, М., 1986, гл. 509...

3. Альдебер Жак, Бендер Иохан, Грума Иржи. Гуарраччино Шипионе и др. История Европы. По Европейской инициативе Фредерика Делуша, М., 1996, гл. 159.

4. იქვე.

5. История Франции в трех томах (редакционная коллегия, ответственный редактор А. З. Манфред), т. 1, М., 1972, гл. 116.

6. J. Le Goff. La civilisation de l'Occident médiéval, Paris, 1977.

7. Ж: Ле Гофф. Цивилизация средневекового Запада. Перевод с французского. Общая редакция Ю. Л. Бессмертного. Послесловие А. Я. Гуревича, М., 1992, гл. 103.

8. Sous la direction de I. Carpentier et F. Lebrun en collaboration avec I. - P. Arignon, I. - I. Becker, D. Borne, É. Carpentier, I. P. Pautreau et A. Branoy. Histoire de l'Europe. Préface de Réne Rémond. Édition mise à jour en 1992, гл. 198.

9. Ж. Ле Гофф, დასახ. ნაშრომი, გვ. 104.
10. იქვე, გვ. 105.
11. Альдебер Жак, დასახ. ნაშრომი, გვ. 160.
12. იქვე.
13. იქვე.
14. Ж. Ле Гофф, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.
15. იქვე.
16. Е. А. Косминский. Были ли XIV и XV вв. временем упадка европейской экономики. "Средние века", вып. 10, 1957, გვ. 349.
17. Е. В. Гутнова. Влияние экономической эволюции на изменения в социальной иерархии в Англии XIV-XV вв., "Средние века", вып. 46, М., 1983.
18. М. Postan. Essays on Medieval Agriculture and General Problems of Medieval Economy, Cambridge, 1973. Fr. Simiand. Recherche anciennes et nouvelles sur le mouvement général de prix du 16-e au 19-e siècles, Paris, 1932.
19. М.А. Барг. Место XVII века в истории Европы (К вопросу о "начале нового времени"). "Вопросы истории", № 1, 1985, გვ. 58.
20. ნ. ბერძენიშვილი, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, VII, თბ., 1974. გვ. 240; მისივე, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, V, თბ., 1971. გვ. 177.
21. ნ. ბერძენიშვილი, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, VII, გვ. 207-208.
22. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, გვ. 283.
23. ნ. ბერძენიშვილი, დავით შერვე, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, V, თბ., 1971. გვ. 284.
24. ნ. ბერძენიშვილი, ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულოთა სამამულო ბრძოლიდან XIII ს. საქართველოში, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, III, თბ., 1966. გვ. 320.
25. ნ. ბერძენიშვილი, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, VII, თბ., 1974. გვ. 188.
26. იქვე.
27. იქვე, გვ. 181.
28. ნ. ბერძენიშვილი, ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულოთა სამამულო ბრძოლიდან XIII ს. საქართველოში, გვ. 321.
29. იქვე.
30. ნ. ბერძენიშვილი, დავით შერვე, გვ. 285.
31. ნ. ბერძენიშვილი, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, IX, თბ., 1979. გვ. 252.

32. ნ. ბერძენიშვილი, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, IX, თბ., 1979., გვ.195.
33. ნ. ბერძენიშვილი, დავით მერვე, გვ.285.
34. იქვე.
35. ნ. ბერძენიშვილი, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, VII, გვ.181.
36. Ф. Бродель. Игры обмена. Материальная цивилизация, экономика и капитализм, XV-XVIII вв., т. 2, М., 1988, გვ. 259...
37. Ю. У. Ивонин. Позднее средневековье или ранняя Новая история? "Вопросы истории", №1, 1987, გვ.76.
38. Б. Тепфер, Э. Энгель. Эволюция королевской власти в Германии (გერმანულ ენაზე, ვაიზარი, 1976, – მის შესახებ იხ., "Средние века", вып. 42, М., 1978).
39. История средних веков, Сочинение Оскара Иегера, СПб., 1894, გვ.382.
40. Ф. Бродель, დასახ. ნაშრომი, გვ. 264.
41. Л. А. Котельникова. "Феодалное возрождение или "старый" феодализм? "Средние века", вып. 52, М., 1989, გვ.8
42. F. Braudel. La Méditerranée et le monde méditerranéen à l' époque de Philippe II, vol. 2, Paris, 1976.
43. А. Д. Ролова. Фернан Бродель и проблемы Средиземноморья в XVI-XVII вв., "Средние века", вып. 52, 1989, გვ.249.
44. იქვე, გვ.250.
45. Джером Горсей. Записки о России XVI - начала XVII, М., 1990, გვ. 105.
46. ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. I, თბ., 1944. გვ.47.
47. Г. М. Тавризян. Позднее средневековье как культурная эпоха и проблема Возрождения в работах Й. Хейзинги. „Историко-философский ежегодник“, 88, М., 1988, გვ. 214
48. Й. Хейзинга. Осень средневековья, М., 1988.
49. ივ. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1967, გვ.12.
50. კ. ანთაძე, მ. კალანდიაძე, კ. მეშველიანი, ისტორიის პერიოდიზაციისათვის, „მაცნე“ №2, 1992. გვ.43.
51. ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში. „საქართველოს ისტორიის საკითხები“, II, თბ., 1965, გვ.47.
52. О. Тьерри. Избранные сочинения, М., 1937, გვ. 207-208.
53. Альдебер Жак, დასახ. ნაშრომი, გვ. 187.
54. ივ. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ.437.

იმუნიტეტი საქართველოში (VI-XIV სს.)

„იმუნიტეტი“ ლათინური სიტყვაა (immunitas) და ნიშნავს რაიმესაგან განთავისუფლებას. იმუნიტეტის ქართული შესატყვისია „თავისუფლება“¹. საბუთს, რომლითაც ფორმდებოდა საიმუნიტეტო პრივილეგია, „თავისუფლობის ბრძანება“ ეწოდებოდა². ის ფაქტი, რომ სიტყვა „თავისუფლება“ თითქოს სიტყვასიტყვითი თარგმანია „იმუნიტეტისა“, იმუნიტეტი კი გვიანრომაულ იმპერიაში უკვე მოქმედებდა (აღნიშნავდა მოსახლეობის ცალკეული ჯგუფისა თუ მიწების სახელმწიფო გადასახადებისა თუ ვალდებულებებისაგან განთავისუფლებას), შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ ჩვენში ეს ტერმინი და ინსტიტუტიც ჯერ კიდევ ძველ სამყაროში და, შესაძლოა, რომის გავლენითაც კი იყოს შემოსული.

XI ს-ში „თავისუფლებისა“ და „განთავისუფლების“ გვერდით იმავე მნიშვნელობით გვხვდება ტერმინი „შეუვალობა“³.

XI ს-ის პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონში „თავისუფლებისა“ და „შეუვალობის“ სინონიმებად იხმარება აგრეთვე „აზნაურება“⁴.

XII ს-ში „თავისუფლობისა“ და „შეუვალობის“ პარალელურად შემოდის სიტყვა „აზადი“. იგი პირველად ჩანს თამარ მეფის 1188 წლის სიგელში გელათის მონასტრისადმი,⁵ მონღოლთა ბატონობის დროიდან კი იმუნიტეტის სინონიმად ვრცელდება „თარხანობაც“. აღნიშნული ტერმინოლოგიური სიჭრელის მიუხედავად, თვით გვიანსაშუალო საუკუნეებშიც კი იმუნიტეტის ქართულ შესატყვისად ძირითადად კვლავ „თავისუფლება“ და „შეუვალობა“ იხმარება.

მედიევისტების აზრით, იმუნიტეტი არის იმ უფლებათა ჯამი, რომლებიც მოიპოვეს ფეოდალებმა გლეხობის ძალით დაყმევების პროცესში და რომლითაც ახორციელებდნენ ისინი თავიანთ უფლებას გლეხობაზე. იმუნიტეტი გულისხმობდა ფეოდალის საგადასახადო, სასამართლო და ადმინისტრაციულ პრივილეგიებს.

იმუნიტეტი იყო მიწის ფეოდალური საკუთრების ატრიბუტი და მისი ზედნაშენი, იგი იყო გარეშე ეკონომიკური იძულების მნიშვნელოვანი იარაღი. მისი მთავარი მიზანი იყო ფეოდალური რენტის მიღების უზრუნველყოფა. რუსი მკვლევრის დ. გრამენიცკის აზრით, იმუნიტეტის ინსტიტუტი ფეოდალური წყობილების ერთ-ერთი ბურჯია. ამ ინსტიტუტის დახმარებით ხორციელდება „გარეშე ეკონომიკური იძულების“ იმ ფაქტორის მოქმედება, რომელმაც ასეთი დიდი და აუცილებელი როლი შეასრულა ფეოდალური ფორმაციის დამყარებაში, ფეოდალური წარმოების წესის დამკვიდრებაში და მშრომელთა ფეოდალური ექსპლოატაციის საქმეში. იმუნიტეტმა გაამაგრა ცალკეული პირებისაგან გამოძვალა კერძო ძალადობისა და უფლების აქტები, ამიტომ ამ ინსტიტუტის შესწავლა მის განვითარებასა და მოქმედებაში წარმოადგენს მნიშვნელოვან ისტორიულ ინტერესს⁶.

იმ საკითხებზე, თუ როდის წარმოიშვა იმუნიტეტი, რა მიზანი ჰქონდა მეფეს, როცა იმუნიტეტს გასცემდა და რა მიზანი ჰქონდა თვით იმუნისტსა და სხვ., აზრთა დიდი სხვადასხვაობა იყო.

XIX ს-ის ცნობილი ფრანგი მეცნიერის ფიუსტელ დე კულანჟის აზრით, იმუნიტეტი წარმოიშვა ფრანკთა დესპოტური სახელმწიფოს მოხელეთაგან თავის დაცვის მიზნით. მისი აზრით, იმუნისტების ტერიტორია მთლიანად იყო დაცული ადგილობრივ მოხელეთა ჩარევისაგან და ისინი პირდაპირ მეფეს ემორჩილებოდნენ. დ. გრამენიცკის აზრით, ფ. დე კულანჟე ცდება. არც ისე იყო საქმე, რომ თითქოს მეფის მოხელეებს სულ არ მიუწვდებოდათ ხელი საიმუნიტეტო ტერიტორიაზე და არც სახელმწიფო ხელისუფლება იყო ისეთი დესპოტური, როგორც ფ. დე კულანჟს მიაჩნდა⁷. აქუნდა აღინიშნოს, რომ ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია რამდენადმე აზვიადებდა იმუნიტეტის როლს იმ მხრივ, რომ თითქოს გაწყვეტილი იყო კავშირი მეფის ხელისუფლებასა და საიმუნიტეტო ტერიტორიას შორის. ამ შეხედულებამ გავლენა მოახდინა ქართულ ისტორიოგრაფიაზეც. ჩვენში არის შეხედულება, რომლის მიხედვით დასავლეთევროპული იმუნიტეტი თითქოს განსაკუთრე-

ბული მოვლენაა და იქაური ფეოდალები განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობდნენ და თითქმის დამოუკიდებელ ხელმწიფეებს წარმოადგენდნენ. ვფიქრობ, ეს შეხედულება მცდარია.

მეორე ფრანგმა მეცნიერმა კრელმა სპეციალური მონოგრაფია უძღვნა ფრანგულ იმუნიტეტს⁸. ის თვლის, რომ იმუნიტეტი გვიანრომაულ იმპერიაშიც უნდა ყოფილიყო. ყველა მეცნიერი არ იზიარებს ამ შეხედულებას, მაგრამ აკად. ე. კოსმინსკის აზრით, იმუნიტეტის ჩანასახები იყო გვიანრომაულ იმპერიაში⁹.

პირველი ძეგლი, რომელშიც მოხსენიებულია ფრანკთა იმუნიტეტი, არის 614 წლის ედიქტი ხლოტარ II-ისა. ამ ედიქტში ნათქვამია, რომ გრაფებმა არ უნდა დაარღვიონ ეკლესიის თუ სხვათა იმუნიტეტი, გაცემული წინამორბედი მეფეების მიერო (ე.ი. ეს არის არაპირდაპირი ცნობა). ჩვენს დრომდე მოღწეული პირველი დოკუმენტები გაცემულია VII ს-ის შუა ხანებში. ამ დოკუმენტის მიხედვით ფრანკთა იმპერიაში ორი სახის იმუნიტეტი ყოფილა. პირველის თანახმად, ფეოდალს გადასცემენ ფისკის მიწებს და იქ გადასახადის აკრეფის უფლებას, აგრეთვე სასამართლო ჯარიმის აკრეფის უფლებას (აქ იგულისხმება რამდენადმე სასამართლო იურისდიქციაც). ასეთი იმუნიტეტის მაგალითად მკვლევრები ასახელებენ 647 წლის მეფე სიგიბერტ II-ის წყალობის წიგნს მონასტრისადმი, რომელიც აგებულ იქნა სამეფო მიწაზე არდენის ტყეში. მონასტერს გადაეცა ტყის ნაკვეთები (სახელმწიფო მიწა) და გადასახადის აკრეფის უფლება.¹⁰

მეორე სახე იმუნიტეტის ბოძებისა (ამასთანავე, უფრო მთავარიც) არის ცალკე პირის თუ კორპორაციისადმი ბოძებული იმუნიტეტი თავიანთ საკუთარ სამფლობელოზე. ამის ყველაზე ადრინდელი საბუთია 635 წლის დიპლომი დაგობერტ I-ისა რესბახის მონასტრისადმი. მთავარი შინაარსი დიპლომისა არის ის, რომ მონასტერი თავისუფლდება ეპისკოპოსის დაქვემდებარებისაგან და ენიჭება აბატის თავისუფლად არჩევის უფლება. დიპლომი იცავს აგრეთვე მონასტრის მამულებს ხელყოფისაგან¹¹.

იმუნიტეტის მთავარი შინაარსი იყო ფეოდალის სამფლობელოში თანამდებობის პირთა შესვლის აკრძალვა სასამართლოს საწარმოებლად და სახელმწიფო გადასახადების ასაკრეფად. ხშირად გრაფები და სხვა მოხელეები აქარბებდნენ ხელისუფლებას და ავიწროებდნენ მონასტრებს, ეკლესიებსა და მათ ხალხს. იმუნიტეტი იცავდა მათ ამ მოხელეებისაგან¹². ფრ. ენგელსის აზრით, იმუნიტეტი „в эпоху непрерывных гражданских войн, грабежей и конфискаций защищал владения церкви от насилия.“¹³

ადრეული და განვითარებული ფეოდალიზმის მანძილზე თითქმის გამუდმებით მიმდინარეობს ბრძოლა პოლიტიკური უფლებებისა და იმუნიტეტისათვის მეფესა და ფეოდალებს შორის. მეფე იძულებულია ცნოს ფეოდალთა მიერ ამ უფლებების მითვისება, რაც გამოიხატა საიმუნიტეტო სიგელების გაცემაში. სწორედ ეს მოწმობს ცენტრალური ხელისუფლების ჩარევას საიმუნიტეტო ურთიერთობებში. ფრანკთა იმპერიაში ეს მოხდა კაროლინგების დროს (განსაკუთრებით კარლოს დიდის დროს), რის გამოც იმუნიტეტმა მიიღო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და გადაიქცა საჯარო-უფლებრივი ხასიათის ნიშნების მატარებელ ინსტიტუტად. თანდათან საიმუნიტეტო სასამართლო გადაიქცა აუცილებელ სავალდებულო ინსტიტუტად, ასეულის (ადმინისტრაციული ერთეული) სასამართლო კომპენტენციით (დაბალი იურისდიქციით), მაგრამ ამავე დროს მიმდინარეობდა მსხვილ ფეოდალთა პოლიტიკური უფლებების ზრდა¹⁴. ფრანკთა იმუნიტეტი მემამულე-იმუნისტს გადასცემდა სასამართლო დარგში დაბალ იურისდიქციას (სამოქალაქო და წვრილი სისხლის საქმეებს, დიდი და მნიშვნელოვანი საქმეები მეფის სასამართლოს ექვემდებარებოდა). იმუნიტეტმა ფართო განვითარებას მიაღწია X-XII საუკუნეებში. შემდეგ, საფრანგეთში ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისდა კვალად, ხდება იმუნიტეტის შეზღუდვა. ზოგიერთ ქვეყანაში კი, მაგალითად, ბატონყმობის მეორე გამოცემის ქვეყნებში, შემცირების მაგივრად იმუნიტეტი გვიანსაშუალო საუკუნეებში ღრმავდება.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გაერცელებული იმუნიტეტები განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან განვითარებისა და სიღრმის მიხედვით.

გერმანული იმუნიტეტის შესახებ საინტერესო გამოკვლევა აქვს პროფ. ნ. კოლესნიცკის. იგი თავის ნაშრომში — „Эволюция территориального устройства в Германии в IX-XII, вв.“¹⁵ ცალკე გამოპყურს ქვეთავს — „Иммунитет и его эволюция.“ მისი აზრით, იმუნიტეტი საერთო საკანონმდებლო აქტით კი არ დგინდებოდა, არამედ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ცალკე გაცემული აქტით. ამიტომ სხვადასხვა პირისადმი გაცემული იმუნიტეტი სხვადასხვა დონისა იყო.

გერმანიაში საიმუნიტეტო სიგელები ყოფილა მხოლოდ საეკლესიო მიწათმფლობელობის მიმართ. საერო ფეოდალების მიმართ, დაწყებული IX ს-დან საერთოდ არაა საიმუნიტეტო სიგელები¹⁶. ნ. კოლესნიცკის აზრით, ეს ფაქტი არ შეიძლება აიხსნას დოკუმენტების დაკარგვით. საერო ფეოდალები ფორმალური იმუნიტეტის გარეშე სარგებლობდნენ იმ პრივილეგიებით, რომლებიც ეკლესიას და მონასტრებს ჰქონდათ მინიჭებული იმუნიტეტით. უფრო მეტიც, მათ ჰქონდათ ისეთი ძალა, რომ ხშირად არღვევდნენ ეკლესიის პრივილეგიებს, რის წინააღმდეგაც იყო მიმართული მეფეთა მიერ გაცემული დიპლომები.

საერო ფეოდალების ისეთი პრივილეგიები, როგორიც ჰქონდა ეკლესიას, ისტორიკოსთა მიერ დამტკიცებულია ფაქტობრივი მონაცემებით (და არა პირდაპირი საიმუნიტეტო სიგელებით). ამდენად, აღნიშნავს ნ. კოლესნიცკი, ჩვენს ხელთ არსებული მეფეთა მიერ გაცემული სიგელები მხოლოდ ერთი ნაწილია სახელმწიფოში მოქმედი საიმუნიტეტო პრივილეგიებისა. მაგრამ მისი შინაარსი გვიხსნის სამამულო-საიმუნიტეტო უფლების არსს, რომელიც დამახასიათებელი იყო ფეოდალური მიწათმფლობელობისათვის საერთოდ¹⁷.

ფეოდალები, იღებდნენ რა ფორმალურ იმუნიტეტს, უკვე გააჩნდათ ის უფლებები, რაც ჩვეულებრივ იმუნიტეტით იყო გათ-

ვალისწინებული. მათ სჭირდებოდათ მხოლოდ გარანტია, რომ არ ჩაერეოდნენ გარედან. თუ არ იყო ჩარევა, ან ძალიან არ აწუხებდათ ის, არც კი ცდილობდნენ ფორმალური იმუნიტეტის მოპოვებას. მაგრამ, ფაქტობრივად, მათი იურისდიქცია ისეთივე ან მეტიც კი იყო, როგორც ჰქონდათ ეკლესიის საიმუნიტეტო სამფლობელოებში.

ნ. კოლენსიციის აზრით, იურისდიქცია არ იყო მთავარი იმუნიტეტში. იურისდიქცია-საშუალება იყო ფეოდალური რენტის მისაღებად და ექსპლოატირებულთა წინააღმდეგობის დასაბრუნებად¹⁸.

საფრანგეთისაგან განსხვავებით, სადაც XIII ს-დან, როცა ცენტრალიზაცია იზრდებოდა და იმუნიტეტი მცირდებოდა, გერმანიაში იმუნიტეტი იზრდებოდა და ზოგიერთ შემთხვევაში სამფლობელოს გარეთაც კი ვრცელდებოდა. ეს გარემოება ზოგჯერ ხელს უწყობდა ტერიტორიული სამფლობელოს (ჩვენი გვიანი სამთავროს მსგავსი) წარმოქმნას¹⁹.

მნიშვნელოვანი თავისებურებებით გამოირჩევა ინგლისური იმუნიტეტი (სოკა) (Soke) კონტინენტის იმუნიტეტისაგან. პროფ. ე. გუტნოვას სტატიაში — „К вопросу об иммунитете в Англии“²⁰ — სპეციალურადაა განხილული ინგლისური იმუნიტეტი და ნაჩვენებია მისი თავისებურებანი. როგორც ე. გუტნოვა აღნიშნავს, ინგლისელი ისტორიკოსები ზოგჯერ მთლიანად უარყოფენ ინგლისში იმუნიტეტის არსებობას მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ ფეოდალთა სასამართლო-ადმინისტრაციული უფლებანი ყოველთვის არ ემყარებოდა მეფის წყალობის სიგელებს. ამის გამო ისინი იმუნიტეტის მაგივრად უფრო ხშირად ფეოდალთა სასამართლო-ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ პრივილეგიებს უწოდებენ უბრალოდ „თავისუფლებებს“ ან „პრივილეგიებს“. მაგრამ თუ განვიხილავთ იმუნიტეტს, როგორც ერთ-ერთ ძირითად იარაღს გარეეკონომიკური იძულებისა, რომელიც უზარუნველყოფს დაქვემდებარებული გლეხების მორჩილებასა და მათ ექსპლოატაციას, მაშინ, როგორც ე. გუტნოვა აღნიშნავს, XII-XIII

საუკუნეებში ინგლისში იმუნიტეტის არსებობა არავითარ ექვს არ იწვევს²¹.

ინგლისში იმუნიტეტური ურთიერთობების წარმოშობა განეკუთვნება ანგლოსაქსურ პერიოდს – VIII-IX საუკუნეებს. XI ს-ში ჩნდება მეფის ქარტიები, რომლებიც მსხვილ ფეოდალებს გადასცემდა „სოკას უფლებას“ გრკვეულ ტერიტორიაზე და რომელსაც ბევრი საერთო ჰქონდა IX-X საუკუნეების ფრანგულ იმუნიტეტთან²².

ინგლისში საიმუნიტეტო უფლებანი ყოველთვის არ იყო გაფორმებული დოკუმენტით – იგი ხშირად ემყარებოდა ტრადიციას, მფლობელობის სიძველეს, მიწის საკუთრების უფლებას. უფრო მეტად შემორჩენილია ცნობები და დოკუმენტები ან მისი ასლები საეკლესიო ფეოდალებისა, ისევე როგორც ეს იყო VIII-IX საუკუნეების კონტინენტზე (სადაც საიმუნიტეტო დოკუმენტები თითქმის მხოლოდ საეკლესიო ორგანიზაციებს ეკუთვნოდა), მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ არ იყო საერო ფეოდალების იმუნიტეტი²³.

რაც შეეხება „მანორიალურ კურიას“, რომელიც ლორდის ვილანებს (ყმა-გლეხებს) ასამართლებდა, მეფის იურისტთა აზრით, მეფეთა არავითარ დამტკიცებას არ საჭიროებდა, რადგან იგი უშუალოდ გამომდინარეობდა მიწის საკუთრების უფლებიდან. ამიტომ, აღნიშნავს ე. გუტნოვა, წყაროებში ფეოდალის მანორიალური კურიის უფლების შესახებ საერთოდ არაფერია ნათქვამი²⁴.

ლორდის უფლებათაგან ერთი კიდევ ის იყო, რომ მთავრობის განკარგულებებს ლორდი თავისი მსახურებით (მოახლეებით) ასრულებდა. ეს უფლება ძალიან ახლოს იყო კონტინენტის იმუნიტეტთან VII-X საუკუნეებში, რომლის მიხედვით მეფის მოხელეებს ეკრძალებოდათ საიმუნიტეტო ტერიტორიაზე შესვლა²⁵.

XIII ს-ის ინგლისში გვხვდება ისეთი იმუნიტეტიც, როცა ლორდს უფლება ჰქონდა გაესამართლებინა მძიმე სისხლის დამნაშავეც, რომელიც შეესაბამება XI-XII საუკუნეების კონტინენტის იმუნიტეტს (თუმცა ორივეგან ასეთი შემთხვევები იშვიათი იყო)²⁶.

ინგლისელ ფეოდალთა ფორმალური დამოუკიდებლობის მწვერვალი იყო საკუთარი კანცელარიის ქონების და საკუთარი დადგენილებებისა და განკარგულებების გამოცემის უფლება. ეს უფლება, რომელიც სამფლობელოს გადააქცევს პატარა ტერიტორიულ სამთავროდ, იშვიათი იყო. კიდევ უფრო იშვიათი იყო საკუთარი ზარათუხანის ქონების უფლება²⁷.

გადასახადებისაგან მთლიანად განთავისუფლება ეძლეოდა მხოლოდ საეკლესიო ორგანიზაციებს. საერო ფეოდალებს კი, თუნდაც ძალიან დიდებს, ჩვეულებრივ, ათავისუფლებდნენ მხოლოდ ადგილობრივი გადასახადებისაგან. საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადებისა და ვალდებულებებისაგან, როგორც ჩანს, საერო ფეოდალები არ თავისუფლებოდნენ. XIII ს-ის ბოლოს ინგლისელ ფეოდალთა საგადასახადო იმუნიტეტი თანდათან კარგავს მნიშვნელობას, რადგან მთავარი გადასახადი ხდება გადასახადი მოძრავ ქონებაზე, რომელიც არ იყო მოხსენიებული საიმუნიტეტო ქარტიაში²⁸.

მანორიალური კურია მნიშვნელოვანი იარაღი იყო უკვე დაქვემდებარებული მწარმოებლის ექსპლუატაციისათვის, ამასთან, მათგან დამატებითი შემოსავლის მიღების წყარო (ჯარიმების სახით). იგი აგრეთვე ხელს უწყობდა მწარმოებლის დაქვემდებარებას და დაყმევებასაც კი²⁹.

ინგლისური იმუნიტეტის თავისებურებებათაგან შეიძლება აღინიშნოს: ეკლესიის უფრო ფართო იმუნიტეტი. საერო წვრილი ფეოდალები არ სარგებლობდნენ ფართო იმუნიტეტით (მხოლოდ ზოგიერთი მისი სახეობით სარგებლობდნენ). სრული იმუნიტეტი არც დიდ ფეოდალებს ჰქონდათ (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა)³⁰.

სამხედროვალდებული იყო ყველა ფეოდალი და თავისუფალი. ლაშქრის შეყრა მეფის ბრძანების გარეშე აკრძალული იყო³¹.

ადმინისტრაციული იმუნიტეტი ზოგჯერ არ ათავისუფლებდა მანორს მეფის მოხელის შესვლისაგან.

ბიზანტიაში X-XV საუკუნეებში გავრცელებული იყო ექსკუსია (საგადასახადო შეღავათები), რომელიც დაახლოებით დასავლეთეუროპულ იმუნიტეტს ეთანაბრება. ექსკუსია პირველად წყაროებში ჩანს X ს-დან, თუმცა ცნობილი ბიზანტინისტის უსპენსკის აზრით, იგი VI-VII საუკუნეებიდან უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ექსკუსიის მთავარი შინაარსი იყო სახელმწიფო გადასახადებისაგან განთავისუფლება და სახელმწიფო მოხელეთა ექსკუსიანტის სამფლობელოში შესვლის აკრძალვა. XIII-XV საუკუნეებში ექსკუსიის ფარგლები გაფართოვდა და სასამართლოს წარმოების უფლებაც შეიძინა. ამასთანავე, სახელმწიფო ინარჩუნებდა მაღალი იურისდიქციისა და კონტროლის უფლებას.³²

რუსეთში იმუნიტეტი პირველად ფიქსირებულია XII ს-ის სიგელებში (გრამოტებში) (საგადასახადო იმუნიტეტი და დაბალი სასამართლო იურისდიქცია). XIV-XVII საუკუნეებში ხდება იმუნიტეტის თანდათანობითი შეზღუდვა, თუმცა იგი შეზღუდული სახით თვით XIX ს-მდე არსებობდა. გაუქმდა 1861 წ. (გადმონაშთები არსებობდა თვით XX საუკუნემდე)³³.

ქართულ ისტორიოგრაფიაში იმუნიტეტის შესახებ პირველი სტატია გამოაქვეყნა ა. ხახანაშვილმა – „იმუნიტეტი საქართველოში“³⁴. ხახანაშვილის აზრით, „იმუნიტეტი იყო პრივილეგია სამართლის წარმოებასა და ხარჯის გაწევაში“³⁵. სავსებით სწორად შეუნიშნავს ა. ხახანაშვილს, რომ, როგორც ევროპაში, ისე რუსეთში „სამონასტრო მოსახლკარეთა იმუნიტეტი უფრო თვალსაჩინო და ფაქტებით შეიარაღებულია, აგრეთვე ჩვენშიც საეკლესიო პირთა იმუნიტეტი აღნუსხულია მრავალი მაგალითებით“³⁶. (ა. ხახანაშვილი არ გამორიცხავს საერო იმუნიტეტსაც.) ასევე სწორია ა. ხახანაშვილის შენიშვნა იმის შესახებ, რომ დასავლეთ ევროპასა და რუსეთში თანდათან შეიზღუდა იმუნიტეტი, საქართველოში კი იგი უცვლელი დარჩა თვით XVIII საუკუნის ბოლომდე. ა. ხახანაშვილს შეუმჩნეველი არ რჩება ბაჟის იმუნიტეტიც.

ივ. ჭავჭავაძის აზრით, „ქართული პატრონჟიმობა გასაოცრად მიემსგავსება და გვაგონებს დასავლეთ ევროპის საშუალო

საუკუნეების ფეოდალურ წესწყობილებას, ე.წ. ფეოდალიზმს¹⁷. ივ. ჯავახიშვილი მოკლედ მიმოიხილავს იმ ტერმინებსა და ინსტიტუტებს, რომლებსაც ბევრი საერთო აქვთ დასავლეთ ევროპის ფეოდალურ ტერმინებსა და ინსტიტუტებთან. შემდეგ კი წერს: „მაგრამ მრავალ ზემოაღნიშნულ ცხად მსგავსებას გარდა, რომელიც ქართულ პატრონყმობასა და დასავლეთ ევროპის ფეოდალურ წესწყობილებას ემჩნევა, მათ შორის ერთი არსებითი განსხვავებაც იყო. დასავლეთ ევროპაში ფრანგი და გერმანელი პატრონი „ფეოდალი“, „სენიორი“ თავის საპატრონო ქვეყნის უზენაესი გამგე იყო, მის ხელთ იყო სახელმწიფო სამართლის უძვირფასესი განძი: მართლმსაჯულებისა და გადასახადების აკრეფის უფლება. მის ხელთ იყო როგორც სისხლისა, ისე სამოქალაქო სამართალი და სასამართლო. მისი განაჩენი უზენაესი და უქცეველი იყო (A. Esmein, ფრანგული სამართლის ისტორია, 181-182). მაშასადამე, დასავლეთ ევროპის სენიორებს და მათ საპატრონოს ე.წ. „იმუნიტეტი“ /.../ ჰქონდათ“¹⁸.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ XIX ს-ის დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია აქარბებდა იმუნიტეტის ფარგლების შეფასებაში. მისი გავლენის შედეგია, რომ ივ. ჯავახიშვილი დასავლეთევროპულ იმუნიტეტს მიაწერს უზენაეს სასამართლო უფლებას. სინამდვილეში კი სასამართლო და საგადასახადო იმუნიტეტი არ ყოფილა ყოვლისმომცველი. ჩვეულებრივ, მხოლოდ დაბალი იურისდიქცია (სამოქალაქო და წერილი სისხლის სამართლის საქმეები) იყო იმუნიტეტის კომპეტენცია.

„საქართველოშიც არსებობდა „შეუვალობა“, მაგრამ იგი არასდროს სახელმწიფო ცხოვრების საზოგადო მოვლენად არ ყოფილა, არამედ მხოლოდ გამონაკლისს შეადგენდა. ამასთანავე იგი თითქმის მხოლოდ სახელმწიფო გადასახადებს ეხებოდა და სასამართლო შეუვალობა საქართველოში არასდროს არ ყოფილა. გადასახადების შეუვალობაც უმეტესად საეკლესიო და სამონასტრო ყმებს ჰქონდათ მინიჭებული. მაინცდამაინც ჩვეულებრივ საპატრონო ყმებსაც სახელმწიფო თავის გადასახადებს თავისვე მოზ-

ელეთა ხელით ართმევდა ხოლმე და მათ პატრონებს ამასთან საქმე არ ჰქონდათ. არც ერთი შემთხვევა არა გვაქვს, რომ სასამართლოს შეუვალობა რომელსამე პატრონსა და მის ყმებს მინიჭებული ჰქონდეს“³⁹.

„... მხოლოდ საქართველოს ეკლესიას ერთობლივ ჰქონდა სასამართლო შეუვალობის უფლება და მისი ყმები მხოლოდ საეკლესიო სასამართლოს ემორჩილებოდნენ, მაგრამ ეს უპირატესობაც მართო საპატრონულო უფლებისა და წესწყობილების ნიადაგზე არ არის აღმოცენებული“⁴⁰. როგორც უკვე აღვნიშნეთ, არც ევროპაში ყოფილა იმუნიტეტი სრული და აბსოლუტური (ზოგიერთი ცალკეული გამონაკლისის გარდა, ისიც იმ შემთხვევაში, როცა მამული ტერიტორიულ სამთავროდ გადაიქცა, მაგალითად, გერმანიაში ჩვენი გვიანი სამთავროების მსგავსად). საქართველოშიც აღრიდანვე არსებობდა როგორც საგადასახადო, ისე სასამართლო იმუნიტეტი.

ს. ჭანაშიას აზრით, იმუნიტეტი ერთიანობის ხანის საქართველოში „ფართოდ იყო გავრცელებული“⁴¹.

ბ. ლომინაძემ ნაშრომში „შიომღვიმე“ განიხილა შიომღვიმის მონასტრის იმუნიტეტის საკითხიც. მან სწორად აღნიშნა, რომ მონასტერი სარგებლობდა საგადასახადო და სასამართლო შეუვალობით; სწორად მიუთითა, რომ შემოსავლის „ერთ-ერთ წყაროს სასამართლოც წარმოადგენდა“. ბ. ლომინაძის აზრით, შიომღვიმის სასამართლო შეუვალობა გამონაკლისი იყო და არც საგადასახადო იმუნიტეტი ჰქონდა ყველა მონასტერს⁴². ეს მოსაზრება სწორი არ არის. ჭერ კიდევ ივ. ჭავჭავიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს ეკლესიას ერთობლივ ჰქონდა სასამართლო იმუნიტეტი XII ს-დან. რაც შეეხება საგადასახადო იმუნიტეტს, არც ის იყო მხოლოდ შიომღვიმისათვის დამახასიათებელი.

რ. მეტრეველის აზრით, დ. აღმაშენებელს მეფობის პირველ პერიოდში ეკლესიის უფლებები მნიშვნელოვნად შეუზღუდავს (როგორც ჩანს, მათ შორის იგულისხმება შეუვალობაც). „შემდგომში კი, ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ გაძლიერებასთან

ერთად, დავით აღმაშენებელს შეუვალობა მიუნიჭებია ეკლესიისათვის⁴³.

საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული საგადასახადო და სასამართლო შეუვალობის შესახებ მ. ბერძენიშვილს⁴⁴ და გ. აკოფაშვილს. გ. აკოფაშვილის აზრით, იმუნიტეტი ჩვენში ადრე-ფეოდალურ ხანაში წარმოიშვა და დიდ განვითარებას მიაღწია. XI-XII საუკუნეებში კი ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების კვალდაკვალ იმუნიტეტი მნიშვნელოვნად იზღუდება⁴⁵.

ილ. ანთელავას აზრით, „ეკლესიებისათვის ბოძებული შეუვალობა ძირითადად საგადასახადო პრივილეგიას წარმოადგენდა. დადასტურებულია შიომღვიმის ძალზე შეზღუდული სასამართლო იურისდიქცია“⁴⁶. ჩემი აზრით, ეს შეხედულება სწორი არაა. შიომღვიმეს „ძალზე შეზღუდული სასამართლო იურისდიქცია“ კი არა, ძალზე ფართო სასამართლო შეუვალობა ჰქონდა, მათ შორის „სასჯულო“ საქმეთა შეუვალობაც. ჩემი აზრით, არც შემდეგი დებულებაა სწორი: „ერთიანობის ხანის ქართული საეკლესიო იმუნიტეტი დაახლოებით მეტ-ნაკლებად იგივე სიღრმისაა, რაც ადრე-ფეოდალური დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა იმუნიტეტი... ზოგ შემთხვევაში კი ფრანგული იმუნიტეტი უფრო ფართოცაა“. არც ისაა სწორი, რომ საერო იმუნიტეტის შესახებ ცნობები მხოლოდ XIV ს-დან გაგვაჩნდეს⁴⁷.

ჯ. სტეფნაძის აზრით, „XII საუკუნისა და XIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს იმუნიტეტი შეზღუდულია და მხოლოდ ეკლესია-მონასტრებს აქვთ“... მისი შეხედულებით, „სწორი უნდა იყოს აზრი (მითითებულია ილ. ანთელავას ზემოდასახელებული ნაშრომი – გ. ჯ.) იმის შესახებ, რომ თუკი ყველაზე პრივილეგირებულ შიომღვიმისა და გელათის მონასტრებს ასეთი შეზღუდული შეუვალობა – იმუნიტეტი გააჩნიათ, სხვა ეკლესიებს უფრო ვიწრო უფლებები ექნებოდათ“⁴⁸. ჩვენ ამ შეხედულებასაც ვერ ვიზიარებთ.

გვიანსაშუალო საუკუნეების იმუნიტეტის შესახებ საინტერესო მოსაზრებანი აქვთ გამოთქმული ნ. ბერძენიშვილს, ვ. გაბაშ-

ვილს, ო. სოსელიას, მ. ლეკვეიშვილს და სხვ. მაგრამ ამ საკითხს ამჟამად არ ვეხებით.

* * *

პირველი ცნობა „თავისუფლების“, ანუ იმუნიტეტის არსებობის შესახებ დაცულია შიოსა და ევაგრეს ცხოვრებაში და მიემართება შიომღვიმის მონასტერს VI ს-ში. იქ მოთხრობილია, რომ ევაგრეს წინამძღვრობაში (VI ს-ის II ნახ.) მონასტერში მისულა მეფე ფარსმანი მთავრებითურთ. მეფემ „მიანიჭა უკუე მონასტერსა მას ოთხნი რჩეულნი სამეუფოთა დაბათაგან და დაწერა კლითა თქსითა თავისუფლებაჲ მათი და მისცა ევაგრის ოცდაათი ლიტრა ოქრო ეკლესიათა მათთჳს სახმარად“⁴⁹.

ეს არის პირველი ცნობა იმუნიტეტის არსებობის შესახებ საქართველოში. მართალია, იგი არაპირდაპირი ცნობაა (დოკუმენტი, რომელიც თავისი ხელით დაწერა მეფემ, ჩვენამდე არ მოღწეულა), მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი დიდი მნიშვნელობისაა.

შემდეგი ცნობა ეხება იმავე მონასტერს VII ს-ის დასაწყისისათვის. იმ დროს მონასტერში მისულა ქართლის კათალიკოსი ბართლომე და ერისმთავარი სტეფანოზი. ეს უკანასკნელი უკმაყოფილო დარჩენილა მიღებით, რის გამოც „მისტაცნა ორნი აგარაკნი და თქუა, არა მივსცე შეურაცხის-ყოფელთა მამული ჩემი“. ამის გამო სტეფანოზი დასაჯა შიომ — დააბრმავა და „განცოფა“. ბოლოს სტეფანოზი იძულებული გახდა უკან დაებრუნებინა აგარაკ-დაბანი, რისთვისაც მოიპოვა კურნება. „მოუწოდა უკუე სტეფანოზ მწიგნობარსა თჳსსა და უბრძანა მას, რათა დაწერნეს ორნი დაბანი დაბათაგან სამეუფოთა ურჩეულესნი. მერმე აღიღო კლითა თქსითა ქარტაჲ იგი და დადვა საფლავსა ზედა წმიდისა შიო-ოფსსა“... შემდეგ თვალები აეხილა სტეფანოზს... „და დაამტკიცა უკუე კლით წერილი იგი კლითა თქსითა, და მასვე ჟამსა დაწერა პროარტაკი და დაამტკიცა კლითა თქსითა და წარსცა ყოველსა შინა ქუეყანასა ქართლისასა, რაჲთა ყოველნი ეკლესიანი განათავისუფლნენ მძლავრებისაგან და ხარკის მიკდისა“⁵⁰. ეს ცნობაც

უარესად საინტერესოა. აქ პირდაპირაა დასახელებული, რისგან განთავისუფლდა მონასტერი. მონასტერი განთავისუფლდა „მძლავრებისაგან“ (მოხელეთა?) და „ხარკის მიხდისაგან“. და რაც უფრო მნიშვნელოვანია, იქ ნათქვამია, რომ ქართლის „ყოველნი ეკლესიანი განათავისუფლნენ“ მძლავრებისა და ხარკისაგან. ე.ი. ამ ცნობის მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართლის მთელ ეკლესიას მიუღია იმუნიტეტი (საგადასახადო, ადმინისტრაციული და, ალბათ, სასამართლოც).

რადგან ცნობა არაპირდაპირია და გვიან დაწერილ თხზულებაშია შემონახული, ამიტომ ძნელია გადაჭრით ითქვას, თუ რამდენად ზუსტადაა მოსული ჩვენამდე იგი.

მაგრამ თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ მეფე გიორგი III-მ 1178 წელს მთელ საქართველოს ეკლესიას მისცა „თავისუფლება“, ანუ იმუნიტეტი,⁵¹ მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასეთი რამ საქართველოში ადრეც შეიძლებოდა ყოფილიყო და, შესაძლოა, სწორედ სტეფანოზ ერისმთავრის დროიდანაც კი.

ცნობა იმუნიტეტის („თავისუფლების“) შესახებ შემონახულია აგრეთვე სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში, რომელიც X ს-შია დაწერილი, მაგრამ მოთხრობილია IX ს-ის ამბავი. თხზულების მიხედვით, დიდმა მთავარმა გიორგი ჩორჩანელმა, რომელიც უშვილო ქვრივი იყო, თავისი სამფლობელო სიკედილის წინ ანდერძით გადასცა თავის დისშვილებს: „ყოველივე, რაჟცა აქუნდა, და მამული და ყოველნი ეკლესიანი და მონაგები მისი დასა მისსა შეჰყვედრა და შეილთა მისთა საკუთრებით განუთჱსა“. გიორგის ანდერძით, ზარზმის მონასტერსაც „მდიდრად მიეცა ყოველივე უხუებით: აგარაკნი თავისუფლებით და საქონელი მრავალფერი და სიმრავლე საჰედართა და მროწეულთა“⁵². აქედან ჩანს, რომ ჩორჩანელის სამფლობელო, ანუ მამული მისი საკუთრებაა და გასხვისების უფლებით სარგებლობს, ამასთანავე, იგივე მამული შეუვალობით სარგებლობს, ჩორჩანელს შეუძლია აგარაკები ეკლესიას „თავისუფლობით“ გადასცეს.

უფრო ადრე, როცა ზარზმის მონასტრის მშენებლობა დამთავრდა, „ღმრთის-მსახურმან გიორგი მისცნა ყოველნი საკმარნი, ჯორები და კარაულები, და რაოდენი რაჲ უკმა სიმრავლესა ძმათასა. ხოლო წმიდამან მან განაჩინნა წესნი და კანონნი საეკლესიონი... ვინა(ა)ცა სოფლებნიცა მისცნა კაცმან მან ღმრთისამან გიორგი“⁵³. აქედან ჩანს, რომ ჩორჩანელს არა მარტო აგარაკები, არამედ სოფლებიც უბოძებია მონასტრისათვის. და მიუხედავად იმისა, რომ ამ ციტატაში არაა ნახსენები „თავისუფლება“, ვფიქრობ, ისიც „თავისუფლებით“ იქნებოდა გადაცემული მონასტრისათვის, რადგან სწორედ იმ სოფლის გლეხებს უნდა დაემუშავებინა „თავისუფლებით“ გადაცემული აგარაკები (საბატონო მეურნეობის სახნავი მიწები), მომსახურებოდნენ მონასტერს და, საერთოდ, ყველაფერი გაეკეთებინათ და ერჩინათ ბერები. გიორგის მიერ დადებული „წესნი და კანონნი“, ცხადია, მონასტრის ტიპიკონია, რომელშიც, მონასტრის შინაგანაწესის გარდა, მონასტრის ქონების, მათ შორის სოფლებისა და გლეხების, მოვლისა და ექსპლოატაციის წესიც იქნებოდა განსაზღვრული. ყველაფერი ეს კი გულისხმობს საგადასახადო და სასამართლო შეუვალობის, როგორც ფეოდალური რენტის მთავარი წყაროს, არსებობას.

თხზულებაში არ ჩანს უზენაესი ხელისუფალი, რომლისაგანაც შეიძლება განთავისუფლებული ყოფილიყო ჩორჩანელის მამული. შეიძლება არც ჰქონოდა ჩორჩანელს „თავისუფლება“ დოკუმენტით გაფორმებული. თუ დასავლეთ ევროპის იმუნიტეტის ანალოგიას მოვიშველიებთ, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩორჩანელის მამულის „თავისუფლება“ ემყარებოდა მიწის საკუთრების უფლებას, წარმოადგენდა მიწის საკუთრების ატრიბუტს და განმტკიცებული იყო ტრადიციით. ამდენად, ჩვენი აზრით, ამ ცნობაში ჩვენ გვაქვს დადასტურება როგორც საეკლესიო (ზარზმის მონასტრისა), ისე საერო ფეოდალის (გ. ჩორჩანელის) იმუნიტეტისა.

იმუნიტეტის შესახებ კონკრეტული ცნობებით უფრო მდიდარია IX ს-ის დოკუმენტი „ნასყიდობის დაწერილი ფაენელისა

შიომღვიმისადმი“. შიომღვიმის მონასტერმა ფავენლთაგან იყიდა ოთხი სოფელი და ორი გლეხი მეხუთე სოფლიდან. საბუთის მინაწერში (გამოცემაში №2 საბუთი) მიქელ მემღვიმე წერს: „გარდავე ლიხთ-იმერით და მოვიღე თავისუფლობისა ბრძანება კონსტანტინესა და ბაგრატიისი, კახთა მეფეთა ფალღესი და კუირიკესი.

მითავისუფლებიან მეფეთა და დედოფალთაგან, და დიოფალთა და დიდებულთაგან, აზნაურთა და მათთა ცოლთაგან; მითავისუფლებიან ყოველთავე კელოსანთაგან: მოლარეთაგან, მეულუფეთა, მეჭინიბეთა, მესაბანჯრეთა, მეგოდრეთა, მეჭამეთა, ყოველთავე დარბაზით გამოსულთა კელოსანთაგან“⁵⁴.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების იმუნიტეტში ერთ-ერთი მთავარი მომენტია ფეოდალის სამფლობელოში მეფის მოხელეთა შესვლის აკრძალვა. ეს არის იგივე ადმინისტრაციული იმუნიტეტი. სწორედ ასეთი იმუნიტეტის დადასტურება გვაქვს IX ს-ის ამ დოკუმენტში. გარდა ადმინისტრაციული იმუნიტეტისა, ზემომოტანილი ციტატიდან ისიც ჩანს, რომ მონასტრის სოფლები განთავისუფლებულია სახელმწიფო გადასახადებისაგან. აქ არაფერია ნათქვამი სასამართლო იმუნიტეტის შესახებ. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მონასტერი განთავისუფლებული იყო „ყოველთავე დარბაზით გამოსულთა კელოსანთაგან“ და, მაშასადამე, სასამართლოს მოხელეების შესვლისაგანაც, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მონასტრის სოფლებში მცხოვრებ საკუთარ გლეხთა სამართალიც მონასტრის მოხელეთა ხელში იქნებოდა (მით უმეტეს, რომ ქართლში ცენტრალური ხელისუფლება, ფაქტობრივად, არც კი არსებობდა).

აქ შეიძლება ერთი გვიანი ანალოგია გავიხსენოთ. გვიანსაშუალო საუკუნეების ქართლში „სამკვიდროდ და სამამულედ“ ბოძებული მამულების წყალობის წიგნებში არსად არაა პირდაპირ მითითებული, რომ ამ მამულზე მოსახლე გლეხების სამართალი ფეოდალის უფლებას შეადგენდა (თუმცა სხვა მასალებიდან ცნობილი იყო, რომ თავადს მოსამართლის უფლებებიც ჰქონდა). სამაგიეროდ, საამისო პირდაპირი მითითებანი მოგვეპოვება ორენო-

ვანი ქართულ-სპარსული საბუთების სპარსულ ნაწილში, რომელიც არსებითად საბუთის ქართული ნაწილის განმარტებას წარმოადგენს. ავიღოთ, მაგალითად, 1651 წლის მამულის წყალობის წიგნი, მიცემული როსტომ მეფის მიერ პაატა ჭავჭავიძისადმი. ჭავჭავიძე მამულობად მიიღო თავისივე სამკვიდრო წილი წოდორეთში „სამკვიდროდ და საბოლოოდ“⁵⁵. დოკუმენტში არაფერი არაა ნათქვამი იმუნიტეტის არც ერთ სახეობაზე. ამ დოკუმენტის მიხედვით, სრული უფლება აქვს მკვლევარს განაცხადოს, რომ ჭავჭავიძის არავითარი იმუნიტეტი არაა აქვსო. იმავე საბუთის სპარსულ ნაწილში კი ნათქვამია: „იმ ადგილის (გლეხებმა) ხსენებული პირი თავის სრულუფლებიან თიულდარად უნდა იცნონ, (ყოველ) წელიწადს (თავისი მალუჯათი და) სხვა გამოსაღები და სახელმწიფო გადასახადი იმ ქვეყნის დასტურლამალის თანახმად (მას გადაუხადონ) და (სამართლის) საქმეები, სისხლის (სამართლის) საქმეთა გარდა, მას (გადასცენ) გადასაწყვეტად და ყოველ) წელიწადს ახალ ბრძანებას ნუ მოითხოვენ“⁵⁶. ასეთი საბუთები მრავლადაა. ე.ა. აქ კონკრეტულად მითითებულია საგადასახადო და სასამართლო იმუნიტეტზე, ქართულში კი არაფერია ამის მსგავსი ნათქვამი. აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ ქართული საბუთების ფორმულა „მკვიდრად და სამამულედ“ ან კიდევ „შეუვალად“ ბოძება თავისთავად გულისხმობდა სასამართლო იმუნიტეტსაც. არაა გამორიცხული, რომ ასეთივე ვითარება იყო ადრეფეოდალური ხანის და ერთიანობის ხანის მიმართაც, როცა საბუთში ზოგადაა ნათქვამი „თავისუფლებისა“ და „შეუვალობის“ შესახებ (მით უმეტეს, რომ სხვა მასალით ისიც ჩანს, რომ სასამართლო შეუვალობაც კონკრეტულად ერთიანობის ხანის ფეოდალებს).

შედარებით მრავალფეროვანი მასალა მოგვეპოვება შიომღვიმის მონასტრის შესახებ, ამიტომ ამ მონასტრის, იმუნიტეტზე უფრო ვრცლად შევჩერდებით.

შემდეგი დოკუმენტი, რომელიც მონასტრის იმუნიტეტს ეხება, არის 1057 წლის მეფე ბაგრატ IV-ის წყალობის წიგნი შიომღვიმისადმი. მეფემ მონასტერს უბოძა მანგლისის კვს სოფელი ბო-

რცეისჯვარი და გაუთავისუფლა „ყოვლისა შესავლისა და გამოსავლისაგან: საკლემწიფოისა, საერისთვოისა, სააზნაუროისა, საციხისთვოისა, საჯვისუფლოისა, საბანჯრისა, საკიდისა, საკომრისა და ყოვლისა ღმრთისა დაბადებულისა შესავლისა და გამოსავლისაგან. და არა რაი ზედაჲც, თუნიერ სამსახურებელისა მის წმიდისა ლაერისა მღუიმიისა, რამეთუ თავისუფლობით შემიწირაეს ყოვლისავე მეუნებლისა და დამაკლებელისაგან“⁵⁷.

აქედან სრულიად ნათელია, რომ მონასტერმა ამ სოფლისათვის მიიღო თავისუფლება სახელმწიფო და ყოველგვარი სამოხელეო გადასახადისაგან, აგრეთვე ერისთავისა და სხვა მოხელეთა შესვლისაგან.

საბუთს ამოწმებს „გიორგი ქართლისა კათალიკოზი“, რომელიც წერს: „აწ ვინცა ვინ... იკადროს ანუ შლად, ანუ ცვალებად ანუ შესავალად და საჯვისუფლოდ გაკადოს, ანუ ბეგარი და გამოსავალი რაი დასდვას, და ვითა დაუწერია და გაუთავისუფლებია, მასა-ზედა მკუიდრად და შეუვალად არა იპყრან ჰრისხვამცა მამაი, ძე და სული წმიდაი“⁵⁸. კათალიკოსი თავის მინაწერში ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მონასტერი განთავისუფლებულია გადასახადებისაგან („ბეგარი და გამოსავალი“) და მოხელეებისაგან, კერძოდ ასახელებს „ჯვისუფალს“.

და ბოლოს, სიგელს ამოწმებს და „ამტკიცებს“ იოანე ძე ლიპარიტი ერისთავთ-ერისთავისა⁵⁹. იოანეს დამტკიცება აქ იმიტომ იყო საჭირო, რომ ბორცვისჯვარი თრიალეთის საერისთავოში შედიოდა. თრიალეთის ერისთავი კი იოანე იყო. ახლა, რადგან სოფელი გამოდიოდა ერისთავისა და მის მოხელეთა უფლებიდან, საჭირო იყო მისი თანხმობა და დამტკიცება.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ერისთავს ეკითხებოდა არა მარტო სახელმწიფო და საერისთავო გადასახადის აღება, არამედ საერისთავოს მცხოვრებთა სასამართლოც. ერისთავის ხელქვეითი მოხელე, ჯვისუფალი, სასამართლო უწყების ადგილობრივი მოხელე უნდა იყოს. ამდენად, ერისთავისა და მისი მოხელეების, განსაკუ-

თრებით ხევისუფლის შესვლის აკრძალვა სასამართლო შეუვალობასაც (დაბალი იურისდიქციით) უნდა გულისხმობდეს.

1072 წ. ტახტზე ახლად ასულ გიორგი მეფეს ეახლნენ მემღვიმენი, თან მიიტანეს ძუელნი სიგელნი მეფეთანი და „დაწერილნი მთავართა ყოველთა... საქონელთათვის მათთა“ და ითხოვეს შეუვალობის განახლება. მეფემ შეიწყნარა მელვიმეთა თხოვნა და გასცა შეუვალობის განახლების წიგნი: „ვითა თუით პირველთა სიგელთა სწერიან, და ვითა შემწირველთა კელით-წერილსა შინა სწერიან შეუვალობისა და თავისუფლობისა მათისათვის.“

აწ ჩვენცა მასვე ზედა გაგუითავისუფლებიან ესე ყოველნი საქონელნი მღვიმისანი ყოვლისა შესავლისა და გამოსავლისაგან: საკლმწიფოისა, საერისთვოისა, საციხისთვოისა, საკლისუფლოისა, შურტათა და ჩინებულთაგან და ყოველთა საქმის მოქმედთაგან“⁶⁵.

როგორც ამ სიგელიდან ჩანს, წინარე ხანებში მონასტრის იმუნიტეტი დაურღვევიათ და ზოგიერთი სახის ვალდებულება დაუდევიათ მღვიმის ყმა-მამულისათვის. გიორგი II იმისგანაც ათავისუფლებს მონასტერს: „და ვითა სამსახურებელი ციხეთაჲ არაი ზედა სდებია და, ჟამთაშლილობისათა შინა ოდესმე, მძლავრთა და უღმრთოთა კაცთა მათ ზედა რაიცა ბეგარი დაუც და რაიცა დაქირებითი სამსახური უქნევია, ანუ სამუშაოი, ანუ სუხრაი, ანუ ბაჟი აღებულა, ვითა არაი ზედა სდებია, ესე ყოველი აგუიხნდია, გარდაგუიგდია და ყოვლისაგანვე გაგუითავისუფლებიან, და ვითა პირველთა სიგელთა შინა უწერია გაგებით, მას წესსა ზედა იყუნენ“⁶⁶.

ეს საიმუნიტეტო სიგელი ყურადღებას იქცევს იმ მხრივაც, რომ ამ სიგელით შიოს მონასტერი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟისაგანაც. თანაც, იქ აღნიშნულია, რომ ბაჟისაგან მონასტერი ადრეც ყოფილა თავისუფალი. ახლა მეფემ ბაჟის იმუნიტეტიც აღუდგინა მონასტერს (ევროპულ იმუნიტეტში ბაჟის იმუნიტეტიც გვხვდება).

მღვიმის მონასტერი დაარსებიდან დავით აღმაშენებლამდე ქართლის კათალიკოზს ექვემდებარებოდა. დავითმა კი იგი სამეფო

მონასტრად აქცია და მთელი რიგი მშენებლობანი ჩაატარა. ბოლოს განწესება-ანდერძიც დაუდო, რომელშიც დადგენილია მონასტრის შინაგანაწესი, ყმა-მამულის მოვლის რიგი და სხვ. იგი მეტად ძვირფას ცნობებს იძლევა მონასტრის იმუნიტეტის შესახებ. მასში გახსნილია ის ფორმულები, რომლებიც წინარე საიმუნიტეტო სიგელებში მოკლედ და მშრალად იყო მოცემული.

განწესება-ანდერძში მოთხრობილია დავითის ბრძანებით ეკლესიის აშენებაზე, მის მიერ გაკეთებულ შეწირულობებზე და სხვ. შემდეგ დავითი აღნიშნავს: „ვითარად მამათა და პაპათა ჩემთაგან სიგელნი ჰქონან სოფელთათვის... რადეცა სიბოროტითა ჟამთათა შეცვალებულ იყო, მე კულა გამიახლებიან იგი სიგელნი ანუ მეფეთა შეწირულთა ანუ მთავართა ვიეთმე და თუთ ძუელი და ძუელის-ძუელი ნასყიდი მონასტრისაგან, ყოველი უბეგროდ, უბაჟოდ და უწყენლად კულა მომიხსენებია წმიდისა მამისა შიოსთჳს.

ქალაქს ტფილისს, რომელი სპარსთა ქონებასა ჰქონებია, და რომელი აწ უყიდია და რომელი მე მომი ქსენებია იგი, და ანუ წაღმართ მოიგონ იგიცა, ყველა უბაჟოდ და უსუბრაოდ ყოვლისა სასეფოდასა გამოსავლისაგან ჰქონდეს“⁶².

მონასტრის სასამართლო იმუნიტეტთან დაკავშირებით ბ. ლომინაძე წერს: „ეს პრივილეგია მონასტერს პირველად დავით აღმაშენებელმა მიანიჭა და იგი გაჰყვა მას XIV საუკუნემდე“⁶³. ამ მოსაზრების საფუძველი შემდეგია – დავითი წერს: „ვითა წინამძღუარსა შჯულისა ჩუენისასა, მეუფესა იოანეს ქართლისა კათალიკოზსა უბრძანებია და მოუნიჭებია ეკლესიისა ჩემისადა, რომელ საქონებელნი სოფელნი და აგარანი ჰქონან მღუმესა, საშჯულოდ სამრებლოდ არს ყოველგან, თუთ მემღჳიშისა დიაკონმან მოისამართლოს და ეკლესიისა ზეთად მოახმაროს“⁶⁴.

აქ მოხსენიებული „საშჯულო სამრებლო“, სჯულის საქმე, ჩემი აზრით, არის არა ჩვეულებრივი სამოქალაქო ან სისხლის სამართლის საქმე, არამედ სჯულის, ეკლესიის, საკანონო საქმე, რომელიც კათალიკოზის კომპეტენცია იყო და არა მეფისა. ამიტომ დავითმა კი არ მიანიჭა ეს უფლება მონასტერს, არამედ ქართლის

კათალიკოზმა, როგორც თვით დავითი წერს. დავითის დამატებულ აქ ისაა, რომ აღგენს: „საშჯულოდ სამრებლოდ დიაკონმან მოისამართლოს“ და შემოსავლით მონასტრისათვის საჭირო ზეთი შეიძინოსო.

რაც შეეხება სამფლობელოს სამოქალაქო საქმეთა გარჩევის უფლებას, ის, როგორც უკვე აღინიშნა, აღრიდანვე უნდა ჰქონოდა მონასტერს. ანდერძის ერთი ადგილიც იმას ადასტურებს, რომ ეს უფლება ჰქონდა მონასტერს და ის დავითის შემოღებულად არ იგულისხმება.

ანდერძში ნათქვამია: „სხუაჲ ნაბჭობი, და ქულბაქთაჲ, და საზეთეთაჲ, და წისქულთაჲ ყოველი შესამოსლად განეყოფოდის“⁶⁵. ნაბჭობი ნიშნავს ნასამართლევს, სასამართლოს შემოსავალს. როგორც აქ მოხსენიებული ქულბაქი, წისქვილი და საზეთე არ დაუარსებია დავითს, არამედ არსებობდა მანამდეც, ასევე არსებობდა მონასტრის სასამართლო. ახალი და დავითის განწესებული აქ ისაა, რომ ქულბაქის, სასამართლოს, წისქვილის შემოსავალი „ყოველი შესამოსლად განეყოფოდის“.

მღვიმის მონასტერს 3000 ცხვრისათვის შეუვალობა ჰქონია. დავითმა 2000 ცხვარი კიდევ შესწირა და 5 ათასი ცხვრისათვის „სიგელი შეუვალობისაჲ“ უბოძა: „უსაბანჯროდ, უბაჟოდ და უწყინრად დგესა და იარებოდის...“⁶⁶.

ამას გარდა, დავითმა მონასტერი გაათავისუფლა კათალიკოზის დაქვემდებარებისაგან: „თუთ ძუელთა და აწინდელთა ქართლისა კათალიკოზთა კლნი ვითარედ ჰქონან, არცა ქართლისა კათალიკოზის საქმე არს მღვმესა ზედა, არცა ვის სხუსა ეპისკოპოზისა, არცა ზვერი, არცა მეფეთა, არცა მუხრანის მგეთა, არცა მღვმისა შედგომად ვის აქუს კლმწიფებაჲ, არცა მათთა აგარაკთა და საქონებელთათანა ვის საქმე-უც“⁶⁷.

მონასტერს თავისი პატრონისადმი სიმბოლური ვალდებულება ედო: „ოდეს მუხრანს ვიყვნეთ, წმიდისა შიოს ხატსა შეგუამთხუნენ, სამი სეფისკვერი, ერთი ფილას საზედაშე და ფარჩითა კაპარი გუველოგიონ“⁶⁸.

ბერების მიერ არჩეულ წინამძღვარს მეფე ამტკიცებდა და არგანს გადასცემდა.

დღემდე მოღწეულია შიომღვიმის მონასტრის მრავალი „სიგელი შეუვალობისა“. ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია გიორგი III-ის 1170 წლის შეუვალობის განახლების სიგელი. გიორგი მეფემ განუახლა მონასტერს საგადასახადო, აღმინისტრაციული, „სასჯულო მოსაველი“, „სამართალი წმიდისა უდაბნოისა“, გაათავისუფლა „ბაჟისაგან ვაქარნი და გლეხნი მათნი“⁶⁹. მაინც ზოგიერთი გამოსაღები დადებია მონასტერს სამეფოდ. იმათგან ნაწილი კვლავ ამოკვეთა მეფემ, ნაწილი კი დაუტოვა. ასე მაგ., რუეთელთა, შიოსუბნელთა და ჩიქუნურთა დაადო ორი დღე სახნავი და ორი დღე სამკალი. აგრეთვე ქურის რეცხვა (სხალტბელთა) და ტაიქის შენახვა (აგარის სოფელმა)⁷⁰.

შემდეგაც ხდებოდა, რომ მონასტრის მამულს რაიმე დაეღებოდა და კვლავ ცდილობდა გათავისუფლებას. ხშირად საწადელსაც აღწევდა. მონღოლთა ბატონობის პერიოდში მონასტერი დაქვეითდა. XIV ს-დან მღვიმე მეფემ ზევდგენისძეებს გადასცა და, ამგვარად, სამეფო მონასტერი სათავადო მონასტრად იქცა.

გიორგი III-ისა და ქართლის ერისთავის შეუვალობის განახლების წიგნებიდან კარგი სურათი იხატება მონასტრის სასამართლო იმუნიტეტის ფარგლებისა და თვით სასამართლოს წარმოებისა. ჩანს, რომ მონასტერს თავისი მოსამართლენი ჰყავდა, თავისი ყმების სამოქალაქო და სისხლის წვრილ საქმეებს თვითონ არჩევდა. სხვა სამფლობელოს მცხოვრებთან თუ წარმოიშვებოდა დავა, მაშინ ორივე მხარის მოსამართლე მონაწილეობდა სასამართლოში. „სამართალი სამპარავთმეძებლოი არცარაი წინაის შესრულა, ნუცა სადა აწ შევლენ ჩუენნი მპარავთ-მეძებლნი, თუინიერ თუ გარეთი ნაპარევი შელა-კდეს მღუიმისა გლეხსა. თუ მრავალჯერ ეპაროს მას კაცსა, ანუ ჩამოარჩონ ჩუენთა ჩენილთა, ანუ გაპატიჟონ. და თუ გარდაიხუეწოს სხუაგან, სდევდნენ ჩუენნი ჩენილნი. და მისსა საქონელსა თანა არა უც ჩუენთა მპარავთ-მეძებელთა, თუით

მემღუიშისა კელისუფალმან თავნი ნაპარევისა პატრონსა შეუქცივნეს და სამართალი წმიდისა უდაბნოისათუის აიღოს“⁷¹.

მკითხველის ყურადღება დიდხანს შევაჩერეთ შიომღვიმის მონასტრის იმუნიტეტზე. ჭერ ერთი, მასალები ყველაზე მეტი ამ მონასტერზე შემოგვრჩა. მეორეც, ამ მონასტრის იმუნიტეტი, შეიძლება ითქვას, კლასიკური ნიმუშია ქართული საეკლესიო იმუნიტეტისა.

შიომღვიმის მონასტრის იმუნიტეტი, რა თქმა უნდა, არ იყო გამონაკლისი. იმუნიტეტი ჰქონდა სხვა ეკლესია-მონასტრებსაც.

XI ს-ის დასაწყისში მელქისედეკ კათალიკოსმა სვეტიცხოვლის მთელ სამფლობელოს მოუპოვა „სიმტკიცე შეუვალობისა“ (რაც იმუნიტეტის აღდგენას უნდა გულისხმობდეს)⁷².

მთელი საქართველოს მასშტაბით იმუნიტეტის განახლებას გულისხმობს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის შემდეგი ცნობა: დავითმა „განათავისუფლნა არა მონასტერნი ოდენ და ლავრანი მოსაკარგავეთა მაქირებელთაგან, არამედ ხუცესნიცა სამეფოსა შინა მისსა ყოვლისა ჭირისა და ბეგრისაგან, რათა თავისუფალთა საღმრთო მსახურება მიუპყრან ღმერთსა“⁷³. (აქ არა მარტო საქართველოს ეკლესია-მონასტრების შეუვალობაზეა ლაპარაკი, არამედ, ჩემი აზრით, მთელი საქართველოს ხუცესთა (სოფლის მღვდელთა) „ყოვლისა ჭირისა და ბეგრისაგან“, ანუ ბატონყმობისაგან განთავისუფლებაზეც, მაგრამ ამის შესახებ ცალკე).

როგორც ცნობილია, 1178 წელს მეფე გიორგი III-მ საქართველოს ეკლესია-მონასტრებს ერთობლივ მიანიჭა „განთავისუფლება“. როგორც ჩანს, საქართველოს ეკლესიის მესვეურებმა არსებითი დახმარება გაუწიეს გიორგი მეფეს დემნაორბელთა აჯანყების პერიოდში, რის სამაგიეროდაც ეკლესიის ხელმძღვანელებმა იმუნიტეტი მოითხოვეს. როგორც თვით გიორგი III წერს: „ამისვე მიზეზისათვის შეკრიბეს ყოველნი სამეფოისა ჩუენისა მონაზონნი და ეპისკოპოსნი იმერნი და ამერნი, კათალიკოზი, მოძღუარი და ყოველნი მეუდაბნოენი და მათცა გუიბრძანეს და მოგუაქენეს დაჭირებულობაჲ ეკლესიათაჲ და განრყუნაჲ სასჯულოთა საქმეთა.

ამისათვის განვაჩინეთ კაცნი ყოველგან და განვაგეთ გულსმოდგინეთ შეკაზმვაჲ და განთავისუფლებაჲ წმიდათა ღმრთისა ეკლესიათაჲ და გლახაკთაჲ, რომელი თუით დაწერ(ილი)...“ (აქ აკლია) და შემდეგ (მინაწერი): „ვითა მონასტრისა წესსა ჰმართებს, ეგრე დაგვიჭირავს და ყოველი უსამართლოჲ ბეგარი აგვიქნია...“⁷⁴.

ე.ი. საქართველოს ეკლესია-მონასტრებმა აღიდგინეს საგადასახადო და ალბათ სასამართლო იმუნიტეტი (დაბალი იურისდიქციით).

იმუნიტეტი ჰქონდა გელათის მონასტერსაც. 1188 წელს თამარ მეფემ გელათის მონასტერს არგვეთში მდებარე სოფელი ქორვილა შესწირა: „მკუიდრად, თავისუფლად და შეუვალად ყოვლისა შესავლისა და გამოსავლისაგან, ვითა თუით სხუანი საქონელნი მის მონასტრისანი აზადნი და შეუვალნი არიან... და არცა ვისი კელი შევიდო(დეს) არაის გუარის კაცისაი: არა (ჩუენი) არა ჩუენთა სამეფ(ოთა კელისუფალთა)...“⁷⁵.

რუსუდან მეფემ იმუნიტეტი მიანიჭა კავთის წმინდა გიორგის ეკლესიის მამულს: „ესე ბრძანებაი ჩემი არს – რუსუდან ნებითა ღმრთისაითა აზადად და შეუვალ არს მამული მათი, ნასყიდით და ყოვლითა საწესოთ. ნუვინ შალავთ ბრძანება(სა ამას)“⁷⁶.

გელათის მონასტერს, საგადასახადო და ადმინისტრაციული შეუვალობას გარდა, სასამართლო იმუნიტეტიც რომ ჰქონია, ამის შესახებ პირდაპირი მითითება გვაქვს.

1271 წელს მეფე დავით ნარინმა ნასყიდი სოფელი საბანელა შესწირა გელათის მონასტერს. სოფელს დაადო ბეგარა 50 ლიტრა ცვილი, რომელსაც გელათის „კანდელაკის ხელითა მიიღებდენ“ მონასტერში. მონასტრის მოხელის, კანდელაკის, უფლება-მოვალეობათა აღნუსხვისას ხაზგასმულია შემდეგი: „თუ სოფელშიგან თუ რაჲ სასისხლო საქმე იყოს, მასაც კანდელაკი იურვოდეს...“⁷⁷. გამოდის, რომ გელათის მონასტერს არა მარტო სამოქალაქო სამართლის საქმეთა, არამედ „სასისხლო საქმის“ გარჩევის უფლებაც ჰქონდა, რაც ფართო სასამართლო იურისდიქციას გულისხმობს.

ქვემო ქართლის ერთ-ერთი მონასტრის ტიპიკონის ჩვენამდე მოღწეული ნაწყვეტიდან ჩანს, რომ იმ მონასტერსაც შეუვალობა ჰქონია. ტიპიკონში ნათქვამია: „ღმრთივ გუჯგუნოსნისა მეფეთა შორის მეფეთა-მეფისა თამარის დღეგრძელობაჲ და წარმართებაჲ და შენდობაჲ უფროდსად აღმატოს და ითქუმოდის, რომელმან დიდი გულისმოდგინებაჲ აჩუენა და სოფელნი და აგარაკნი შემოსწირნა და სხუანი აგარაკნი თქუენნი შესავლობისაგან და შეუვალ ყვნა და ყოველი ხარკი და ბეგარი (ამო)გკადა...“⁷⁸.

იმუნიტეტი ჰქონია რკონის მონასტერსაც. კახა მეჭურ-კლეთუხუცესმა იყიდა სოფ. ხოვლე (XIII ს-ის შუა ხანებში) და შესწირა რკონის მონასტერს „სამსახურითა და ბეგრითა“. მაგრამ ამ სოფელში მოსახლე ორი გლეხი „ხოხალაისძე და აბესაძე კავთას შეწირულნი იყვნეს... ესენი ბეგარას, რაითაც შეწირულნი არიან, მუნ მიიღებდნენ; და სამართალი და მამითადი განაღამცა თქუენივე იყოსო“, – მიმართავს კახა მონასტრის ხელმძღვანელებს⁷⁹. აქედან გამოდის, რომ ფეოდალმა სასამართლო იმუნიტეტი, რომლითაც თავად სარგებლობდა, გადასცა მონასტერს. და ეს ითვლება სრულიად ჩვეულებრივ საქმედ და განსაკუთრებულ ყურადღებას ამ საკითხს არც აქცევენ.

რაც შეეხება საერო ფეოდალების იმუნიტეტს, გვიანსაშუალო საუკუნეებისათვის მრავალი საიმუნიტეტო სიგელი გაგვაჩნია, მაგრამ ადრეფეოდალური და ერთიანობის ხანის საერო ფეოდალთა იმუნიტეტის შესახებ ცნობები მცირე მოგვეპოვება. გერმანიის იმუნიტეტის მიმოხილვისას აღვნიშნეთ, რომ იქ საერო ფეოდალთა იმუნიტეტის შესახებ არც ერთი დოკუმენტი არა აქვთ. ამას იმით კი არ ხსნიან, რომ დოკუმენტები დაიკარგა, ან იმუნიტეტი არ ჰქონდათ, არამედ იმით, რომ იმუნიტეტი ჰქონდათ, მაგრამ დოკუმენტი კი არ სჭირდებოდათ, იგი თავისთავად იგულისხმებოდა როგორც ატრიბუტი მიწის საკუთრებისა. ანალოგიური მდგომარეობა უნდა ვიგულისხმოთ საქართველოს მიმართაც, თუმცა ჩვენ კონკრეტული მასალაც გაგვაჩნია საერო ფეოდალების იმუნიტეტის შესახებ.

აქ შეიძლება ითქვას, რომ ვარსკვლავი პიტიასის ან გრიგოლ მასახლისის თუ სხვათა სამფლობელოებს საკუთარი მმართველობის აპარატი და სასამართლოც გააჩნდათ. ან კიდევ, მეფობის გაუქმების შემდეგ VI ს-ში ერისთავებისათვის მამულობით დამტკიცება საერისთავოებისა სპარსთა და ბერძენთა მეფეთაგან, თავისთავად იმუნიტეტსაც გულისხმობდა.

უფრო კონკრეტულად შეგვიძლია ვიმსჯელოთ VIII-IX საუკუნეებზე, როცა სენიორალურმა სისტემამ აყვავებას მიაღწია. უნდა ვიფიქროთ, რომ გიორგი ჩორჩანელმა, რომელმაც თავისი სამფლობელოს ნაწილი გადასცა ზარზმის მონასტერს „თავისუფლობით“, თავად ჰქონდა ეს „თავისუფლობა“. ასევე ითქმის მისი დროის სხვა დიდ მთავრებზე (გაბრიელ დაფანჩული, მირიან ბაჰლანდი თუ სხვანი), ან კიდევ უფრო გვიანი დროის დიდ ფეოდალებზე (ბალვაშები, ჯაყელები, თმოგველები, ფავენელები, ტბელები და სხვა და სხვა).

ასე მაგალითად, ჩვენ არ მოგვეპოვება სურამელებისადმი გაცემული საიმუნიტეტო სიგელი. მაგრამ მოგვეპოვება თვით სურამელის (ქართლის ერისთავის გრიგოლის) მიერ შიომღვიმისადმი გაცემული შეუვალობის დაწერილი. სოფ. გავაზი (კოტმითურთ), რომელიც IX ს-ში იყიდა მონასტერმა ფავენელთაგან და შეუვალობაც ჰქონდათ, XIII ს-ში სურამელთა სახლის შესავალი გამხდარა. როგორც თავად გრიგოლ ერისთავი წერს, „ნახევრისა სამართლისა ჩვენნი ხელისუფალნი აიღებდეს, საკმარსაც მოჰკრეფდეს, სამუშაოცა უწყ(რია)... და შეწყუბებულნი იყვნენ წმიდანი მამანი“⁸⁰.

გრიგოლ ერისთავი აღგენს: „ნუცა კელისუფალი შევა, ნუცა ციხისთავი... ნუცა მესაკმარე, (ნუცა მოსამა)რთლე და ნუ რაი მაწყინარი, ნუცა მენუკვარი, ნუცა მოხარაჯე, ნუცა მესაბანჯრე, ვინაითგან თუთ წმიდათა მეფეთაგან და ჩუენისა სახლისაგანცა წმიდისა შიოს ცხვარნი და მეცხვარენი ყოველსა აღგილსა თავისუფალნი არიან და შეუვალნი საბანჯრობისაგან და მისი სიგელიცა აქუნდა დაწერილი ჩუენისა სახლისაგან წმიდისა უდაბნოსა მღვმისასა“⁸¹.

სრული დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ სურამელთა სახლს თავად ჰქონდა იმუნიტეტი, რომ შეუძლია სხვას გადასცეს ის უფლებები. ასევე შეძლება ითქვას თორელთა სახლის შესახებ, რომლის ერთი წარმომადგენელი – კახა მეჭურჭლეთუხუცესი საგადასახადო შეუვალობასა და სამართლის უფლებას გადასცემს რკონის მონასტერს.

საერო ფეოდალისადმი გაცემულმა ზოგიერთმა საიმუნიტეტო სიგელმა თუ „დაწერილმა“ ჩვენს დრომდეც მოაღწია. ასეთია, მაგალითად, XII ს-ის დასაწყისში დავით აღმაშენებლის მიერ ნინია ნიანიასძისადმი გაცემული სიგელი. კახეთის დიდმა ფეოდალმა არიშიანმა სთხოვა დავით მეფეს გაენთავისუფლებინა სამსახურისაგან ნიანია, რომელიც თურმე „ბერი კაცი იყო, ლაშქარობაი აღარ შეეძლო“. დავითის სიგელში ნათქვამია: „აწ, გაგუიშუია ნინია, მისითა მამულითა, ზითვად ნაქონები ვეძის ქვითა, გაგუითავისუფლებია ყოვლისა გამოსავლისა და შესავლისა საკლმწიფოისა და სათხოვრისაგან და ყოვლისა...“⁸² (აკლია). ამ სიგელში აქცენტი გაკეთებულია არა ჩვეულებრივ იმუნიტეტზე, არამედ სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლებაზე („გაგუიშუია“), რომლისაგან არავინ არ თავისუფლდებოდა და რისთვისაც ჰქონდა მას მიცემული მამული იმუნიტეტით. განსაკუთრებული შემთხვევის – სიბერისა და ალბათ მემკვიდრის არყოლის გამო გაათავისუფლა ნინია დავით მეფემ სამხედრო სამსახურისაგან და მამულიც დაუტოვა იმუნიტეტით (მამულის დატოვების საფუძვლად სიბერის გარდა დასახელებულია მისი ნაშთითობა).

არსენ ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესმა 1241–42 წწ. მგელა აბულახტარისძეს, იმის გამო, რომ ის ბათოსთან ახლდა არსენს, უბოძა სოფ. ლუერკი „ერთგულად მსახურებასა შინა... ჰყონდიდისა საყდრისა მპყრობელთასა მკუიდრად, სამამულოდ, თავისუფლად, შეუვალად და შეუცვალებლად ყოვლისა შესავლისა და გამოსავლისაგან“⁸³.

1338 წ. გიორგი ბრწყინვალემ ივანე თორელ-ჯავახიშვილს უბოძა „კოჟრისა ძირსა მონასტერი ათენაგუენი სამკუიდროდ და

შეუცვალებლად... ყოვლითა სამართლიანითა მძღვრითა და თავისუფლად...⁸⁴.

1348 წ. ანდრონიკე მეფემ წითლოსან ქვენიტენველს უბოძა „ქართლის სოფელნი: კარბაი და გარეჯარბაკურისუბანი მისითა სამართლიანითა მძღვრითა მკუიდრად, სამამულოდ, შეუვალად და შეუცვალებლად...“ და სხვ.⁸⁵.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ იმუნიტეტი, ანუ თავისუფლება-შეუვალობა საქართველოში წარმოიშვა ჯერ კიდევ ადრე-ფეოდალურ ხანაში. პირველი ცნობა მონასტრის იმუნიტეტის შესახებ შემონახული გვაქვს არაპირდაპირ ცნობაში და ეხება VI ს-ის მეორე ნახევარს. იმუნიტეტი გავრცელდა VIII-IX საუკუნეებში, კიდევ უფრო განვითარდა XI-XII საუკუნეებში. ჩვენში, ისე როგორც დასავლეთ ევროპაში, უპირატესი გავრცელება საეკლესიო იმუნიტეტს ჰქონდა. დასავლეთ ევროპისაგან განსხვავებით, ჩვენში ეკლესიას ერთობით ჰქონდა იმუნიტეტი (VII ს-დან). ხშირი იყო ეკლესია-მონასტრების იმუნიტეტის ხელყოფა საერო ფეოდალებისა და მეფის მოხელეებისაგან (შემდგომში ხელახალი განახლებით).

საერო მსხვილი ფეოდალები ისეთივე და ზოგჯერ უფრო მეტი იმუნიტეტით სარგებლობდნენ, როგორც ეკლესია-მონასტრები. ქართული განთავისუფლება-შეუვალობა გულისხმობდა საგადასახადო, ადმინისტრაციულ და სასამართლო იმუნიტეტს. შეუვალობა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, არ ყოფილა აბსოლუტური და სრული. ზოგიერთი ვალდებულება კვლავ რჩებოდა საიმუნიტეტო პირს. სასამართლო უფლებაც, ჩვეულებრივ, სამოქალაქო და წერილ სისხლის საქმეებს მოიცავდა.

სამხედრო ვალდებულებისაგან არც ერთი ფეოდალი არ თავისუფლდებოდა. ხშირად იყო აგრეთვე ბაჟის იმუნიტეტი (უფრო ეკლესია-მონასტრებში).

შეუვალობა საქართველოშიც გარეეკონომიკური იძულების იარაღი და ფეოდალური რენტის მიღების მთავარი წყარო იყო. ქართული შეუვალობა თავისი შინაარსითა და ფარგლებით ძალიან უახლოვდებოდა ფრანგულ და გერმანულ იმუნიტეტს.

¹ ცხოვრება შიოსი და ევაგრესი, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ი. აბულაძის გამოც., თბ., 1955, გვ. 3.

² ფავენლის დაწერილი, IX ს., ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ი. დოლიძის რედ., თბ., 1965, გვ. 4.

³ შეწირულობის სიგელი ბაგრატ IV-ისა შიომღვიმისადმი, ქ. ს. ძეგლები, II, გვ. 7.

⁴ ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბ., 1971, გვ. 74.

⁵ ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 26.

⁶ Д. С. Граменицкий, К вопросу о происхождении и содержании франкского иммунитета, журн. „Средние века“ II, М., 1946, гв. 133

⁷ იქვე, 136-137.

⁸ იქვე.

⁹ СЭ, I გამოც., ტ. 27, 1933.

¹⁰ Д. С. Граменицкий, დასახ. ნაშრ., გვ. 150.

¹¹ იქვე.

¹² იქვე.

¹³ Франкский период, 1938, გვ. 66.

¹⁴ Н. С. Михайловская, Каролингский иммунитет, журн. „Средние века“, вып. II, М., 1946 გვ. 188

¹⁵ Журн. „Средние века“, вып. IX, 1957.

¹⁶ ფრანკთა კაროლინგების სახელმწიფოში ადგილი ჰქონდა საერო პირებისადმი იმუნიტეტის წყალობის ცალკეულ შემთხვევებს.

¹⁷ ნ. კოლესნიცის დასახ. ნაშრომი, გვ. 154-155.

¹⁸ იქვე.

¹⁹ იქვე გვ. 166.

²⁰ Журн. „Средние века“, вып. III, 1951.

²¹ იქვე გვ. 105.

²² იქვე გვ. 121.

²³ იქვე გვ. 107.

²⁴ იქვე გვ. 108.

²⁵ იქვე გვ. 110.

²⁶ იქვე.

²⁷ იქვე გვ. 111.

²⁸ იქვე.

²⁹ იქვე გვ. 112.

³⁰ იქვე გვ. 116.

³¹ Журн. „Средние века“, вып. III, 1951. გვ. 117.

³² А. Каждан, Эккуссия, СИЭ, М., т. 16, гв. 438-439.

³³ Иммунитет, СИЭ, т. 5. გვ. 806.

³⁴ ა. ხახანაშვილი, იმუნიტეტი საქართველოში, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1901 (მეორედ გამოქვეყნდა წიგნში – „ბატონყმობა საქართველოში“, 1910, ქუთაისი, გვ. 161-180).

³⁵ იქვე, გვ. 164.

³⁶ იქვე.

³⁷ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. I, თბ., 1928. გვ. 95.

³⁸ იქვე, გვ. 96-102.

³⁹ იქვე, გვ. 100.

⁴⁰ იქვე, გვ. 101.

⁴¹ ს. ჭანაშია, შრომები, ტ. II, გვ. 420.

⁴² ბ. ლომინაძე, შიომღვიმე, თბ., 1953, გვ. 38-39.

⁴³ რ. მეტრეველი, დიდნი საქმენი, თბ., 1978, გვ. 112.

⁴⁴ მ. ბერძნიშვილი, საქართველო XI-XII საუკუნეებში, თბ., 1970, გვ. 68, 87-90.

⁴⁵ გ. აკოფაშვილი, ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან XI-XII სს. საქართველოში, თბ., გვ. 53-63.

⁴⁶ ილ. ანთელავა, XI-XV საუკუნეების სოციალ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, გვ. 169.

⁴⁷ იქვე, გვ. 179.

⁴⁸ ჭ. სტეფანაძე, საქართველო XII ს და XIII ს-ის პირველ მეოთხედში, 1985, გვ.

27

⁴⁹ ცხოვრება შიომღვიმის და ევაგრესის, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ილ. აბულაძის რედ. თბ., 1955, გვ. 111.

⁵⁰ თხრობა სასაწაულთათჳს მამისა შიომღვიმისა, იქვე, გვ. 204-205.

⁵¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ი. დოლიძის რედ., 1965, გვ. 24.

⁵² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1964, გვ. 339.

⁵³ იქვე, გვ. 335.

⁵⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 1965, გვ. 4.

⁵⁵ ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ვ. ფუთურძის თარგმანი, თბ., 1955, გვ. 221.

⁵⁶ იქვე, გვ. 222.

⁵⁷ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 5-6.

⁵⁸ იქვე, გვ. 7.

⁵⁹ იქვე.

⁶⁰ იქვე, გვ. 10.

⁶¹ იქვე, გვ. 11.

⁶² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 14.

⁶³ ბ. ლომინაძე, შიომღვიმე, გვ. 39.

- ⁶⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 14.
⁶⁵ იქვე.
⁶⁶ იქვე, გვ. 15.
⁶⁷ იქვე, გვ. 17.
⁶⁸ იქვე.
⁶⁹ იქვე, გვ. 22-23.
⁷⁰ იქვე.
⁷¹ იქვე.
⁷² ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, 1984, გვ. 27.
⁷³ ქართლის ცხოვრება, I, 1957, გვ. 353.
⁷⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 24-25.
⁷⁵ იქვე, გვ. 26.
⁷⁶ იქვე, გვ. 36.
⁷⁷ იქვე, გვ. 74.
⁷⁸ ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედ., ტ. III, 1970, გვ. 133.
⁷⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 59.
⁸⁰ იქვე, გვ. 37.
⁸¹ იქვე.
⁸² ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 51.
⁸³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 158.
⁸⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 97.
⁸⁵ იქვე, გვ. 99.

გიული ალასანია

ქართველები და დანიშპენდიანების ურთიერთობების წარსულიდან

„მატიანე ქართლისაჲში“ გიორგი II-ის მეფობის დასასრულს ნათქვამია: „და შემდგომად ამისა მომადლა ღმერთმან მძლავრებისაგან ბერძენთასა წახმულნი ციხენი. წაუხუნა ბერძენთა ანაკოფია, თავადი ციხეთა აფხაზეთისა, და მრავალნი ციხენი კლარჯეთისა, შავშეთისა, ჭავჭავეთისა და არტანისა და შემდგომად ამისსა ესეცა მომადლა ღმერთმან, აღილო ქალაქი კარისა, ციხე-ქუეყანა, და სიმაგრენი ვანანდისა და კარნიფორისანი, და იოტნა თურქნი მის ქუეყანისანი“¹. როგორც შემდეგ გაირკვა, ეს წარმატება ხანმოკლე აღმოჩნდა. ამის შესახებ დავითის ისტორიკოსისაგან ვიგებთ, რომელიც ამასთანავე „მატიანე ქართლისაჲს“ ინფორმაციას საინტერესო დეტალებით ავსებს: „ხოლო მუნ (ბანას – გ.ა.)... მოვიდა წინაშე მათსა (მეფე გიორგი – II-სა გ. ა.) ზორვარი აღმოსავლისა გრიგოლ ბაკურიანის ძე, რომელსა ჰქონდეს ოლთისნი და კარნუქალაქი, და კარი, და დიდად განიხარეს და განისუენეს, და მოსცა გიორგი მეფესა კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქუეყანა, და განიყარნეს, ხოლო მეფემან გიორგი დაუტევნა კარს აზნაურნი შავშნი და წარმოვიდა შინა. ხოლო განძლიერებასა თურქთასა დაუტევნეს ბერძენთა ქუეყანანი მათნი, ციხენი და ქალაქნი, რომელ აღმოსავლეთს ჰქონდეს, და წარვიდეს, რომელნიცა აიხუნეს თურქთა და დაემკვიდრნეს მას შინა და ვინათგან მეზობლობით მოეახლნეს საზღვართა ჩუენთა, განმრავლდა შიში და ჭირი მათგან ჩუენ ზედა, რამეთუ იწყეს მიერთგან რბევად, ტყუენვად და მოოჯრებად, წუად, სრვად და ტყუეობად ჩუენ ქრისტიანეთა, რამეთუ მათ ეამთა შინა გიორგი მეფესა, ყუელს გარედგომასა, დაესხნეს უგრძნეულად თურქნი დიდნი, რომელთა თავადი იყო

აჰმად ამირა, ძლიერი და მაგრად მოისარი, რომელსა მას ოდენ ჟამსა აელო კარი. მოვიდეს ესენი შინაგანცემითა ქრისტიანეთათა. აოტეს გიორგი მეფე და სპა მისი ურიცხვ“².

ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს ცნობა რამდენჯერმე არის კომენტირებული.

თ. ჟორდანიამ გიორგი მეფის დამარცხება 1078-1079 წწ. დაათარილა. მისი აზრით, „პირველი შემოსევა სელჩუკთა საქართველოში და სამშვილდის აღება იქნებოდა 1077 წელს, კარის აღება და პირველად გიორგის დამარცხება — 1078-1079 წწ., პირველი დიდი თურქობა 1080 წელს მოდის“³.

ი. ჯავახიშვილის მსჯელობით, „1074 წელს დადებული ხელშეკრულებისამებრ ბერძნებმა თურქებს აღმოსავლეთში დაპყრობილი ქვეყნები დაუთმეს... 1074 წლის შემდგომ საქართველო დიდ განსაცდელში ჩავარდა. ეხლა მას ორთავ მხრივ მტერი ერტყა... თურქებმა თურმე ჯერ კარი აიღეს და შემდეგ ისე გათამამდნენ, რომ ა(ჰ)მად ამირას მეთაურობით ისინი გიორგი მეფეს... დაეცნენ... ამ მაგალითით სხვა თურქებიც წაქეზდნენ და ვინმე იასისა და ბუქლოშის მეთაურობით საქართველოს მოადგნენ“⁴. აქ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ მკვლევარი განასხვავებს პირველად შემოჭრილ თურქებს მეორეებისაგან.

ნ. შენგელია ნაშრომში „სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში“ ორჯერ ახსენებს ვინმე აჰმედს. მეორე შემთხვევაში სწორედ დავითის ისტორიკოსთან მოტანილ ფაქტთან დაკავშირებით, რომელსაც არ ათარილებს.“⁵ აჰმედის პირველად ხსენებისას მოტანილია თურქი მეცნიერის ი. კაფესოღლუს ცნობა, რომ ქართველთა წინააღმდეგ წასული ემირ აჰმედის გასაძლიერებლად გაიგზავნა ემირ ბარსუკი, ემირ ბოზანი და ფახრ ად-დავლე. აქვე გაკეთებულია შენიშვნა, რომ, „სამწუხაროდ, ი. კაფესოღლუ არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ როდის მოხდა ეს ლაშქრობა. საამისოდ იგი წყაროსაც არ უთითებს“⁶. ორივე ფაქტი ეკუთვნის სულთან მელიქ შაჰის ბატონობის წლებს (1072-1092) და, საფიქრებელია, ერთსა და იმავე პიროვნებას ეხება.

ვ. კობალიანს მოაქვს სომეხი ისტორიკოსის ვარდან დიდის (XIII ს.) ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ გადასცა თურქების მიერ შევიწროებულმა კარის (ყარსის) მეფემ გაგიკ აბასის ძემ თავისი სამფლობელო ბერძნებს და სამაგიეროდ მიიღო ქალაქები ცამენდავი, ლარისა (სევასტიის ახლოს), ამასია (პონტოში) და კომანა (კაპადოკიაში). „ქართველების მიერ იქიდან თურქთა განდევნა ბიზანტიის ინტერესებშიც შედიოდა... ბიზანტიის მთავრობამ გრიგოლ ბაკურიანის ძის საშუალებით საქართველოს მეფის ხელისუფლებას გადასცა კარი და მსგავსი მიდამოები, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მიწა-წყალი დიდხანს არ დარჩენილა საქართველოს სამეფო ხელისუფლების მფლობელობაში. 1074 წელს იგი ისევ დაიპყრეს თურქ-სელჩუკებმა.“⁷

მ. ლორთქიფანიძე არაერთგან აშუქებს აღნიშნულ ფაქტს. თუ ერთგან კომენტარს უკეთებს დავითის ისტორიკოსის ცნობას⁸, სხვაგან უთითებს თ. ჟორდანიას და ი. ჯავახიშვილის მიერ მოტანილ თარიღებს — 1078-1079; 1074-1080⁹. „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“ მოთავსებულ გამოკვლევაში კი შენიშნული აქვს, რომ „გრიგოლ ბაკურიანის ძემ, როგორც ბიზანტიის იმპერიის მოხელემ, გიორგი მეფეს სელჩუკთაგან ამ მიწების (ყარსის-გა.) წართმევის უფლება მისცა, რაც საქართველოს მეფემ განახორციელა კიდევ... გიორგი მეფის მიერ კარის აღებისთანავე მელიქ შაჰმა დიდძალი ლაშქრით გამოგზავნა საქართველოში ამირა აჰმადი. სელჩუკებმა აიღეს ციხე ქალაქი კარი... მოულოდნელად დაესხნენ თავს ყუელს მდგომ მეფეს და დაამარცხეს ის“¹⁰.

რ. მეტრეველი არ აზუსტებს, რომელი თურქები იგულისხმებიან, როდესაც კარის ციხის შემოერთების, ხოლო შემდეგ მისი დაკარგვის საკითხებს ეხება.¹¹

ზ. პაპასკირი აღნიშნავს, რომ „ამირ აჰმადი სულთან მელიქ-შაჰის მიერ იყო გამოგზავნილი.“¹²

გ. ჯაფარიძის მსჯელობით, „მანასკერტის ბრძოლამ (1071 წ.) ცხადყო, რომ ბიზანტია ვეღარ შეინარჩუნებდა თავის აღმოსავ-

ლურ პროვინციებს. ეს გახდა იმის მიზეზი, რომ თეოდოსიუპოლის თემის მმართველმა გრიგოლ ბაკურიანმა XI ს-ის 70-იანი წლების შუა ხანებში, ალბათ, 1074 წელს, ყარსი და მისი „მიმდგომი ქუეყანა“, რომელიც, ფაქტობრივად, თურქებს ჰქონდათ ოკუპირებული, გიორგი II-ს გადასცა. მაგრამ ეს წარმატება დროებითი აღმოჩნდა. 1080 წლისათვის მელიქ-შაჰის სარდალმა აჰმადმა „შინაგაცემითა ქრისტიანეთათა“ აღიღო ყარსი და ამიერიდან XIII ს-ის დამდეგამდე ის თურქების ხელში იმყოფებოდა.“¹³

როგორც განხილული მასალა გვიჩვენებს, XI ს-ის 70-იანი წლების დასასრულს ქართველებთან დაპირისპირებული თურქები ქართულ ისტორიოგრაფიაში ან ზოგადად თურქებად, ან თურქ-სელჩუკებად არიან მიჩნეული, ახალი თავდამსხმელი აჰმადი დიდ სელჩუკთა სულთნის ერთ-ერთ ხელქვეითად, ხოლო საქართველოში მისი ლაშქრობა 1074, 1078-1079 ან 1080 წლებით არის დათარიღებული. ეს ძირითადად სწორია, მაგრამ, ვფიქრობთ, ქართული წყაროს ჩვენთვის საინტერესო ცნობას უფრო ვრცელი კომენტარი შეიძლება გაუკეთდეს.

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს, დაადგინოს ძველ ქართულ ქრონიკაში მოხსენიებული თურქი ამირას ვინაობა, რის შესახებაც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ინფორმაცია მკითხველს ზემოთ გავაცანით. ამისათვის აუცილებელია, პირველ რიგში, ისლამურ სამყაროში, კერძოდ, მცირე აზიაში XI ს-ის II ნახევარში შექმნილი ვითარების გათვალისწინება, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს შესაბამისი წყაროების და სამეცნიერო ლიტერატურის კიდევ ერთხელ გადახედვას.

XI ს-ის შუა წლებიდან თურქი სელჩუკები ააქტიურებენ თავის დაპყრობებს და მათ შორის ანატოლიაშიც, რაც განსაკუთრებით გაადვილდა მანასკერტის ბრძოლაში მათ მიერ ბიზანტიელების დამარცხების შემდეგ (1071 წ.). მცირე აზიის დაპყრობისას თურქ-სელჩუკებს არა მარტო აქ მცხოვრები ქრისტიანები – ბერძნები და სომხები, არამედ მუსლიმანებიც გადაეღობნენ. მცირე აზიაში გაბატონებული პირველი სელჩუკი სულთნის სულეიმან I კუ-

ტალმის გარდაცვალების (1085/6) შემდეგ, უმეფობის ხანაში (1092 წლამდე), ემირებს შორის მიმდინარე ბრძოლაში განსაკუთრებით დაწინაურდა ემირ დანიშმენდი. უკანასკნელი კიდევ უფრო გაძლიერდა კილიჩ არსლან I-ის დროს (1092 წლიდან), რომელთანაც დაპირისპირება დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დანიშმენდიანთა გამარჯვებით დასრულდა, ხოლო ჯვაროსანთა შიშით გამოწვეული მათი კავშირი დროებითი და არამყარი გამოდგა.¹⁴ ჯვაროსნებთან ბრძოლაში ემირ დანიშმენდმა განსაკუთრებით გაითქვა სახელი. მისი მონაწილეობა ივარაუდება დორილ-ეუმსა და ჰერაკლიასთან ბრძოლებში, რომელთაგანაც პირველში თურქები დამარცხდნენ, აგრეთვე წარმატებულ ბრძოლაში მელიტენასთან (მალატიასთან).¹⁵ მალატიის დაპყრობის თარიღად აღმოსავლურ წყაროებში 493 (1100) და 495 წლებია (1001/2) დასახელებული. მიხეილ სირიელი 1102 წლის 18 ივლისს, ხუთშაბათს უთითებს, რაც, როგორც ჩანს, არ არის ზუსტი. ო. თურანის შენიშვნით, 18 ივლისი ხუთშაბათი 1101 წელს იყო.¹⁶ სწორედ 1101 წელს უთითებს ბარ ჰებრეი, რომელიც ხშირ შემთხვევაში და ამჭერადაც მიხეილ სირიელს ეყრდნობა. დანიშმენდის სახელთან არის დაკავშირებული ანტიოქიის უფლისწულის ბოჰემუნდის დატყვევებაც, რასაც თურქი მეცნიერები ა. სევიმი და ე. მერჩილი¹⁷, ისევე როგორც გ. ჯათარიძე, 1100 წლით ათარიღებენ¹⁸.

XI ს-ის უკანასკნელ მეოთხედში, XII ს-ის 80-იან წლებამდე კაპადოკიაში დანიშმენდიანთა დინასტია იყო გაბატონებული. მათი თავდასხმები აღნიშნულ ტერიტორიაზე ბევრად უფრო ადრე დაიწყო. ცნობები დანიშმენდიანთა დინასტიაზე შემოგვინახეს ბიზანტიურმა, ლათინურმა, სომხურმა, სირიულმა, არაბულმა, სპარსულმა, თურქულმა ზეპირმა და წერილობითმა წყაროებმა, ნუმიზმატიკურმა ძეგლებმა და წარწერებმა. შესაბამისად, დანიშმენდიანთა დინასტიის ისტორიას შეხებიან ის მეცნიერები, რომლებსაც საგანგებოდ უკვლევიათ აღნიშნული წყაროები, პირველ რიგში ნუმიზმატიკური (ა. მორდტმანი, ა. სალე, პ. კახანოვა, გ. შლუმბერჯე, ა. ტევჰიდი და სხვა) ქრონიკების გამომცემლები, XI-XII სს-

თა მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის მკვლევრები და, განსაკუთრებით, დინასტიის დამაარსებლისადმი მიძღვნილი თურქული ეპიკური ძეგლის შემსწავლელები. მაგრამ იმის გამო, რომ წყაროთა მონაცემები ფრაგმენტული ხასიათისაა და ამასთანავე ერთმანეთისაგან განსხვავებული, ან ზოგჯერ საწინააღმდეგოც, ზოგიერთი რამ დანიშმენდიანთა ისტორიაში დღესაც დაუზუსტებელი და საკამათო რჩება. მკვლევრები, რომლებიც საგანგებოდ სწავლობდნენ დანიშმენდიანთა ისტორიას, აღნიშნავდნენ, რომ განსაკუთრებით ბუნდოვანია დინასტიის პირველი წლები.¹⁹

შემორჩენილ წყაროთაგან თავისი ინფორმაციულობით გამოირჩევა ეპიკური რომანი „დანიშმენდ-ნამე“, რომელიც, როგორც ნებისმიერი ფოლკლორული ძეგლი, ფრთხილ და კრიტიკულ მიდგომას საჭიროებს. აღნიშნული ძეგლი იქმნებოდა თანდათან, სხვადასხვა საუკუნეებში (პირველი ჩანაწერი მეულანა იბნ ალიმ განახორციელა 642/1245 წელს იზედდინ ქეიქავუს II-ისათვის, ხოლო მეორე – 762/1360 წელს არიფ ალიმ და ა.შ.) და სხვადასხვა ხანის ფაქტები დალექა. ანაქრონიზმების მიზეზების ახსნა და ფაქტების ატრიბუცია არცთუ იოლია, თუმცა კი იმის გამო, რომ ძეგლის წერილობითი ვერსია ქრონოლოგიურად მოვლენებთან საკმაოდ დაახლოებულია, მან მნიშვნელოვანი სანდო პლასტი შემოგვიინახა.²⁰ რომანი სხვადასხვა თვალსაზრისით არის საინტერესო, მათ შორის საქართველოსა და ქართველების წარსულისა და თურქულ სამყაროსთან მათი ურთიერთობის შესწავლისათვის. ქართველებს რომანში მნიშვნელოვანი ადგილი აქვთ დათმობილი და ისინი სომხებსა და ბიზანტიელებთან ერთად მთავარი გმირის ძირითად დაპირისპირებულ ძალად არიან მიჩნეული. აღსანიშნავია, რომ, სიმღერის მიხედვით, სწორედ ქართველებთან ბრძოლის დროს მიღებული კრილობებით იღუპება რომანის მთავარი გმირი. სიმღერისვე მიხედვით, დანიშმენდიანები მცირე აზიაში უფრო ადრე დამკვიდრდნენ, ვიდრე სელჩუკები. აქ გმირ დანიშმენდის დაპყრობის ადგილებად მითითებულია სივასი, ტოკატი, კომანა, თურხალი, კარგარი, ჩანკირი, ანკარა. დანიშმენდსა და მის დინასტიაზე გვხვდება

ცნობები ისტორიულ ქრონიკებში, რომელთა შორის არის თანადროული ძეგლებიც, რაც რომანის ზოგიერთ ცნობას ადასტურებს, ან იძლევა მათი შემოწმების შესაძლებლობას. წყაროები დინასტიის ისტორიის სხვადასხვა ქრონოლოგიას უთითებს.

მხითარ აირივანეცის ცნობით, მისი ისტორია 1041 წლიდან იწყება, რაც არ დასტურდება სხვა წყაროებით და საექვოა. სომეხი ავტორის გადმოცემით, „1041 წელს სულეიმანი გამეფდა სომხებსა და ბერძნებზე, ანტიოქიის წმინდა პეტრეს (ტაძარი) მიზგითად აქცია. ეს იყო დანიშმენდის სახლის ბატონობის დასაწყისი კაპადოკიაში“. სომხური ტექსტის ქართულ ენაზე გამომცემელი აღნიშნავს თარიღის უზუსტობას.²¹ თურქი ისტორიკოსის (XVII ს.) მუნეჯიმ-ბაშის ცნობით, დანიშმენდი, რომელიც აზერბაიჯანში ცხოვრობდა, სელჩუკთა სულთნის ალფ არსლანის 1063 წლის კავკასიის ლაშქრობას შეუერთდა.²² ო. თურანის შენიშვნით, მუნეჯიმ-ბაშის წყარო ამ შემთხვევაში უცნობია. მიხეილ სირიელის სომხური მოკლე ვარიანტი ემირ დანიშმენდს აგრეთვე ალფ არსლანის დროს იხსენიებს (1063-1072). მისი გადმოცემით, ის სწორედ ალფ არსლანის ბრძანებით შეიჭრა კაპადოკიაში და დაიპყრო ქალაქები სებასტია და კესარია, სადაც თავისი ბატონობა დაამყარა და შექმნა მნიშვნელოვანი სახელმწიფო. იგი დანიშმენდიანთა დინასტიის ფუძემდებელია, რომელსაც თავისი სახელი მისცა. დანიშმენდი წინასწარმეტყველის ერთ-ერთი თავგამოდებული დამცველი გახდა.²³

აბუ ჰამიდ მუჰამედ ბ. იბრაჰიმის და, მასზე დაყრდნობით, ჰაფეზ აბრუს მიხედვითაც, იგი ალფ არსლანის ერთ-ერთი ემირი და მანასკერტის ბრძოლის მონაწილე იყო, რის შემდეგაც დაიპყრო კაისერი, სივასი, ტოკატი, ნიკსარი და ამასია მიდამოებით და შექმნა საემირო. ასევე ფიქრობს აბულ ფიდა. ჭერიმ ად-დინ მაჰმუდ აყს-არაის ცნობით, მანასკერტის ბრძოლაში მონაწილეობის შემდეგ, ემირ დანიშმენდმა დაიპყრო ნიკსარი, ტოკატი, სივასი. ელბისტანი და მათი მიდამოები. იგივეს იმეორებს ნიგდელი ყალი აჰმედი.²⁴ ევლია ჩელების ცნობით, „სელჩუკები პირველად შეუთანხმდნენ და შეუკავშირდნენ დანიშმენდიანთა ემირებს. დაიპყრეს მალატიის,

კაისერის, ალაიეს, ანტიოქიის, კონიის ქვეყნები, კონია სატახტო ქალაქად გაიხადეს და დამოუკიდებელი ფაღმართები გახდნენ. დანიშნენდიანთა ხელმწიფეებმა კი დაიპყრეს სივასის და არზრუმის მხარეები და არზრუმი სატახტო ქალაქად გამოაცხადეს. ქალაქ ნიკსარაში წმინდა მელიქ ყაზი დარჩა და იქვე დაიმარხა“.²⁵

მიხეილ სირიელის ცნობით, ემირ დანიშმენდი კაპადოკიაში 1085 წლიდან მკვიდრდება.²⁶ აბულ ფარაჯს, იმავე ბარ ჰებრეის (XIII ს.) ნათქვამი აქვს, რომ „ართუკ-ბეგმა, რომელიც წარმატებით განაგრძობდა დაპყრობებს სივასის, ტოკატისა და ჭოროხის აუზში, მელიქშაჰის ბრძანებით დატოვა ანატოლია... მის ნაცვლად მოვიდა ემირ დანიშმენდი, რომელმაც თითქმის დაასრულა ამ რაიონში დაპყრობები და ამასიისა და მისი სანახების საზღვრებამდე მივიდა“.²⁷ ბიზანტიური წყაროებიც დაპყრობათა დიდ ნაწილს, რომელსაც, ჩვეულებრივ, დანიშმენდს უკავშირებენ, მელიქ-შაჰის ერთ-ერთ ემირს ართუკს მიაწერს, ხოლო ემირ დანიშმენდს გვიან იხსენებს. ამავე აზრისაა მ.პ. ინანჩიცი²⁸, რასაც, არ იზიარებს ი. მელიქოვი, რომელიც ყურადღებას მიაქცევს უთანხმოებას მელიქ-შაჰსა და ართუკს შორის.²⁹

გვიან იხსენიებს ემირ დანიშმენდს ლათინური წყაროებიც, ჯვაროსანთა პირველ დაშქრობებთან დაკავშირებით – 1096-98 წწ., რაც ბუნებრივია, ვინაიდან მათი ინტერესის საგანი სწორედ ჯვაროსანთა ომებია.

ლეგენდა და საისტორიო წყაროები ერთმანეთს ეთანხმება იმ საკითხში, რომ დანიშმენდმა ერთ-ერთი პირველი დაიპყრო სივასი და გაიხადა ის შტაბ-ბინად. მაგრამ ამ ქალაქის დაპყრობის ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის, ისევე როგორც იმ ტერიტორიის დაპყრობათა დიდი ნაწილის ქრონოლოგია, რომელსაც ემირი 1097 წლისათვის აშეარად ფლობდა. როგორც სიმღერის, ასევე სხვა წყაროების მიხედვით, ემირ დანიშმენდს დაპყრობილი ჰქონდა ყიზილ ირმაკის, იეშილ ირმაკის, ქელქით სუს მიდამოები; ამასია, კონანა, ტოკატი, ნეოკესარია, განგრა, მელიტენა. მას ხარკს უხდიდნენ პონტოსპირეთის ქალაქები. მისი რაზმები ესხმოდნენ სამხრეთ-

აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთს და მისი დაპყრობები არმენიამდე ვრცელდებოდა. ემირ დანიშმენდს რომ ეკუთვნოდა ჩრდილოეთ კაპადოკია ქალაქებით ამასიით და ნეოკესარიით, ამას ადასტურებენ ჯვაროსანთა ომების ისტორიკოსები და ანა კომნენე.³⁰ ევლია ჩელეების ცნობით, დანიშმენდიანებმა ქალაქი ნიკსარი 476 (1083-1084) წელს დაიპყრეს.³¹ ი. მელიქოვის ვარაუდით, ნეოკესარიას თურქი ემირი მხოლოდ ტრაპიზონის გამგებლის თეოდორე გაბრას დაღუპვის (1098 წ.) შემდეგ დაეუფლა. მკვლევრის ვარაუდით, სწორედ ემირ დანიშმენდისაგან იცავდა პონტოს ზღვისპირა ქალაქებს ტრაპიზონის გამგებელი თეოდორე გაბრა, რომელიც თურქებთან ბრძოლაში დაიღუპა.³² მასთანვე აქტიური ბრძოლები ჰქონდათ ტრაპიზონის მომდევნო გამგებლებსაც, რაც კარგად ჩანს ახრიდის არქივისკოპოსის თეოფილაქტეს ტრაპიზონის გამგებელ გრიგოლ ტარონელისათვის მიწერილი წერილებიდან.³³ უკანასკნელის მოკავშირეები იყვნენ სომხები და ქართველები, ხოლო ამ კოალიციის შედეგი კაპადოკიის ქალაქების ხელახალი დაპყრობა იყო. ი. მელიქოვის ვარაუდით, გრიგოლ ტარონელი ტრაპიზონის გამგებლად სწორედ პონტოსპირეთში დანიშმენდზე გამარჯვებისათვის ჯილდოდ დაინიშნა.³⁴ ანა კომნენეს დათარიღებით, გრიგოლ ტარონელი ტრაპიზონის გამგებლად დაინიშნა მე-12 ინდიქტიონს, ე.ი. 1103 წლის სექტემბრიდან 1104 წლის აგვისტომდე.³⁵ 1105 წელს, როდესაც გრიგოლ ტარონელი ბიზანტიის იმპერატორს დაუპირისპირდა, იგი ემირ დანიშმენდის მიმხრობას ცდილობდა, მაგრამ, ვიდრე მის დახმარებას მიიღებდა, ტყვედ ჩავარდა.³⁶

მკვლევართა უმრავლესობა ემირ დანიშმენდის გარდაცვალების თარიღად 1104 წელს მიუთითებს³⁷ სომეხი ავტორის ვარდანის ცნობაზე დაყრდნობით.³⁸ თურქი მეცნიერის ო. თურანის შენიშვნით, აქ დაშვებულია უზუსტობა, სომხური კალენდრის არასწორად გაგების გამო, ხოლო მათეოს ურჰაეცი დანიშმენდის გარდაცვალებას 1105 წლით ათარიღებს.³⁹ ვ. გორდლევესკი მელიქ ლაზის გამგებლობის პერიოდად 1083-1106 წლებს მიიჩნევს.⁴⁰ ოსმალური მონეტების მიხედვით, ეს ფაქტი 20 წლით უფრო ადრე თარიღდება, როგორც პ. კახანოვა უთითებს – 1084 წლით.⁴¹

სხვადასხვა წყარო დინასტიის დამაარსებლის სხვადასხვა სახელს იცნობს. სიმღერის მიხედვით, მისი სახელია აჰმედ ბინ ალი. აჰმედი, როგორც ალფ არსლანის ან მელიქ-შაჰის ერთ-ერთი ემირის სახელი, იხსენიება წყაროებში. ზემოთ ხსენებული თურქი მეცნიერის ი. კაფესოლლუს გარდა,⁴² ამ ფაქტს ყურადღება მიაქცია ვ. გარბუზოვამაც, რომელიც იმოწმებს სათანადო წყაროების ცნობებს და აღნიშნავს, თუ როგორ ესხმოდა ალფ არსლანის ერთ-ერთი ემირი აჰმედი მცირე აზიის მიწებს.⁴³

ი. მელიქოვის აზრით, დანიშმენდიანთა დინასტიის ფუძემდებლის სახელი უცნობია.⁴⁴ აჰმედი მას საექვოდ და ემირის შვილიშვილის სახელის მუჰამედის გავლენით გაჩენილად მიაჩნია. აბუ ჰამიდ მუჰამედ ბ. იბრაჰიმის და, მასზე დაყრდნობით, ჰათეზე აბრუს მიხედვით, დანიშმენდის ისლამური სახელი მუჰამედი, რაც სხვა წყაროების მიხედვით, მის შვილიშვილს ერქვა.⁴⁵ ფრანგულ ენაზე მიხეილ სირიელის თხზულების მთარგმნელი და კომენტატორი ვ. ლანგლუა დინასტიის ფუძემდებელს მუჰამედს უწოდებს, ხოლო მის მეორე სახელად გუმუშ თეგინს მიიჩნევს.⁴⁶ სტ. ლენ-პული დინასტიის დამაარსებელს იხსენიებს მუჰამედ გუმუშ თეგინ ბ. ტილუდ.⁴⁷ ვ. გარბუზოვას შენიშვნით, მკვლევრები უზუსტობას უშვებენ, როდესაც მეტსახელ გუმუშ თეგინს აჰმედის შვილის სახელად მიიჩნევენ. მკვლევარი აიგივებს ემირ დანიშმენდს, აჰმედს და გუმუშ თეგინს და სამივეს ერთ პიროვნებად თვლის.⁴⁸ ემირის შერქმეული სახელი თითქმის ყველა წყაროს მიხედვით დანიშმენდია, რომელიც სხვადასხვა ფორმით გვხვდება – ტანიშმანი, ტანუშმანი, ტანისმანი, ნესმანი, დანისმანი და დონისმანი.⁴⁹ გამონაკლისი არიან არაბი ავტორები იბნ ალ-ასირი და, მასზე დაყრდნობით, აბულ ფიდა, რომლებთანაც ემირის სახელია „გუმუშ თეგინ ბინ ელ-დანიშმენდ ტაილუ“. ო. თურანის შენიშვნით, სელჩუკთა ხანის ყველა თურქი ბეგი ატარებდა თურქულ და ისლამურ სახელს. მისი აზრით, ემირის თურქული სახელია გუმუშ თეგინი, ისლამური – აჰმედი, მამამისის – ტაილუ და ისლამური – ალი, ხოლო ალის მეტსახელი დანიშმენდია (მასწავლებელი).⁵⁰

სომხური წყაროების მიხედვით, ემირ დანიშმენდს 12 შვილი დარჩა. მათი სახელებია — ისმაილი, გუმუშ თეგინი, იალიბასანი, იბრაჰიმი და სხვა. მონეტების და სომეხი ავტორების მიხედვით, ემირ დანიშმენდის მემკვიდრე და შვილი იყო მელიქ ლაზი, აბულ ფიდას და მუნეჯიმ-ბაშის მიხედვით — გუმუშ თეგინი, ჰეზარფენის და ქათიბ ჩელების მიხედვით, რომლებიც მელიქ ლაზის მის შვილში ურევენ — მელიქ ლაზი მუჰამედი.⁵¹

ზოგჯერ დინასტიის ფუძემდებელს მელიქად იხსენიებენ, რაც არ არის სწორი. ფაქტობრივად, მელიქის ტიტული მიენიქა მის შვილს ბაღდადის ხალიფას მიერ 1143-5 წწ., მაგრამ ვინაიდან ხალიფას ელჩებმა მას ცოცხალს ვეღარ ჩაუსწრეს, ტიტული მის შვილს მუჰამედს გადასცეს. თვითონ დანიშმენდი და მისი შვილი მხოლოდ ემირის ტიტულს ატარებდნენ, რასაც მონეტებიც ადასტურებს.⁵²

სომხური წყაროების მიხედვით — მათეოს ურჰაეცი, ვარდან (XII-XIII სს.), ჩამიჩი (XVIII ს.) — ემირ დანიშმენდი სომხური წარმოშობისა იყო, არშაკიდების დინასტიის სამეფო ოჯახიდან, ხოლო ბიზანტიელი კინამოსის ცნობით, იგი პერსარმენიელი იყო. უკანასკნელი, ი. მელიქოვის განმარტებით, მხოლოდ გეოგრაფიული ტერმინია და არა ეთნიკური.⁵³ აღსანიშნავია, რომ კილიჩ არსლანი დანიშმენდისათვის მიწერილ წერილში აღრესატს ასე მიმართავს: „თურქული მოდგმის შვილო, ძმოდ დანიშმენდი“⁵⁴. სომხური წყაროების ცნობები უკრიტიკოდ გაიზიარა მ. ჰ. ინანჩმა. ი. მელიქოვი ემირის თურქმენულ წარმოშობას უჭერს მხარს. თავის დროზე ს. ერემიანმა გამოთქვა ვარაუდი, რომ დანიშმენდიანთა დინასტიის ფუძემდებელია რატი ბაღვაში, ლიპარიტის ძე, ხოლო ბაღვაშები მას სომეხებად მიაჩნია.⁵⁵ აღნიშნული მოსაზრება ემირ დანიშმენდის და რატი ბაღვაშის იგივეობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებული არ არის. კლ. კაენის არგუმენტაციით, რომელსაც ემირი თურქმენად მიაჩნია, არათურქული წარმოშობის პირის ბელადად არჩევა ან გმირად ქცევა ძალზე საეჭვოა, თუნდაც ენობრივი ბარიერის გამო.⁵⁶

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ემირ დანიშმენდის საქმიანობა ჩრდილოეთ კაპადოკიაში და მისი ურთიერთობა ქართველებთან, რის შესახებაც, მართალია, მცირე, მაგრამ დამაჯერებელი მასალა მოიპოვება. ი. მელიქოვის აღნიშვნით, კათალიკოს გრეგუარ II-მ, რომელმაც, მათეოს ურჰაეცის მიხედვით, 1064 წელს გაგიკ ყარსელთან შეაფარა თავი, სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა გოდ ვასილისთან კარმირ ვანქის მონასტერში, ტერიტორიაზე ჭეიპუნსა და ევფრატს შორის, რომელსაც გოდ ვასილი 1082-1112 წწ. ფლობდა. გრეგუარის წასვლის მიზეზად კაპადოკიიდან მკვლევარი იქ ემირ დანიშმენდის დამკვიდრებას მიიჩნევს.⁵⁷

ეხება რა ყარსის საკითხს, კ. იუზბაშიანი აღნიშნავს, რომ 1023-64 წწ. „იქ გაგიკი მართავდა, რომელმაც სელჩუკთა თავდასხმების პირობებშიც დიდხანს შეინარჩუნა ხელისუფლება. მაგრამ 1064 წელს, მას შემდეგ, რაც აღფ-არსლანის ჭარებმა ანისი დაიპყრეს, გაგიკ ყარსელმა თავისი სამეფო ბიზანტიას დაუთმო, თვითონ კი მესოპოტამიაში დასახლდა. ყარსის სამეფო შევიდა ივერიის შემადგენლობაში, რომელმაც იმ დროს ანისი დაკარგა. 1074 წელს ყარსის და თეოდოსიუპოლის-კარინის (არზრუმი – გ. ა.) გამგებელი გრიგოლ ბაკურიანის ძე იყო, რომელმაც ის გიორგი მეფეს გადასცა“.⁵⁸ 1074-1080 წწ. საქართველოს მეფემ კვლავ დაკარგა აღნიშნული ტერიტორია, რომელსაც ემირ აჰმედი დაეუფლა. ეს უკანასკნელი, ვ. გარბუზოვას ვარაუდით,⁵⁹ იგივე ემირ დანიშმენდია. ი. მელიქოვი აღნიშნულ ვარაუდს აღარ განიხილავს და, როგორც აღვნიშნეთ, ეპიკურ რომანში ნაჩვენებ სახელს – აჰმედს ემირის საკუთარ სახელად არ მიიჩნევს, თუმცა კი გაკვირით ახსენებს ქართულ ქრონიკებს, სადაც, მისი აღნიშვნით, არის ცნობები დანიშმენდიანთა დროის მცირე აზიზე.⁶⁰ ო. თურანი გიორგი II-ის დროს საქართველოში შემოჭრილ ამირა აჰმედს, ისევე როგორც ვ. გარბუზოვა, დანიშმენდიანთა დინასტიის ფუძემდებლად მიიჩნევს.⁶¹

ის, რომ დანიშმენდიანებმა თავისი გავლენა საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიებზე გაავრცელეს, კარგად ჩანს ბულგარეთში ახრიდის არქიეპისკოპოსის თეოფილაქტეს 26-ე და 37-ე წერილებიდან ტრაპიზონის გამგებელ გრიგოლ ტარონელისადმი.⁶²

წერილების ავტორი აქებს ადრესატს როგორც დანიშმენდის, ასევე ფრანკების გავლენის შეკვეცისათვის და აღნიშნავს, თუ ვისგან იღებდა ხარკს თურქი ამირა. „... რაც ჩემთვის სულ ახლაბან გადმოუციათ, დიდ პატივისცემად უნდა მითვლილიყო ქვემარტების მოყვარე ყურებისათვის, რომლებიც უცხო არიან ყოველგვარი შურისაგან. დიად, ერთი ძლევით და ძეგლით ორი ერის ამპარტავნება და გულზვიადობა მოგიკვეთია და, ამასთან სპარსული (ე.ი. თურქული – გ. ა.) გონს გადასული სიმაგრე გაფრანგების უმაღლეს საზომად გადაგიქცევია, ვიდრე შენს ძლიერ ისარს განწონა შეეძლო ორი გვარტომისა, უწმინდურის უპატიოსი უფლის წინაშე...“ ამას მოსდევს ცნობები ნესმანზე, ე.ი. დანიშმენდზე, რომ ის „გადასახადის აკრეფას ჩვეული იყო სხვა ბერძნული ყაიდის ქალაქებისაგანაც, რომლებიც პონტოს გარშემო მდებარეობს და ტანაისის დინებით არის გარემოცული და იმით, რაც წინ ეკვრის ფაზისით შემოსაზღვრულ კოლხების მიწას, და აგრეთვე უღელტეხილის ქვეშ მდებარე მცირე არმენიის მიწებით...“ შემდგომ არის ცნობები ტარონელის მონაწილეობაზე ბოჰემუნდის ტყვეობიდან დახსნაში, რომელიც „იმდენად გაამაყებული იყო, რომ ბასილევსის შემდეგ პირველ ადგილს არ სჭერდებოდა“, „ახლა კი ცვილზე უფრო დამთმობი გახდაო“ და სხვა.

მართალია, წერილის ტექსტით მაინც არ ჩანს ზუსტად, თუ სადამდე ვრცელდება დანიშმენდიანთა სამფლობელო, ან რა იგულისხმება ამ შემთხვევაში კოლხეთში, ამასთანავე, სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება ექცევა წყაროში დაშვებულ ზოგიერთ უზუსტობას და გაზვიადებას,⁶⁵ მაგრამ ნათელია, რომ დანიშმენდიანები XII ს-ის დასაწყისში საქართველოს მეზობლები არიან და რომ ასეთი ვითარება კარგა ხანია არსებობს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დანიშმენდიანთა სახელი უცნობი არ არის, მაგრამ მათ შესახებ აქ ძალზე მცირე ინფორმაციაა. დანიშმენდიანები იხსენიებიან ნ. შენგელიას, გ. ფუთურძის, ლ. დავლიანიძის, მ. სვანიძის, გ. ჯაფარიძის ნაშრომებში, უკანასკნელში –

შედარებით ხშირად. ამასთანავე ის სხვაობები, რაც დამახასიათებელია წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურისათვის, აქაც შეინიშნება. თუ გ. ფუთურიძის გამოკვლევაში ემირ დანიშმენდის გამგებლობა 1086 წლამდე გრძელდება, ნ. შენგელიას ერთ-ერთ ნაშრომში დინასტიის ისტორია 1097-1165 წ წ-ში განიხილება.⁶⁴ ლ. დავლიანიძე იმავეს, კ. ბოსვორტის ნაშრომზე დაყრდნობით, 1171 წლით ათარილებს.⁶⁵ მ. სვანიძე დანიშმენდიანთა საამიროს ისტორიას 1067 წლით იწყებს.⁶⁶ გ. ჯაფარიძე აღნიშნავს დანიშმენდიანთა მხრიდან სივასისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის დაუფლებას და ყურადღებას აქცევს მტრულ ურთიერთობას ტრაპიზონის მხარეში გაბატონებულ გაბრას საგვარეულოსთან და რუმის სასულთნოსთან, რომელთანაც დაპირისპირება მოკავშირეობით ჯვაროსანთა საფრთხემ შეცვალა; საუბრობს მათ წარმატებებზე ჯვაროსნებთან ბრძოლაში: „1100 წ. დანიშმენდიანმა მალიქ-ლაზი გუმუშ თეგინმა პირველი გამარჯვება მოიპოვა ანტიოქიის გამგებელზე ბოჰემუნდ ტარენტელზე და დაატყვევა იგი.“ მკვლევარი განსაკუთრებით უსვამს ხაზს მათ სიძლიერეს და იმ ფაქტს, რომ XII ს-ის 40-იან წლებამდე რუმის სასულთნო თამაშობდა დანიშმენდიანთა საამიროს უმცროსი პარტნიორის როლს და წარმოადგენდა ბუფერს ამ საამიროსა და ბიზანტიას შორის“.⁶⁷

რამდენადაც ვიცით, ქართულ ისტორიოგრაფიაში არსად არ მიქცევია ყურადღება იმ ფაქტს, რომ დანიშმენდიანებს ჰქონდათ ურთიერთობა ქართველებსა და საქართველოსთან.

წყაროთა მრავალფეროვან ჩვენებებში, ისევე როგორც გამოკვლევებში გამოთქმულ ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებებში გარკვევა, როგორც ვხედავთ, არც ისე იოლია. მაგრამ განხილული მასალა, ვფიქრობთ, ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმის საფუძველს იძლევა.

XI საუკუნის 70-იანი წლების დასასრულიდან საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით დანიშმენდიანთა თურქული დინასტია გაუმეზობლდა, რომლის ფუძემდებელი თავდაპირველად სელჩუკი სუ-

ლთნების სამსახურში იყო, ხოლო შემდეგ დამოუკიდებლობა მოიპოვა.

დანიშმენდიანთა მიერ დაპყრობილმა ტერიტორიამ მოიცვა ის მიწებიც, რომელსაც განაგებდნენ 1064 წლამდე გაგიკ II, 1074 წელს – გრიგოლ ბაკურიანის ძე, ხოლო შემდეგ, ერთხანს, საქართველოს მეფე გიორგი II.

დავითის ისტორიკოსი ადასტურებს თურქული ეპიკური რომანის „დანიშმენდ-ნამეს“ ცნობას იმის შესახებ, რომ დანიშმენდიანთა დინასტიის დამაარსებელს ერჭვა აჰმედი და რომ მას ჰქონდა ბრძოლები ქართველებთან, ისევე როგორც იმ წყაროთა ჩვენებებს, რომელთა მიხედვითაც დანიშმენდიანთა ემირი აჰმედი უკვე XI საუკუნის 70-იან წლებში აქტიურად იფართოვებდა თავის სამფლობელოს მცირე აზიის ტერიტორიაზე.

¹ ქართლის ცხოვრება („ძველი ქართლის ცხოვრება“) გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ტერმინთა განმარტება დაურთეს აკადემიკოსებმა ილ. ანთელავამ და ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1996, გვ. 243.

² იქვე, გვ. 244.

³ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შერეული, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ყორდანის მიერ, წიგნი პირველი. ტფ., 1897, გვ. 229.

⁴ ი. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, თბზულებანი, II, თბ., 1983.

⁵ ნ. შენგელია, სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1968, გვ. 309.

⁶ იქვე, გვ. 159.

⁷ ვ. კობალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, თბ., 1969.

⁸ М. Д. Лордкипанидзе. История Грузии XI-нач. XIII вв., Тб., 1973, გვ. 84.

⁹ М. Д. Лордкипанидзе. Из истории византийско-грузинских взаимоотношений.- Византийский временник, 40. 1979, გვ. 92-96.

¹⁰ გ. ლორთქიფანიძე, საქართველო XI ს. ბოლოსა და XII ს. პირველ მეოთხედში, დავით IV აღმაშენებელი. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, 1979, გვ. 203.

¹¹ რ. მეტრეველი, დიდნი საქმენი, 1978, გვ. 51-52.

¹² ზ. პაპასკირი, შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე, თბ., 1991, გვ. 42.

¹³ გ. ჩაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII სს-ის პირველ მესამედში, თბ., 1995, გვ. 75-76.

¹⁴ M. H. Yinanç, Danışmendiler. IA III., p. 468-478; I. H. Mordtmann, Danışmendiya – Encyclopaedie des Islam I, Leiden-Leipzig, 1913, გვ. 952-953; I. Melikoff, Danışmendids. The Encyclopaedia of Islam, vol. II, London, 1960, გვ. 110-111; В. А. Горделевский, Избранные сочинения. I. М., 1960, გვ. 52-55; O. Turan, Selçuklar Zamanında Türkiye, 5 Baskı, İstanbul, 1998, გვ. 140-147.

¹⁵ La Geste de Melik Danışmend, par Irene Melikoff.t.I, Paris, 1960, გვ. 92-93.

¹⁶ O. Turan, გვ. 142.

¹⁷ A. Sevim, E. Merçil, Selçuklu Devletleri Tarihi. Siyaset, Teşkilât ve Kültür, 1995, გვ. 411.

¹⁸ გ. ჩაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

¹⁹ В.С. Гарбузова. Сказание о Мелике Данышменде. М., 1959. გვ. 19-29; La Geste, გვ. 71-109.

²⁰ В. Д. Смирнов. Мнимый турецкий султан, именуемый у европейских писателей XVI в. Salerinus Cuyiscelles (К вопросу о происхождении и значении слова «челеби») - Записки Восточного отделения Императорского Русского археологического общества. т. XVIII. вып. IV. С-II. 1908. გვ. 19.

²¹ მზითარ აირივანეცი, ქრონოგრაფიული ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა. თბ., 1990, გვ. 104; В.С. Гарбузова, გვ. 100.

²² O. Turan, გვ. 115.

²³ Chronique de Michel le Grand, Traduite par Victor Langlois, Paris, 1868, გვ. 293.

²⁴ M. H. Yinanç, გვ. 468; ნ. შენგელია, გვ. 281.

²⁵ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ. ნაკვ. I, ქართული თარგმანი, თბ., 1971, გვ. 40. Chronique de Michel le Grand, გვ. 40.

²⁶ M. H. Yinanç, გვ. 469; O. Turan, გვ. 113.

²⁷ ნ. შენგელია. დასახ. ნაშრ., გვ. 281.

²⁸ M. H. Yinanç, გვ. 469.

²⁹ La Geste... გვ. 123.

³⁰ იქვე, გვ. 109; Анна Комнина. Алексиада. Вступительная статья, перевод и комментарий Я. Н. Любарского. М., 1965. გვ. 300, 407.

³¹ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, I. გვ. 184.

³² La Geste... გვ. 110.

³³ Theophylacti Bulgarial Archiepiscopi. Patrologiae Graecae. Tomus 126. I. P. Migne. Turnholti (Belgium), გვ. 410-416; 438-439.

- ³⁴ La Geste ... გვ. 112-116.
- ³⁵ Анна Комнина. Алексиада, გვ.593.
- ³⁶ O. Turan, გვ.146.
- ³⁷ I. H. Mordtmann, გვ.952; La Geste... გვ.119.
- ³⁸ Всеобщая история Вардана Великого. Пер. П. Эмин, М. 1861, გვ. 140
- ³⁹ O. Turan, 146.
- ⁴⁰ В. А. Горделевский. Избранные сочинения, М. . 1960, ст. 54.
- ⁴¹ M. H. Yinanç, გვ.469.
- ⁴² ნ. შენგელია. დასახ. ნაშრ., გვ. 159.
- ⁴³ В. С. Гарбузова, გვ.98.
- ⁴⁴ La Geste... გვ.104, 105.
- ⁴⁵ M. H. Yinanç, გვ.468.
- ⁴⁶ Chronique de Michel le Grand, გვ. 293.
- ⁴⁷ Ст. Лэн-Пуль. Мусульманские династии. СПб. 1899. გვ.129.
- ⁴⁸ В. С. Габузова, გვ.100.
- ⁴⁹ G. Moravesik. Byzantinoturcica, II, Berlin, 1958, გვ. 298; O. Turan, გვ.116.
- ⁵⁰ იქვე, გვ. 117.
- ⁵¹ M. H. Yinanç, გვ.468; I.H. Mordtmann, გვ.952.
- ⁵² Chronique de Michel le Grand, გვ.302. La Geste... გვ.106.
- ⁵³ I. H. Mordtmann, გვ. 952; M. H. Yinanç, გვ.468; La Geste... გვ.73-75.
- ⁵⁴ O. Turan, გვ.144.
- ⁵⁵ С. Т. Ерсемян. Преемники полководца Липарита и вопрос о происхождении рода Дашнмендилов. Изв. АН Арм. ССР № 8 (სომხურ ენაზე).
- ⁵⁶ К. Н. Юзбашян. Армянские государства эпохи Багратидов и Византии IX-XI вв. М., 1988.
- ⁵⁷ La Geste... გვ.109.
- ⁵⁸ К. Н. Юзбашян, გვ.189-190.
- ⁵⁹ В. С. Гарбузова, გვ. 98.
- ⁶⁰ La Geste... გვ.78.
- ⁶¹ O. Turan, გვ.115-116.
- ⁶² Theophylacti, გვ.410-414; 438-439.
- ⁶³ La Geste... გვ.117-118.
- ⁶⁴ ევლია ჩელევის „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. II. გამოკვლევა. კომენტარები გ. ფუთურჩის, თბ., 1973. გვ. 59; ნ. შენგელია, მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს წარმოშობა და ქართული დიპლომატია – ქართული დიპლომატია. V, 1998, გვ. 64.
- ⁶⁵ მხითარ აირივანეცი, გვ. 104.
- ⁶⁶ მ. სვანიძე, ოსმალეთის ისტორია (XIV-XVI სს.). თბ., 1999, გვ. 12.
- ⁶⁷ გ. ჭავჭავაძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო, გვ. 20.

ახლო აღმოსავლური ისტორია

მერაბ ბიკაძე

ქართველი მამლუქების ბრძოლა სირიისათვის XVIII ს-ის
მეორე ნახევარში (ალი ბეი ალ-ქაზირი და
ოსმან ფაშა ალ-ქურჯი)

ქართული წარმოშობის ორი ყოფილი მამლუქი – ალი ბეი ალ-ქაზირი და ოსმან ფაშა ალ-ქურჯი, რომელთაც წლების მანძილზე ხელთ ეპყრათ ოსმალეთის იმპერიის ორი არაბული პროვინცია – ეგვიპტე და სირია, XVIII ს. მეორე ნახევარში ერთმანეთს სირიის სარბიელზე დაუპირისპირდა. ეს კონფლიქტი განპირობებული იყო როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური მიზეზებით.

ალი ბეისა და ოსმან ფაშას მეტოქეობა დაიწყო ჯერ კიდევ 1764 წელს „დიდი ჰაჯის“ დროს ჰიჯაზში, სადაც, ამირ-ულ-ჰაჯის უფლებებით აღქურვილნი, ისინი მეთაურობდნენ იმპერიის ორ დიდ ქარავანს, ერთი ეგვიპტისას – ალი ბეი, ხოლო მეორე სირიისას – ოსმან ფაშა¹. განხეთქილების კონკრეტული მიზეზი უცნობია, მაგრამ ერთი კი შეიძლება გარკვევით ითქვას: ოსმალეთის ამ ორი დიდი მოხელის პირადი ამბიციები და პოლიტიკური მიზნები ურთიერთშეუთავსებელი აღმოჩნდა. ოსმან ფაშა ინტუიციით გრძობდა ეგვიპტიდან საფრთხის მოახლოებას და ყოველმხრივ ცდილობდა წაეჭებებინა ალი ბეის მეტოქეები. როცა დევნილი ალი ბეი იძულებული გახდა 1766 წ. ღაზაში გაქცეულიყო, ოსმან ფაშამ უბრძანა ღაზის მუთასალიმს იბრაჰიმ ალას, გაეძევებინა იგი. მას შემდეგ რაც 1767-69 წწ. ალი ბეიმ დაამარცხა მეტოქეები, გახდა ეგვიპტის კაიმაკამი და შეიხ-ულ-ბალადი,² მან დაბეჯითებით მოსთხოვა სულთანს ოსმან ფაშას გადაყენება⁴, მაგრამ მის თხოვნას შედეგი არ მოჰყოლია. სტამბოლიდან მიღებული ბრძანების შესაბამისად, ალი ბეიმ, თავისი ყოფილი მამლუქის მუჰამედ ბეი აბუ-ლ-ხაჰბის მეთაურობით, ძლიერი რაზმი გაგზავნა ჰიჯაზში⁵ და ჩიდაც დაიკავა, რის შემდეგ სირიის საკითხი მისთვის უფრო აქტუა-

ლური გახდა, ხოლო ოსმან ფაშასთან ანგარიშის გასწორების პერ-სპექტივა მკაფიოდ გამოიკვეთა⁶.

სირიის ექსპედიციისათვის დრო მოხერხებულად იქნა შერ-ჩეული: 1768 წ. დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ხანგრძლივი ომი, რომელიც სულთანს საშუალებას არ აძლევდა სათანადო ყურად-ღება დაეთმო სირიისა და ეგვიპტისათვის⁷. ამასთან ერთად, ალი ბეი იმედოვნებდა, რომ ოსმანის მოწინააღმდეგე პალესტინელი შე-იხი ზაჰირ ალ-უმარი მისი მოკავშირე იქნებოდა, რაც გაუადვილე-ბდა ბრძოლას ოსმან ფაშასთან. 1770 წ. ოსმანის შვილის, დერვიშ ფაშას დანიშვნამ საიდის გამგებლად აიძულა ზაჰირ ალ-უმარი წასულიყო მკიდრო თანამშრომლობაზე ალი ბეისთან, თუმცა, არ-სებულები ცნობების თანახმად, მათ ურთიერთობა ადრეც ჰქონიათ⁸.

ალი ბეის ინტერვენცია სირიაში დაიწყო 1770 წლის ნოემბერ-ში, როცა ღაზის მიმართულებით გაიგზავნა მამლუქთა რაზმი, რომელსაც დაზვერვა და წინასწარი საკომუნიკაციო მოსამზად-ებელი სამუშაოები ევალებოდა. მალე ისმაილ ბეის მეთაურობით კაიროდან გავიდა 15-20 ათასი მამლუქი, ხოლო დამიეტიდან პალ-ესტინის ნაპირებისაკენ საზღვაო გზით გაემართა მეორე რაზმი. მამლუქებმა წინააღმდეგობის გარეშე დაიკავეს ქალაქები ღაზა და არ-რამლა. ახალ ხელისუფალთა განცხადებას იმის შესახებ, რომ ოთხი წლით გაუქმდებოდა მირის გადასახადი, მოსახლეობა კმაყო-ფილებით შეხვდა⁹.

უნდა აღინიშნოს, რომ ალი ბეი და მისი მამლუქი სარდლები სირიაში ლაშქრობას ხსნიდნენ არა ტერიტორიული პრეტენზიე-ბით ან სულთანს — ხალიფასთან დაპირისპირებით, არამედ „მო-ძალადე ოსმან ფაშას“ განდევნისა და სირიაში სამართლიანობის აღდგენის აუცილებლობით¹⁰. შესაძლებელია, ალი ბეის ჰქონდა ინფორმაცია იმ უკმაყოფილებების შესახებ, რომელიც ოსმანის ფისკალური მოხელეების საქმიანობით იყო გამოწვეული, განსა-კუთრებით ვიალეთის განაპირა რეგიონში. ამგვარად, ეგვიპტელი შეიხ-ულ-ბალადის მიზანი, აღედგინა სირია-ეგვიპტის მამლუქთა სასულთნო, ლაშქრობის პირველი დღეებიდან მოკიდებული გულ-მოდგინედ ინიღბებოდა.¹¹

ოსმან ფაშა, რომელიც იათაში იმყოფებოდა, ცდილობდა თავ-
დაცვითი ღონისძიებების გატარებას. მან შეძლო მამლუქთა მოწი-
ნავე რაზმის განადგურება, მაგრამ მისი მდგომარეობა გაუარესდა
მას შემდეგ, რაც მამლუქებს ზაჰირ ალ-უმარის რაზმები შეუერ-
თდნენ. ოსმანმა გადაწყვიტა დამასკოში დაბრუნებულყო, რის
შემდეგაც იათა ისმაილ ბეის ხელში გადავიდა. ალი ბეის მიერ გაგ-
ზავნილ რაზმებს ახლა საშუალება მიეცათ გადასულიყვნენ ხმე-
ლეთზე როგორც აქქაში, ისე იათაში¹². მიუხედავად ამისა, დეკემ-
ბრის მეორე ნახევრიდან მოკიდებული თებერვლის დამდეგამდე ის-
მაილ ბეის აქტიური საომარი მოქმედება არ დაუწყია, რაც რიგი
ფაქტორებით იყო განპირობებული. ამ ფაქტორების გათვალისწი-
ნებით შეიძლება აეხსნათ სირიაში ეგვიპტელი მამლუქების საბო-
ლოო წარუმატებლობის ნამდვილი მიზეზი.

სირიაში შეჭრილი მამლუქების წარმატება თავიდანვე ბევრად
იყო დამოკიდებული ზაჰირ ალ-უმარზე, მაგრამ პალესტინის ყველა
ბედუინი ტომი არ უქერდა მას მხარს. ოსმან ფაშას ერთგული რჩე-
ბოდა იერუსალიმიც. ავადმყოფობის გამო ზაჰირ ალ-უმარის დაბ-
რუნებას აქქაში არ შეუფერხებია მისი რაზმების თანამშრომლობა
ეგვიპტელებთან, მაგრამ დამასკოს წინააღმდეგ გამიზნული ლაშ-
ქრობა დროებით შეჩერდა. მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ის-
მაილ ბეის პირადი ურთიერთობა ზაჰირთან, ისევე როგორც
საერთოდ მამლუქების დამოკიდებულება ბედუინებთან, არ იყო
მეგობრული. ამავე დროს, ეგვიპტელების ექსპანსია სირიაში დაემ-
თხვა „დიდი ჰაჯის“ დაწყებას. ოსმან ფაშა, როგორც დამასკოს ვა-
ლი, ამირ-ულ-ჰაჯის მოვალეობას ასრულებდა და სათავეში ედგა
პილიგრიმთა დიდ ქარავანს¹³. დამასკოს დაკავება მაშინ, როცა ოს-
მან ფაშა იქ არ იმყოფებოდა, მოკავშირეებმა ვერ შეძლეს, ხოლო
პილიგრიმთა ქარავნის ხელყოფა უდიდეს დანაშაულად იქნებოდა
მიჩნეული მორწმუნეთა მიერ. ისმაილ ბეი და ზაჰირ ალ-უმარი
საბოლოოდ მაინც ვერ შეთანხმდნენ იმის თაობაზე, როდის
შეეცდით დამასკოსათვის – ჰაჯის დაწყებამდე, თუ მის შემდეგ.
ცნობამ იმის შესახებ, რომ სულთნის ბრძანებით დამასკოში უნდა
მოსულიყვნენ ოსმალთა რაზმები,¹⁴ ასევე შეცვალა მოკავშირეთა

განწყობილება. გარდა ამისა, ისმაილ ბეი აყოვნებდა დამასკოზე შეტევას იმ იმედით, რომ ოსმან ფაშას გაძევებას ხელს შეუწყობდა წერილი, რომელიც ალი ბეიმ გაუგზავნა დამასკოელებს და რომელშიც „დასაბუთებული“ იყო ოსმანის „უსამართლობა“ და განდევნის აუცილებლობა.¹⁵ აღნიშნული წერილი გადაეცა დამასკოს მუფთის ალი ალ-მურადის, მაგრამ მას სათანადო შედეგი არ მოჰყვა. ასეთ ვითარებაში, ისმაილ ბეიმ გადაწყვიტა ეგვიპტიდან ახალი რაზმების მოსვლამდე დამასკოს გარეუბან მუზაირიბიდან უკან დაეხია. ზაპირი საფედის რაიონში დაბრუნდა, ხოლო ისმაილი ნაბულუსისაკენ გაემართა. მიუხედავად იმისა, რომ, ალი ბეის ბრძანებით, 1771 წლის მარტში სირიაში კიდევ გაიგზავნა 400 კაცისგან შემდგარი რაზმი დამასკოს გარეუბნისა და პილიგრიმებზე კონტროლის გასაძლიერებლად,¹⁶ ოსმან ფაშას ჰიჯაზიდან დაბრუნებამდე მამლუქთა თავდასხმა დამასკოზე ვერ განხორციელდა.

1771 წლის 19 აპრილს კაიროდან სირიისაკენ დაიძრა მამლუქთა დიდი რაზმი ალი ბეის გამოცდილი სარდლის მუჰამედ აბულ-ზაჰაბის მეთაურობით. 17 მაისს ის უკვე არ-რამლაში იყო და შეეძლო შეერთებოდა ისმაილ ბეის და ზაპირ ალ-უმარის რაზმებს. მოკავშირეთა შორის აღმოჩნდნენ ლიბანიდან მოსული შიიტებიც (მათაფილა) შეიხ ნასიფის მეთაურობით. ეგვიპტიდან დამხმარე რაზმის მოსვლამ მნიშვნელოვნად შეასუსტა ზაპირ ალ-უმარის გავლენა და ამის შემდეგ ინიციატივა მთლიანად მამლუქთა ხელში გადავიდა. ლაშქრობას დამასკოს წინააღმდეგ სათავეში ჩაუდგა აბულ-ზაჰაბი, რომელსაც ჰიჯაზის ექსპედიციის შემდეგ საკმაოდ დიდი ავტორიტეტი ჰქონდა.¹⁷ ოსმან ფაშას განდევნის სურვილი კვლავ აერთიანებდა მამლუქებსა და ზაპირ ალ-უმარს, ხოლო ლიბანელი შიიტების მიზანი — ხელში ჩაეგდოთ საიდა, ახლა სავსებით რეალური ჩანდა. ბედუინები და ლიბანელები იცნობდნენ ადგილობრივ პირობებს და კარგ სამსახურს უწყევდნენ ეგვიპტელებს, რომლებიც თავის მხრივ კარგად იყვნენ მომზადებული და აღქურვილი, განსაკუთრებით არტილერიით. მამლუქთა გვერდით იდგნენ ალი ბეის მიერ გამოგზავნილი დაქირავებული რაზმებიც (მაგ., მალარია), რომლებიც საიმედონი არასოდეს არ ყოფილან, მაგრამ

სირიის ტერიტორიაზე იძულებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ მამ-
ლუქებისათვის და აბუ-ლ-ზაჰაბის ბრძანება შეესრულებინათ. ამ-
გვარად, ოსმან ფაშას მოწინააღმდეგე საკმაოდ რთულ კონგლო-
მერატს წარმოადგენდა, მაგრამ მაინც ერთიანი და საშიში იყო.

სულ სხვა მდგომარეობას ვხედავთ ოსმან ფაშას ბანაკში. მოახ-
ლოებულმა საფრთხემ წარმოაჩინა ყველა ის პრობლემა, რომელიც
აქამდე დამასკოს ვალის ენერგიული საქმიანობის შედეგად თითქოს
გადაწყვეტილი ჩანდა. იანიჩართა რაზმები ერთმანეთს დაუპირის-
პირდნენ და, ფაქტობრივად, უარი თქვეს აქტიურ თავდაცვით
ბრძოლაზე. იერლია (ადგილობრივი იანიჩრები), რომელიც ყოველ-
თვის აქტიურად მონაწილეობდა შინაფრაქციულ შეტაკებებში,
მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე ზრუნავდა, ხოლო კაფი კულუს
იანიჩრები, რომლებიც ხელისუფლების დასაყრდენს წარმოად-
გენდნენ, თავიანთ მოვალეობად მხოლოდ ციტადელისა და ქალაქის
ზოგიერთი სტრატეგიული პუნქტის დაცვას მიიჩნევდნენ¹⁸. მორჩი-
ლებიდან გამოვიდნენ დაქირავებული რაზმებიც (მაღარიბა, დალა-
თია, ლევანდი), რომლებიც მხოლოდ მატერიალური ანაზღაურე-
ბით იყვნენ დაინტერესებული, მაღალი საბრძოლო თვისებებით და
დისციპლინით არ გამოირჩეოდნენ და დამასკოს ვალის ნდობით არ
სარგებლობდნენ.¹⁹ მართალია, დამასკოში თავმოყრილი რაზმების
რაოდენობა 18 ათასს აღწევდა, მაგრამ ოსმან ფაშამ ვერ შეძლო
მათი ერთ ძალად გაერთიანება, ხოლო ქილლისიდან, ჰალეებიდან,
ანტიოქიიდან და აინთაბიდან მოსულმა რაზმებმა მდგომარეობა
ვერ შეცვალეს. მრავალი მათგანი უკან გაბრუნდა მას შემდეგ, რაც
ცნობილი გახდა ევკვატელების ღაზაში შესვლის შესახებ,²⁰ ხოლო
დანარჩენების შენახვა ქალაქის მოსახლეობას დააწვა ზურგზე, რაც,
ბუნებრივია, მის უკმაყოფილებას იწვევდა.²¹

1771 წლის 1 ივნისს აბუ-ლ-ზაჰაბმა წერილი გაუგზავნა ოსმან
ფაშას, რომელშიც ულტიმატუმის ფორმით მოსთხოვა ქალაქის
დატოვება იმ მოტივით, რომ ალი ბეიმ დამასკო მას, ე.ი. აბუ-ლ-
ზაჰაბს გადასცა. პროფ. აბდ-ალ-ქარიმ რაფიკი შენიშნავს, რომ „ეს
იყო პირველი გამომჟღავნება ალი ბეის ექსპანსიონისტური პოლი-
ტიკისა, როცა იგი გასცდა თავის ადრინდელ მოთხოვნას ოსმან ფა-

მას განდევნის საკითხთან დაკავშირებით“.²² წერილი დამასკოს ვა-
ლიმ სტამბოლს გადაუგზავნა, ხოლო თავად სცადა აბუ-ლ-ზაჰაბის
შეჩერება დარაიასთან, მაგრამ მარცხი განიცადა. ამის შემდეგ, მის
საშველად მოსული რაზმები დაიფანტნენ, ხოლო თავად ოსმანი,
რომელიც ერთხანს ქალაქგარეთ იდგა, ჰიმსისაკენ გაემართა.²³

მიუხედავად ოსმან ფაშას წასვლისა, დამასკოს მოსახლეობა
კვლავ ცდილობდა წინააღმდეგობის გაწევას. ეგვიპტელებმა შეძ-
ლეს შეჭრილიყვნენ კუბაიბას და მაიდანის უბნებში,²⁴ მაგრამ ბაბ
აღ-ჯაბიას რაიონიდან დამასკოელებმა ისინი განდევნეს, რის შემ-
დეგაც საჭირო გახდა ახალი იერიში. შეიქმნა სისხლისღვრის სა-
შიშროება, ეს კი არც ეგვიპტელებს და არც დამასკოელებს არ
აწყობდათ. ასეთ ვითარებაში ორივე მხარემ გადადგა ნაბიჯი კონ-
ფლიქტის მოსაგვარებლად მოლაპარაკების გზით. დამასკოდან მო-
სულ დეპუტაციას აბუ-ლ-ზაჰაბმა განუცხადა, რომ „იგი მორ-
ჩილებდა ღმერთსა და სულთანს, რომ მას არ სურდა დამასკოს
აოხრება“.²⁵ მას შემდეგ, რაც 24 საფარს (8 ივნისს) ქალაქში საჯა-
როდ წაიკითხეს აბუ-ლ-ზაჰაბის მიერ წერილობითი სახით გაცე-
მული უშიშროების გარანტიის ტექსტი, ეგვიპტელი მამლუქები
ქალაქში შევიდნენ.²⁶

მიუხედავად მიღწეული წარმატებისა, მალე ნათელი გახდა,
რომ აბუ-ლ-ზაჰაბის გამარჯვება არ იყო სრული, ვინაიდან კაფი
კულუს რაზმი, რომელიც დამასკოს ციტადელში გამაგრდა მუსტა-
ფა აღას მეთაურობით, არ აპირებდა ციხის ჩაბარებას. არტილე-
რიის გამოყენებამ ქალაქის მჭიდროდ დასახლებულ უბანში შედეგი
არ გამოიღო. გარდა ამისა, საფრთხე შეექმნა ომაიანთა მეჩეთს,
რაზედაც მამლუქთა სარდალს დამასკოელმა აღიმებმაც მიუ-
თითეს. მოსახლეობის უკმაყოფილების თავიდან ასაცილებლად
აბუ-ლ-ზაჰაბმა ბრძანა შეეწყვიტათ არტილერიის მოქმედება.²⁷ ის
ფაქტი, რომ ეგვიპტელთა სარდალი დამასკოს ხაზინის მდგომარე-
ობით და ფისკალური საკითხებითაც დაინტერესდა, მიუთითებს
მის თავდაპირველ სურვილზე დარჩენილიყო სირიაში, მით უმეტეს,
რომ სამხედრო ძალით გაძევების საფრთხე მას ჯერ კიდევ არ
ემუქრებოდა. ამიტომ, მამლუქების წასვლა დამასკოდან 1771 წლის

18 ივნისს (1185 წ. რაბი I), ე.ი. ქალაქის დაკავებიდან სულ ათი დღის შემდეგ ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა.²⁸

ჩვენ აქ არ შევუდგებით იმ ავტორთა შეხედულებების ანალიზს, რომლებიც ცდილობდნენ აეხსნათ მამლუქთა ეს მართლაც, ერთი შეხედვით უცნაური გადაწყვეტილება, თუმცა თითოეულ მათგანში არის გარკვეული სიმართლე. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ აბუ-ლ-ზაჰაბის უკუქცევა სირიიდან, უპირველეს ყოვლისა, არსებული პოლიტიკური ვითარების სწორ და ადეკვატურ შეფასებასთან იყო დაკავშირებული. სირიის სამხედრო ექსპედიციის დროს აბუ-ლ-ზაჰაბი მამლუქთა შორის ძალიან მაღალი რეპუტაციით სარგებლობდა, რაც მას ალი ბეის პოტენციურ მეტოქედ ხდიდა. ექვი არაა, რომ სირიაში ეგვიპტის შეიხ-ულ-ბალადის ვასალის მდგომარეობა მისთვის ნაკლებად პერსპექტიული ჩანდა, ვინაიდან დამასკოს დაკავება სრულიადაც არ ნიშნავდა კონტროლს მთელ სირიაზე. ამასთან ერთად, აბუ-ლ-ზაჰაბი ითვალისწინებდა სტამბოლიდან მოსალოდნელ საფრთხეს, რაც სავსებით რეალური გახდებოდა რუსეთ-ოსმალეთის ომის დამთავრების შემდეგ. ოსმალეთის ხელისუფალთა წარმომადგენლებთან არსებულმა კონტაქტებმა იგი დაარწმუნა, რომ მისთვის უფრო მომგებიანი იქნებოდა ეგვიპტის მართვა სულთნის ერთგული ვასალის რანგით, ვიდრე სირიაში დარჩენა მეამბოხე მამლუქი სარდლის მდგომარეობაში. ეგვიპტისაკენ გაბრუნებული აბუ-ლ-ზაჰაბი ქალაქ არ-რამლაში შეხვდა იერუსალიმის მუფთის, რომელსაც განუცხადა, რომ სირიაში ლაშქრობა უგუნურება იყო და მასში ბრალი მიუძღოდა ალი ბეის. იგი სიმხდალეს სწამებდა ოსმან ფაშას, ხოლო თავის მოკავშირე ზაჰირ ალ-უმარს გაიძვერად მიიჩნევდა.²⁹ გამოცდილი ეგვიპტელი სარდალი მშვენივრად ხედავდა, რომ სირიელი მოკავშირეები არასაიმედონი იყვნენ, ვინაიდან მათ საკუთარი, აშკარად სეპარატისტული მიზნები ამოქმედებდათ, რაც სრულიად უპერსპექტივოდ ხდიდა სირია-ეგვიპტის გაერთიანებას. რაც შეეხება აბუ-ლ-ზაჰაბის დაპირისპირებას ალი ბეისთან, ეს იყო ჩვეულებრივი მოვლენა, დამახასიათებელი მამლუქთა პოლიტიკური სისტემისათვის და არ

შეიძლება შეფასდეს ეპოქისა და არსებული რეჟიმის ხასიათის გაუ-
თვალისწინებლად.³⁰

ეგვიპტელების წასვლის შემდეგ ოსმან ფაშა დამასკოში დაბ-
რუნდა იმავე წლის 26 ივნისს (რაბი 1 -),³¹ ხოლო პირველ აგვის-
ტოს (რაბი 11) სულთნის „ხატი შერიფით“ მას გამოეცხადა მად-
ლობა და ებოძა „საპატიო ხალათი“ აგრესორებთან გამოჩენილი
სიმამაცისათვის. სულთნის მადლობა დაიმსახურეს აგრეთვე დამ-
ასკოელებმა („აჟლად აშ-შამ“) და განსაკუთრებით მუფთიმ.³² ოს-
მან ფაშა და მისი შვილები მუჰამედი და დერვიში აღდგენილ იქნენ,
შესაბამისად, ტრიპოლის და საიდის გამგებლებად, რაც საშუალებას
აძლევდა ოსმანს ენერგიული ზომები მიეღო ხელისუფლების
განმტკიცებისათვის, უპირველეს ყოვლისა, დამასკოში. ადგილო-
ბრივ იანიჩართა ალა იუსუფ იბნ ჯაბრი, რომელსაც ბრალად ედებოდა
ოსმანის ღალატი და, ამასთან ერთად, არაპოპულარულიც
იყო დამასკოელებში, სიკვდილით იქნა დასჯილი.³³ ამით ოსმან ფა-
შამ გზიდან ჩამოიშორა საშიში მეტოქე, რომლის ქონების კონ-
ფისკაცია მას ხელს აძლევდა სახსრების უკიდურესი ნაკლებობის
გამო.³⁴ ოსმანმა თავის საიმედო პირებს ჩააბარა ბიკაა და კუნეი-
ტრა, მაგრამ გადაუქრელი დარჩა მთლიანად ლიბანისა და პალეს-
ტინის საკითხი. ზაჰირ ალ-უმარი, რომელიც კვლავ სარგებლობდა
ალი ბეის მხარდაჭერით, კონტროლს უწყევდა იათას და ცდილობდა
ოსმანის მოკავშირე ლიბანელი ამირა იუსუფის განდევნას, რისთ-
ვისაც მოხერხებულად იყენებდა მის ბიძას ამირა მანსურს. ოსმანის
მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ სირიაში პოლიტიკური
ძალების მანამდე არსებული თანაფარდობის დარღვევით ისარგე-
ბლეს ბედუინებმა და ზოგიერთმა დაქირავებულმა რაზმებმა. მათ
თავისი კონტროლი დააწესეს გზებზე და ამგვარად შეაფერხეს სავა-
ქრო საქმიანობა. ანარქიისა და განუკითხაობის პირობებში, მოსა-
ხლეობის მდგომარეობა უარესდებოდა, რაც მის უკმაყოფილებას
იწვევდა და საფრთხეს უქმნიდა დამასკოს ვალის სამზადისს ჰაჯის
ჩატარებისათვის, რასაც ოსმანი თავის მომავალ ბედს უკავშირე-
ბდა. ყოველივე ეს აიძულებდა მას მიეღო სასწრაფო ზომები. უპირ-
ველეს ყოვლის, ზაჰირ ალ-უმარის წინააღმდეგ.

1771 წლის 2 სექტემბერს (1185 წ. 22 ჯუმადა I), პალესტინაში, ჰულას ტბასთან მოხდა დიდი შეტაკება ზაჰირ ალ-უმარის და ოსმან ფაშას რაზმებს შორის, რომელიც ზაჰირის სრული გამარჯვებით დამთავრდა.³⁵ ოთხი დღის შემდეგ ოსმან ფაშა დამასკოში დაბრუნდა, მოიწვია დივანი და აცნობა მას შექმნილი მდგომარეობის შესახებ. დივანზე ოსმანი იძულებული გახდა მიეღო მისთვის არახელსაყრელი გადაწყვეტილება, კერძოდ, ეცნობებინა სულთნისთვის შექმნილი ვითარების შესახებ, რისი გამოსწორებაც მას შეეძლო მხოლოდ ახალი საიმედო რაზმებისა და ფულადი დახმარების მიღების შემთხვევაში.³⁶ რუსეთთან ომით დაკავებულ სულთანს დამასკოდან ასეთი ინფორმაციის მიღება, ბუნებრივია, ოსმანისადმი კეთილად ვერ განაწყობდა.

1771 წლის გვიან შემოდგომაზე ოსმანის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 20 ოქტომბერს ნაბატიასთან შეტაკებისას მისმა მოკავშირე ამირა იუსუფმა მარცხი განიცადა თავისი მეტოქე მათავილას რაზმებისაგან, რომელთაც ზურგს უმაგრებდა ზაჰირ ალ-უმარი. 23 ოქტომბერს ზაჰირისა და მათავილას გაერთიანებულმა რაზმებმა დაიკავეს სიდონი (საიდა), რომელიც დერვიშ ფაშამ აღრევე დატოვა. ამ დროს სირიის ასპარეზზე კვლავ გამოჩნდა ალი ბეი, რომლის რაზმები შევიდნენ ლაზაში, არ-რამლასა და იაფაში.³⁷ საკუთრივ ეგვიპტეში ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული ბრძოლა აბუ-ლ-ზაჰაბსა და ალი ბეის შორის (1772 წ. იანვრამდე), რაც მამლუქთა ბელადს სირიის საქმეებში აქტიური ჩარევის საშუალებას აძლევდა³⁸.

1771 წლის 22 ოქტომბერს (1185 წ. 13 რაჯაბს) დამასკოში მოვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ ოსმან ფაშას ნაცვლად დამასკოს ვალიდ დანიშნა მუჰამედ ფაშა ალ-აზმი, ხოლო მუთასალიმი გახდა მუსტაფა ალა.³⁹ რა თქმა უნდა, სტამბოლის ასეთი აღმინისტრაციული მანიპულაცია თავისთავად განსაკუთრებულ მოვლენას არ წარმოადგენდა, მაგრამ ამ შემთხვევაში საყურადღებოა ის, რომ ოსმან ფაშა ალ-ქურჯისა და მისი შვილების კარიერა ამით არ დამთავრებულა: ოსმანი გადაიყვანეს კონიის⁴⁰ გამგებლად, ხოლო მის შვილს მუჰამედს მოსულის საფაშო გადაეცა.⁴¹ მართალია, იმ მდგ-

ომარეობას, როცა დამასკოს ვალის თანამდებობაზე ყოფნისას ოსმანი კონტროლს უწევდა თითქმის მთელ სირიას, მისი ახალი სტატუსი არ შეეფერებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ოსმან ფაშა და მისი შვილები საბოლოოდ მაინც არ ყოფილან კომპრომეტირებულნი. ამის დამადასტურებელია ისიც, რომ 1783 წ. ოსმანის შვილი მუჰამედი დამასკოს ვალიდ დაინიშნა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ იმავე წელს ეს მაღალი თანამდებობა დაიკავა ოსმანის მეორე ვაჟმა დერვიშ ფაშამ (1783-1785).⁴² შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ოსმან ფაშას ოჯახის გაწვევით სირიიდან სულთანი ცდილობდა განემუხტა დაძაბულობა ამ მშფოთვარე რეგიონში. ამასთან დაკავშირებით დაისმის კითხვა: რატომ არ იქნა მიღებული ასეთი გადაწყვეტილება უფრო ადრე, თუნდაც ზაჰირ ალ-უმარის ან ალი ბეის დასაშოშმინებლად?

უნდა ვიფიქროთ, რომ ავტორიტეტული და გამოცდილი ოსმან ფაშას გადაყენება სტამბოლს არ მიაჩნდა მიზანშეწონილად მაშინ, როცა ალი ბეისა და ზაჰირ ალ-უმარის ამბიციები კარგად იყო ცნობილი. დათმობა ამ საკითხში ნიშნავდა იმპერიისათვის საშიში პირების წახალისებას, რაც არალოგიკური იქნებოდა. პირიქით, ალი ბეისა და ზაჰირის წინააღმდეგ ხელისუფლება სწორედ დამასკოს ძლიერი ვალის გამოყენებას ცდილობდა, ვიდრე ეს შესაძლებელი იყო. ასეთი პოლიტიკური ორიენტაციის დამადასტურებელია ის მოვლენები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ოსმან ფაშას სირიიდან გაწვევის შემდეგ. კერძოდ, ალი ბეი ეგვიპტიდან გაძევებულ და მოკლულ იქნა მუჰამედ ბეი აბუ-ლ-ზაჰაბის მიერ⁴³, ხოლო ზაჰირ ალ-უმარი ოსმალეთთან ბრძოლას გადაჰყვა 1775 წელს.

მიუხედავად იმისა, რომ სირიაში წარმოქმნილმა კონფლიქტმა წარმოაჩინა ოსმალური რეჟიმის სუსტი მხარეები, ორი არაბული ჯგუფის გაერთიანება და მამლუქთა სასულთნოს აღდგენა შეუძლებელი აღმოჩნდა. ყოფილი ქართველი მამლუქების ორგანიზატორული უნარი და ენერგია ძირითადად პირადი ამბიციებით საზრდოობდა და, ამგვარად, გადამწყვეტ მომენტში ხელისუფლების მიერ მართვადი ხდებოდა. ოსმალური რეჟიმი სირიაში ჯერ კიდევ

სიცოცხლისუნარიანი იყო, რაც 1771 წლის მოვლენებმაც დაადასტურა.

¹ ალი ბეი ალ-ქაბირი ჩვენს ისტორიოგრაფიაში კარგადაა ცნობილი და მისი ქართული წარმოშობა დადგენილად ითვლება. იხ.: დ. ჭანელიძე, ბ. სილაგაძე, ქართველი მამლუქები ეგვიპტესა და ერაყში, თბ., 1967, გვ. 46-79; ალ. მენთე-შაშვილი, ალი ბეი ალ-ქაბირი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, I, თბ., 1975, გვ. 308. ეს თვალსაზრისი სათანადოდ ვერ აისახა უცხოურ სპეციალურ ლიტერატურაში. მკვლევართა დიდი ნაწილი ალი ბეის „ჩერქეზად“, „კავკასიელად“, ხოლო ზოგიერთი „ანატოლიელი ბერძენი მღვდლის შვილად“ მიიჩნევს, რაც ძირითადად ს. ლუზინიანის და სხვათა ცნობებს ეყრდნობა. იხ.: David Ayalon, the Circassians in the Mamlūk Kingdom. — Journal of the American Oriental Society, Vol. 69, №3, New Haven გვ. 136-138; G. Wiet, Ali Bey. — The Encyclopaedia of Islam, Vol. I, N. ed., 1960, Leiden - London, გვ. 391; P. J. Vatikiotis, The History of Egypt, Sec. edit., Baltimore, 1980, გვ. 32. ალი ბეისა და ქართველი მამლუქების შესახებ ვრცელი ბიბლიოგრაფია წარმოდგენილი აქვს ბ. სილაგაძეს: ს. ლუზინიანი, ოსმალეთის პორტას წინააღმდეგ ალი ბეის აჯანყების ისტორია. ინგლისურ ტექსტს შესავალი წაუშლევარა, ქართული თარგმანი და შენიშვნები დაურთო ბენიამინ სილაგაძემ, თბ., 1973, გვ. 6-27. რაც შეეხება ოსმან ფაშას, მისი ქართული წარმოშობა ეჭვს არ იწვევს. იხ.: მ. ტიკაძე, ქართველი მამლუქი სირიის პოლიტიკურ სარბიელზე (ოსმან ფაშა ალ-ქუჯი. 1760-1771წწ.). — ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 7, მთ. რედაქტორი როინ მეტრეველი, თბ., 2000, გვ. 79-89.

² P.M. Holt, The "Cloud-catcher": Ali Bey the Great of Egypt. — History Today, Vol. IX, №1, January, L., 1959, გვ. 52; Abd al-Rahmān al-Jabarti, Ajāib al-athar fi-l tarajim wa-l-akhbar, I, Bulaq, 1297/1879-80, გვ. 253.

³ ალი ბეის შეიხ-ულ-ბალადის თანამდებობაზე პირველი აღზევების თარიღი მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. უფრო სარწმუნოდაა მიჩნეული ალ-ჯაბართის თარიღი -1760 წელი, რომელიც ემთხვევა ოსმან ფაშა ალ-ქურჯის დამასკოს ვალიდ (გამგებლად) დანიშვნის თარიღს. იხ.: Abdul-Karim Rafeq, The Province of Damascus, 1723-1783, Beirut, გვ. 234; John W. Livingston, The rise of Shaykh al-Balad Alī Bey al-Kabīr: A Study in the accuracy of the chronicle of al-Jabarti. — Bulletin of the School of Oriental and African Studies, University of London, Vol. XXXIII, part 2, 1970, გვ. 283-284.

⁴ სულთანთან გასაგზავნი წერილის შედგენა ალი ბეიმ დაავალა ჰასან ალ-ჯაბართის, ალ-აზჰარის ალიმს და ცნობილი მემბტიანის აბდ არ-რაჰმან ალ-ჯაბართის მამას. И. М. Фильштинский, Хроника Абд ар-Рахмана ал-Джабарти как исторический источник. — Краткие сообщения Института народов Азии, XLVII, Арабские страны, М., 1961, გვ. 97.

⁵ ჰიჯაზის ექსპედიცია მიზნად ისახავდა მექის შარიფებს შორის ატეხილი ღინას-ტიური კონფლიქტის აღკვეთას. ალი ბეის გეგმით, მას უნდა მოჰყოლოდა ჰიჯაზზე ეგვიპტის ტრადიციული გავლენის აღდგენა. P. M. Holt, The pattern of Egyptian political history from 1517 to 1798. – Political and Social Change in Modern Egypt. Edited by P. M. Holt, , 1968, გვ. 88-89.

⁶ Abdul-Karim Rafeq, The Province of Damascus, გვ. 251; Muhammad Rif'at Ramadān, Thawrat Ali Bey al-Kabir, al-Qāhira, 1950, გვ. 141-142

⁷ აუცილებლობის შემთხვევაში ალი ბეი იმედოვნებდა ხმელთაშუა ზღვაში მყოფი რუსეთის ფლოტის გამოყენებას ოსმალეთის წინააღმდეგ. 1768-74 წწ. ომი დამთავრდა ოსმალეთის დამარცხებით და ცნობილი ქუჩუკ კაინარჯის ზავით. А.Д. Новичев, История Турции, I, Эпоха феодализма, (XI-XVIII), Изд. Ленингр. университета, 1963, გვ. 278-279; W. Persen, The Russian Occupation of Beirut, 1772-74. – Journal of the Royal Central Asian Society, Vol. XVII, Parts III-IV, 1955, გვ. 278-279.

⁸ Abdul - Karim Rafeq, The Province of Damascus, გვ. 251-252.

⁹ მირის გადასახადში იგულისხმება მიწაზე დაწესებული და სახელმწიფო ხაზინისათვის განკუთვნილი გადასახადი. XVIII ს. მიწურულს მას ძირითადად ფულადი სახით კრებდნენ, მაგრამ ადგილობრივი გარნიზონის გამოსაკვებად ან „დიდი ჰაჯის“ დროს ზოგჯერ ხელისუფლება ამჯობინებდა მირის ნატურით აღებას. И. М. Смилянская, Социально-экономическая структура страны Ближнего Востока на рубеже нового времени (на материалах Сирии, Ливана и Палестины), М., 1979, გვ. 55-56.

¹⁰ P. M. Holt, The "Cloud-catcher": Ali Bey the Great of Egypt, გვ. 57.

¹¹ Abdul-Karim Rafeq, The Province of Damascus, გვ. 252.

¹² იქვე, გვ. 254.

¹³ მ. ტიკაძე, ამირ ალ-ჰაჯის ინსტიტუტი სირიის ადმინისტრაციულ სისტემაში ოსმალთა ბატონობის პერიოდში (XVI-XVIII სს.), თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, 309, აღმოსავლეთმცოდნეობა, თბ., 1992, გვ. 102-117.

¹⁴ 1770 წ. მუსტაფა ფაშას მეთაურობით, დამასკოში ვიზიტად იყო სტამბოლიდან გაგზავნილი მცირე ჯგუფი, რომელსაც დაევალა ოსმან ფაშას მდგომარეობის შესწავლა და დახმარების აღმოჩენა. Abdul-Karim Rafeq, დასახ. ნაშრომი, გვ. 297.

¹⁵ ალი ბეის წერილი („მაქთუბ“ ან „ქითუბ“) მკვლევართა შორის „მანიფესტის“ სახელითაა ცნობილი. მოვლენების თანამხილველ სირიელ ავტორთა დიდი ნაწილი, როგორც ჩანს, არ იცნობდა მის ტექსტს, ხოლო ალ-ჰაბართი საერთოდ არ ახსენებს მას. ოსმან ფაშამ და მუფთიმ სცადეს მოსახლეობისათვის არ გაემქლავნებინათ მისი შინაარსი. დამასკოში წერილი მიიღეს 1770 წლის დეკემბერში, ე.ი. ისმაილ ბეის მიერ ლაზარაბლას დაკავების შემდეგ და არა აბუ-ლ-ზაჰაბის ლაშქრობის

დროს. იხ. Abdul-Karim Rafeq, დასახ. ნაშრომი, გვ. 255-256. Muhammad Rif'at Ramadān, გვ. 165-167.

¹⁶ Abd al-Rahman al-Jabarti, Ajā'ib al-athār fi l-tarājim wa-l-akhbār, I, Būlāq, 1297/1879-80, გვ. 351.

¹⁷ Muhammad Rif'at Ramadān, გვ. 136-144.

¹⁸ Abdul-Karim Rafeq, დასახ. ნაშრომი, გვ. 261-262.

¹⁹ Abdul-Karim Rafeq, The local forces in Syria in the seventeenth and eighteenth centuries. – War, Technology and Society in the Middle East. Edited by V. J. Parry and M. E. Yapp, L., 1978, გვ. 285-286.

²⁰ ბრძოლის ველიდან ერთ-ერთი პირველი გაიქცა ჰალეების ვალი აბდ არ-რაჰმან ფაშა, რომელიც 4 ათასიან რაზმს მეთაურობდა. ერთხანს ის ჰალეებში რჩებოდა, შემდეგ კი სტამბოლიდან მოსალოდნელი სასჯელის შიშით ქალაქი დატოვა და ბეილანს შეაფარა თავი. მის ნაცვლად ჰალეებში ახალი ვალი დაინიშნა. H. L. Bodman, Political Factions in Aleppo, 1760-1826, Chapel Hill, 1963, გვ. 111.

²¹ Abdul-Karim Rafeq, The Province of Damascus, გვ. 261-264.

²² იქვე, გვ. 264.

²³ Muhammad Khalil al-Marādī, Silk al-durar fi ayān al-qam al-thānī ashār, Būlāq, 1301/1883, I, გვ. 55-56.

²⁴ კუბაიბა იყო სოფელი დამასკოს სამხრეთით ბაბ ალლაჰის მახლობლად. ქალაქის გაფართოების შემდეგ იგი შეუერთდა მაიდანის კვარტალს და შეინარჩუნა თავისი სახელი, მაგრამ ზოგჯერ მოხსენიებულია როგორც „ალ-მაიდან ათ-თაჰთანი“ („ქვემო მაიდანი“). J. Sauvaget, Esquisse d'une histoire de la ville Damas. – Revue des études islamiques, IV, Paris, 1934, გვ. 471; Ahmad al-Budayrī al-Hallāq, Hawadith Dimashq al-yawmiyya, al-Qāhira, 1959, გვ. 53, შენ. 2,3.

²⁵ Muhammad Khalil al-Murādī, I, გვ. 55.

²⁶ იქვე, გვ. 55; Mikhā'il Breik, Tarikh al-Shām, 1720-1782, Harisa, 1930, გვ. 95.

²⁷ Muhammad Khalil al-Murādī, I, გვ. 55-56; Mikha'il Breik, გვ. 95.

²⁸ Abdul-Karim Rafeq, Bilad al-Sham wa Misr, 1516-1798, Dimashq, 1968, გვ. 379.

²⁹ აბდ ალ-ქარიმ რაფიკი იმოწმებს არაბი ავტორის იბნ სიდდიკის გამოუქვეყნებელ ნაშრომს. Abdul-Karim Rafeq, The Province of Damascus, გვ. 277. ეგვიპტელი მამლუქების გრადიციული სიძულვილი ბელუნიებისადმი კარგადაა ცნობილი და მან სირიაშიც იჩინა თავი. К.М. Базили, Сирия и Палестина под турецким правительством в историческом и политическом отношениях, М., 1962, გვ. 49.

³⁰ Abdul-Karim Rafeq, Bilad al-Shām... გვ. 378-379.

³¹ Muhammad Khalil al-Muradi, I, გვ. 56.

³² Abdul-Karim Rafeq, The Province of Damascus, გვ. 277-278.

³⁵ Muhammad Khalil al-Mūradī, II, გვ. 163.

³⁴ Mikha'il Breik, გვ. 96.

¹⁵ იქვე, გვ. 97.

³⁶ Abdul-Karim Rafeq, The Province of Damascus, გვ. 280.

³⁷ იქვე, გვ. 281-282.

³⁸ Abd al-Rahman al-Jabarti, I, გვ. 365.

³⁹ Abdul-Karim Rafeq, The Province... გვ. 286.

⁴⁰ კონია (ძვ. იკონიუმი) დღესაც არის ადმინისტრაციული ცენტრი სამხრეთ თურქეთში.

⁴¹ Abdul Karim Rafeq, The Province.. გვ. 284.

⁴² იქვე, გვ. 318-319; ზოგიერთ თურქულ წყაროში ოსმან ფაშას ორივე ვაჟი მოხსენიებული არის როგორც „ოსმან ფაშა-ზადე“ და მათი დამასკოს ვალიდ დანიშვნის თარიღად მოცემულია ჰიჯრით 1197 წ. (ე.ი. 1782 წ.). იხ.: Fr. Babinger, Die Osmanischen Statthalter von Damaskus. – Aus fünf Jahrtansenden morgenlandischer Kultur. Festschrift Max Freiherrn von Oppenheim, Berlin, 1933, გვ. 8. დამასკოს გამგებლების ყველა სიაში, დერეფი ფაშას შემდეგ დასახელებულია აჰმედ ჩაზზარ ფაშა, რომელიც, როგორც ცნობილია, დამასკოს ვალი პირველად გახდა 1785 წელს. ამიტომ, ოსმანის შვილების – მუჰამედისა და დერეფის გამგებლობის თარიღები, ე.ი. 1783-85 წწ. ექვს არ იწვევს. იხ.: Nadir al-Attār, Tā'riḥ Suriyya, I, (1516-1908), Dimashq, 1962, გვ. 352. ოსმალთა ბატონობის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე დამასკოს ვალის თანამდებობაზე ქართული წარმოშობის სხვა გამგებლების მოღვაწეობაცაა ცნობილი. მაგალითად, XVII ს-ში ოთხჯერაა ნახსენები გურჯი მეჰმედ ფაშა. Nadir al-Attār, გვ. 6-7.

⁴³ ალი ბეისა და მუჰამედ აბულ-ზაჰაბს შორის გადამწყვეტი შეტაკება მოხდა სალაჰთან (ევვიპტე) 1773 წლის 28 აპრილს (1187 წ. 5 საფარი). ალი ბეი დამარცხდა, მძიმედ დაიჭრა და გარდაიცვალა 8 მაისს (15 საფარი). C. Wiet, Ali Bey, გვ. 392; ა. სილაგაძე, გ. ჭაფარიძე, ახალი მასალები XVIII საუკუნის ევვიპტის ეპიგრაფიკისათვის, თბ., 2002, გვ. 7.

წყაროთმცოდნეობა

კარლო კვიცი

„ბაღდადი“ ქართულ წყაროებში

762 წელს სრულიად განსაკუთრებული მოვლენა მოხდა მუსლიმურ აღმოსავლეთში. ამ წელს ძველი ბაბილონის ნანგრევების მახლობლად, მდინარე ტიგროსის მარცხენა ნაპირზე მდებარე სავაქრო ადგილზე, რომელიც „სუჟ ბაღდადის“ სახელით იყო ცნობილი, საფუძველი ჩაეყარა აბასელთა სახალიფოს სატახტო ქალაქს ბაღდადს. მეორე აბასელი ხალიფას აბუ ჯაფარ ალ-მანსურის (754-775) დაარსებულმა ამ ქალაქმა სახელი გაითქვა არა მარტო მუსლიმურ სამყაროში, არამედ მთელს ქრისტიანულ აღმოსავლეთშიც. ამდენად, სავსებით ბუნებრივია, რომ აბასიანთა დედაქალაქის სახელი ხშირად მოიხსენიება ქრისტიანი ხალხების მწერლობაში. გამონაკლისს ამ თვალსაზრისით არც შუა საუკუნეების ქართული საისტორიო და ჰაგიოგრაფიული მწერლობა წარმოადგენს. მაგრამ ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ქართველი მემკვიდრეები IV-VII საუკუნეების სასანიანთა ირანის და ქართლის სამეფოს ურთიერთობის ამსახველი ფაქტების გადმოცემისას არსად არ მოიხსენიებენ სასანელთა სახელმწიფოს ბრწყინვალე სატახტო ქალაქს კტეზიფონს, რომელსაც არაბები მადაინს ეძახდნენ, და მის ნაცვლად სასანელების დედაქალაქს „ბაღდადს“ უწოდებენ. ერთი სიტყვით, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტში, ლეონტი მროველის, ჯუანშერ ჯუანშერიანის და სუმბატ დავითისძის თხზულებებში ტოპონიმი „ბაღდადი“ ფარავს „კტეზიფონს“ და აშკარად სასანელთა იმპერიის პოლიტიკური და ადმინისტრაციული ცენტრის აღსანიშნავად იხმარება.

ლეონტი მროველი მირიან მეფის მიერ სასანელთა შაჰან-შაჰების ტახტის მოპოვების მცდელობაზე საუბრისას გადმოგვცემს, რომ სპარსეთის მეფის აღსასრულის შეტყობისთანავე იგი საგანგებოდ შეკრებილი სპით „წარემართა ბაღდადს“, რათა ტახტიდან ჩამოეგდო თავისი უმრწემესი ძმა ბარტამი და თავად დამჯდარიყო „საყდართა მამისა მისისათა“.¹ ამავე ავტორის ცნობით, მირდატ IV,

„კაცი ქუელი, მკვდარი შემმართველი“, რომელიც „ბერძენთაგან ეძიებდა კლარჯეთს, საზღვარსა ქართლისასა, ხოლო სპარსთა არა მისცემდა ხარკსა“, დამარცხდა სპარსელებთან ომში. შეპყრობილი ქართლის მეფე, ლეონტის მტკიცებით, „წარიყვანეს ბაღდადს და მუნ მოკუდა“.² მირდატის აღსასრულის ადგილად ჯუანშერსაც კტეზიფონის ნაცვლად ბაღდადი აქვს დასახელებული. ჯუანშერისავე გადმოცემით, ვახტანგ გორგასალმა შეასრულა სასანიანი შაჰანშაჰის ბრძანება, „და მივიდეს ბაღდადს, ...აღასრულეს ქორწილი სამეფო“.⁴[187]

როგორც ვხედავთ, ქართველ ისტორიოგრაფთა თვალთახედვით, ბაღდადი, მაჰმადიანიური სამყაროს ერთ-ერთი უმთავრესი ბურჯთაგანი, წარმოისახება ვითარცა სასანიანთა სახელმწიფოს სატახტო ქალაქი, ზოროასტრული სარწმუნოების ცენტრი. ეს კარგად ჩანს სუმბატ დავითისძის სიტყვებიდან: „ბაღდადი დაიპყრეს აგარის ნათესაეთა“;⁵ ანუ მუსლიმებმა, არაბებმა. ეს ამბავი უფრო ვრცლადაა მოტანილი „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“, სადაც კკითხულობთ: „მას ჟამთა გამოჩენილ იყო მოჰამად, ნათესავი ისმაელისი, მოძღუარი სარკინოზთა სჯულისა, და ყოველი არაბია და იამანეთი დაიპყრა. და მოკუდა იგი, და დადგა მის წილ აბობიქარ, და შევიდა სპარსეთს. რამეთუ ვინათგან შესრულ იყო ერაკლე მეფე სპარსეთს, და განერყუნა სპარსეთი; და არღარავინ იყო წინააღმდეგომი სპარსეთს. ამან აბობიქარ აგარიანმან დაიპყრა სპარსეთი, და შევიდა ბაღდადს და მძლავრობით დაატეობინა უამრავლესთა ცეცხლისმსახურება, და მოაქცივნა სარკინოზად. და მოკუდა იგი, და დადგა მის წილ ომარ, და უმეტეს განძლიერდა იგი“.⁶ სუმბატ დავითისძისეული თვალსაზრისი, როგორც დავინახეთ, ჯუანშერის თხზულებაში უფრო განვრცობილია და მოვლენაც უფრო დეტალურადაა გადმოცემული, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ მატებს მას დამაჯერებლობას, ვინაიდან მასში, სხვა უზუსტობასთან ერთად, ბაღდადი დახასიათებულია როგორც ცეცხლმსახურთა, ანუ მაზდეანური სარწმუნოების აღმსარებელთა სამყოფელი. ავტორის მტკიცებით, ბაღდადის ცეცხლმსახურნი არაბებმა „სარკინოზად მოაქცივნეს“, ანუ აზიარეს ისლამის რჯულს. ერთი სიტყვით, მოტანილ პასაჟში სრულიად კურიოზული აღრევაა. სინამდვილეში ტოპონიმ „ბაღ-

დადში" ნაგულისხმევია კტეზიფონი, ანუ მადანი, რომელიც არაბთა აგრესიის მსხვერპლი გახდა 637 წელს, კადისიას საბედისწერო ბრძოლის შედეგად, როდესაც მათ სარდალ იბნ აბუ ვაკასის მეთაურობით გაანადგურეს ირანელთა უფრო მრავალრიცხოვანი არმია. ოღონდ უნდა აღინიშნოს, რომ კადისიას ბრძოლა და კტეზიფონის აღება მოხდა არა აბუ-ბაქარის (632–634), არამედ ომარის (634–644) ხალიფობის დროს. უნდა ვიფიქროთ, რომ ქართულ საისტორიო მწერლობაში ქალაქ კტეზიფონის ბაღდადად სახელდება გაპირობებულ იყო რამდენიმე ფაქტორით. მათგან უპირველესი, ალბათ, ის გარემოება არის, რომ ის თხზულებები, სადაც ასეთ აღწევას აქვს ადგილი, უპირატესად შექმნილია IX-XI საუკუნეებში, ე.ი. იმ ხანაში, როდესაც სასანიანთა ეპოქა მემატიანეთათვის შორეულ წარსულს წარმოადგენდა და, ამდენად, ბევრი რამ მის შესახებ მათთვის ან უცნობი იყო, ან არასწორი ინფორმაცია ჰქონდათ მიღებული მასზე. ამასთანავე, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტიც, რომ ქალაქ ბაღდადს საფუძველი ჩაეყარა და აშენდა უძველესი ცივილიზაციის რეგიონში, ძველი ბაბილონის და სასანიანთა იმპერიის სატახტო ქალაქის – კტეზიფონის ნანგრევების მახლობლად. ყოველივე ეს, როგორც ჩანს, ორივე სატახტოს ძველ ქართველ ისტორიოგრაფთა თვალში ერთი ქალაქის სტატუსს ანიჭებდა ან, უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ ისინი მეორეს (ბაღდადს) მოიაზრებდნენ როგორც პირველის (კტეზიფონის) უშუალო მემკვიდრეს და გამგრძელებელს. ასეთი თვალსაზრისის გაჩენა – გავრცელებას, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდა ისიც, რომ ბაღდადმა არანაკლებ დიდი პოლიტიკური და კულტურული როლი შეასრულა აღმოსავლეთში, ვიდრე კტეზიფონმა. შესაძლებელია უფრო მეტიც და მნიშვნელოვანიც.

მაგრამ ტოპონიმი „ბაღდადი“ ქართულ ჰაგიოგრაფიულ და საისტორიო მწერლობაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისი პირდაპირი მნიშვნელობითაც იხმარებოდა. ამ ტოპონიმის უმთავრესი ფუნქციაა აბასელთა სახალიფოს დედაქალაქის აღნიშვნა. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს იოანე საბანის ძის მოკლე, ლაკონური, მაგრამ შინაარსობრივად ფრიად მნიშვნელოვანი ცნობა. სახელმძღვანელო ჰაგიოგრაფი გვაუწყებს, რომ ქართლის ერისმთავა-

რი ნერსე გამოძახებული იყო „ქუეყნად ბაბილოვნისა მფლობელი-სა მისგან... ამირა მუჰმნის აბდილაისაგან (იგივე ხალიფა ალ-მანსური), რომელი იყო ქალაქსა მას დიდსა ბაღდადს, რომელი მან აღაშენა“.⁷ ამრიგად, ქართველმა ავტორმა შემოგვინახა ზუსტი და უტყუარი ცნობა, რომლის მიხედვითაც დიდი ქალაქის ბაღდადის, ანუ, სხვანაირად როგორც იგი უწოდებს ამ ქალაქს, „ბაბილოვნის ბაღდადის“ მშენებელი იყო ხალიფა ალ-მანსური. მართალია ჰაგიოგრაფი მაშინაც, როდესაც გვამცნობს, რომ ალ-მანსურის სიკვდილის შემდეგ ხალიფების ტახტზე ავიდა მისი ძე მაჰდი (775-785).

ბაღდადი, ვითარცა სახალიფოს ცენტრი, ხშირადაა მოხსენებული XI ს-ისა და მომდევნო ხანის ქართულ საისტორიო თხზულებებში. მაგალითად, „მატიანე ქართლისა“, როდესაც მოგვითხრობს 853 წ. ბულა თურქის ქართლში ლაშქრობის შესახებ, გვაუწყებს შემდეგს: „მაშინ მოვიდა ბულა თურქი, მონა, ბაღდადით, რომელი გამოეგზავნა ამირ-მუჰმნსა“ [იგულისხმება ხალიფა ალ-მუთაუაქალი [847-861]].⁸ ბასილი ეზოსმოძღვარი თამარის მიერ ხარაჯადღებულ ქვეყნებს შორის ბაღდადსაც ასახელებს.⁹ მსგავსი მაგალითების მოტანა სხვაც შეიძლება.

ბაღდადი, უკვე როგორც მცირე პოლიტიკური ერთეულის ან ცალკეული ადმინისტრაციული განაყოფის ცენტრალური ქალაქი, ხშირადაა მოხსენებული გვიანი შუა საუკუნეების ქართულ საისტორიო მწერლობაში, კონკრეტულად ფარსადან გორგიჯანიძის და ბერი ეგნატაშვილის თხზულებაში, „ახალი ქართლის ცხოვრების“ მეორე ტექსტში და ა. შ.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ბაღდადს ზოგჯერ თან სდევს ძველი ბაბილონის ჩრდილი. ზოგიერთ შემთხვევაში ეს ორი ქალაქი გაიგივებულია, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ისტორიული ბაღდადი ბაბილონადაა მოხსენებული. XIV ს-ის ანონიმი ქართველი ისტორიკოსი, უამთააღმწერელი, პირდაპირ წერს: „მანგუ ყაენმან განაჩინა ყაენად პირმშოტუჰი ყუბილ ყაენ, და უბრძანა ლაშქრობა დასავლეთით კერძო, ბაბილოვანსა, რომელ არს ბაღდადი“.¹⁰ სხვათა შორის, ანალოგიური ვითარებაა შუა საუკუნეების სომხურ მწერლობაშიც. მაგალითად, XVII ს-ის ცნობილი სომეხი მემატიანე

არაქელ დავრიყეცი წერს: „ბაბილონი, რომელიც არის ბაღდადი“. ¹ ეამთაღმწერელი (ისევე როგორც სომეხი ისტორიკოსი) აიგივებს სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში არსებულ ორ ქალაქს. ზოგიერთ თხზულებაში ბაღდადის სახალიფო მოხსენებულია როგორც „ბაბილონი“, „ქუეყანა ბაბილონისა“, ² „დიდი ბაბილოვანი“, ხოლო სახალიფოს მკვიდრნი როგორც „ბაბილონელნი“. ³ ვახუშტი ბაგრატიონი ბაღდადის ხალიფას „ბაბილოვნის ხალიფას“ უწოდებს. ⁴

ერთი სიტყვით, თუ „ბაღდადმა“ გადაფარა „კტეზიფონი“, შუა საუკუნეების ქართველ ისტორიკოსთა და ინტელექტუალთა ცნობიერებაში მან საბოლოოდ ვერ დასძლია ძველი აღმოსავლეთის უბრწყინვალესი კულტურული ცენტრის – ქალაქ ბაბილონის დიდება.

¹ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბ., 1955, გვ. 67.

² გობრონის მარტილობა, ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-Xსს), თბ., 1964

³ იქვე, გვ. 138.

⁴ იქვე, გვ. 139.

⁵ იქვე, გვ. 187.

⁶ იქვე, გვ. 376.

⁷ იქვე, გვ. 229.

⁸ აბოს მარტილობა, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1946, გვ. 60.

⁹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 256

¹⁰ იქვე, გვ. 124.

¹¹ იქვე, გვ. 221.

¹² არქელ დავრიყეცი, ისტორიათა წიგნი. გამომცემელი ლ. ხანლარიანი. ერევანი, 1990 (სომხურ ენაზე).

¹³ Житие и мученичество Костанти-грузина, который был замучен царем вавилонян Джафаром. Пер. с древнегрузинского, исследование и комментарий Н.З. Вачнадзе и К. К. Кушия. Тб., 1978, гв. 50.

¹⁴ ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.

დავით აღმაშენებლის მიერ მღვიმის მონასტრისადმი
ბრძანებული ანდერძის ტექსტიდან ერთი მონაკვეთის შესახებ

დავით აღმაშენებლის 1123/24 წლის ანდერძი შიომღვიმის მონასტრისადმი პირველად 1895 წელს გამოაქვეყნა თედო ჟორდანიანი – ქართული ტექსტი რუსულ თარგმანთან ერთად.¹ დღემდე ეს ანდერძი ექვსჯერაა გამოცემული.

ანდერძის შესავალშივე აღნიშნულია, რომ იგი არაა უნაკლო – ნაკლი კი სიჩქარის ბრალია: „დაკლებული სისწრაფისაჲ არს“. აკად. ნ. ბერძენიშვილი წერდა: „მეფე ბოდიშობს, რომ თუ ამ ანდერძს რაიმე აკლია, ეს ნაკლი „სისწრაფისაჲ არს.“ აღთქვამს, რომ იგი მას „უმჯობესად“ შეცვლის, თუ ღმერთმა მისი „შემოქცევა“ (ე.ი. უვნებლად უკან დაბრუნება) იწება.“² ანდერძის დაწერის წინ დავითი შარვანში საბრძოლველად ემზადებოდა. „ჩანს, შარვანში სელჩუციან სულტანთან შებმა განსაკუთრებულ მძიმე ოპერაციად ითვლებოდა, რომ მოძღვარი არსენი³ თადარიგს იჭერს მონასტრის უზრუნველსაყოფად და ამ აზრს დავით მეფეც იზიარებდა.“⁴ ანდერძის ბოლოში მეფე „უახლესი ანდერძის“ – ახალი ანდერძის დაწერაზე საუბრობს და იბარებს: „თუ სხვისა დაწერად ეამი აღარ მომიხუდეს, თუთ ესე დაამტკიცეთო.“

დღეს ძნელია თქმა, გარდა ნაჩქარეობისა, კიდევ რის გამო ჰქონდა მეფეს უკმარისობის გრძნობა ანდერძთან დაკავშირებით, მაგრამ ტექსტში მართლაც გვხვდება ლათსუსები⁵ თუ გაუმართავი ადგილები. მონაკვეთი, რომელიც ჩვენი შესწავლის საგანია, იმდენად ბუნდოვანია (თუ არ გვეცოდინებოდა, რომ დედანია),⁶ შეიძლება გვეფიქრა ჩვენამდე მოღწეული ტექსტის საეჭვო ვარიანტზე.

შესასწავლი მონაკვეთი ამ ტექსტიდან ეხება ძმების, ძლიერი ფეოდალების მოღისტოსისა და ძაგანის ურთიერთობას დავით აღმაშენებელთან. მათ შესახებ ტექსტში ორ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ადგილას ვხვდებით თხრობას.

დასაწყისში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ მოდისტოსმა – სასულიერო პირმა, მეფე სასიკვდილოდ გასწირა – ანდერძის ენით, „საიხრელად აღმახუა“. მეორემ, საერო პირმა ძაგანმა კი: „ეკლესიები საზესთმჩენოდ თჳსად მიიტაცა.“ რაც მთავარია, ძაგანს ბერების სამყოფელი „მღჳმე მონასტერი“ „ციხედ და სადგომად“ ჰქონდა მითვისებული. მეორე ადგილას კი ლაპარაკია ზედაზნის ციხეზე და მუხრანის (იგულისხმება ქვეყანა) შესახებ, რომელიც ასევე მითვისებია ძაგანს.

კონფლიქტი მეფესა და ძმებს შორის, უკანასკნელთა ხელში მყოფი დიდძალი ქონების („საქონებელნი მრავალნი“) ნიადაგზე დაიწყო. ეს ოჯახი დაკავებულ ქონებას „კანონიერად“ თვლიდა, რამდენადაც იგი, გარკვეული ნაწილი მაინც, მათთვის ბოძებული იყო დავით მეფის მამის გიორგი II-ის მიერ.

თავიდან დავითს უცდია მშვიდობიანი გზით (როგორც მეფე აცხადებს, „ვეცადე მათგან ძებნითა“) მოეგვარებინა ზედაზენ-მუხრანის საკითხი, მაგრამ ამ გზით სასურველ შედეგს ვერ მიაღწია, ამიტომ იძულებული გახდა, სტრატეგიულად ფრიად მნიშვნელოვანი ზედაზნის ციხე და მუხრანის ქვეყანა ძალით დაეკავებინა.

გამოკვლევის მიზანია ანდერძის ტექსტიდან ამ მოვლენასთან დაკავშირებული, საკმაოდ გაუმართავი, სიტყვანაკლული მონაკვეთის გამართვა და ინტერპრეტაცია.

ტექსტის ბუნდოვანობა ჯერ კიდევ 1895 წ. მისმა პირველგამომცემელმა თ. ჟორდანიამ აღნიშნა. თავის გამოქვეყნებულ წიგნაკში იგი წერდა, რომ მის ხელთ მყოფი ანდერძის ტექსტის ფერგადასული ნაწერი შემდეგ გაუცხოველებიათ. გაცხოველებას კი ადგილადგილ ანდერძის აზრის ვაბუნდოვანება გამოუწვევია. ამის შესახებ თ. ჟორდანიას არაერთგზის აღნიშნავდა: „Текст здесь слишком краток и тёмно“⁸.

1895 წელს, თ. ჟორდანიასეული გამოცემის შემდეგ, ანდერძის ეს მონაკვეთი, ტექსტის დადგენა-გასწორების თვალსაზრისით, სპეციალურად არავის შეუსწავლია, თუმცა მცდელობა ცალკეული

სიტყვისა თუ პუნქტუაციის შეცვლისა მინც იყო (ილ. ანთელავა, ვ. სილოგავა, დ. მეგრელაძე).

უშუალოდ ტექსტის ანალიზის დაწყებამდე, მისი სავარაუდო, წინასწარი გამართვის მიზნით, საჭიროდ ჩავთვალეთ ტექნიკური ხასიათის ჩარევა, კერძოდ, ხსენებული ტექსტისეული ყოველი ახალი ინფორმაციის ახალი აბზაციით დაწყება. აბზაცის დასაწყისად კი ნაწილაკი „და“ ავიღეთ (ერთ შემთხვევაში ჩვენგან აღდგენილიც), რაც ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ტექსტის განკვეთის მიზნითაა ნახმარი და რაც უცხო არაა ქართული ნარატიული თუ დოკუმენტური წყაროებისათვის (მაგ. იხ. 1031-33 წწ. მელქიზედეკათალიკოსის დაწერილი, კორპუსი, I, გვ. 22, 31 და სხვ.).

საკვლევი ტექსტის მონაკვეთი, განსხვავებით „და“ ნაწილაკისაგან, იწყება ნაწილაკით „აწ“⁹, რაც ამ შემთხვევაში ასევე ტექსტის განკვეთილობის მანიშნებელია.

აღნიშნული მონაკვეთი სიტყვანაკლულია. გაძნელებულია მისი აღქმა, ამიტომ მკითხველს ტექსტის გასამართავად ვთავაზობთ დაკლებული სიტყვების ჩვენეულ სავარაუდო აღდგენებსა და ჩვენეულ პუნქტუაციას.

აღდგენილ ტექსტთან შესადარებლად ვიშველიებთ დავითის ანდერძის უკანასკნელ, 1984 წ. გამოცემას, რამდენადაც იგი (კორპუსი, I, №8) უშეცდომოდ იმეორებს ანდერძის მოღწეული ფოტოპირის ტექსტს. ჩვენ აღდგენილი ტექსტის ყოველ ახალ ინფორმაციას პირობითად (სამუშაოდ) რიგითი ციფრები დავუსვით.

1984 წ. გამოქვეყნებული
ტექსტი:

აღდგენილი
ტექსტი:

აწ ძაგანმ(ან) სადგომად საქ-
ბისკოპოსონიცაჲ უდიდესნი გარნა
სამთავროდ, თუთ აღრითგან მამაობასა
ეწერაჲჲ საებისკოპოსოდ და მცხე-
თისა საქონებელნი მრავალნი დაემ-
პირნეს და წილკანი საყდრისა. მონ-
ასტერისა რაცა იყო, მთასა ციხე, მა-
რანი, ანუ მატური იგი სოფელი და

I. აწ. ძაგანმან სადგომად [საქონე-
ბელნი] საებისკოპოსონიცაჲ უდი-
დესნი, გარნა სამთავროდ [დაიმპირნა,
რაც] თუთ აღრითგან, [...X-ის] მა-
მაობასა ეწერაჲჲ საებისკოპოსოდ.

II. და მცხეთისა საქონებელნი
მრავალნი დაემპირნეს.

III. და [სოფელი] წილკანი საყ-

მღვმე მონასტერი, შიგან ციხედ და ღრისა.
სადგომად ჰქონდეს თუთ.

IV. [და] მონასტერისა რაცა იყო
მთასა: ციხე, მარანი, ანუ მატური,
[საუკუნო] იგი სოფელი.

V. და მღვმე მონასტერი შიგან
ციხედ და სადგომად ჰქონდეს თუთ.

როგორც ვხედავთ, აზრის გასამართავად ჩვენს მიერ შეიღი
სავარაუდო სიტყვაა ჩასმული. თუ რამდენად შეესატყვისება ში-
ნაარსობრივად სინამდვილეს ჩვენეული აღდგენები (სიზუსტეზე
პრეტენზიას არ ვაცხადებთ!), ამისათვის ჭეშმით განვიხილოთ თი-
თოეული ინფორმაცია პირობითად დასმული რიგითი ციფრების
მიხედვით.

1. გაუგებარია ფრაზა: „... ძაგანმან სადგომად საეპისკოპო-
სონიციად უდიდესნი გარნა სამთავროდ“. წინადადებას შემასმე-
ნელი აკლია. მრავლობით რიცხვში ნახმარი „საეპისკოპოსონიციად“
შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს საუბარი იყოს საეპისკოპოსობე-
ზე,¹⁰ მაგრამ ანდერძში ამის წინ გარკვევით წერია, რომ დავით
მეფე ძაგანს ზედაზნის ციხესა და მუხრანს – მუხრანის ქვეყანას
ედავებოდა: „ოდეს ზედაზნისა ციხე და მუხრანი ძუღლითგან ვე-
ცადე მათგან ძებნითა“. მუხრანის ქვეყანაში კი მხოლოდ ერთი
საეპისკოპოსო – წილენის საეპისკოპოსო იყო. ამიტომ აქ მრავლო-
ბითობაში იგულისხმება არა „საეპისკოპოსოები“, არამედ წილენის
საეპისკოპოსოს კუთვნილი დიდი, „უდიდესნი“ ქონება. თ. ყორღა-
ნიამ ყურადღება მიაქცია ანდერძის ტექსტის ამ ნაწილს და კითხვას
სვამდა: უცნობია, რას გულისხმობდა ანდერძის დამწერი – მოძრავ
თუ უძრავ ქონებასო. შემდეგ კი ასკვნიდა, რომ ქართული სიტყვი-
დან საქონელნი (ტექსტისეული „საქონებელნი“ – დ. მ.) უფრო
სავარაუდოა იყოს მოძრავი ქონებაო,¹¹ თუმცა გამორიცხული არაა
არც უძრავი ქონება. ამიტომ სიტყვის „საეპისკოპოსონიციად“ ს წინ
აღვადგინეთ სიტყვა „საქონებელნი“, მომღვენო (II) ტექსტის სა-
ფუძველზე. სადაც ლაპარაკია მცხეთის „საქონებელნის“ შესახებ.

მომღევნო (II) ტექსტიდან ირკვევა, რომ ეს „საქონებელნი უდიდესნი“ „საებისკოპოსონიცაჲ“ და მცხეთისა (დმ.) ძაგანს „სამთავროდ“ „დაუჭერია“. აქ მქლავნდება დავითის გულისტკივილი, როდესაც ის აცხადებდა, ძაგანშაო „ეკლესიები საზესთმჩენოდ თჳსად მიიტაცა“-ო,¹² ე.ი. ძაგანშაო საეკლესიო „საქონებელს“ ფუნქცია მოუშალა და „სამთავროდ“ – საერისკაცოდ, საკუთარი სარგებლობის საგნად აქცია.

ტექსტში პირველ ფრაზას „ [საქონებელნი] საებისკოპოსონიცაჲ უდიდესნი“ ებმის ორი სიტყვა „გარნა სამთავროდ“. აქ უეჭველად აკლია ზმნა, ამიტომ ჩვენ ჩავსვით სავარაუდო სიტყვა „დაიმჭირნა“ და დაეუმატეთ აგრეთვე სიტყვა „რაც“, რამაც ტექსტის შინაარსი უფრო გასაგები გახადა.

ამის შემდეგ ტექსტში იკითხება: „თუთ აღრითგან მამაობასა ეწერა-ყუ საებისკოპოსოდ“. სიტყვა „მამაობასა“, ბ-მა ვ. სილოგავამ ნაწერის ადრე გამკრთალებისა და შემდეგ გაცხოველების შედეგად მიღებულ შეცდომად ჩათვალა და იგი შეცვალა სიტყვით „მამულობასა“.¹³ ვ. სილოგავას ეს მოსაზრება სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგიერთი ავტორის მიერ გაზიარებულია.

ვფიქრობთ, ლოგიკურად უფრო სწორია წაკითხვა: „მამაობასა“, ოღონდ აქ გამოტოვებულია იმ მამის (მამასახლისის) საკუთარი სახელი, რომლის დროსაც: „აღრიდგან (X-ის) მამაობასა ეწერა-ყუ საებისკოპოსოდ“. მინიშნება სიტყვით „აღრიდგან“ კი კარგა ხნის წინ მომხდარ ფაქტს უნდა გულისხმობდეს, ხოლო სიტყვა „მამაობასა“ ერთ-ერთ ცნობილ, შემდეგ სახელდაკარგულ მამათაგანზე უნდა მიგვანიშნებდეს.

II. წინადადებაში: „და მცხეთისა საქონებელნი მრავალნი დაემჭირნეს“ სადავო და გასასწორებელი არაფერია.

III. „და [სოფელი] წილკანი საყდრისა“ ფრაგმენტის გასწორება ჯერ კიდევ თ. ჟორდანიამ სცადა 1895 წ. სქოლიოში იგი წერდა: „Последние два слова (იგულისხმებოდა „წილკანი საყდრისა“- დ. მ.) я исправляю так: „და წილკნისა საყდრისა“. „Впрочем подчеркнутые слова можно читать и так“: „და სო-

ფელი] წილკანი საყდრისა.“ ჩვენ სავესებით ვიზიარებთ თ. ჟორდანას შემოთავაზებულ მეორე ვარიანტს. ყურადსაღებია სიტყვა „საყდარი,“ რაც ძველ ქართულში არის: „სკამი, დასაჯლომი, ტახტი...“¹⁴ ამ შემთხვევაში კი იგულისხმება წილკნელი ეპისკოპოსის საჯლომი „სკამი“თუ „ტახტი“ მუხრანის ქვეყანაში. ირკვევა, რომ ძაგანს ამ საყდრის კუთვნილი სოფელი წილკანი¹⁵ – ე.ი. უძრავი ქონება ჰქონია მითვისებული სხვა, ზემოხსენებულ საეპისკოპოსოს მოძრავ-უძრავ ქონებასთან ერთად.

ვიდრე IV პუნქტის გაანალიზებას შევუდგებოდეთ, თანმიმდევრობას გადავასწრებთ და მოვიყვანთ ადგილს V პუნქტიდან: „და მღვმე მონასტერი შიგან ციხედ და სადგომად ჰქონდეს თუთ“ – ძაგანსაო. უწინარეს ამისა კი ანდერძში ვკითხულობთ: „და ძაგანი, მღვმეს შელტოლვილი, მომცა ღმერთმან, რომელსა შინა ერთგულებაჲ აჩუხნეს ჩუხნდა მომართ მამათა მემღვმეთა“. ტექსტს თუ ჩავუკვირდებით, თხრობის თანმიმდევრობა დარღვეული უნდა იყოს: თუ „მღვმეს შელტოლვილი“,¹⁶ ე.ი. გაქცეული და თავშეფარებული ძაგანის წინააღმდეგ ბერებმა – „მამათა მემღვმეთა“ დახმარება გაუწიეს დავითს – „ძაგანი მისცა ღმერთმან“, მაშინ როდისღა ჰქონდა „მღვმე მონასტერი“ ძაგანს „შიგან ციხედ და სადგომად“?

V. თუ გავიხსენებთ ძაგანის მიერ „დამქირნულ“ ობიექტებს, მათ შორისაა „მონასტერისა რაცა იყო მთასა: ციხე, მარანი ანუ მატური...“ როგორც ჭეშმით დავინახავთ, აქ ზედაზნის მთაზე მდებარე ობიექტებია ნაგულისხმევი... ზედაზნის მთაზე მდებარე ციხე კი მწვავე დავის საგანი იყო დავითსა და ძაგანს შორის და ამ ფონზე დასაშვებად მიგვაჩნია, როდესაც დავითმა ზედაზნის ციხეს ბრძოლით შეუტია, დამარცხებულმა, გაქცეულმა, „ლტოლვილმა“ ძაგანმა მღვმის მონასტერს, რაც მას ადრევე „ციხედ და სადგომად“ ჰქონდა, შეაფარა თავი. ბერებმა კი დავითს უერთგულეს...

როგორც დავითის ანდერძიდან ვიცით, ამის უწინარეს დავითს მშვიდობიანი გზით – „ძებნით“ უცდია ზედაზნის ციხისა და მუხრანის მიღება, მაგრამ აქ დაბრკოლებად დავითის მამის გიორგი მეორის გაცემული ბოძების საბუთი მოქმედებდა. „ოდეს ზედაზნისა

ციხე და მუხრანი ძუძლითგან ვეცადე მათგან ქებნითა, მაშინცა არა იყო ნებაჲ ჩემი, — მამამან ჩემმან უბოძაჲ..”

ვ. სილოგავას ვარაუდით, ეს ბოძება გიორგი II-ის სიგელით 1085-1089 წწ. უნდა დათარიღდეს,¹⁷ რაც ზოგადად მისაღებია.

საქმე ისაა, რომ XI საუკუნის 80-იანი წლების საქართველოში თურქ-სელჩუკთა შემოსევები ძლიერდება. გიორგი II სელჩუკთა სულტანს „მალიქ-შას“ ეახლა. მან შეიწყალა ქართველი მეფე და კახეთი და ჰერეთი „უბოძა“, სამშობლოში დიდებით გამოისტუმრა, ჭარი გამოატანა და კახეთის „ართმევა“ დააუღალა.¹⁸ ამ დროს სახელმწიფო საზღვარი აფხაზთა სამეფოსა და კახეთს შორის მდ. ქსანზე გადიოდა. ვფიქრობთ, ზედაზნის ციხისა და მუხრანის „ბოძება“ გიორგი მეფის მიერ ძაგანის და მისი ძმისათვის ამ დროს უნდა მომხდარიყო. ამრიგად, ასეთი თანმიმდევრობა იკვეთება: XI საუკუნის ბოლოს გიორგი II-მ ძაგანის სახლს — ძველ მეპატრონეებს უბოძა ზედაზნის ციხე და მუხრანი. ძველ მეპატრონეებს „სხუათაცაჲ ჰქონებოდა მათთა გუართა“. ამ ობიექტებზე ახალი „ბოძებით“ გაფორმებული იურიდიული უფლება აქვთ. დავით მეფე მშვიდობიანი გზით ვერ ახერხებს ზედაზნის ციხისა და მუხრანის შემოერთებას, რასაც მოჰყვება ზედაზნის აღება ძალით 1103 წელს,¹⁹ ძაგანი კარგავს ზედაზენს და ამის შემდეგ ლტოლვილი თავს აფარებს შიომღვიმეს, რაც მას „ციხედ და სადგომად“ ჰქონდა.

ახლა კი ისევ მივუბრუნდეთ პირობითად IV ციფრით აღნიშნული პუნქტის ტექსტს. აქ ძალიან მოკლე ტექსტის შესახებ საკმაოდ ვრცელ მტკიცებათა მოშველიება და მსჯელობა მოგვიხდება. კიდევ ერთხელ გადავიკითხოთ ტექსტი:

1984 წ. გამოცემით:

„მონასტერისა რაცა იყო მთასა ციხე, მარანი, ანუ მატური იგი სოფელი და მღუჲ მონასტერი...“

ჩენი აღდგენით:

[და] მონასტერისა რაცა იყო მთასა: ციხე, მარანი, ანუ მატური, [საუკუნო] იგი სოფელი. და მღუჲ მონასტერი...“

მოცემული მონაკვეთიდან უპირველესად უნდა გაირკვეს რომელ მთაზეა ტექსტში ლაპარაკი. დავითის ანდერძში დამოწმებული ფაქტების შესამოწმებლად მივმართავთ თხზულებას VI საუკუნის სასულიერო მოღვაწის იოანე ზედაზნელის ცხოვრების შესახებ,²⁰ სადაც მოცემულია ცნობები იოანეს შუამდინარეთიდან მცხეთას მოსვლის, შემდეგ მთაზე დამკვიდრების და იქ მისი ცხოვრების, მოღვაწეობის და გარდაცვალება-დაკრძალვის შესახებ. ამგერად „ცხოვრების“ ტექსტიდან ყურადღებას ვამახვილებთ მხოლოდ ცნებაზე მთა. ტექსტში ვკითხულობთ:

ⴒ ვარიანტი:

„...ადრე უჩუნა მათ მთაჲ ესე ერთი მახლობლად მცხეთას აღმოსავალითრე და ცხოველსა ჭუარსა ჩრდილოთ კერძო, რაჲთა აღვიდეს წუერსა ზედა მის მთისასა და იყოფვიდის მუნ... და აღვიდა მთასა მას მაღალსა, რომელსა ჰრქუან ზედაზადენ, სადა იგი აწ მონასტერი მისი აღშენებულ არს... და თქუა: ესე არს განსასუენებელი ჩემი, უკეთუ ამას დავემკუდრო, რამეთუ მთნავს ესე...“²¹

ⴒ ვარიანტი:

„ხოლო ღმერთმან უჩუნა მას მთაჲ ერთი მახლობლად მცხეთასა და ცხოველსა ჭუარსა ჩრდილოთ კერძო, და აუწყა, რაჲთა აღვიდეს წუერსა ზედა მის მთისასა... და ვითარცა მოილოცეს, აღვიდა მოწაფითურთ მთასა მას ზედა... და ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: „აქა“ დავემკვიდრო, რამეთუ მთნავს ესე.“²¹

ⴒ ვარიანტში „ცხოვრების“ ავტორი იმეორებს იოანეს ასვლას მთაზე და მის განცხადებას: „აქა დავემკვიდრო, რამეთუ მთნავს ესე“.

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ტექსტის ⴒ ვარიანტში ნათქვამზე, რომ იოანე „აღვიდა მთასა მას მაღალსა, რომელსა ჰრქვიან ზედაზადენ“ და დაემკვიდრა იქვე. ამ დროიდან მოკიდებული სიკვდილამდე იოანეს ადგილი არ მოუნაცვლებია და მისი ზედწოდებაც „ზედაზნელი“ ამ მთის სახელიდან მიიღო. საყურადღებოა, რომ არსად, ჩვენთვის ცნობილი ვარიანტებიდან, გარდა აქ მოყვანილი მაგალითისა, იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში

ნახსენები აღარაა მთის სახელწოდება, სადაც ცხოვრობდა, მოღვაწეობდა და გარდაიცვალა იგი.

იოანეს ცხოვრებაში ყველა მისი მოქმედება დაკავშირებულია ადგილთან, რომელსაც წყაროში ეწოდება მხოლოდ „მთა“ ან „მთაჲ“.

ⴂ ვარიანტი:

„ნეტარი იგი ბერი მარტოდ იქცეოდა ერთისა მსახურისა თანა მათისა მთასა მას ზედა მოღუაწებითა დიდითა“²²

ⴂ ვარიანტი:

„ხოლო სანატრელი მამაჲ ჩუენი იოანე დაადგრა მთასა მას ზედა და ერთი მხოლოდ მოწაფე დაიყენა მის თანა“²³

თავდაპირველად ამ მთაზე არ ყოფილა წყალი. იგი „ურწყული“ ყოფილა და იოვანეს მოწაფეს წყალი მთის ძირიდან ამოჰქონდა. თხზულებაში კვითხულობთ:

ⴂ ვარიანტი:

„რამეთუ მთაჲ ესე პირველ ურწყული იყო და ყოვლადვე ვერ საპოვნელ წყალი გარემოს მისა... ხოლო ნეტარი იოვანე ხედვიდა თჳისა მის მოწაფისა შრომათა დიდთა ვითარ - იგი აღიკიდის წყალი ძირით მის მთისათ და აღილის საქარად მის ბერისათჳის...“²⁴

ⴂ ვარიანტი:

„ხოლო მთაჲ იგი იყო პირველ ურწყული და წმიდაჲ იოანე ხედვიდა მოწაფისა მის ფიცხელთა შრომათა და ოფლთა. რამეთუ აღიკიდის წყალი ძირისა მისგან მთისა და მიართჳს საქარად ბერსა“²⁴

იოანეს დაუწყია ლოცვა-ვედრება უფლისადმი, რომ მოეცა მისთვის წყალი. თხზულების ენით, „იქმნა სასწაული“ და „წყაროჲ იგი იქმნა“²⁵

ამ ფაქტთან დაკავშირებით ტექსტის ⴂ ვარიანტში მთა არაა მოხსენიებული²⁶. ორ სხვა, ⴂ და ⴂ ვარიანტებში კი კვითხულობთ:

⌒ ვარიანტი:

„და ვითარცა იქნა სასწაული ესე და განითქუა მათ მიერ, რომელნი გარემოჲს მთასა მას მკუდრ იყვნეს, რამეთუ ყოველთა იცოდეს, ვითარმედ არა იყო წყალი მთასა მას...“²⁷

⌒ ვარიანტი:

„და ვითარცა განითქუა სასწაული ესე მახლობელთა მიმართ და გარემოჲს მკუდრთა მის მთისათა თუ ვითარ... აღმოეცენა წყალი მთასა მას ზედა“²⁷

იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში აღწერილია სხვა სასწაულიც. „ქშირ და ბნელი“ ნისლის შესახებ (მზის დაბნელება? – დ. მ.), რამაც მოსახლეობა ააღელვა. იოანეს კი „მთასა მას“ მყოფს სიმშვიდე შეუნარჩუნებია.

⌒ ვარიანტი:

„ხოლო ნეტარი იგი ბერი იქცეოდა მთასა მას მარტო და მოწაფისა მისგან თქისა მსახურებოდა“²⁸

⌒ ვარიანტი:

„ხოლო ნეტარი იგი ბერი იყოფებოდა მთასა მას და ისწრაფდა კეთილთა საქმეთა დაუნჯებასა...“²⁸

აქ მოტანილი მაგალითებით დასტურდება, რომ, იოანე ზედაზნელის ცხოვრების ვარიანტული ტექსტების მიხედვით, ცნებაში „მთა“ ყოველთვის ზედაზნის მთა იგულისხმება და როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში სიტყვას „მთა“ კონკრეტული გეოგრაფიული საკუთარი სახელის დატვირთვა აქვს. ვვარაუდობთ, რომ ასევე ზედაზნის მთა უნდა იგულისხმებოდეს დავით აღმაშენებლის შიომღვიმისათვის მიცემული ანდერძის იმ კონტექსტში, სადაც ლაპარაკია ძაგანის მიერ მიტაცებულ თუ კანონიერად მიღებულ (ბოძებულ) ობიექტებზე: „...მონასტერისა რაცა იყო მთასა: ციხე, მარანი, ანუ მატური – [საუკუნო] იგი სოფელი“.

„ანდერძის“ თ. ჟორდანიასეული გამოცემის ქართულ ვარიანტში შემოტანილ კონტექსტში სიტყვასთან „მთა“ დაკავშირებით გამომცემელს სქოლიოში ჩაუტანია შენიშვნა: „Здесь зачеркнута одно слово“.²⁹ ფოტოპირის გამოჭვეყნებულ მასალაზე ამოშლის

კვალი არ ჩანს (112 სტრიქონი).³⁰ ტექსტში სიტყვით „მთასა“ მთავრდება 112 სტრიქონი და დატოვებულია ადგილი, სადაც 5-7 ასო ჩაეტეოდა. ასევე დაუწერავია სიტყვა „მთასა“ ს წინ ადგილი, სადაც 3-4 ასო დაიწერებოდა, მაგრამ ეს ხარვეზი კონტექსტის საერთო სტრუქტურას არ არღვევს.

ვფიქრობთ, იოანე ზედაზნელის ცხოვრების დამწერმა (და წამკითხველმაც) კარგად იცოდა, თუ რა იყო „მთა“. იგივე შეიძლება ვიფიქროთ დავითის ანდერძის შესახებაც, თუ რა იგულისხმებოდა გამოთქმაში: „მონასტერისა რაცა იყო მთასა“, ეს იყო ზედაზნის მთა³¹ თავისი მონასტრით, ციხით, მარნით და მატურით.

* * *

მას შემდეგ რაც გავარკვეეთ, რომ დავითის ანდერძში სიტყვაში „მთა“ ზედაზნის მთა იგულისხმება,³² საჭიროდ ვთვლით, გაიკვეს რომელ მონასტერზეა ლაპარაკი ფრაზაში: „მონასტრისა რაცა იყო მთასა“. აქ, აშკარაა, იგულისხმება ზედაზნის მთაზე არსებული მონასტერი. ტრადიციულად ზედაზნის მთაზე მონასტრის დაარსება იოანე ზედაზნელს მიეწერება. ამის შესახებ მინიშნება თვით იოანე ზედაზნელის ცხოვრებაშია. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: „იგ (=13, დმ.) მამათაგანმან, მამამან იოვანემ ჰყო მონასტერი და ეკლესია სადგურად თჳსად და დაფლულ არს მუნვე“³³ ...

დავითის ანდერძის ტექსტის მონაკვეთში, სადაც აღნიშნულია: „მონასტრისა რაცა იყო მთასა: ციხე, მარანი, მატური...“ ვფიქრობთ, ნაგულისხმევია მთასა – ე.ი. ზედაზნის მთაზე არსებული მონასტერი. სამეცნიერო ლიტერატურაში საგანგებოდაა აღნიშნული ამ მონასტრის ბერების საცხოვრებელი – გამოკვეთილი სენაკები ზედაზნის „ციცაბო მთის ფერდში, ნათლისმცემლის ეკლესიის სამხრ. აღ-ით.“

ავტორები ამ სენაკებს ზოგადად ფეოდალური ხანით ათარიღებენ.³⁴

ჩვენთვის ცნობილია, რომ, როდესაც სირიიდან მოსული მამები ზედაზნის მთაზე ავიდნენ, იოანემ გამოქვამულში („ქუაბი“) დაიდო ბინა.

Ⲯ ვარიანტი:

„...პოვა ქუაბი და დაჯდა მას შინა მოწაფეთა თქათა თანა“.

Ⲙ ვარიანტი:

„და პოვა ქუაბი უდაბნოსა მას და დაჯდა მას შინა მოწაფეთა მისთა თანა.“

„ქუაბს“ დამკვიდრებულმა იოანემ ადგილზე ოცდაათი წელი ფეხმოუცვლელად გაატარა და აქვე გარდაიცვალა 573 წელს.³⁵ ამრიგად, VI საუკუნის II ნახევრიდან ზედაზენზე იწყება სამონასტრო ცხოვრება. დავითისეული ანდერძის მიხედვით, „მონასტრისა რაცა იყო მთასა,“ ზედაზნის მონასტრის კუთვნილება იყო.

* * *

ცალკე უნდა შევხვთ ზედაზნის ციხის საკითხს.

1988 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში – „XI-XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები“ – წიგნის ავტორმა ილ. ანთელავამ ჩვენი საკვლევო ტექსტის წაკითხვა, სასვენი ნიშნების გადაადგილებით, ყველა ადრე წაკითხვისაგან განსხვავებით, მთლიანად შეცვალა და ტექსტი ასე წაიკითხა: „მონასტრისა რაცა იყო, მთასა ციხე მარანი ანუ მატური იგი სოფელი და მღვმე მონასტერი...“ იქვე სქოლიოში, ავტორმა თავისი მოსაზრებაც გამოთქვა: „ციტირებულ ტექსტში უნდა იგულისხმებოდეს არა მონასტრის ციხე და მარანი, არამედ „მთასა ციხე მარანი“. „ციხე მარანისა“ დადასტურებულია „მატიანე ქართლისაში“.³⁶

ვ. სილოგავამ, ჩანს, გაიზიარა ილ. ანთელავას მოსაზრება და 1989 წ. გამოცემულ წერილში: „დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძში დამოწმებული საბუთები...“ ზემომოტანილი ტექსტი, 1981 წ. „მრავალთავში“, ხოლო 1984 წ. კორპუსში გამოქვეყნებულისაგან განსხვავებით, ასე წაიკითხა: „...მონასტერისა რაცა იყო – მთასა ციხე მარანი, ანუ მატური იგი სოფელი და მღვმე

მონასტერი – შიგან ციხედ და სადგომად ჰქონდეს თუთ“.³⁷ ცოტა ჰქვემოთ კი იგი წერს: „ანდერძის ტექსტის ამ ადგილის მიხედვით, ძაგან აბულეთისძეს (ან საერთოდ აბულეთისძეთა სახლს) მიტაცებული ჰქონდა: 1. ზედაზნის ციხე, 2. მუხრანი, 3. მცხეთის საქონებელნი, 4. წილკნის საყდარი და მისი საქონებელნი და 5. მთასა ციხე მარანი (ხაზგასმა ჩვენია – დ.მ.), 6. სოფელი მატური და 7. მღვიმის მონასტერი – ციხედ და სადგომად“.³⁸

მატიანე ქართლისაჲში მართლაც არის დამოწმებული ციხე „მარანასა“ ვარიანტებით. წყაროში ვკითხულობთ: „ლოწობანნი ჰქონდეს ივანე არსის (ვარ.: არისის, არშის) ძესა... და ციხე მარანასა (ვარ.: მარანისა, მირანისა) ხანხუასა (ვარ.: ხახუას, ტანტუასა)“.³⁹

ივ. ჯავახიშვილი საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის ნარკვევში შენიშნავდა: „ვერ გამოვარკვიე, სად იყო სახელდობრ ციხე ლოწობანთა“... ან კიდევ ციხე მარანისა“⁴⁰

ნ. ბერძენიშვილს „ციხე მარანისა“⁴¹ ს არსებობა საეჭვოდ მიაჩნდა. თავის ნარკვევში „ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული მოვლენის გამო“, სადაც არიშის ციხისა და არიშიანის გვარის შესახებ საუბრობს და ახსენებს ანასეულ ქართლის ცხოვრებაში დამოწმებულ „ციხე მარანისა“⁴² ს, სქოლიოში ფრჩხილებში, კითხვის ნიშნით გაუტანია – (ვერენისა?).⁴¹

ზედაზნის ციხე, როგორც ანდერძიდანაც ცნობილია, დავით აღმაშენებელსა და ძაგანს შორის გაჩაღებულ მწვავე ბრძოლაში ერთ-ერთი სადავო საგანთაგანი იყო. როგორც დადგინდა, იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში ხმარებული „მთა“ ზედაზნის მთას აღნიშნავდა. ამიტომ ვფიქრობთ, რომ დავითის ანდერძში გამოთქმა: „მონასტრისა რაცა იყო მთასა“, ზედაზენზე არსებულ ობიექტებს აღნიშნავდა, მათ შორის ციხესაც.

დღეს ზედაზენზე შემორჩენილი საფორტიფიკაციო ნაგებობანი, სპეციალისტთა სიტყვით, „ძირითადად XVII ს-ით თარიღდება (ზოგიერთი ნაწილი განვითარებულ ფეოდალურ ხანას მიეკუთვნება)“⁴². გ.ნ. ჩუბინაშვილი კი შენიშნავდა, რომ ზედაზნის ძველი

სიმაგრედან (крепость), მიწის ზედაპირზე აქა-იქ შეინიშნება მხოლოდ ნაშთებიო.⁴³

ზედაზნის ციხე ცოცხალი ორგანიზმია თამარის დროსაც — 1195-1196 წწ. თამარ მეფის მიერ მღვიმისადმი გაცემულ სიგელს, სადაც მოთხრობილია სხალტიდან მონასტრისათვის წყლის მოტანის და წყლის მკაზმავებად ქოსაისძეების დასმის შესახებ, ერთვის თამარის ბრძანება: „აწ, ვინცა პნახოთ ბრძანებაჲ და სიგელი ესე ჩუენი: ზეზადნისა ციხისთავთა, მპარავთმძებნელთა, მოხარაჯეთა, მესაბანჯრეთა და ყოველთა საქმის მოქმედთა ჩუენთა: დიდთა და მცირეთა, დაუმტკიცეთ და ნუენ უშალავთ ბრძანებასა ამას ჩუენსა“..⁴⁴. ამრიგად, თამარის დროს ზედაზნის ციხე მეფის დაქვემდებარებაშია „ზედაზნის ციხისთავით“ და სხვა მრავალრიცხოვანი მოხელეებით.

ზედაზნის ციხე თამარის დროსაც სამეფოა მას შემდეგ, რაც დავითმა ძაგანს ძალით წაართვა და შემოიერთა „ზედაზნის ციხისთავით“ და სხვა მოხელეებით.

ზემოთქმულის შემდეგ, უეჭველია, რომ დავითის დროს ზედაზნის მთაზე, სადაცო საფორტიფიკაციო ნაგებობა — „ციხე“ ნამდვილად არსებობდა „ზედაზნის ციხის“ სახელწოდებით⁴⁵.

* * *

გასარკვევია, იყო თუ არა მარანი ზედაზნის მთაზე სამონასტრო კომპლექსში.

ქართულ მონასტრებში მარანი (შენობა, ან ღია ცის ქვეშ მიწაში ჩაფლული ქვევრები) აუცილებელი ატრიბუტი იყო. ჩვენამდე მოღწეულ სამონასტრო ტიპიკონებში ბერებისათვის ღვინის მოხმარების ზუსტი ნორმებია დაწესებული. ღვინოს ზედაზნის მონასტრის ბერებიც მიირთმევდნენ, ოღონდ იოანე ზედაზნელი მათ სასტიკად უკრძალავდა დათრობას.⁴⁶

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ილ. ანთელავამ თავის ზემოხსენებულ მონოგრაფიაში, დავითის ანდერძის ტექსტის გარკვევისას, ორ სიტყვას შორის სასვენნი ნიშანი მოშალა, რის შედეგადაც ორი და-

მოუკიდებელი ცნების: „ციხის“ და „მარანის“ ნაცვლად მიიღო „ციხე მარანი“, ე.ი. ციხე, – სახელწოდებით „მარანი“.

ზედაზნის სამონასტრო კომპლექსის შემსწავლელ ხელოვნებათმცოდნეთა ნაშრომებში, ნახაზებსა თუ ფოტოებზე, ადგილზე ხელუხლებელ შენობათა ნაშთებში (ძირითადად ხშირი ტყით დაფარული, წაშლილი შენობათა საძირკვლები), ზედაზენზე გამოკვეთილად ჭერჭერობით არსად შეიმჩნევა მარნის ნაშთები. სამაგიეროდ, არსებობს უტყუარი წერილობითი წყარო ზედაზნის სამონასტრო კომპლექსში ჭვითკირით ნაშენი მარნის არსებობის შესახებ. თ. ჟორდანიას გამოქვეყნებულ დოკუმენტში, სადაც მოცემულია ოცდაექვსი სულიერი მამის – „ზედაზნის მამების“ გარდაცვალების თარიღები და ზოგჯერ ცნობებიც მონასტრის სასარგებლოდ მათ გამორჩეულ საქმიანობაზე, ვკითხულობთ, რომ მამა სამოელმა (თ. ჟორდანიას პუბლიკაციის მიხედვით 979 წ. გარდაცვლილმა): „... მარანი ჭვითკირისა ქმნა“⁴⁷. თუ იმასაც გავიაზრებთ, რომ სამოელი ზედაზნის მონასტრის მამასახლისია, ცხადია, მარანიც მან ზედაზნის მონასტრისათვის „ქმნა“. „მარანი“ მონასტერს, რასაკვირველია, მანამდეც ექნებოდა, მაგრამ, ჩანს, „მარანი ჭვითკირისა“ ისეთი მნიშვნელობისა იყო, რომ ისტორიაში შევიდა როგორც მამა სამოელის აგებული. სწორედ ეს „ჭვითკირით ქმნილი“ მარანი უნდა იგულისხმებოდეს დავითის ანდერძშიც. მამა სამუელის გარდაცვალებასა (979 წ) და დავითის გარდაცვალებას შორის (1125) მხოლოდ 146 წელია განსხვავება და, ვფიქრობთ, საგანგებოდ ჭვითკირით შექმნილი, მტკიცე მარანი საუკუნენახევრის შემდეგაც მოქმედი იყო. ამრიგად, ორი დამოუკიდებელი, სხვადასხვა დროის წერილობითი წყაროს – „ზედაზნის მამების“ ნუსხის და დავითის ანდერძის – ცნობით, ზედაზნის სამონასტრო კომპლექსში მარნის არსებობაში ეჭვის შეტანა გამორიცხულია.

ანდერძის ტექსტში ცნებები „ციხე“ და „მარანი“ ერთმანეთისაგან მძიმით უნდა იყოს განცალკევებული. „მარანის“ ციხის სახელად წაკითხვა კი, ვფიქრობთ, გაუმართლებელია.

P.S. სამწუხაროდ, კრებულის გამოქვეყნებამ ერთობ დაიგვიანა. ძალიან დასანანია, რომ ნიჭიერი, თვალსაჩინო ისტორიკოსი ილ. ანთელავა ვერ მოესწრო გასცნობოდა წინამდებარე წერილს. ვფიქრობ, საინტერესო იქნებოდა მისი თვალსაზრისი ჩვენს მოსაზრებაზე „ციხე მარანის“ შესახებ (დ.მ.).

* * *

რა იგულისხმება დავით აღმაშენებლის ანდერძში დამოწმებულ ტერმინში მატური.

ვიდრე უშუალოდ საკითხის გარკვევას შევუდგებოდეთ, ისევე გავიხსენოთ მონაკვეთი ტექსტიდან: „... მონასტერისა რაცა იყო მთასა: ციხე, მარანი ანუ მატური იგი სოფელი და მღვმე მონასტერი ...“ ჩვენი აღდგენით: „მატური [საუკუნო] იგი სოფელი“.

დავითის ანდერძში ნახმარი სიტყვა „მატური“ ზოგჯერ სამეცნიერო ლიტერატურაში გააზრებულია როგორც სოფელი.

პირველი მკვლევარი, რომელმაც მატური გააიგივა სოფელთან, დავით აღმაშენებლის პირველგამომცემელი თ. ჟორდანიას იყო. ჩვენს მიერ ანდერძიდან მოტანილი ტექსტი მან ასე თარგმნა: „Находящиеся на горе крепость, винный погреб, принадлежавшие церкви и монастырю (Шиомгвимскому),⁴⁸ равно и как селение Матури“⁴⁹.

მატური სოფლად მიაჩნდა ივ. ჯავახიშვილსაც. თავის ნარკვევში: „საქართველოს საისტორიო გეოგრაფია VII-XII სს. ქ[რი-სტეს] [შემდეგ]“ იგი სინანულით აღნიშნავდა, რომ „ცნობების უქონლობის გამო ვერ გამოვარკვეე შემდეგი ადგილების მდებარეობა: „მატური, არა ჩანს, უდრის თანამედროვე მატურლიანთკარს“, რომელიც 5 ვერსიან რუკაზე აღნიშნულია, ... თუ მათურას, რომელიც იქვე არის ...“⁵⁰.

1981 წ. ბ-ნმა ვალერი სილოგავამ გამოაქვეყნა ნარკვევი დავით აღმაშენებლის ანდერძის შესახებ, რასაც დაურთო ანდერძის ფოტოპირი, ტექსტი და საძიებლები. საძიებლებში, გეოგრაფიული და

ეთნიკური სახელების რიგში მატური გატანილია როგორც სოფელი.⁵¹

ასევე მატური გატანილი როგორც სოფელი 1984 წ. გამოქვეყნებულ წიგნისათვის: „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I“, დართული გეოგრაფიული და ეთნიკურ სახელების რიგში: „... მატური სოფელი“.⁵²

1989 წელს ჟურნალ „მაცნეში“ (№3) გამოქვეყნდა ისევ ვ. სილოგავას წერილი: „დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძში დამოწმებული ძველი ქართული საბუთები და ანდერძის დამოწმება ძველ ქართულ საბუთებში.“ აქ უკვე ავტორმა დასკვნა გამოიტანა, რომ ძაგანს სხვა ობიექტებთან ერთად მიტაცებული ჰქონდა „სოფელი მატური“. ავტორი თვლის, რომ მატური შიომღვიმის მონასტრის კუთვნილება იყო. მისი სიტყვით: „შიომღვიმის მონასტერს ჰქონია „მატური იგი სოფელი“, როგორც ჩანს, კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე არსებული და, მაშასადამე, ცხადია, კახთა მეფეებისაგან შემოწირული სამფლობელო“.⁵³

მატური, როგორც სოფელი (დავითის ანდერძის მიხედვით), გატანილია აგრეთვე კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ „პირთა ანოტირებულ ლექსიკონში.“ ლექსიკონში მოტანილია დავითის ანდერძიდან ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი და მოცემულია მცდელობა მისი „გახსნისა“. განმარტებაში მოთხრობილია, რომ „მას (ე.ი. ძაგანს) სამთავროდ უქცევია საეპისკოპოსოები, მიუთვისებია „მცხეთისა საქონებელნი მრავალნი“... (მღვიმის) მონასტრის კუთვნილი ციხე და მარანი მთას (?), სოფელი მატური...“⁵⁴ და ა.შ.

აქ მოყვანილი მაგალითების გარდა, მატური, როგორც სოფელი, გაგებული აქვთ სხვა ავტორებსაც. მაგ., ბ-ნი დ. გოგოლაძე VI-XII საუკუნეების საქართველოს დაბა-სოფლების და სასოფლო ხეების ნუსხაში ასახელებს მატურს როგორც სოფელს.⁵⁵

ანდრო გოგოლაძეც 2001 წ. გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში: „დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი“ მატურს შიომღვიმის კუთვნილ სოფლად მიიჩნევს. კონტექსტში ნახსენები მა-

რანიც მას მღვიმის მონასტრის სოფლად მიაჩნია და აიგივებს მატურთან. მატურთან დაკავშირებით იგი წერს: „შესაძლოა იგივე მარანი“ (გვ. 71“).⁵⁶

როგორც მაგალითებიდან ჩანს, მატურის ცნება სოფლის შესატყვისად საკმაოდ დამკვიდრებულია სამეცნიერო ლიტერატურაში. მაგრამ დავითის ანდერძის ერთ-ერთ გამომცემელს ი. დოლიძეს სწორად გაუგია სიტყვის „მატური“ მნიშვნელობა და იგი ტერმინთა და არა გეოგრაფიულ სახელთა საძიებელში გაუტანია.⁵⁷

მაინც რამ გამოიწვია მკვლევართა შორის ტექსტის ასეთი ინტერპრეტაცია? საქმე ისაა, რომ ტექსტის მონაკვეთში, სადაც ძაგანის მინატაცებზეა საუბარი, ორი სიტყვა: „იგი სოფელი“ თითქოს უადგილოდაა ჩართული: „მონასტერისა რაცა იყო მთასა: ციხე, მარანი, ანუ მატური იგი სოფელი და მღუშე მონასტერი“, – ვკითხულობთ ტექსტში.

ეს ორი სიტყვა – „იგი სოფელი“ გახდა სწორედ პროვოცირების წყარო იმ ავტორთათვის, რომელთაც „იგი სოფელი“ გაიაზრეს როგორც სიტყვის „მატური“ განმარტება.

საბა ორბელიანის განმარტებით: „სოფელი სამ სახედ ითქმის: საუკუნო იგი სოფელი (ხაზგასმა ჩვენია, დ.მ.) და წუთისოფელი და კაცის ბუნებაც სოფლად ითქმის“. თუ ანდერძისეულ ორ სიტყვას „იგი სოფელი“ წინ საბასეულ ერთ სიტყვას „საუკუნოს“ ჩავსვამთ, მივიღებთ საბასეულ სრულ განმარტებას „სოფლის“ ერთ-ერთი „სახისას“ – „[საუკუნო] იგი სოფელი“. ტექსტში კი ასე წაიკითხება: „ანუ მატური – [საუკუნო] იგი სოფელი“.

ილ. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონის მიხედვით, სიტყვა სოფელი კონკრეტულ შემთხვევაში გაიგივებულია სიტყვასთან „სასუფეველი“: „სასუფეველი „სოფელი“, სამეფო: „აგარაკი არს ესე სასუფეველი“... „აგარაკი ესე სოფელი არს“. თუ სიტყვის „სოფელი“ ნაცვლად ტექსტში „სასუფეველი“ ჩაირთვებოდა, დღევანდელი მკითხველისათვის ტექსტი სავსებით გასაგები იქნებოდა, მაგრამ ჩვენ ასე შორს არ მივდივართ.⁵⁸

სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას, რომ დავით აღმაშენებლის ანდერძში დამოწმებული სიტყვა მატური სოფელია, ცხადია, ჩვენ არ ვიზიარებთ. იმის გასარკვევად, თუ რა არის მატური, ქვემოთ მოგვაქვს სათანადო მასალები.

საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ XIX-XX საუკუნეებში ეს სიტყვა ცოცხალი იყო და იგი იხმარებოდა როგორც ქართულ მხატვრულ პროზაში, ასევე სამეცნიერო ლიტერატურაში. მაგ., ნიკოლოზური თავის მოთხრობაში „წუთისოფელი“ ამ სიტყვას საფლავთან დაკავშირებით ხმარობდა. იგი მოგვითხრობდა, რომ თონიკემ (მოთხრობის ერთ-ერთი პერსონაჟი) „გარდაცვალებული თავის ხარჯით დამარხა, ოცდათხუთმეტთუმნინი ლამაზი მატური შეუკვთა მისი საფლავისათვის“.⁵⁹

სიტყვა მატური ცნობილია აკად. ნ. ბერძენიშვილისათვისაც: „ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიურში (საანგარიშო მოხსენება)“ იგი წერს, რომ მისი ყურადღება მიიქცია სოფ. ვარევანის სასაფლაოზე დადებულმა ქვამ, რომელიც ავტორის განმარტებით: „...იყო ჩვეულებრივი მატურის კვარცხლბეკად დადებული ქვა.“

თვით მატური უწარწეროა და ახალი: მისი გაკეთება მრავალს ახსოვს. ეს არის ორი ერთიმეორეზედ მდგარი ოთხკუთხა პრიზმი, რომელსაც ასრულებს გუმბათი ჯვრით...“.⁶⁰

ნ. ბერძენიშვილს მატური დადასტურებული აქვს ზულგუმოს (ჯავახეთში) ძველ სასაფლაოზეც: „მრავლადაა საფლავის ქვები. ამათგან ზოგი უბრალო გაუთლელი ლოდია... და ზოგჯერ გათლილ-გამოქანდაკებული. ასეთებია: სადად გაკუთხული სიონის სახის, ჯვარის სახის მდგარი (მატური), ან კიდევ ქანდაკებანი“.⁶¹

საინტერესო ქსეროასლი გაგვაცნო ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელმა ელდარ ბუბულაშვილმა. ეს არის 1951 წ. გაკეთებული ჩანაწერი სათაურით: „ცნობა თევდორე მღვდლის საფლავის თაობაზე“ – ცნობილი იურისტის გუგული დევდარიანის ოჯახიდან. ამ ჩანაწერში კვითხ-

ულობთ: „თვედორე ღვდელი მარხია მოხისის ეკლესიის წინ. მატურია ალგეთის ქვის, რომელიც წარმოადგენს პატარა ეკლესია(ს)“⁶².

თბილისურ მეტყველებაში დღევანდლამდეც კი მოაღწია სასაფლაოს მნიშვნელობით სიტყვამ „მატურები“. პოეტი ი. გრიშაშვილი ერთ-ერთ ლექსში თბილისელ კინტოს ათქმევინებს:

„ხოჯივანქში მატურები რომ არი
იქ ამოდი ვითამაშოთ ყომარი“⁶³.

ექ. შალვა ჩხენკელის (სარწმუნოებით კათოლიკეს) ცნობით, აწ გაუქმებულ კათოლიკეების სასაფლაოს თბილისში, დღევანდელი დ. ქონქაძის ქუჩის დასასრულის მიდამოებს, მატურები ეწოდება⁶⁴.

ვახუშტი ბატონიშვილის 1735 წლის ატლასში, ქართლის რუკაზე (H №2070) ჩართულ თბილისის გეგმაზე, რომლის ქვემო მხარეზე მოთავსებულია სვეტებად დალაგებული, ვახუშტის ხელით შესრულებული განმარტებანი, „ივ“ ნიშნით (=16) შესრულებულ გრაფაში ორი სიტყვით მინიშნებულია: „ფრანგის საფლავი“⁶⁵. ვფიქრობთ, ეს არის თბილისელთა მეტყველებაში შემორჩენილი „მატურები“ – კათოლიკეთა აწ გაუქმებული სასაფლაო. ამრიგად, აქ მოტანილი მასალით, თბილისში, „მატურების“ სახელით ორი სასაფლაო გვაქვს დადასტურებული.

სიტყვა მატური, მართალია, არც საბასთან და არც ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ შეტანილი არაა, მაგრამ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მატურის შესახებ ვკითხულობთ: „ძვ. საფლაოზე დადგმული ქანდაკება, ძეგლი (მაგალითად, მოტანილია ადგილი ნ. ლომოურის მოთხრობიდან). მატურიანი კი განმარტებულია, როგორც „ძვ. რასაც მატური ადგას, მატურიანი საფლავი“⁶⁶.

ნიკო ჩუბინაშვილი თვლის, რომ მატური არის „სასაფლაოზედ მცირე გალავანი, მოვლებული ერთის ნათესავის მიცვალებულთათვის... ნожница“⁶⁷.

ი. გრიშაშვილი არ იზიარებს ნ. ჩუბინაშვილისეულ განმარტებას და წერს: „მატური – 1. ძეგლი სასაფლაოზე. „გადაწყდა, ის ფული, რომლითაც გვირგვინები უნდა შეისყიდონ, გადაიდოს ცა-

გარელის საფლავზე მატურის დასადებლად“. „ივ[ერია]“, 1902, №172; დ[ავით] ჩ[უბინაშვილი] ამბობს: სასაფლაო, „გალავანო“, არ არის სწორი⁶⁸: „პო შენს ლხენას მატურს დაგადგამენ“ ს[ოფრომ] მგალ[ობლიშვილი], 1, გვ. 207). საფლავის ძეგლი. „მა-მაჩემი მეტყოდა ხოლმე: მამა გიცხონდა, როცა მოკვდები, თითოთ სამარე არ გამითხარო და ოქროს მატური არ დამადგა!“ მ[აქსიმე] ბერძ[ნიშვილის]⁶⁹ ნაამბობი, 1932 წ. 14(XII)2. სომხ. სიტყვა: პატარა ეკლესია რომელიმე საფლავზე⁷⁰.

გიგო შარაშიძის გურულ ლექსიკონში შეტანილია სიტყვა „მატაური“⁷¹. ეს სიტყვა განმარტებულია როგორც „მატაურის ქარი ა[ლექსანდრე] მ[გელაძე], სენი ძვლის გამტები. „მატაურმა ში-ახმოს მისი ხელი და ფეხი“ (წყევლა)“. ეს მასალა გიგო შარაშიძისათვის ცნობილ პედაგოგს, ბახველ ალ. მგელაძეს მიუწოდებია. რადგან წყევლაში ხელის და ფეხის „შეხმობაზეა“ ლაპარაკი, შესაძლებელია, სიკვდილთან დაკავშირებული მომენტი იგულისხმებოდეს და თავდაპირველად ყოფილიყო „მატურის ქარმა“ და არა „მატაურის ქარმა“ – ე.ი. სასაფლაოდან, სასაფლაოს ნაგებობიდან წამოსულმა ქარმა „შიახმოს“ ხელი და ფეხი.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება ითქვას, რომ მატური სასაფლაოსთან, საფლავთან დაკავშირებული ცნებაა. ამიტომ, დავითის ანდერძში მოხსენებული „მთასა“ არსებულ მატურში გარკვეული პირის საფლავი ივარაუდება და არა სოფელი⁷².

* * *

მას შემდეგ, რაც გავარკვიეთ, თუ რა არის მატური, გაჩნდა კითხვა – ვის საფლავზე უნდა მდგარიყო ეს მატური.

როგორც უკვე ვიცით, ზედაზნის მთაზე ერთხელ დამკვიდრებულმა იოანე ზედაზნელმა ფეხმოუცვლელად 30 წელი გაატარა და იქვე გარდაიცვალა 573 წელს⁷³. მან თავის მოწაფეებს დაუბარა, რომ იგი დაეკრძალათ იქვე, სადაც ის უკანასკნელ წლებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. მოწაფეებმა არ შეასრულეს – „უღებ

ყვეს“ იოანეს თხოვნა და იგი დაკრძალეს ერთ-ერთი მოწაფის — თათას მიერ აგებულ მონასტერში ზედაზნის მთის ძირას⁷⁴.

იოანეს „ცხოვრების“ ო ვერსიის თანახმად, იოანე ლუსკუმით დაუკრძალავთ, 9 ვარიანტი კი — ლარნაკით⁷⁵. რამოდენიმე ხნის შემდეგ იოანეს ნეშტი დიდის პატივით ასვენეს და დაკრძალეს ზედაზნის მთის თხემზე⁷⁶. ამის შემდეგ ეს ადგილები ყურადღების ძირითად ობიექტად იქცა და ზედაზნის მთაზე განაშენიანების აქცენტი ამ საფლავთანაა დაკავშირებული.

ზედაზნის მონასტრის მამასახლისების სიის მიხედვით, ზოგჯერ ჩნდება ცნობები საფლავთან თუ მონასტერთან დაკავშირებულ მშენებლობებზე⁷⁷, კერძოდ, თუ რომელმა ამა თუ იმ გარდაცვლილმა წინამძღვარმა რა მოიმოქმედა სიცოცხლეში. ამ სიის მიხედვით:

+ 830 გაბრიელმა „სტოვა ალაშენა“

+ 943 მიქაელმა „სადიაკვნე ალაშენა“

+ 946 ზაქარიამ „ეკლესია განადიდა“

+ 979 სამუელმა „მარანი ქვიტკირისა ქმნა“⁷⁸ და ა.შ.

აქ ჩამოთვლილი, რასაკვირველია, სრულად ვერ ასახავს მშენებლობის მასშტაბებს, მაგრამ მაინც საყურადღებო ცნობებს იძლევა.

შეისწავლა რა ზედაზნის ბაზილიკა აკად. გ. ნ. ჩუბინაშვილმა, იგი აღნიშნავდა, რომ ეს ბაზილიკა აგებულია მონასტრის დამაარსებლის საფლავზე⁷⁹. მისი დასკვნით, ბაზილიკის არქიტექტურულმა ანალიზმა გამოავლინა, რომ იოანეს საფლავზე პირველად აგებული იყო პატარა მემორიალური ერთნავიანი ეკლესია, რომელიც შემდგომში ჩაირთო სამნავიან ბაზილიკაში, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი ჩრდილოეთი ნავის სახით.⁸⁰

1968 წ. ზედაზენზე სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარდა ნიკო ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით. მან ძირითადად გაიზიარა გ.ნ. ჩუბინაშვილის მოსაზრებანი ზედაზნის ბაზილიკის შესახებ და შეავსო კიდევ ახალი მონაცემებით.

ნიკო ჩუბინაშვილის აზრით, VI ს-ის ბოლოს ან VI-VII სს-თა მიჯნაზე აშენდა დამოუკიდებელი დარბაზული ეკლესია ოთხკუთხა გეგმით ჩვეულებრივი ნახევარწრიული აფსიდის გარეშე⁸¹. გაწმენდის დროს საკურთხეველის კედლიდან 1,80 სმ დაშორებით გამოჩნდა ქვის ცარიელი ყუთი 66X42X40 სმ შიდა ზომებით, საკმაოდ სუფთად გათლილი რვასანტიმეტრიანი სისქის ქვის ფილებით. საესებით სწორი იყო ნიკო ჩუბინაშვილის ვარაუდი, როდესაც იგი წერდა: „Расположение этого захоронения наводило на мысль, что, это оно, может быть, принадлежит мошам Иоанна“⁸².

როგორც უკვე ითქვა, იოანეს ნეშტი გადასვენეს თავდაპირველი დაკრძალვის ადგილიდან. ნიკო ჩუბინაშვილი ფიქრობდა, რომ იოანეს მოწაფეებმა გადაწყვიტეს ნეშტის გადასვენებამდე აეგოთ დარბაზული ეკლესია. იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში კი დაცულია ცნობა, რომ იოანეს მთაზე ასვენების „შემდგომად მისსა აღაშენეს ეკლესიაჲ“⁸³.

იოანეს ცხოვრების 7 ვარიანტით, იგი დაკრძალეს ლუსკუმით, ხოლო 9 ვარიანტით – ლარნაკით.

საბას განმარტებით, ლუსკუმა „მაღალი საფლავია“. ილ. აბულაძის ლექსიკონში კი ვკითხულობთ: „ლუსკუმა კიდობანი, სამარხი, მიცვალებულის დასაცავი კუბო.“

ლარნაკი ილ. აბულაძის ლექსიკონში განმარტებული არაა. საბასთან: „ესე არს მსგავსად კიდობნისა შემზადებული ფიცართაგან ანუ ქვათაგან“. ლექსიკოგრაფ ნიკო ჩუბინაშვილის მიხედვით კი „ლარნაკი – ლუსკუმა (! – დ.მ.), ქვათა ანუ მეტალთაგან შემზადებული წმინდათა ნაწილთა“.

ამდენად, ლუსკუმა თუ ლარნაკი ერთი და იმავე დანიშნულების საგნებია – წმინდანთა ნაწილების შესანახი სათავსი.

ზედაზენზე სარესტავრაციო სამუშაოების დროს ნაპოვნი ქვის ყუთის შიდა ზომები ისეთია, რომ რაც არ უნდა მორჩილი ტანის მიცვალებული ყოფილიყო, სრულწლოვანი ადამიანის ცხედარი შიგ კერ მოთავსდებოდა.

ყურადღებას იქცევს იოანეს ცხოვრებაში ნათქვამი ერთი დეტალი: პირველი დაკრძალვის დროს ო ვარიანტით „ლარნაკის მოქმედთა მას შინა დასხნეს პატიოსანნი ნაწილნი მისნი კრძალვითა“, როგორც ვხედავთ, აქ ლაპარაკია წმინდანის მხოლოდ „პატიოსანი ნაწილების“ შესახებ. ჩვენთვის მთავარია, რომ მთაზე იოანეს ნეშტი დაკრძალეს, სულერთია ლუსკუმით თუ ლარნაკით. აქვე გვინდა გამოვთქვათ ვარაუდი, რომ სარესტავრაციო სამუშაოების დროს ნაპოვნი ქვის ყუთი, თუმცა ცარიელი, უნდა იყოს ის „ქურჭელი“ (ქართულ მეტყველებაში მიცვალებულის ჩასასვენებლის დღემდე შემორჩენილი ტერმინი), იქნებ სიმბოლურად, რომლითაც იოანეს ნეშტი დაკრძალეს ზედაზნის მთაზე.⁸⁴

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, საეჭვო აღარაა, რომ ანდერძის ტექსტში ნახსენები მატური იოანე ზედაზნელის საფლავთან დაკავშირებული ნაგებობაა და არა სოფელი.

იოანე ზედაზნელის საფლავის საკითხს ეხება ა. ვოლსკაია 1979 წ. გამოქვეყნებულ თავის სტატიაში: „Рельефная планка из зедазенского монастыря“. ავტორის დაკვირვებით, 1956 წ. აღმოჩენილი რელიეფური გამოსახულებიან ქვის ფილაზე გამოკვეთილი არიან ისტორიული პირები. ზედაზნის ფილის რელიეფის თარიღად ავტორი VII ს მიიჩნევს. ეს ფილა თავდაპირველად პატარა მემორიალური ეკლესიის საკურთხევლის ზღუდის ერთ-ერთი ფილათაგანი უნდა ყოფილიყო. ფილაზე გამოკვეთილი პირველი გამოსახულების ქვემოთ, კვარცხლბეკზე, თეიმურაზ ბარნაველმა აღადგინა სახელი „იოანე“.⁸⁵

როდესაც ზედაზენზე სამნავიანი ბაზილიკა ააგეს და მემორიალური ეკლესია ჩაერთო ჩრდ. ნავში, ეს ფილა გადაიტანეს იოანეს საფლავზე. ა. ვოლსკაია არ გამორიცხავს, რომ იგი იოანეს საფლავის ნიშანი იყო და მორწმუნენი და მლოცველები მას თავყანს სცემდნენ როგორც მონასტრის დამაარსებლის საფლავს.⁸⁶

იოანე ზედაზნელის დაარსებული მონასტერი, იოანეს საფლავთან ერთად, ქართლში ერთ-ერთ დამოუკიდებელ, წამყვან ქრისტიანულ კერად ითვლებოდა. ეს იყო ზადენის კერპზე ქრის-

ტიანული სარწმუნოების გამარჯვების სიმბოლო. ამიტომაც მოხდა, რომ IX საუკუნეში არაბთა ექსპანსიის დროს რუეისთაველთა და მეწკევენელთა საგვარეულოებმა ზედაზნის მთაზე გადმოასვენეს: „ძუალნი მეფეთა მათთა და დედათთანი; და დაასხნეს ლუსკუმითა მათ შინა ზედაზენს ეკლესიასა შინა“⁸⁷.

ვფიქრობთ, რომ ასევე უეჭველია მოსაზრება, რომ დავით აღმაშენებლის ანდერძში ჩვენს მიერ განხილული „მთასა“ არსებული მონასტრის ციხე, მარანი და მატური ზედაზნის მონასტრის კუთვნილება იყო და არა შიომღვიმის მონასტრისა.

სამეცნიერო ლიტერატურაში აქა-იქ ვხვდებით ცალკეულ გამონათქვამებსა თუ მოსაზრებებს, როდესაც „მთასა“ არსებული პუნქტები: ციხე, მარანი თუ მატური გააზრებულია როგორც შიომღვიმის სამონასტრო კომპლექსში შემავალი, უკეთ, მეფე დავითის მიერ გადაცემული შეწირულებანი.

პირველი ავტორი, ვინც ზედაზნის მთაზე არსებული მონასტრის კუთვნილი ობიექტები შიომღვიმის კუთვნილებად გაიაზრა, ანდერძის პირველგამომცემელი თედო ჟორდანი იყო. 1895 წ. იგი წერდა: „Находящиеся на горе крепость⁸⁸, вишный погреб, принадлежашие церкви и монастырю (Шномгвимскому), равно как и селение Матури и самый этот Мгвимский монастырь пусть будут служить Дзагану“⁸⁹.

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში „აბულეთისძე ძაგან“-ის განმარტებაში ნათქვამია, რომ „დავით აღმაშენებელმა ა[ბულეთისძე]ის სახლს ჩამოართვა გიორგი II-ის მიერ ნაწყალობევი ზედაზნის ციხე, მუხრანი და შიომღვიმის მონასტერს გადასცა“⁹⁰.

ვ. სილოგავა კი 1989 წ. გამოქვეყნებულ სტატიაში წერდა, რომ „შიომღვიმის მონასტერს ჰქონდა „მატური იგი სოფელი“, როგორც ჩანს, კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე არსებული და, მამასადაძე, ცხადია, კახეთის მეფისაგან შემოწირული სამფლობელო“⁹¹.

1991 წ. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ ცნობარში: „პირთა ანოტირებული ლექსიკონი“,

[აბულეთისძე] ძაგანის შესახებ კვითხულობთ: „... იხსენიება დავით მეფის მიერ მღვიმის მონასტრისათვის მიცემულ ანდერძში“. ანოტაციაში ჩამოთვლილია ძაგანისა და მისი ძმის მოდისტოსის მიერ მიტაცებული ქონება, მათ შორის: „[მღვიმის] მონასტრის კუთვნილი ციხე და მარანი მთას (?), ასევე სოფელი მატური...“ იქვე ანოტაციაში ნათქვამია, რომ „დავით მეფემ მღვიმის მონასტერს დაუბრუნა [აბულეთიძეების] მიერ მიტაცებული მამულები“⁹².

ვფიქრობთ აქ, სამწუხაროდ, ნაკლულოვანი ტექსტის გამო, ზუსტად არაა გაგებულნი ფაქტები.

საქმე ისაა, რომ ანდერძში ორი მონასტრის – ზედაზნისა და „მღვმე მონასტრის“ „საქონებელნი“ და მათთან დაკავშირებული ფაქტები, ტექსტის გაუმართაობის გამო, ბუნდოვანია და ძნელად აღსაქმელი.

ანდერძში ორი, ტოპოგრაფიული მდებარეობით ერთმანეთისაგან განსხვავებული მონასტერია დასახელებული. „მღვმე მონასტერი“ – შიოს მონასტერია, რომელიც მთებით შემოზღუდულ დაბლობში მდებარეობს. ილ. აბულაძის ლექსიკონის მიხედვით, „მღვმე არის თბრილი, „ორმო“ (გვ. 304). ეს მომენტი ადგილზე ნახვითაც დასტურდება. შიოს მონასტრის კომპლექსი მართლაც „თბრილისა“ და „ორმოს“ ასოციაციას იწვევს.

ზედაზნის მონასტერი კი საკმაოდ გამოკვეთილ მაღალ მთაზეა: ზღვის დონიდან 1390 მ, სიმაღლეზე⁹³.

ამიტომაა იგი „მონასტერი მთასა“. „მთასა“ არსებული სამონასტრო ობიექტებიც ზედაზნის მონასტრის კუთვნილებაა.

ამრიგად, დავით აღმაშენებლის ანდერძის ტექსტისეული „მთა“ არის ზედაზნის მთა. ანდერძის ტექსტში სახელის მინიშნებით „ზედაზნის მონასტერი“ არ გვხვდება, სამაგიეროდ ჩამოთვლილია ობიექტები „მონასტრისა რაცა იყო მთასა“: ციხე, მარანი და მატური. ეს მონასტერი უეჭველია ზედაზნის მონასტერია, განსხვავებით „მღვმე მონასტრისაგან“, და გამოთქმაში „რაცა იყო მთასა“ იგულისხმება ზედაზნის მთაზე ზედაზნის სამონასტრო კომპლექსში შემავალი ობიექტები: ციხე, მარანი, მატური.

„მთასა“ არსებული მატური დაკავშირებულია ზედაზნის მონასტრის დამაარსებლის ზედაზნის მთაზე არსებულ იოანე ზედაზნელის საფლავთან.

რაც შეეხება ზედაზნის სამონასტრო კომპლექსში შემავალ საკულტო, სამეურნეო თუ საფორტიფიკაციო ობიექტების შეწირვა-გადაცემის ფაქტს „მღვმის“ მონასტრისათვის, ჩვენთვის ცნობილი მასალებით იგი არ დასტურდება. მოძალადე პირისათვის ჩამორთმეული სამონასტრო „საქონებელი“ ისევ ძველ მეპატრონე მონასტერს რჩებოდა.

P.S. წარმოდგენილი ნარკვევიდან ნაწილი სათაურით: „ერთი ტერმინის განმარტებისათვის დავით აღმაშენებლის 1123 წ. ანდერძიდან მღვიმის მონასტრისადმი“ წაკითხულია მოხსენებად 2000 წ. 11-17 ოქტომბერს თბილისში ჩატარებულ საერთაშორისო სიმპოზიუმზე: „ქრისტიანობა: წარსული, აწმყო, მომავალი“ (გამოკვეყნებულია მოხსენების მოკლე შინაარსი).

მოხსენების წაკითხვის შემდეგ, ზოგიერთ დამსწრეთა შორის გაჩნდა აზრი ანდერძის ტექსტში არსებული „მარან“-ისა და „მატური“-ს ურთიერთკავშირის შესახებ. ასეთ კავშირს ჩვენს ხელთ არსებული მასალების საფუძველზე წინასწარ უარვყოფთ. ახლო მომავალში ამ თემაზე ფაქტებით დასაბუთებულ წერილს გამოვაქვეყნებთ.

P.S. P.S. კვლევის დროს წამოჭრილი ზოგი საკითხი, მიუხედავად ჩვენი გულმოდგინე მცდელობისა, ჯერ კიდევ უპასუხოდ გვრჩება. ამიტომ დავით აღმაშენებლის 1123-24 წწ. შიომღვიმისადმი ბოძებული ანდერძის შესწავლას ჩვენ კვლავაც ვაგრძელებთ.

¹ Ф. Жордания, Завещание Давида Возобновителя, данное Шио-Мгвимской лавре в 1123г., Тифлис, 1895.

² ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ. 1990, გვ. 346-347.

³ იგულისხმება დავით მეფის მოძღვარი, ანდერძის დაწერის მონაწილე.

⁴ ნ. ბერძენიშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 346.

⁵ დ. მეგრელაძე, დავით აღმაშენებლის ანდერძის ერთი ადგილის განმარტებისათვის, მაცნე, № 3, 1989.

⁶ ვ. სილოგავა, დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი (1123/24წწ.), მრავალთავი, IX, თბ., 1981, გვ. 88, 89.

⁷ Ф. Жордания, დასახ. წიგნაკი, გვ. 1.

⁸ იქვე, გვ. 26, სქოლიო № 19.

⁹ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, ქვემოთ მიუვითითებთ: კორპუსი I.

¹⁰ ეს ადგილი ასეა გააზრებული და გატანილი კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ „პირთა ანოტირებულ ლექსიკონში“, I-ანოტიციაში: [აბულეთისძე] ძაგან“-ის შესახებ. თბ., 1991, გვ. 65.

¹¹ Ф. Жордания, დასახ. წიგნაკი, გვ. 27, სქოლიო № 79.

¹² ეკლესიები აქ ზოგადად სასულიერო დაწესებულებების თუ ორგანიზაციის მნიშვნელობითაა ნახმარი. ილ. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონის მიხედვით ეკლესია განმარტებულია როგორც „კრებული, საკრებულო, საყდარი“ (გვ. 146); ანდერძის ტექსტში უნდა იგულისხმებოდეს მცხეთა – საკათალიკოსო საჯდომი, ხოლო წილკანი – საეპისკოპოსო.

¹³ თ. ეორდანიას სიტყვაში „მამაობასა“ ვარაუდობდა გიორგი II-ს – დავით აღმაშენებლის მამას, ამიტომ ტექსტი ასე თარგმნა: „при жизни отца“ და იქვე აღნიშნა, რომ შეიძლება ითარგმნოს როგორც: „в царствовании отца моего“ (გვ. 27, სქოლიო № 78). 1981 წ. ვ. სილოგავა ამ სიტყვას კითხულობდა როგორც „მ(ა)მაობასა“ (მრავალთავი, IX, გვ. 98). ასევეა 1984 წ. მის მიერ კორპუსის I წიგნისათვის მომზადებულ დავითის ანდერძში მღვიმისადმი (კორპ. I, გვ. 57). 1989 წ. კი ეს სიტყვა მან ახლებურად წაიკითხა, როგორც „მ- მლობასა.“ სიტყვაში ლ, ო, ასოების ნაწერში მელანი გაეონილია და მართლაც ქმნის შემდგომში აღდგენილის შთაბეჭდილებას, რაც არ გამორიცხავს უზუსტობას. აქვე ვიტყვი, რომ მეტად საეჭვოა ასოების ბ-სა და ს-ს შორის ჩასმული ასოს რაობა: ი თუ ა?

¹⁴ ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ. 376.

¹⁵ ჭუნანერის თხზულებაში (იხ. ქართლის ცხოვრება) მოთხრობილია იოანე ზედაზნელის მოწაფის, ისე წილკნელის შესახებ, საიდანაც ირკვევა, რომ კათალიკოსმა ისე აკურთხა მღვდელმთავრად: „საყდარსა წმიდისა

ლეთისმშობლისასა, ქუეყანასა მუხრანისასა და სოფელსა წილკნისასა (ბაზგასმა ჩენია – დმ.) (ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 212); ამის ანალოგიით, თავს უფლება მიეცემა ანდერძის ტექსტში სიტყვებს „შორის „წილკანი“ და „საყდრისა“ თამამად ჩაგვესვა სიტყვა „სოფელი“, როგორც ამას თ. ჟორდანიას ფიქრობდა.

¹⁶ ლტოლვა საბაბთან განმარტებულია როგორც „გარდაბუნეა“.

¹⁷ ვ. სილოგავა დათარიღების პრინციპად გიორგი II-ის თანამეფობის წლებს ასახელებს (მაცნე, №3, 1989, გვ. 62).

¹⁸ ცხოვრება მეფეთმეფის დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 319.

¹⁹ ზედაზნის ციხის აღების თარიღად თითქმის ბოლო ხანებამდე 1101 წ. მიიჩნევენ. ბ-მა რ. მეტრეველმა უარყო ეს თარიღი და გაასწორა 1103 წლით (რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, თბ., 1990, გვ. 86-87).

²⁰ ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების ძველი რედაქციები, ტექსტები გამოიკვლია და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბ., 1955; გამოშცემული აქვეყნებს სამ: L, Q და L ვარიანტებს. დღეისათვის ბ-ნ ზაზა ალექსიძის მიერ სინას მთაზე მიკვლეულია ორნაწილიანი ხელნაწერი, სადაც შეტანილია 13 ასურელი მამის ცხოვრების ქართული მეცნიერებისათვის რედაქციულად ახალი, განსხვავებული ტექსტი (იხ. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1991, №14).

²¹ ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნის ძველი რედაქციები, გვ. 25, 26.

²² იქვე, გვ. 42.

²³ იქვე, გვ. 43.

²⁴ იქვე, გვ. 48.

²⁵ იქვე, გვ. 60. იოანეს ცხოვრებაში მოთხრობილი ეს „სასწაული“ დღესაც მოარულია ზედაზნის ახლომახლო მოსახლეთათვის, შესაძლოა, ლიტერატურული გზითაც.

²⁶ რადგანაც ჩენი კვლევა ამჟერად მხოლოდ მთას ეხება, ამიტომ ცნობას L ვარიანტიდან „ტფილი და გრილი“ წყლის გაჩენის შესახებ აღარ ვიმეორებთ.

²⁷ ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების... გვ. 51.

²⁸ იქვე, გვ. 48.

²⁹ Ф. Жордания, დასახ. წიგნაკი, გვ. 18.

³⁰ კორპუსი, I, გვ. 290.

³¹ „მთა“ გურიაში დღესაც ასკანელი კაცისათვის ბაზმაროს მთაა, ხოლო შემოქმედელისათვის – გომის მთა. 60-იან წლებში ქსნის ხეობაში, სოფ. ყანჩავეთში ერთი გლეხი თავისი მთის სიკეთეს მისტიროდა წარსულში, მთას საკუთარი სახელის გარეშე ახსენებდა. როდესაც კვითხე, რა ჭკია თქვენს მთას-მეთქი, დაუფიქრებლად მიპასუხა: ზებეყურიო – ვახუშტისეული „თხემია უტყუო და კალთათა ტყინი“ მთა! გარკვეული ტერიტორიის მოსახლეობისათვის მთა, რომელსაც ის ხმარობდა (შეშა, საშენი მასალა, სამოვარი, სათიბი, მთის ნაყოფი თუ ნანადირევი), დაკონკრეტების გარეშეც ცნობილი იყო და ზოგადი სახელით – მთად

იწოდებოდა. ეს მომენტი დასტურდება წერილობითი წყაროებითაც (იხ. ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, VII, თბ., 1981, გვ. 163, 394 და სხვ.).

³² პირთა ანოტირებულ ლექსიკონში (I, 1991), სადაც ლაპარაკია (აბულეთის ძე) ძაგანის მიერ მიტაცებულ ქონებაზე – „საქონებელზე“ მთა აქ კითხვის ნიშნითაა გატანილი: „... [მღვიმის] მონასტრის კუთვნილი ციხე და მარანი მთას(?)...“ (გვ. 65); მღვიმის მონასტერი აქ უადგილოდაა ნახმარი. „მთა“-ში ზედაზნის მთა იგულისხმება და შესაბამისად „მონასტერიც“ ზედაზნის მონასტერია.

³³ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 535.

³⁴ ნ. ანდლულაძე, ფ. დევდარიანი, ზედაზნი, წიგნში: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 5, თბ. 1990, გვ. 287.

³⁵ ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვ. პირველი, თბ. 1962, გვ. 270; თ. ჟორდანიას გამოქვეყნებულ ზედაზნელ მამასახლისთა ნუსხაში ყი იოანეს გარდაცვალების თარიღია 580 წ. (ქრონიკები, I, 1892, გვ. 73).

³⁶ ილ. ანთელავა, XI-XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები, თბ., 1988, გვ. 107.

³⁷ ვ. სილოგავა, დავით აღმაშენებლის... მაცნე, №3, 1989, გვ. 61-62.

³⁸ იქვე, გვ. 62. აქ ჩამონათვალის მიხედვით, „მთასა“ ე.ი. ზედაზნის მიტაცებულია ორი ციხე: ზედაზნის ციხე და „მთასა ციხე მარანი“.

³⁹ ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა. სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1942, გვ. 169, ხ და ტ ასოების აღრევა გამოწვეულია ნუსხახუცურ დამწერლობაში მათი მსგავსებით; $\text{L} = \text{h}$ და $\text{P} = \text{t}$.

⁴⁰ ივ. ჭავჭავაძის შვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. II, თბ., 1983, გვ. 49.

⁴¹ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, 1964, გვ. 344, სკოლიო.

⁴² საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 5, გვ. 287.

⁴³ Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тб., 1959, გვ. 522.

⁴⁴ კორპუსი, I, გვ. 101.

⁴⁵ სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგჯერ ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც დავით მეფის ანდერძში ხსენებულ „მთასა“ ციხეს შიომღვიმის სამონასტრო კომპლექსში არსებულ ციხედ მოიაზრებენ. „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობაში“ (თბ., 1991), სადაც დაწვრილებითაა აღწერილი შიომღვიმის ტერიტორიაზე არსებული 19 ისტორიული ობიექტი (№№ ა-ტ), არსად ჩანს ციხე ან მისი ნაკვალევი (გვ. 318-325). ვფიქრობთ, ნამდვილი „ციხის“ უქონლობის გამო მოხდა ისიც, რომ ძაგანმა „მღვმე მონასტერი შიგან ციხედ და სადგომად“ აქცია.

⁴⁶ იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 203.

⁴⁷ თ. ჟორდანიას, სახელები წ- თა მამათა ქრისტეს მიერ აღსრულებულია ზედაძენს შინა შემდგომად იოანესა, ქრონიკები, I... გვ. 74. ამ „სახელების“ პირები

დაუღლია კ. კველიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში: Hd1557, 1672, 2077, 2121; A 160, 170 ხელნაწერებში, ამ „სახელების“ სიის განსხვავებული ვარიანტი დართული აქვს აგრეთვე ბ-ნ ზ. ალექსიძის მიერ სინას მთაზე მიკვლევულ ახალი კოლექციის Sin-50, სამწუხაროდ, ჩერჩვრობით გამოუქვეყნებულ ხელნაწერს. ეს ცნობა მოგვაწოდა ბატონმა ზაზა ალექსიძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებთ.

⁴⁵ ავტორი შეცდომით უთითებს შიომღვიმეს. უნდა იყოს ზედაზნი.

⁴⁶ Ф. Жордания, დასახ. წიგნაკი, გვ. 27.

⁵⁰ ივ. ჭავჭავაძის შვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983, გვ. 48.

⁵¹ მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, IX... გვ. 100.

⁵² კორპუსი, I, გვ. 212.

⁵³ ე სილოგავა, დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი... გვ. 64.

⁵⁴ პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, გვ. 65. აქაც შეცდომითაა მინიშნებული [წიგნის] მონასტერის კუთვნილი სოფელი მატური.

⁵⁵ დ. გოგოლაძე, ქართული სოფელი ფეოდალიზმის ხანაში (VI-XVIII სს.), თბ., 1992, გვ. 222.

⁵⁶ ა. გოგოლაძე, დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი, თბ., 2001, გვ. 71.

⁵⁷ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 704.

⁵⁸ გამორიცხული არაა წაკითხვის სხვა ვარიანტიც. თუ სიტყვა მატურის შემდეგ დაისმებოდა წერტილი, ორ სიტყვას „იგი სოფელი“ უნდა დართოდა სოფლის სახელი და მივიღებდით: „იგი სოფელი (...X).“ იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში არის მინიშნება ზედაზენზე „მკდრთა“, ადგილზე მიმაგრებული მოსახლეობის შესახებ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დღეს ხშირი ტყით დაფარულ ადგილებში შემორჩენილია ძველ შენობათა საძირკვლები (ბერების საცხოვრებელი სენაკებისაგან განსხვავებით), შეიძლება გვეფიქრა მთაზე დასახლების არსებობაზე. ვინ და როდის სარგებლობდა ამ ნაგებობებით - ციხის ადმინისტრაცია, რიგითი მეციხოვნეები თუ კიდევ სხვა ვინმე, ჩერჩვრობით ამის გარკვევა ძნელია. ერთი კი ცხადია: ეს დასახლება არ იყო სოფელი მატური.

⁵⁹ ნ. ლომოური, წუთისოფელი, ქართული პროზა, წ. XIV, თბ., 1987, გვ. 32.

⁶⁰ ნ. ბერძენი შვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 100.

⁶¹ იქვე, გვ. 55.

⁶² ამ მასალის მოწოდებისათვის ელდარ ბუბულაშვილს დიდ მადლობას მოვასხენებ. ტექსტში აღდგენები ჩვენია - დმ.

⁶³ ი. გრიშაშვილი, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, თბ., 1927, გვ. 20. ხოჭივანჭი თბილისში სომხური სასაფლაო იყო.

⁶⁴ ამ ცნობის მოწოდებისათვის ექ. შ. ჩხენკელს მადლობას მოვასხენებ.

⁶⁵ თბილისის ისტორია, ტ. I., თბ., 1990, გვ. 461-463 და ტაბ. №50. ეს მასალა წიგნისათვის მომზადებულია მაშისა ბერძნი შვილის მიერ.

⁶⁶ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, V, თბ., 1958.

⁶⁷ ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961.

⁶⁸ დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონის 1984 წ. გამოცემაში მატურის შესახებ კითხვობით: სასაფლაოზედ მოვლებული მცირე გალავანი, ერთის ნათესავის მიცვალებულთათვის, გვ. 679.

⁶⁹ დაბეჭდილია „მ. ბერძენი“. უნდა იყოს: „მ. ბერძენი“ – დ.მ.

⁷⁰ ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი (საარქივო მასალები), თბ., 1997, გვ. 148. 149. კუთხურ ფრჩხილებში აღდგენები ჩვენია. – დ.მ.

⁷¹ გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, I, ტფ., 1938

⁷² დროთა განმავლობაში, როდესაც მატური თავის ფუნქციას დაკარგავდა, შეიძლებოდა ეს ცნება ტოპონიმად ქცეულიყო, რის ცოცხალი მაგალითია თბილისში ტოპონიმი „მატურები“ ვახუშტისეულ „ფრანგის საფლავის“ ადგილას.

⁷³ ლ. მენაბდე, დასახ. ნაშრომი, გვ. 270; თ. ქორდანიას გამოქვეყნებულ ზედაზნის მამასახლისთა ნუსხაში იოანეს გარდაცვალების თარიღია 580 წელი. ქრონიკები, I, გვ. 73.

⁷⁴ გ. ნ. ჩუბინაშვილი ვარაუდობდა, რომ ეს შეიძლება იყოს საგურამოს მხარეს დღემდე შემორჩენილი „კასური“ – წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. Архитектура Кахетии, ... გვ. 105.

⁷⁵ ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების ... გვ. 65.

⁷⁶ იქვე, გვ. 66.

⁷⁷ იოანეს საფლავი საუკუნეების მანძილზე საგანგებო მოვლა-ზრუნვის საგანი იყო. 1968 წ. სარესტავრაციო სამუშაოების დროს გამოჩნდა XVII ს-ში დადგმული აკლამა. XIX ს-ის მუწურულში კი იგი ხის მასალით გადაფარეს, რომელსაც დას. მხრიდან ხის პატარა კარი ჰქონდა...

⁷⁸ ქრონიკები, I, გვ. 74.

⁷⁹ Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 101.

⁸⁰ იქვე, გვ. 103.

⁸¹ Н. Чубинашвили, Зелаძენი, Кликис Джвари, Гвиара, ქართული ხელოვნება, ქართული ხელოვნ. ინსტიტუტის შრომები. A სერია № 7, 1971, გვ. 31.

⁸² იქვე.

⁸³ ამ მომენტს ამგვარად ჩვენ გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ – ჯერ ეკლესია აშენდა და მერე გადაასვენეს იოანეს ნეშთი, თუ პირიქით. მთავარია, რომ ბაზილიკის აშენება უკავშირდება იოანე ზედაზნელის საფლავს.

⁸⁴ ნიკო ჩუბინაშვილი თავის ნარკვევში ვრცლად მიმოიხილავს მასალებს უშუალოდ პირველწყაროებიდან ლუსკუმის შესახებ (სამწუხაროდ, მაშინ (1971 წ.), ჯერ კიდევ არ იყო გამოქვეყნებული ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის

ლექსიკონი“ (1973) და ასევე: „таким образом, :искума делалась по размеру тела умершего“ (გვ. 36) — დასაბუთია, რომ მას გამოირჩა იოანეს ცხოვრებიდან მინიშნებანი, სადაც ლაპარაკია ლუსკუმასა თუ ლარნაკში წმინდანის მხოლოდ ნაწილების ჩასვენება-გადასვენების შესახებ.

აქვე უნდა ითქვას, რომ ნ. ანდლულაძე და ლ. მენაბდე სტატიაში „ზედაზნის მონასტერი“ (ქსე, 4, 1979) ეხებიან ზედაზენზე არსებულ დარბაზულ კელსიას და აღნიშნავენ, რომ საკურთხეველი ოთხი საფეხურითაა ამაღლებული და იოანე ზედაზნელის ჭკის კუბო (იგი XVII ს-ში უნდა იყოს გაკეთებული), „პატროსანი ლუსკუმა“, ერთი მესამედით საკურთხეველშია შექრილი. ვფიქრობთ: რა დროისაც არ უნდა იყოს, „ჭკის კუბო“ მნიშვნელოვანი ფაქტია. თუ იგი მართლაც XVII ს-შია დამზადებული, ტრადიციულად, მოთავსებული უნდა იყოს იმ ადგილას, სადაც ადრე ლუსკუმით გადასვენებული იოანეს თავდაპირველი საფლავი იქნებოდა.

⁸⁵ თ. ბარაველი, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბ., 1962, გვ. 62.

⁸⁶ ა. ვოლსკაია, დასახელებული წერილი, ქართული ხელოვნება, სერია A, № 8, თბ., 1979, გვ. 105.

⁸⁷ ზ. ალექსიძე, ახალი ცნობა „რუვისთაველთა სახლის“ შესახებ, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ 1991, 5. IV., სრულ ინფორმაციას ამ საკითხის შესახებ Sin-50 ახალი ვარიანტის გამოქვეყნების შემდეგ მივიღებთ.

⁸⁸ Ф. Жордания, გვ. 27, სქოლიო №80, ავტორი აღნიშნავდა, რომ ეს იყო „крепость на горе Зеда-залсни“...

⁸⁹ იქვე, გვ. 27.

⁹⁰ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, I, 1975, გვ. 45.

⁹¹ ვ. სილოგავა, დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი... გვ. 64.

⁹² პირთა ანოტირებული ლექსიკონი... გვ. 65.

⁹³ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 5, გვ. 284-285.

დიკლომატიკა

ცინანა აბულაძე

სელიმ I იაგუზის სიბელი სინის მთისაღმრ

ოსმალეთის იმპერიაში, ისლამის სამართლებრივ პრინციპებზე აგებულ სახელმწიფოში მოხვედრილი მართლმადიდებლური ეკლესიისა და მის მსახურთა უფლება-მოვალეობების გამოვლენა და შესწავლა საერთაშორისო მასშტაბის აქტუალური პრობლემაა. განსაკუთრებით ახლა, ეროვნებათა შორის ურთიერთობის გარკვევისა და გამწვავების პირობებში, რადგან, როგორც ცნობილია, პოლიტიკური და სოციალური აფეთქებების ჟამს სარწმუნოება ეროვნების ნიშნით იტვირთება. პრობლემის მნიშვნელობის შესაბამისია მისდამი მეცნიერული ინტერესი¹.

ოსმალთა ბატონობის ხანაში ქრისტიანული ეკლესიისა და მის მღვდელმთავართა თუ ბერ-მონაზონთა უფლებებისა და მდგომარეობის მიმართ ქართველი, ბუნებრივია, გულგრილი ვერ დარჩება. საქართველოს ეკლესიასა და მალაქ პორტას შორის იდგა იერუსალიმისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოები. ოსმალთა ხანის ქართული ეკლესიის ისტორიისათვის საყურადღებო ოსმალური დოკუმენტები მეტწილად შემორჩენილია სტამბოლის, იერუსალიმისა და სინის მთის სახელმწიფო და სამონასტრო არქივებში. მათი მოპოვების შესაძლებლობა კი ძალზე მცირეა, რაც აფერხებს საკითხის მეთოდური თანმიმდევრობით სისტემურ შესწავლას. საბედნიეროდ, ჩვენთვის საინტერესო თითო-ორი დოკუმენტი დროდადრო ჩნდება თურქი თუ ევროპელი ორიენტალისტების პუბლიკაციებში².

1950 წელს ამერიკულმა ექსპედიციამ სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში გამოავლინა 1000 მეტი არაბული და 670 ოსმალური სიგელი.³ ამ მასალაზე დაყრდნობით, ჰანს ერნესტმა 1960 წელს გამოსცა მამლუქი სულთნების მიერ სინის მონასტრისადმი ბოძებული დოკუმენტები.⁴ 1970 წელს კი გამოვიდა ოსმალური სულთნების სიგელები სინის მონასტრისადმი (ავტორი კლაუს შვარცი. გამოცემის ადგილი ფრაიბურგი⁵). წიგნში რეესტრის სახით არის შესული, სელიმ I-ით დაწყებული აბდულ მეჩიდით დამთავრებული, თითქმის ყველა ოსმალური სულთნის 212 სიგელი. დოკუმენტებიდან იმდენად ვრცელი ინფორმაციაა ამოღებული, რომ სრული წარმოდგენა იქმნება მათ რაობასა და შინაარსზე. ეს, თითქოსდა საკატალოგო მონაცემები ზშირად საკმარისია სხვადასხვა საკითხის საკვლევად. 14 სიგელი დაბეჭდილია ფაქსიმილითა და გერმანული თარგმანით. ზოგადად, საბუთები წარმოაჩენს მაღალი პორტას დამოკიდებულებას მართლმადიდებლური ეკლესიისადმი. ძირითადად ეხება სინის მონასტრის ოფიციალურ სტატუსს ოსმალეთის იმპერიაში, ავლენს იქ მყოფი ბერების პრობლემებს, ადასტურებს იმ პრივილეგიებსა და შეუვალობის იურიდიულ უფლებებს, რომლითაც სინის მთა⁶ ცხოვრობდა ისლამურ სამყაროში.

სინელთა მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულება, მათთვის დაცვის სიგელების ბოძების ტრადიცია სათავეს იღებს მუჰამედისა და მართლმორწმუნე ხალიფებისაგან. იგი წარმატებით გააგრძელეს ჯერ მამლუქმა⁸ და შემდეგ ოსმალური სულთნებმა. სელიმ I-მა, დაიპყრო თუ არა ეგვიპტე (1517 წლის აპრილი), ივლისში დაცვის საგარანტიო სიგელი უბოძა სინის მთის სამონასტრო კომპლექსის მღვდლებსა და ბერებს. მონასტრის მსახურთ ახალი ხელისუფლისათვის წარუდგენიათ მათ ხელთ არსებული წინასწარმეტყველის კეთილშობილი პირობის წიგნი ('აჰდანამე) მართლმორწმუნე ხალიფებისა და სულთნების ჰუქუმები (ექჰამ), ედიქტები (სიჯილათ), შემკვიდრეობაზე უფლებების დამადასტურებელი დოკუმენტები (მერასიმ), საადგილმამულო საკუთრების აღმწესხველი დავთარი (მიურებბეთი) და უთხოვით ახლად შექმნილ ისტორიულ პირობებში „მფარველობა“, ანუ უფლებებისა და ქონე-

ბის ლეგალიზაცია. სულთანმა სელიმ I-მა წინასწარმეტყველის კეთილშობილ პირობის წიგნს პატივი მიაგო და, მისი განდიდების ნიშნად, დაეყარნო რა სინელთათვის გამორჩეული უფლებების მიმნიჭებელ სიგელებსა და დაეთრებს, გამოსცა წმინდა ჰუქმი.

საუკუნეების მანძილზე სინის მთასთან საქართველოს კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების გათვალისწინებით,⁹ საჭიროდ მივიჩნiewთ ქართველი სპეციალისტებისათვის მიგვეწოდებინა სულთან სელიმ I-ის სიგელი, რომელმაც მუჰამედის პირობის წიგნთან ერთად განსაზღვრა სინის მთის სამონასტრო კომპლექსის ბედი.

როგორც კლ. შვარცი წერს, სულთან სელიმ I-ის მოხელეებმა უსათუოდ შენიშნეს მუჰამედის „წიგნის“ სიყალბე, მაგრამ ამას პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია.¹⁰ პირიქით, სულთანმა მისაღმი ნდობა განამტკიცა. წინასწარმეტყველის სავარაუდო სიგელზე მითითება პირდაპირ სტერეოტიპულ ფრაზად იქცა. ოთხი საუკუნის მანძილზე ოსმალო სულთნების მიერ სინის სამონასტრო კომპლექსისადმი ბოძებულ თითქმის ყველა სიგელში საყრდენ არგუმენტადაა იგი ფიქსირებული. თავად სელიმ I-ის ჰუქმში სამჯერ სახელდებით არის დამოწმებული და ერთხელ მინიშნებით:

დიპლომატიკური თვალსაზრისით, სელიმის სიგელი უავგუსტოესი ნიშნის (ნიშანი ჰუმაიუნ)¹¹ ფორმულარიითაა რეალიზებული. მიზანდასახულობით ეს არის პირობის, ხელშეკრულების, დაცვის „წიგნი“ და, მუჰამედის სიგელის მსგავსად, ისიც შეიძლება ბოდა სახელდებულიყო „აჰლ-ნამედ“. სწორედ ასე იხსენიება ის ოსმალო სულთნების მიერ 1691, 1694 და 1807 წლებში მონასტრისადმი გაცემულ დოკუმენტებში,¹² მაგრამ ‘აჰლ-ნამე ეძლევა აჰლ-ალ-‘აჰლს, ანუ შეთანხმებაში, პირობის, ხელშეკრულების ქვეშ მყოფ ვასალური ქვეყნის არამუსლიმ ხალხს.¹³ იშვიათად აჰლ-ალ-‘აჰლ-ს უწოდებდნენ „ზიმმებისაც“¹⁴ – მუსლიმური სახელმწიფოს მფარველობის, დაცვის ქვეშ მყოფ „წმინდა წერილის“ (აჰლ-ალ-ქითაბ) მქონე არამუსლიმ ქვეშევრდომებს. ზიმმები პოლიტიკურად უფლებდონი იყვნენ, მაგრამ პიროვნულად თავისუფალნი. საკმარისი იყო წინააღმდეგობა გაეწიათ, დაეწყოთ ბრძოლა, რომ

გახდებოდნენ „გიაურები“.¹⁵ „ზიმმიებს“ უფლება ჰქონდათ ოს-მალეების მიერ ტერიტორიის დაპყრობის შემდეგაც შეენარჩუნებინათ თავიანთი აღმსარებლობა და შესაბამისი საკულტო ნაგებობანი, ახალი კი აეშენებინათ მუსლიმური დასახლებიდან ერთი მილის დაშორებით. სამაგიეროდ, უნდა გადაეხადათ ჯიზია (ან ბაშ-მალი) – სულადი გადასახადი და საადგილმამულო ხარკი – ხარაჯა. ამრიგად, ეს იყო პოლიტიკური პირობა, რელიგიური სანქციის თანხლებით. შარიათის მიხედვით, სინელები სწორედ ზიმმიებს განეკუთვნებოდნენ. მაგრამ სინის მონასტრისადმი ბოძებულ სიგელში არც ჯიზია იხსენიება და არც ხარაჯა. სელიმის სიგელში ფიქსირებულია „ჰუკუჟკ-ი დივანი“ (ბაჟი), „ეჰქარა“ (იჯარა), „რუსუმ“ (გამოსაღები) და „უშრი.“¹⁶

„ჯიზია“ გვხვდება მონასტრისადმი ბოძებულ სიგელებში მხოლოდ 1694 წლიდან, ე.ი. მას შემდეგ, რაც სულეიმან II-ის (1687-1691) დიდმა ვეზირმა მუსტაფა ქოფრულუმ, 1690-91 წლებში, გაჩანაგებული ხაზინის შევსების მიზნით, ჩაატარა საფინანსო რეფორმები. იგი ეცადა ყველა რეზერვის გამოყენებას, მათ შორის მართლმადიდებელი ბერების დაბეგვრასაც. მხოლოდ სინის მთას შეუნარჩუნდა ჯიზიას არგადახდის უფლება. სულთანმა აჰმედ II-მ (1691-1695), შეიხ ულ-ისლამის საგანგებო ფეთვის საფუძველზე, გამოსცა სინელთათვის ჯიზიას არგადახდის უფლების მიმნიჭებელი სიგელი¹⁷. მაგრამ ბერებს ხშირად უხდებოდათ ზრუნვა ამ უფლების განახლება-დამტკიცებისათვის, ამიტომაც წმ. ეკატერინეს მონასტერში დაცული ოსმალური სიგელების თითქმის მესამედი სინელი ბერების სულადი გადასახადისაგან განთავისუფლებას ეხება. წინასწარმეტყველის პირობის წიგნისა და სელიმის სიგელის გარდა, აქ, ალბათ, ის ფაქტიც მოქმედებდა, რომ 1700 წლისათვის სინაზე მოღვაწე ბერების რაოდენობა 50 არ აღემატებოდა. მათგან აკრეფილი გადასახადი კი სულთნის ხაზინას არ გაამდიდრებდა.¹⁸ ამრიგად, სინელი ბერები სოციალურად არც „ზიმმიები“ იყვნენ და არც „აჰლ-ალ-აჰდი“. სიგელში, როგორც უკვე ითქვა, ფიქსირებულია „ჰუკუჟკ-ი დივანიჲ“ – შარიათით გათვალისწინებული ის ძირითადი გადასახადები, რომლებიც მკვეთრად სხვაობდნენ სამო-

ქალაქო წესით დადგენილ „თექალიფ -ი ურფიფე“ საგან.¹⁹ დასახელებულია 'უშრი (მეთედო)-ი გადასახადი მიწის საკუთრებაზე, რომლის პატრონი მაჰმადიანი უნდა ყოფილიყო.²⁰ ამრიგად, სინელები ოსმალთა ბატონობის ხანაში განსაკუთრებულ პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყვნენ ჩაყენებული, რაც „მფარველობის“, „დაცვის“ გამოხატვის მიზნით (ისინი ხომ პოლიტიკურად „ზომიები“ იყვნენ), „ნიშანი ჰუმაფუნ“ – ის, ანუ „თეკვილ“-ი რეფილ-ი ჰუმაფუნ“, იგივე „ნიშანი შერიფის“ ფორმულარით ჰქონდათ ბოძებული.

სულთანი გულმზურვალედ პირდება სინელებს იმ პირთა დასჯას (ვინც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი), რომლებიც მონასტრის ბერებისა და მღვდლებისათვის მინიჭებული უფლებების შელახვას შეეცდებოდნენ. თითქმის ყველა სიგელში მეორდება მითითება იმაზე, რომ არავის არა აქვს უფლება ჩაერიოს მონასტრის საქმეებში, შეცვალოს ან შეაფერხოს მისი ურთიერთობა იმპერიის საზღვრებში მცხოვრებ ქრისტიანებთან. უფლებების დარღვევის შემთხვევაში, სინელი ბერები საჩივრით მიმართავდნენ მაღალ პორტას და სულთანიც, როგორც წესი, ბერების სასარგებლოდ წყვეტდა დავას. ასე რომ, ყველა ახლადგამოცემული „წმინდა ნიშანი“ განამტკიცებდა მათ პრივილეგიურ უფლებებს.

სიგელის დასაწყისში ჭებით აღინიშნება სინელი ბერების სტუმართმოყვარეობა, რასაც იჩენდნენ ისინი მონასტერში სხვადასხვა მხრიდან მისული ყველა მგზავრის მიმართ. როგორც ვარაუდობენ, ამ მუხლს შეიძლება ისიც აძლიერებდა, რომ ეკატერინეს მონასტერთან არსებობდა მეჩეთი, რომლითაც ახლომახლო მცხოვრებნი სარგებლობდნენ.²¹

შეჭებას მოჰყვება მონასტრის დაცვის საგარანტიო მუხლები. უპირველესად, იგი ეხება მონასტრის დაცვას არაბთა თავდასხმებისაგან. სელიმ I და ყველა მომდევნო ოსმალთა სულთანი, ვისთვისაც კი სინელ ბერებს შეუჩივლიათ, უბრძანებს ეგვიპტის მმართველებს დაიცვან სინელები არაბი ტომების თავდასხმებისაგან, რაც ეპიზოდურად XVIII საუკუნის ბოლოსაც კი ხდებოდა.²² სხვა სიგელებში, არაბთა გარდა, ნახსენებია თურქმანები და იუდეველები.

მამლუქი სულთნის 1512 წლის ივნისით დათარიღებულ სიგელში სინელებს იცავენ თურქმანთა შემოსევებისაგან,²³ სულეიმან კანუნის (1520-1566) 1562-1563 წლების და მურად III-ის (1574-1595) 1575 წლის ბარათებით კი იუდეველებისაგან, რომლებიც, ხან შავი ჭირის მომიზეზებით, ხან რომის პაპისაგან თავის დაღწევის საბაბით, მიდიოდნენ სინაზე და მონასტრის კუთვნილ ტერიტორიას ეუფლებოდნენ.²⁴

სიგელი კატეგორიულად კრძალავს მონასტრის ცხოვრებაში, მის სამეურნეო საქმიანობაში გარედან ჩარევას. მოითხოვს სინელების უფლებების დაცვას სინაზე, სირიასა და ეგვიპტეში მონასტრის კუთვნილი ბოსტნებიდან, ზერებიდან, ხილის ბაღებიდან, ფინიქისა და ზეთისხილის პლანტაციებიდან ჰუკუკის (ბაჟის), იჯარის (ექჰარ), გამოსაღებისა (რუსუმ) და 'უშრის აღებისას.

სიგელი იცავს მონასტრის ქონებას, მის საკულტო ნაგებობებს, იქნება ეს ღარიბთა თავშესაფარი და საავადმყოფო თუ ეპისკოპოსისა და მუთეველის (ვაკუფის გამგებელი, მმართველი) სახლები, რომელთა კრებით სახელად საბუთში ფიქსირებულია ისლამური ტერმინი ვაკუფი. ვაკუფი ეკლესიის საკუთრება იყო. მას ისეთივე იურიდიული უფლებები ჰქონდა, რაც მაჰმადიანურ საქველმოქმედო საღვთო ფონდს „ვაკიფ ჰაირი-ს“. საეკლესიო ქონება ზუსტად ისევე არ იბეგრებოდა, როგორც მაჰმადიანური ვაკუფი, ამ უფლებით სინას მონასტერი აღჭურვილი იყო ფატიმიდებისა და მამლუქი სულთნების დროიდან, რაც დაადასტურა სელიმ I-მა. მაგრამ, ჩანს, ადგილობრივი ყადიები, გამგებლები, სხვადასხვა ჯურის მოხელენი პრეტენზიას აცხადებდნენ მონასტრის სავაკუფო ქონებაზე. მონასტრის ბერები იძულებულნი ხდებოდნენ მიემართათ სულთნისათვის — პასუხად სულთანიც, მუჰამედისა და სელიმის სიგელებზე დაყრდნობით, მათი უფლებების განმამტკიცებელ ბრძანებას გამოსცემდა.²⁵

სელიმ I-ის სიგელი ხელყოფისაგან იცავს მონასტრის ქონებას კუნძულ კრეტასა და კვიპროსზე. ეს ბერძენი მართლმადიდებლების მიმართ მაღალი პორტას მიერ გატარებული პოლიტიკითაც უნდა

იყოს ნაკარნახევი,²⁶ თორემ კვიპროსი ოსმალთა გამგებლობაში მოექცა 1573 წლის ხელშეკრულებით, კრეტა კი – 1669 წლიდან.²⁷

მონასტრის ბერები ზღვითა და ხმელეთით იღებდნენ შესაწირავებს იმპერიის გამგებლობაში დროებით თუ ხანგრძლივად მოხვედრილი მართლმადიდებლური სახელმწიფოებიდან, იგი სამკონტინენტზე – ინდოეთში, ეგვიპტეში, სირიაში, ანატოლიაში, საბერძნეთში, კვიპროსზე, მოლდავეთში, უკრაინასა და საქართველოში²⁸ – ფლობდა მეტოქებს.²⁹ სელიმ I-ის სიგელით იკრძალება ბაქის (ჰუკუჟი დიჯანიეს) აღება სინელებისათვის ალექსანდრიაში, რეშთში, დიმიატში, ბურულლოსში, ბულაკში, კატიაში, ლაზაში, იაფაში, ბეირუთში, საიდასა და ლაზკიაში შემოტანილ საპონზე, მთის ზეთზე, საკმეველსა და სხვა შეწირულებებზე.

სინელი ბერები შეწირულებების ნაწილს ნავსადგურებში ჰყიდდნენ და იქვე იძენდნენ ხორბალს, მაგრამ ადგილობრივი ემიწები (გადასახადის დამდგენნი და ამკრებნი) და 'ამელები (გადასახადის ამკრები ხაზინის თანამშრომელი) უკრძალავდნენ ასეთ საქმიანობას. სამარცხვინო ვაჭრობად ნათლავდნენ მათ საარსებო ქმედებას. სინელ ბერებს ორჯერ მიუმართავთ სულეიმან კანუნისათვის, მასაც 1528 და 1551 წლებში გამოუცია ბრძანება: სინელებს ხელი არ შეუშალონ ტრადიციულ ქცეულ ვაჭრობაში, მაგრამ ყურადღება მიაქციონ, არ გაყიდონ მარცვლეული, იარაღი და ცხენი.³⁰

სინელი ბერები საქართველოში, ვლახეთსა და მოლდავეთში არსებული თავიანთი მეტოქებიდან კუთვნილი ასაკრებელის წამოღებისას დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ, გზებზე უხვედბოდნენ და ძარცვავდნენ. ამის გამო სულთან მეჰმედ IV-ისათვის (1648-1686) არზა მიუერთმევიათ: „ჩვენ მუდამ ვაძლევდით თავშესაფარს მოგზაურთ და ვაქმევდით საქმელს. არარას მქონენი ვართ, მაგრამ ღვთივდაცულ ქვეყანასა და ეგვიპტეში, სირიასა და საქართველოში, ვლახეთსა და მოლდავეთში მოგზაურობისას, ჩვენი საწყალი წესების თანახმად, იქ მცხოვრებ არამაჰმადიანთაგან შესაწირავისა და საზრდოს შეგროვების დროს წმინდა შარიათის საწინააღმდეგოდ არ გვიმოქმედნია და არავინ შეგვიწუხებია. საქიროებაც არ გვქონია ვინმეს საქმეში ჩარევისა. ახლა მირმირანი და

მირლივას ვოევოდები, სუბაშიები და ემინები, ამელები და სხვა სახელმწიფო მოხელენი, მხოლოდ იმიტომ, რომ ქონება მიიტაცონ, გვეუბნებიან – თქვენ ურჩულოებთან საბრძოლველად მიდიხართო და კიდევ სხვა საბაბით გვეჩრებიან და, წინააღმდეგ შარიათისა, ხსნა არ არის მათგან შეურაცხყოფისა და დაშინებისაგან. გთხოვთ, გამოსცეთ წმინდა ბრძანება, რათა ჩვენს ხელთ არსებული უავუსტოესი ხელშეკრულებისა და ადრე გაცემული წმინდა ბრძანების შესაბამისად ვიმოქმედოთ კვლავაც და იმ ვილაყეთებში, რომლებშიც ჩვენი უმწუო ადათის თანახმად შესაწირავისა და საზრდოს შესაგროვებლად ვმოგზაურობთ, დაბებსა და სოფლებში მიმოსვლისას წმინდა შარიათის საწინააღმდეგოდ ნურავინ ჩავგვრევა და ხელს ნუ შეგვიშლის, ნურავინ შეგვაეწიროვებს და დაგვაშინებს“. სულთანს ბრძანება გაუცია: „მირმირანი და ვოევოდები, მუთესელიმები და სუბაშიები და სხვა რიგის სახელმწიფო მოხელენი წმინდა შარიათის საწინააღმდეგოდ ნულარ იმოქმედებენ, უმიზეზოდ და უსაბაბოდ ნუ შეურაცხყოფენ და ნუ დააშინებენ. ისე არ მოიქცნენ, რომ აღნიშნულის გამო მათ (სინელებს) კვლავ დასჭირდეთ არზის გამოგზავნა.“³¹

XVII ს-ის აქტებიდან ირკვევა, რომ სინელ ბერებს ხელს უშლიდნენ არა მარტო მაჰმადიანი მოხელეები, არამედ შესაბამისი რეგიონის მიტროპოლიტები და ეპისკოპოსებიც. სელიმ II (1566-1574) ეგვიპტის ბეგლარბეგსა და კაიროს პაქიმს 1570 წლის თებერვალში სიგელს უგზავნის და უბრძანებს – იერუსალიმისა და ალექსანდრიის პატრიარქებმა სინელებს არ შეუცვალონ ბაჟისა და ღალას სახეობა და ოდენობა (სინის ეპისკოპოსს ეგვენიოს გაუმფლავნებია, რომ იერუსალიმისა და ალექსანდრიის პატრიარქები დროდადრო ასეთ უკანონობას სჩადიოდნენ).³² იერუსალიმსა და კონსტანტინოპოლის პატრიარქებს აუკრძალავთ მათ სამრევლოში სინელებისათვის შესაწირავის აკრეფა. მეტი, მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე წერილები დაუგზავნიათ მოწოდებით – არ ეცნოთ სინის ეპისკოპოსი. სულთანი სულეიმან II (1687-1691) ახლაც სინელების მხარეს იჭერს.³³

სულთანი სელიმ I არწმუნებს მონასტრის ბერებს, რომ, ტრადიციისამებრ, უნდა მოინახულონ და მოილოცონ იერუსალიმის წმინდა ადგილები, მოიხილონ ქრისტეს საფლავი. 4 საუკუნის მანძილზე ოსმალთა სულთნები წარმართავენდნენ აღმოსავლეთის ქრისტიანული ერების ურთიერთობებს, „აწესრიგებდნენ“ იერუსალიმის წმინდა ადგილებისათვის ატეხილ დავას. დასტურად სულეიმან კანუნის, მურად III-ის, მეჰმედ IV-ის და სხვათა მიერ იერუსალიმის ქართული საძმოს საჩივრებზე გამოცემული ბრძანებებიც კმარა.³⁴

სელიმ I-ის სიგელით, გარეშეთაგან ყველას ეკრძალება მონასტრის რიტუალებში ჩარევა და ხელისშეშლა. საქმე ეხება მიცვალებულთა დაკრძალვის ქრისტიანული წესის აღსრულებას და მემკვიდრეობის განაწილებას. ამ მუხლით გარანტირებულია ეკლესიის მფლობელობითი დამოუკიდებლობა, მისი ქონების ხელშეუხებლობა.

ეკლესია იყო ფეოდალური ერთეული, იურიდიულად სამართლებრივი სუბიექტი, რომელსაც, კანონიერი სპეციალური საეკლესიო გადასახადების აკრეფის გარდა, შეეძლო ანდერძით მიეღო მემკვიდრეობიდან გარკვეული წილი; სასულიერო ან საერო პირების მთელი ქონება, რომელთაც მეოთხე თაობამდე არ ჰყავდათ მემკვიდრენი, ეკლესიის ხელში გადადიოდა. თუ ვინმეს დარჩებოდა ახლო ნათესავი, მაგრამ უანდერძოდ დატოვებდა, ქონების მესამედი გადადიოდა ეკლესიის საკუთრებაში. ეს იყო ძველი ბიზანტიური პრაქტიკა, რომელიც ემთხვეოდა შარიათის კანონს.³⁵ მემკვიდრეობა როგორც საერო, ისე სასულიერო, იწოდებოდა „მირას“-ად.

სელიმის სიგელი მოითხოვს მონასტრის როგორც პოლიტიკური, ისე სოციალური გარანტიებით უზრუნველყოფას „სრულად“, „დანაკლისის“ გარეშე. ხელის შემშლელს, ვინც არ უნდა იყოს იგი, იმდროინდელი გამგებლები წინ აღუდგებიან და გზიდან ჩამოიშორებენ. დოკუმენტში კვლავ მოიხსენიება მუჰამედის „წიგნი“, „უჰდეი შერიფე“, რომლის თანახმად ბერებმა ღვთიურ სიმშვიდეში უნდა იცხოვრონ უდრტვინველად და ილოცონ „მარადიული ჭკეყნისათვის“ – ე.ი. ოსმალეთისათვის. ეს ერთხელ კიდევ მიუთითებს მონასტრის განსაკუთრებულ მდგომარეობაზე ისლამურ სა-

მყაროში. ჩვეულებრივ, ოსმალურ დოკუმენტებში არამაჰმადიანის ნომინაციას მოსდევს დალოცვის ფორმულა „კეთილი იყოს მისი დასასრული“, რაც ნიშნავს, ადრესატი გარდაიცვალოს ისლამური სარწმუნოების წიაღში. სელიმის სიგელით, სინელ ბერებს მოუწოდებენ ქრისტიანული წესით ილოცონ ოსმალთა ჭკეყნის მარადიულობისათვის.

ამრიგად, სულთან სელიმ I იავუზის „ნიშანი“, რომელიც რამდენადმე იმეორებს წინასწარმეტყველის სავარაუდო პირობის წიგნს – აჰლ-ნამეს, ადასტურებს და განამტკიცებს სინის მთის სამონასტრო კომპლექსის სრულიად გამორჩეულ მდგომარეობას ისლამის სამართლებრივი სისტემის გარემოცვაში. სინის მთა გარანტირებულია სულთნისა და მისი უზენაესი კარის მხურვალე მხარდაჭერით, დაცულია გარეშეთა ხელყოფისაგან, შარიათის სამართლებრივ საფუძველზე აგებულ ჭკეყანაში აღასრულებს ტრადიციულ ქრისტიანულ რიტუალებს, ფლობს მამულებსა და მეტოქებს სამ კონტინენტზე, სხვადასხვა ჭკეყნებიდან ზღვითა და ხმელეთით იღებს შესაწირავეებს, თავისუფალია როგორც ბაჟისა და ჭიზია-ხარაჯისაგან, ისე სახელმწიფოს კონტროლისაგან, დამოუკიდებელია მემკვიდრეობის მიღებისა და განაწილების საქმეში, თავისუფლად ეწევა სამონასტრო მეურნეობას; შეუფერხებელი ურთიერთობა აქვს მართლმადიდებელი ერებით დასახლებულ ჭკეყნებთან.

მონასტერს ჩამოთვლილ და სხვა პრივილეგიურ გარანტიებს ყველა ოსმალო სულთანი ტახტზე ასვლისთანავე უახლებდა. ბერებისა და მღვდლების საჩივრებს, როგორც წესი, სულთანი მათ სასარგებლოდ წყვეტდა. ყველაფერმა ამან შექმნა იმის პირობა, რომ სინის მონასტერმა ისლამურ სამყაროში შეინარჩუნა მძლავრი ეკონომიკური და კულტურული ქრისტიანული ცენტრის სტატუსი.

სტატიაში ჭკეყნდება სინის მონასტრის ბერებისადმი სელიმ I იავუზის სიგელის ოსმალური ტექსტი, ქართული თარგმანით.

سليم بن بايزيد خان مظفر دايماء [سليم بن بايزيد خان مظفر دايماء]

- 111 نشان شريف عالي شان سلطاني و طغراي غراي كيتي ستان خاقاني نغز بالمون الزباني حكمي اولدر كه
- 121 جبل طور سيناده ساكن و متمكن اولان دارندكان فرمان قدر توان رهبان و تشيش طايفه سنك كه ديرلرينه هر جانبون
- 131 صادر و وارد كلكچه ضيافت و اكرام ايدرلرشمس ديرلرله قطعاً طايفه اعراب كيرمه و يولارنه طورميه و اصلاً دخل
- 141 و تعرض قلميه و بلاد طوزيه و شاميه و مصريه ده واقع اولان حقوق و رسوملرنده و احكاز و اعشارلرنده
- 151 و بستلرنده و باغلرنده و يمشلرنده و خرمالقرنده و زيتونقرنده و حقوقلرنده مسامحه اولنه و جزيره
- 161 افریطنده و جزيره قبريسده اولان اوقاقلرينه و اولرله و باغلرينه و مزرعه لرله داخی كمنه بي وجه تعرض
- 171 ايلميه و قورو جانبندن و دريای مالخ جانبندن و دريای عذب طرفندن كندولرله اسكندريه و رشيد و ديماط
- 181 و برلس و يولاق و قطيه و غزه و ياقا و بيروت و صيدا و طربلوس و لازقيه و ساير ناحيه مصريه و شاميه ده
- 191 اولان ثغور اسلاميه دن وصول بولان صابوندن و زيت جبلیدن و نذوردن و صديقدن الناجاق حقوق
- 1101 ديوانيه لرنده داخی مسامحه اولنه لر و قدس شريفده اولان غمامه لرني زيارت اتمكده عادت قديمه لري اوزرنه جاري
- 1111 اولالار و موتالرينك داخی دفته خارجدن كمنه متعارض اولميه و ميرائلرينه دخل اولميه و هر كيمك اوزرنده حقلي
- 1121 ثابت و ظاهر اولوراييه بي قصور اليويرله بي وجه دخل ايتمك استيانلري داخی حاكم الوقت اولانلر منع و دفع ايدهلر ديور

ერი ფირმანი, პატივისცემით იღებენ და სტუმართმოყვარულად უმასპინძლებიან მათ მონასტერში სხვადასხვა მხრიდან ჩამოსულებს. არაბები არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეიჭრან მათ მონასტრებში, არ უნდა გადაუდგნენ გზებზე, არ უნდა ჩაერიონ მათ საქმეებში, არ შეავიწროვონ და შეუქმნან დაბრკოლებები.

სინაზე, სირიასა და ეგვიპტეში არ უგულუბელყო მათი უფლებები ბოსტნებიდან, ზვრებიდან, ხილის ბალებიდან, ფინიქისა და ზეთისხილის პლანტაციებიდან ბაჟის (ჰუკუჟი დივან.ფე), იჯარის (ეჰჰარ), გამოსაღების (რუსუმ) და უშრის აღებისას.

კუნძულ კრეტასა და კვიპროსზე მდებარე მათ ვაკუუმებში — სახლებსა, ბალებსა და სამიწათმოქმედო მიწებებში ნურავინ შევა და უში ზეზოდ ნუ შეავიწროვებს და დაჩაგრავს.

ალექსანდრიაში, რეშთში, დიმიატში, ბურულოსში, ბულაყში, კატიასში, ლაზაში, იაფაში, ბეირუთში, საიდას, ტრიპოლსა და ლაზიკიაში — ეგვიპტისა და სირიის სხვა ისლამურ ნავსადგურებში — ხმელეთიდან და მლაშე თუ მტკნარი ზღვებიდან მათთვის შემოტანილ საპონზე, მთის ზეთზე,³⁶ საკმეველსა და სხვა შეწირულებებზე ბაჟი ჰუკუჟი დივანიით არ უნდა გადაახდევინონ.

ძველი ჩვეულებისამებრ კვლავაც უნდა იარონ იერუსალიმში ქრისტეს საფლავის მოსახილველად.

გარე შეთავან ნურავინ შეუშლის ხელს მათ მიცვალებულის დაკრძალვაში და ნურავინ ჩაერევა მემკვიდრეობის განაწილებაში. მემკვიდრეობაზე უფლების დამადასტურებელი მტკიცების მფლობელს უნდა მიეცეს იგი სრულად, უნაკლოდ. ხოლო მას, ვინც უსაფუძვლოდ განაცხადებს მემკვიდრეობაზე უფლებას, იმდროინდელი გამგებელი (პაქიმი) შეაჩერებს და უარს ეტყვის.

რადგანაც მათ ხელთ აქვთ წინასწარმეტყველის კეთილშობილი პირობის წიგნი — მათდამი საუკეთესო სურვილებს რომ გამოხატავს, აგრეთვე მართლმორწმუნე ხალიფების, ემირებისა და სულთნების ჰუკუმები (ეჰჰამ), ედიქტები (სიჯილათი), (მერასიმი) მემკვიდრეობის უფლებები და მიურებბეთი (საადგილმამულო დავთრებიდან ამონაწერი) და ახლა ისინი წარმოუდგინეს ჩემი უძლიერესი ქვეყნის ზღურბლს, სამყაროს მართვის მალალ კარს და

ითხოვეს მათი კვლავ დადასტურებით სიკეთისა და წყალობის მიგება, მეც, წინასწარმეტყველის კეთილშობილი პირობის წიგნის პარტივისციემისა და მისი განდიდების ნიშნად, დავეყრდენი იმ ჰუჭუმებს, ედიტუმებს, მერასიმებსა და მურებებეთებს და ხელთ ჩაეაბარე ეს ქვეყნის მპყრობელი, ბედისწერასავით გარდაუვალი წმინდა ჰუჭუმი, რომელიც უყოყმანო მორჩილებას იმსახურებს და ვბრძანე, რომ ხსენებულნი ხალხი, ძველი გადაწყვეტილებების თანახმად, ახლაც, ისევე როგორც წინათ, მშვიდად და უზრუნველად იყოს ხსენებულ სინის მთაზე; იცხოვროს განკერძოებით – ცალკე თავისთვის – განმარტებულის შესაბამისად იყონ დაცულნი და ხელ შეუხებელნი.

არცერთი პირი, ვინც უნდა იყოს იგი, არანაირად არ ჩაერიოს მათ საქმეებში და არ შეავიწროვოს ისინი. არ შეამთხვიოს უსიამოვნება და არ გაურთულოს მდგომარეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში მკაცრად გაიკიცხებიან და სასტიკად დაისჯებიან. ამრიგად, ზემოხსენებული კეთილშობილი პირობის წიგნისა და მაღალი ჰუჭუმების შესაბამისად, ალაჰის შეწყევნით, იცხოვრონ მშვიდად და უზრუნველად. მხურვალედ ილოცონ ჩემი მარადიული ქვეყნისათვის.

ასე იცოდნენ, წმინდა ნიშანს მიენდონ და იგი ირწმუნონ!

დაიწერა 923 წლის ჯუმად-ალ-ახერის ბოლოს, ეგვიპტის, ხალიფის ქვეყნის, [სატახტო] ქალაქში.

¹ ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა მარინე ილურიძემ ოსმალეთის იმპერიაში მართლმადიდებლური ეკლესიის მდგომარეობის თაობაზე უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული 300-ზე მეტი დასახელების შემცველი ბიბლიოგრაფიული ცნობარი შეადგინა.

² Uriel Heyd, Ottoman Documents on Palestine 1552-1625, A Study of the Firmans according to the Mühimme Defteri, Oxford, 1960; Iosef Matuz, Herrscherurkunden des Osmanen-Sultans Sulcymans des Prächtigen. Ein chronologisches Verzeichnis. Freiburg, 1971. მისივე, Das Kanzleiwesen Sultan Sulcymans des Prächtigen, Wiesbaden, 1974; M. F. Fahrettin Kurziglu, Osmanli-larin Kafkas Ellerini Fethi (1451-1590). Ankara, 1976; ც. აბულაძე, სულეიმან კანუნის ჰუჭუმები იერუსალიმის ერთი ქართული მონასტრის ფრანცისკანელთათვის გადაცემის თაობაზე, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1986, №2, გვ. 123-137; მისივე, ოსმალური სიგელები იერუსალიმისა და სინის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, გა-

ცნე, ისტორიის, არქეოლოგიის ... 1987, №1, გვ. 90-96; მისივე, Османские документы XV в. по истории Грузии из архивов Стамбула и Иерусалима, Советское востоковедение. Проблемы и перспективы (сб.) М., 1988, гв. 76-82.

³ A. S. Atiya. The Arabic Manuscripts of Mount Sinai, Belmont, 1955.

⁴ Hans Ernst, Die mamlukischen Sultansurkunden des Sinai-klosters, Wiesbaden, 1960.

⁵ Klaus Schwarz, Osmanische Sultansurkunden des Sinai-Klosters in türkischer sprache, Freiburg, 1970.

⁶ ოსმალურ სიგელებში ყველგან ტურ სინა წერია და არა ეკატერინეს მონასტერი. შტრ. დ. კლდია შვილი, სინის მთის წმ. გიორგის ხატი დავით აღმაშენებლის პორტრეტული გამოსახულებით. მრავალთავი, XV, თბ., 1989. გვ. 120.

⁷ სინის მონასტრისადმი ბოძებულ მუჰამედის პირობის წიგნის ('აჰტ-ნამე) ქართულ თარგმანს გამოისაცემად ამზადებს ხელნაწერთა ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი არაბისტი რ. გვარამია.

⁸ შტრ. Hans Ernst, დასახელებული წიგნი.

⁹ ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. II, თბ., 1980; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. სინური კოლექცია, ნაკვეთი I, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს ელ. მეტრეველმა, ც. ჯანკიევმა, ლ. ხევსურიანმა. ლ. ჭლამაიამ, თბ., 1978; ნაკვეთი II, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: ც. ჯანკიევმა და ლ. ჭლამაიამ, თბ., 1979, ნაკვეთი III, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს რ. გვარამიამ, ელ. მეტრეველმა, ც. ჯანკიევმა, ლ. ხევსურიანმა, ლ. ჭლამაიამ, თბ., 1987. გაირკვა, რომ XVI ს-ის 40-იან წლებში სინაზე წასულა მღვდელ-მონაზონი მარკოზი და შეწირულებანი ჩაუტანია წმ. ეკატერინეს მონასტრის წმ. გიორგის ქართველთა ეკლესიაში. მას ეკუთვნის ამ ეკლესიაში დაცული სულთა მატეიანის (sin 77) ყველაზე გვიანდელი მოსახსენებლები. იხ. ლ. ხევსურიანი, სინური კოლექცია, ნაკვ. III, გვ. 169; დ. კლდია შვილი, სინას სულთა მატეიანე, მარკოზი-ხანძთას სამრეკლოს მაშენებელი და სინას სულთა მატეიანის ბოლო შემავსებელი, ლიტერატურა და ხელოვნება, 1999 წ. №3, გვ. 47-77.

¹⁰ Kl. Schwarz, დასახელებული წიგნი, გვ. 6-8. მუჰამედის „პირობის წიგნის“ ნაუბეჭდობაზე ვრცლად იხ. Benhard Moritz, „Beitrage zur Geschichte des Sinaiklosters im Mittelalter nach arabischen Quellen“ ვუთითებ კლ. შვარცის მიხედვით, გვ. 202.

¹¹ Guboglu M., Paleografia si diplomatica turco-osmana, studia si album, Bucuresti, 1958, გვ. 68-69; Борис Недков, Османотурская дипломатика и палеография, I, София, 1966, გვ. 82.

¹² Sind 123, 125, 211; 3. Весела. К вопросу о положении христианской церкви в османском государстве. Османская империя, государственная власть и социально-политическая структура (Сб.), М., 1990, гв. 129-130.

¹³ Encyclopedie de l' islam, Nouvell édition, N. A. Gobb, J. H. Kramers ...ტ. I. Paris, 1975, გვ. 263.

¹⁴ იქვე.

- ¹⁵ Петрушевский И. П. Ислам в Иране в VII-XV вв. Ленинград, 1966, გვ. 81.
- ¹⁶ Zdenka Vesela Prenosilova, A Propes de la Protection Exercée par le Gouvernement Ottoman sur le monastere de ste Caterine an Sinai - Archiv orientalni, 37, Praha, 1989, გვ. 329.
- ¹⁷ Sind 125.
- ¹⁸ Kl. Schwarz, დასახ. წიგნი, გვ. 17-20.
- ¹⁹ Zdenka Vesela Prenosilova, დასახ. ნაშრომი, გვ. 329.
- ²⁰ ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, თბ., 1958, გვ. 162.
- ²¹ Zdenka Vesela Prenosilova, დასახ. ნაშრომი, გვ. 330.
- ²² ი. გედევანიშვილი, მიმოსულა ანუ მგზავრობა იონა რუისის მიტროპოლიტისა. თბ., 1852.
- ²³ Hans Ernst, დასახ. ნაშრომი, გვ. 246.
- ²⁴ Sind №63, 66, 72.
- ²⁵ Sind № 106, 174, 175, 195.
- ²⁶ იგულისხმება მართლმადიდებლური ეკლესიის ოფიციალური სტატუსი ოსმალეთის იმპერიაში.
- ²⁷ I. H. Danişmend, Izahli osmanlı tarih kronolojisi, ტ. III. Ankara, გვ. 430.
- ²⁸ სინის მთის მონასტრის მეტოქე თბილისში იყო წმ. ეკატერინეს მონასტერი, აგებული XI ს-ში. მას ჰქონდა საკუთარი მეურნეობა და საქართველოს მეფე-მთავართაგან მდიდარი შეწირულება. სინის მთავარეპისკოპოსმა ანანიამ 1665 წელს ქართლში იმოგზაურა. მისი „შეხვეწნით“ სინის მონასტრის მამული, სოფ. მელურიკისი (გორის რაიონი) შაჰნავაზმა დაიხსნა და ხელახლა შესწირა სინის მონასტერს, რისთვისაც მონასტერში დაიდო შაჰნავაზის დედისა და მამის აღაპი და სამარადეჟმოდ აინთო ორი კანდელი. ასევე ცნობილია გურიის მთავრების სიმონისა და გიორგი III-ის, კაცია დადიანის, ალექსანდრე კახთა მეფის, სოლომონ I-ის, ერეკლე II-ის, გიორგი XIII -ის, და სხვათაგან გაღებული შესაწირის რაობა და ოდენობა. იხ. თ. ყორღანია, ქრონიკები. ტ. II, თბ., 1893, გვ. 482-483; Пл. Иоселиани, Описание древностей города Тифлиса тб., 1866, გვ. 66-68; დოკუმენტები Hd. 6546, Hd. 13168, Hd. 6804, Hd 5713, Sd 1791; სსცია ფ. 1948, №670.
- ²⁹ XIX ს-ის შუა პერიოდისათვის სინელები 80 მეტოქის მფლობელნი ყოფილან. XX ს-ის 30-იანი წლებისათვის კი მხოლოდ 16-სა. Kl. Schwarz, გვ. 16.
- ³⁰ Sind 47, 49, 59.
- ³¹ უ. აბულაძე, ოსმალური სიგელები იერუსალიმისა და სინის ქართული კოლონიის ისტორიისათვის.
- ³² Sind 70.
- ³³ sind 119, 120.
- ³⁴ უ. აბულაძე, დასახ. სტატიები.
- ³⁵ 3. Весела. К вопросу о положении... გვ. 122.
- ³⁶ ალბათ იგულისხმება ზეთისხილის მთიდან ჩამოტანილი ზეთი.

ფაგნელის დაწერილის თარიღისათვის

ფაგნელის დაწერილი ჩვენამდე უთარილოდ არის მოღწეული. მიუხედავად იმისა, რომ ამ საბუთის მონაცემებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ქართული ფეოდალიზმის ისტორიის მკვლევარნი, მისი ამჟამად მიღებული დათარიღება მაინც ეკვივკე არის დაყენებული¹. ამ გარემოების გამო საბუთის დათარიღება უფრო ზუსტი კრიტერიუმების მოძიებას საჭიროებს. ფაგნელის დაწერილის დედანი არ მოგვეპოვება. მისი ასლი, რამდენიმე სხვა საბუთის ასლთან ერთად, მოთავსებულია ხელნაწერ AdI-ის v-ზე. ამავე ხელნაწერის r-ზე წარმოდგენილია ასევე უთარილო, მაგრამ საკმაოდ ზუსტად დათარიღებული (1247/1250წწ.) გრიგოლ სურამელის მიერ შიომღვიმისადმი ბოძებული ანდერძის დედანი.² გრიგოლ სურამელის საბუთს ამავე ხელნაწერის სხვა საბუთების დასათარიღებლად ქრონოლოგიური ორიენტირის მნიშვნელობა აქვს, ამიტომ მკითხველს მოკლედ შევასხენებთ მის შინაარსს: სურამელის საბუთში ლაპარაკია სოფელ გავაზელთან შესახებ, რომელიც თურმე ადრე მღვიმეს ეკუთვნოდა, შემდეგ კი სურამელთა სახლს თავის „შესავლად“ გაუხდია. გრიგოლ სურამელმა თავისი „ანდერძით“ ეს სოფელი მის კანონიერ მფლობელს - მონასტერს დაუბრუნა. როგორც ამავე საბუთზე დართული არსენი ბერის თანადროული მინაწერიდან ჩანს, ეს „კანონიერების აღდგენა“ უსასყიდლოდ არ მომხდარა. არსენი ბერი - მღვიმის წარმომადგენელი - სურამელს აძლევს ფულს და გარკვეული საფასურის ნივთებს, რის საფუძველზეც მონასტერი ადრე ნასყიდ სოფელს უკან იბრუნებს.

სურამელის „ანდერძის“ უკანა მხარე ასლის შემდგენელმა გამოიყენა იმ მიზნით, რომ თავი მოეყარა მღვიმის მონასტრის მიერ სწორედ სურამელთა სახლისაგან შექმნილ სოფლებზე არსებული საბუთებისათვის. Ad-I-ის აღწერილობა, მისი შედგენილობა და ბიბლიოგრაფია სრულად არის მოცემული „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსში“³, ამიტომ ამ საკითხების შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა

ასლის შემადგენელი საბუთების ერთმანეთისაგან გამოიკვნა და მათი დათარიღების საფუძვლების განხილვა.

ყველა გამომცემელი (თ. ჟორდანიას, ი. დოლიძე, „კორპუსის“ შემდგენლები) ასლის ტექსტში გამოყოფს ორ საბუთს: ფავნელის დაწერილს და მიქაელ მემღვიმისას. მხოლოდ ი. დოლიძე გამომცემის კომენტარში აღნიშნავს, რომ ფავნელის დაწერილად მიჩნეულ ტექსტში სხვა ნასყიდობის საბუთის ფრაგმენტიც გამოიყოფა. ყველა გამომცემელი უცილობელ ფაქტად თვლის, რომ ასლის გადამღები საბუთთა გადაწერისას თუ კომპილაციისას იცავდა ქრონოლოგიურ რიგს. ამიტომ ასლის ტექსტში რიგით პირველი ფავნელის დაწერილი უსათუოდ მომდევნო საბუთზე ადრეულად იქნა მიჩნეული. რაც შეეხება რიგით მეორედ მიჩნეულ საბუთს, მიქაელ მემღვიმის ბეგრის დაღების დაწერილს, მასში მართლაც აღმოჩნდა დათარიღებისათვის ხელჩასაჭიდი მითითება: „გარდავე ლიხთ-იმერით და მოვიღე თავისუფლობისა ბრძანება კონსტანტინესი და ბაგრატიისი, კახთა მეფეთა: ფალღესი და კუირიკესი“⁶. ამ ცნობის საფუძველზე მიიღეს მიქაელის დაწერილის თარიღად კონსტანტინე აფხაზთა მეფისა და ფაღლა კახეთის ჟორეპისკოპოსის ზეობის თანმხვედრი წლები (893-918) IX-X საუკუნეთა მიჯნაზე. რადგან ასლში მიქაელის დაწერილს წინ უძღვის ფავნელის დაწერილი, ამიტომ „კორპუსის“ გამომცემლებმა იგი კიდევ უფრო ადრე შექმნილად ჩათვალეს და IX ს-ის II ნახევრით დაათარიღეს. თ. ჟორდანიას ფავნელის დაწერილის თარიღად მითითებული აქვს X საუკუნე⁷, ი. დოლიძეს - IX⁸. ასეთია დღეისათვის აღნიშნული ასლის შედგენილობასა და თარიღებთან დაკავშირებული დასკვნები, მაგრამ ეს დასკვნები საეჭვო გახადა ასლის ტექსტზე საგანგებო დაკვირვებამ.

თავდაპირველად ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ ასლში შეტანილ საბუთთა გამთლიანებულ ტექსტში გამოიყო არა ორი, არამედ ოთხი დიპლომატიკური შრე, რომელთა გაჩენა მხოლოდ ოთხი სხვადასხვა საბუთის ტექსტების შერწყმით შეიძლება აიხსნას. I საბუთია საკუთრივ ფავნელის ნასყიდობის დაწერილი (ვუთითებთ დასაწყის და ბოლო ფრაზებს): „ქ. სახელითა ღმრთისაითა... მწევარი წაუვალი“; II არის ნასყიდობის საბუთი, რომელშიც უცნობია მყიდველი მხარე, გამყიდველი კი არის სარკინის წინამძღვარი: „... ოეთრსა რა ანგარიში უნდა... ლაგამი

მარგალიტისა ძირით“; III საბუთი მიქაელ მემღვიმის დაწერილია: „ჩავე მე, მიქაელ მემღვიმე... კახთა მეფეთა: ფალღესი და კუირიკესი“; IV საბუთი კი უცნობი მეფის სიგელის ფრაგმენტი: „...მითავისუფლებიან მეფეთა და დედოფალთაგან... სააჯოს კარსა მიიხუნით“⁹. გამოყოფილ საბუთთა ფრაგმენტები არ იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ ასლის შემდგენელს მაინცდამაინც ქრონოლოგიური პრინციპი აქვს საბუთთა გაერთიანებისას შერჩეული, თუმცა გადაჭრით ამის უარყოფა არ შეიძლება. ერთი რამ ცხადია, იგი საბუთებს თემატურად ალაგებს. პირველი ორი საბუთი ნასყიდობის დაწერილებია და, როგორც შემდგომ ვუჩვენებთ, დროში ერთმანეთისაგან დიდად დაცილებულნი. მესამე საბუთი მღვიმის წინამძღვრის ანგარიშგებაა მონასტერში ჩატარებულ სამეურნეო საქმიანობაზე, ხოლო მეოთხე რომელიღაც მეფის მიერ მღვიმისათვის ბოძებული შეუვალობის სიგელის ფრაგმენტი: დედანი შედგენილი უნდა ყოფილიყო არაუადრეს მონღოლების ხანისა. ასლზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ რიგით პირველი საბუთის - ფავნელის დაწერილის დათარიღება არ შეიძლება იყოს განსაზღვრული მაინცდამაინც მიქაელის დაწერილის შესაძლო თარიღით, მით უმეტეს, რომ არც იგია მყარი ნიშნებით დათარიღებული (მიქაელის დაწერილის თარიღის შესახებ ცალკე იქნება მსჯელობა). ასეთმა ვითარებამ მეტი სივრცე შექმნა ფავნელის დაწერილის დათარიღებისათვის, კერძოდ, შესაძლებელი გახდა თვით ტექსტის მონაცემების უფრო სრულყოფილად გამოყენება, რასაც თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცეოდა სწორედ იმის გამო, რომ ფავნელის დაწერილი მიქაელის დაწერილზე ადრე შექმნილად იყო მიჩნეული.

ფავნელის დაწერილის მონაცემები - ონომასტიკონი, ფულის ერთეულის სახელწოდება, ისტორიული ბრძოლა და სპეციფიკური დიპლომატიკური ფრაზეოლოგია, სერიოზულ საფუძველს ქმნის ექვი შევიტანოთ ამ საბუთის არსებულ დათარიღებებში.

უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს, რა ინფორმაციას გვაწვდის ფავნელის დაწერილის დიპლომატიკური სტრუქტურა საბუთის შექმნის დროზე. ფავნელის დაწერილი ნასყიდობის საბუთია და, ამდენად, მონაწილე მხარეებისათვის იურიდიულ დოკუმენტს წარმოადგენს. მაშასადამე, საბუთი შედგენილი უნდა იყოს იმ დროისათვის მოქმედი სამართლებრივი ნორმების შესაბამისად. თავის მხრივ, სამართლებრივ ნორმებში აისახება სოციალურ ურთი-

ერთობათა მთელი სისტემა. ამ ნიშნით ისტორიული საბუთის ტექსტი ფუნქციური ტექსტია, მისი შინაარსობრივი სტრუქტურა საშუალებას იძლევა აღიწეროს არა ერთეული შემთხვევა, არამედ სოციალური ცხოვრების ნორმა. ფავენელის დაწერილის შემთხვევაში საქმე გვაქვს ნასყიდობის ინსტიტუტთან, ანუ კერძო-სამართლებრივ ურთიერთობასთან ფეოდალიზმის წიაღში. ნასყიდობის ინსტიტუტის „გაფეოდალურებული“ შინაარსი კარგად ჩანს ნასყიდობის ობიექტზე იერარქიული უფლებების არსებობაში. განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ეს ვითარება მიწის გასხვისებასთან დაკავშირებულ აქტებში – იერარქიული სისტემის შექმნამ მიწათმფლობელობის სფეროში თავისი ზეგავლენა მოახდინა შესაბამისი იურიდიული დოკუმენტების გაფორმების წესზე – მიწის გამყიდველი ვალდებული იყო ნებართვა აეღო გასხვისების თაობაზე მიწის უზენაესი მესაკუთრისაგან. ამიტომ ჩნდება ნასყიდობის საბუთებში ე.წ. „ნებართვის თემა“. სწორედ ეს თემა ასახავს კერძო გარიგებათა ფარგლებში საჯარო უფლებათა გავრცელებას. ფავენელის დაწერილში ეს თემა ასეა გამოხატული: „...ვთხოვენ ჩემნი მკუიდრნი მამულნი მეფესა და მიბოძნა...“¹⁰ მაშასადამე, ფავენელი სანამ თავის მკვიდრ სოფლებს მიჰყიდდა მონასტერს, ამ სოფლების გასხვისების ნებართვას ითხოვს მეფისაგან, როგორც ქონების უზენაესი იურიდიული მესაკუთრისაგან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფავენელის დაწერილის შედგენის დროისათვის სუზერენულ-ვასალური ურთიერთობა გაბატონებულია მიწათმფლობელობის სფეროშიც, სახელმწიფო იურისდიქციაში მოქცეულია ე.წ. მკვიდრი მამულებიც. შესაძლებელია თუ არა ასეთი ვითარება ვივარაუდოთ IX ს-ის II ნახევარში ან თუნდაც X საუკუნეში შიდა ქართლში, სადაც ფავენელებს მკვიდრი მამულები ჰქონდათ?

გასათვალისწინებელია ისიც, რომ „მკვიდრი მამული“ საბუთებში ყოველთვის ერთნაირი მნიშვნელობით არ იხმარება. მასში შესაძლებელია იგულისხმებოდეს მემკვიდრეობითი სამამულე საკუთრებაც და ნაწყალობევი მამულიც – პირობითი საკუთრებაც. თუ რა სახის საკუთრებაზეა ლაპარაკი ფავენელის დაწერილში, სრულიად ნათელია ტექსტიდან. ფავენელი აღნიშნავს, თუ რატომ ჰყიდის სოფლებს: „...რომე ტყუენი დავიქსნე და მკუდრისა სული ვაურვო...“ (ფავენელს ერთი შვილი ბარდავის ბრძოლაში დაედღუპა, მეორე - სახლში მოუკვდა. გარდა ამისა, დასახსნელი ჰყოლია

სახლის დატყვევებული წევრები).¹¹ იურიდიულ საბუთებში გარიგების მიზეზის აღნიშვნა აუცილებელი თემატური კომპონენტი იყო. ასეთი მიზეზები ზოგჯერ ყოფითი, ზოგჯერ რელიგიურ-ზნეობრივი მოტივებით გამოხატული, აუცილებლად იყო შეფარებული მოქმედ იურიდიულ ნორმებთან. მკვდრის სულის დასაურვებლად და ტყვის გამოსახსნელად ზრუნვა ფაუნელისათვის, მართალია, ზნეობრივი მოვალეობა იყო, მაგრამ ამ მოვალეობას შუა საუკუნეების საქართველოში კანონმდებლობაც განამტკიცებდა. მიცვალებულის სოციალური ჩანგის შესაბამისად, მისი სულისათვის გაღებული მატერიალური დანახარჯის ოდენობას განსაზღვრავდა ეკლესია. საეკლესიო სამართალი იცავდა აგრეთვე დატყვევებულის წილობრივ უფლებებს. დატყვევებულის გამოსხნაზე ზრუნვას და მისი ქონებრივი უფლებების დაცვას მოითხოვს „დიდ სჯულისკანონში“ შეტანილი სპეციალური მუხლები.¹² ასევე უფრო გვიანდელი, მაგრამ აღრიხდელი ვითარების ამსახველი სამართლის ძეგლი „ბერძნული სამართალი“¹³. ტყვის უფლებების დაცვა ქართულ სინამდვილეში რომ მხოლოდ თეორიულ ნორმას არ წარმოადგენდა და რომ ეს ნორმა სამართლებრივ პრაქტიკაში ნამდვილად დანერგული იყო, კარგად ჩანს ძაგან აბულეთისძის, კახა თორელის, ბეგა სურამელის დაწერილებიდან.¹⁴ ეს დოკუმენტები თვალნათლივ უჩვენებენ, რომ ტყვეობის მიზეზით გამოწვეული ხარჯისაგან თავისუფალი იყო მხოლოდ კერძო ინდივიდუალური, მაგრამ არა სახლის საერთო საკუთრება. ასეთი საკუთრება აქვს მხედველობაში ფაუნელს, როდესაც ლაპარაკობს გარდაცვლილი შვილების სულების დაურევებასა და ტყვეთა დახსნაზე. სახლის საერთო საკუთრებაში წილობრივი უფლებები გააჩნდა სახლის ყველა წევრს, მათ შორის გარდაცვლილსაც და დატყვევებულებსაც. ამრიგად, სრულიად ნათელია, რომ ფაუნელი ჰყიდის თავის მემკვიდრეობით მიღებულ მამულს და არა ნაწყლობებს. ასეთი ვრცელი მსჯელობა, შესაძლოა, ისედაც ცხადი ვითარების განსამართავად იმისათვის მოვიყვანეთ, რომ პასუხი გაგვეცა კითხვაზე: რატომ დასჭირდა ფაუნელს მეფის ნებართვა იმ მამულების გაყიდვაზე, რომლებიც ისედაც მისი სახლის საკუთრება იყო? პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს - ეს მამულები სახელმწიფოს „შესავალი“ იყო, ე.ი. იხდიდა სახელმწიფო გადასახადს, ხოლო მონასტერზე გაყიდვის შემთხვევაში „შეუვალი“ ხდებოდა. თავად ამ მამულების გაყიდვის აქტი თავისი იურიდიული სტრუქტურით სუბერენულ-ვასალურ

ურთიერთობას ასახავს. ახლა კვლავ დავუბრუნდეთ კითხვას: რამდენად შეიძლებოდა ასეთი საბუთი შედგენილიყო IX ს-ის II ნახევარში ან X საუკუნეში?

ფაუნელი შიდა ქართლის ფეოდალია. ეს ის რეგიონია, რომლის დაუფლებასაც მთელი IX და X საუკუნეების მანძილზე ცდილობენ ხან კახეთის მთავრები, ხან ტაო-კლარჯეთისა და აფხაზეთის მეფეები. დროებით წარმატებას ყოველი მათგანი აღწევს, მაგრამ შიდა ქართლის შენარჩუნებას ვერც ერთი ვერ ახერხებს. ძირითად წინააღმდეგობას მათ უწევენ სწორედ შიდა ქართლის აზნაურები ტბელების მეთაურობით.¹⁵ ტბელებისა და ფაუნელების საერთო სახლისადმი კუთვნილება გააკვირა ნ. შოშიაშვილმა¹⁶. ფაუნელ-ტბელებს ჭერ კიდევ გაუყოფელ სახლად გულისხმობს 1170 წ. გაცემული გიორგი III-ის სიგელი შიომღვიმისადმი, რომელშიც ფაუნელის საბუთია მითითებული მღვიმის სხვა საბუთებთან ერთად: „ცხირეთს – ცხეკერი და გავაზელნი, წმიდისა შიოის ოქროითა და ვერცხლითა მონასყიდი ფაუნელთა და ტბელთაგან...“¹⁷ ტბელები და, მათთან ერთად, უნდა ვიგულისხმოთ, ფაუნელებიც მტრულად ხედებიან ქართული ქვეყნების გაერთიანებისაკენ და, აქედან გამომდინარე, ცენტრალიზაციისაკენ გადადგმულ ყველა ნაბიჯს. სწორედ ტბელები ხელმძღვანელობენ შიდა ქართლის აზნაურების გააფთრებულ ბრძოლას ბაგრატ III-ის წინააღმდეგ, რადგან შიდა ქართლს ისინი საკუთარ მამულად თვლიან. შიდა ქართლის ფეოდალური მამულის სტრუქტურა ჩამოყალიბდა ცენტრალური ხელისუფლების არარსებობის პირობებში, რამაც გამოიწვია ამ რეგიონში შემკვიდრეობითი სამამულე სისტემის გაბატონება. ეს სისტემა თავად იყო შიდა ქართლის ფეოდალური სახლების ძლიერების საფუძველი და იგი განაპირობებდა ისეთი ფსიქოლოგიური ფენომენის წარმოქმნას, რომელიც გამოიხატა კიდევ სამეფო ხელისუფლების მიუღებლობაში. წყაროს ცნობით, როცა ბაგრატ III-მ სძლია ქართლის აზნაურებს, ისინი გადაიხვეწნენ, რადგან არ შეეძლოთ მეფის ხელისუფლებასთან შერიგება.¹⁸ ასეთ ვითარებაში ფაუნელის დაწერილის დათარიღება IX-X საუკუნეებით ანაქრონიზმად გვეჩვენება. ამ საბუთის შედგენის წესი თავისთავად არის მოწმობა იმისა, რომ იგი შექმნილია საქართველოს გაერთიანების შემდგომ, როცა სუზერენულ-ვასალური ურთიერთობა საბოლოოდ ჩამოყალიბებულია თავისი პოლიტიკური, სოციალური და სამართლებრივი ასპექტებით. თუ

ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ თეორიულად შესაძლებელია ფავენელის დაწერილი XI საუკუნეში შექმნილად მიგვეჩინია (ვთქვათ, ბაგრატ IV-ის ან გიორგი II-ის დროს), მაგრამ ამას ხელს უშლის ფულის ერთეულად პერპერას მოხსენიება. ამ ბიზანტიური ფულის მოქრა, როგორც ცნობილია, იმპერატორ ალექსი I-ის (1081-1118) სამონეტო რეფორმას უკავშირდება. ქართულ წყაროებში ეს ტერმინი XI ს-ის მიწურულიდან ჩნდება. მაგ., 1092 წ. ერთ ათონურ აღაპში მოიხსენიება პერპერა.¹⁹ ამ სახელწოდების ფულს იცნობს დავით აღმაშენებლის ანდერძი და „ვეფხისტყაოსანი“. მარტო „პერპერა“ უკვე საკმარისი იქნებოდა ფავენელის დაწერილის თარიღის ჭკედა ზღვრის დასადგენად, მაგრამ რადგან საბუთი გვიანდელი პირის სახით არის მოღწეული, შეიძლება გვეფიქრა, რომ გადამწერმა შეცდომით შეიტანა ტექსტში ფულის მისთვის ნაცნობი სახელწოდება და ამ ტერმინს საბუთის დათარიღებისათვის გადამწევეტი მნიშვნელობა არ მინიჭებოდა, მაგრამ არის კიდევ ერთი ცნობა საბუთში, რომელიც არ ადასტურებს პერპერასთან დაკავშირებულ ექვს და რომელიც ძალზე აკონკრეტებს „დაწერილის“ შექმნის თარიღს. ეს არის ბარდავის ბრძოლა. სწორედ ამ ბრძოლაში დაიღუპა ერთი „ლომისა მსგავსი ფავენელი“. რომელ ბრძოლაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი საბუთში?

მთელი IX-X საუკუნეების მანძილზე ბარდავი ხან განძის საამიროში შედიოდა, ხან შარვანში, რამდენადაც იგი ამ ორი ჭკეყნის სასაზღვრო ზოლში მდებარეობდა და ურთიერქიშპის საგანს წარმოადგენდა.²⁰ არც ქართული, არც არაბული წყაროების მიხედვით, IX-XI საუკუნეებში ქართველთა ლაშქარი ბარდავაში არ შესულა. XI საუკუნეში ბაგრატ III და ბაგრატ IV ლაშქარავენ განძის საამიროს,²¹ მაგრამ ისინი ბარდავამდე არ ჩასულან, წინააღმდეგ შემთხვევაში წყარო დუმილით არ აუვლიდა გვერდს ასეთი მნიშვნელოვანი პუნქტის დალაშქრას. ბარდავამდე ქართული ჯარი მიდის მაშინ, როცა საქართველოს სახელმწიფო იწყებს აქტიურ საგარეო ომებს სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. ასეთ დიდ სამხედრო ექსპედიციებს აწყობს მხოლოდ დავით აღმაშენებელი, მას შემდეგ, რაც საქართველოს ფარგლებიდან თურქები განდევნა და დაიწყო მათი შევიწროება მეზობელ პროვინციებში. დავითის ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ 1121 წლის ივნისში მეფემ „არბია ბარდავი, დაყო დღე ორი და ნებიერად მოვიდა შინა სავსე ალა-

ფითა". ამ ცნობას ადასტურებენ არაბული და სომხური წყაროები.²² ყველა საფუძველი გვაქვს ვითქვით, რომ ფავენელი სწორედ ამ ბრძოლაზე ლაპარაკობს თავის საბუთში. ამ ბრძოლის თარიღი უნდა მივიჩნიოთ ფავენელის დაწერილის შედგენის თარიღადაც.

Ad-I-ის ასლში შეტანილი რიგით მეორე საბუთის ფრაგმენტი ნასყიდობის დაწერილია, რომელშიც გამყიდველ მხარედ გვევლინება სარკინეთის წინამძღვარი. რა კავშირი უნდა ჰქონდეს ამ ორ საბუთს ერთმანეთთან? როგორც ჩანს, სწორია თ. ჟორდანიას ვარაუდი შიომღვიმისა და სარკინის მონასტერს შორის რაღაც კავშირის არსებობის შესახებ.²³ ვახუშტი ბაგრატიონი სარკინეთზე მსჯელობისას ამბობს, რომ „არს აქა მონასტერი დიდი, გუნბათიანი და მღვიმე მას შინა, რომელსა შინა სცხოვრობდა წმიდა შიო, იგ მამათაგანი, ზის აწ არქიმანდრიტი, არს მღვიმესა შინა საფლავი წმიდისა შიოსი სასწაულმოქმედი“.²⁴ სარკინეთში შიოს კულტის არსებობა გვაფიქრებინებს, რომ ეს მონასტერი ორგანიზაციულად შიომღვიმეს ექვემდებარებოდა, წარმოადგენდა მის მეტოქს. როგორც ჩანს, ეს მონასტერი უძღვებოდა შიდა ქართლში მდებარე შიომღვიმის სამფლობელო სოფლების სამეურნეო საქმიანობას. სწორედ ამის გამოა ერთად წარმოდგენილი ასლში ფავენელის დაწერილი და მეორე საბუთის აღნიშნული ფრაგმენტი. ამ უკანასკნელში შემონახული ცნობა ნასყიდობის ობიექტში გადახდილი საზღაურის შესახებ მისი დათარიღების საშუალებასაც იძლევა. მყიდველმა მხარემ სარკინეთის წინამძღვარს გადაუხადა წონით და არა თვლით, როგორც ჩანს, გაუფასურებული თეთრი — „თეთრსა რა ანგარიში უნდა, კაბარჭითა გარდაუწყუ“. ეს ფასი გამყიდველს თურმე ეცოტავა და ამიტომ მყიდველმა დამატებით მისცა: „ერთი ჯორი პალამ-კურტამითა, ერთი ცხენი სამასად, ერთი უნაგირი ხუთასად ყუელასა მჯობი, ერთი ლაგამი მარგალიტისა ძირით...“²⁵ ეს მატერიალური ფასეულობები და მათ ღირებულებაზე მითითება გასაოცარ მსგავსებას ავლენს იქვე, ხელნაწერზე, გრიგოლ სურამელის ანდერძზე დართულ არსენი ბერის შინაწერის ცნობასთან, რომლის თანახმადაც, არსენიმ გრიგოლ სურამელს მღვიმისათვის უსამართლოდ წართმეული გავაზელთა სოფლის უკან დასაბრუნებლად შიართვა ფული და სხვადასხვა ძვირფასი ნივთები, მათ შორის ის ნივთებია დასახელებული, რომლებსაც სარკინის წინამძღვარს აძლევს საზღაურად უცნობი მყიდველი.²⁶ ნივთების

იდენტურობა გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ მყიდველი მხარე ისევ სურამელთა სახლია.

მთლიანობაში სოფელ გავაზელთაზე მღვიმის მფლობელობის ისტორია ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: ეს სოფელი ფავნელმა მიჰყადა მღვიმეს (ფავნელის დაწერილი), შემდეგ, როგორც ეს გრიგოლ სურამელის ანდერძიდან ჩანს, სურამელებმა – ფავნელთა შთამომავლებმა²⁷ – ეს სოფელი უკანონოდ ისევ დაისაკუთრეს. არსენი ბერმა გრიგოლ სურამელისაგან გამოისყადა ეს სოფელი გარკვეული საფასურით, მაგრამ მალე სურამელები ისევ იბრუნებენ ამ სოფელს უკვე ნასყიდობის გზით – მათ ხელახლა შეისყიდეს გავაზელნი და საფასურად გადაიხადეს იგივე ნივთები, რომლებიც ოდესღაც გრიგოლ სურამელს არსენი ბერმა მიართვა. უკანასკნელი ნასყიდობის აქტი სურამელებთან გააფორმა სარკინეთის წინამძღვარმა, რომელიც, როგორც ჩანს, იურიდიულად შიომღვიმეს წარმოადგენდა. ამგვარად, ასლში შეტანილი ნასყიდობის საბუთის ფრაგმენტი უნდა დათარიღდეს არა უადრეს XIII ს-ის II ნახევრისა, მეტი ალბათობით – ამ საუკუნის ბოლო ათეული წლებით, გრიგოლ სურამელის გარდაცვალების შემდგომი პერიოდით.

ასლში შეტანილი რიგით მესამე საბუთია მიქაელ მემღვიმის დაწერილი. ამ საბუთის დათარიღების საფუძველად არსებულ პუბლიკაციებში აღებულია მიქაელის ცნობა, რომ მან მღვიმის შეუვალობის დამამტკიცებელი საბუთები კონსტანტინე და ბაგრატი მეფეების, აგრეთვე კახთა მეფეების – ფალღესი და კუირიკესი ლიხთ-იმერეთიდან ჩამოიტანა. საბუთში აფხაზთა და კახთა მეფეთაავრების მოხსენიება სრულებით არ გულისხმობს, რომ იგი ამ მეფეების თანადროულია. აქ მხოლოდ ისაა ნათქვამი, რომ მიქაელმა აღნიშნულ მეფეთა მიერ ადრე ბოძებული საბუთები ჩამოიტანა როგორც იურიდიული მტკიცებულება მღვიმის სოფლებზე შეუვალობის განსაახლებლად. ასეთი მითითებები ძველ საბუთებზე სხვა მრავალ საბუთშიც გვაქვს. მიქაელმა მღვიმეს უნდა განუახლოს შეუვალობა და ამისათვის ახალ მეფეს უნდა წარუდგინოს ძველი საბუთები. ვინ შეიძლება იყოს ეს „ახალი“ მეფე?

მიქაელ მემღვიმის დაწერილის თარიღის გასარკვევად მნიშვნელობა აქვს „დაწერილში“ მოხსენიებულ სოფლებსაც. მიქაელი საუბრობს ორ სოფელზე – ცხევერელნი და ლავრანი. იგი არ ახსენებს გავაზელთა სოფელს. ფავნელის დაწერილიდან კი ვიცით, რომ ფა-

ვნელმა მღვიმეს მიჰყოდა ცხვერელნი და გავაზელნი. გამოდის, რომ მიქაელის საბუთი იწერება იმ დროს: 1. როცა მღვიმე ჭერ კიდევ არ ფლობს გავაზელთას, ან იმ დროს: 2. როცა მღვიმემ თვითონ მიჰყოდა ეს სოფელი სურამელებს.

პირველი ვერსიის დაშვების შემთხვევაში უნდა ჩავთვალოთ, რომ ასლში არ არის დაცული საბუთთა დალაგების ქრონოლოგიური პრინციპი. მიქაელის დაწერილი იქმნება ფავნელის დაწერილზე დიდი ხნით ადრე, ამ დროისათვის მღვიმეს ფავნელ-ტბელთაგან მიღებული აქვს (ალბათ, შეწირულების წესით) ცხვერელნი, შესაძლოა, მათგანვე აქვს შექმნილი ლავრანი. ამ სოფლებზე მღვიმეს შეუვალობა ჰქონდა მოპოვებული ჭერ კიდევ აფხაზ და კახ მეფეთაგან. მიქაელი ამ უფლების განახლებას სთხოვს იმ მეფეს, რომელიც გაბატონდა ქართლში აფხაზი და კახი მეფეების შემდგომ. ასეთ მეფედ შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ ბაგრატ III, რომელსაც, ქართლში რეალური ძალაუფლების მოპოვების შემდეგ, მართლაც შეეძლო განეახლებინა მღვიმისათვის შეუვალობის ძველი საბუთები. ამდენადვე, მიქაელის საბუთის თარიღად შეიძლება მივიჩნიოთ X-XI საუკუნეთა მიჯნა. დროთა ვითარებაში ფავნელებმა მღვიმეს გამოწირეს, როგორც ეტყობა, ადრე შეწირული სოფელი ცხვერელნი, რაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო ეკლესიისა და ფეოდალების ურთიერთობაში (გრიგოლ სურამელის „ანდერძიდან“ ჩანს, რომ ფეოდალი ნასყიდ მამულსაც ართმევს მონასტერს). მხოლოდ კარგა ხნის გასვლის შემდეგ ფავნელები იძულებულნი ხდებიან ცხვერელნი ისევ მღვიმეს დაუბრუნონ უკვე ნასყიდობის წესით, მასთან ერთად მიჰყიდეს გავაზელნიც (ფავნელის დაწერილი).

მეორე ვერსიის მიხედვით, მიქაელის დაწერილი შეიძლებოდა შედგენილიყო მას შემდეგ, რაც მღვიმემ თავად მიჰყოდა სურამელებს სოფელი გავაზელნი, ე.ი. XIII ს-ის მიწურულში. ასეთ შემთხვევაში ასლში საბუთების ქრონოლოგიური რიგი დაცული გამოდის. მიქაელ მემღვიმეს მონასტრის შეუვალობის გასაახლებლად უნდა წარმოედგინა ზემოთ ჩამოთვლილ აფხაზი და კახი მეფეების საბუთებთან ერთად მთელ მომდევნო პერიოდში გაცემული ანალოგიური შინაარსის საბუთებიც. ასეთი რამ კი ასლში არ ჩანს, ამიტომ ისიც უნდა დაეუშვათ, დედანში ჩამონათვალი სრული იქნებოდა. ის მეფე კი, რომლისთვისაც მემღვიმეს უნდა წარედგინა ძველი საბუთები, უნდა იყოს იგივე მეფე, რომლის სიგელის ფრაგმენტიც მიერთებულია ასლში უშუალოდ მიქაელის დაწერილის

ტექსტზე. ეს უკანასკნელი ფრაგმენტი, დიპლომატიკური აღნაგობის მიხედვით, წარმოადგენს მეფის სიგელის სამოხელეო იმუნიტეტურ ფორმულას. მასში ჩამოთვლილია ის მოხელეები, რომელთაც მეფე უკრძალავს მღვიმის კუთვნილ მამულებში გადასახადის აკრეფას. მოხელეთა შორის დასახელებულია „მეულუფე“, რაც აშკარად მიუთითებს მონღოლების დროინდელ გადასახადზე - „ულუფა“. სრულიად აშკარაა, რომ ამ ფრაგმენტის დედანი სამეფო სიგელი ვერ შეიქმნებოდა XIII-ის II ნახევარზე ადრე. თუ დანარჩენი საბუთების ქრონოლოგიურ რიგს გავითვალისწინებთ, მისი შექმნის დრო უნდა განისაზღვროს XIII ს-ის მიწურულთ.

მიქაელ მემღვიმის დაწერილის ორ შესაძლო თარიღს შორის უფრო მისაღები მაინც X-XI საუკუნეთა მიჯნა შეიძლება მივიჩნიოთ. ამ თარიღის სასარგებლოდ უნდა შეტყულებდეს ბეგარა-სამსახურის არქაული სახე („...ბეგრობისათვის ღამესა ნუ გაავლებინებ, სიარული არა შეეძლოს, აიკიდე ზურგსა, მათსა სამზღვარსა შიგან გაიყვანე...“), რომლის მსგავსი გვიანდელ საბუთებში არ გვხვდება.

ზემოთქმული რომ შევაჯამოთ, ასეთ სურათს მივიღებთ: ხელნაწერი საბუთის Ad-I-ის ასლში გაერთიანებულია ოთხი საბუთის მეტ-ნაკლები სისრულის ფრაგმენტული ტექსტები. I ფრაგმენტი თარიღდება 1121 წლით; II-XIII ს-ის ბოლო ათეული წლებით; III-X-XI საუკუნეთა მიჯნით; IV-XIII ს-ის მიწურულთ.

¹ ი. ანთელავა, XI-XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბ., 1980, გვ. 64. ნ. ჯანაშია, „დაწერილი ფაენელისა მღვიმისადმი“ (არქეოლოგიური შენიშვნები), მრავალთავი XV, თბ., 1989, გვ. 166-171.

² ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ვ. უქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 121-128.

³ იქვე, გვ. 16-17.

⁴ თ. ჟორდანიას, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვახტანგის ქვაბთა, ტფ., 1896, გვ. 1; ქართული სამართლის ძეგლები, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 1.

⁵ ქართული სამართლის ძეგლები. II, გვ. 589.

⁶ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი.. გვ.19.

⁷ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შიკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ყორღანის მიერ, I, ტფ., 1892, გვ. 87.

⁸ ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 14.

⁹ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი... გვ. 17-19.

¹⁰ იქვე, გვ. 18.

¹¹ იქვე.

¹² დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაჭიძემ, დ. ნინუამ, თბ., 1975, გვ. 143.

¹³ ბერძნული სამართალი-ვახტანგ VI-ის წიგნთა კრებულიდან. ტექსტი გამოსცა, გამოკვლეა, ლექსიკონი და ტერმინთა საძიებელი დაურთო თ. ბრეგვაძემ, თბ., 1964, №299, 300.

¹⁴ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი... №30, 31, 33.

¹⁵ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973, გვ. 524-528.

¹⁶ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.9., თბ., 1985, გვ. 609, 680. ნ. შოშიაშვილის სტატიები: „სურამელები“, „ტბელები“; ტ.10, თბ., 1986, გვ. 207, ნ. შოშიაშვილის სტატია „ფაენელები“.

¹⁷ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, გვ. 68.

¹⁸ ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ფუხჩი შვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 276.

¹⁹ ე. შეტრეველი. ათონის ქართველთა მონასტრის საალაპე წიგნი, თბ., 1998, გვ. 137.

²⁰ Минорский В. Ф., История Ширвана и Дербенда X-XI вв., 1963, გვ. 83

²¹ ნ. ბერძენი შვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1973, გვ. 21, 24.

²² გ. ჭაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო, თბ., 1995, გვ. 39.

²³ თ. ყორღანია, დასახ. ნაშრომი., გვ. 1-2.

²⁴ ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ფუხჩი შვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 350.

²⁵ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი... გვ. 18.

²⁶ იქვე, გვ. 127-128.

²⁷ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 9. გვ. 609. „სურამელები“, „ტბელები“.

სწრაბისტია

ანა ბაბრამიძე

ქართული ბეჭდების ლეგენდების შინაარსი და ბეჭდების ხმარების წესი

ქართული საბუთების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ბეჭედი. ბეჭედს, როგორც სიმტიკის და სინამდვილის ნიშანს, საბუთს უსვამს ის პირი, რომელიც გარკვეულ მიმართებაშია საბუთში აღნიშნულ ფაქტთან: საბუთს ბეჭედს უსვამს საბუთის გამცემი, მიმღები, მოწმე და დამამტიკებელი პირი. ამ პირებს შორის გვხვდება სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები - მეფეები, მთავრები, სასულიერო პირები, მოხელეები, ვაჭარ-ხელოსნები. ეს ბეჭდები განსხვავდებიან ერთიმეორისაგან ფორმით, დამწერლობით, ლეგენდების განლაგებით, ლეგენდების შინაარსით და მათი ხმარების წესით.

წარმოდგენილ წერილში ჩვენ შევხებით ორ უკანასკნელ საკითხს - ბეჭდის ლეგენდების შინაარსს და ბეჭდების ხმარების წესს. შინაარსის თვალსაზრისით ქართული ბეჭდები შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ბეჭდები, რომელთა ლეგენდები შეიცავენ მხოლოდ ბეჭდის მფლობელის სახელს, მაგ., „გიორგი“, „როსტომ“, „შაჰნავაზ“, „გივი“ და სხვ. ხშირად ამ ლეგენდების დამწერლობა ხელრთვის სახით არის წარმოდგენილი, როგორც მაგ., „როსტომ“, „რუსუდან“.

მეორე ჯგუფში შედის ის საბეჭდავები, რომელთა ლეგენდებში ბეჭდის მფლობელი მოხსენებულია სახელით, ტიტულით და თანამდებობით ან სახელით, გვარით და თანამდებობით. მაგ., „მეფე ბაქარ“, „ბატონი შვილი ერეკლე“, „ამილახორი გივი“, „მდივანბეგი იოანე“, „ხერხეულიძე მოლარეთუხუცესი გიორგი“, „მონა ღთისა ბებური შვილი ე შიკალასბაში აიღემურ“ და სხვ.

ამ ჯგუფში გამოირჩევა ის ლეგენდები, რომლებშიც ბეჭდის მფლობელები იხსენიებიან როგორც ღვთის მონა. ეს ეხება როგორც სამეფო, ასევე სამოხელეო და ფეოდალთა საბეჭდავების ლეგენდებს. მაგ., აღმოსავლეთ საქართველოში აღექსანდრე კახთა მეფის ბეჭედი „მონა ღთისა ვაჰნაძე დავით“, „მონა ღთისა მდივანბეგი თეიმურაზ“ (ციციშვილი), „მონა ღთისა ბიძინა“ (ჩოლოყაშვილი); დასავლეთ

საქართველოში - ბაგრატ IV-ის და გიორგი VI-ის ბეჭდები „მონა ლთისა მეფე ბაგრატ“ „მონა ლთისა“ „მეფე გიორგი“ და სხვ.

მესამე ჯგუფს შეადგენენ ბეჭდები, რომლებსაც ვრცელი ლეგენდები აქვთ. მაგ. ერეკლე მეფის ბეჭედი „მე ფეხთ განბანილთა მიერ ეკლესია ვაღიდე, „ერეკლე“, თეიმურაზ II-ის ბეჭედზე - „უფლისა მიერ მეფედ ცხებული, თეიმურაზის დამტკიცებული“, და „დავითის ტომად მკვიდრ ტახტზე მკდომად მყო საქართველოს ღმერთმან ცხებულად, მეფე თეიმურაზ“, გიორგი XII-ის საბეჭდავზე - „მეფე სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა გიორგი“, ბეჭედი ერისთავის ბეჭდის ლეგენდა.- „მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო, ძე ერისთავისა მსაჯულად მაგო“. „ბეჭანი“.

ლეგენდები ზოგჯერ ლექსად გამოთქმულია და ისინი უმეტესად XVIII საუკუნის მეორე ნახევრისაა. მაგ., დარეჯან დედოფლის ბეჭედზე იკითხება „ვინ არს მიზეზი არსთა მკობისა მან მცა წიალი დედუფლობისა, დარეჯან“, კახეთის მეფის ალექსანდრეს ბეჭედი - „ძირმოდგმით დავითიანი, ალექსანდრე ვარ სვიანი“; „ვისას მონებასა ვეტრფე და ვეგი, ეშიკალასბაშ მყო მდივანბეგი თეიმურაზ“; „სახლთუხუცესად მყო მეფემან, მტერთა მძლე მალალ სეფემან დავით“ (ორბელიანი); „სპასპეთ მცა მეფემ დასამატონი, ვბეჭდ სახლთუცობით მუხრანბატონი იოანე“ და სხვ.

სფრაგისტიკული მასალა იძლევა საყურადღებო ცნობებს ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შესახებ. მასში მკაფიოდ არის ასახული ფეოდალური ურთიერთობების ის ფორმები, რომელიც არსებობდა ქართველ მეფეებს და უცხო ქვეყნების მმართველებს, მეფესა და მთავრებს და მეფესა და ფეოდალებს შორის, რაც დამახასიათებელი იყო საქართველოს პოლიტიკური დაშლილობისა და სათავადოთა სისტემის არსებობისათვის. მაგ., „ყენის ფეხთა მტუერი, როსტომ მეფე ვამტკიცებ“; „მონა ლთისა, ყმა ხონთქრისა, მეფე სოლომონ“; „მიჭირავს სვანი და ზღვანი შავნი ოდიშ-ლეჩხუმ მპყრობი ვარ ოტია“ (დადიანი); ამ შემთხვევაში მეფის იგნორირებაა. „ღვთის მონებით, მეფის ყობით, ენისელთ მოურავი დავით“; „მონა ლთისა, ყმა მეფისა, თამაზ მოურავი კახეთისა“; „ვმონებ მეფესა, ნაზირი დავით“.

არის ბეჭდები, რომელთა ლეგენდებში ჩანს სოციალური ელემენტი - ვასალური დამოკიდებულება. მაგ., „მონა ბაქარისა ბეჭენ“ (აბაზაძე); „მონა ლთისა, ყმა ვახტანგისა, გოსტაშაბიშვილი ბეჭანი“;

„მონა ვარ ღთისა, ყმა ხემწიფისა, ვახტანგ ამილახორისა“; არის შემთხვევები, როდესაც ლეგენდებიდან ჩანს ბექდის მფლობელის ჩამომავლობა. მაგ., დემეტრე ორბელიანის ბექდის ლეგენდაში კვითხულობთ „მონა ღთისა, სარდლის მამუკას შვილი დემეტრე“; ვახტანგ ამილახორის ბექედზე „გივი ამილახორის ძე ვახტანგ“; „ვახტანგის ძე ერისთავი ივანე“. ზოგჯერ ბექდის მფლობელის ჩამომავლობა და სოციალური ელემენტი გაერთიანებულია ერთ ლეგენდაში. მაგ., „მონა ღთისა, ყმა ვახტანგისა, ძე აბაშისა, ზურაბ; „მონა ღთისა, ყმა მეფისა, იესეს ძე ორბელისა, ფარსადან“ (ორბელიანი).

შინაარსის მხრივ ფეოდალთა ბექდების ლეგენდები შედარებით ლარიბია. ამ ლეგენდებში ძირითადად მოხსენებულია ბექდის მფლობელის სახელი, იშვიათად – გვარი. აღმოსავლეთ საქართველოს 688 ბექდიდან მხოლოდ 90-მდე ლეგენდაშია აღნიშნული გვარი, დანარჩენ შემთხვევაში წარმოდგენილი გვარები კატალოგში აღდგენილია ჩვენს მიერ საბუთების ტექსტებისა და სხვა დამატებითი მასალის საფუძველზე.² ვრცელი ლეგენდები თითქმის არ გვხვდება, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ნიმუშს. ასეთებია თეიმურაზ მაჩაბლის, ჯავად ხანის, შანშე ერისთავის ბექდები („მონა ღთისა, მპყრობელი ოსეთისა, მაჩაბელი თეიმურაზ“, „მონა ღთისა, მპყრობელი ქსნისა, შანშე ვარ“, „ზიადთ ჯავად მტერთა მსვრელი, დოსტ პირობის არ მტეხელი“). ამიტომ, ასეთი შინაარსის ლეგენდების მიხედვით, შეუძლებელია პოლიტიკური ვითარების გარკვევა, როგორც ეს სამეფო და სამონღოლო ბექდების ლეგენდებიდან არის შესაძლებელი.

ცალკე უნდა გამოიყოს ბექდები ზმიანი ლეგენდებით, ე.ი. ისეთი ლეგენდები, რომელთა სიტყვების დაბოლოება და დასაწყისი იძლევა ბექდის მფლობელის სახელს და ზოგჯერ თანამდებობას და გვარს. ზმიანი ლეგენდები ქართულ სფრაგისტიკაში არცთუ ისე ბევრია. ამ ხასიათის ლეგენდები ძირითადად გვხვდება XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ყველა სახის საბექდავებში. მაგ., ერეკლე II-ის ბექედი „მე ფეხთ განზანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე“, „ღვთისმშობელმან წიალით მფარნა ვაზკევითლთა რტოდ მეც შემიწყარნა - ფარნაოზ ბატონიშვილის ბექედზე;“ იესე ოსეს შვილის ბექედებზე კვითხულობთ: „ყამი ესე წარელის“, „მსაჭულმან სწორი ესე ოსესძე“; გივი ამილახორის ბექედებზე - „წუთისოფლის დანგი

ვიყავ“, „დედოფლის ამაგი ვიყავ“; ველისციხის მოურავის სვიმონის ბექედის ლეგენდა - „მეფის ორგულთ სისხლი შეესვი მონამა“ და სხვ.

საბუთებზე იშვიათ შემთხვევაში დასმულია ისეთი პირების ბექედები, რომელთა ნებართვით ან ბრძანებით შესრულდა საბუთში აღნიშნული იურიდიული აქტი: XVIII საუკუნის ნასყიდობის ერთ წიგნში აღნიშნულია, რომ მძოვრეთს მიწის ნასყიდობა მოხდა ბატონ დავითის და პაატას ბრძანებით. საბუთზე დასმულია ერთი ბექედი ლეგენდით „მონა ღვთისა... პაატა“³.

ეხება რა საბექდავების მნიშვნელობას, ს. ბარნაველი აღნიშნავს: „საბექდავების დიდ როლს მოწმობს ის გარემოება, რომ რამდენიმე საბექდავი ჰქონდა მეფეებს (მაგალითად, ერეკლე მეორეს, ბატონი შვილებს), დიდი თანამდებობის პირებს და სხვა წარჩინებულებს სხვადასხვა საბუთებისათვის“⁴. საილუსტრაციოდ მას მოჰყავს ცნობა იესე ბარათაშვილის ბექედების შესახებ. იესე ოსეს ძე თვითონ მოგვითხრობს თავისი საბექდავების სხვადასხვა დანიშნულებაზე პრაქტიკულ საქმიანობაში. „ამ ეამსა ჩემს ბექედზედ ეწერა: „ეამი ესეცა წარვლის“. ეს ბექედი დიად მოსწონდათ. მეორე ბექედზედ ეწერა: „მსაჯულმან სწორი ესე ყოს ეს ძეს“. ამას ჩემგან მოწონებულს განაჩენზედ დავსვემდი. მდივნობის ბექედზედ ასე ეწერა: „სოფლის შემსქვალულს სოფელმაც მდივა, ნიჭი ესე მცა, განმევლტო მძლივა“⁵.

იესე ოსეს ძის ბექედებზე ცნობა დაცული აქვს აგრეთვე პ. იოსელიანს. „იესეს ოსეს შვილი, გვართ ბარათაშვილი მსაჯულობით ხმობილი, მისსა ბექედზედ ესრეთ ეწერა: „ეამი ესეცა წარვლის“. აქვდა მას სხვა ბექედი წარწერითა: „პირი ესეცა მტკიცე არს“. მტერთა დააბრალეს მეფესთან, რომე იესე მსაჯულს ორი ბექედი აქვს და ასვამს ზოგსა ქალაღზედა ერთსა და ზოგზედ მეორესაო. მეფემან მიიხმო და მოსთხოვა პასუხი: „დიად ბატონო მეფევ, თქვენს განჩინებაზედ, ვითარცა მტკიცეზედ და სამართლიერზედ ვზღებ სიმტკიცის ბექედსა და სხვათა წერილთა ადვილად დასარღვევლთა მეორესა. ორთავე ბექედთა ზედა წარწერიდამ სჩანს მისისა სახელი იესე“⁶.

დოკუმენტებიდან ჩანს, რომ თითოეულ პირს რამდენიმე ბექედი გააჩნდა. ცნობილია ერეკლე მეფის შვიდი ბექედი,⁷ დარეჯან დედოფლის ორი, თეიმურაზ მეორის რვა, გიორგი ერეკლეს ძის რვა, იესე ბარათაშვილის ხუთი, თეიმურაზ ციცი შვილის სამი, სოლომონ მეფის ექვსი, ამხარბეგ მელიქ-მამასახლისის ხუთი და სხვა.

ბექდების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ერთი და იმავე პირის სხვადასხვა საბექდავი იხმარებოდა არა მარტო სხვადასხვა დანიშნულების, ხასიათის საბუთებზე, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ამ პირთა მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდში და ხშირად ეს ფაქტი თვით ლეგენდის შინაარსიდანვე ჩანს. მაგალითად, ბექდები ლეგენდებით „ბატონიშვილი ერეკლე“, „ბატონიშვილი გიორგი“, „მონა ღთისა ბატონიშვილი თეიმურაზ“, როგორც ლეგენდებიდან ჩანს, იხმარებოდა მხოლოდ მათი ბატონიშვილობის პერიოდში. ადრეული ხანის საბექდავების სხვადასხვა ხასიათის საბუთებზე ხმარების საკითხის გარკვევა ძნელდება, ვინაიდან ბექდების რაოდენობა ამ პერიოდში, XVIII საუკუნის ბექდებთან შედარებით, მცირეა. საბუთებს ზუსტი თარიღი ყოველთვის არ აქვთ (მაგ., ნაზარალიხანის ბექდები ლეგენდით „ყენის ფეხთა მტუერი, მეფე ნაზარალიხან ვამტყციებ“ გვხვდება სამეგრეო და სამივეჯერ უთარილო და ისიც სხვადასხვა შინაარსის დოკუმენტებზე).

ხშირად ბექდს სცვლის ხელრთვა, რომელიც მის პარალელურად იხმარება, ზოგჯერ მხოლოდ ხელრთვაა. მაგალითად, გიორგი XI-ის ბექდები არცერთ საბუთში არ გვხვდება, მისი მხოლოდ ხელრთვაა და ბატონიშვილობის ბექდებია ცნობილი. გიორგის, როგორც მეფის, ბექდები მხოლოდ ერთხელ ჩანს, - ჩამუშოვია ორთავიანი არწივის ნახატი გამოსახულებაში. როსტომ მეფის ერთი და იმავე შინაარსის დოკუმენტებზე ერთსა და იმავე წლებში ორი საბექდავი გვხვდება. სამეფო ბექდებიდან ყველაზე დიდი რაოდენობით ვხვდებით თეიმურაზ II-ის, ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის ბექდებს.

როგორც აღვნიშნეთ, დღემდე ცნობილია თეიმურაზ II-ის რვა ბექდები. აქედან ერთი მისი ბატონიშვილობის პერიოდში იხმარებოდა, რაც თვით ლეგენდის შინაარსიდან ჩანს - „მონა ღთისა ბატონიშვილი თეიმურაზ“. ეს ბექდები გვხვდება 1691-1710 წწ. თეიმურაზის ძმის კახეთის მეფის იმამყული-ხანის მიერ გაცემულ საბუთებში 1711-1720 წწ. ჩანს თეიმურაზის მეორე ბექდები, ოთხკუთხა ფორმის მხედრული ლეგენდით: „მე მონა ღთისა, ძე დავითისა, ტახტს გამგედ მჯდომი ვარ კახეთისა, თეიმურაზ“. ეს ბექდებიც გვხვდება იმამყული-ხანის მიერ გაცემულ დოკუმენტებში, სადაც ის ერთ-ერთი გამცემია. როგორც ცნობილია, თეიმურაზი დღემდე მიღებული ქრონოლოგიით, კახეთის გამგედ იწოდება 1709-1715 წწ.⁶ თეიმურაზის ამ ბექდის ხმარების საფუძველზე, მისი

კახეთის გამგედ ყოფნის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი უნდა შეიცვალოს. სათიქრებელია, რომ ეს ბეჭედი, თუმცა ამის პირდაპირი საბუთი არ გავაჩნია, იხმარებოდა 1722 წლამდე, იმამყული-ხანის გარდაცვალებამდე და კახეთში მისი ძმის კონსტანტინეს გამეფებამდე. ამის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ 1722 წლის შემდეგ კახეთის სამეფო საბუთებში თეიმურაზის ეს ბეჭედი საერთოდ აღარ ჩანს და მის მაგიერ ჩნდება სხვა ლეგენდიანი საბეჭდავები. 1722-1739 წწ. ხმარებაშია ოთხკუთხა ბეჭედი მხედრული ზვეული ლეგენდით „თეიმურაზ“, რომელიც ჩანს კონსტანტინეს მიერ გაცემულ დოკუმენტებზე 1722-1728 წწ. კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ კი ეს ბეჭედი ვხვდება 1733 წლიდან თეიმურაზის მიერ გაცემულ საბუთებში როგორც ოფიციალური სამეფო ბეჭედი. აღსანიშნავია, რომ ამ მნიშვნელობით მისი ხმარება 1737 წლამდეა დადასტურებული.

1740-1743 წწ. იხმარებოდა ოთხკუთხა დიდი ზომის ბეჭედი, შუაში და გარშემო მხედრული ლეგენდით: „ქ. ღმერთო სასჯელი შენი მეფესა მიეც და სიმართლე შენი ძესა მეფისასა განშჯად ერისა შენისა სიმართლით, თეიმურაზ“. მესამე ბეჭედის ლეგენდა შემდგენიარად იკითხება: „მე ქრისტეს მონა,“ ქუეყნად შაჰანშასი, მეფედ ცხებულის საქართველოსი, 1744, თეიმურაზ“. ეს ბეჭედი, როგორც მისი ლეგენდიდან ჩანს, გაცემებულია 1744 წ. იმ დროს, როდესაც ნადირ-შაჰმა თეიმურაზი ქართლის მეფედ დანიშნა და ქართველ მეფეს უფლება მისცა ქართული გვირგვინის კურთხევისა. ეს ბეჭედი ქართლის სამეფოს ოფიციალურ ბეჭედს წარმოადგენდა. მისი ხმარების პერიოდი მეტად შემოფარგლულია. მას ჩვენ ორიოდე წლის განმავლობაში ვხვდებით, სახელდობრ, 1746 წლამდე. როგორც ლეგენდის შინაარსიდან ჩანს, თეიმურაზი თავის თავს უწოდებს „ქრისტეს მონას“ საერთოდ, ხოლო ქვეყნად შაჰანშას მონას. „მე ქრისტეს მონა, ქუეყნად შაჰანშასი...“ ეს მდგომარეობა 1747 წლამდე გრძელდება. 1747 წ., ირანის სახელმწიფოში მომხდარი აჯანყების შედეგად, ნადირშაჰი მოკლეს, თეიმურაზი განთავისუფლდა ე.წ. „შაჰანშას“ მონობიდან და ეს ბეჭედიც გამოვიდა ხმარებიდან.

ქართლში თეიმურაზ II-ის მეფობის ხანაში ცნობილია ორი ბეჭედი, რომლებიც ერთდროულად იხმარება. ფორმით ორივე ოთხკუთხაა, ზომით სხვადასხვა. დიდი ზომის ბეჭედი, რომლის ლეგენდაა „ქ. დავითის ტომად, მკვიდრ ტახტზე მჯდომად, მყო საქართვე-

ლოს ღმერთმან ცხებულად. მეფე თეიმურაზ“, გვხვდება 1746-1754 წწ. მეორე ბექდის ლეგენდა სამსტრიქონიანია: „უფლისა მიერ მეფედ ცხებულნი, თეიმურაზის დამტკიცებულნი“. ეს საბექდავი ჩანს 1749-1760 წწ.¹⁰ (რამდენიმეჯერ საბუთებში გვხვდება ამ ბექდის სახე-სხვაობა იმავე ფორმის და შინაარსის, მხოლოდ ოთხსტრიქონიანი მხედრული ლეგენდით. ეს ნიმუში ჩანს მხოლოდ 1749 წ.).

თეიმურაზის აღნიშნული ორი ბექედი სხვადასხვა შინაარსის საბუთებისთვის იხმარებოდა. დიდი ბექდით, ვრცელი ლეგენდით იბექდებოდა თეიმურაზის მიერ გაცემული წყალობის, შეწირულების წიგნები, ე.ი. უფრო მნიშვნელოვანი დოკუმენტები. რაც შეეხება მეორე საბექდავს, ის უმთავრესად დასმული იყო წერილებზე, ოქმებსა და ბრძანებებზე.

საბუთებში შემორჩენილია ერეკლე მეორის შვიდი ბექედი. ამ ბექედებიდან ორი მისი ბატონიშვილობის პერიოდში იხმარებოდა. ერთი მათგანი, ორსტრიქონიანი ასომთავრული ლეგენდით „ბატონიშვილი ერეკლე“ ჩანს 1736-1737 წწ. ხოლო მეორე - ოთხკუთხა, გარშემო და შუაში მხედრული ლეგენდით: „სული შენი მომბერე კლებულს, ერეკლე“ - 1739-1744 წწ. დანარჩენი ბექედები იხმარებოდა ერეკლეს მეფობის პერიოდის მთელ მანძილზე. ამ საბექდავებიდან ერთდროულად გვხვდება ერეკლეს სამი ბექედი. ორი რვაკუთხა ფორმის: 1745-1797 წწ. გარშემო და შუაში მხედრული ლეგენდით „ქნარს მიცემს, დავით მიხმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე“; ხოლო 1750-1797 წწ. გარშემო მხედრული, შუაში ასომთავრული ლეგენდით „მე ფეხთ განბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე“. მესამე ბექედი ოთხკუთხა ფორმისაა, მხედრული ხვეული ლეგენდით „ერეკლე“, იხმარებოდა 1738-1740 და თეიმურაზ II-ის გარდაცვალების შემდეგ, 1769-1798 წწ. როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ერეკლეს პირველი ბექედი უმეტესწილად იხმარებოდა ერეკლეს მიერ გაცემულ ბრძანებებზე, ოქმებზე.“ ე. ი. უფრო მნიშვნელოვან დოკუმენტებზე დასმული იყო ერეკლეს მეორე ბექედი „მე ფეხთ განბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე“. ასეთი საბუთები იყო წყალობის, შეწირულების, სითარხნის, დავის გადაწყვეტილების წიგნები. ხშირად ამ ბექდით ერეკლე აახლებდა ან ამტკიცებდა ამავე შინაარსის საბუთებს.¹² მესამე ბექედი ხვეული, მხედრული ლეგენდით, ისევე როგორც ერეკლეს ბექედი ლეგენდით „ქნარს მიცემს, დავით მიხმობს ძედ

კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე“, გვხვდება წილის ბარათებზე და, აგრეთვე, ოქმებზე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის ჩანს ერეკლეს ბატონიშვილობის პერიოდში და უფრო გვიან თეიმურაზ მეფის გარდაცვალების შემდეგ. ერეკლე მეფის მეექვსე ბექედი დოკუმენტებში მხოლოდ ორჯერ ჩანს. ეს არის ერეკლეს ხუთენოვანი ბექედი, რომელზეც ერეკლეს სახელი შესრულებულია ქართულ, სპარსულ, სომხურ, ლათინურ და ბერძნულ ენებზე. პირველი საბუთი, რომელიც დამტკიცებულია ამ საბექედავით, წარმოადგენს ერეკლე მეფის მიერ სინას მონასტრისათვის მიცემულ შეწირულების წიგნს და ამ ბექედის მრავალენოვანი წარწერა შეიძლება აიხსნებოდეს აღნიშნული საბუთის საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ გასვლით, მისი საერთაშორისო ხასიათით. მეორე საბუთი, რომელსაც ეს ბექედი უზის, არის თეკლა ბატონიშვილისათვის მიწერილი სახუმარო ბარათი, რომელიც ხსენებულ ბექედთან ერთად ერეკლეს კიდევ ოთხი სხვა ბექედით არის დაბეჭდილი.

ბექედების ხმარების საკითხში არის გამონაკლისებიც.

1746 წ. საბუთში გვხვდება ერეკლე მეფის მეშვიდე ბექედი, ოვალური ფორმის, შუაში გამოსახულებით და გვირგვინით, გარშემო მხედრული ლეგენდით: „ქე ცხებულისა უფლისა მეფის თეიმურაზისა, მეფე ერეკლე“. ამ ბექედის მხოლოდ ორი ნიმუში გვაქვს და ორივე შინაარსის მხრივ შეწირულების საბუთებს წარმოადგენს: ერთი ბოდბის წმ. ნინოს ეკლესიისადმი, ხოლო მეორე ნეკრესის ღმრთისმშობლის ეკლესიისადმი მიცემულს. ორივე ეს დოკუმენტი 1746 წლით თარიღდება. შესაძლებელია, ეს ბექედი საეკლესიო დანიშნულების იყო.

თავიანთ მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდში და სხვადასხვა შინაარსით იხმარებოდა აგრეთვე გიორგი XII-ის, დარეჯან ღედოფლის, სოლომონ მეფის და სხვადასხვა მოხელეთა საბექედავები. სიმციკრის გამო ძნელდება ფეოდალთა ბექედების გამოყენების ინტენსივობის დადგენა სხვადასხვა შინაარსის საბუთებისათვის. ცვლილებები ბექედების ლეგენდებში სხვადასხვა დანიშნულების დოკუმენტებისათვის დაკავშირებული იყო საქართველოში არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებასთან.

ის ფაქტი, რომ ერთი და იმავე პირის სხვადასხვა ბექედი სხვადასხვა შემთხვევისათვის იხმარებოდა, დასტურდება აღმოსავლეთისა და ახლო აღმოსავლეთის სფრაგისტიკიდანაც. ამის შესახებ ცნობები დაცული აქვთ პ. ლიხაჩოვს და რაბინო დი ბორგომალეს.

„ბიზანტიელებს, ისევე როგორც თანამედროვე აღმოსავლეთშია, ერთდროულად რამდენიმე ბეჭედი ჰქონდათ - აღმოსავლეთში, ჩვეულებისამებრ, სამი. ოფიციალურ ბეჭედზე აღნიშნული იყო სახელი და ტიტული, მცირე კი, რომელიც კერძო წერილებისთვის იყო გამოყენებული, როდესაც ზოგჯერ არასასურველიც კი იყო, რომ ბულაზე წარწერის მიხედვით გამჟღავნებულიყო, თუ ვისგან იყო წერილი, არცთუ იშვიათად შეიცავდა მხოლოდ გამოთქმას - უსახელოდ. ბეჭდის მფლობელს, ბეჭდის მიხედვით, ამოიცნობდა მხოლოდ ის, ვინც მიიღებდა კორესპონდენციას.“¹⁵

„აღმოსავლეთში წერილები და საბუთები დაბეჭდილი იყო და არა ხელმოწერილი. წარჩინებულ პირებს ჰქონდათ რამდენიმე საბეჭდავი, ამათგან ერთი ოფიციალური, დიდი ზომისა, ოთხკუთხა ან ოვალური ფორმის სახელით და ტიტულის აღმნიშვნელი. ხმარობდნენ სხვასაც, უფრო პატარას, საქმიანი ქალაქებისათვის, ხელშეკრულებებისა, კონტრაქტებისათვის და სხვა. უფრო პატარა ბეჭედი, რომელზეც იყო მხოლოდ მფლობელის სახელი, განკუთვნილი იყო წერილების დასაბეჭდად მეგობრებსა და ახლობლებთან. საფუძვრებელია, რომ მათ ჰქონდათ სხვა საბეჭდავებიც სპეციალური მიზნებისათვის.“¹⁶ ამ მხრივ ქართულ სფრაგისტიკაში ყურადღებას იქცევს თეიმურაზ I -ის ბეჭდები, რომლებიც იხმარებოდა ქართველი მეფეების მიერ უცხოელ მმართველებთან გაგზავნილი კორესპონდენციებისათვის.“¹⁷

¹ ბეჭდების ლეგენდები დაბეჭდილია ჩვენს მიერ გამოცემულ კატალოგში “მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის,” ნაწ. I, თბ., 1978.

² ბეჭდების ლეგენდები გამოცემულია “მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის” მეორე ნაწილში, თბ., 1988.

³ საბუთის შინაარსი და იქ მოხსენებული ტოპონიმები ზოგჯერ იძლევა საშუალებას, დაახლოებით დადგინდეს საბუთზე დასმული ბეჭდების მფლობელთა სადაურობა. დოკუმენტში ნათქვამია, რომ მიწის ნასყიდობა მოხდა მძოვრეთოს. ამ სახელით საქართველოში ცნობილია ორი პუნქტი - ჭვემო ქართლში ქციის ხეობაში და საციციანოში. ბატონი დავითი და პაატა ერთ-ერთი ამ მხარის მფლობელები უნდა იყვნენ (ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 1689).

⁴ ს. ბარნაველი, საქართველოს საბეჭდავები და სხვა გლიპტიკური მასალები, თბ. 1965 გვ. 79.

⁵ პლ. იოსელიანი, იესე ოსეს ძე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი. თბ., 1950, გვ. 115.

⁶ ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, პ. იოსელიანის გამოცემა, თბ. 1936, გვ. 255.

⁷ 1798 წლის ერეკლე II-ის ბოხიაში ნანახი ნივთების სიაში აღნიშნულია, რომ "ამაში იყო... ცხრა საბეჭდავი ბეჭედი" (მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. III, თბ., 1955, გვ. 282-283, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით).

კ. ტაბატაძეს გამოქვეყნებული აქვს ერეკლე II-ის ორი სპარსული ბეჭდის ლეგენდა. ბეჭდები დასმულია ერეკლე II-ის მიერ გაცემულ საბუთებზე (კ. ტაბატაძე, ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის რამდენიმე სპარსული საბუთი. ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. VI, თბ., 1985, გვ. 12-146).

როგორც ჩანს, ბოხიაში ნანახი ცხრა ბეჭდიდან შეიძლება ქართული იყო, ორი - სპარსული

⁸ ქსე სტატია „ბაგრატიონები“.

⁹ ლეგენდა ამოღებულია დავითნიდან 71/1.

¹⁰ ორივე ეს ბეჭედი უნდა იხმარებოდეს თეიმურაზის მეფობის ბოლომდე.

¹¹ ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd // 229, 234, 238, 240, 325, 536, 540, 544, 547, 851, 6350, 6427 და სხვ.

¹² ხელნაწერთა ინსტიტუტი Hd // 156, 172, 866, 881, 1053, 2224, 2229, 4765, 4948, 10404 და სხვ.

¹³ ხელნაწერთა ინსტიტუტი Hd 13168 სცსა (საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1448, №№ 162, 1317).

¹⁴ ბეჭედი გამოქვეყნებული აქვს ნ. თარხნიშვილს (მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველო. სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი, № 13-14, გვ. 2-17). ამ ბეჭდის ლეგენდა დაბეჭდილია აგრეთვე ჩვენ მიერ "მასალების ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის" პირველ ნაწილში, 1978. № 56.

¹⁵ Лихачев Н.П. Материалы для истории византийской и русской сфрагистики. Труды Музея палеографии, вып. I, Л., 1928, გვ. 16

¹⁶ H.L. Rabino di Borgomale, Sigillographic iranienne moderne. Journal asiatique, t. 229, fascicule № 2, Paris, 1951, გვ. 194.

¹⁷ ა. ბაქრაძე, თეიმურაზ I-ის ბეჭდები, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის სერია, 1986, გვ. 69-72.

კულტურის ისტორია

ქართული სასულიერო კერები უცხოეთში

დაიწიან კლდიაზვილი

სინას სულთა მათიანა

ზანასკერტელ-ციციზვილთა საქობიტორო
მოდგაწომობა წმინდა მიწასა და სინასა

დამოუკიდებელ წიგნებად გაფორმებული სულთა მოსახსენებლები, ე.წ. *სულთა მათიანეები* ანუ *სინოდოკონები*, ისევე როგორც სახარებისა და სვინაქსარის აშვიებზე წმინდანთა ხსენების კალენდარული რიგის მიხედვით მიწერილი აღაპ-მოსახსენებლები, ერთი შეხედვით, ფორმის ტრაფარეტულობითა და შინაარსის შეზღუდულობით გამოირჩევა. მიუხედავად ამისა, ამ სახის მასალა პირუთვნელ და სანდოობის თვალსაზრისით, უტყუარ ისტორიულ წყაროს წარმოადგენს. სულთა მოსახსენებლები არა მარტო უხვ მასალას იძლევა და ხშირ შემთხვევაში ერთადერთი წყაროა საგვარეულოთა გენეალოგიების აღსადგენად, თანადროული საზოგადოების სულიერი და ეკონომიკური ცხოვრების გასათვალისწინებლად, არამედ ზოგჯერ საშუალებას იძლევა ჩავწვდეთ ეპოქის მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. ეს მით უფრო შეიძლებოდა თქმულიყო XV-XVI საუკუნეების იმ საბედისწერო და მღელვარე პერიოდზე, როცა საქართველო მუსლიმანურ გარემოში აღმოჩნდა, ბაგრატიონთა სამეფო სახლში განხეთქილება ოფიციალურად იქნა აღიარებული და სახელმწიფო რამდენიმე სამეფო-სამთავროდ დაიშალა. ამ პერიოდის წერილობითი წყაროებით, უპირველეს ყოვლისა კი ერთ დროს ისტორიული კლარჯეთის ეკლესიამონასტრების კუთვნილი ხელნაწერების ანდრჰ-მინაწერებისა და სულთა მათიანეების მონაცემებით, უთანხმოება ჩანს სამცხე-საათაბაგოს მთავართა, ჯაყელთა სახლშიც; ხელისუფლების მოსურნე ყვარყვარე II დიდის (1416-1492) მრავალრიცხოვანი მემკვიდრე-

ბის ნაწილი სამეფო ხელისუფლების მხარდამჭერია და შავშეთ-კლარჯეთშია გამაგრებული. ჯაყელთა სეპარატისტული მისწრაფებებით გამოწვეულ ხანგრძლივ კონფლიქტს ცენტრალურ და საეკლესიო ხელისუფლებასთან ერთვის უთანხმოება ადგილობრივ წარჩინებულთა საგვარეულოებთან, რომელთა ნაწილიც ამის გამო ქართლში გადადის. ამ პერიოდის სულთა მათიანეებზე მუშაობისას თვალში საცემია კიდევ ერთი გარემოება: საქართველოს სამხრეთი, ინტელექტუალური და მატერიალური თვალსაზრისით, ქრისტიანული აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქართულ სასულიერო-კულტურულ ცენტრებს ყოველთვის გამორჩეულად ასაზრდოებდა; და მაინც, XV საუკუნე და XVI საუკუნის პირველი ნახევარი განსაკუთრებით მკაფიოდაა აღბეჭდილი ჭვეყნის სამხრეთში მცხოვრები წარჩინებული გვარების წარმომადგენელთა სულიერი ლტოლვით საზღვარგარეთ არსებული ქართული სავანეებისადმი, მათ მიერ წმინდა მიწაზე ფართოდ გაშლილი საქტიტორო-სააღმშენებლო საქმიანობითა თუ, იქ არსებული ქართული ცენტრების შენარჩუნების მიზნით, უხვ შეწირულობათა გაგზავნით. ამის დამდასტურებელია ათონისა და ჯვრის მონასტრების ალაპებსა და სინას სულთა მათიანეში შეტანილი ის მრავალრიცხოვანი ალაპ-მოსახსენებლები და ანდერძ-შინაწერები, რომლებიც იქაური ქართული ხელნაწერების კოლექციებს შემოუწინავენ.¹

ამგვარად შევეხები მხოლოდ სინას სულთა მათიანეში შესულ ფანასკერტელ-ციციშვილთა მოსახსენებლებსა და ამ საგვარეულოს წარმომადგენელთა საქტიტორო საქმიანობას იერუსალიმსა და სინას მთაზე.

ტიმოთე გაბაშვილის "შიმოსლვის" იმ თავში, სადაც ჩამოთვლილია იერუსალიმის ქართული მონასტრები და ეკვდრები, დასახელებულია წმ. ეკატერინეს დედათა მონასტერიც, რომელიც, ავტორის ცნობით, ამილდამბარ ფანასკერტელ-ციციშვილსა და მაჩაბლებს აუშენებიათ: „ქ. მონასტერი დედათი წმ. ეკატერინესი - ფანასკერტელისა-ციციშვილისა ამილდამბარისა და მაჩაბელთ, მოკუნება მუნ <არს>“. XVIII საუკუნის შუახანებში, ტიმოთეს იე-

რუსალიმში ყოფნის დროს, ეს მონასტერი ჯერ კიდევ ქართველებს ეკუთვნოდა და მასში ქართველი მოწესე ქალები ცხოვრობდნენ: „ქ. ესე მონასტერი დედათა ქართველთათვის არს, რამეთუ არს იღუმენისა ქართველი, ხარიტინი სახელად, ასული ანჩაფი შვილისა. ორნი მონაზონი კახნი არიან, სხვა რუისელი, იმერელი და გურული“.² XIX საუკუნის გასულს ალ. ცაგარელი წმ. ეკატერინეს დედათა მონასტრის მდებარეობას უფლის საფლავის მახლობლად, ელ-ხადადინის შესახვევში ასახელებდა. იმდროისათვის მასში 30-50 მონაზონი იმყოფებოდა და ჩვეულებრივ რუს პილიგრიმ ქალთა გასაჩერებელ ადგილად ითვლებოდა.³ ელ. მეტრეველის დაკვირვებით, ცნობა ამილლამბარ ფანასკერტელ-ციციშვილისა და მაჩაბელთა მიერ იერუსალიმში მონასტრის აშენების შესახებ „სანდოა, ვინაიდან იგი მას მონასტრის მოსახსენებლიდან ამოუკითხავს. ძნელი სათქმელია, თუ (ჯვრის მონასტრის აღაპების – დკ.) რომელი ამილლამბარი უნდა იყოს ამ მონასტრის ქტიტორი – XIV საუკუნის პირველი ნახევრისა თუ XV საუკუნის დამდეგისა. ყოველ შემთხვევაში ამ ორი თარიღის ფარგლებში უნდა ვივარაუდოთ მონასტრის აშენება“.⁴ ამდენად, წმ. ეკატერინეს მონასტრის აშენების თარიღი XIV საუკუნის პირველ ნახევარსა და XV საუკუნის დამდეგს შორის ივარაუდება.

ფანასკერტელ-ციციშვილთა ქველმოქმედება და საქტიტორო მოღვაწეობა წმინდა მიწაზე ადრეულ ხანაშივე იღებს სათავეს. ჯერ კიდევ XIII საუკუნის 50-იან წლებში გრიგოლ ფანასკერტელის მიერ გაგზავნილი უხვი შეწირულებით ჯვრის მონასტრის კრებულს აქაიას მამული შეუძენია, ხოლო ნაწილი იერუსალიმში მყოფ ქართველებს, იერუსალიმის პატრიარქსა და იქაურ მონასტრებს გაუნაწილებიათ (აღაპი №№123, 123ა, 135, 182).⁵ XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე თაყა ფანასკერტელსა და მის თანამეცხედრეს, დემეტრე II თავდადებულის ასულს, რუსუდანს ასევე დიდძალი თეთრი გაუგზავნიათ მონასტრისათვის (აღაპი №65).⁶ დაახლოებით იმავე პერიოდში, XIV საუკუნის პირველ ნახევარში ჯვრის მონასტერში ამილლამბარ ფანასკერტელისათვის დაუდვიათ აღაპი

(№105).⁷ იერუსალიმის საეპისკოპოსოს ფანასკერტელებს მსგავსი ყურადღება არც შემდგომ პერიოდში მოუკლიათ. XV საუკუნის პირველ ოცეულში, აწყურის ყოფილი ეპისკოპოსის პიმენის ჯვრის მამობის დროს,⁸ ამილამბარ ფანასკერტელის ცოლყოფილს, რიფსიმეს მონასტრისათვის ამილამბარის სულის სამლოცველოდ და მათი ძის, ზაქარიას სადღეგრძელოდ ორი მაშრაბა შეუწირავს; ამას გარდა, ამილამბარის მამის ზაქარია ფანასკერტელისა და მისი დის, მარიხისათვის დაუწესებია საუკუნო ალაპი (№136), ხოლო სახარებასა ზედა დალოცვა თავისთვის და ქმარ-შვილისათვის (ალაპი №138);⁹ ალაპებში ჩართული დაწერილის ფრაგმენტიდან ირკვევა, რომ ალაპების დადებისას რიფსიმე თავად იმყოფებოდა იერუსალიმში. სინას სულთა მატთანის მოსახსენებელთა ძირითადი ტექსტიდან მოგვიანო ხანის შემავსებელთა ფენების გამოყოფის შედეგად გაირკვა, რომ იმავე ხანებში ამილამბარ ფანასკერტელისა და რიფსიმეს მოსახსენებელი შეუტანიათ სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის მოსახსენებლებშიც. აქ ამილამბარისა და რიფსიმეს მოსახსენებლის მსგავსი ხელით, მსხვილი კალმით ნაწერი უშნო, უწიგნური ნუსხურით მოსახსენებლებს შორის დატოვებულ თავისუფალ არეებზე სხვა ჩანაწერებიცაა შესრულებული (195r, 196v, 197r, 198r, 199r-v, 203v, 204r).¹⁰ ეს ფენა პიმენ მაწყვერელის, შემდგომში ჯვრის მონასტრის მამის, საოჯახო მოსახსენებლის (196v) საფუძველზე, მისი იერუსალიმში ჩასვლის პირველი ხანებით, XV საუკუნის დასაწყისით თარიღდება. ამ ფენის შეტანა მატთანეში ძირითადი ტექსტის თითქმის თანადროულად უნდა მომხდარიყო, რამდენადაც პიმენ მაწყვერელი იმავე 196 verso-ს თავდაპირველ მოსახსენებლებშიც იხსენიება. ამ თარიღის დაზუსტება კიდევ უფრო შეიძლება. მოსახსენებელთა ამავე ფენაში შედის მეღქიზედგ ბედიელის მოსახსენებელი (195r). მეღქიზედგის ალაპი კი ასევე შეტანილია ჯვრის მონასტრის ალაპთა ტიშენდორფისეულ ნუსხაში, სადაც ზედგინისძეთა და ალექსანდრე I დიდის საოჯახო ალაპებთან ერთად ჩანს შესული.¹¹ საალაპე ჩანაწერების ეს ფენა, ალექსანდრე I-ის (1412-1442), მისი ბების,

რუსასა და თანამეცხედრის, თამარის მიხედვით, 1415-1442 წლებს შორის ჩანს შესრულებული.¹² დაახლოებით ამავე ხანებით, უფრო ზუსტად კი XV საუკუნის პირველი ნახევრის მეორე მეოთხედით, უნდა თარიღდებოდეს სინას სულთა მატიანის მოსახსენებელთა ის ფენაც, სადაც ამილღამბარ ფანასკერტელის მოსახსენებელია შეტანილი.

როგორც გაირკვა, XV საუკუნის პირველ ნახევარში ამილღამბარ ფანასკერტელისა და მისი ოჯახის წევრებისათვის აღაპ-მოსახსენებლები დაუწყესებით როგორც იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, ისე სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის წმ. გიორგის ქართველთა ეკლესიაში. ყოველივე ზემოთქმული იძლევა ვარაუდის საფუძველს, რათა ამილღამბარ ფანასკერტელი და მამბლები იერუსალიმში წმ. ეკატერინეს მონასტრის აღმშენებლებად მივიჩნიოთ. ჯვრის მონასტერში ამილღამბარისა და მისი ოჯახის წევრებისათვის აღაპების დამდები მისი ცოლყოფილი რიფსიმეა, რომელიც, გამორიცხული არ არის, იერუსალიმის ერთ-ერთ მონასტერში იყო მონაზვნად აღკვეცილი. რამდენადაც იერუსალიმსა და მის შემოგარენში იმ დროისათვის რამდენიმე დედათა მონასტერი არსებობდა, ბუნებრივი ჩანს, ასეთად სწორედ ფანასკერტელთა მიერ დაარსებული წმ. ეკატერინეს მონასტერი მივიჩნიოთ. საერთოდ, XV საუკუნიდან აშკარად შეიმჩნევა როგორც იერუსალიმელ და სინელ ქართველ მოღვაწეთა გააქტიურება, ისე საქართველოდან წმინდა ადგილებში ჩასულ მომლოცველთა მომრავლება, დახმარების მიზნით იქ მნიშვნელოვანი შეწირულობების ჩატანა, ძველი ეკლესია-მონასტრების განახლება და ახალი პატარა საქტიტორო მონასტრების მშენებლობა.

წმინდა მიწის ქრისტიანულ თემებს შორის ქართველთა პრივილეგირებულ მდგომარეობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა იმჟამინდელი პოლიტიკური სიტუაცია. XIV საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე XVI საუკუნის ჩათვლით იერუსალიმისა და პალესტინის ქართული სამონასტრო თემის სტატუსსა და მდგომარეობას განაპირობებდა საქართველოს ურთიერთობა ეგვიპტის

მამლუქთა სახელმწიფოსთან, რომლის შემადგენლობაშიც სირია-პალესტინაც შედიოდა. ეგვიპტის მამლუქთა, განსაკუთრებით კი ჩრდილო კავკასიური, ჩერქეზული წარმომავლობის (ბურჯელი) დინასტიის (1382-1516) სულთანთა მფარველობა და ზრუნვა წმინდა მიწის ქართული თემისა და საქართველოდან იქ ჩასული პილიგრიმების მიმართ კარგად ჩანს იმ პრივილეგიებითა და იმუნიტეტით, რომლითაც ქართველები იმ დროისათვის სარგებლობდნენ და რაც ევროპული წყაროებითა და ბოლო ხანებში იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოში გამოვლენილი არაბული დოკუმენტების საშუალებით გახდა ცნობილი.¹³

ამ დოკუმენტების მიხედვით, წმინდა მიწაზე ქართველთა ეკლესია-მონასტრებისა და სამონასტრო ქონების ზრდა სწორედ XV საუკუნეს უკავშირდება. იმ ფაქტორებს შორის, რომელიც განსაზღვრავდა მამლუქ სულთანთა კეთილგანწყობას ქართველ მართლმადიდებელთა მიმართ, უთუოდ ანგარიშგასაწევი ჩანს მათი დაინტერესება საქართველოს მეფე-მთავრებთან მშვიდობიანი ურთიერთობით, რათა კავკასიურ ტყვეთა ბაზრიდან შევსება მიეღოთ. ამავე დროს, ისინი, როგორც მუსლიმთა წმინდა ადგილების - მექასა და მედინას მფლობელნი, დაინტერესებულნი ჩანდნენ ქრისტიანულ საქართველოში მცხოვრებ მაჰმადიანთა ბედითა და მდგომარეობით. ნიშანდობლივია, რომ მამლუქთა მიერ ქართველ მეფე-მთავრებისათვის წაყენებული პირობების უმნიშვნელო დარღვევაც კი უშუალო ზეგავლენას ახდენდა წმინდა მიწის ქართული თემის მდგომარეობაზე.¹⁴ ამას გარდა, XV საუკუნის მეორე ნახევარში, ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდგომ, ურთიერთობა ოსმალეთსა და მამლუქებს შორის გამწვავდა; ასეთ ვითარებაში მამლუქები დევნიტ დაემუქრნენ იერუსალიმის ბერძენ ბერებს როგორც ბიზანტიის ახალი მფლობელების მომხრეებს. ქართველებმა, როგორც ჩანს, სხვადასხვა დიპლომატიური საშუალებებით მოხერხებულად გამოიყენეს შექმნილი სიტუაცია, რის შედეგადაც იერუსალიმში მათი მფარველობისა და მფლობელობის ქვეშ გადავიდა ბერძენთა და სომეხთა კუთვნილი სამლოცველოე-

ბისა და მონასტრების ნაწილი.¹⁵ ეს მდგომარეობა გაგრძელდა 1516 წლამდე, ოსმალების მიერ მამლუქების დამარცხებისა და სირია-პალესტინის დაპყრობამდე. ამის შემდგომ ვითარება მკვეთრად შეიცვალა და ქართველთა მდგომარეობა წმინდა მიწაზე მნიშვნელოვნად გაუარესდა.

შესაძლებელი ჩანს კიდევ ერთი თვალსაზრისის დაშვება: თუ გავითვალისწინებთ იერუსალიმისა და სინას მთის ქართველ მოღვაწეთა საუკუნეთა მანძილზე ტრადიციულად არსებულ მჭიდრო ურთიერთობებს, იმ გარემოებას, რომ სწორედ XV საუკუნის პირველ მეოთხედში შეიქმნა საჭიროება სინას წმ. ეკატერინეს მონასტერში ქართველ მოღვაწეთა მიერ შედგენილიყო ე.წ. სულთა მართიანე, რომელმაც შედარებით სრულად შემოგვინახა ჯვრის მონასტრის წინამძღვართა და იქ მოღვაწე პირთა სახელები;¹⁶ აგრეთვე იმას, რომ ამავე პერიოდშივე მთელ ქრისტიანულ სამყაროსა და მათ შორის საქართველოშიც ხდება სინას მთიდან წმ. ეკატერინეს კულტის ფართოდ გავრცელება,¹⁷ მაშინ არ უნდა გამოირიცხოს იმის შესაძლებლობა, რომ წმ. ეკატერინეს მონასტერი იერუსალიმში სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის მეტოქედ იქნა თავის დროზე დაარსებული.

იერუსალიმის წმ. ეკატერინეს მონასტრის აშენების თარიღის XV საუკუნის პირველი ნახევრით განსაზღვრას რამდენადმე აფერხებს ტიმოთეს მიერ მისი მაშენებელი საგვარეულოების ფანასკერტელ-ციციშვილთა და მაჩაბელთა გვარსახელით დასახელება და მათი ერთობლივი ქტიტორობით იერუსალიმში მონასტრის აშენება. ტიმოთეს ცნობის ეს ორი მომენტი ანგარიშგასაწევი ჩანს, რამდენადაც ფანასკერტელები ციციშვილებად იწოდებიან მხოლოდ XV საუკუნის დამლევებიდან, იმ დროიდან, როდესაც ჭაყვლთა ექსპანსიით შევიწროვებულებმა თანდათანობით დათმეს მამულები ტაო-კლარჯეთში და ქართლში გადავიდნენ.¹⁸ იგივე შეიძლება ითქვას მაჩაბლებზეც, რომლებიც ამ გვარსახელით წერილობით წყაროებში მხოლოდ XV საუკუნის დამლევებიდან იწოდებიან.¹⁹ ასევე მოსალოდნელი იყო, რომ მათ, როგორც მონასტრის აღმშენ-

ნებლების, შესახებ ცნობა დაცული იქნებოდა ჯერის მონასტრის ალაპებსა და სინას სულთა მატიანეში, მაგრამ ამ გვარსახელის მქონე პირები მათში არ გვხვდებიან. ყოველივე ეს საფიქრებელს ხდის, რომ ტიმოთე წმ. ეკატერინეს მონასტრის ქტიტორების დასახელებისას მათი საგვარეულო სახელების უფრო გვიანდელ, თანადროულ ფორმებს იყენებს, მაგრამ მან, ამავე დროს, რასაკვირველია, კარგად იცის ამ საგვარეულოთა ადრინდელი სახელები.

რაც შეეხება მაჩაბლებს, ისინი XV საუკუნის დასაწყისში ისტორიულ შიდა ქართლში, ლიახვის ზემო წელში სახლობენ და იქ ცალკე სათავადოს აყალიბებენ, რომელიც გვიანფეოდალური ხანიდან სამაჩაბლოს სახელით არის ცნობილი. თავად საგვარეულო იმ დროისათვის ჯერ კიდევ სხვა გვარსახელის მატარებელია. XIV-XV სს. პირველი ნახევრის ეპიგრაფიკული და დოკუმენტური წყაროების თანახმად, მაჩაბლების თავდაპირველი საგვარეულო სახელი თავხელიძე უნდა ყოფილიყო.²⁰ მართლაც, გოლგოთისა და ჯერის მონასტრების სვინაქსართა სააღაპე ჩანაწერებს შემოუნახავთ ცნობები ძმების – მოლარეთუხუცეს ხელასა და მესტუმრე გოგნიას შესახებ, რომელთა გვარიც, ისტორიული წყაროების მონაცემებით, თავხელიძეა. გოლგოთის სვინაქსარში შეტანილი ერთ-ერთი აღაპის თანახმად, აღდგომელი მახარებელის თხოვნით, მოლარეთუხუცეს ხელას საქართველოდან ქრისტეს საფლავისათვის საზეთედ ასი ფლური გაუგზავნია. ეს თანხა, მართალია, „ჭუარელთ“ დაუქერიათ, მაგრამ სამაგიეროდ უკისრიათ ქრისტეს საფლავისათვის ყოველწლიურად თორმეტი ლიტრა ზეთის მიცემა და ხელას სახელზე ერთი დაუვსებელი კანდელის ანთება.²¹ იგივე ვალდებულება ასახულია ჯერის სვინაქსარის ალაპებში (№124). გარდა ამისა, ჯერის მონასტრის წინაშე გაწეული დამსახურებისათვის ჯერის მონასტრის კრებულს ხელასათვის დაუწესებია საუკუნო აღაპი (№69), ხოლო აღაპი (№200) და შესანდობარი (№68) – ხელას ძმის, გოგნიასა და მისი მეუღლის კეკლუცასათვის.²² ეს ალაპები, ისევე როგორც ამილამბარ ფანასკერტელის ცოლყოფილის, რიფსიმეს მიერ გაჩენილი ფანასკერტელთა საოჯა-

ხო აღაპები, ჯვრის კრებულს განუწყესებია პიმენ მაწყყერელის ჯვრის მამობის დროს, XV საუკუნის პირველ ნახევარში. გოლგოთასა და ჯვრის მონასტერში თავხელიძეებისათვის დადებული აღაპ-მოსახსენებლებით, ხელას, რომელიც ალექსანდრე I დიდის მოლარეთუხუცესი ყოფილა, საკმაოდ ინტენსიური და ახლო ურთიერთობა ჰქონია იერუსალიმის ქართულ საეპარქიაში მოღვაწე ქართველებთან. სულთან ჯაკმაკის 1440 წლით დათარიღებულ წერილში ალექსანდრე I-სადმი აღნიშნულია ქართველი მეფის მიერ სულთნის კარზე მოციქულების ხელით წერილის გაგზავნის თაობაზე. ალექსანდრე I-ის იმავე წარგზავნილებს ევალებოდათ საქართველოში ჯაკმაკის საპასუხო წერილის ჩამოტანა. ჯაკმაკის საგანგებო მითითებით, სულთნის კარზე მყოფ ქართველ ელჩებს პატივით უნდა მოპყრობოდნენ.²³ წერილის შინაარსიდან გამომდინარე, ალექსანდრე I-ის ძირითადი მიზანი სულთან ჯაკმაკისაგან ქართველებისა და მათი ბერებისათვის მფარველობის მიღება იყო. თავად ჯაკმაკის განცხადებით, „რაც შეეხება ქრისტიანებს, ქართველებს, მათ კარგად ექცევიან და ისინი ცხოვრობენ უშიშრად, როგორც ეს შეეფერება ჩვენს კეთილშობილურ სამართალს. ამავე დროს, ისინი [სარგებლობენ] ჩვენს მიერ მათთვის [ნაბოძები] ჩვეულებრივი ჭილდოებით და აგრეთვე ამუშავებენ მიწებს, რომლებიც [ჩვენს მიერ] ებოძათ მათ გოლგოთის ეკლესიასთან.“²⁴

ვინ უნდა ყოფილიყვნენ ქართველი მეფის ის წარგზავნილები, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ როგორც საქართველოს სამეფო კარის, ისე წმინდა მიწის ქართული კოლონიის ურთიერთობის მოგვარება მაშლუქთა სულთნის კართან. ამ დროისათვის ერთერთ მათგანად შეიძლება მივიჩნიოთ ხელა თავხელიძე, რომელსაც ალექსანდრე I-ის კარზე მოლარეთუხუცესის სახელო ეკავა.

წერილობით წყაროებში შემონახული ცნობები XIV-XV საუკუნეების თავხელიძეთა მოღვაწეობის ხასიათის შესახებ საფუძველს უნდა იძლეოდეს, რათა ცნობა თავხელიძე-შაჩაბელთა მიერ წმ. ეკატერინეს მონასტრის დაარსების შესახებ იერუსალიმში სანდოდ მივიჩნიოთ.

მიუხედავად ძნელბედობისა, იმავე ხანებში ახლად აღზევებული მაჩაბლები აღმშენებლობას ეწევიან საქართველოშიც. შიდა ქართლში, ცხინვალის მახლობლად მდებარე თირის მონასტერში XIV-XV საუკუნეების ბოლო მეოთხედში ხელასა და გოგნიას მამაბიძანი - სიოაში, რატი, ასათი, ხელა და მაჩაბელი აგებენ სამრეკლოს, ხოლო XV საუკუნის 20-იან წლებში თავად მოლარეთუხუცესი ხელა ტაძრის მთავარ შესასვლელს ბორტის (იგივე პორტიიტისას) ღვთისმშობლის სახელზე უშენებს კარიბჭესა და ეკვდერს.²⁵

1432 წლის შეწირულების წიგნით, მოლარეთუხუცეს ხელა თავხელიძეს სხვა ყმა-მამულთან ერთად, თირის მონასტრისათვის შეუწირავს ყმა მელვრეკისში,²⁶ რაც იძლევა ვარაუდის საფუძველს ვიფიქროთ, რომ თავხელიძე-მაჩაბლები იმ დროისათვის უკვე ფლობდნენ ამ სოფელში ყმა-მამულს. ეს ცნობა იმდენადაა ჩვენთვის ფასეული, რამდენადაც მოგვიანო ხანის დოკუმენტით, გორის ახლოს, ლიახვის ხეობაში მდებარე სოფელ მელვრეკისში სინას წმ. ეკატერინეს მონასტერი ფლობდა მამულებს. 1665 წელს სინას მთავარეპისკოპოს ანანიას შაჰნავაზისაგან დაუბრუნებია სინას მონასტრის კუთვნილი და სხვათა მიერ დაკავებული მამულები მელვრეკისში.²⁷ თუ რა დროიდან იყო შეწირული მამული სინას მონასტრისათვის ლიახვის ხეობის ამ სოფელში, ცნობილი არ არის. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, ყოველივე ზემოთქმული საშუალებას იძლევა გამოითქვას რამდენადმე თამამი ვარაუდი, რომ სინას მონასტერს მამულები მელვრეკისში მაჩაბელთაგან ჰქონდათ შეწირული. გამორიცხული არ არის, რომ ეს მამულები თავდაპირველად ხელა თავხელიძისა და მისი ოჯახის წევრებმა შეწირეს იერუსალიმის წმ. ეკატერინეს მონასტერს, რომელიც, შესაძლოა, მათი ქტიტორობით სინას მონასტრის მეტოქეადაც კი იყო დაარსებული.²⁸ სავარაუდოა, რომ სწორედ იერუსალიმის ამ მონასტრიდან იგზავნებოდა სინაზე საქართველოდან ჩასული შეწირულობები.

XV საუკუნის პირველ მეოთხედში, ჯვრის მონასტერში პიმენ მაწყვერელის მამობის დროს დადებული აღაპ-მოსახსენებლების მიხედვით, თვალნათლივ იკვეთება კეთილმოყვრობით დაკავშირებულ მეფე-წარჩინებულთა ის წრე, რომელთაც განსაკუთრებული

ღვაწლი მიუძღვით იერუსალიმის ქართული საეპისკოპოსოს წინამძღ. მათ შორის ყოფილან: ალექსანდრე I დიდი (1412-1442), ამილამბარ ფანასკერტელი (XV საუკუნის პირველი ნახ.), მოლარეთუხუცესი ხელა თავხელიძე (XV საუკუნის პირველი ნახ.), ივანე ჯაყელი (1391-1444). იმდროინდელი წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, რომ ზემოჩამოთვლილ პირებიდან ხელა თავხელიძე ყველასთან კეთილმოყვრობით უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. 1432 წლის თირის მონასტრის შეწირულების წიგნის თანახმად, ხელას მეორე თანამეცხედრე გულქანი ყოფილა ალექსანდრე I-ის ბიძაშვილი და ათაბაგის ასული.²⁹ გულქანის და ათაბაგის მამაშვილობის გარკვევისას ყურადღებას იპყრობს ჯვრის მონასტერში დადებული აღაპი ვინმე ივანეს შვილი გულქანისათვის, რომლისთვისაც ჯვრის მონასტრის კრებულს გეთსიმანიაში საუკუნო კანდელი დაუწესებია (№294).³⁰ ელ. მეტრეველის მიერ ეს აღაპი XV საუკუნის პირველი ნახევრით არის დათარიღებული.³¹ რაც შეეხება მასში მოხსენიებულ ივანეს ასულ გულქანს, ვფიქრობ, იგი იმავე ხელა თავხელიძის თანამეცხედრე უნდა იყოს, რომელიც ივანე ათაბაგის ასული და ალექსანდრე მეფის ბიძაშვილი ყოფილა. დაახლოებით იმავე ხანებში ალექსანდრე I-ის ძეს, ვახტანგს (შემდგომში ქართლის მეფე ვახტანგ IV (1443-1446) ცოლად შეურთავს თავა ფანასკერტელის და სითიხათუნის.³² თავა ისტორიულ წყაროებში ტაოს ერისთავად და "დიდ ფანასკერტელად" იწოდება;³³ იგი ალექსანდრე I-ის თანამედროვე და მისი მონაპირე ერისთავი იყო. მას იმავდროულად, როგორც ვარაუდობენ, ქართლში ატენზედაც მიუწვდებოდა ხელი; რამდენადაც თავას მეორე და – გულსურაბი გამრეკელ ჯავახიშვილის თანამეცხედრე ყოფილა, მას ჯავახიშვილების ხელშეწყობით ატენის მოურავის სახელოც ეკავა.³⁴ თავა ფანასკერტელის ძმად უნდა მივიჩნიოთ ჯვრის მონასტრის აღაპებსა და სინას სულთა მატთანეში მოხსენიებული ამილამბარი, რომელიც თავხელიძე-მაჩაბლებთან ერთად იერუსალიმში წმ. ეკატერინეს მონასტრის მაშენებლად გვევლინება.

ამდენად, შეიკრა ფანასკერტელ-ციციშვილთა და თავხელიძე-მაჩაბელთა ის ნათესაური წრე, რომლის აღდგენაც ჯვრის მონასტრის აღაპებისა და სინას სულთა მატთანის საშუალებით გახდა შე-

საძლებელი. ამან ერთგვარი ახსნა მოუძებნა ამ ორი საგვარეულო სახლის ერთობლივი კტიტორობით XV საუკუნის პირველი მეოთხედის მიწურულს იერუსალიმში წმ. ეკატერინეს მონასტრის აშენების ფაქტს.

სამართლმადიდებლოს დაშლისა და მუსლიმანური გარემოცვის პირობებში არ უნდა გამოირიცხოს იმის შესაძლებლობა, რომ იერუსალიმში წმ. ეკატერინეს მონასტერი სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის მეტოქად იქნა განწესებული, რომლის ერთ-ერთი დანიშნულება შეიძლება ყოფილიყო როგორც იერუსალიმსა და სინაზე მოღვაწე ქართველებს შორის, ისე საქართველოდან წმინდა მიწაზე ჩასული მომლოცველების სინასთან კავშირის ხელშეწყობა, შეწირულობათა გადაგზავნა და იქ შემორჩენილ მცირერიცხოვან ქართველთათვის მხარდაჭერა.

* * *

სინას სულთა მატთანეში ციციშვილებს უკავშირდება აგრეთვე წიგნიერი, რამდენადმე მეჩხერი ნუსხურით შესრულებული მოსახსენებლების პატარა ჯგუფი, რომელიც პირობითად „მროველს“ შეიძლება მიეკუთვნოს. მატთანის შესავალი ნაწილის დასასრულს 193 recto-ზე ტექსტისაგან განსხვავებული წვრილი ნუსხურით მიწერილია „მროველს“, ხოლო ამავე გვერდის verso-ზე ალასტანელ მეფეთა მოსახსენებლებს შორის დატოვებულ თავისუფალ ადგილას შეტანილია ციციშვილი მროველი შიოსა და მისი ძმის, ვანტანგის მოსახსენებლები; ამავე ხელით მატთანეში შესულია: მსისთანდარ ყოფილი მარიაამისა (194r) და მთავარდიაკვანი შიო — ყოფილი შილას (195r) ხსენებები, ხოლო 195recto-ზე — ციციშვილთა სახლის ვრცელი მოსახსენებელი ფარსადან და ამილამბარ ციციშვილებისა და მათი რძლის, მამქან — ყოფილი მარინეს მოხსენიებით.⁵⁵

ციციშვილებს უკავშირდება და იგივე პირები იხსენიებიან ქრონოლოგიურად თანადროულსა და პალეოგრაფიულად მსგავსი ნუსხურით ნაწერ მოსახსენებელში, რომელიც სინ-77 ხელნაწერის ძირითადი ტექსტის ანდერძის შემდგომ, მატთანის წინა, თავისუფალ 192 recto-ზეა შეტანილი. იგი, ამავე გვერდზე ერთ-ერთი

გვიანი შემავსებლის, მარკოზ მარკოზისძის მხედრულ მინაწერებზე აღრე ჩანს შესული მათიანეში, გამორიცხული არ არის შილას მიერ, რომელიც მროველისეულ მინაწერებში მთავარდიაკონად იწოდება. ამ ჯგუფში ციციშვილთა სახლიდან იხსენიებიან ფარსადან ციციშვილი, მისი თანამეცხედრე როდამი და [რძალი] — მამქან ყოფილი მარინე (192r).³⁶

ციციშვილთა მოსახსენებლების ამ ჯგუფის დასათარიღებლად გარკვეული დახმარების გაწევა შეუძლია XIV-XV საუკუნეების იერუსალიმური ხელნაწერის იერ. 13-ის მინაწერებს. ერთ-ერთ მოსახსენებელში, რომელიც იერუსალიმში ჯვრის მამად მივლინებულ ბენა ჩოლოყაშვილს ეკუთვნის, ჩართულია ციციშვილ მროველი ყოფილი შიოს მოსახსენებელიც: *“პატრონსა მეფეთ-მეფესა გ(იორგი)ს, ძესა მეფისა აღეჟსანდრესსა, ცოდვანი მისნი შეუნდნეს იესო ქრისტემან ღ(მერთმ)ან, ა(მ)ინ. მისგა(!) ჯუარის მამად მოვლინებულსა ჩოლაყას შვილსა ს(ა)ხლისუბუცესა ბენასა და მშობელთა მისთა შეუნდნეს ღ(მერთმ)ან, ა(მ)ინ. ცოდვილსა ციციშვილსა მროველ ყოფილსა შიოს შეუნდნეს ღმერთმა. [ბენას ცოდვანი მისნი შე(უ)დნეს ღ(მერთმ)ან, ა(მ)ენ, ა(მ)ენ, ა(მ)ენ]. ვინცა ბრძანოთ, თქუენცა შეგინდნეს. აჟა, მე და სომეხნი დავისარჩლენით იაკობ წმინდისა საყდარ ზედა, და დიდი ჭირი და სარჯელი გარდამხნდა ცოდვილსა ბენასა ძმანო. ნებითა ღ(მრ)თისათა აჟა ფრანგთა გოლგოთა დავაგდებინე და მათი ყუელა გარეთ გამოუყარე, კანდელი და რაცა მათი იყო, მე ცოდვილმა ბენენ(!), ამინ”*³⁷

ამავე ხელნაწერში ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი მინაწერი, საიდანაც ვიგებთ, რომ იერუსალიმში ჩასულა ვინმე საბა სვიმონიშვილი ბატონ მერაბ ციციშვილის საქონლით და ფათეარაკებით აღსავსე მოგზაურობის შემდეგ ჯვრის მონასტერში მიულწევია: *“...ჯვარო პატიოსანო, შეიწყალე ცოდვილი აჟა იე[ლ]უსრემს(!) მოსრული სვიმონიშვილი საბა ...ციციშვილ მერაბს შე(უ)დნეს ღ(მერთმ)ან მისნი ც(ო)დვ(ა)ნი ... დამიჭირ(ე)ს უსჯულოთა ქ(რ)ისტეს მტერთა თათართა, მრავ(ა)ლ ხანსა სატყვეოს შემავდეს, საქონელი მეაბ <ა>ლა ბატონის ჩემისა მერაბისი, ისი ვერ*

მიპოვებს. ჩემთვის ს(ა)ჩარჩო იყო მოცემული ორ <ა>მოცი ფლური, რ<ა>ვთა მე წამართვეს".³⁸

იერუსალიმის ქართული ხელნაწერების ანდერძ-მინაწერების თანახმად, გიორგი II კახთა მეფის (1511-1513) სახლთუხუცესი ბენა ჩოლოყაშვილი იერუსალიმში უნდა ჩასულიყო და ჯვრის მამა გამხდარიყო 1511-1513 წლებს შორის, ალბათ, იმ ტრაგედიის შემდგომ, რომელიც მამის მკვლელმა გიორგიმ კახეთის სამეფო ტახტზე დაატრიალა.³⁹ ამდენად, შიო ციციშვილის მოღვაწეობის პერიოდში XV საუკუნის დამლევითა და XVI საუკუნის დამდევით შეიძლება განისაზღვროს. დაახლოებით იმავე ხანებში, XVI საუკუნის 10-იანი წლების დამლევს საბა სვიმონიშვილს იერუსალიმში ჩაუტანია მერაბ ციციშვილის შეწირულება. მისი მონათხრობით, იგი "თათართ" ტყვედ ჩაუგდიათ და მხოლოდ საკმაო ხნის შემდგომ მოუხერხებია იერუსალიმამდე მიღწევა. როგორც ცნობილია, თურქებმა იერუსალიმი აიღეს 1516 წელს და ამდენად, მოგზაურობა ქრისტიანულ აღმოსავლეთში ძალზე ყოფილა გაძნელებული.⁴⁰

შიო ციციშვილის იერუსალიმში პილიგრიმობის თაობაზე ცნობა შემოუნახავს კიდევ ერთ იერუსალიმური ხელნაწერის (იერ. 67) მინაწერს, რომელიც შიო მროველის სააღაპე ჩანაწერს წარმოადგენს: "ლაზ(ა)რობ(ა)სა დღ(ე)სა აღაპი ციციისშვილისი-სი > მროველისი შიოსი გ(ა)რდინდებოდეს, რ(ა)კდენიცა მღვდელი იყოს წირვასა ნუ დააკლებთ. თქ(ვე)ნის ღ(მთ)ისა მადლითა <მადლითა>, გ(ე)ტედრ(ე)ბი ნუ დამ(ა)კლ(ე)ბთ."⁴¹

აღაპი დადებულია დიდ საუფლო დღესასწაულს – ლაზარობა დღეს და თავად შიოს ხელით ჩანს ჩაწერილი ხელნაწერში. იერუსალიმური ხელნაწერების მინაწერები და სინას სულთა მატეანეში შესული მროველისეული მოსახსენებლები საფიქრებელს ხდის, რომ შიოს ხელეწიფებოდა როგორც აღაპის ჩაწერა, ისე მოსახსენებლის შეტანა მატეანეში; ამდენად, იგი ჩვეულებრივ პილიგრიმად კი არ გვევლინება, არამედ იერუსალიმსა და სინაზე მოღვაწე სასულიერო პირად. არც ის არის გამორიცხებული, რომ შიო იყო ბენა ჩოლოყაშვილის ერთ-ერთი უშუალო თანამდგომი XVI საუ-

კუნის 10-იანი წლების დასაწყისისათვის წმ. იაკობის ეკლესიიდან სომხების, ხოლო გოლგოთიდან და უფლის საფლავის ეკლესიიდან ფრანცისკანელების განდევნისას. ამ მოსაზრების სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს მროველ ყოფილი შიო ციციშვილის მოსახსენებლის ჩართვა იერუსალიმური ხელნაწერის ბევენასეულ მინაწერში. რამდენადაც შიო ალაპ-მოსახსენებლებში „მროველ ყოფილად“ იწოდება, ცხადია, იგი რუისის ყოფილ ეპისკოპოსად უნდა მივიჩნიოთ.

XV საუკუნის მეორე ნახევარში მიმდინარე იმ ხანგრძლივსა და გაუთავებელ შინაომებში, რომელიც, ერთი მხრივ, ათაბაგთა სახლსა და სამეფო ხელისუფლებას, ხოლო, მეორე მხრივ, ჯაყელთა მომხრე და მოწინააღმდეგე დიდ ფეოდალურ დაჯგუფებებს შორის მიმდინარეობდა, ფანასკერტელ-ციციშვილებს, როგორც სახელმწიფო სამხრეთი საზღვრის მონაპირე ერისთავებსა და მეფის მოხელეებს, ცენტრალური ხელისუფლების მხარი ეჭირათ. ეს ბრძოლა საბოლოოდ, როგორც ცნობილია, სამეფო ხელისუფლებისაგან განდგომილი ძალების გამარჯვებითა და სამცხე-საათაბაგოს გამოყოფით დასრულდა, ხოლო ჯაყელთა მოწინააღმდეგე ზოგიერთი ფეოდალური სახლის წაარმომადგენელი, მათ შორის ფანასკერტელთა ერთი შტო ქართლში დამკვიდრდა. ფანასკერტელებმა ქართლში მამულების შექმნა ჯერ კიდევ XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყეს, ხოლო 1460-იან წლებში ჯაყელებისაგან შევიწროვებული ზაზა ფანასკერტელი ქართლში გადავიდა. იგი ისტორიულ დოკუმენტებში „დიდ ფანასკერტელად“ იწოდება⁴² და ფანასკერტელ-ციციშვილთა ქართლში დამკვიდრებულ შტოს ფუძემდებლად არის მიჩნეული.⁴³ ზაზას მიერ კონსტანტინე II მეფის სამსახურში ჩადგომა დოკუმენტურად 1467 წლიდან არის დადასტურებული. ამ დოკუმენტში ზაზას შვილებად დასახელებული არიან ქაიხოსრო, გიორგი, სიანში (იგივე შიოში, შიო), მერაბი და ზაქარია.⁴⁴ იერუსალიმური და სინური ხელნაწერების მინაწერებსა და ალაპ-მოსახსენებლებში მოხსენიებული შიო და მერაბ ციციშვილები სწორედ ქართლში დამკვიდრებული ზაზა ფანასკერტელის

შვილებად არიან სავარაუდებელნი. სინას მატთანის მროველი-
ისეული მოსახსენებლით, ზაზას ძედ ჩანს ვახტანგიც, რომლის თა-
ნამეცხედრესაც როდამი რქმევია სახელად.⁴⁵ XV საუკუნის 60-70-
იან წლებში თავად ზაზა ფანასკერტელს გაჭირვებაში მყოფი ჯვრის
მონასტრისათვის "დიადი საქონელი" გაუგზავნია. ამ დამსახურები-
სათვის მონასტრის კრებულს მისთვის წირვა და საუკუნო აღაპი
განუწყესებია (№118).⁴⁶

რაც შეეხება სინას მატთანეში შესულ ციციშვილთა მოსახსე-
ნებლების ფარსადანს, მის თანამეცხედრეს გულდაჰს,⁴⁷ ამილღამ-
ბარს და მათს რძალს, მამქან ყოფილ მარინეს (192r, 195r),⁴⁸ ისინი
ზაზა ფანასკერტელის ძმის, ციციის შვილებად შეიძლება მივიჩ-
ნიოთ. ფანასკერტელთა ამ შტოს წარმომადგენელთა შესახებ უხ-
ვად მოიპოვება ცნობები ჯვრის მონასტრის აღაპებსა და გერგეტის
სულთა მატთანეში. მათ შესახებ ასევე საკმაო დაიწერა ამ ძეგლების
პუბლიკაციისათვის დართულ ქრ. შარაშიძისეულ და ელ. მეტრევე-
ლისეულ გამოკვლევებში. მამქან ყოფილი მარინე, ფარსადან და
ამილღამბარ ფანასკერტელების ძმის, თავას მეუღლე, იყო ასული
თაყიადინ თმოგველ-უჯარმელისა და ვახუშტი შალიკაშვილის
ასულ ნესტანჯარისა, რომელიც დედის ხაზით გიორგი VIII-სა და
ყვარყვარე II დიდს შვილიშვილად ერგებოდა.⁴⁹ ჯვრის მონასტერში
დადებული აღაპის თანახმად, მამქან ყოფილ მარინეს საფასით მომ-
ხდარა ჯვრის მონასტრის გალაენის ბურჯის აგება სამამოსაკენ, მას-
კე 60 ფლური გაუღია თავა ფანასკერტელისა და თავისი მშობლე-
ბის სულის სამლოცველოდ (№ 201).⁵⁰ ელ. მეტრეველის აზრით,
მამქან ყოფილი მარინესა და თავა, ფარსადან და ამილღამბარ ცი-
ციშვილების მოღვაწეობის პერიოდი XV საუკუნის მეორე ნა-
ბევრითა და XVI საუკუნის პირველი მეოთხედით უნდა განისაზღვ-
როს.⁵¹ საფიქრებელია, რომ თავა ფანასკერტელის გარდაცვალების
შემდგომ, დაახლოებით XVI საუკუნის 10-იან წლებში მამქანი მა-
რინეს სახელით მონაზვნად აღიკვეცა იერუსალიმის ქართველ დე-
დათა მონასტერში. ამავე ხანებში უნდა ჩაეტარებინა მას სააღმშე-
ნებლო სამუშაოები ჯვრის მონასტერში და შიო ციციშვილის ხე-

ლით გაეგზავნა შეწირულება სინას წმ. ეკატერინეს მონასტერში, სადაც ციციშვილთა საოჯახო მოსახსენებლებში მისი ხსენება ორჯერ გვხვდება. არ გამოირიცხება იმის შესაძლებლობაც, რომ მამქან ყოფილი მარინე სწორედ იერუსალიმის წმ. ეკატერინეს მონასტერში იმყოფებოდა მონაზვნად, რამდენადაც ეს მონასტერი მაზაბლებთან ერთად ფანასკერტელ-ციციშვილების აშენებული იყო.

თაყა, ფარსადან და ამილამბარ ფანასკერტელ-ციციშვილების შტო, ისევე როგორც ქართლში დამკვიდრებული ზაზას შტო, სამეფო ხელისუფლების ერთგულებით გამოირჩეოდა და მის ერთ-ერთ ძირითად მხარდამჭერ ძალას წარმოადგენდა ტაო-კლარჯეთში. ამ თვალსაზრისით, უთუოდ საინტერესო ცნობა შემოუნახავს კლარჯული სვინაქსარის (ზი, A-193) XVI საუკუნის დამდგენით დათარიღებულ მოსახსენებლებს, სადაც თაყა ფანასკერტელი მონაზვნად შემდგარი კონსტანტინე II-ის მომხრედ გვევლინება და მის ერთგულად იწოდება: *"მ(ე)ფესა კოსტ(ან)ტინე ყოფილსა კყრილეს შეუნდენ ლ(მერთმან) და მ(ა)თასა ერდგ(უ)ლსა შ(ა)ლვას და თაყასა შეუნდენ ლ(მერთმან)..."*⁵² მსგავსი მოსახსენებელი შეტანილია მიძნაძორის სვინაქსარის (ზი A-97) სულთა მატინანეშიც: *"ს(უ)ლსა მეფ(ი)ს კოსტ(ან)ტ(ი)ნ ყოფილსა კირილ(ე)ს შეუნდენ ლ(მერთმან). ციცი(ი)შვი(ი)ლს შ(ა)ლვ(ა)ს და თ(ა)ყ(ა)ს შეუნდენ ლ(მერთმან). ხოსაშვი(ი)ლს ფერს, მ(ა)თს მე(უ)ჯილ(ე)ს ლილ(ი)ფ(ა)რს, ამ(ი)ჩ(ი)ნდ(ო)ს, რ(ა)მ(ი)ნს, ჯუ(ან)შე(ე)რს შეუნდენ ლ(მერთმან)".*⁵³ ამ მოსახსენებელში ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი გარემოება, როგორც ცნობილია, კონსტანტინე II-მ შავშეთიდან ქართლში გადმოხვეწილ ზაზა ფანასკერტელს 1467 წელს უბოძა ორბოძლელისეული მამული, რომელიც იმხანად ბალათარ ხოსაშვილს ეკირა.⁵⁴ მიძნაძორის სვინაქსარის მოსახსენებლით კი ხოსაშვილები ფანასკერტელებთან ერთად ასევე კონსტანტინე II-ის მომხრეთა შორის არიან სავარაუდებელნი.

წერილობით წყაროებს უხვად შემოუნახავთ ცნობები სამცხის ათაბაგებთან არსებული იმ ქიშპისა და ბრძოლების შესახებ, რომელსაც ქართლში დამკვიდრებული თუ საათაბაგოში დარჩენილი

ფეოდალური საგვარეულოების წარმომადგენლები ეწეოდნენ XV საუკუნისა და XVI საუკუნის პირველი ნახევრის განმავლობაში. ბრძოლაში, რომელიც ფაქტობრივად სამეფო ხელისუფლებასა და ჯაყელებს შორის მიმდინარეობდა, ფანასკერტელ-ციციშვილები განსაკუთრებული აქტიურობითა და სამეფო ხელისუფლების ერთგულებით გამოირჩეოდნენ. მროველი შიო ციციშვილის პიროვნებასა და მისი პილიგრიმობის მიზეზს წმინდა მიწაზე, შესაძლოა, ერთგვარი შუქი მოჰქვინოს იმ ბრძოლის ამბებმა, რომელიც 1483 წელს კონსტანტინე II-ის (1476-1505) მომხრეებსა და ყვარყვარე II ათაბაგს შორის ქართლში, რუისის ეპარქიაში მდებარე სოფელ არადეთთან მოხდა. ამ ბრძოლის შესახებ საკმაოდ დეტალური და ზოგ შემთხვევაში წინააღმდეგობრივი ცნობებია დაცული "ქართლის ცხოვრების" გაგრძელებებში, ვახუშტი ბატონიშვილთან, ქრონიკალურ ჩანაწერებში.⁵⁵ ზოგიერთი მათგანი ასახელებს წყაროსაც - კონსტანტინე მეფის დაკარგულ ცხოვრებას.⁵⁶ წყაროთა ნაწილი შეტაკების საბაბად შაქელი ვაჟრის დასჯასა და გზად მობრუნებული ყვარყვარე ათაბაგისა და მისი თანმხლები პირების გაუშვებლობას ასახელებს მტკვრის „გალმართელნი და გამოღმართელნი“ ციციშვილების მიერ, რომელთა მოთავედაც ქართლში დამკვიდრებული ზაზა ციციშვილია დასახელებული.⁵⁷ არანაკლები ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ შეტაკებისას კონსტანტინე II-ის მომხრეთაგან ფანასკერტელ-ციციშვილებთან ერთად თავი გამოუჩინიათ მაჩაბლებსაც. ეპიზოდი მაჩაბლისა და შალიკაშვილის ბრძოლის შესახებ ახალი ქართლის ცხოვრების ყველა გაგრძელებაშია დაცული,⁵⁸ რაც ზემო ქართლში დაწინაურებული ამ ორი საგვარეულო სახლის მჭიდრო ურთიერთობის კიდევ ერთ დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს. ყვარყვარესა და მისი ამალის ქართლში მისვლის ამბავი „შიდა ქართველთათვის“ შეუტყობინებია ციცი ციციშვილს,⁵⁹ რომელიც უნდა იყოს ძმა ზაზა ფანასკერტელისა და მამა სინასა და ჯვრის მონასტრების აღაპ-მოსახსენებლებში მოხსენიებული თაყა, ფარსადან და ამილ-ლამბარ ციციშვილებისა.

არადეთთან ბრძოლის წინ, ათაბაგსა და ციციშვილებს შორის მომხდარი შელაპარაკების შემდგომ, ათაბაგთან მოსალაპარაკებლად გაუგზავნიათ მროველი ეპისკოპოსი, რომელსაც მესხთათვის მეფისადმი მორჩილება მოუთხოვია და ურჩევია: "არა უწყვი, რამეთუ ძალი ხნავს აღმართსა". ბრძოლაში გამარჯვებულ მესხებს მროველი ეპისკოპოსი შეუპყრიათ, მისი ნათქვამის პასუხად სიტყვებით – "ნებამ დაფარცხოს თავდაღმართი" – უთრევიათ და შეურაცყოფა მიუყენებიათ.⁶⁰ ისტორიული წყაროები იმ პერიოდში მოღვაწე მროველი ეპისკოპოსის ვინაობის შესახებ სდუმან. იერუსალიმური და სინური აღაპ-მოსახსენებლებით XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე მროველ ეპისკოპოსად გვევლინება შიო ციციშვილი, რომელსაც რუისის საეპისკოპოსო კათედრიდან გადადგომის შემდგომ წმინდა მიწასა და სინაზე გაუგრძელებია მოღვაწეობა. სავარაუდოა, რომ იგი არის არადეთთან ჭაყვლებთან შეტაკების მოთავის, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ვაჟი, რომელსაც იმხანად რუისის საეპისკოპოსო კათედრა უნდა სჭეროდა. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ ერთგვარ ახსნას პოულობს ვახუშტისთან დაცული ცნობა კონსტანტინე II-ის მომხრე ციციშვილებისა და მაჩაბლების მიერ მესხებთან მოსალაპარაკებლად გაგზავნილი მროველი ეპისკოპოსის ციციშვილობის თაობაზე, აგრეთვე იმ გაუმართლებელი შურისძიების შესახებ, რომელიც ჭაყვლების მომხრეებს გამოუჩენიათ მათი მოსისხლე მტრის, ზაზა ფანასკერტელის ვაჟის – მროველი ეპისკოპოსის შიოს მიმართ. როგორც ჩანს, არადეთის ბრძოლაში მომხდარი ინციდენტის შემდგომ, შიო ციციშვილის გაჩერება ქართლში შეუძლებელი გახდა. მის მიერ საეპისკოპოსო კათედრის დატოვება და წმინდა მიწაზე გამგზავრება, დიდი სულიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის გარდა, გამორიცხული არ არის გარკვეულ პოლიტიკურ მიზანსა და მის მხრივ დიპლომატიურ სამსახურსაც ითვალისწინებდა. მონაცემებით, რომლებიც იერუსალიმურ და სინურ აღაპ-მოსახსენებლებს შემოუწინაბავთ, შიო ციციშვილი სიცოცხლის ბოლომდე უცხოებაში უნდა დარჩენილიყო და იერუსალიმისა და სინას მთის ქართულ სავანეებში ეღვაწა.

¹ ამ მოვლენის ახსნა, ალბათ, ცენტრალური ხელისუფლებისაგან ჩაყელთა განდგომილების იმ დაუოკებელ მისწრაფებაშიც უნდა ვეძიოთ, რომელიც არ შემოფარგლულა მხოლოდ პოლიტიკური დამოუკიდებლობით და მცხეთის ეკლესიისაგან საათაბაგოს ჩამოშორებასა და იქ მდებარე საქართველოს კათალიკოსის "საქონებელი და სამწყსო" უნიღდესი ეკლესია-მონასტრებისა და სათავადოების ხელნაწი ჩაგდებას ისახავდა მიზნად. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ყურადღება ქვეყნის გარეთ მდებარე სასულიერო კერებზე იქნა კონცენტრირებული.

² ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბილისი, 1956, გვ. 81, 123.

³ А. Цагарели, Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае, *Православный Палестинский Сборник*, т. IV, вып. 1, 1888, გვ. 121-122.

⁴ ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბილისი, 1962, გვ. 14. პ. კონკოშვილი მიიჩნევდა, რომ ციციშვილთა და მჩაბეტლთა მიერ იერუსალიმის წმ. ეკატერინეს ეკლესიის აშენებას ადგილი ჰქონდა XVII საუკუნეში (მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ დეკანოზის პეტრე დავითის ძე კონკოშვილისა, ტფილისი, 1901, გვ. 11).

⁵ ელ. მეტრეველი, დასახ ნაშრომი, გვ. 73, 75, 90-91, 92, 95, 150-152; თისლისა და ხახულის ხელნაწერების მინაწერები (მასალები XIII-XVI სს-ის სამხრეთ საქართველოს ისტორიისათვის), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო დ. კლდიაშვილმა, თბილისი, 1986, გვ. 56-59.

⁶ ელ. მეტრეველი, მასალები, გვ. 85, 136.

⁷ იქვე, გვ. 88, 145-146.

⁸ ელ. მეტრეველის გამოკვლევით, პიმენ მაწყყერელი იერუსალიმში ჩასულა 1400 წლის ახლო ხანებში, იგი ჭვარის მამაა XV საუკუნის 10-იან წლებში (იქვე, გვ. 33-34).

სინას სულთა მატრიანეში შესული პიმენის საოჯახო მოსახსენებლის თანახმად, მას ჰყოლია ძმები ვარაში და დავითი (სინ-77, 196v). სავარაუდოა, რომ პიმენი დიასპოშიძეთა საგვარეულოდან იყო. აწყურის ეპარქიაში შემავალი ეს საგვარეულო იმ დროისათვის საკმაოდ ჩანს გაძლიერებული. ამაზე მიუთითებს როგორც პიმენის აწყურის ეპისკოპოსად მოხსენიება, ისე მის საოჯახო ონომასტიკონში სახელი ვარამის დადასტურება; რამდენადაც ცნობილია, ეს სახელი დიასპოშიძეთა საგვარეულო სახელი იყო (თისლისა და ხახულის ხელნაწერების მინაწერები, გვ. 3-53).

⁹ ელ. მეტრეველი, მასალები, გვ. 92, 154.

¹⁰ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფოტოთეკა, სინ-77; ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1947, გვ. 243-246, 249-250

¹¹ ელ. მეტრეველი, მასალები, გვ. 76.

¹² აღექვანდრე I-ს (1412-1442) მეორე თანამეცხედრე თამარი უნდა მოეყვანა 1414-1415 წლებს შორის (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, ნაწ. II: თხზ., ტ. III, თბ., 1982, გვ. 253).

¹³ B. Abu-Maneh. The Georgians in Jerusalem in Mamluk Period. XXI Deutscher Orientalistentag. Wiesbaden, 1980, S. 162-167; id., The Georgians in Jerusalem in Mamluk Period, Egypt and Palestine. A Millennium of Associations (863-1948). ed. by A. Cohen and G. bear. New York. 1984, გვ. 102-112.

¹⁴ გ. ჭაფარიძე, დიპლომატიური კონტაქტები საქართველოსა და ეგვიპტეს შორის XIV-XVI ს-ის დასაწყისში იერუსალიმში აღმოჩენილი არაბული დოკუმენტების მიხედვით, ქართული დიპლომატია (წელიწადეული), I, თბ., 1994, გვ. 215.

გ. ჭაფარიძე, ქართველები იერუსალიმში ახლად მიკვლეული არაბული დოკუმენტების შუქზე, გაზ. "ლიტერატურული საქართველო", 15.II.1985, გვ. 14-15; მისივე, დიპლომატიური კონტაქტები საქართველოსა და ეგვიპტეს შორის, გვ. 210-215.

¹⁶ დ. კლდიაშვილი, სინას მთის წმ. გიორგის ხატი დავით აღმაშენებლის პორტრეტული გამოსახულებით, *მრავალთავი*, XV, თბ., 1989, გვ. 128-129; ელ. მეტრეველი, მასალები, გვ. 34-37.

¹⁷ დ. კლდიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 128-129, შენ. 33.

¹⁸ ფანასკერტელები ციციშვილებად იწოდებიან XV-XVI საუკუნეების მიჯნიდან. სამცხეში, სახელდობრ აწყურში გადაწერილი ხელნაწერის ანდერძის თანახმად, იგი გადაუნუსხავთ "...პატრონისა და სახელოგანთქმულისა ფანასკერტელთა და აწ ციციის შვილისა პატრონის სულჯურთხეულის ზაალის შვილისა, პატრონისა ჭიხოსროს ბრძანებით" (ხელნაწერთა ინსტიტუტი II-1698, 131v; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, II კოლექცია, ტ. IV, შედგენილია და დასაბუქდად დამზადებული ელენე მეტრეველის მიერ, თბ., 1950, გვ. 123.

¹⁹ ისტორიულ დოკუმენტებში მაჩაბლები ამ გვარსახელით პირველად XV საუკუნის დამლევებიდან იხსენებიან (1482 წ., ხელნაწერთა ინსტიტუტი Hd-871a).

²⁰ ნ. ანდლულაძე, თირის მონასტრის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბ., 1976, გვ. 198-201; ჟ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983, გვ. 107-108.

²¹ ელ. მეტრეველი, იერუსალიმის ერთი ხელნაწერი, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XV-B, 1948, გვ. 48.

²² ელ. მეტრეველი, მასალები, გვ. 91, 139; 85, 97.

²³ გ. ჭაფარიძე, დიპლომატიური კონტაქტები საქართველოსა და ეგვიპტეს შორის, 215.

²⁴ იქვე.

²⁵ ნ. ანდლულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 35-41, 104.

²⁶ სცსსა, ფ. 1450-1/39. ამ რეესტრში თავმოყრილია XIX საუკუნეში ძველი გუჯრების საფუძველზე შედგენილი თირის მონასტრის სხვადასხვა დროის საბუთები.

²⁷ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ყორღანისა მიერ, II, ტფ., 1897, გვ. 483.

²⁸ სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერს მრავალ ქვეყანაში ჰქონია მეტოქი ეკლესია-მონასტრები და მამულები. პალესტინაში მისი მეტოქეები ცნობილია იერუსალიმში, ლაზაში, იაფასა და პეტრაში (Sinai, Treasures of the Monastery of Saint Catharine. Athens, 1990, გვ. 380). დაბეჭდილებით მტკიცება იმისა, რომ იერუსალიმის წმ. ეკატერინეს მონასტერი მეტოქი იყო სინას წმ. ეკატერინეს მონასტრისა, ცნობების უქონლობის გამო, ჟიველ შემთხვევაში, XV საუკუნის მეორე ნახევარში შედგენილ ანგარიშში იგი უკვე იერუსალიმის ეკლესია-მონასტრებს შორისაა დასახელებული (Православный Палестинский Сборник, вып. 56; გვ. 164). რაც შეეხება საქართველოს, თბილისში სინას ეკუთვნოდა მეტოქი წმ. ეკატერინეს ეკლესია და ასევე მამულები ლიახვის ხეობის სოფელ მელვრეკისში (ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1973, გვ. 369-370). აღსანიშნავია, რომ საქართველოში წამოუღიათ სინას მთის ერთ-ერთი დიდი სიწმინდე - წმ. ეკატერინეს მარჯვენა ხელი. ეს ამბავი 1479 წელს ზელბალდტ რიტერი უმცროსის შეუთხვია სინას მთის ბერებისაგან (გრ. ფერაძე, უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, გ. ჭაფარიძის გამოცემა, თბილისი. 1995, გვ. 119-120).

²⁹ სცსა, ფ. 1450-1/39.

³⁰ ელ. მეტრეველი, მასალები, გვ. 106.

³¹ იქვე, გვ. 176.

³² ქართლის ცხოვრება. მარიამ დედოფლის ვარიანტი, ე. თაყაიშვილის რედ., ტფ., 1906, გვ. 889-890.

³³ სცსა, ფ. 1488-2041; ფ. 1449-1494; ფ. 1449-1537.

³⁴ ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV ს-ში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 1, თბ., 1937, გვ. 67; ჟ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983, გვ. 118-119.

³⁵ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფოტოთეკა, სინ.-77; ივ. ჭავჭავაძის შვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 241³⁶; 242^{10.11.36}; 243^{10.11.19.22}.

³⁶ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფოტოთეკა, სინ.-77; ივ. ჭავჭავაძის შვილი, სინის მთის..., გვ. 241⁹ 13.

³⁷ ნ. მარი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, თბ., 1955, გვ. 36. მინაწერი შესრულებულია მხედრულით. კავენში ჩასმული მოსახსენებელი - ნუსხურით [იერ. 13, 2v].

³⁸ იქვე, გვ. 36.

³⁹ ელ. მეტრეველი, მასალები, გვ. 37, 40; ე. მამისთვალი შვილი, ქართველთა ბრძოლა გოლგოთისათვის XV-XVI საუკუნეებში, ქართული დიპლომატია (წელიწადი), 5, თბილისი, 1998, გვ. 86-88.

⁴⁰ ტომოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, გვ. 0187.

⁴¹ ხელნაწერთა ინსტიტუტი, იერ.-67 (მიკროფილმი); უფრო ადრეული მინაწერების მიხედვით, ხელნაწერი ერთ დროს ეკუთვნოდა იერუსალიმში მდებარე კაპა-

თას ქართულ მონასტერს (ნ. შარი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, გვ. 36).

⁴² ხელნაწერთა ინსტიტუტი, იერ-67 (მიკროფილმი); სცსსა, ფ. 1448-2041; ფ. 1449-1494.

⁴³ დ. ბერძენი შვილი, ფანასკერტელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიიდან (წერაქვის უცნობ წარწერასთან დაკავშირებით), *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული*, 1, თბილისი, 1960, გვ. 107.

სცსსა, ფ. 1448-64; ვახუშტის თანახმად, 1463 წელს "ზაზა ფანასკერტელი წარვიდა ქართლს წინაშე გიორგი მეფისა და სხუანიცა" (ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 705).

⁴⁵ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფოტოთეკა, სინ-77, 193v.

⁴⁶ ელ. მებრეველი, მასალები, გვ. 90, 150-151.

⁴⁷ ფარსადანი და გულდამი იხსენიებიან სინ-4 ხელნაწერის აშვიებზე მიწერილ მხედრულ მოსახსენებლებში (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. სინური კოლექცია, ნაკვეთი II, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს ც. ქანკივეა და ლ. ჭლამაიაშვილი, თბ., 1979, გვ. 160).

⁴⁸ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფოტოთეკა, სინ-77, 192r, 195r

⁴⁹ ქრ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.), *მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის*, ნაყ. 30, 1954, გვ. 236; ელ. მებრეველი, მასალები, გვ. 149.

⁵⁰ ელ. მებრეველი, მასალები, გვ. 98, 210.

⁵¹ იქვე, გვ. 149.

⁵² ხელნაწერთა ინსტიტუტი, A-193, 124v-125r.

⁵³ ხელნაწერთა ინსტიტუტი, A-97, 184v-185r.

⁵⁴ სცსსა ფ. 1448-64.

⁵⁵ ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება (I ტექსტი), ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 346-347; ახალი ქართლის ცხოვრება (III ტექსტი), ქართლის ცხოვრება, II, გვ. 481.

⁵⁶ ბერი ეგნატაშვილი, გვ. 348.

⁵⁷ იქვე, გვ. 346.

⁵⁸ იქვე, გვ. 367; ბატონიშვილი ვახუშტი, გვ. 710.

⁵⁹ ბატონიშვილი ვახუშტი, გვ. 709.

⁶⁰ იქვე, გვ. 710.

ღამატება

სინას სულთა მატიანის (სინ. 77) შემავსებელთა ორი ფენა

I.

გაუმართავი უწიგნური ნუსხური, მსხვილი კალმით. პიმენ მაწყვერელისა და ამილამბარ ფანასკერტელის მოსახსენებლების მიხედვით თარიღდება XV საუკუნის პირველი ნახევრით. წერს მატიანის ძირითადი ტექსტის მოსახსენებლებს შორის დატოვებულ თავისუფალ ადგილებში. განკვეთილობის ნიშნად ხმარობს ორწერტილს.

- 195r ს(უ)ლსა ბედ(ი)ელს მელქ(ი)ზ(ე)დს | შ(ეუნდე)ნ ღ(მერთ)მან. მ(ა)თ დას შ(უ)მნ(ი)ერს შ(ეუნდე)ნ | ღ(მერთ)მან. ს(უ)ლსა გოშუს შ(ეუნდე)ნ ღ(მერთ)მან. | აღბს(!).
- 196v ს(უ)ლსა მაწყ(უ)ერელისა პიმენს შ(ეუნდო)ს ღ(მერთ)მან. | და მშობელთ შ(ეუნდო)ს ღ(მერთ)მან, | მისთ ძმათ ვ(ა)რ(ა)მს, დავით[ს] შ(ეუნდო)ს ღ(მერთ)მან.
- 197r ს(უ)ლსა ამილ(ა)ბ(ა)რს ფ(ა)ნ(ა)სკ(ე)რ[ტ](ე)ლს შ(ეუნ)დე)ნ ღ(მერთ)მან, | მის <მეს> მეუღლ(ე)ს რიფს(ი)მეს | შ(ეუნდე)ნ ღ(მერთ)მან.
- 198r ს(უ)ლსა ნიკ(ო)ლ(ო)ზს შ(ეუნდო)ს ღ(მერთ)მან.
ს(უ)ლსა ქრ(ის)ტ(ე)ფორეს შ(ეუნდო)ს ღ(მერთ)მან.
ს(უ)ლსა მინს შ(ეუნდო)ს ღ(მერთ)მან.
- 198v ს(უ)ლსა ბებს, შვეის(!), ნ(ა)ვქრ(ო)ზს შ(ეუნდო)ს ღ(მერთ)მან.
- 199r ს(უ)ლსა კ(ა)ნდეღ(ა)კის იოვან(ე)ს | და მშობელთ მისთა შ(ეუნდო)ს ღ(მერთ)მან.
ს(უ)ლსა მცხეთ(ე)ლს | ბ(ე)რს ი(ო)ვს შ(ეუნდე)ნ ღ(მერთ)მან.

- 199v ს(უ)ლს კაკვ(ა)თუთრს შ(ეუნდო)ს ღ(მერთმან), | მ(ი)ს მეუღლ(ე)ს შ(ეუნდო)ს ღ(მერთმან), | მის შვილს ს(ა)ბას შ(ეუნდო)ს ღ(მერთმან).
 ს(უ)ლსა ლომი მ(ა)შხ(ა)რ(ე)ლს შ(ეუნდო)ს.
 ს(უ)ლსა მ(ა)რ(ი)ნ(ე)ს შ(ეუნდენ) ღ(მერთმან).
- 203v ს(უ)ლს ონ(ო)ფრეს მ|თმეთმრეს(!)* შ(ეუნდენ) ღ(მერთმან). ბერსა | ბ(ა)რ(ა)მს შ(ეუნდენ) ღ(მერთმან).

* მთმეთმრეს ი.ჟ.; ამ სიტყვაში ოლ წერია სტრიქონის თავზე, თმ ასოებს ზემოთ.

- 204r ს(უ)ლსა ოქრ(ო)პ(ი)რს შ(ეუნდეს) ღ(მერთმან). მ(ა)-თს|სა მეუღლე მ(ა)რთ(ა)ს შ(ეუნდენ) ღ(მერთმან).
 ი[-]ს, მ(ა)თს [მ]ო(ა)ხლ(ე)ს(?) შ(ეუნდენ) ღ(მერთმა).

II.

წერილი კალიგრაფიული ნუსხური, დამახასიათებელია თავაწეული მ, სამ-კბილიანი უ, ო და გრძელჯლიანი დ გრაფემები. ძირითადად წერს მოსახსენებლებს შორის დატოვებულ არეზე. ტექსტის დასაწყისში სვამს ქანწილს. თარიღდება XV საუკუნის ბოლო მეოთხედით.

- 192r სულსა ფარს(ა)დან(ი)ს(ა)სა შ(ეუნდო)ს ღ(მერთმან)* და თანამე|ცხ(ე)დრესა გულდამს შ(ეუნდო)ს ღ(მერთმან). | მამქან ყოფ(ი)ლსა მარინეს შ(ეუნდო)ს ღ(მერთმან). | გულქანს შ(ეუნდო)ს ღ(მერთმან). | პ(ა)ვლეს შ(ეუნდო)ს ღ(მერთმან), თ(ან)ამეცხედრ(ე)ს | სევდაოს შ(ეუნდო)ს ღ(მერთმან). შილას შ(ეუნდო)ს ღ(მერთმა).

* დამწერს მოსახსენებლის დასაწყისში ჯვარი დაუსვამს და დაუწყია წერა – სულსა ფარსდ..., შემდგომ გადაუშლია და კვდა სტრიქონზე თავიდან დაუწყია მოსახსენებლის ტექსტი.

* მიწერილია მატეანის შესავალი ნაწილის დასასრულს, ჰედა სტრიქონზე.

193v † ციციშვილს მროელს შიოს შ(ეუნდო)ს ღ(მერთმან), | მის მ(ა)ს ვახტ(ან)გს შ(ეუნდენ) ღ(მერთმან) და თანამეცხ(ე)|ღ[რ]ესა როდამს შ(ეუნდო)ს ღ(მერთმან)*

* ჩართულია ალასტანელ მეფეთა მოსახსენებლებს შორის დატოვებულ თავისუფალ ადგილას

194r მსისთანდარ ყოფილსა მარიამს | შ(ეუნდო)ს ღ(მერთმან).

195r ს(უ)ლსა შიო ყოფილისა შილას <მთავ> | მთ(ა)ვარდი-აკუნის(ა)სა შ(ეუნდო)ს ღ(მერთმან). ა(ში)ნ, კ(ირილეი)ს(ო)ნი.

ციცი(ი)შვილს ფარსადანს შ(ეუნდო)ს ღ(მერთმან). ა(ში)ნ, კ(ირილეი)ს(ო)ნი. | და თანამეცხედრ(ე)სა გულდამს შ(ეუნდო)ს <ღნ> | ღ(მერთმან). ა(ში)ნ, კ(ირილეი)ს(ო)ნი. და მათსა მასა ამილ|ღამარ[ს] შ(ეუნდო)ს ღ(მერთმან), ა(ში)ნ. | და მათსა რძალსა მამქან | ყოფილსა მარინეს შ(ეუნდო)ს ღ(მერთმან). ა(ში)ნ, კ(ირილეი)ს(ო)ნი.

მის ააზენა იერუსალიმის თეკლას მონასტერი

იერუსალიმის ქართული მონასტრების შესახებ ცნობები დაუცავთ ეპიგრაფიკულ ძეგლებს, ხელნაწერებს, სულთა მატრიანეებს, აღაპებს და ნარატიულ ძეგლებს. ამ მასალით სარგებლობდა XVIII საუკუნის ქართველი მოგზაური ტიმოთე გაბაშვილი წმინდა მიწაზე მოგზაურობის დროს იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიის შესასწავლად. თავისი წერილობითი წყაროების შესახებ ის თვითონაც აღნიშნავს როგორც ზოგადად, ასევე ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევებში: „უკეთუ გენებოს ცნობად, თუ ქართველნი ვითარ იპყრობდნენ იერუსალიმს, ესრეთ ვპოვენით მუნ წერილთა შინა“ (ხაზი ჩემია - ე. მ.)¹

ასე იწყება ტიმოთეს „მიმოსლვის“ ის თავი, რომლის მიზანია წარმოადგინოს იერუსალიმში ქართველთა მოღვაწეობის სურათი. ამ თავში ცალკე ქვეთავად გამოიყოფა იერუსალიმში ქართული ტაძრების აშენების ისტორია: „აქა თუ ვის მიერ აღეშენნეს იერუსალემს მონასტერი, ისმინეთ“.² ამ შემთხვევაში მისი ძირითადი წყარო იყო მონასტერსა თუ ეკლესიაში დაცული სულთა მოსახსენებლები, სადაც, პირველ რიგში, ქტიტორების ხსენებაც იქნებოდა შეტანილი. რამდენიმე მონასტრის მაშენებლის დასახელების დროს ტიმოთე პირდაპირ იმოწმებს თავისი ცნობების წყაროდ მოსახსენებლებს: „მონასტერი წმიდისა გიორგისა ურიათ უბანში დადიანთა აღშენებული, და მოსაქსენებელი მისი მუნვე არს“, „წმიდის დიმიტრის მონასტერი - ქსნის ერისთავს შალვას, ვირშელს, ივანეს, და მათი მოქსენებაც მუნ არს“, „მონასტერი მირქმისა - რაქის ერისთავთ, და მათი მოქსენება მუნ არს, დედათ მონასტერი არის“.³ ამის თაობაზე ჩვენ ვწერდით: „აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ტიმოთეს ხელთ ჰქონია მონასტრის მოსახსენებლები, რომლებიც მას თავისი ცნობების წყაროდ გამოუყენებია. ძნელია იმის თქმა, თუ რა მასალით სარგებლობდა ტიმოთე ქტიტორების დადგენისას იმ შემთხვევაში, როდესაც მას მოსახსენებლები არ ჰქონდა ხელთ. როგორც ჩანს, ზოგჯერ, როდესაც ამის შესაძლებლობა იყო,

ტიმოთე ქტიტორებს მონასტრების სააღმშენებლო წარწერებით აღგენდა".⁴ ამის ნიშნულად ჩვენ მოგვყავს ტიმოთეს ცნობები თევდორეს მონასტრის ქტიტორთა შესახებ.

როგორც ჩანს, წმ. თეკლას მონასტრის შესახებ ტიმოთე გაბაშვილის მოწოდებული ცნობები ასევე ტაძრის საამშენებლო წარწერას უნდა ეყრდნობოდეს. ეს დაადასტურა პალესტინის ქართულ სიძველეთა გადასაღებად გამგზავრებული ექსპედიციის (ი. ონოფრი შვილი. გ. პატარაია, ი. რურუა) მიერ მიცემულმა კედლის წარწერამ. ეს წარწერა ამჟამად გამოქვეყნებულია.

წარწერის ტექსტი შემდეგნაირად იკითხება:

„ქ. მე, ზედგინისძემ(ან) ჯ(უარ)ის მა(მა)მან ქ(ა)იხოსრო, აღვ(ა)-შ(ე)ნე ზღ(უ)დუ ესე და სენ(ა)კი, წ(მიდა)ო და პ(ირვე)ლ ქ(ალ)წ(უ)ლ მ(ო)წ(ა)მეო თეკლა, მ(ე)ოხ და მცე(ე)ლ ექმენ ქ(ა)იხოსრ(ო)ს და მისთა დედ-მამათა შ(ე)უ(ნ)დ(ო)ს ლ(მერთმ)ან, ა(მი)ნ“. აქამდე თეკლას მონასტრის ქტიტორის შესახებ მხოლოდ ტიმოთე გაბაშვილის ცნობა გვქონდა: „ქ. წმიდის თეკლას მონასტერი ჯვარის მამის ქრისტეფორეს და მისის ნათესავთაგან აღშენებული, ზედგინიძეთა“.⁷

ამ ცნობის შესწავლის საფუძველზე ჩვენ ქრისტეფორე ზედგინიძე ჯვარის მამა მივიჩნით თეკლას მონასტრის ქტიტორად და მისი მოღვაწეობის ხანად პირობითად XV საუკუნის შუა წლები ჩავთვალეთ; ჯვარის მამათა ქრონოლოგიურ სიაშიც ეს პირი ამავე თარიღით ჩავსვით.⁸ დავუმატებთ, რომ ზედგინიძენი XV საუკუნემდე არ ჩანან წერილობით წყაროებში, არც თეკლას მონასტერი იხსენიება XV საუკუნეზე ადრე.

ზემოთ მოტანილი საამშენებლო წარწერა ზოგიერთ ახალ ცნობას გვაწვდის, რომლის გათვალისწინება აუცილებელია როგორც თეკლას მონასტრის ქტიტორის, ასევე მისი აშენების დროის საბოლოოდ დადგენისათვის.

ამ ცნობათა შესახებ თავისი მოსაზრებები აქვს გამოთქმული გ. მიქაძეს. ის ძალაში ტოვებს ტიმოთე გაბაშვილის ცნობაზე დამყარებულ ჩვენს მოსაზრებას, რომ თეკლას მონასტერი აშენებულია XV საუკუნეში ჯვარის მამის ქრისტეფორე ზედგინიძის მიერ და, თავის მხრივ, საამშენებლო წარწერის საფუძველზე, უმატებს, რომ ზღუდე ამ მონასტრისა აშენებულია ჯვარის მამა ქაიხოსრო ზედგინიძის მიერ XV-XVII საუკუნეების ფარგლებში.⁹

რა შეიძლება ითქვას ამის შესახებ?

1. სრულიად უეჭველია, რომ ზღუდე თეკლას მონასტრისა ააშენა ჭვარის მამა ქაიხოსრო ზედგინიძემ, მაგრამ ამ პიროვნების მოღვაწეობის ხანა უნდა შემოიფარგლოს XV საუკუნით და არა XVII-ით, ვინაიდან საამშენებლო წარწერა თავისი პალეოგრაფიული სახით XV საუკუნეს არ უნდასცილდებოდეს.

2. სამწუხაროდ, ამ წარწერის გადამღებნი (აღნიშნული ექსპედიციის წევრები) ზუსტად ვერ მიუთითებენ მის ადგილმდებარეობას. არც ის არის ცნობილი, ეს წარწერა მონასტრის ანსამბლის კუთვნილებაა, თუ ის გამოყენებულია როგორც საშენი მასალა რომელიმე სხვა ნაგებობისათვის და შემთხვევით არის მოხვედრილი „ერთ-ერთი კუთხის სახლის კედელზე, რომელიც ძველი იერუსალიმის ცენტრში, „ქრისტეს საფლავის“ მახლობლად დგას“.¹⁰ ეს საკითხები კვლავ ადგილზე შესწავლას თხოულობს.

ცნობას თეკლას მონასტრის შესახებ ვხვდებით რუსი მოგზაურის ტ. კორობეინიკოვის თხზულებაში. მან 1593 წელს იმოგზაურა იერუსალიმსა და ანტიოქიაში და შეადგინა შეწირულობათა ანგარიში („Роспись“), რომლებიც მას გაუღია სხვადასხვა მონასტრების დასახმარებლად. იერუსალიმის სხვა ქართულ მონასტერთა შორის, რომლებიც მოუნახულებია რუს მოგზაურს და დახმარებია შესაწირავით, იგი მოიხსენიებს წმ. თეკლას მონასტერს და მის წინამძღვარს, იოსებს: „Святые Феклы строителю Иосифу на масле три (золотых- ე.მ.), и старице Варваре- две“.¹¹

წმ. თეკლას მონასტრის შესახებ ნ. ჩუბინაშვილი არაფერს წერს. ჩანს მას არც მონასტერი უნახავს და არც წარწერა. ა. ცაგარელმა მონასტერი ნახა, მაგრამ წარწერაზე არაფერს ამბობს. ამ მონასტრის ისტორიის გადმოცემისას მას მოჰყავს ცნობები ტიმოთეს მიხედვით. ის წერს: „Монастырь св. Феклы -эта нынешняя старая патриархия. По Тимоте, он построен настоятелем Крестного монастыря Христофором и его родственниками Зедгинидзе. По Досифею, в начале XVII в. он был уступлен грузинами Иерусалимскому патриарху Феофану, а другую половину (южную), по Досифею же, купил патриарх Паисий у коптов и восстановил церковь, двор и сад около половины XVII в.“¹² უნდა ვიფიქროთ, რომ ერთი საუკუნის შემდეგ იერუსალიმში ჩასული ტიმოთე გაბაშვილი ნახავდა ამ წარწერას და თავის ცნობებს ამ წარწერაზე ამყარებდა. სამწუხაროდ, ვერ ხერხდება იდენტიფიკაცია ვერც

ქაიხოსროსი და ვერც ქრისტეფორესი. ქაიხოსრო ზედგინიძე ჩანს სინის მთის სულთა მატთანეში¹³, მაგრამ არის თუ არა ეს ქაიხოსრო ჯვარის მამა, ძნელი სათქმელია. კიდევ ერთ ქაიხოსროს ვხვდებით 1678 წლის დოკუმენტში (Hd 2823), ეს კი ნამდვილად სხვა ქაიხოსრო უნდა იყოს. ამისგან განურჩევლად, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ტიმოთესთვის ცნობილია ეს წარწერა. მასზე დაყრდნობით და, ალბათ, ადგილობრივი გადმოცემის მიხედვით გამოაცხადა ტიმოთემ ქრისტეფორე ზედგინიძე თეკლას მონასტრის ქტიტორად. არ არის გამორიცხული და სზირად ხდებოდა ასე, რომ ქაიხოსრომ თეკლას მონასტერი ორ რიგად ააშენა: ჯერ ტაძარი, ხოლო შემდეგ - გალავანი და სენაკი. ორივეს მაშენებელი ერთი პირი უნდა ყოფილიყო, მაგრამ რატომ არის განსხვავება სახელებში? ამას რამდენიმე ახსნა შეიძლება მოვუძებნოთ:

მალღა კედელში დატანებულ წარწერაში დაქარაგმებული „ქაიხოსრო“ ადვილად შეიძლება წაკითხული ყოფილიყო როგორც „ქრისტეფორე“. ანალოგიური შეცდომა მოუვიდა ა. ცაგარელს თევდორეს ეკლესიის წარწერის ამოკითხვის დროს.¹⁴ ტიმოთეს სწორად რომ ამოკითხა კიდევც მონასტრის ქტიტორის სახელი, შეიძლება შემლოდა უკვე მემუარებში შეტანის დროს, როგორც ეს ჩვენ მოგვივიდა იერუსალიმის „მასალებში“: ვმსჯელობთ რა ქრისტეფორე ზედგინიძეზე, იქვე მექანიკურად „ქრისტეფორეს“ ნაცვლად ვხმარობთ „ქაიხოსროს“ ამ სახელთა მსგავსების გამო.¹⁵ სხვა საფუძველი ამ შეცდომისათვის არ არსებობდა, რადგან სხვაგვარად ძნელი წარმოსადგენია, რომ დაახლოებით ერთსა და იმავე დროს, თეკლას მონასტერში ყოფილიყო ორი ჯვარის მამა ზედგინიძის გვარით და ამასთან, ორივე თეკლას მონასტრის ქტიტორი. უფრო საფიქრებელია, რომ აქ ჩვენ ერთ პიროვნებასთან გვჭონდეს საქმე - ქაიხოსრო ზედგინიძესთან, როგორც ეს წარწერაშია. მას ჯერ აუშენებია, ალბათ, წმ. თეკლას მონასტერი, ხოლო შემდეგ გალავანი და სენაკი. სწორედ ეს მეორე წარწერა (სენაკისა და ზღუდის აშენების შესახებ) არის დღესდღეობით შემონახული. თავის მხრივ, ამ წერწერის არსებობა კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ტიმოთე გაბაშვილი ყოველ თავის ცნობას დოკუმენტურ მასალზე ამყარებდა. სახელთა აღრევა კი, უბრალოდ, მექანიკური შეცდომის შედეგი უნდა იყოს.¹⁶

¹ ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოცვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. მეტრეველმა, თბ., 1956, გვ. 77.

² იქვე, გვ. 80.

³ იქვე, გვ. 81.

⁴ იქვე, გვ. 0232-0233.

⁵ იქვე, გვ. 0233-0234, შენ. 1.

⁶ გ. შიქაძე, იერუსალიმის უცნობი ქართული სამშენებლო წარწერა, ქართული წყაროთმცოდნეობა, III, 1976, გვ. 236-241.

⁷ ტიმოთე გაბაშვილი, დასახ. ნაშ., გვ. 81.

⁸ ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 39-40.

⁹ გ. შიქაძე, დასახ. ნაშრ.

¹⁰ ილ. რურუა, პალესტინის სიძველეთა შორის, ეურნ. „მნათობი“, № 10, 1966, გვ. 155.

¹¹ Архим. Леонид, Иерусалим, Палестина и Св. Афон по русским паломникам XIV-XVI вв., Чтния в Императорском обществе истории и древностей Российских, книга 1, 1871. გვ. 62.

¹² А. Цагарели, Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае, Палестинский сборник, т. IV, вып. 1, СПб. 1888, გვ. 120.

¹³ ივ. ჭავჭავიძე, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947, გვ. 243-244.

¹⁴ А. Цагарели, დასახ. ნაშრ., გვ. 251.

¹⁵ ე. მეტრეველი, დასახ. ნაშრ., გვ. 40.

¹⁶ დასასრულს გვინდა დავძინოთ შემდეგიც: არ მიგვაჩნია გამორიცხულად არც ის, რომ ორივე სახელი (ქაიხოსროცა და ქრისტეფორეც) ერთსა და იმავე პირს მიემართებოდეს, რომელთაგან ერთი, ალბათ ქაიხოსრო, XV საუკუნეში მოღვაწე ჭვარის მამის ერისკაცობის სახელი შეიძლება იყოს. ასევე ორმაგი სახელით იყო ცნობილი XVII საუკუნის იერუსალიმის ქართული კოლონიის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წევრი, ჭვარის მამა ნიკიფორე-ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი. თვალსაშინაა მონასტრის კტიტორის შემთხვევაში მასალის სიმცირის გამო ძნელია ამის დაბეჭდვით თქმა, მაგრამ ამგვარი ვარაუდის გამოსატყველად, ვფიქრობთ, გარკვეული საფუძველი არსებობს.

ერთი ფაქტი ქართულ საზოგადოებრივ კმაერთა
 ურთიერთობების ისტორიიდან

კუნძულ კვიპროსზე არსებული ქართული საგანეები საზღვარ-გარეთ მდებარე იმ ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო კერათა რიგს განეკუთვნება, რომელთა შესახებ არცთუ მდიდარი მასალა მოგვეპოვება. კვიპროსის სამონასტრო კოლონიის ხსენებას რამდენჯერმე ვხვდებით ქართულ საისტორიო წყაროებში. მათგან ყველაზე ადრეულია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზუ-ლება, სადაც კვიპროსის სამონასტრო კოლონია მოიხსენიება საქა-რთველოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებულ იმ ლავრებს, საკ-რებულოებსა თუ მონასტრებს შორის, რომელთაც დავით მეფე დახმარებია შესაწირავით: „(დავით მეფემ) ...ლაზრანი და საკრებუ-ლონი და მონასტერნი არა თჳსთა ოდენ სამეფოთა, არამედ საბე-რძნეთისნიცა, მთაწმიდისა და ბორღალეთისანი, მერმეცა ასურე-თისა და კუპრისა, შავისა მთისა, პალესტინისანი, აღავსნა კეთილითა, უფროსდა საფლავი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და მყოფნი, იერუსალიმისანი თჳთოფერთა მიერ შესაწირავითა განამდიდრ-ნა...“¹ ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულების მიხედვით, კვიპროსელ მონაზვნებს უხვი შესაწირავით ეხმარებოდა თამარიც - მონაზვნები კვიპროსის ქალაკიდან მოიხსენიებიან საქართველოში სხვადასხვა წმინდა ადგილებიდან (შავი მთა, ანტიოქია, მთაწმინდა და სხვ.) მოსულ ბერებს შორის, რომლებიც გულუხვად დაასაჩუქრა თამა-რმა: „მოიწინეს ოდესმე ქველის მოქმედებათათჳს ამისთა (თამარის - თ. ც.) მონაზონნი შავისა მთისა, ანტიოქიით და კუპრისა ქალაკით, ეგრეთვე მთაწმიდით და მრავალთა ადგილთაჲთ. შეიწყნარნა თამარ ჩვეულებისამებრ ვითარ ანგელოზნი და მრავალ ღღე არ გაუშვნა, მერმე მისცნა ყოველთა ღიადი და აღავსნა ყოვლითა საქმრითა...“² უფრო კონკრეტულ ცნობას გვაწვდის „ისტორიანის“ ავტორი, რომელსაც თამარის ქველმოქმედების ერთ-ერთ ნიმუშად მოჰყავს კვიპროსის ღალიას მონასტერი, განახლებული და შემკული თა-მარის მიერ: (თამარმა) „... კუალად კუპრეს ღალია შეამკო და უყიდნა შესავალნი და აღაშენა მონასტერი და შეამკო ყოვლითა წესითა პატიოსნისა მონასტრისათა“³. მოყვანილი ციტატა წა-

რმოდგენს ქართულ საისტორიო წყაროებში დაცულ ყველაზე ადრეულ ცნობას კვიპროსის ლალიას (იგივე ქალიას) მონასტრის შესახებ.

ირიბ ცნობას კუნძულ კვიპროსზე არსებული ქართული საკრებულოს შესახებ გვაწვდის იერუსალიმელი მოწამის, ნიკოლოზ დვალის სვინაქსარული „წამება“, რომელიც XIV საუკუნის I ნახევარში უნდა იყოს შექმნილი.⁴ „წამების“ ტექსტის მიხედვით, ნიკოლოზ დვალი იერუსალიმელმა ძმებმა განარიდეს კონფლიქტურ სიტუაციას იერუსალიმში და კვიპროსზე გაგზავნეს.⁵ მიუხედავად იმისა, რომ ტექსტში მხოლოდ ზოგად მითითებას („კპრეს წარიგზავნა“) ვხვდებით, ივარაუდება, რომ იერუსალიმელი ძმების მიერ კვიპროსზე წარგზავნილი ნიკოლოზ დვალისათვის კუნძულზე არსებულ ქართულ საკრებულოს უნდა გაეწია მასპინძლობა.⁶

კვიპროსზე ქართული მონასტრის (მონასტრების) არსებობას ადასტურებს უცხოურენოვანი წყაროებიც. ვატიკანის არქივში დაცული ერთი დოკუმენტის (№ 1298) მიხედვით, რომელიც 1306 წლის 3 თებერვლით თარიღდება, კვიპროსზე, ჰირზოფუს ყურის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირზე, იალაში, მდებარეობდა მონასტერი, რომელიც, მკვლევართა დასკვნით, ლალიას მონასტერთან უნდა გაეაიგივოთ.⁷ 1346 წელს კუნძული კვიპროსი მოიხაზულა ევროპელმა პილიგრიმმა იაკობ ფონ ბერნმა, რომელიც გადმოგვცემს, რომ ფამაგუსტაში ქართველები ატარებდნენ ღვთისმსახურებას ბერძნული წესის მიხედვით.⁸ ევროპელი პილიგრიმებისა და მოგზაურთა ჩანაწერების მიხედვით ცნობილია, რომ ქართველებს ჰქონიათ მონასტერი კვიპროსის სამხრეთ ნაწილში, ალაამინის მახლობლად მდებარე მაზოტოში.⁹ კვიპროსის მმართველთა დინასტიის წარმომადგენლის, ეტიენ ლუზინიანის მიერ XVI საუკუნეში შედგენილ კვიპროსის აღწერაში ვხვდებით მითითებას, რომ ქართველებს კვიპროსზე ჰქონიათ მონასტრები, ძირითადად სოფ. ალაამინის რაიონში¹⁰. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, დღესდღეობით ესაა ყველაზე გვიანდელი მოწმობა კვიპროსის ქართული სამონასტრო კოლონიის შესახებ. XVIII საუკუნის ქართველ მოგზაურს, ტიმოთე გაბაშვილს, რომელმაც უკანა გზაზე, იერუსალიმიდან საქართველოში დაბრუნებისას მოიხაზულა კუნძული კვიპროსი, როგორც ჩანს, არანაირი კვალი აღარ დახვდა იქ ქართველთა ყოფნისა. ტიმოთე თავის თხზულებაში საკმაო ადგილს უთმობს კუნძულის აღწერას, გადმოგვცემს კვიპროსის იმჟამინდელი არქი-

ეპისკოპოსის, ფილოთეოსის მონათხრობს იმ დავის შესახებ, რომელიც ოდესღაც ჰქონიათ ერთმანეთში ანტიოქიის პატრიარქსა და კვიპროსის არქიეპისკოპოსს; ქართველი მოგზაური მოიხსენიებს კვიპროსზე მდებარე სიწმინდეებსაც: ეპიფანე კვიპრელის, ტიზონ ამათუნატელის, იოანე მოწყალის, სპირიდონ ტრიმიტუნტელის საფლავებს, ეკატერინე ქალწულმოწამის სადგომს, "მაგრამ ერთი სიტყვითაც კი არ ახსენებს, რომ ეს კუნძული ქართველთა ერთ-ერთი სამოღვაწეო ადგილი იყო. ჩანს, რომ ტიმოთეს კუნძულზე ყოფნის დროს (1758წ.) აქ ქართველთა ხსენებაც კი უკვე სრულიად გამქრალი იყო, რადგანაც სხვა შემთხვევაში, საზღვარგარეთის ქართული სამონასტრო კოლონიების ისტორიის სწავლული მკვლევარი ტიმოთე გაბაშვილი, ვფიქრობთ, აუცილებლად მოიხსენიებდა თუნდაც ზეპირ გადმოცემას კვიპროსზე ქართველთა მოღვაწეობის შესახებ - ცნობილია, რომ იგი ერთნაირად გულდასმით აღნიშნავდა ამა თუ იმ მონასტერსა თუ წმინდა ადგილთან დაკავშირებულ როგორც წერილობით, ასევე ზეპირ ტრადიციას და ვფიქრობთ, ხელიდან არ გაუშვებდა შემთხვევას, რომ აღენიშნა ქართველთა მოღვაწეობის კიდევ ერთი ადგილი. შდრ. „აღვსწერენით, რაოდენნი შევიტყვენით იერუსალიმისათვის და მთაწმიდისა და სხვათა მონასტერთათვის და სადგურთათვის და ადგილისათვის საწამებელისა წმიდათა მოწამეთასა და სადგურთათვის ღირსთასა და სხუათა მრავალთა ადგილთა, ამბავნი ხილულნი ანუ სარწმუნოდ სმენილნი აღვსწერენით“¹². როგორც ვხედავთ, ამ სიტყვებში, რომელიც ტიმოთეს თავისი თხზულების შესავალში მოუქცევია, ნათლად იკვეთება მისი დამოკიდებულება ზეპირი ტრადიციის, „სმენილი“ ამბების მიმართ, რომლებიც სწავლული მოგზაურისათვის სრულფასოვან მასალას წარმოადგენდა ამა თუ იმ მონასტრისა თუ წმინდა ადგილის ისტორიის შესასწავლად.

ვფიქრობთ, გასაკვირი აღარაა, რომ მოგვიანო ხანის ქართველ მოგზაურთა, ი. გელევანიშვილისა და გ. ავალიშვილის, თხზულებებში ვერ ვხვდებით რაიმე ცნობას კვიპროსზე ოდესღაც არსებული ქართული სამონასტრო კოლონიის შესახებ (კუნძული მათ მოინახულეს შესაბამისად 1784 წ. და 1820 წ.)

რით შეიძლება აიხსნას ქართული სამონასტრო კოლონიის გაჩენა კუნძულ კვიპროსზე? ვ. ჯობაძის აზრით, ეს განპირობებული უნდა ყოფილიყო კვიპროსის სიახლოვეთ ჩრდილოეთ სირიასთან, სადაც ქართველების დიდი სამონასტრო კოლონია მოღვაწეობდა.¹⁴

მიუხედავად იმისა, რომ საეკლესიო ლოგიკურად მიგვაჩნია ასეთი ვარაუდი, ვფიქრობთ, რომ მისი დაშვებით ერთგვარად ჩრდილი ადგება თავად კუნძულ კვიპროსზე მდებარე წმინდა ადგილების თავისთავად ღირებულებას. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ კვიპროსი წმ. მიწაზე მგზავრობის ერთ-ერთი მარშრუტის ნაწილი იყო - სხვათა შორის, ეს გზა (პალესტინა - კვიპროსი) გაიარეს სხვადასხვა დროს ქართველმა მოგზაურებმაც: ტ. გაბაშვილმა, ი. გედევანიშვილმა და გ. ავალიშვილმა. ასე რომ, ჩვენი აზრით, ძნელია მკაცრად თქმა იმისა, ამ ფაქტორთაგან რომელმა შეასრულა გადამწყვეტი როლი კუნძულზე ქართული სამონასტრო კოლონიის შექმნაში მანამდე, სანამ არ აღმოჩნდება რაიმე კონკრეტული ცნობა ამ საკითხის შესახებ. ჭერჭერობით კი, ვფიქრობთ, არ შეიძლება გამოვრიცხოთ არც ერთი მათგანი, ანუ კვიპროსის სიახლოვე სირიასა და პალესტინაში არსებულ დიდ სამონასტრო კოლონიებთან და, საერთოდ, წმინდა მიწასთან, აგრეთვე კუნძულზე მდებარე წმინდა ადგილები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ქრისტიანული სამყაროსათვის. კვიპროსზე არსებულ წმინდა ადგილებს, როგორც უკვე ითქვა, უდიდესი მოწიწებით მოიხსენიებდა ტ. გაბაშვილიც.

მონასტრის სახელწოდება. კვიპროსზე, ქრისოზორის ყურესთან მდებარე ქართული საფანე, ქართული წყაროების მიხედვით, ცნობილია როგორც ჟალიას ან ღალიას მონასტერი. ამ მონასტრის სანახებში გადაწერილი, ამჟამად სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცული ხელნაწერის (№18) ანდერძის მიხედვით, მონასტრის სახელი იყო „ჟალია“ - ხელნაწერის გადამწერის ანდერძის ტექსტში მონასტერი ამგვარად არის მოხსენიებული: „...დაიწერა კჳრეს ქართველთა მონასტერსა ჟალიას არა ხოლო შინა, არამედ ორ მილიონ შორს მონასტრისაგან...“¹⁵ ამავე ფორმას გვიჩვენებს ერთ-ერთი იერუსალიმური ხელნაწერის ანდერძიც, რომელსაც ჭვემთ განვიხილავთ. მონასტრის სახელწოდების ფონეტიკური ვარიანტი „ღალია“ კი დასტურდება „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანის“ ტექსტში, რომელიც ზემოთ დავიმოწმეთ.

ო. გიგინეიშვილის მითითებით, „ჟალია (ღალია)“ უნდა მომდინარეობდეს სოფელ იალას (რომლის სიახლოვესაც მდებარეობდა ქართული მონასტერი) სახელწოდებიდან: „ფონეტიკის კანონების

მიხედვით Y, რომლითაც იწყება ბერძნული იაილია, 4-დ გადაიქცა და მივიღეთ ქართული ჟალია ან ლალია¹⁶. მისივე ვარაუდით, თვითონ ბერძნული სახელწოდება, თავის მხრივ, უნდა წარმოედგობოდეს ბერძნული სიტყვიდან „გილოს“, რაც ზღვის სანაპიროს ნიშნავს.¹⁷ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, პ. ინგოროყვას აზრით, სიტყვა „ლალი“ ქართული წარმოშობისა უნდა იყოს (მეგრული „ლალი“ - მდინარე და ზოგადქართული „ლელე“).¹⁸ როგორც იგი მიუთითებს, „ლალი“ აფხაზეთის ტოპონიმებში დასტურდება. ეს ტოპონიმებია: აშე-ლალი და ლალი-ჯიხა. პ. ინგოროყვას დასკვნით, პირველ შემთხვევაში „აშე“ მდინარის საკუთარი სახელია, „ლალი“ თვით ცნებას, მდინარეს უნდა აღნიშნავდეს, აშე-ლალი კი ეწოდებოდა ნავსადგურს, რომელიც მდინარე აშეს შესართავთან იდგა. ამავე მდინარის ნაპირზე მდებარეობდა ლალი-ჯიხაც, ანუ ლალის ციხე.¹⁹ დაკუმატებთ, რომ კვიპროსის ლალიას (ჟალიას) მონასტრის მიდამოებში მოედინება მდინარე, რომელიც ამავე სახელწოდებას, იალიას (Yalia) ატარებს.²⁰

საინტერესოა, რომ ქართულ სინამდვილეში ვხვდებით „ჟალ“ ძირის მქონე ტოპონიმსაც. ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ მოხსენიებულია ჟალეთი, „შენობა დიდი და შემუსრვილი“, რომელიც მდებარეობდა ერწოს წყლის შესართავის ზევით, იორის პირზე.²¹ ამ ჟალეთს ვახუშტი აიგივებს ჩელეთთან, კახოსის მიერ აშენებულ ქალაქთან, სადაც ვახტანგ გორგასალს აღუმართავს დიდი და „კეთილშევნიერი“ ეკლესია და დაუსვამს ერწო-თიანეთის, ფშავ-ხევსურეთისა და ნერკის ეპისკოპოსი.²² როგორც ვხედავთ, კახეთის ჟალეთიც მდინარესთან ახლოს, კერძოდ, ივრის პირზე მდებარეობს, რაც, ვფიქრობთ, კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ ტოპონიმის „სიახლოვეს“ წყალთან, მდინარესთან.

ყველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ „ლალიას (ჟალიას“) ეტიმოლოგიის საბოლოოდ დაზუსტება ცალკე შესწავლას უნდა საჭიროებდეს.

მონასტრის ლოკალიზაცია. 1981 წელს ვ. ჯობაძემ მოახდინა ჟალიას (ლალიას) მონასტრის იდენტიფიკაცია და გათხარა მისი ნანგრევები. მისი მითითებით, მონასტერი მდებარეობს მდინარე იალიას მარჯვენა ნაპირზე მდებარე მთაზე, ქრისოხოორის ყურის

ჩრდილოეთ სანაპიროს აღმოსავლეთით, დაახლ. 7 კმ-ის დაშორებით და გადმოჰყურებს ქალაქ იალას.²³ ვ. ჯობაძისავე მითითებით, მონასტრის კუთვნილი ზოგიერთი ნაგებობა მღებარეობდა მისგან სამხრეთით, 3 კმ-ის დაშორებით, ტერიტორიაზე, რომელიც სასწავ მიწად გამოიყენებოდა.²⁴ ამ ექსპედიციის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან აღმოჩენას, ვფიქრობთ, წარმოადგენს მონასტრის სამხრეთ ჰიშკრის დასავლეთ წირთხლზე მრგვლოვანი ანბანით შესრულებული, ოთხ მწკრივად ამოკვეთილი ქართული სავედრებელი წარწერების მიკვლევა. ვ. ჯობაძის მითითებით, წარწერები არ უნდა იყოს შესრულებული მონასტრის მშენებლობის პერიოდში და უფრო გვიან უნდა იყოს ამოკვეთილი, ქრონოლოგიურად სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირთა მიერ.²⁵ წარწერების დაზიანების გამო მათი სრულად წაკითხვა ვერ მოხერხდა, ამოკითხულ იქნა რამდენიმე სახელი: კე (კვირიაკე, კირილე, კონსტანტინე?), ნიკოლოზი, მათე.²⁶ ვ. ჯობაძეს დასაშვებად მიაჩნია წარწერაში მოხსენიებული ნიკოლოზის გაიგივება იერუსალიმელ მოწამე ნიკოლოზ დვალთან, რადგანაც მისი „წამების“ ტექსტიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ იგი იერუსალიმელ ძმებს კვიპროსზე ჰყოლიათ გაგზავნილი. მკვლევარი აკონკრეტებს კუნძულზე ნიკოლოზის ადგილსამყოფელს და მიიჩნევს, რომ ნიკოლოზს ჟალიას მონასტერში უნდა ეცხოვრა.²⁷ რამდენადაც ნიკოლოზის სავედრებელი წარწერის შესრულების დრო და ნიკოლოზ დვალის მოღვაწეობის ხანა ქრონოლოგიურად თანხვედრა ერთმანეთს, ვ. ჯობაძე მიიჩნევს, რომ დასახელებული წარწერა უნდა შესრულებულიყო ჟალიას მონასტერში ნიკოლოზის ცხოვრების პერიოდში.²⁸

ჩვენთვის ცნობილია, რომ ჟალიას მონასტრის ბერები სამწიგნობრო მოღვაწეობას ეწეოდნენ. ამას ადასტურებს სანკტ-პეტერ-ბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცული „ფსალმუნთა თარგმანების“ შემცველი ზემოთ უკვე ნახსენები ქართული ხელნაწერის (№18) ანდერძი, რომლის თანახმადაც ეს ხელნაწერი გადაწერილი ყოფილა კვიპროსზე, ჟალიას ქართველთა მონასტრის მახლობლად: „... დაიწერა კ'კარეს ქართველთა მონასტერსა ჟალიას არა ხოლო შინა, არამედ ორ მილიონ შორ მონასტრისაგან“.²⁹ დამოწმებული ტექსტი წარმოადგენს დღესდღეობით ცნობილ ქართულ წყაროებში დაცულ ერთ-ერთ უძველეს ცნობას იმის შესახებ, რომ ჟალიას მონასტერი ქართველთა კუთვნილებას წარმოადგენდა. ეს ხელნაწერი, რომელსაც მის გადამწერსა და ჟალიას ძმობას

შორის არსებული რაღაც უთანხმოების კვალი შემოუნახავს (იხ. ანდერძის ტექსტი: „...კელ-ვყავ აღწერად... წიგნსა თარგმანსა სამეოცდაათხუთმეტთა ფსალმუნთასა... ზოლო კაცთაგანისა არცა ერთისა ვის შეწყენითა, წინამძღვრისა გინა ძმათა, არამედ უფროსლა ძერთა შემთხვევითა მათგან, რამეთუ ზოგათა... წამიღეს და ზოგნი მე შურებოდეს, არცა ვის სიტყვა მიგია, არცა ვის თვალნი მოუდგამნ...“ (იქვე), გადაიწერა ქალიას მონასტრისაგან 3 კმ-ის დაშორებით მდებარე მონასტრის კუთვნილ ერთ-ერთ საცხოვრის ში.³⁰ ქალიას მონასტრის კუთვნილი ეს ნუსხა, რომელიც შემდგომში მოხვედრილა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, ჯვრის მონასტრის კუთვნილ სხვა 9 ხელნაწერთან ერთად, პეტერბურგში წაუღია გ. ავალი შვილს.³¹

ახალი ცნობა ქალიას მონასტრის შესახებ. იგივე გზა (კვიპროსის ქალიას მონასტერი - იერუსალიმის ჯვრის მონასტერი) გაუვლია ოდესღაც ქალიას კუთვნილ სხვა ხელნაწერსაც, რომელიც დღესდღეობით ინახება იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში, ჯვრის მონასტრის კუთვნილ ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში. ამ კოლექციის რ. ბლეიკისეულ აღწერილობაში ხელნაწერი წარმოდგენილია 85-ე ნომრით და დათარიღებულია XIV-XV საუკუნეებით.³² ხელნაწერი შეიცავს „მარხვანის“ იმ რედაქციას, რომელსაც კ. კეკელიძე არსენი ბერისეულს უწოდებს.³³ აღნიშნულ ტექსტს უკავია ხელნაწერის Ir-302 r, ბოლო ნაწილი კი (ხელნაწერის 303-308 ფფ.) სხვა ხელნაწერიდან უნდა წარმოდგებოდეს. არსებობს ძლიერ დაზიანებული 309r-ც, რომელიც მხედრულით შესრულებულ სავედრებელ მინაწერს უკავია. ჩვენთვის საინტერესო ანდერძი მოთავსებულია ხელნაწერის 272v-ზე და ეკუთვნის ამ ნუსხის მომგებელს, დავით გარეჯის უდაბნოში მდებარე დოდოს მონასტრის ბერს რომანოზს. მოვიყვანთ ამ ანდერძის ტექსტს, რომელიც, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არასოდეს ყოფილა გამოქვეყნებული. ტექსტი მოგვყავს ქარაგმების გახსნით, ერთადერთი დაქარაგმებული საკუთარი სახელი დატოვებულია უცვლელად: „სახელითა ღმრთისაჲთა, მამისა და ძისა და წმიდისა სულისაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა და ზეცისა ძალთა და ყოველთა წმიდათაჲთა, მე, ბერმან მწირმან რომანოს გარეშეღმან დოდორაქელმან მოვიგე ესე წიგნი (მარხვათა საგალობელი და

სულისა ყოვლად განმანათლებელი სასოებისა ჩემისა ღმრთისმშობელისა მიმართ დადებითა და სულისა ამის ჩემისა საწყალობელისა და ფრიად ცოდვილისა საღვინებელად (და) შევსწირე თუთ წმიდისა ღმრთისმშობელისავე საყოფელსა, ჟალიას ქართველთა მონასტერსა, მამობასა იე მწიგნობრისასა, და მისითა და სხუათა ყოველთა ძმათა ბრძანებითა, და ვინ და რამანცა გუარამან კაცმან, გინა ხუცესმან, ანუ დიაკონმან, გინა სწავლულმან, ანუ უსწავლელმან, და გინა ვითარმანცა გამოაკუას წიგნი ესე ამას ჟალიას ღმრთისმშობელისა ეკლესიასა, გამოჰმცა (კუეებულ არს ნაწი(ლ)ისა ქრისტეანეთაჲსა, და წმიდისა კლიმი მღღელთმ(ოწამ)ისა დღესასწაულსა ().. (ნ) (მ)... ეს ()ს ყ(ოველ)თა თ()... ა. აღაპი და მღღლის ... (ჟა)მისწირვაჲ და ამისთა აღმასრულებელთა და მ. ებ(ე)ლ(ა)დ მპყრობელთა კურთხევაჲ მიანიჭენ ღმერთმან... (ნ). ამენ“ (Jer 85, 272v). აღნიშნული ანდერძი შესრულებულია არაკალიგრაფიული ნუსხურით, რომელსაც ახასიათებს ზოგიერთი თავისებურება, ვფიქრობთ, განპირობებული წერის სისწრაფით. მხედველობაში გვაქვს არათანაბარი ასოების ხმარება და რიგ შემთხვევაში გრაფიკულად გამარტივებული ქარაგმის ნიშნების გამოყენება. ჩვენი აზრით, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, აღნიშნული ანდერძი XII-XIII საუკუნეებით (XII საუკუნის II ნახევარი - XIII საუკუნის დასაწყისი) შეიძლება დათარიღდეს. ამასთან, უნდა ითქვას, რომ იგი (ანდერძი) არ უნდა იყოს ხელნაწერის გადაწერის თანადროული. ჩვენი ვარაუდით, ძირითადი ტექსტი XII საუკუნეში (პირველ ნახევარში) არის გადაწერილი და დროის გარკვეული მონაკვეთით უსწრებს წინ აღნიშნული ანდერძის შექმნის დროს. პალეოგრაფიული მონაცემების გარდა, ამ ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას იძლევა თვით დამოწმებული ანდერძის ტექსტის შინაარსობრივი მხარეც: ანდერძში ლაპარაკია ხელნაწერის მოგებაზე, მის შეწირვაზე და არა საკუთრივ ხელნაწერის შექმნაზე, მის გადაწერაზე. როგორც წესი, ხელნაწერის გადასწერად გამიზნული მატერიალური დახმარების აღმომჩენი მომგებელი გაკვრით მაინც მოიხსენიებს ხელნაწერის გადაწერის პროცესს, აღნიშნავს ვის მიერ ან რა პირობებში, ან რა მიზნით იქნა გადაწერილი ხელნაწერი, რა სიძნელეები ახლდა მის გადაწერას. კონკრეტულად ვის რა წვლილი მიუძღვის ამ საქმეში და ა.შ.

მოყვანილი ანდერძი რამდენიმე ახალ ცნობას შეიცავს როგორც ქალიას მონასტრის, ასევე საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებულ ქართულ კერათა ურთიერთობის ისტორიისათვის.

1. ანდერძიდან ჩანს, რომ ქალიას მონასტრის ეკლესია ლეთისმშობლის სახელზე ყოფილა აგებული. იხ. ანდერძის ტექსტი: „... შევსწირე თუთ წმიდისა ღმრთისმშობელისავე საყოფელსა ქალიას ქართველთა მონასტერსა...“ და აგრეთვე „... და ვინ და რამანცა გუარმან კაცმან... გამოაკუას წიგნი ესე ამას ქალიას ღმრთის მშობელისა ეკლესიასა...“. როგორც ვხედავთ, აქაც, ისევე როგორც სანკტ-პეტერბურგში დაცული ხელნაწერის ანდერძში, რომელიც ზემოთ დავიმოწმეთ, ვხვდებით მკაფიო მითითებას იმის შესახებ, რომ ეს მონასტერი ქართველთა კუთვნილებას წარმოადგენდა. შდრ. „... შევსწირე თუთ წმიდისა ღმრთისმშობელისა საყოფელსა ქალიას ქართველთა მონასტერსა...“ (Jer 85, 272 v) და „დაიწერა კჳრეს ქართველთა მონასტერსა ქალიას...“ (სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერი №18). როგორც უკვე აღინიშნა, ქართული საისტორიო წყაროები ამაზე გარკვევით არაფერს ამბობენ.

2. ანდერძში ვხვდებით ცნობას იმის შესახებ, რომ რომანოზ ბერის კვიპროსზე ყოფნის პერიოდში ქალიას მონასტრის წინამძღვარი (მონასტრის მამა) ყოფილა იე მწიგნობარი (ანდერძში ეს სახელი დაქარაგმებულია). სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია რაიმე სხვა ქართული წყარო, რომელიც ამ პირს მოიხსენიებდეს. ასე რომ, დაბეჭდვით მისი სრული სახელის თქმაც კი ძნელია, თუმცა, სახელის დაქარაგმების ზოგადი წესიდან გამომდინარე, ქალიას წინამძღვრის სახელის ყველაზე დასაშვებ ვარიანტად ჩვენ მაინც იოანე (იოვანე) მიგვაჩნია. შემდგომ ტექსტშიც ამ პირს ყველგან მოვიხსენიებთ როგორც იოანეს (იოვანეს), მიუხედავად იმისა, რომ გვესმის ჩვენს მიერ შემოთავაზებული ვარიანტის პირობითობა.³⁴

ტექსტიდან ჩანს, რომ ქალიას მონასტრის წინამძღვარს მწიგნობრის წოდება ჰქონია. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისის თანახმად, მწიგნობარი კანონების მცოდნეს, სჯულის მეცნიერს, აგრეთვე სიგელ-გუჯრების შემდგენელ მოხელეს ეწოდებოდა³⁵. მზ. სურგულაძის მითითებით, ტერმინი „მწიგნობარი“ ძვ. აღთქმის წიგნებში იხმარება ბერძ. *gramma-*

teus-ის გადმოსაცემად, მომდევნო პერიოდის თარგმანებში კი იგი nomikos-ის შესატყვისია. ორივე შემთხვევაში ამოსავალი ბერძნული სიტყვები ნიშნავს სჯულის მეცნიერს და კანონმცოდნეს.³⁶ ქართულ დიალომატიკაში მწიგნობარი ფართო გავრცელების მქონე აღრეულ სამოხელეო ტერმინს წარმოადგენს. X-XI საუკუნეებში საბუთების შემდგენ მოხელეებად ყველგან „მწიგნობრები“ მოიხსენიება.³⁷ მკვლევრის მითითებით, საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდებში სახელმწიფო მართვა-გამგეობის სისტემაში მწიგნობრების უფლება-მოვალეობების სხვადასხვაობის მიუხედავად, მწიგნობარი „...ყოველთვის აღნიშნავდა იურიდიული განათლების მქონე მოხელეს, რომელსაც სამართლის სხვადასხვა დარგის სამსახურში შეეძლო მდგარიყო.“³⁸

ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ დამოწმებული ანდერძი რამდენადმე აფართოებს ტერმინ „მწიგნობარის“ მნიშვნელობას, რადგანაც არ გვგონია, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში „მწიგნობარი“ იურიდიული განათლების მქონე მოხელეს აღნიშნავდეს, თუმცა კი მონასტრის წინამძღვრობა, ანუ ამა თუ იმ მონასტრის გაძლოლა, ცხადია, გულისხმობდა სამოქალაქო და, განსაკუთრებით, საეკლესიო სამართლის მეტ-ნაკლებ ცოდნასაც. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ამგვარი მომზადების მქონე პირის (საეკლესიო სამართლის მცოდნე) ზუსტი აღმნიშვნელი უფრო უნდა ყოფილიყო „მერჩულე“; რაც შეეხება „მწიგნობარს“, მიგვაჩნია, რომ მისი სემანტიკური ველი ბევრად უფრო ფართო უნდა იყოს. მოცემული კონტექსტის გასაგებად, ვფიქრობთ, აუცილებელია გავითვალისწინოთ შ. მესხიას მითითება, რომლის მიხედვითაც ქართულ მონასტერში არსებობდა გადამწერთა ამხანაგობები - მწიგნობრობის „ჴლის“ მქონე ძმები, რომლებიც ერთ დასში იყვნენ გაერთიანებული და რომელთა საქმიანობასაც ხელმძღვანელი, „მწიგნობართა დასის“ უფროსი წარმართავდა.³⁹ ქართულ მონასტრებში „მწიგნობრის“ ხელის არსებობას ადასტურებს აგრეთვე XIV საუკუნის მოღვაწის, აგაროზ ბანდაქის ანდერძიც: „წყალობითა ღმრთისაათა მომეცა თწიერ მოძღურისა ჴლოვნება ესევეითარი: პირველად ჴლი - სწავაა ხუცობისაჲ, ჴლი მეორე - მწიგნობრობისაჲ, ჴლი მესამე - წერაჲ ხუცურისაჲ, ჴლი მეოთხე - შექმნაჲ ეტრატისაჲ, ჴლი მესხეთე - შეკრავაჲ წიგნისაჲ, ჴლი მეექვსე - მხატვრობაჲ...“⁴⁰

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჟაღის მონასტრის წინამძღვარი მონასტერში არსებულ გადამწერთა ამხანაგობის წევრი (ხელმძღვანელი?) უნდა ყოფილიყო. მონასტერში სამწიგნობრო სკოლის (ამხანაგობის) არსებობაზე კი ნათლად მიგვითითებს მონასტრის საკრებულოს წევრის მიერ გადაწერილი „ფსალმუნთა თარგმანება“, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. თუმცა კი, ალბათ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გარკვეულ შემთხვევებში სიტყვა „მწიგნობარი,“ უბრალოდ, განათლებულ, განსწავლულ პირსაც აღნიშნავს. „მწიგნობარის“ ამგვარი ინტერპრეტაცია უახლოვდება ამ სიტყვის ისეთ გაგებას, რომელსაც ვხვდებით ქართული ორიგინალური აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებში, სადაც „მწიგნობრობა“ ზოგადად ანბანის, დამწერლობის მნიშვნელობით იხმარება. იოვანე საბანისძე „აბოს წამებაში“ შენიშნავს, რომ აბო საკმაოდ განსწავლული პირი იყო, იცოდა არაბული წერა-კითხვა („სწავლულ იყო მწიგნობრებითა სარკინოზთაჲთა“) და რომ ქართლში მოსვლის შემდეგ მან მალევე შეისწავლა ქართული ენა და ანბანი: „... და შესძინა სწავლად ქართულისა მწიგნობრებისა და ზრახვისა ჭანილად“.⁴¹ იმავე მნიშვნელობას გვიჩვენებს სიტყვა „მწიგნობარი“ გიორგი შერჩულეს თხზულებაშიც. ახასიათებს რა გრიგოლ ხანძთელის განსწავლულობას, თხზულების ავტორი შენიშნავს, რომ გრიგოლმა მრავალი ენა იცოდა და მრავალ ენაზე შეეძლო კითხვა: „(გრიგოლმა) ... ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა და მწიგნობრობაჲცა ისწავლა მრავალთა ენათაჲ და საღმრთონი წიგნი ზეპირით მოიწუართნა“.⁴²

ასევე ესმის სიტყვა „მწიგნობარი“ სულხან-საბა ორბელიანსაც, რომლის განმარტებითაც მწიგნობარი წერილთ ოსტატს ნიშნავს⁴³ (შდრ. ამავე ძირის მქონე ზმნა მის ლექსიკონში: „ვმწიგნობრობ - წიგნთ კითხვასა ვიქ, წიგნთა ვიკითხავ,“⁴⁴ აგრეთვე ილ. აბულაძისეული განმარტება: „მწიგნობარი - ლიტერატორი, გრამატიკოსი, სქოლასტიკოსი, მწერალი.“⁴⁵ ვფიქრობთ, ერთმანეთისაგან დროის დიდი მონაკვეთებით დაშორებული ამ მაგალითებიდან ნათლად იკვეთება სიტყვა „მწიგნობარის“ იმ მნიშვნელობის სიმყარე და „მდგრადობა“, რომელზედაც ვლაპარაკობთ.

როგორც ვხედავთ, იკვეთება საკმაოდ ჰერელი სურათი, საიდანაც თავის დაღწევა, ვფიქრობთ, შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი არ მოვახდენთ „მწიგნობრის“ რომელიმე ზემოთ აღნიშნული მნიშვნელობის „გატოტალურებას“ ყველა კონტექსტში. სხვა სიტყვებით, „მწიგნობარი“ წარმოგვიდგება როგორც ფართო მნიშვნელობის მქონე სიტყვა, რომელიც, კონკრეტული კონტექსტიდან გამომდინარე შეიძლება აღნიშნავდეს ან სკულის მეცნიერს, ან მოხელეს, ან სწავლულ პირს და ა.შ. ამ სიტყვის მნიშვნელობის ზოგად ორიენტირად კი შეიძლება გამოდგეს კონკრეტული სოციალური გარემო იმ ტექსტისა, სადაც ეს სიტყვა ფიგურირებს (კანცელარია, ეკლესია-მონასტერი, სასამართლო დარბაზი და სხვ.). აქვე ანალოგიურად შეიძლება მოვიყვანოთ ტერმინი „მწერალი“ - ცნობილია, რომ მწერლები იყვნენ მეფის კარზეც და ეკლესია-მონასტრებშიც. დავუმატებთ, რომ ტერმინ „მწიგნობარის“ ზოგადი ხასიათი, ჩვენი აზრით, ყველაზე უკეთ იკვეთება იმ ფაქტში, რომ რიგ შემთხვევებში საჭირო გამხდარა მისი დაკონკრეტება-დავიწროება თვით ერთი სოციალური ჯგუფის ფარგლებშიც კი განსხვავებული ფუნქციის მქონე მოხელე მწიგნობართა აღსანიშნავად, მათ შორის არსებული დიფერენციაციის გამოსახატავად. ამოსავალი ტერმინი „მწიგნობარი“ უცვლელი რჩება, მას ემატება დამაკონკრეტებელი ფუნქციის მქონე მსახურელები. ასეთებია სხვადასხვა დროს შექმნილი ტერმინები: მწიგნობარ-მწერალი,¹⁶ ბჭეთ მწიგნობარი,¹⁷ საწოლის მწიგნობარი,¹⁸ კარის მწიგნობარი.¹⁹

დავუბრუნდეთ ჩვენთვის საინტერესო ანდერძის ტექსტს. ჩვენი აზრით, „მწიგნობრობა“ აქ წარმოგვიდგება როგორც ჟალიას მონასტრის წინამძღვარ იოანეს (იოვანეს) ერთ-ერთი ფუნქცია, რომელსაც იგი უთავსებდა თავის ძირითად საქმიანობას - ჟალიას მონასტრის მართვა-გამგეობას. ეს ფუნქცია კი სამონასტრო სამწიგნობრო სკოლის ცხოვრებაში, აქტიურ მონაწილეობას გულისხმობდა. სხვანაირად, ვფიქრობთ, ძნელი ასახსნელი იქნება, რატომ უნდა ეტარებინა ჟალიას მონასტრის წინამძღვარ იოანეს (იოვანეს) საერო-სამოხელეო სტატუსის აღმნიშვნელი წოდება. მართალია, ცნობილია შემთხვევები, როდესაც ბერად აღკვეცილ პირს გარკვეულ შემთხვევებში მოიხსენიებდნენ ხოლმე მისი ერისკაცობის დროინდელი წოდებითაც, მაგ. იოანე პატრიკყოფილი, თორნიკე პა-

ტრიკი, მაგრამ „მწიგნობრის“ ხელი იერარქიულად იმდენად დაბალ საფეხურზე იდგა პატრიკიოსის წოდებასთან შედარებით, რომ მისი (საერო ცხოვრებაში „მწიგნობრის“ ხელის ქონება) ხაზგასმა, ვეტიკრობთ, ბევრს ვერაფერს შემატებდა ქალიას მონასტრის წინამძღვარს.

3. დამოწმებული ანდერძიდან ჩანს, რომ ხელნაწერ Jer. 85-ის მომგებელი ყოფილა დავით გარეჯის უდაბნოს დოდოს მონასტრის საკრებულოს წევრი, მწირი ბერი რომანოს გარეშეული დოდორ-ქელი (თავისთავად საინტერესოდ გვეჩვენება აქ გამოყენებული ორმაგი ზედწოდებაც - გარეშეული დოდორ-ქელი, რადგანაც, უმრავლეს შემთხვევაში, ორივე მათგანი იხმარებოდა ცალ-ცალკე: ან გარეშეული, ან დოდორ-ქელი). გარეჯის უდაბნოს მოღვაწეთაგან ამ სახელით ჩვენთვის ცნობილია რომანოზ მიტროპოლიტი, გიორგი არაგვის ერისთავის ძე, რომელიც XVIII საუკუნეში მოღვაწეობდა. იგი ბერად აღკვეცილა გარეჯის მონასტერში, სადაც უცხოვრია 12 წლის განმავლობაში, გამხდარა არქიმანდრიტი, შემდგომში უკურთხებიან სამთავისის ეპისკოპოსად.⁵⁰ თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი მას გაუტარებია რუსეთში, თუმცა, საბოლოოდ, საქართველოში დაბრუნებულა. გარდაცვლილა იგი გარეჯში, სადაც დაუკრძალავთ კიდეც⁵¹. რომანოზ მიტროპოლიტის სალიტერატურო-მწიგნობრულ ინტერესებზე მეტყველებს მის მიერ გადაწერილი ხელნაწერები⁵² და მისი აქტიური მონაწილეობა ქართული წიგნების ბეჭდვის საქმეში მოსკოვში დაარსებულ ბაქარის სტამბაში. ცნობილია, რომ რომანოზი მოსკოვშიც ზრუნავდა გარეჯის სამონასტრო ბიბლიოთეკის გასამდიდრებლად - მას საქართველოში გამოუგზავნია რამდენიმე წიგნი დავით გარეჯის მონასტრისათვის.⁵³ სახელისა და სამოღვაწეო ადგილის თანხვედრის მიუხედავად, შეუძლებლად მიგვაჩნია რომანოზ მიტროპოლიტის გაიგივება ხელნაწერ Jer.85-ის მომგებელთან, რადგანაც ამას ეწინააღმდეგება როგორც ჩვენთვის საინტერესო ანდერძის პალეოგრაფიული მონაცემები (როგორც უკვე ითქვა, ხელის მიხედვით ანდერძს ჩვენ ვათარილებთ XII საუკუნის II ნახევრით ან XIII საუკუნის დასაწყისით), ასევე ის ფაქტიც, რომ როგორც ტიმოთე გაბაშვილის თხზულებიდან ჩანს, XVIII საუკუნეში კუნძულ კვიპროსზე არ არსებობდა არა მარტო რაიმე ქართული მონასტერი, არამედ თვით ზეპირი ტრადიციაც კი ოდესღაც კუნძულზე ქართული კოლონიის არსებობის შესახებ.

სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია რაიმე სხვა ცნობა XII-XIII საუკუნეებში მოღვაწე დოდორქელი ბერის რომანოზის შესახებ. ასე რომ, მისი საბოლოო ინდენტიფიცირების საკითხი ჯერჯერობით ღიად უნდა დარჩეს. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ერთადერთ ცნობას ამ პირის შესახებ გვაწვდის ხელნაწერ Jer.85-ის ანდერძი, საიდანაც ირკვევა, რომ რომანოზს გარეშე დოდორქელს განუხორციელებია შორეული მოგზაურობა კუნძულ კვიპროსზე და იქ არსებული ჟალიას ქართული მონასტრის წიგნსაცავი კიდევ ერთი ხელნაწერით გაუმდიდრებია. თავისთავად საინტერესოა ისიც, რომ დამოწმებული ანდერძის მეშვეობით ჩვენთვის ცნობილი ხდება დოდოს მონასტრის საკრებულოს კიდევ ერთი წევრი.

4. ანდერძის ტექსტი საშუალებას იძლევა ვიფიქროთ, რომ რომანოზს ხსენებული ხელნაწერი ჟალიას მონასტრისათვის მის მოღვაწეთა თხოვნით შეუწირავს: „...ესე წიგნი... შევსწირე.. ჟალიას ქართველთა მონასტერსა მამობასა იე მწიგნობრისასა და მისითა და სხუათა ყოველთა ძმათა ბრძანებითა...“ სამწუხაროდ, დაზიანებულია და სრულად არ იკითხება ალაპის განგება, რომელიც დაუწესებია რომანოზს ჟალიას მონასტრის მკვიდრთათვის. ალაპი დაწესებული ყოფილა კლიმი მღვდელმონაწამის ხსენების დღეს.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ დოდორქელი მოღვაწის, რომანოზის ანდერძი კარგი საილუსტრაციო მაგალითია ქრისტიანულ სამონასტრო კოლონიებში ფართოდ გავრცელებული პრაქტიკისა, რაც სხვადასხვა, ხშირად დიდი მანძილით დაცილებული წმინდა ადგილებისა და მათ სიახლოვეს განლაგებული სამონასტრო კოლონიების მონახულებას გულისხმობდა. მოკვანილი ანდერძი არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ აღვადგინოთ რომანოზის მოგზაურობის სრული მარშრუტი, მაგრამ სავარაუდოა, რომ დოდორქელი ბერი მხოლოდ კვიპროსის ჟალიას მონასტრით არ შემოიფარგლებოდა და მოინახულებდა თუნდაც კუნძულის სიახლოვეს მდებარე ჩრდ. სირიის თუ პალესტინის წმინდა ადგილებსა და მათ მეზობლად არსებულ ქართულ სამონასტრო კოლონიებსაც. ამისდა მიუხედავად, ვფიქრობთ, რომ ხელნაწერ Jer. 85-ის ანდერძი საინტერესო მასალას გვაწვდის ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო კერათა ურთიერთობის ერთი კონკრეტული ფაქტის შესახებ.

¹ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულება, ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, I, თბ., 1955, გვ. 352-353.

² ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 142.

³ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 91.

⁴ ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 32-33.

⁵ ნიკოლოზ დვალის წამება (სვინაქსარული რედაქცია), ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, თბ., 1968, 348-349.

⁶ ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980, გვ. 253; W. Djobadze, Observations on the Georgian monastery of Jalia (Galia) in Cyprus, Oriens Christianus, 1984, s 68, გვ. 205-206

⁷ W. Djobadze, დასახ. ნაშრ., გვ. 197; ო. გიგინეიშვილი, კვალი კვიპროსისა კენ მიდის, გაზეთი „კომუნისტი“, 06, 01, 1963: ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე N. Salia, Intéressantes découvertes, apport à l'histoire des relations culturellcs cypro-géorgiennes, Bédi Kartlisa, Revue de Kartvélogie, vol. XV-XVI (№ 43-44), Paris, 1963, გვ. 82-86; O. I'игинсишвили, Кипрские находки, газета "Вечерний Тбилиси", 28. XI. 1962.

⁸ W. Djobadze, დასახ. ნაშრ., გვ. 197.

⁹ იქვე.

¹⁰ ო. გიგინეიშვილი, კვალი...

¹¹ ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, გამოსცა, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო ე. მეტრეველმა, თბ., 1954, გვ. 94-95.

¹² იქვე, გვ. 4.

¹³ თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ დამოწმებულ ადგილში იკვეთება ტიმოთე გაბაშვილის მუშაობის ერთგვარი კრიტიკული მეთოდით – იგი აღწერის ღირსად მიიჩნევს არა ზოგადად ყველა მოსმენილ ამბავს, არამედ მხოლოდ „სარწმუნოდ სმენილს.“ ტიმოთეს მუშაობის მეთოდთან დაკავშირებით იხ. ტიმოთე გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 0198- 1201.

¹⁴ W. Djobadze, დასახ. ნაშრ., გვ. 209.

¹⁵ თ. ჟორდანიას, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, I, თბ., 1892, გვ. 128. სამეცნიერო ლიტერატურაში დამოწმებული ანდერძი სხვადასხვა-ნაირადაა დათარიღებული. თ. ჟორდანიას მითითებით, ანდერძი შექმნილი უნდა იყოს X საუკუნეში (იქვე, გვ. 130-131), მაშინ როდესაც ა. ცაგარელი ხელნაწერის დაწერის თარიღად მიიჩნევს XII-XIII სს-ს. (A. Цагарели, Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае, Православный Палестинский сборник, т. VI, вып. I, СПб. 1888, გვ. 128).

¹⁶ ო. გიგინეი შვილი, კვალი...

¹⁷ იქვე.

¹⁸ კ. ინგოროყვა, დასავლეთ საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო („აფხაზეთის სამეფო“) და ცნობები მის შესახებ გიორგი მერჩულეს ძეგლში, გიორგი მერჩულე, თბ., 1956, გვ. 165.

¹⁹ იქვე, გვ. 165-166.

²⁰ W. Djobadze, დასახ. ნაშ., გვ. 197-199; ო. გიგინეი შვილი, კვალი...

²¹ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1956, გვ. 531.

²² იქვე, გვ. 114, 530, 531.

²³ W. Djobadze, დასახ. ნაშრომი, გვ. 197-199.

²⁴ იქვე, გვ. 200.

²⁵ იქვე, გვ. 203, 205.

²⁶ იქვე, გვ. 205, 207.

²⁷ იქვე, გვ. 200, 208.

²⁸ იქვე, გვ. 206.

²⁹ თ. ჟორდანიას, ქრონიკები, I, გვ. 128.

³⁰ W. Djobadze, დასახ. ნაშრომი, გვ. 206.

³¹ ე. მეტრეველი, გ. ავალიშვილი — ბიბლიოფილი და კოლექციონერი, კ. კველიძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1959, გვ. 257, 260 (ავალიშვილის მიერ ჭვრის მონასტრიდან წაღებული ქართული ხელნაწერების შესახებ იხ. აგრეთვე А. Цагарели, დასახ. ნაშრომი, გვ. 182-192; Р. Р. Орбели, Грузинские рукописи Института востоковедения АН СССР, Москва-Ленинград, 1956, გვ. 6, 159-160)

³² B. Blanc, Catalogue de manuscrits géorgiens de la Bibliothèque patriarcale grecque à Jerusalem, Revue de l' Orient Chrétien, 3-ème série, T. IV (XXIV), 1924, № 3 et № 4, გვ. 412.

³³ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., გვ. 313-314.

³⁴ ნაკლებად დასაშვებია, მაგრამ არ არის გამორიცხული სხვაგვარი წაკითხვებიც, მაგ., იოაკიმე (იოვაკიმე), იოანიკე, იესე (იასე). თუმცა ჩვენ ყველაზე მისაღებად, როგორც აღვნიშნეთ, იოანე (იოვანე) მიგვაჩნია.

³⁵ ივ. ჭავჭავაძის შვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 48; მზ. სურგულაძე, ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბ., 1978, გვ. 137-138.

³⁶ მზ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 137-138.

³⁷ იქვე, გვ. 138-139.

³⁸ იქვე, გვ. 141.

³⁹ შ. მესხია, ხელოვნური წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხისათვის X-XII სს. ქართულ მონასტრებში, მიმოხილველი, I, თბ., 1949, გვ. 71.

- ⁴⁰ ხელნაწერი A 575, 155r ავგაროზის ანდრეძის ტექსტი გამოქვეყნებულია, იხ. Ф. Жордания. Описание рукописей Тифлисского Музея, книга II. Тифлис, 1902. გვ. 94.
- ⁴¹ იოვანე საბანისძე, მარტილობაჲ ჰაბო ტფილელისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1963, გვ. 56-57.
- ⁴² გიორგი მერჩულე, ცხორებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1963, გვ. 250.
- ⁴³ სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1991, გვ. 545.
- ⁴⁴ იქვე, გვ. 269.
- ⁴⁵ ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მასალები, თბ., 1973, გვ. 310.
- ⁴⁶ ჩვენთვის ცნობილია ბაგრატ IV-ის კარზე მოღვაწე მწერალ-მწიგნობარი, რომლის ხელითაც არის დაწერილი ბაგრატ მეფის შეწირულობის წიგნი შიომღვიმის მონასტრისადმი (1057 წ.). სხვათა შორის, იგი იოანეს სახელს ატარებს (იხ. ქართული სამართლის ძეგლები, II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ.7).
- ⁴⁷ ი. აბულაძე, დასახ. ლექს., გვ. 35.
- ⁴⁸ სულხან-საბა ორბელიანი, დასახ. ლექს., გვ. 245.
- ⁴⁹ თ. ჟორდანიას, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, II, თბ., 1897. გვ. 224-225.
- ⁵⁰ მ. ქავთარია, დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, თბ., 1965, გვ. 139.
- ⁵¹ იქვე, გვ. 139, 142.
- ⁵² რომანოზის მიერ გადაწერილი ხელნაწერებია: A 149, A 161 (იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ. I (2), თბ., 1976, გვ. 204, 229). (იხ. A 914. Ф. Жордания, Описание... книга I, Тифлис, 1908, გვ. 192-193).
- ⁵³ მ. ქავთარია, დასახ. ნაშრ., გვ. 142.

ქართული ნაბეჭდი წიგნი

მიხეილ ჭავთარია

ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიიდან

ქართული წიგნის ბეჭდვისა და გავრცელება-გასაღების შესახებ, სამწუხაროდ, ცნობები არცთუ ბლომად შემოგვრჩა. მიუხედავად იმისა, რომ წიგნის ბეჭდვის ისტორიას მრავალი მეტად საინტერესო მონოგრაფია თუ გამოკვლევა მიეძღვნა, გავრცელების შესახებ მათში დოკუმენტური მასალა წარმოდგენილი არ არის. ერთადერთი გამონაკლისი (ისიც ნაწილობრივ) ამ მხრივ ბაქარის ბიბლიასთან დაკავშირებით შეიძლება დავასახელოთ. სოლ. ყუბანეიშვილმა, ნ. მახათაძემ, ფრ. სიხარულიძემ და სხვებმა გამოაქვეყნეს საარქივო მასალები (ძირითადად რუსეთის არქივებში მოძიებული), რომლებიც რამდენადმე ქმნიან წარმოდგენას ბიბლიის ცალების საქართველოში ჩამოღწევის შესახებ.

ამჟერად ჩვენი მიზანია გამოვაქვეყნოთ დოკუმენტი, რომელიც ერთგვარად შეავსებს ჩვენს ცოდნას ქართული წიგნის საქართველოში ჩამოტანის და გავრცელების შესახებ.

პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის საცავში ინახება აკად. მარი ბროსეს პირადი საარქივო ფონდი, რომელიც უაღრესად საინტერესოა, მაგრამ, სამწუხაროდ, დაუმუშავებელი და საზოგადოებისათვის თითქმის უცნობი! მარი ბროსეს არქივში ინახება ხელნაწერი E-104, რომელიც მას 1838 წელს საჩუქრად მიუღია პეტრე ქებაძისაგან, როგორც ეს მინაწერიდან ჩანს. ხელნაწერში გაერთიანებულია სხვადასხვა ხასიათის დოკუმენტები - არა პეტრე ქებაძისაგან გადაწერილი, არამედ დედნები. ამ ხელნაწერში წარმოდგენილია სამი დოკუმენტი, რომელიც 1805-1808 წლებში მოსკოვში დაბეჭდილ სადღესასწაულოს გავრცელებასთან დაკავშირებულ ხარჯების შესახებ შეიცავს ცნობებს.

ფაქტობრივად, სამივე დოკუმენტი ერთი შინაარსისაა და მხოლოდ უმნიშვნელო მონაცემებით სხვაობს ერთმანეთისაგან.

როგორც ვთქვით, ქართული წიგნის ბეჭდვა-გავრცელებასთან დაკავშირებული ცნობები ნაკლებად მოგვეპოვება, ამიტომ ეს ინფორმაცია გარკვეული მნიშვნელობით უნიკალურია. მართალია, დოკუმენტი 1805-1808 წლებში მოსკოვში დაბეჭდილ სადღესასწა-

აულოს გავრცელებას შეეხება, მაგრამ იგი არსებითად მეტ-ნაკლებად წარმოადგენს რუსეთში დაბეჭდილ ქართულ წიგნზე გაწეული შრომისა და ენერჯის ერთგვარ ანგარიშს.

ცნობილია, ამ დროს საქართველოში წიგნის ბეჭდვა არ არსებობს და მხოლოდ რუსეთში დასტამბული წიგნებით მარაგდება ქართული ეკლესია-მონასტრები. ვახტანგისა და ერეკლე-ანტონის სტამბის გამოცემებიც სანთლით საქმბარია. მხოლოდ რუსეთიდან შემოდის საღვთისმსახურო ლიტერატურა, ამიტომ დოკუმენტის მონაცემები, როგორც ვთქვით, ნაბეჭდი პროდუქციის გავრცელების სურათის აღდგენის შესაძლებლობასაც იძლევა.

რუსეთში მოღვაწე ქართველ ემიგრანტებს სამშობლოსთან აქტიური კონტაქტები ჰქონდათ. მათი ზრუნვაც კარგად ჩანს დოკუმენტიდან, ასევე კარგად ჩანს ადგილობრივი საზოგადოების ინტერესიც წიგნებისადმი?

სადღესასწაულოს ბეჭდვა მოსკოვის ტიპოგრაფიაში დაწყებულა 1805 წელს და გათავებულა 1808 წლის 20 ივნისს. „გულმოდგინებითა, შრომითა და ღვაწლითა, უწმინდესისა და უმართებულესისა სინოდის ჩლენისა და კავალერიის, არხიეპისკოპოსის ვარლამ ქსნის ერისთავის დავითის ძისათა. თანაშრომითა და ცენზურობითა ყოვლად სამღვდელოს მიტროპოლიტის იონა გედეონის სარდლის გაბრიელის ძისათა; ზედამხედველობითა საქართველოს მეფის იესეს შვილის შვილის დიმიტრი გიორგის ძის ბაგრატიონისათა; ფრიადითა შრომითა იულონის, ნიკიფორეს თელავის ეკლესიის მღუდლის მიხაილის ძის მიხაილოვისათა; მებრძანა უწმინდესი სინოდის ჩლენის ვარლამ არხიეპისკოპოსისაგან მე პაიჭაძე გიორგი მესტამბეს წიგნისა ამის სადღესასწაულოს დაბეჭდვაჲ, ვინაიდან არა იყო ქართულსა ენასა ზედა დაბეჭდით, მორჩილ ვექემენ ფრიადის გულმოდგინებით, ოთხსა წელსა არა დაესცხერ შრომითა და მღვიძარებითა, თვით ანბანის მოჭრითა, გაწყობითა, ჩაკითხვითა...“

ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ სადღესასწაულოს დაბეჭდვის თარიღთან დაკავშირებით.

„ქართული წიგნის“ პირველ ტომში წიგნის დაბეჭდვის თარიღად მითითებულია 1805 წელი, თუმცა იქვე აღნიშნულია: „დასრულდა 1808 წელს“.

ო. კასრაძე წიგნში „ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნი“ (1973წ.) როდესაც ქუთაისის სტამბის დაარსებაზე და გიორგი პაიჭაძის შესახებ საუბრობს, ამბობს, რომ გ. პაიჭაძე ქუთაისიდან მოსკოვში

უნდა წასულიყო 1801 წელს, რადგანაც სადღესასწაულო მისი მონაწილეობით გამოქვეყნდა 1805 წელს, ხოლო ანდერძში წერს: „ოთხსა წელსა არა დავსცხერ შრომითა“. მკვლევარი განაგრძობს, რომ თუ მის მიერ შემოთავაზებული თარიღი (1801 წ.) გ. პაიჭაძის მოსკოვში გადასახლებისა მისაღები არ არის, „მაშინ ექვს ქვეშ უნდა იქნეს დაყენებული აგრეთვე „სადღესასწაულოს“ 1805 წელს მოსკოვში დაბეჭდვის საკითხი“ (გვ. 114-115). ავტორმა ექვი აღარ გააძლიერა, რადგანაც მისთვის 1805 წელი სადღესასწაულოს გამოქვეყნებისა უცილობლად მისაღები იყო.

ამბროსი ხელაიამ XX საუკუნის დამდეგს აღწერა რაჭა-ლეჩხუმის სიძველენი, მათ შორის ქელიშის მონასტრის კუთვნილი ნაბეჭდი წიგნებიც. პირველ ნომრად იგი აღწერს სწორედ სადღესასწაულოს, რომლის დაბეჭდვის თარიღს იძლევა 1805 წლის 5 ივნისიდან 1808 წლის 20 ივნისამდე.

მართლაც, როგორც შემოთავაზებულადაა, ვარლამის ანდერძის ბოლოს წერია: „დასრულდა 1808 წელს“ 1805 წლიდან მართლაც 4 წელი გამოდის 1808 წლამდე (1805, 1806, 1807, 1808). მაშასადამე, სადღესასწაულო გამოქვეყნდა 1808 წელს (ბეჭდვა დაიწყო 1805 წელს) და არა 1805 წელს. დოკუმენტიც, რომელსაც ჩვენ ვაქვეყნებთ, ინფორმაციას 1809 წლით იწვებს. წარმოუდგენელია, წიგნი დასტამბულიყო 1805 წელს და მის გამოგზავნაზე ზრუნვა დაეწყოთ 1809 წელს. ქეშმარიტებასთან უფრო ახლოს ვიქნებით, თუ ბეჭდვის დამთავრებასაც და წიგნის გამოქვეყნებას 1808 წლით დავათარილებთ. გამომცემლებმა ბეჭდვის დაწყების თარიღი მიუთითეს სატიტულო ფურცელზე, თუმცა არც დასრულების თარიღი დაუძალავთ. ამიტომ სადღესასწაულოს დაბეჭდვის თარიღად უნდა ვცნოთ 1805-1808 წლები და არა 1805 წელი, როგორც ეს „ქართულ წიგნშია“.

წიგნს ერთვის დიმიტრი ბაგრატიონის ლექსი, რომელშიც ნახსენები არიან მესვეურნი სადღესასწაულოს ბეჭდვისა:

„ღვთის შეწევნითა, ზესთა ზენითა,
მოსკოვს შემზადდა სტამბა ქართული,
ქსნის ერისთვსა, დავითის ძისა,
ვარლამის ღუაწლით არს გამართული;
ვინ იყო ძველად ანტალის მწყემსად
აწ რუსთ სინოდის წევრად შართული

გიძღუნისთ ივერთა, ამერ-იმერთა,
წიგნს დღესასწაულთ მბეჭდულს სრული.
მასთან იონა, ვინ არიონა,
შრომის მდინარე, ცენძურობითა,
მიტროპოლიტმა, განშინჯ-განმჭურიტმა,
გედეონის ძემ ძველ გვარობითა,
ნიკიფორითა მკითხველმ სწორითა,
იგულსმოდგინეს საკმარობითა;
პაიჭაძემან, ვით მესტამბემან,
ჰმართა ყოვლითა სახმარობითა,
სტამბის მუშაყნი ითხოვენ
შეცთომის მოტევებასა,
წამკითხველთაგან არ უნებსთ
კრულებით სულიებასა.
მაშურალთა უხამსთ კურთხევა
ნუ გარდავცდებით მცნებასა,
სივრცე გასინჯეთ წერილთა,
მაშინლა ბრძანებთ ქებასა.

თქმული დიმიტრი ბაგრატიონისა²¹!

ვიძღვევით დოკუმენტის ტექსტს:

„ჩუთ-სა წელსა მოსკოვის ტიპოღრაფიილამ გამოუტანია იონანა მიტროპოლიტს სხვასა და სხვას დროებში ექვსას ორმოცდათვრამეტი შეკრული სადღესასწაულო. ამ სადღესასწაულოებილამ აქ საქართველოში წამოულია ნიკიფორეს ექვსას ოცი, იონასთან დარჩომილა ოცდათვრამეტი. ნიკიფორესგან წამოღებულის სადღესასწაულოებილამ ვისაც მისცემოდა ან როგორ დახარჯულა ამის ქვემოთ დაიწერება:

ბ (2) ქ. მარიამ დედოფლისათვის მიურთმევეია ნიკიფორეს.

ა (1) ქ. გაიოზ არქიერისათვის მიურთმევეია.

ბ (2) ქ. გაბრიელ ყაზიბეგაშვილს აულია.

ა (1) ქ. მიხაილ სარაჯოვს წაულია.

დ (4) ქ. გზაზე ოსებს კაროპკები დაუხვრეტიათ, წიგნები სრულებით წამხდარიყო ოთხივე.

ა (1) ქ. ანანურის კარახტინში ქურდებს მოეპარათ.

ა (1) ქ. მცხეთის კარახტინში მოსავლელად დეკანოზისათვის მიეცა.

- ა (1) ქ. კათალიკოზს მიერთო ერთი.
 ა (1) ქ. ტერ მოსოვს მიერთო ერთი.
 ა (1) ლუბერნატორს მიერთო ერთი.
 ა (1) ქ. ერთი რუსს მისცემია.
 ა (1) ქ. ერთი ბოდბელს მისცემია.
 ბ (2) ქ. ნინოწმიდელს მიეცა ორი ეპარხიისათვის.
 ა (1) ქ. ალავერდის ეკლესიას მიეცა.
 ა (1) ქ. ნეკრესელს მიეცა.
 ა (1) ქ. ხარჭაშნელს მიეცა.
 ა (1) ქ. ნათლისმცემლის მონასტერს მიეცა.
 ა (1) ქ. დავით გარეჯის მონასტერს მიეცა.
 ა (1) ქ. სიონს მიეცა.
 ა (1) ქ. მთავარეპისკოპოსს მიეცა.
 ა (1) ქ. რუისის ეკლესიას მიეცა.
 ა (1) ქ. ნიჭოზის ეკლესიას მიეცა.
 ა (1) ქ. წილკანის ეკლესიას მიეცა.
 ა (1) ქ. სამთავისის ეკლესიას მიეცა.
 ა (1) ქ. მღვიმის მონასტერს მიეცა.
 ა (1) ქ. ელევთერ არხიმანდრიტს მიეცა გასამრჯელოდ.
 ა (1) ქ. ქვაბთახევის მონასტერს მიეცა.
 ა (1) ქ. იმერეთის მეფეს მიერთო.
 ა (1) ქ. ზურაბ წერეთელს მიეცა.
 ა (1) ქ. ქაიხოსრო წერეთელს მიეცა.
 ა (1) ქ. ქყონდიდელს მიეცა.
 ა (1) ქ. ქუთათელს მიეცა.
 ა (1) ქ. გენათელს მიეცა.
 ა (1) ქ. იმერეთის მთავარეპისკოპოზს მიეცა.
 ა (1) ქ. დათუა მალალაშვილს წაუღია თავის გასამრჯელოდ.
 ე (5) ქ. წილკანის ეკლესიაში დაწყობილი იყო და აქ წყალს
 წაეხდინა.
 ბ (2) ქ. კახეთში ნიკიტორეს ძმას რომ დაჰქონებია გასასყიდად,
 იქ დაჰკარგვია.
 ი (10) ქ. ქართლში არის დარჩომილი, რომ არ გასყიდულა.
 იე (15) ქ. კახეთში არის დარჩომილი (1v).
 იზ (27) ქ. ქალაქში არის დარჩომილი.

დ (4) ქ. იოანას ბარათით დახარჯული არის:

ამ ზემოს სიის ჯამი არის ას შვიდი¹, დანაშთოში ხუთას ცამეტი, როგორც გასყიდულა, ამას ქვემოთ დაიწყება:

სმ (240) ქ. ნიკიფორეს გაეგ ზავნა იმერეთში. ასი უნდა გასყიდულიყო, ერთი ოცდაოთხ მინალთუნად, ამისი ფასი იქნება სმ (240)

ტე (305) ქ. თითონ ნიკიფორეს გაეყიდნა ქართლში ას ოცდაორი, თითო ოცდახუთ მინალთუნად, ამისი ფასი იქნება ტე (305)

ქ. წირკნელმა გაყიდა თავის სამწყსოში ორმოცდაცამეტი, თითო ოცდაექვს მინალთუნად, ამისი ფასი იქნება რლზ (137).

ქ. ბოლბელმა გაყიდა თავის სამწყსოში ორმოცდაცხრამეტი, თითო ოცდაექვს მინალთუნად, ამისი ფასი იქნება რნგ (153).

ქ. ნინოწმიდელმა გაყიდა თავის სამწყსოში სამოცდაოთხი, თითო ოცდაექვს მინალთუნად, ამისი ფასი იქნება რფვ (166).

ქ. ნიკიფორეს ძმამ დავით მღვდელმა გაყიდა კახეთში სამოცდათხუთმეტი, თითო ოცდაექვს მინალთუნად, ამისი ფასი იქნება რყე (195).

ქ. ალავერდის დეკანოზმა გაყიდა თერთმეტი, თითო ოცდაექვს მინალთუნად, ამისი ფასი იქნება კს (28).

ქ. ქალაქში გაისყიდა ოცდაცხრა; თითო ოცდაექვს მინალთუნად, ამისი ფასი იქნება ოე (75).

ამ გასყიდულების ხუთას ცამეტის სადღესასწაულოს ფასი სრული ჩტა (1301).

ჯამი არის თეთრი ფული და ეს თეთრი, როგორც ჩანს, რაზედაც დახარჯულა, ყოველივე ქვემოთ დაიწყრება.

ქ. ლინიილამ ანანურამდინ წამოსაღებად წიგნების ქირად გაბრიელ ყაზიბეგის შვილს მიეცა მიხეილ სარაჯოვის ხელით თეთრი ფული.

ა (1) ქ. ანანურილამ მცხეთის კარახტინამდინ დახარჯულია თეთრი ა (1).

ბ (80) ქ. მცხეთის კარახტინილამ ქალაქამდინ ქირა მიეცა თეთრი ფული ბ (80).

ა (1) ქ. ტფილისილამ თელავამდინ ასის წიგნის ქირა მიეცა წასაღებად ა (1).

ბ (2) ქ. თელავილამ გაღმა მხარამდინ ქირისათვის და სასმელსაქმელზე დახარჯულა ბ (2).

ქ. წიგნების წასაღებად ორს ხურჯინში მისცემია:

- ქ. ნინოწმიდელთან წასაღებად ქირა მიეცაშ (8).
 ქ. ქისიყ წასაღებად ბოდბელთან ქირა მიეცა.
 ქ. ქართლში ნიკიფორესგან დახარჯულა სოფლებში წიგნების წაღება-წამოღებაზე კაცის საქირავებლად და სახლების საქირავებლად და წვრილ ხარჯად 8 (7)⁵.
 ვ (6) ქ. სერაპიონ ბერს მისცემია თავის გასამრჯელოდ იმერეთში და ქართლში წიგნების წაღება-წამოღებაზე და თეთრის აკრეფაში ვ (6).
 გ (3) ქ. შირკნელის კაცს მიეცა გასამრჯელოდ გ (3).
 გ (3) ქ. ბოდბლის კაცს მიეცა გ (3).
 ვ (6) ქ. ნინოწმიდელის ბერს მიეცა გასამრჯელოდ ვ (6).
 ბ (2) ქ. ალავერდის დეკანოზს მიეცა ბ (2).
 ი (10) ქ. ნიკიფორეს ძმას დავით მღუღელს მიეცა, რადგანაც ამ წიგნების წაღება-წამოღებაში ცხენი მოჰკვდომოდა და ბევრსაც გარჯილიყო.
 გ (3) ქ. თეთრის მოკრეფისათვის საიასაულო მისცემია სხვადასხვა კაცსა.
 ა (1) ქ. ქალაქში გასყიდულის წიგნებისათვის მიეცა.
 რკა (121) ქ. ამ წიგნების წაღება-წამოღებაში, ურმისა და ცხენის ქირა და გამსყიდველების ხარჯი და ვისაც რა მისცემია ზემოთ დაწერილის ჩვიდმეტისა კალმის ჯამი არის რკა (121) (2რ).
 ქ. რაც ნისიად დარჩომილი არის და ჯერ არ მოუციათ ამას ქვეით იჩვენება.
 ქ. ნიკიფორეს გასყიდული წიგნებიდამ დარჩომილა თეთრი ნისიად რმ (140).
 ქ. ნინოწმინდლის გასყიდული წიგნებიდამ დარჩომილა თეთრი ნისიად იდ (14).
 ქ. ნიკიფორეს ძმისაგან გასყიდულების არის დარჩომილი ვ (6).
 ქ. ქალაქში გასყიდული წიგნებისა არის ნისიად დარჩომილი ვ (6).
 ქ. ზემოთის ოთხის კალმის ნისიად დარჩომილის თეთრის რიცხვით არის რფ (166).
 ქ. ნისიად დარჩომილისა და გასყიდვაზედ დანახარჯისა ორისავე სრული ჯამი არს თეთრი ფული სკმ (228).
 ქ. პირველად ჩვენებულისა ხუთას ცამეტის სადღესასწაულოს ფასის ათას სამას ერთის თუმნისა და ექვსის მინალთუნიდამ ეს ხარჯისა და ნისიად დარჩომილი ორას ოთხმოცდარვა თუმანი და ორი

მინალთუნი და ოთხი აბაზი რომ გამორიცხოს, დარჩება ადგილს და ეს დახარჩომი ათას ცამეტი თუმანი, სამი მინალთუნი და ერთი აბაზი, როგორც დახარჯულა ისიც თითოეულად ქვემოთ ამისა დაიწერება.

ქ. დავით სარაჯოვს, რომელიც მოსკოვში ტიპოღრაფიაში სადღესასწაულოს ქალაქის ვალი მიეცა ასიგნაცია რ 160.

ტკგ (323) ძფ (?) ამდენა აქ ტფილისში მიეცა ამის ნაცვლად თეთრი ფული.

ქ. იოანე ბატონიშვილის ასი თუმანი რომ იყო სტამბაში შეტანილი, იმან სარგებლით ითხოვა თვეში თუმანი აბაზათ, რომელიც დანიშნული იყო თავნი და სარგებელი პე (86).

რობ (172) ასიგნაცია აქ ტფილისში მიეცა იმის მეუღლეს თეთრი ფული როგორც მაშინ ასიგნაცია ფასობდა თეთრზედ.

ქ. ნიკიფორემ წაიღო ტიპოგრაფიაში გრამისათვის (?) ასი თუმანის ასიგნაციისათვის ორმოცდაათი თუმანი თეთრი ფული.

ქ. ამ სამის კალმის სტამბაში ლახარჯის ჯამი არს სეფ (296)

ქ. იონა მიტროპოლიტის ძმამ ბეცია სარდალმა წაიღო ათი თუმანი თეთრი ფული სარაჯოვისაგან.

ქ. იონა მიტროპოლიტის წერილით იმის ვალში კემუხტაშვილს ქართლში მსახლობელს სულეიმან ფაშის ძმისწულებს ათი თუმანი თეთრი.

ქ. კიდევ კემუხტაშვილს სვიმონ მღუდვლის ქალს მიეცა თეთრი.

ქ. კიდევ იონა მიტროპოლიტის ძმას ბეცია სარდალს მიეცა თეთრი ფულით ოცდაათი თუმანი.

ქ. იონა მიტროპოლიტის ვალში წაიღო ნიკიფორემ თეთრი ფული 160.

ქ. ჩყიგ - სა (1813) წელსა იანვრის კე (25) ამ თარიღში მიეცა პატროდი არქიერის დედას იონას წერილით ე (5).

ქ. იონას ბარათით წაიღო გლახა ბაბანაშვილმა ოთხი თუმანი თეთრი.

ქ. ჩყიგ-სა წელსა ფებერვრის მ(8), ამ თარიღში მიეცა ელიოზიშვილს ნიკოლაოზს იონას წილიდამ ი (10).

ქ. ამავე წელს იუნისის ივ (16) პატროდი არხიერის დედას მიეცა თეთრი ზ (7).

ქ. ჩყიგ -სა წელსა (1812) აგვისტოს ივ (13) ამ თარიღში სარდალს ბეციას მიეცა თეთრი კ (20).

ქ. კიდევ მიეცა ბეცია სარდალს თეთრი ი (10).

ქ. ჩყი წელსა (1810) ნოენბრის ზ (7) ამ რიცხვში ბეცია სარდალს მიეცა ოცდაათი თუმანი ასიგნაცია. ამჟამად იყო ასიგნაცია თუმანი თოთხმეტ აბაზად თეთრ ფულად ოცდაათი თუმანი იქს თეთრს ფულს მ(8).

ქ. ჩყია (1811) წელსა იუნისის იზ (17) გრიგოლ სარაჯოვის ხელით იონა მიტროპოლიტს გაუგზავნეთ ას ორმოცდაათი თუმნისა. ამჟამად იყო ასიგნაცია თუმანი ორი მინალთუნად და თოთხმეტ შაურად. ას ორმოცდაათი თუმანი იქს თეთრს ფულს მ (40).

ქ. ჩყია (1811) ამ წელს დეკემბერს იზ (17). ამჟამად იყო ასიგნაცია თუმანი ორ მინალთუნად და სამ აბაზად. ამ დროს დავით სარაჯოვის მიეცა ორმოცი თუმნის ასიგნაცია. ეს იქნება თეთრი ფული ი (10).

ქ. ჩყიბ (1812) წელსა ფებერვლის ით (19) კიდევ დავით სარაჯოვის მიეცა ორმოცდაათის თუმნის ასიგნაცია. ამ დროს იყო თუმანი ორ მინალთუნად და ათ შაურად. ორმოცდაათი თუმანი ასიგნაცია იქს თეთრს ფულად იბ (12).

ქ. იონა მიტროპოლიტისაგან დახარჯულის თეთრის რიცხვი არის სდ (260).

ჯ: ამდენი ამ თეთრს გარდა კიდევ დაიხარჯა ოთხი სადღესასწაულს, რომელიც ზემოთ არის დაწერილი – ერთი მცხეთის ეკლესიას შესწირა, ერთი კალოუბნის მღვდელს მისცა, ერთი იმისმა ძმამ წაიღო და ერთი ბაბანას შვილმა. ამ ოთხის ფასი იქნება ი (10). წ: ესეც რომ იმისგან დანახარჯ თეთრს მიემატოს სრულად იქნება იმისგან დანახარჯის რიცხვი სოა (271). ამდენი.

ქ. ჩყთ (1809) წელსა დეკემბერს ბ (2) გიორგი პაიჭაძისთვის მიეცა გრიგოლს სარაჯოვის ოცდაათის თუმნის ასიგნაცია და მე აქ გამომართო იმის მაგიერათ თეთრი ფული იე (15).

ქ. გიორგი პაიჭაძეს მიბარებია შიხაილ სარაჯოვისაგან ორმოცდაათი თუმანი ასიგნაცია. ამის ნაცვლად აქ მიეცა თეთრი ფული ილ (14).

ქ. გიორგი პაიჭაძის ცოლ-შვილს მიეცა თეთრი ფული ვ (6).

ქ. მათვე მიეცათ თეთრი ფული ე (5).

ქ. კიდევ მათვე მიეცათ თეთრი ფული გ (3).

ქ. ჩყიდ (1814) წელს (აქსტრიქონი ცუდად იკითხება).

ქ. ხუთას ცამეტის სადღესასწაულს ფასი არის ათას სამას ერთი თუმანი და ექვსი მინალთუნი, რომელიც ზევითაც ასე არის

აღრიცხული და დაწერილი. ამ რიცხვიდამ უნდა გამოვიდეთ სტამბაში დანახარჯს, გზების ქირას და ხარჯს, აგრეთვე გამსყიდველებისას და ნისიად დარჩომილს გზაზედ და გზის ქირაზედ და წაღებ-წამოღებაში ხარჯი და გამსყიდველებისათვის მიცემულის რიცხვი არის რკა (121), ნისიად დარჩომილი არს რდვ (166).

სტამბაში დანახარჯის ჯამი არის სჟვ (296). ხოლო ამეების სრული რიცხვი არის ხუთას ოთხმოცდაოთხი თუმანი, ორი მინალთუნი და ოთხი აბაზი. ათას სამას ერთის თუმნისა და ექვსის მინალთუნიდამ ხუთას ოთხმოცდაოთხი თუმანი, ორი მინალთუნი და ოთხი აბაზი რომ გამოირიცხოს, დარჩება მოგროებული სთეთრისა შვიდას ჩვიდმეტი თუმანი, სამი მინალთუნი და ერთი აბაზი. აქადამ იონას დაუხარჯავს სოა (271), პაიჭაძეს დაუხარჯავს ჟე (95), რომელიც რომ ზვეითაც არის დაწერილი ნიშნობრივ. დანაშთომი არის ტნ (350). სამას ორმოცდაათი თუმანი, რაც (?) მინალთუნი და შვიდი შაური. ეს არის სრული ანგარიში ექვსას ოცი წიგნისა. ამ ანგარიშის შემდგომად კიდევ მიეცა პაიჭაძის ცოლ-შვილს ორი თუმანი თეთრი, მარტის კე (25)-სა ჩყოდ (1814) წელსა“.

მესამე დოკუმენტი არის „სადღესასწაულოს წიგნების ხარჯისა და გასყიდულის შემოსულის ფასის დავთრიდამ შემოკლებით გა(დ)მოწერილის ნუსხა“. ამ დოკუმენტში, ფაქტობრივად, გამოვრებულია დამოწმებული ინფორმაცია, მხოლოდ რამდენიმე ცნობა განსხვავებული. კერძოდ:

- „ქ. ასოების მოჭრისათვის ფოლადსა და სპილენძზედ.
- ქ. მოსკოვში გიორგი პაიჭაძის საქმლისა და სასმლისათვის.
- ქ. არხიმანდრიტის ნიკიფორეს საქმლისა და სასმლისათვის.
- ქ. ტიპოლრაფიაში სხვადასხვა წვრილის ხარჯისათვის.
- ქ. სტანბაში წიგნების დაბეჭდვისათვის.
- ქ. წიგნების შესაკრავისათვის.
- ქ. მოსკოვიდამ მოსდოკამდის ნიკიფორეს წამოუღია და იმის გზის ხარჯისა და ქირისათვის.
- ქ. მოსდოკიდან ანანურის კარახტინამდის მოტანისათვის.
- ქ. ტფილისიდან ანანურს გაიგზავნა წიგნებისათვის დავით მღუდელი და იმის ხარჯისათვის.
- ქ. ანანურში კარახტინში წიგნების შესატანად, გასახსნელად, გასამზადებლად და ყარაულობისათვის.
- ქ. ანანურიდამ მცხეთის კარახტინამდის მოტანისათვის.
- ქ. მცხეთიდან ტფილისის მოტანისათვის.

ქ. ტფილისიდან ქართლსა, კახეთსა და იმერეთს გაგზავნის და მათის ქირისა და ხარჯისათვის.

ქ. ტიპოღრაფიიდან მეორედ გამოტანილის წიგნების შეკვრისა (?) და ტფილისამდის მოტანისათვის. ამაების ხარჯი და ქირა იქნება სრულებით რვაას სამოცდაექვსი თუმანი რვა მინალთუნი და ათი შაური თეთრი..."

როგორც მოტანილი ტექსტებიდან ჩანს, დოკუმენტები იწერებოდა სხვადასხვა დროს და ეყრდნობოდა სხვადასხვა დროის ჩანაწერებს. ამიტომ არის, რომ თარიღები ერთმანეთს არ მისდევს. თვით საბუთები 1814 წელს უნდა იყოს გადაწერილი. ამის გამოა, რომ 1814 წლის მასალა ზოგჯერ წინ უსწრებს 1811, 1810 წწ. მონაცემებს.

საბუთების მიხედვით, კვლავ ხაზგასმით გამოჩნდა ვარლამ ერისთავის, იონა გედევანიშვილის, ნიკიფორე არქიმანდრიტის, გიორგი პაიჭაძის როლი მოსკოვის ქართული სტამბის საქმიანობაში. სხვათა შორის, დასახელებული პირების საქმიანობა მოხსენებულია სადღესასწაულოზე დართულ ანდერძებშიც.

დოკუმენტებში მრავალი პირია დასახელებული, რომელიც ქართული წიგნის გავრცელებაში მონაწილეობდა, ანდა საჩუქრად მიეცათ დასახელებული გამოცემა. ესენია:

1. იონა მიტროპოლიტი
2. ნიკიფორე არქიმანდრიტი
3. მარიამ დედოფალი
4. გაიოზ არქიერი
5. გაბრიელ ყაზიბეგიშვილი
6. მიხეილ სარაჯოვი
7. გაბრიელ სარაჯოვი
8. მცხეთის დეკანოზი
9. კათალიკოზი
10. ტერ მოსოვი
11. გუბერნატორი
12. ბოდბელი
13. ნინოწმიდელი
14. ალავერდელი
15. ნეკრესელი
16. ხარჭაშნელი
17. მთავარეპისკოპოსი
18. ელევთერ არქიმანდრიტი

19. იმერეთის მეფე
20. ზურაბ წერეთელი
21. ქაიხოსრო წერეთელი
22. ქუთათელი
23. გენათელი
24. დავით მღვდელი (ნიკიტორეს ძმა)
25. ალავერდის დეკანოზი
26. სერაპიონ ბერი
27. ბეცია სარდალი (იონა მიტროპოლიტის ძმა)
28. კემუხტა შვილი (სულეიმან ფაშას ძმისწულეები)
29. პათნოდი არქიერი
30. გლახა ბაბანაშვილი
31. ნიკოლოზ ელიოზი შვილი
32. გედეონის შვილი კიკოლა
33. იოანე ბატონი შვილი
34. იოანე ბატონი შვილის მეუღლე
35. კემუხტა შვილი სვიმონ მღვდელი
36. დათუა მალალაშვილი

ყველა დასახელებული პირის ვინაობის განსაზღვრა ვერ ხერხდება, თუნდაც იმიტომ, რომ ბევრი სახელითაც არ არის მოხსენებული.

¹ ამ ფონდის დამუშავებაზე თავის დროზე მუშაობდნენ რუსუდან ორბელი და საურმაგ კაკაბაძე. სამუშაოს ბოლომდე მიტანა მათ არ დასცალდათ. შემდეგ მუშაობა გააგრძელა ელი შერ ხოშტარია-ბროსემ, მაგრამ შექმნილი სიტუაციის გამო ეს წამოწყებაც შეწყდა. პეტერბურგის ამ ღიდალ ავტორიტეტულ დაწესებულებაში ქართული ენის მკოდნე პიროვნება არ არის და, მაშასადამე, ამ საქმის გაძველებულიც არ ჩანს, ისევე როგორც არ ჩანს ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის შემდგენიც.

² 1838-1844 წწ. წიგნების გავრცელების შესახებ იხ. მ. ბერძნიშვილი, მასალები XIX ს. პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. I თბილისი, 1980, გვ. 56-60.

³ ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, ტ. I, 1941, გვ. 83-86; № 95.

⁴ 107 შექანიყური შეცდომა უნდა იყოს, ფაქტობრივად 104-ია.

⁵ ჩამოთვლილი 4 ქანწილის წინ წერია: პირველთან – წ, მეორესთან – ც, მესამესთან – ქლ. მეოთხესთან – ძყ ცხადია, ასოები ფულის რაოდენობას არ გულისხმობს.

მეცნიერების ისტორია

ვლენა ცაბარაიშვილი

ქართული არქეოლოგიის ისტორიიდან

საქართველოში არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. უძველესი დროიდან, ახლო მეზობლობის წყალობით, ქართველები და სომხები ქარგად იცნობდნენ ერთმანეთის ყოფა-ცხოვრებას, იცოდნენ ერთმანეთის ისტორიული წარსული და აწმყო.

აღნიშნული ვითარებით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ისევე როგორც ძველმა სომხურმა წერილობითმა ძეგლებმა უხვად შემოგვინახეს საყურადღებო ცნობები ქართველების პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული ცხოვრების შესასწავლად, ასევე „ქართლის ცხოვრება“-შიც მრავალი ფაქტი თუ მოვლენა აისახა სომეხი ხალხის წარსულიდან.

სომხური საისტორიო მწერლობის ძეგლების მნიშვნელობისა და ღირებულების შესახებ აკად. ივანე ჯავახიშვილი წერდა: „განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური და სხვა მიზეზების წყალობით სომეხთა ისტორიკოსები მართო თავიანთი სამშობლოს ამბების მოთხრობით კი არ კმაყოფილდებოდნენ, არამედ სხვა სახელმწიფოებისა და ერთა პოლიტიკური ისტორიაც აქვთ ხოლმე ნაამბობი, ხშირად ვრცლად და ქრონოლოგიური ცნობებით შემკული, ამიტომ სომხურ საისტორიო მწერლობაში სპარსეთის, ბიზანტიის, არაბთა, თურქთა და მონღოლთა, ისევე როგორც საქართველოს ისტორიის მკვლევარნი თავიანთთვის გამოსადეგ ბევრ ცნობებს იპოვიან“¹.

უცხოელების დიდი ინტერესი ძველი სომხური წერილობითი ძეგლებისადმი იმით აიხსნება, რომ ისინი მხოლოდ სომეხეთისა და სომეხი ხალხის ისტორიის გადმოცემით კი არ იფარგლებიან, არამედ, უმრავლეს შემთხვევაში, მასალის მრავალსახეობითა და მოვლენათა დაწვრილებითი აღწერით სანდო წყაროს წარმოადგენენ სხვა ქვეყნებისა და ხალხთა ისტორიისათვისაც.

აღნიშნულმა გარემოებამ ადრევე დააინტერესა ქართული საზოგადოება სომხური მწერლობის ძეგლებით და მათი ქარ-

თულად თარგმნის საჭიროება და აუცილებლობაც წარმოშვა. ასეთი აუცილებლობის შედეგს წარმოადგენს, მაგალითად, XIII-XIV საუკუნეთა სომეხი ისტორიკოსის, სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთას“ XVII და XVIII საუკუნეებში შესრულებული ძველი ქართული თარგმანები.² იგი სტეფანოს ორბელიანის თხზულების „სისაკანის სახლის ისტორიის“ 66-ე თავია. მასში თავმოყრილი საყურადღებო ცნობების გამო აღნიშნული თავი „სისაკანის სახლის ისტორიისაგან“ დამოუკიდებლადაც, ცალკე თხზულების სახით არსებობდა როგორც სომხურად, ასევე ქართულად.

სომხურ წყაროთა ძველად შესრულებულ თარგმანებს განეკუთვნება XVIII ს-ის დამდეგს ვახტანგ VI-ის ბრძანებით თარგმნილი XII-XIII საუკუნეთა სომეხი მწერლისა და საეკლესიო მოღვაწის, მხითარ გოშის „სომხური სამართლის წიგნი“.³ XVIII საუკუნის პირველ ნახევარშია თარგმნილი, აგრეთვე, უცნობი მწერლის, გიორგი გორელის მიერ XIV-XV სს. მოღვაწის, გრიგოლ ტათეველის „კითხვათა წიგნის“ ცალკეული ნაკვეთები. აღნიშნულ ნაშრომში მოცემულია ბერძენ და ქართველ ქალკედონელთა, ებრაელთა და მაჰმადიანთა კრიტიკა სიტყვა-მიგების საშუალებით.⁴

საყურადღებოა სომეხი ისტორიკოსის მიქაელ ჩამჩიანის (1738-1823წწ.) „სომხეთის ისტორიის“ ნაწილის XIX საუკუნეში შესრულებული თარგმანი, რომელიც ხელნაწერის სახით დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდში, 3107 ნომრით.⁵

სომხურმა საისტორიო მწერლობამ გერ კიდევ XIX საუკუნეში მიიპყრო საქართველოს ისტორიის სპეციალისტ მკვლევართა ყურადღება. აკად. მარი ბროსემ პირველმა მიპყრო ხელი სომხური წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნას საქართველოს ისტორიის სრულყოფილად შესასწავლად და არმენოლოგიური პრობლემების კვლევას მან მრავალი საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნა.

XIX ს-ის 40-50-იან წლებში ევროპაში არმენოლოგიურ კვლევა-ძიებაში უკვე მნიშვნელოვანი შედეგები იყო მოპოვებული. სომეხ მხითარისტთა კონგრეგაცია ვენეციაში არმენოლოგიური მუშაობის ძირითად ცენტრს წარმოადგენდა, სადაც მოღვაწეობდნენ ცნობილი ისტორიკოსები და ფილოლოგები. არმენოლოგიური კვლევა-ძიების არანაკლებ ძლიერი კერა იყო პარიზშიც.

როგორც ვენის მხითარისტებთან, ასევე პარიზელ არმენოლოგებთან მარი ბროსე მუდმივ საქმიან კონტაქტში იმყოფებოდა, თვალყურს ადევნებდა მათთან გაშლილ არმენოლოგიურ მუშაობას და რიგ შემთხვევებში აქტიურ მონაწილეობასაც კი იღებდა მასში. პეტერბურგში გადასვლისთანავე კი მისი მეცნიერული მუშაობის ძირითად ამოცანად და მიზნად ძველი სომხური საისტორიო მწერლობის, ენის, ლიტერატურის, ეპიგრაფიკის, ნუმისმატიკის საფუძვლიანი შესწავლა იქცა.

არმენოლოგიის საკითხების სისტემატური კვლევა მარი ბროსემ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო. სომხურ საისტორიო წყაროთა მარი ბროსესეული თარგმანები თავის დროზე მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენდა, ვინაიდან ბევრი მათგანი მხოლოდ მისი თარგმანითაა ცნობილი ევროპაში. დიდი ღვაწლი დასდო მარი ბროსემ სომხეთისა და საქართველოს ისტორიის მთელი რიგი საკითხების კვლევას სომხურ საისტორიო წყაროთა მოშველიებით. განსაკუთრებით უხვად გამოიყენა მან სომხურ საისტორიო წყაროთა მონაცემები „ქართლის ცხოვრების“ I და II ნაწილებზე დართულ დამატებებში (43 დამატება). ამ მასალებით შეივსო და დაზუსტდა „ქართლის ცხოვრებაში“ აღწერილი ფაქტები და მოვლენები, დამტკიცდა „ქართლის ცხოვრების“ ღირსება, გაირკვა მისი ნაკლოვანებანიც.

მარი ბროსეს „დამატებები და განმარტებები“ V-XVIII საუკუნეების ვითარებას ასახავენ. აქ განხილული ყველაზე ადრეული მოვლენის (ქართველ-სომეხთა ბრძოლა სპარსეთის წინააღმდეგ V საუკუნეში) დაწვრილებით აღსაწერად მკვლევარი იშველიებს V საუკუნის სომეხი ისტორიკოსების ლაზარე ფარაქელისა და ელიშეს ცნობებს, კრიტიკულად იხილავს მათ და ამით ავსებს „ქართლის ცხოვრებაში“ არსებულ ხარვეზს. X საუკუნის სომეხი ისტორიკოსის უხტანესის ცნობებზე დაყრდნობით, მარი ბროსემ დაწერა მე-5 დამატება, რითაც შეავსო „ქართლის ცხოვრებაში“ არსებული კიდევ ერთი ხარვეზი, სახელდობრ, VI-VII საუკუნეთა მიჯნაზე ქართველებსა და სომეხებს შორის საეკლესიო განხეთქილების შესახებ ცნობათა უქონლობა.

„ქართლის ცხოვრების“ შუა საუკუნეების ისტორიის ამსახველ ნაწილს ზოგიერთი სომეხი ისტორიკოსის თხზულებათა ნაწილები ცალკე დამატების სახით აქვს დართული (კირაკოზ გან-

ძაკელი, მალაქია აბელა, მოსე კალანკატველი). ეს ცნობები მარი ბროსეს განხილული აქვს ბაგრატიონთა წარმომავლობის საკითხის კვლევისას. შემდგომი პერიოდის, კერძოდ, ქართველ-სომეხთა ურთიერთობისა და მათი ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლის განხილვისას მარი ბროსე სტეფანოს ტარონელის (ასოლიკის), არისტაკეს ლასტივერტელის, მათე ურჰაელის, ვარდან დიდისა და სხვათა ცნობებს იშველიებს.⁶

სხვადასხვა საკითხების კვლევისას სომხურ წყაროებს იყენებდნენ XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის სხვა სპეციალისტებიც, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია დიმიტრი ბაქრაძე.⁷ იგი იდეურად და საქმიანად მჭიდროდ იყო დაკავშირებული ილია ჭავჭავაძესთან. განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა მათი თანამშრომლობა საქართველოს ისტორიის გამყალბებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. 1883 წ. გამოქვეყნდა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის პატკანოვის წერილი: „О древней грузинской хронике“ (Журнал министерства народного просвещения. Часть ССХХХ за декабрь 1883 г.), რომელშიც მან უარყო ქართული წერილობითი წყაროების მნიშვნელობა საქართველოს უძველესი ისტორიისათვის. 1884 წ. დიმიტრი ბაქრაძემ თავისი წერილით „პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიული წყაროები“, კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობებსა და ძველ ქართულ ეპიგრაფიკულ მასალებზე დაყრდნობით, ამხილა პატკანოვის უსაფუძვლო მტკიცება იმის შესახებ, რომ ტაო სომხეთის კუთვნილება იყო.

როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძემ დიდი თანაგრძნობა გამოუცხადა დ. ბაქრაძის მიერ პატკანოვის დებულებების კრიტიკას და „ჭვათა ღალადში“ მისთვის ჩვეული ძლიერი პოლემიკური სტილით დაუნდობლად ამხილა ქართველი ერის ისტორიის გამყალბებელთა ნაშრომები.

არმენოლოგიური პრობლემების კვლევას დიდი ყურადღება მიაქცია ივანე ჭავჭავაძემ. მან ღრმა კვალი დატოვა როგორც ქართველოლოგიაში, ასევე არმენოლოგიაში. ივანე ჭავჭავაძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ორივე დარგის მთელი რიგი პრობლემების მეცნიერულ შესწავლასა და ფართო მასშტაბით კვლევის საქმეში.

პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სომხურ-ქართულ-ირანული განყოფილების დამთავ-

რებისას ივანე ჯავახიშვილი თავისუფლად იყენებდა ბერძნულ, ლათინურ, სომხურ, სპარსულ და სირიულ წყაროებს და ერთნაირ ინტერესს იჩენდა როგორც ქართული, ისე სომხური ენისა და ლიტერატურის ისტორიის, საქართველოსა და სომხეთის ისტორიული წარსულის შესწავლაში.

ივანე ჯავახიშვილი, როგორც არმენოლოგი, სომხური წყაროების საუკეთესო მცოდნე და მათი მკვლევარი, ჩანს თავის მრავალ ნაშრომში: „ქართველი ერის ისტორია“, „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, „ქართული დიპლომატიკა“, „ქართული ნუმიზმატიკა“ და სხვ.

ივანე ჯავახიშვილის სპეციალური ნაშრომები არმენოლოგიის დარგში ეხება სომხეთის სამოქალაქო ისტორიას, სომხეთის სახელმწიფო სამართლის ისტორიას, სომხეთის საეკლესიო ისტორიას, სომხურ საისტორიო მწერლობას, წყაროთმცოდნეობასა და პალეოგრაფიას, სომხურ ეპიგრაფიკას, სომხეთის საისტორიო გეოგრაფიას და სხვ.

პირველი ნაშრომი, რომლითაც ივანე ჯავახიშვილმა საპატიო ადგილი დიამკვიდრა არმენოლოგიაში, არის მისი 1905წ. გამოქვეყნებული მონოგრაფია „Государственный строй древней Грузии и древней Армении“. აღნიშნული თხზულების პირველი ნაწილი საქართველოს ეხება, მეორე კი სომხეთს.

1908 წ. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბეში“ გამოქვეყნდა ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევა „История церковного разрыва между Грузией и Арменией в начале VII века“. ქართულ-სომხურ წყაროთა საფუძვლიანი შესწავლის შედეგად მკვლევარმა ნათლად აჩვენა სომეხ-ქართველთა საეკლესიო ურთიერთობის დოგმატიკურ-პოლემიკური მხარე, საქართველოსა და სომხეთის ეკლესიების ინტერესების განსხვავებანი.

საყურადღებოა ივ. ჯავახიშვილის ნაშრომი „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“, რომელშიც ავტორი სომხეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხებსაც შეეხო.

ივანე ჯავახიშვილის არმენოლოგიურ ნაშრომთა რიცხვს განეკუთვნება აგრეთვე მისი გამოკვლევა „გლეხთა მოძრაობის ერთი ფურცელი ძველ სომხეთში“, რომელიც შუა საუკუნეების სომ-

ხეთის სოციალური ურთიერთობების შესწავლის პირველ ცდას წარმოადგენს. მასში მოცემულია XIII-XIV ს-ის სომეხი ისტორიკოსის სტეფანოს ორბელიანის თხზულების „სიენიეთის ისტორიის“, როგორც საყურადღებო ისტორიული წყაროს, შეფასება, აგრეთვე ხაზგასმულია მისი მნიშვნელობა X საუკუნის I ნახევარში სომხეთში კლასთა ბრძოლის ისტორიის შესასწავლად. კლასთა ბრძოლის ისტორიას XIII საუკუნის სომხეთში ეხება აგრეთვე ივ. ჭავჭავიძის ნარკვევი „სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX-XIII საუკუნეებში“.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ივანე ჭავჭავიძის 1935 წ. გამოქვეყნებული მონოგრაფია „ძველი სომხური საისტორიო მწერლობა“ (I ტომი), რომლის პირველ ნაწილში განხილულია „მარტიროლოგიური მწერლობა“, მეორეში კი „ჰაგიოგრაფიული მწერლობა“. დასახელებულ ნაშრომში ავტორი ეხება აგრეთვე ამიერკავკასიაში ქრისტიანობის გავრცელებისა და ქართული და სომხური ანბანების წარმომავლობის საკითხებს და სარწმუნოდ ასაბუთებს პალეოგრაფიული თვისებებით ქართული ანბანის სომხურზე გაცილებით უფრო ადრინდელობასა და სიმკვლევეს. აღნიშნული საკითხი მკვლევარს უფრო ადრეც ჰქონია განხილული ნაშრომში: „ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“.

დიდი ადგილი ეთმობა ივანე ჭავჭავიძის სამეცნიერო მემკვიდრეობაში სომხეთის ისტორიის საკითხების კვლევასაც, რომელიც სომხური წყაროების კრიტიკულ განხილვას, ქართულ და სხვა უცხო წყაროებთან შეჭერებას, მდიდარ წყაროთმცოდნეობის ბაზას ემყარება. ივ. ჭავჭავიძის სახელთან დაკავშირებულია ქართულ არმენოლოგიაში ახალი მეცნიერული კვლევის დამკვიდრება.

სომხურ წერილობით ძეგლებს კარგად იცნობდნენ და საქართველოს ისტორიის მთელი რიგი საკითხების კვლევისას ფართოდ იყენებდნენ აკად. ს. ჯანაშია და აკად. ნ. ბერძენიშვილი. ს. ჯანაშიამ დიდი როლი შეასრულა პოკროვსკის სკოლის შეცდომების და, საერთოდ, საბჭოთა კავშირის ხალხთა და მსოფლიო ისტორიის მთელი რიგი საკითხების გაყალბების ცდების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ამ მხრივ საყურადღებოა მისი ნაშრომი „Об одном примере

искажения исторической правды" (По поводу книги И. Токарского „Архитектура древней Армении“, 1947 г.)

აღსანიშნავია აკად. ნ. მარის ღვაწლი ძველი ქართულ-სომხური ძეგლების კვლევისა და შესწავლის საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ ნ. მარს ხშირად წამოუყენებია საკამათო თეორიები და მოსაზრებები, რომლებსაც ზოგჯერ თვითონვე ცვლიდა, მაინც ბევრ შემთხვევაში ქართულ-სომხურ ლიტერატურულ ურთიერთობათა მარისეული ძიებანი, ახალი საბუთებით დაზუსტებული, დადასტურებულია, ზოგჯერ კი ახლებურად გაშუქებულია ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის, პ. ინგოროვას, ი. აბულაძისა და სხვათა ნაშრომებში. საყურადღებოა ნ. მარის მიერ დაარსებული სპეციალური სერია „Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии“, სადაც მრავალი მნიშვნელოვანი ნაშრომი დაიბეჭდა როგორც საქართველოს, ასევე სომხეთის ისტორიიდან. ნ. მარის გამოკვლევებში დიდი ადგილი ეთმობა კონკრეტული წყაროთმცოდნეობის საკითხების კვლევას, კერძოდ კი, ქართველ-სომხეთა ისტორიული ურთიერთობის ამსახველი წყაროებისა და დოკუმენტების გამოვლენასა და შესწავლას.

სომხური წყაროთმცოდნეობის განვითარებაში დიდი დამსახურება მიუძღვის პროფესორ ლ. მელიქსეთ-ბეგს, რომელმაც მრავალი საყურადღებო ნაშრომი შექმნა ძველი სომხური მწერლობის, სომეხ-ქართველთა კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობათა, ამიერკავკასიის ისტორიული გეოგრაფიის, ქართული და სომხური სამართლის ისტორიის, ეპიგრაფიკის, ხელოვნების ისტორიის მთელი რიგი საკითხების გასარკვევად. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლ. მელიქსეთ-ბეგის მონოგრაფია „ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი და მათი ვინაობა სომეხ-ქართველთა ურთიერთობათა საკითხებთან დაკავშირებით“, რომელშიც სომეხ-ქართველთა ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობათა საკითხებთან ერთად ანატ-სანაინის სამეცნიერო-სალიტერატურო სკოლისა (XI-XIII სს.) და მისი განშტოებების (XII-XIV სს.) მოღვაწეობის ისტორიაა განხილული. ასევე საყურადღებოა მისი ნაშრომები: „ქართული წყაროები სომხეთისა და სომეხთა შესახებ“ 4 ტომად (სომხ. ენაზე) და „საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა“.

ლ. მელიქსეთ-ბეგის წყაროთმცოდნეობით ნაშრომთა რიგს განეკუთვნება კატალოგი „საქართველოს ისტორიის წერილობითი

წყაროების კუბლიკაციები“, რომელშიც, ქრონოლოგიური რიგის დაცვით (V-XIX სს.), წარმოდგენილია ქართული და სომხური ისტორიული წყაროების მოკლე ანოტაციები. წყაროთმცოდნეობითი ხასიათისაა ლ. მელიქსეთ-ბეგის ნაშრომები: „თომა მეწოფელი“, „საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები ძველ სომხურ წყაროებში“, სტეფანე სივნიელის „ორბელთა ისტორიის ქართული ვერსია“ და სხვ.⁹

ქართული არმენოლოგიის განვითარების საქმეში დიდი წვლილი შეიტანა პროფ. ილია აბულაძემ, რომლის არმენოლოგიური ნაშრომები, მართალია, ძირითადად სომხური ლიტერატურისა და ენის საკითხების კვლევას ეძღვნება ქართულთან მიმართებით, მაგრამ საერთოდ მის მეცნიერულ მემკვიდრეობაში სომხური საისტორიო მწერლობის შესწავლასაც გარკვეული ადგილი ეთმობა.¹⁰

ი. აბულაძემ განაგრძო ქართულ-სომხური ფილოლოგიური ძიების ძველი ტრადიციები, თავის ნაშრომებში ნათელყო ქართულ-სომხური ლიტერატურული, ენობრივი, ისტორიული კავშირისა და ურთიერთობათა არსებობა, დაარღვია ამ საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმული მრავალი მცდარი მოსაზრება და მართებული და სწორი ახსნა-განმარტება მოუძებნა მათ. ამ ხასიათის ნაშრომთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“, რომელიც როგორც ქართულ, ასევე სომხურ ენაზეა შემონახული. ი. აბულაძემ, ქართული და სომხური ხელნაწერებისა და მთელი რიგი მასალის საფუძვლიანად შესწავლის შედეგად, მეცნიერულად დაამტკიცა, რომ თავდაპირველია ქართული ტექსტი „შუშანიკის წამებისა“, სომხური კი მის თარგმანს წარმოადგენს.

ერთ-ერთი ძირითადი ნაშრომი, რომლითაც ი. აბულაძემ საპატიო ადგილი დაიმკვიდრა არმენოლოგიაში, არის მისი მონოგრაფია „ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში“. როგორც ცნობილია, ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიის შესწავლა ადრეც მიმდინარეობდა, მაგრამ ასე საფუძვლიანად და ღრმა მეცნიერული ანალიზით იგი ი. აბულაძემდე არავის არ უკვლევია. სწორედ ამ თვალსაზრისით, ზემოთ დასახელებული ნაშრომი სანიმუშო და სრულიად განსაკუთრებულია.

ი. აბულაძემ თავის ნაშრომში „მხითარ გოშის ტრაქტატი „ქართველთათვის“ და მისი ლიტერატურული წყაროები“ წარმოაჩინა აღნიშნული დოკუმენტის არსი, მისი მნიშვნელობა მონოფიზიტობისა და დიოფიზიტობის, საერთოდ, მწვალებლობათა ისტორიის შესასწავლად და დაადგინა მისი წყაროები.

ი. აბულაძის კვლევის სფეროში საქართველოსა და სომხეთის როგორც ისტორიის, ასევე ისტორიოგრაფიის ბევრი საინტერესო საკითხია მოქცეული. ფასდაუდებელია მკვლევრის ღვაწლი „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანის ტექსტის, მისი მთარგმნელის ვინაობისა და მოღვაწეობის ხანის დადგენის საქმეში.

ი. აბულაძეს ყურადღების გარეშე არც სომხეთის საისტორიო მწერლობა დაუტოვებია. 1937 წელს მან გამოაქვეყნა სომეხი ისტორიკოსის იოანე დრასხანაკერტელის ცნობები საქართველოს შესახებ. ასევე მის არქივში დაცულია თომა არწრუნის ცნობების ქართული თარგმანი საქართველოს შესახებ. საყურადღებოა მისი ისტორიული ხასიათის ნაშრომები: „მათეოს განძასარელის ცნობა ქართველთა მეფის კონსტანტინეს შესახებ“, „სტეფანოს ორბელიანის ისტორიის ერთი ცნობის განმარტების გარშემო“ და სხვა.

სომხური საისტორიო მწერლობის ცალკეულ ძეგლებს უფრო ფართოდ გაეცნო ქართული სამეცნიერო საზოგადოება XX საუკუნის 60-იანი წლებიდან, როდესაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან შეიქმნა „საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისია“. სომხური წყაროების სერიის რედაქტორი იყო ილია აბულაძე, მის შემდგომ ლაშა ჯანაშია, ხოლო ამჟამად მას ხელმძღვანელობს ზაზა ალექსიძე. აღნიშნული კომისიის ხაზით უკვე გამოაქვეყნდა სომხურ საისტორიო ძეგლთა გარკვეული ნაწილი ქართული თარგმანებით, შესაბამისი გამოკვლევებითა და კომენტარებით. ამათგან ერთი პირველთაგანი იყო ლ. ჯანაშიას ნაშრომი „ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ“, რომელშიც თავმოყრილი და ქართულად თარგმნილია ლაზარ ფარპელის საყურადღებო ცნობები საქართველო-სომხეთის პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიიდან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასალები 482-484 წლებში ირანის წინააღმდეგ ქართლის აჯანყების შესახებ.

V ს-ის სომეხი ისტორიკოსის მოვსეს ხორენელის თხზულება „სომხეთის ისტორია“ ქართულად პირველად თარგმნა, საყურადღებო გამოკვლევა და მრავალრიცხოვანი მნიშვნელოვანი კომენტარები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ.¹²

„ეპისტოლეთა წიგნი“, რომელიც წარმოადგენს სომხეთის ეკლესიის მესვეურთა მიმოწერის კრებულს სხვა ჭეჭეჭების ეკლესიის წარმომადგენლებთან V-XIII საუკუნეების მანძილზე, ერთ-ერთი პირველხარისხოვანი წყაროა საქართველოსა და სომხეთის ისტორიული ურთიერთობის შესასწავლად. მისი მნიშვნელობა და ღირებულება განსაკუთრებით იმითაც იზრდება, რომ მასში ვრცლად და ნაკლებტენდენციურად არის წარმოდგენილი სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების ისტორია. დღემდე არ არსებობდა „ეპისტოლეთა წიგნის“ არც კრიტიკულად დადგენილი ტექსტი და არც მისი ქართული თარგმანი. ეს საკმაოდ რთული და მნიშვნელოვანი სამუშაო შესრულებულია ზ. ალექსიძის ნაშრომში „ეპისტოლეთა წიგნი“, რომელიც შედგება წინასიტყვაობისა და ორი ძირითადი ნაწილისაგან. I ნაწილი შეიცავს „ეპისტოლეთა წიგნის“ კრიტიკულად დადგენილ სომხურ ტექსტს ქართული თარგმანითურთ, მასზე დართულ კომენტარებსა და წინ წამდვარებულ ტექსტოლოგიური ხასიათის გამოკვლევას. აქვე, ტექსტოლოგიურ საკითხებთან ერთად, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხებია შესწავლილი, როგორცაა ქართული და სომხური ანბანების გამოგონება, ქართული და სომხური ეკლესიების იერარქიული დამოკიდებულება და სხვ. ნაშრომის II ნაწილში განხილულია ძირითადი პოლიტიკური და იდეოლოგიური ტენდენციები საქართველოს ისტორიაში VI-VII საუკუნეების მიჯნაზე, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ეკლესიების ერთიანობის საკითხი VII ს-ის დასაწყისში.¹³

ქართული და სომხური ეკლესიების კონფესიურ-რელიგიური ურთიერთობების საკითხები განხილულია ზ. ალექსიძის ნაშრომში: „უხტანესი. ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“.¹⁴ იგი პირველი ცდაა ქართველთა და სომეხთა შორის საეკლესიო განხეთქილების შესწავლისა წყაროების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე. სომხურ ტექსტსა და მის შესაბამის ქართულ თარგმანს თან ახლავს გამოკვლევა, რომელშიც საყურადღებო ტექსტოლოგიურ-წყაროთმცოდნეობითი საკითხებია განხილული. ავ-

ტორი განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემების კვლევას, როგორცაა ცურტავის საეპისკოპოსოს სამღვდელმსახურო ენისა და ქართული ანბანის საკითხები.

IX-X საუკუნეთა სომეხი ისტორიკოსის იოანე დრასხანაკერტელის ნაშრომი „სომხეთის ისტორია“ გადმოგვცემს სომხეთის თავგადასავალს დასაბამიდან 925 წლამდე. დასახელებული თხზულების სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და საძიებლებით გამოაქვეყნა ელენე ცაგარეიშვილმა. ტექსტს წინ ერთვის გამოკვლევა, რომელიც იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ მონოგრაფიული შესწავლის პირველ ცდას წარმოადგენს.¹⁵

ე. ცაგარეიშვილსავე ეკუთვნის XI ს-ის სომეხი ისტორიკოსის არისტაკეს ლასტივერტელის „ისტორიის“ ქართული თარგმანის გამოცემა.¹⁶ აღნიშნული თხზულება მოიცავს სომხეთისა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების თავგადასავალს 1001-1072 წლებში.

ძველი სომხური საისტორიო მწერლობა მნიშვნელოვან მასალებს შეიცავს როგორც ადრეფეოდალური, ასევე განვითარებული და გვიანფეოდალური ხანის ისტორიის შესასწავლადაც. ამიერკავკასიასა და მცირე აზიაში 1220 წლიდან 1270-იან წლებამდე მონღოლთა შემოსევებისა და დაპყრობების ამბები გადმოცემულია XIII ს-ის სომეხი ისტორიკოსის გრიგოლ აკანელის (მალაქია-აბელას) „მოისართა ტომის ისტორიაში“, რომლის ქართული თარგმანი შესაბამისი სომხური ტექსტითა და კომენტარებით გამოსცა ნოდარ შოშიაშვილმა.¹⁷

მოვსეს კალანკატველის (დასხურანელის) თხზულება „აღვანთა ქვეყნის ისტორია“ გადმოგვცემს როგორც ძველი აღვანეთის ისტორიას უძველესი დროიდან X საუკუნემდე, ასევე მეზობელი ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სოციალურ ვითარებას. როგორც ცნობილია, მკვლევართა ნაწილი მოვსეს კალანკატველს X საუკუნის მოღვაწედ მიიჩნევს, ზოგი კი VII ს-ის ისტორიკოსად თვლის. არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც მოვსეს კალანკატველი და მოვსეს დასხურანელი სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ: მოვსეს კალანკატველი VII ს-ის მოღვაწედაა მიჩნეული და ავტორია „აღვანთა ქვეყნის ისტორიის“ იმ ნაწილისა, რომელშიც გადმოცემულია უძველესი ისტორია VII საუკუნემდე. მოვ-

სეს დასხურანელი კი ითვლება X საუკუნის მოღვაწედ, VII ს-ის შემდგომი პერიოდის ისტორიის გამგრძელებლად. მოვსეს კალანკატველის თხზულება „აღვანთა ქვეყნის ისტორია“ შეიცავს საყურადღებო მასალას ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობის ისტორიიდან, მასში მნიშვნელოვანი ცნობებია აღმოსავლეთ საქართველოს შესახებაც. „აღვანთა ქვეყნის ისტორიის“ პირველი ქართული თარგმანი შესავლით, შენიშვნებითა და საძიებლებით ეკუთვნის ლიანა დავლიანიძეს.¹⁸ მანვე ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად შემოიტანა მხითარ გოშის თხზულება „აღბანეთის ქრონიკა“, რომელიც შეიცავს საკმაოდ მდიდარ მასალას საქართველოს შესახებაც, კერძოდ, მეფე დემეტრე I-ის მეფობის პერიოდის ამსახველ ცნობებს.¹⁹

შუა საუკუნეების სომეხ მემათიანეთა რიცხვს მიეკუთვნება XIII ს-ის ისტორიკოსი მხითარ აირივანეცი, რომლის თხზულება „ქრონოგრაფიული ისტორია“ მრავალ საყურადღებო ფაქტს გადმოგვცემს უძველესი დროიდან 1289 წლამდე როგორც სომხეთის, ასევე სხვა ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს შესახებაც. აღნიშნული თხზულების პირველი ქართული თარგმანი ეკუთვნის ლ. დავლიანიძეს.

თემურლენგისა და შაგბატნიან თურქმენტა საქართველოზე თავდასხმების შესახებ (XIV ს-ის ბოლო მეოთხედი, XV ს-ის პირველი ნახევარი) გადმოგვცემს XIV-XV საუკუნეთა სომეხი ისტორიკოსის თოფმა მეწოფელის ნაწარმოები „ისტორია თემურლენგისა და მისი შთამომავლებისა“, რომლის არასრული (საქართველოს შესახებ ცნობების) თარგმანი ეკუთვნის ლ. მელიქსეთ-ბეგს, მთლიანად კი ძველი თარგმნა კარლო კუციამ.²¹

ქართველ არმენოლოგებს ყურადღების გარეშე არც გვიანფეოდალური ხანის სომხური საისტორიო წყაროები დაუტოვებიათ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა კ. კუციას ნაშრომები „არაქელ დავრიჟეცის ცნობები საქართველოს შესახებ“.²² და ესაი ჰასან ჯალალიანცის „აღვანთა ქვეყნის მოკლე ისტორია“.²³

XVI-XVII საუკუნეების სომეხი ისტორიკოსის არაქელ დავრიჟელის „ისტორია“ ბევრ საყურადღებო ცნობას შეიცავს XVII ს-ის I ნახევრის საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გასაცნობად, განსაკუთრებით დაწერი-

ლებითაა აღწერილი ქართველი ხალხის ბრძოლა სპარსელების წინააღმდეგ. კ. კუციას შემოსენებულ ნაშრომში ამოკრეფილი და თარგმნილია ქართულად მხოლოდ საქართველოს შესახებ ცნობები. თარგმანს ერთვის შესავალი და კომენტარები.

XVIII ს-ის სომეხი ისტორიკოსის ესაი ჰასან ჯალალიანცის თხზულება „აღვანთა ქვეყნის მოკლე ისტორია“ მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს XVII საუკუნის დასასრულისა და XVIII ს-ის პირველი მეოთხედის ირანის, აზერბაიჯანისა და საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების შესახებ. განსაკუთრებით საინტერესოა მასალები, რომლებიც ასახავენ ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის ურთიერთობას ირანსა და რუსეთთან, ქართლისა და კახეთის საშინაო მდგომარეობას აღნიშნულ პერიოდში.

XVII ს-ის სომეხი ისტორიკოსის ზაქარია აგულეცის „დღიურის“ II და III ნაწილები ქართულად გამოაქვეყნა ლ. დავლიანიძემ.²⁴ მასვე ეკუთვნის XVIII ს-ის სომეხი მწერლის აბრაამ ერევნელის „ომების ისტორიის“ ქართული თარგმანი.²⁵ დასახელებული წყარო ასახავს 1721-1736 წლების ომებს ირან-ოსმალეთს შორის, რომლებიც სომხეთსა და საქართველოსაც შეეხო. მასში დაწვრილებითაა აღწერილი ბრძოლების მიმდინარეობა, ნადირ-ყული ხანის მიერ ოსმალების დათრგუნვა, მისი ლაშქრობები და გამეფება მუღღანის ველზე.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ქართული თარგმანებისა, არსებობს აგრეთვე ზემოთ დასახელებულ და სხვა მკვლევართა ცალკეული ნაშრომებიც, რომლებიც ეძღვნება ამა თუ იმ სომხური წყაროს ცნობების შესწავლას. ისინი პერიოდულ ორგანოებშია დაბეჭდილი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისიის გეგმით არაერთი სომხური საისტორიო წყაროა ქართულად თარგმნილი და სათანადო სამეცნიერო აპარატით გამოსაცემად მომზადებული (სებეოსი, ლევონდი, თომა არწრუნი, სტეფანოს ტარონელი, ფსევდო შაპუჰ ბაგრატიუნი, ვარდან აღმოსავლელი, სმბატ სპარაპეტი, სტეფანოს ორბელიანი, ლუკა სებასტიელი და სხვ.). იმედია, მათი გამოქვეყნება კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზის გამდიდრებას.

სომხურ საისტორიო წყაროთა ქართულად თარგმნისა და გამოქვეყნების პარალელურად შესწავლილია სომხური ეპიგრ-

აფიკაც როგორც წყარო საქართველოს ისტორიისათვის. ამ თვალსაზრისით საინტერესოა შანშე დარჩიაშვილის ნაშრომი „სომხური ლაპიდარული წარწერები როგორც საქართველოს ისტორიის წყარო (XII-XIII საუკუნის I მესამედი)“. ავტორის მიერ შესწავლილი სომხური წარწერები XII-XIII საუკუნეთა ქრონოლოგიას აზუსტებენ, ავსებენ ნარატიულ წყაროთა ცნობებს XI-XIII საუკუნეთა მიჯნის საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფო მოღვაწეთა შესახებ. ატენის სიონის სომხური წარწერების კორპუსი გამოაქვეყნა ზ.ალექსიძემ,²⁶ ხოლო საბერეების სომხური წარწერები - ზაზა სხირტლაძემ.²⁷

ასევე აღსანიშნავია ის მნიშვნელოვანი სამუშაო, რომელიც შეასრულა ა. აბდლაძემ საქართველოს შესახებ სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობების შესწავლით (X-XIII სს. და XIV-XV სს.).

სომხური ხელნაწერების ანდერძ-მინაწერთა („პიშატაკარანთა“) კორპუსები მხოლოდ ბოლო ხანებში გამოქვეყნდა, ამიტომ საქართველოს ისტორიის მკვლევარნი ძირითადად არც კი იცნობდნენ ამ საყურადღებო მასალას. აღნიშნული ხარვეზის შევსება აუცილებელი იყო.²⁸ ძველ სომხურ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები როგორც სომხეთის, ასევე მეზობელი ქვეყნების, კერძოდ, საქართველოს შესახებაც საინტერესო ცნობებს გვაწვდიან ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ სოციალური ვითარების უფრო სრულყოფილად შესასწავლად.

სომხურ ანდერძ-მოსახსენებელთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა XII ს-ის სომეხი მოღვაწის დავით ქობაირელის „მოსახსენებელი,“ რომლის ქართული თარგმანი გამოკვლევითურთ გამოაქვეყნა გურამ მაისურაძემ.²⁹ აღნიშნული მასალა საინტერესოა გიორგი III-ის დროს ორბელთა ხელმძღვანელობით მოწყობილი აჯანყების სრულყოფილად შესასწავლად სხვა წერილობით წყაროთა ფონზე (სტეფანოს ორბელიანი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“, ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, ვარდან აღმოსავლელი). დავით ქობაირელის „მოსახსენებელში“ უფრო ობიექტურადაა გადმოცემული ორბელთა აჯანყების ისტორია.

ამ ბოლო ხანებში ქართული არმენოლოგიური სამეცნიერო ლიტერატურა რამდენიმე საყურადღებო ისტორიული ხასიათის ნაშრომით გამდიდრდა. გ. მაისურაძემ, ქართულ და უცხოურ წყა-

როთა მონაცემებზე და ლიტერატურაზე დაყრდნობით, მონოგრაფიულად შეისწავლა საქართველოსა და სომხეთის ფეოდალური განვითარების მთელი რიგი თავისებურებანი. XIII-XVIII საუკუნეებში, ქართველ და სომეხ ხალხთა პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურულ ურთიერთობათა ხასიათი.³⁰

„ქართლის ცხოვრების“ მასალებზე დაყრდნობით, საქართველო-სომხეთის ურთიერთობის საკითხები შეისწავლა ა. აბდალაძემ. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ ქართველ და სომეხ ხალხთა ერთიანი ბრძოლის ამსახველ ცნობებს და შეეცადა „ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთი ავტორის ტენდენციურობის ახსნას.³¹

ასევე საყურადღებოა ა. აბდალაძის მეორე ნაშრომი, რომელშიც საფუძვლიანადაა შესწავლილი ქრისტიანულ ქართულ-სომხურ-ალვანური სამეფო-სამთავროების პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობანი ამიერკავკასიის მაჰმადიანურ საამიროებთან IX-XI საუკუნეებში.³²

როგორც ცნობილია, ქართული არმენოლოგიის კერა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა, სადაც თავიდანვე სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სასწავლო პროგრამით ძველი და ახალი სომხური ენების კურსს ასწავლიდნენ ა. შანიძე და დ. ყიფშიძე, ხოლო ძველ სომხურ საისტორიო მწერლობას – ივ. ჭავჭავაძე.

არმენოლოგიურ კვლევა-ძიებას დიდ ყურადღებას აქცევდა ა. შანიძე. მნიშვნელოვანია მისი 1940 წ. გამოცემული „სომხურ დიალექტთა ახალი შტო“, აგრეთვე „ახალი შეხედულება ახალსომხური ზმნის უღლების შესახებ“ (რუსულ ენაზე). ასევე საყურადღებოა გ. ჩუბინაშვილის მონოგრაფია „ძიებანი სომხურ არქიტექტურაში“ (რუსულ ენაზე).

1922 წელს თბილისის უნივერსიტეტში დაარსდა არმენოლოგიის კათედრა, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა ლ. მელიქსეთ-ბეგი. 1945 წელს კი, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ჩამოყალიბებისთანავე, შეიქმნა სომხური ენისა და ლიტერატურის განყოფილებაც. 1963 წელს არმენოლოგიის კათედრის გამგედ დაინიშნა პროფ. ი. შილაკაძე, რომელიც ძირითადად ლინგვისტურ კვლევა-ძიებას ეწეოდა (იგი არის ავტორი ძველი და ახალი სომხური ენის გრამატიკების სახელმძღვანელოებისა).

1979 წლიდან არმენოლოგიის კათედრის გამგეა პროფ. ზ. ალექსიძე, რომლის ხელმძღვანელობითაც კათედრის თანამშრომელთა (ნ. აფციური, ელ. დოჩანაშვილი, მ. რობაქიძე, ნ. ჩანტლაძე, რ. ჭუბაბრია, გ. მაჩაიძე) სამეცნიერო მუშაობა მიმდინარეობს ქართულ-სომხური ენობრივი, ლიტერატურული ურთიერთობების, წყაროთმცოდნეობის, ტექსტოლოგიის, ეპიგრაფიკის კვლევა-ძიების ხაზით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალგაზრდა სპეციალისტ არმენოლოგთა მომზადებას.¹³

საქართველოს სხვა სამეცნიერო დაწესებულებებშიც მიმდინარეობს არმენოლოგიური კვლევა-ძიება. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ჯერ კიდევ ი. აბულაძემ შექმნა როგორც ქართველოლოგთა, ისე არმენოლოგთა სკოლა. აქ თავიდანვე არმენოლოგიური მუშაობა წარიმართებოდა ტექსტოლოგიისა (მ. რათავა) და წყაროთმცოდნეობის (ზ. ალექსიძე, მ. დიასამიძე, ე. ცაგარეიშვილი) მიმართულებით. არმენოლოგიურ კვლევა-ძიებას ეწევიან ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში (ა. აბდალაძე, ლ. დავლიანიძე, გ. მაისურაძე), შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში (ბ. არველაძე), გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში (რ. გორგაძე, ნ. საგანელიძე, კ. კუცია) და სხვ.

ასეთია მოკლედ ქართული არმენოლოგიის განვითარების სურათი.

1. ივ. ჯავახიშვილი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, წ. I, ტფ., 1935, გვ. III.

2. სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთას“ ძველი ქართული თარგმანები, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1978.

3. სამართალი სომხური, ქართული ვერსია. შესრულებული ვახტანგ VI-ის ბრძანებით, გამოსცა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა, თბ., 1972, გვ. 42-156.

4. ლმელიქსეთ-ბეგი, გიორგი გორელი - უცნობი ქართველი და სომეხი მწერალი XVIII საუკუნის პირველი ნახევრისა, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, X-III, 1940, გვ. 89-132.

5. ლმელიქსეთ-ბეგი. მიქაელ ჩაშჩიანის „სომხეთის ისტორიის“ ქართული თარგმანი, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, VIII, 1935, გვ. 55-57.

6. ე. ცაგარეიშვილი, მარი ბროსე და არმენოლოგიის საკითხები, „მრავალთავი“, XII, 1986, გვ. 156-163.

7. Д. Бакрадзе и Бердзенов. Тифлис в историческом и этнографическом отношениях, СПб., 1870. წ. კიკინაძის ცნობით, ეს ნაშრომი ითარგმნა სომხურ ენაზე და გამოქვეყნდა კონსტანტინოპოლში. დ. ბაქრაძე. „საქართველოს საზღვრებს სომხების მხრივ იპერენ სომხები“ („ივერია“, 1878, №30); დ. ბაქრაძე, არშაკიდების დინასტია სომხეთში და საქართველოში („ივერია“, 1878, №22); Д. Бакрадзе об отношениях Армении и Грузии к Византии вообще и в X в в особенности (Известия Кавказ. общества истории и археологии, т. I, вып. I. 1882.); დ. ბაქრაძე. ქართული ისტორია XI, საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა იმ ხანაში, როდესაც სომხეთი დაინაწილეს ვიზანტიამ და სპარსეთმა. სარწმუნეობრივი და ლიტერატურული კავშირი ქართველებისა სომხებთან („დროება“, 1882, №141, 144, 146, 147); დ. ბაქრაძე, პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიული წყაროები, თბილისი, 1884, გამოქვეყნდა აგრეთვე „ივერიაში“ (1884, №7, 8) და „დროებაში“ (1884, №194-198).

8. ივანე ჭავჭავიძე, ბიბლიოგრაფია, თბ., 1976.

9. იხ. Полная библиография печатных работ Л. Меликсет-Бска за 1909-1960 гг., Тбилиси, 1960.

10. იოანე დრასხანაკერტელი [სომეხ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ], თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლებით ილია აბულაძისა, თბილისი, 1937. მხითარ გოშის ტრაქტატი „ქართველთათვის“ და მისი ლიტერატურული წყაროები, თსუ შრომები, ტ. II, თბილისი, 1938. იაკობ ცურტაველი, მარტყოლი შუშანიკის, ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილია აბულაძემ, ტფილისი, 1938. მათეოს განძასარკლის ცნობა ქართველთა მეფის კონსტანტინეს შესახებ, „ენიკის მონაძე“. ტ. V-VI, თბილისი, 1940. ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს. -ში, გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი, თბილისი, 1944. სტეფანოს ორბელიანის ისტორიის ერთი ცნობის განმარტების გარშემო, თსუ შრომები, ტ. XXXIII, თბილისი, 1947; „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევიითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, 1953.

11. ლ.-ნ. ჭანაშვილი, ლაზარ ფარაქის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962.

12. მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალ. აბულაძემ, თბ., 1984.

13. ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევიითა და კომენტარებით გამოსცა ზაზა ალექსიძემ. თბ., 1968.

14. უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევიით გამოსცა ზაზა ალექსიძემ. თბ., 1975.

15. იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია (786-925წწ.), სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევიითა და საძიებლით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა. თბ., 1965.

16. არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია, ქართული თარგმანი გამოკვლევიით, კომენტარებითა და საძიებლით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1974.

17. გრიგოლ აკანელი. მოისარათა ტომის ისტორია, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით და კომენტარებით გამოსცა ნოდარ შოშიაშვილმა. თბ., 1961.
18. მოვსაჲ კალანკატუაკი. აღვანთა ჭვეწყის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლიანა დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბ. 1985.
19. ლ. დავლიანიძე, მხითარ გოშის „აღბანეთის ქრონიკა“, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, II, თბ., 1968.
20. მხითარ აირივანეცი, ქრონოგრაფიული ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლიანა დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბ., 1990.
21. თოვმა მეწოფეცი, ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო კარლო კუციამ, თბ., 1987.
22. არაკელ დავრიფეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმანი, შესავალი და კომენტარები კარლო კუციასი. თბ., 1974.
23. ესაი ჰასან ჭალალიანცი. აღვანთა ჭვეწყის მოკლე ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა და კომენტარები დაურთო კარლო კუციამ, თბ., 1971.
24. ზაქარია აგულეცი, დღიური, ნაწილი II-III, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლიანა დავლიანიძემ, თბ., 1979.
25. აბრაამ ერეევანი. ომების ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლიანა დავლიანიძემ, თბ., 1976.
26. ზაზა ალექსიძე, ატენის სიონის სომხური წარწერები, თბ., 1978.
27. ზაზა სხირტლაძე, საბერეების ფრესკული წარწერები, თბ., 1985.
28. სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (პიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ, თბ., 1978.
29. გურამ მაისურაძე, ერთი სომხური წყარო დემნა უფლისწულის აჯანყების შესახებ. „საქართველო რუსთაველის ხანაში“. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1966.
30. გურამ მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში, თბ., 1982.
31. ა. აბდალაძე, „ქართლის ცხოვრება“ და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა (უძველესი დროიდან XII საუკუნის დასაწყისამდე), თბ., 1982.
32. ა. აბდალაძე, ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში, თბ., 1988.
33. ზ. ალექსიძე, არმენოლოგია. საიუბილეო კრებული „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918-1998 წწ.“, თბ., 1998.

დადესტნური ენების შესწავლის ისტორიიდან
(ლ. ზაგურსკის შერიღები ე. ვეილენაუშისაღი)

ცნობილი კავკასიისმცოდნის ევგენი ვეილენაუშის (1845-1918 წწ.) პირადი საარქივო ფონდიდან, რომელიც საკმაოდ შეიცავს დაღესტნის ირგვლივ სხვადასხვა ხასიათის მასალებს, ჩვენი ყურადღება მიიქცია კავკასიაში მოღვაწე სწავლულისა და ჩინოვნიკის ლეონარდ ზაგურსკის ევგენი ვეილენაუშისადმი მიწერილმა რამდენიმე წერილმა,² - ზაგურსკისა, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის კავკასიის ხალხთა ისტორიისა და ეთნოგრაფიის თუ ენათა კვლევის საქმეში. ლეონარდ ზაგურსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, განსაკუთრებით მისი ენათმეცნიერული საქმიანობის შესახებ საყურადღებო გამოკვლევა აქვს ვ. კიკილაშვილს.³ წერილების შინაარსის უკეთ გაგებისათვის მოკლედ გავეცნოთ ლ. ზაგურსკის ბიოგრაფიულ ცნობებსა და მის საქმიანობას (ძირითადად ვ. კიკილაშვილის ნაშრომზე დაყრდნობით).

ლეონარდ პეტრეს ძე ზაგურსკი დაიბადა 1827 წელს უკრაინაში, როგონს მაზრის ვოლინის გუბერნიაში, სოფელ ბაკშინოში. სწავლობდა კიევის გიმნაზიაში, რომელიც დაამთავრა 1844 წელს. 1849 წელს დაამთავრა კიევის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი და მიიღო უნივერსიტეტის კანდიდატის ხარისხი. შემდეგ საცხოვრებლად და სამუშაოდ გადმოდის თბილისში. 1850 წლიდან ლ. ზაგურსკი ასწავლის ისტორიას ტფილისის პირველ გიმნაზიაში. ამავე დროს იწყებს საქმიანობას რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებაში (КОИРГО).⁴ ამ განყოფილებაში მსახურობდა იგი საქმეთა მმართველად 1876 წლიდან გარდაცვალებამდე, 1891 წლამდე. საერთოდ კი კავკასიის გეოგრაფიული საზოგადოების განყოფილებაში იმსახურა მან 40 წელი. ლეონარდ ზაგურსკის, როგორც რედაქტორისა და კორექტორის, ხელში გაიარა ამ უწყების პერიოდულ გამოცემათა⁵ თორმეტმა ტომმა. ლ. ზაგურსკი აქტიურად მონაწილეობდა კავკასიური ენებისათვის ანბანის შექმნის საქმეშიც.⁶ რაც შეეხება ლ. ზაგურსკის ენათმეცნიერულ საქმიანობას, იგი ავტორია მრავალი ლინგვისტური ხასიათის სტატიისა თუ ანგარიშისა, რომლებიც იმდროინდელ პერიოდულ გამოცემებში ქვეყნდებოდა.⁷ როგორც ვ. კიკილაშვილი აღნიშნავს, „ენათმეცნიერულ მონაცემთა საფუძ-

ველზე ლ. პ. ზაგურსკიმ მოგვცა კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიური კლასიფიკაცია; შესწავლილ კავკასიურ ენათა საფუძველზე წარმოადგინა ამ ენათა შედარებითი ანალიზი, საერთო ძირთა და შესატყვისობათა მთელი რიგი მაგალითები³¹.

ზოგიერთ ამ დასკვნათა საილუსტრაციაო სწორედ ჩვენს ხელთ არსებული ლ. ზაგურსკის წერილები. ქრონოლოგიურად ისინი მოიცავენ 1877-1881 წლებს. წერილების ადრესატი ევგენი ვეიდენბაუმი ამ დროისათვის, კერძოდ, 1877 წლისათვის, თავს აწებებს სადაზღვეო საზოგადოება „სალამანდრაში“ მუშაობას ხერსონის გუბერნიაში, გადმოდის სამუშაოდ თბილისში და სამსახურს იწყებს კავკასიის სამთო სამმართველოში. 1881 წლიდან ე. ვეიდენბაუმი კავკასიის სამხედრო-სახალხო სამმართველოს უფროსია.

ლ. ზაგურსკის ე. ვეიდენბაუმისადმი მიწერილი წერილების ძირითადი თემაა მის მიერ დაღესტნური ენების კვლევის საკითხი: იგი მიემზავრება დაღესტანს კონკრეტული მიზნით — შეისწავლოს დასავლურ-დაღესტნური ენების გარკვეული ჯგუფი, სახელდობრ, კარატაული, ჭამალალური, ტინდიური, ანდიური, ლოდობერიული (დაღესტნური ენების ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ქვეჯგუფის ენები), მოიპოვოს ამ ენათა ენობრივი მასალები, მოახდინოს მათი გრამატიკული დახასიათება, შეადგინოს ამ ენების ლექსიკონები. ლ. ზაგურსკის ენათმეცნიერული ინტერესების სფერო მარტოოდენ ჩამოთვლილ ენათა წრით არ შემოიფარგლებოდა. უფრო ადრე მან შეაგროვა რუთულურის, ყუბაჩურის, წახურულის, ანდიურის ენობრივი მასალები.

ლ. ზაგურსკის წერილები უტყუარად ადასტურებენ, რომ მათი ავტორი დიდად განათლებული, ჰკვიანი და ერუდირებული პიროვნებაა. და არა მარტო ეს წერილები. საკმარისია გავეცნოთ თუნდაც ერთ მის ნაშრომს, მაგალითად, პ. უსლარის შესახებ გამოკვლევას, რომ აშკარა გახდეს, თუ რა სიღრმისეული ცოდნისა და განსწავლულობის ადამიანთან გვაქვს საქმე. თუ გავითვალისწინებთ, რა პირობებში უხდებოდა ლ. ზაგურსკის დაღესტნის მთიანეთში ცხოვრება და საქმიანობა (უგზობა, ელემენტარული ყოფითი საკითხების სრული მოუგვარებლობა, შესაფერისი მთხრობლების მოძიების სიძნელეები და მისთ.), მით უფრო დასაფასებელი ხდება მისი, როგორც კავკასიურ ენათა თავდადებული მკვლევრის, პიროვნება. წერილებიდან ჩანს საქმიანი თუ პირადი, გულითადი და კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ადრესანტსა და ადრესატს შორის. წერილების მიხედვით იკვეთება ის წრეც, სადაც ლ. ზაგურსკის უხდება

მოღვაწეობა დაღესტანში და ვისი დახმარებითაც და ხელშეწყობითაც ახორციელებს იგი თავის საქმიანობას, ესენი არიან: თემირხანშურის სკოლის ინსპექტორი გეორგიზონი, პოდპოლკოვნიკი პოდხალიუზინი, მთხრობლები – ნურიი, ისმაილი და სხვ. ლ. ზაგურსკის დაღესტანში მუშაობაში დიდად უწყობდა ხელს ჩვენი სახელოვანი სამხედრო წინაპარი ნიკო ქავჭავაძე.¹² ჩვენ ადრეც აღვნიშნეთ¹³ და აქაც შევნიშნავთ და კვლავ წინ წამოვწევთ იმ ფაქტს, რომ დაღესტანში სხვადასხვა მაღალ სამხედრო-ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მყოფმა ნიკო ქავჭავაძემ დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა იქაურ ხალხში. თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი მან დაღესტანში გაატარა და მშვენივრად იცნობდა ადგილობრივი მოსახლეობის ზნეს, ყოფა-ცხოვრებას. აი, როგორ ახასიათებს მას დაღესტნელი მწერალი აბდ არ-რაჰმან ყაზიყუმშეელი (1842-1900): „1881 წელს ალაჰმა, მაღალიმც არს, მოგვივლინა მმართველად დაღესტნის სანახებსა და მხარეებზე დიდი ფადიშაჰის (რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III – ნ. ყ.) „სვიტის“ (ამალა – ნ. ყ.) გენერალი ენიაზ ნიკალაი ზურაბოვიჩ ქავჭავაძე, ცნობილი ჩვენში სიმამაცით, გამჭრიახობით, შემართებით, სიკეთითა და სიუბვით, საუკეთესო წარმომადგენელი გურჯისტანის მბრძანებელთაგან, რომელმაც ძირფესვიანად იცოდა ჩვენი ხალხის მდგომარეობა და განარჩევდა მათს ავსა და კარგს (. . .). რა დროიდანაც იგი ჩვენი მმართველი გახდა, (. . .) გამოსწორდა ჩვენში პოლიტიკა. მოწესრიგდა საქმეები სამწყაოთა, სასამართლოებისა და მოსამართლეთა“¹⁴.

ახლა გავეცნოთ თვით წერილებს. მართალია, ლ. ზაგურსკის წერილები, როგორც ზვევითაც აღვნიშნეთ, ძირითადად ენათმეცნიერების სარბიელზე მის საქმიანობას ასახავენ, მაგრამ ამავე დროს ისინი შეიცავენ მეტ-ნაკლებად საგულისხმო ფაქტებსა და საინტერესო მოსაზრებებს მისი თანადროული საზოგადოებრივი ცხოვრების სურათის წარმოსაჩენად.*

* წერილების ავტორისეული სტილი დაცულია.

Многоуважаемый Евгений Густавович!

Здесьние хорошие ваши знакомые ожидают с нетерпением отста на сделанное Вам Горским управлением предложение. Так как Вы желаете распрощаться с Саламандрою¹⁵ и намерены поступить на коронную службу, то я думаю, что предложенное место можно смело принять: содержание порядочно, канцелярских занятий немного; деятельность Ваша, главным образом, будет сосредоточена на издании Горского Сборника, что во всяком случае будет приятнее переписки с управлением Саламандры. Наконц Вы перейдете на Кавказ, изучению которого давно посвятили себя. Здесьние ваши знакомые питают надежду, что не пройдет месяца, как место, занимаемое прежде Вороновым, будет занято вами.

Часть наследия Воронова досталась и мне: я уже украшаюсь званием Правителя дел Кавказского Отдела Р(усского) Географического Общества. Подпись моя, как правителя дел, уже красуется на нескольких бумагах. Новый мой титул произвел магическое действие на моих приятелей из здешнего учебного мира, которые подозревали во мне автора филиппик кн. Бебутова, готовы были съесть меня. Они выкидывали мне разные неприятности. Представьте же себе, что когда я проехался в фаэтоне с новоприобретенным у Хачатура Амбарцумяна портфелем, то с этих пор прекратились и козни моих врагов (. . .), низкие твари! При всем том, я не могу радоваться: мои беседы с кубачинцами, андийцами, цахурцами, ругульцами уже прекратились. С грустью я созерцаю составленные мною лексиконы горских языков и добытые с необыкновенными усилиями грамматические материалы. Неужто эти кипы бумаг так и останутся кипами? Эта мысль меня мучает. Я так и подумываю побыть годик секретарем общества, а потом и обратиться в бегство. Кстати, вы подъедете, - есть кому передать новую мою обязанность. Во всяком случае вы лучше меня поведете дело. (. . .) Сколько важных событий совершилось у нас в последнее время: Воронов - редактор Кавказа, Е.Г. Вейденбаум - будущий начальник отделения, Загурский - правитель дел ученого общества (. . .).

Дорогой Евгений Густавович!

Поговорка " *l' homme propose, Dieu dispose* " ¹⁶ как нельзя лучше применима, по крайней мере по настоящее время, к ожидаемым результатам моей поездки в Дагестан. По дороге я обдумывал план моих занятий и сбережения времени. За изучение языков думал я приняться на третий же день после приезда в Шуру. ¹⁷

25 числа вечером прибыл я в Шуру. В тот же день я отправился к Георгизону, инспектору шуриной прогимназии. Оказалось, что в числе воспитанников прогимназии не было уже ни одного из западной части Дагестана; в списке учеников значился один андиец, ученик III класса, лет 14-ти, да и тот уехал на родину на каникулярное время.

26 числа утром я представился князю Николаю Зурабовичу Чавчавадзе ¹⁸ и изложил ему цель моего приезда в Шуру. Он согласился со мною, что для сбережения времени в этом году следует мне остаться в Шуре и приняться немедленно за изучение какого-нибудь из наречий Западного Дагестана. Кн. Николай Зурабович сделал распоряжение об отыскании в Шуре горцев из этой части Дагестана. В этом деле оказали свое содействие подполковник Подхалюзин, здешний старожил, Георгизон и другие лица. На другой день найден был поручик Апшеронского полка Игум Богадуров Нуррич, по происхождению каратинец. ¹⁹ Мы сошлись у кн. Чавчавадзе. Он обратился к Нурричу с речью, в которой развивал ту мысль, что мне нужно оказать содействие не только ввиду пользы науки, но и интересов его родины. Ваши земляки, сказал кн. Чавчавадзе, коснеют в невежестве, потому что у них нет школ; школы же только тогда могут быть открыты и принести существенную пользу, когда преподавание в них начнется на местном языке, что немислимо без составления грамматического очерка его. Будь я на вашем месте, я оказал бы человеку, предлагающему пожертвовать для этой цели свое время, труд и знания, посильное содействие. Но для Нуррича, ученика Костемеровских, ²⁰ эти слова были *de l' Lebrén*. ²¹ Как

школьник, он прибежал ко всевозможным уловкам, чтобы отклонить предложение князя: и занятия по службе, и подготовка к экзамену, и другие обстоятельства лишают его возможности быть мне полезным. Нуррич видимо лгал. Я, наконец, говорил Нуррич, 15 лет не слышал родной речи, я и не каратинец, я родился в ауле Токитс,²² который входит в состав Хунзахского наибства. Это обстоятельство несколько не мешает Токиту быть населенному каратинцами, заметил я. Это так, сказал Нуррич, но речь их испорчена. Все это дело испортил Подхалюзин. Убедившись опытом еще в Тифлисе, что горцы слишком падки на деньги, я Подхалюзину сказал, что за занятия буду платить хорошо, что Нуррич в течение 1,5 месяца может заработать 200, а в случае же усиленных занятий - 300 рублей и больше. Георгизон был настолько обязателен, что сам предложил мне взаймы деньги (вообще я встретил в моем деле столько содействия со стороны Георгизона, сколько бы наверное не встретил со стороны других лиц нашего учебного персонала). Возвращаюсь к Подхалюзину. Подхалюзин, исходя из того принципа, что туземцев не следует слишком баловать, в общих чертах только сказал Нурричу, что я заплачу за занятия ... Впрочем, нет худа без добра. Быть может, в самом деле Нуррич оказался бы плохим знатоком своего языка, а в таком случае нынешнее лето было бы совершенно потеряно для изучения горских языков. Ввиду всего этого, я решил ехать (выеду, вероятно, сегодня) в Хунзах,²³ а оттуда в Ботлих.²⁴ Указали мне на некоторых лиц (а в числе их на одного бывшего путеводителя, ознакомленного с азбукою Услара)²⁵. Кн. Чавчавадзе снабдил меня рекомендательными письмами к разным лицам Западного отдела. Окончив мою переписку, уложусь в дорогу и тронусь в путь. А. В. Комарову²⁶ не пишу, потому что покамест ничего не сделал. Н.К. Зейдлиц²⁷ здесь: он демонстрировал князю Чавчавадзе свои труды, фотографии и др. и сам демонстрировался. 3-го дня я видел у князя Штейна, Цилосани²⁸ уже давно выехал отсюда. Кн. Ч-дзе пригласил на обед Зейдлица, меня и еще нескольких лиц и к концу обеда шуточно заметил, что около него собралась целая академия ученых. Ваш Л. Загурский.

Жозефине Каетановне²⁹ мой глубочайший поклон.

№ 447

28 июля 1880 г.

Ботлих - (Тифлис)

Дорогой Евгений Густавович!

После двухнедельных странствований очутился я в Ботлихе, административном центре Западного Дагестана. Ботлих - это ultima Thule,³⁰ в некотором роде предел мира. Теперь я не стану распространяться о путевых приключениях; скажу только, что дорога от Шуры до Ботлиха - это нечто такое гнусное, о чем никакое описание не может дать представления тому, кто по ней не ездил. В одном месте тарантас опрокинулся и едва не слетел в кручу; я успел заблаговременно выскокить из него. Бросил я, наконец, тарантас в Салтах³¹ и продолжил путь в почтовой повозке, представляющей собою подобие плетеной корзинки. Но и тогда не обошлось без приключений: в одном месте колесо отказалось от исполнения своего назначения. Я принужден был отправить нукера за колесом на станцию и ожидать прибытия колеса в течение шести часов. И вот по этой-то дороге придется мне ехать через три недели.

По прибытии в Ботлих, я на другой день созвал лучших знатоков андийского языка, понимающих по-русски, и стал им предлагать вопрос, касающийся их языка. Ответ убедил меня в том, что мне придется иметь дело с языком, совершенно, новым, самостоятельным, отличающимся довольно значительно, в грамматическом отношении в особенности, от аварского. Выбрав из бывших у меня башабузуков³² двух субъектов в мои сотрудники, я на другой день, т. е. 7 июля, приступил к занятиям. Один из этих сотрудников, эксдрагун и в настоящее время переводчик, знает сносно свой язык, уже не молод и не может долго заниматься; другой плохо знает свой язык, но грамотен и ознакомлен с горскою азбукою, составленною Усларом; он записывает слова и фразы. Оба сотрудника, конечно, не имеют ни малейшего понятия о грамматике. Это обстоятельство крайне затрудняет ход занятий. Пришлось отказаться от мысли добыть на первых порах грамматические формы, а терпеливо дожидаться той поры, когда они добудутся, и записывать сначала слова и фразы. Занятие, как видите, крайне сложное и утомительное.

Но если мне удавалось добыть искомое, то я забывал даже о той дороге, по которой приехал в Ботлих. В течение 20-ти дней я поработал много; только вчера прошелся по Ботлиху. В результате получился значительный сборничек слов и фраз, несколько сказок, продиктованных рассказчиком (им же продиктовано и довольно длинное сказание о партах). Вникнул я в фонетические особенности изучаемого языка и напал на кое-какие грамматические его законы. Труд мой, однако, далеко не полон. Постараюсь его пополнить, но, по всей вероятности, он не будет обстоятелен. Стараюсь теперь собрать по возможности поболее материала; обработкою его я займусь в Тифлисе. В это время лучше сделаются заметными пробелы. В этом же году можно будет отпечатать предварительный отчет о моих летних занятиях, в котором и сообщится краткая характеристика андийского³³ языка. Ведь нет возможности изучить какой бы то ни было, а тем более дагестанский язык в течение 40 дней.

[Андийский] же язык напрашивается на самое обстоятельное изучение уже и потому, что с ним, как я здесь убедился, сродни наречия обществ, живущих в окрестностях Ботлиха. Сравнение возможно при обстоятельном изучении одного из означенных наречий. Много остается делать для кавказской лингвистики, а времени мало; я уже и немолод и силы значительно ослабели, да и здоровьем не могу похвастаться. Принял я кое-какие предварительные меры, чтобы на будущее время пошли успешнее занятия по изучению чамалальского³⁴ и каратинского наречий. Об этом поговорим в Тифлисе, если я не слечу на обратном пути в кручу. Что вы не написали ни одной строчки? От жены я получил только телеграмму вскоре по приезде в Ботлих. Это меня крайне беспокоит. Как здоровье Жозефины Кастановны? Потрудитесь поцеловать за меня ее руку. До свидания, дорогой Евгений Густавович! Ваш Л. Загурский.

Дорогой Евгений Густавович!

Вот уже более двух недель прошло с тех пор, как я подвизаюсь в Ботлихе на поприще кавказского языкознания. Главный мой сотрудник при изучении андийского языка – это словесный персводчик Измаил (о нем я Вам рассказывал). С ним-то я читаю и разбираю андийские тексты. Их набралось немало. Разбор этих текстов, при полнейшем отсутствии, как у старика Измаила, так и у других моих сотрудников грамматических знаний, требует гораздо больше головоломной работы, нежели чтение в оное время греческих классиков при первоначальном изучении греческого языка, с тою, впрочем, разницею, что тогда имелись в распоряжении и объемистые грамматики, и предлинные комментарии, а в данном случае источником знаний служит Измаил, бывший драгунский вахмистр, умеющий едва подписать свою фамилию. Впрочем, надо отдать справедливость моему сотруднику: он все более и более вникает в свойства родного языка и иногда совершенно неожиданно делает сообщения о своих открытиях. Как-то недавно добивался я значения одной частицы (а их гибель в андийском языке). Мои расспросы, наведения ни к чему не привели. Измаил, в конце концов, сознался в том, что он не может объяснить мне значения несчастной частицы. Но зато, – заметил он привставши со стула и выпрямившись, как на команду, – я нашел, что значит чу (приставка, соответствующая русскому у)³⁵. Пожалуйста, запишите, а то забудете, – продолжал экс-вахмистр.

- После запишу.

- Нет, пожалуйста, теперь же запишите.

- Хорошо.

- Если Вы хотите сказать по-андийскому у, то нужно к слову присовокупить чу, но токмо в конце.

Я его успокоил, заметив, что еще в начале наших занятий я узнал значение чу. Это замечание доставило моему сотруднику необыкновенный сюрприз; он не мог надивиться моей сообразительности. Посетил он моих ботлихских знакомых и при них высказал: удивительный человек этот Загурский: я столько лет прожил на свете и только недавно попал в чу, а он с самого начала догадался об этом.

Вдобавок, умственный труд скоро утомляет подобных сотрудников. Займется полчаса мой Измаил, и вот начинает он зевать, глаза его краснеют, и он начинает городить чепуху. Отдохните, Измаил, - говорю я ему. "Этот рамазан³⁶ очень утомляет" (рамазан в этом году начался с 16 июля). Надо Богу молиться", - говорит он. Вот старик и поплелся или к адъютанту, или к помощнику начальника Отдела, или к коменданту укрепления.

Вблизи меня помещается Имам-мирза, бывший ученик бывшей шуринской школы с того времени, когда она поступила в заведование попечителя кавказского учебного округа. Незабвенный Неверов,³⁷ исказив дело Услара, устроил ее по подобию школ Тамбовской и Костромской губерний; языки местные были совершенно изгнаны. Имам-мирза пробыл в школе 4 года; русским языком владел плохо. Учился он в школе и грамматике, но ему неизвестна даже терминология грамматическая. Он сохранил весьма скупое воспоминание об обучении; лучше помнит только Шестаковского, человека вспыльчивого, но хорошего, обучавшего его счету. Школьное учение, видимо, придавило этого честного и от природы неглупого человека. Надо вообще заметить, что горцы способны; но кромешная тьма господствует в их родине. Появление кометы вызвало среди них умственное волнение; они видят в этом предзнаменование великих событий, в числе которых на первом плане стоит появление нового имама. Подобные явления будут здесь в порядке вещей до тех пор, пока народным образованием края будут заправлять Неверовы и Яновские.³⁸ Но возвращаюсь к прерванному рассказу.

Третий мой сотрудник – корнет Идрис. Он был учеником темирхан-шуринского горского училища в первый период его существования. Только что основанное тогда училище, по плану Услара, успело, несмотря на свое кратковременное существование, принести вожделенные плоды. Идрис – толковый человек, по-русски знает гораздо лучше, нежели Имам-мирза. Вдобавок, он изучил горскую грамоту по методу Услара: он и записывает тексты, так как я никак не могу положиться на свой слух. К сожалению, Идрис не андиец. При всем том, он помог мне уяснить немало особенностей андийского языка, с которым он ознакомился при записывании текстов. Знаю только, что он немного лентяй. Как бы то ни было, но ан-

302

дийские тексты, перечитываемые мною по нескольку раз, делаются для меня все более и более понятными. В конце концов, надеюсь, что только некоторые частицы останутся несобъяснимыми надлежащим образом. В утешение свое только могу сказать, что и в труде Услара об аварском языке объявлено значение только немногих частиц. Смушают меня и глагольные формы, но я успел уяснить значение уже многих. Пожелайте мне от души, чтобы я добился значения и других глагольных форм. Вы, вероятно, засмеетесь, что я дал обет сделать хорошее дело, если достигну желаемых результатов.

Как изволите видеть, труды мои обставлены препятствиями, а между тем меня так и подмывает ознакомиться и с другими наречиями северо-западного Дагестана, которых, не считая аварского и андийского языков, имеется 7. Мне не по вкусу поверхностное ознакомление с языками. Но, по всей вероятности, мне не придется продолжать мои лингвистические занятия: я уже не молод, здоровье мое крепко пошатнулось, и мне нужен отдых в летние месяцы, а тут вместо отдыха, приходится нести такой труд, что один из моих бутлихских знакомых, посидевший час во время моих занятий, сказал с чувством: я бы согласился пойти скорее на каторгу, чем вести такое трудное дело. Новые исследователи, по всей вероятности, не скоро появятся. Ввиду всех этих соображений, я и решил составить самые простые очерки означенных наречий. Эти очерки все-таки могут принести известную долю пользы. Уже набросаны заметки о годаберийском,³⁹ чамалальском и тиндальском⁴⁰ наречиях. Нужно сделать подобные заметки еще о 4-х наречиях. Занимаюсь этим в антрактах. Записываю слова при помощи Идриса.

Я заказал уже чухту (головной женский убор). Приобрету скоро и андийские серьги. Сообщите об этом А.В.Комарову. Сообщите ему и о ходе моих занятий. Затем, желая Вам от души всего лучшего, остаюсь вполне Вам преданным и искренно любящим Ваш Загурский.

P.S.

Жозефине Каетаповне потрудитесь засвидетельствовать мое глубокое уважение. В каком состоянии ее здоровье?

¹ დაკულია კ. კვეციანის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

² ე. ვეიდენბაუმის ფონდი, №№ 445-448.

³ В. Книжничев, Леонард Петрович Загурский и вопросы языкознания, иез.-წელიწადური, XIII, 1986, გვ. 306-319.

⁴ რუსული საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება გაიხსნა თბილისში 1851 წლის 10 მარტს. მისი პირველი თავმჯდომარე იყო მეფისნაცვალ მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვი (1782-1856 წწ.), რომლის უშუალო შუამდგომლობითაც დაარსდა ეს განყოფილება. Л. П. Загурский, Петр Карлович Услар и его деятельность на Кавказе. ССКГ, вып. X, Тифлис, 1881, გვ. XIII

⁵ „Записки КОИРГО“, „Известия КОИРГО“.

⁶ Л. Загурский, Кавказско-горские письма, ССКГ, вып. V, Тифлис, 1871;

⁷ ვ. კიკილაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 306, 307.

⁸ იქვე, გვ. 307.

⁹ იქვე, გვ. 319.

¹⁰ Л. М. Меликсет-Бекон, Е. Г. Вейденбаум как кавказовед, Известия Кавказского музея, Тифлис, 1919, т. XII, с. 1-17.

¹¹ ვ. კიკილაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 313; ე. ვეიდენბაუმის ფონდი, № 445.

¹² Л. П. Загурский, Петр Карлович Услар и его деятельность на Кавказе. ССКГ, вып. X, с. I-L XXXIII.

¹³ ნიკო ჭავჭავაძის შესახებ იხ. შამშე მეგრელიძე, ჩვენი სახელოვანი სამხედრო წინაპრები, თბილისი, 1979.

¹⁴ ნ. ყანჩაველი, აბდ არ-რაჰმან ღაზილუმუქელის თხზულების „დაღესტნისა და ჩინეთის დაცემის...“ ახალი რედაქცია, მრავალთავი VI, 1985, გვ. 122-135.

¹⁵ თარგმანი არაბულიდან. ნაწიეტი ამოღებულია აბდ არ-რაჰმანის ზემოსწინებული თხზულებიდან. მრავალთავი I, გვ. 133.

¹⁶ „სალამანდრა“ - სადაზღვეო საზოგადოება, რომელშიც (ხერსონის გუბერნიის ქ. ნიკოლაევში) მუშაობდა ე. ვეიდენბაუმი ინსპექტორად თბილისში ჩამოსვლამდე.

¹⁷ I 'homme propose, Dieu dispose' (ფრანგ.) - კაცი ბეძობდა, ღმერთი იცინოდა.

¹⁸ იგივე თემიზხანშურა, დღევანდელი ბუინაქსი, გასული საუკუნის დასასრულისათვის ერთი კულტურული ცენტრი კავკასიაში.

¹⁹ ნიკო ჭავჭავაძე (1830-1897წწ.) - გენერალ-მაიორი. შუა დაღესტნის სამხედრო ხელისუფალი. ვ. პოტოს თქმით, იგი იყო ჭკვიანი და რკინის ნებისყოფის ადმინისტრატორი („Кавказ“, 1897, №6; გრიგოლ ორბელიანის წერილები, აკაკი გაწერელიას რედაქციით და შენიშვნებით, ტ. II, 1937, გვ. 58, 113...).

²⁰ კარატა - აზიის რაიონული ცენტრი (დას. დაღესტანი).

²¹ კოსტემერევესკი ივანე სიმონის ძე (1813-1891 წწ.) - მწერალი და ექიმი. დაამთავრა მოსკოვის სამედიცინო-ქირურგიული აკადემია. მუშაობდა ექიმად სამხედრო უწყებებში კავკასიაში. კოსტემერევესკი იხსენიება გრიგოლ ორბელიანის წერილებში (იხ. გრიგოლ ორბელიანის წერილები, ტ. II, გვ. 269). როგორც „წერილებზე“ დართულ აკაკი გაწერელიას შენიშვნებშია აღნიშნული, მას

ეკუთენის კორესპონდენციები გაზ. „კავკაზში“ 1958 წ. სალათაიის ბრძოლების შესახებ (იქვე, გვ. 382).

²¹ De l' Lebrun - (ფრანგ.) „ლებრენის მსგავსად“.

²² ტოკიტა - აული ახვახის რ-ნში (დას. დაღესტანი).

²³ ხუნძახი - ავარიის მთავარი რაიონული ცენტრი (შუა დაღესტანი).

²⁴ ბოთლიხი - რაიონული ცენტრი დას. დაღესტანში.

²⁵ პეტრე კარლის ძე უსლარი (1816-1875 წწ.) - კავკასიურ ენათა მკვლევარი. რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილების ერთ-ერთ კრებაზე პ. უსლარმა გამოთქვა აზრი უმწერლობო კავკასიური ენებისათვის ანბანის შექმნის თაობაზე. მისი ვარაუდით, კავკასიური ენების ბგერებს ყელზე მებრუნებდა მიესადაგება ქართული ანბანი. მაგრამ, რადგანაც ქართული მხოლოდ ქართველებმა იციან, ამიტომ უპირატესობა მიანიჭა მან რუსულს და თავის მიერ შექმნილ „კავკასიურ ანბანს“ (ასე უწოდა მან) საფუძვლად დაუდო რუსული გრაფიკა. პ. უსლარმა მონოგრაფიულად შეისწავლა ამდღინამე კავკასიური ენა: აფხაზური, ჩაჩუხური, ხუნძქური, ლაკური, ლეზგიური, თაბასარანული, რომელთაც შეუდგინა თავის მიერ შექმნილი ანბანები (იხ. Л.П. Загурскии, Петр Карлович Услар... , с. XXXV-XXXIX; არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბილისი, 1965, გვ. 186-212).

²⁶ ალექსანდრე ბესარიონის ძე კომაროვი (დაბ. 1830 წ.) - ინჟანტერიის გენერალი, სამხრეთ დაღესტნის სამხედრო ხელისუფალი, კავკასიის სამხედრო-სამოქალაქო სამმართველოს უფროსი, კავკასიაში მსახურობდა 1883 წლამდე.

²⁷ ნიკოლოზ კარლის ძე ზეიდლიცი (1831-1907 წწ.) - სტატისტიკოსი, ეთნოგრაფი, ბუნებისმეტყველი. დაამთავრა დერპტის უნივერსიტეტი საბუნებისმეტყველო განხრით. შემდეგ მოღვაწეობს კავკასიაში. 1868 წელს დანიშნეს კავკასიის სტატისტიკური სამმართველოს მთავარ რედაქტორად. 1880 წელს გამოაქვეყნა თავის მიერ შედგენილი კავკასიის ეთნოგრაფიული რუკა. მასვე ეკუთენის „Свод статистических данных о населении Закавказья, с полным алфавитным указателем городов и деревень края“, 1894.

²⁸ ნიკოლოზ იოსების ძე წილოსანი (1847-1893 წწ.) - კავკასიის მეფისნაცვლის დაბლობატიურ კანცელარიაში თარგიმნად მომსახურე იოსებ წილოსანის ვაჟი, საზოგადო მოღვაწე, კარტოგრაფი და არქეოლოგი.

²⁹ უოზენინა კაეტანის ასული - ევგენი ვეიდენბაუმის მეუღლე.

³⁰ Ultima Thule - სამყაროს დასალიერი; სიტყვა-სიტყვით - უკიდურესი თულე (ვერგილიუსი).

³¹ სალტა - ხუნძების აული ღუნძების ოლქში.

³² ბაშიბუზუცი - ოსმალთა არარეგულარული ჯარის მოლაშქრე.

³³ ანდიური ენა - დაღესტნურ ენათა ხუნძურ-ანდიურ-დილოური ქვეჯგუფის ერთ-ერთი ენა, გავრცელებულია ბოთლიხის რ-ნის აულეებში.

³⁴ ქამადიური ენა - დაღესტნურ ენათა ხუნძურ-ანდიურ-დილოური ქვეჯგუფის უდამწერლობო ენა, გავრცელებულია წუმბაის რ-ნის აულეებში.

³⁵ „ქუ“ - ერთ-ერთი ადგილობრივი ბრუნვის ნიშანი ანდიურ ენაში.

³⁶ რამაზანი - მაჰმადიანური მთვარის კალენდრის მე-9 თვე, რომლის განმავლობაში მაჰმადიანები მარხულობენ მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე.

³⁷ იანუარი მიხეილის ძე ნევეროვი (1810-1893 წწ.) - 1861-1864 წლებში იყო მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის დირექტორი, 1868-1879 წწ. - ში - კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი.

³⁸ კირილე პეტრეს ძე იანოვსკი (1822-1902 წწ.) - 1839-1843 წლებში სწავლობდა კიევის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1878 წელს კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ ნიკოლოზის ძის წინადადებით დანიშნეს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველად.

³⁹ ლოდობერიული ენა - დაღესტნური ენების ანდიური ქვეჯგუფის უდამწერლობო ენა, გავრცელებულია ბოთლიხის რ-ნის ორ აუღში - ლოდობერსა და ზიბირხალში.

⁴⁰ ტინდიური ენა - დაღესტნურ ენათა ხუნძურ-ანდიურ-დილოური ქვეჯგუფის უდამწერლობო ენა.

ხელოვნებათმცოდნეობა

ირინა ასანინიშვილი

შალვა ქიქოძის ფერწერა

შალვა ქიქოძის (1894-1921) ფერწერული შემოქმედება XX საუკუნის ათიანი წლების ქართული მხატვრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ორგანული ნაწილია. გუდიაშვილისა და კაკაბაძის მსგავსად, ქიქოძის მხატვრობა ეპოქის მსოფლმხედველობით არის განპირობებული და მჭიდრო კავშირშია თანადროული რუსული და ევროპული ხელოვნების სტილურ განვითარებასთან, ამავე დროს, შემოქმედებითი ინდივიდუალობითა და საკუთარი ხელწერით გამოირჩევა.

მხატვრის ხანმოკლე სიცოცხლის მიუხედავად, მისმა მხატვრობამ საკმაოდ სწრაფი მხატვრული განვითარება განიცადა. მის სტილურ ჩამოყალიბებაში განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა მისი შემოქმედებითი ბუნებისათვის დამახასიათებელ თვისებას, როგორც ლადო გუდიაშვილი იგონებდა, „...ცხოვრების იუმორის პრიზმაში დანახვის უნარს“¹, რისი მაჩვენებელიც იყო ყრობიდანვე მხატვრის მიდრეკილება კარიკატურისა და შარჟისკენ.² მართლაც, ირონია ქიქოძის ხელოვნებისათვის თითქმის აუცილებელი, თანმხლები კატეგორია იყო. ის შეფასებას აძლევდა არა მარტო თანამედროვეობის მოვლენებს, რომლებიც მისი მხატვრული შემეცნების საგანი ხდებოდა, არამედ საკუთარ ემოციებსაც მათ მიმართ. ირონიის, გროტესკის გაჩენის შესაძლებლობას უთუოდ შეიცავდა ის „რომანტიკული განუხორციელებლობა“, რომელიც თვით ცხოვრებით, სოციალური წინააღმდეგობებით იყო გამოწვეული, რაც მხატვრის ირონიულ პოზიციას განაპირობებდა საკუთარი მისწრაფებებისა და ესთეტიკური პროგრამის მიმართ. ეს თვითირონია ქიქოძის რომანტიკული ბუნების შედეგია. საზოგადოდ, ირონია ამ დროის კულტურის ერთგვარი „ავადმყოფობა“ იყო, რომელიც მწერლებსა და მხატვრებს შორის გავრცელდა.³ მხატვრულ რეალიზაციას ირონია სხვადასხვა ფორმით, ხშირად გროტესკის სახით (კარიკატურა, შარჟი) იძენდა. კარიკატურას და შარჟს, რომელთა ფორმალური დეფორმაცია განსაკუთრებულად მახვილ, გროტესკულ მხატვრულ-სახეობრივ სტრუქტურას აყალიბებს, თითქოს გადააქვს ის

სხვა, რეალურობისგან განსხვავებულ განზომილებაში. ქიქოძის შემოქმედებითი მეთოდისა და სტილის ჩამოყალიბებაში ასევე სიმპტომატურია, ცოტა მოგვიანებით, მისი გატაცება თეატრით, თეატრალური მხატვრობით, როდესაც იქმნება რეალური გარემოცვისგან განსხვავებული, გარდაქმნილი, თეატრის პირობითი სამყარო.

ქიქოძის მხატვრული განათლების პერიოდი (მოსკოვის პერიოდი 1914-1918, აქედან 1916-1918 მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სამხატვრო სასწავლებელი) ფრიად ხანმოკლე იყო. ამიტომ არავითარი ავტორიტეტი პედაგოგებისა არ ართულებს მისი ფერწერის სტილურ სტრუქტურაში გარკვევას. ის თავად ირჩევდა „მასწავლებლებს“ ძველი და თანადროული ხელოვნებიდან, ეყრდნობოდა რა საკუთარ შემოქმედებით ბუნებას. მხატვრის ფართო განათლება, ხელოვნების კარგი ცოდნა მას იმდროინდელ საქართველოს, რუსეთისა თუ ევროპულ მხატვრულ ატმოსფეროში თავისუფალი ორიენტაციის საშუალებას აძლევდა. უთუოდ ამით აიხსნება ის, რომ 1914-1918 წლებში თითქმის ერთდროულად ქმნის სურათებს, რომლებშიც ვლინდება მისი შემოქმედებითი მივბები სხვადასხვა მიმართულებით.

1914 წლიდან ქიქოძე რუსეთშია. XX საუკუნის ათიანი წლების რუსული ფერწერის განვითარება, სტილისტური თვალსაზრისით, განსაკუთრებული სიროულით ხასიათდება: არსებობას განაგრძობს მხატვრული მიმდინარეობები, რომლებიც XIX საუკუნის ხელოვნების ტრადიციებთანაა დაკავშირებული, ი. რეპინისა და ვ. სურიკოვის მხატვრობაში ახალი ფერწერული ძიებები ვლინდება, ჩნდება ავანგარდული მიმდინარეობები, რომლებიც ახალი ფორმების კულტივირებით გამოირჩევიან („ბუნზოვი ვალეტის“, „ოსლინი ხვოსტის“ გაერთიანებების მხატვრების ფერწერა). ამასთან ერთად წარმოდგენილია სხვადასხვა მხატვრული ტენდენციებისა და მიმდინარეობების მთელი სპექტრი. უმცროსი თაობის „პერედვიჟნიკები“ იმპრესიონიზმამდელი პლენერული სისტემიდან შესრულების ფართო, ფერწერული მანერისკენ, დეკორატიულობისა და ეტიუდურობისკენ მიდიან (ა. არხიპოვი, ს. ივანოვი), „რუსი მხატვრების კავშირის“, „მირ ისკუსტვას“ და „გოლუბაია როზას“ გაერთიანებების მხატვართა შემოქმედება მხატვრულ პრობლემათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამ ხანის რუსული ფერწერის განვითარების ერთ-ერთი თავისებურება იყო ის, რომ იმპრესიონიზმი (კ. კოროვინი, ი. გრაბარი, კ. იუონი და სხვები) და მოდერნი („მირ ისკუსტვას“

მხატვრები და ამ სტილის ფუძემდებლები რუსულ ფერწერაში მ. ვრუბელი და სეროვი, რომლებიც არ არიან ამ გაერთიანების ტიპური წარმომადგენლები) თითქმის ერთდროულად და პარალელურად ვითარდებოდა. ამასთან ერთად, ფერწერის განვითარების საერთო სურათს კიდევ უფრო ართულებდა ის, რომ ერთი მხატვრის შემოქმედებაში შერწყმული იყო სხვადასხვა ტენდენციები. დროის ვიწრო მონაკვეთში სხვადასხვა მიმდინარეობების პარალელიზმი, თანმიმდევრობის ნაცვლად, ერთი მიმართულების მეორეზე დაშრევება ახასიათებდა ახალი დროის არა მარტო რუსულ, არამედ ქართულ ხელოვნებასაც.

უნდა აღინიშნოს ამ ხანის არა მარტო რუსული, არამედ ქართული და ევროპული ხელოვნების განვითარების კიდევ ერთი ასპექტი - შემოქმედების უნივერსალიზმი, რომელიც ახასიათებს ამ დროის ბევრ ქართველ მხატვარს, მათ შორის შალვა ქიქოძესაც. ბევრმა მათგანმა თავიანთი მოღვაწეობის დიდი ნაწილი დაუთმო სცენოგრაფიას, წიგნის და ჟურნალის გრაფიკას, ამასთან ერთად იყო კრიტიკოსი, თეატრის რეჟისორი, საზოგადო მოღვაწე, აღსანიშნავია, რომ იმ დროს არსად იყო ისეთი დიდი ინტერესი მხატვრებისა თეატრისადმი, როგორც რუსეთში. ასეთი თავისებური „თეატროკრატია“⁴⁵ დამახასიათებელი იყო არა მარტო რუსეთისათვის, არამედ საქართველოსთვისაც. თუ სინთეზის იდეა⁴⁶ დასავლეთ ევროპაში განხორციელდა ტექნიკისა და მრეწველობის განვითარების საფუძველზე, რუსეთსა და საქართველოში სამრეწველო ჩამორჩენილობამ განაპირობა ის, რომ სინთეზისკენ სწრაფვა გამოიხატა სუფთა ესთეტიკურ დონეზე - თეატრის ან წიგნის და მხატვრული მეთოდის ნიშნად იქცა. თეატრით გატაცებამ გააძლიერა მათ შემოქმედებაში მეტაფორულობა, „თამაშის სისტემის“, მიმსგავსების, შედარების გაჩენის შესაძლებლობის შექმნა. საზოგადოდ, რუსულ და ქართულ მხატვრობაშიც თეატრი და სატირული გრაფიკა სტილური განვითარების ერთგვარი სტიმულის მიმცემი და დამაჩქარებელი იყო (მოდერნის სტილი რუსეთში თეატრალურ დეკორაციაში უფრო ადრე იჩენს თავს, ვიდრე ფერწერაში).

ქიქოძის შემოქმედების პარიზამდელი პერიოდი მხატვრის შემოქმედებითი მეთოდისა და სტილის ჩამოყალიბების ხანაა. მის შემოქმედებაში თავიდანვე წარმოდგენილია ორი ფერწერული კონცეფცია - ნატურულ-ფერწერული და სიბრტყობრივ-დეკორატიული.

ამ დროს ორი ავტობორტრეტი - უფრო ადრეული „ავტობორტრეტი თეთრი ქულით“⁸ და უფრო მოგვიანო „ავტობორტრეტი თეთრ პერანგში“ შესრულების ფართო, ფერწერული მანერით, „ეტიუდურობით“ ხასიათდება. მხატვარი თავისუფლად „ძერწავს“ ფორმას ფართო მონასმით, საღებავის ფენების ერთმანეთზე დადებით და ამით აღწევს სახის ცოცხალ, ფერწერულ გამომსახველობას. მოდელის კომპოზიციური მოტივის შერჩევა და ფერწერული ფორმის დინამიზმი განსაზღვრავს მხატვრულ-სახეობრივი სტრუქტურის გარკვეულ ფსიქოლოგიზმს.

პეიზაჟების - „ბათუმი“, „ქალაქი“ კომპოზიციური კადრულობა, შესრულების „ესკიზურობა“ და ფერწერული ფორმის დინამიზმი განსხვავებული მხატვრული შთაბეჭდილების შექმნას ისახავს მიზნად. წერის ფართო ფაქტურულობა („პეიზაჟი“), ფერწერული ლაქების თავისუფალი დინამიკა („ქალაქი“) სიბრტყის დეკორატიული მთლიანობის პრინციპს იცავს. ორივე სურათში შერჩეული მოტივების ეფექტურობა, თავისუფლად ორგანიზებული ფაქტურის ექსპრესია გამოარჩევს ქიქოძის მხატვრობას ფრანგული ექსპრესიონიზმის დახვეწილი არტისტიზმისგან და სტილისტურად გარკვეულწილად უახლოვებს კ. კოროვინის პარიზის ბულვარების სურათებს.

„აქარელ ქალში“ (1914) სხვა მხატვრული მიდგომა და სტილისტიკაა. პლენერიზმის „ტყეობიდან განთავისუფლებული“ ფერი ლოკალური ხდება, წერის მანერა კარგავს ფაქტურულობას და დინამიკას, პეიზაჟის საერთო კომპოზიციურ წყობას სიბრტყის პრინციპი განსაზღვრავს. დეკორატიულად გააზრებული ფერადოვანი ერთიანობა ფერის ბუნებრივ გრძნობასა და დახვეწილ დეკორატიულ გემოვნებაზე მიუთითებს. პეიზაჟის სხვადასხვა პლანების ფერადოვანი ლაქების მონაცვლეობა სიბრტყეზე და წინა პლანის ფიგურის პირობით გრაფიკულ-ფერწერული სახე ნატურალის გადაზარების მხატვრული ინტერპრეტაციის შედეგია. ქიქოძის ეს სურათი რუსული მოდერნის მხატვრების ნ. რეინისა და პ. კუზნეცოვის მხატვრობის სტილისტიკასთან ავლენს პარალელიზმს.

ორი პორტრეტის - „ავტობორტრეტი შავი ქულით“ და „ქალის პორტრეტი ქულით“ (მკერდზე) მხატვრულ-სახეობრივი სტრუქტურის საფუძველი კოლორიტის გამომსახველობა, ექსპრესიული ელერადობა და ფერწერული დინამიზმია. ქიქოძე გაურბის პლე-

ნერულ ფერწერას. პორტრეტების დახვეწილი კოლორიტული ერთიანობა (მეტადრე ქალის პორტრეტის - შავის, თეთრის, მწვანესი და ლურჯის) არა იმდენად რეალური, რამდენადაც პირობითი ხასიათისაა. რეალისტური სისტემის ნიშნები, სახის პორტრეტული უტყუარობა კოლორიტის პირობით-დეკორატიული ხასიათის შედეგად იქნეს ახალ მხატვრულ ხარისხს. ნატურულისა და პირობითის შერწყმა, ზედაპირის დეკორატიულ-სიბრტყობრივი დამუშავება მოდერნის სტილის ტენდენციებს ავლენს.⁹

მოდერნის სტილის ნიშნები უფრო მკაფიოდ იკვეთება „ქალის პორტრეტში“ (1918). აღსანიშნავია სურათის კოლორიტული გადაწყვეტის ლაკონიზმი და მხატვრული ეფექტურობა. აქაც ქიქოძე რეალურობიდან გამომდინარეობს და რეალისტური ხელოვნების ტრადიციებისა (სახე, ხელის მტევანი) და პირობითის (ფიგურის სიბრტყობრივობა) შერწყმას იძლევა. ქიქოძის მხატვრულ მეთოდთან დაკავშირებით, საგულისხმოა სეროვის აზრი. ის თვლიდა, რომ მხატვარი ზოგჯერ უნდა ცდებოდეს, შეცდომის გარეშე გამოდის უმგვანო და უინტერესო, ახუ სეროვი ეყრდნობოდა რეალობას, მაგრამ სპეციალური, მიზანდასახული „შეცდომით“ გარდაქმნიდა მას (გვიანდელი პერიოდის შემოქმედება). ქიქოძესთანაც რეალობის პლანი ჭარბობს პირობითს. მხატვრული სახე რეალობის გარდაქმნის შედეგი და მხატვრის ფანტაზიის ნაყოფი არ არის, ის თითქოს რეალობაში ეძებს გამართლებას. ნატურულად შესრულებული სახისა და ხელის მოტივი, სიბრტყობრივ-პირობითი ლაქის სახით გადმოცემულ სხეულისა და ფერადოვანი სიბრტყის ფონზე, თითქოს აიძულებს მხატვრულ სახეს რეალურ და პირობით სამყაროს შორის იარსებოს. სახის მხატვრულ სტრუქტურაში წინა პლანზე მხატვრულ-ფორმალური მთლიანობის დეკორატიული ასპექტი და სახის ესთეტიზმი გამოდის. აღსანიშნავია, რომ ამ კომპონენტების (რეალურისა და პირობითის) ურთიერთკავშირი მოდერნის სტილის მხატვრული მეთოდის ნიშანია.¹⁰

1919 წლის მიწურულიდან ქიქოძე პარიზშია. აქ ის ახალ მხატვრულ შთაბეჭდილებებს იღებს, უშუალოდ ეცნობა სხვადასხვა მხატვრულ მიმდინარეობებს, მონაწილეობას იღებს გამოფენებში,¹¹ მაგრამ არ ლალატობს თავის, უკვე მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ესთეტიკურ პროგრამას.

პარიზში შესრულებული ნაწარმოებები, მხატვრულ-სახეობრივი და ფორმალური თვალსაზრისით, შესაძლოა სამ ჯგუფად დაიყოს: პარიზის ხელებისა და ქალაქის ცხოვრების სცენები; გარკვეული

სიმბოლური პროგრამის შემცველი სურათები; გურიისა და აჭარის თემაზე შესრულებული დეკორატიული პანოები.

იმპრესიონისტების ფერწერის თემატიკა შალვა ქიქოძის მხატვრული ინტერესის საგანი ხდება, მაგრამ მისი ეს სურათები განსხვავებულ სტილურ ინტერპრეტაციას იძენს (1920 წელს შექმნილი „ნავები სენაზე“, „ხიდი სენაზე“, „კარუსელი“, „ხიდი სენაზე“, „ლუქსემბურგის ბაღი“ და სხვა).

პარიზში მხატვრის პირველი შემოქმედებითი ნაბიჯები ნატურულ შთაბეჭდილებებთან არის დაკავშირებული. ამ სურათებში იმპრესიონიზმი, რომელიც XX საუკუნის დასაწყისის ბევრი ავანგარდისტისათვის „დაოსტატების სკოლა“ იყო, მოდერნის სტილის „რედაქციას“ განიცდის. იმპრესიონიზმის სუბიექტური სენსუალიზმი, რომელიც დაკავშირებული იყო პლენერიზმის პრინციპებთან (განათებისა და ჰაეროვანი გარემოცვის, სინათლის ფერზე ზეგავლენის პრობლემები), ქიქოძის მხატვრობაში ადგილს უთმობს „ფერწერულ-გრაფიკულ“ სტილს. ეს სურათები არა მარტო თემატური მოტივების, არამედ ფორმალური ხერხების მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა – კომპოზიციის კადრულობა, ხედვის სხვადასხვა წერტილების, რეალურისა და პირობითის („ლუქსემბურგის ბაღში“ წინა პლანის ქალის ბიუსტი წითელი ქუდით) შეთავსება. ყველასათვის საერთო პრინციპია გამოსახულების სიბრტყობრივი გაშლა, ფერის ლაქობრივ-ლოკალური ხასიათი, ფერწერულ-დეკორატიული დინამიზმი. თუ ამ სურათების სახვით სისტემას სტილური კრიტერიუმებით შევაფასებთ, შესაძლოა განვსაზღვროთ როგორც შუალედური იმპრესიონიზმსა და მოდერნის სტილს შორის. „ნატურულ ქვეტექსტს“ სახვით სისტემაში გარკვეული ცვლილება შეაქვს. აქ ნატურულის, უშუალოდ აღქმულის თავისუფალი ფერწერულ-გრაფიკული განზოგადება და მხატვრული ვადააზრება ხდება.

ქიქოძის შემოქმედების განვითარების ბოლო წლები მოდერნის სტილის დამკვიდრებასთან არის დაკავშირებული. სურათების მეორე ჯგუფის (ფიგურული კომპოზიციები) ორი სურათი „კაფე ში“ და „საროსკიპოში“ ფრანგული მხატვრობის თემატიკას უკავშირდება (საკმარისია გაეიხსენოთ ტულუზ-ლოტრეკი). სურათის ფორმალური სტრუქტურა ეფუძნება ხაზის ნატურულ გამომსახველობასა და ფერის ლაკონიზმს. ქიქოძე აჩერებს მოძრაობას და აკონკრეტებს დროს. სურათების სახეობრივ „ელერადობაში“ იგრძნობა ამ გან-



**ავტოპორტრეტი თეორ პერანგში
(კრძო კოლექცია)**



ქალის პორტრეტი, 1918

(საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი)



ლუქსემბურგის
ბაღი, 1920
(საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი)



კაფეში
(საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი)




სამი მხატვარი

(საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი)



დღეობა


(საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი)



უდროოდ დაღუპული მეგობრის მოსაგონებლად
(საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი)



გურული ქალი
(საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი)



აჭარა

(საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი)

საკუთრებული სამყაროსადმი მხატვრის გარკვეული ირონიული დამოკიდებულება, მაგრამ, ლოტრეკისგან განსხვავებით, ის არ მიდის სტილიზაციამდე, არ დაჰყავს ხაზი გროტესკულ გამომსახველობამდე, არ ახდენს მის „ესთეტიზაციას“ ამასთან ერთად, კომპოზიციის „უტრირებული“ კადრულობა („კაფეში“), უკანა პლანის და ფონის ფიგურების ესკიზურობა გამოსახულ სცენას „მხატვრულ პირობითობას“ მატებს. ხაზისა და სუფთა, ნათელი ხასიათის ფერადოვანი ლაქის გაზრდილი მნიშვნელობა საერთო კომპოზიციური წყობის დეკორატიულობას განსაზღვრავს. სივრცული გარემოცვა (რომლისადმი ინტერესი ქიქოძეს არასოდეს არ ახასიათებდა) არ შთანთქავს ხაზს, რომელსაც კომპოზიციური ორგანიზაციისა და ფერადოვანი ლაქის შემომსაზღვრელი ფუნქცია აკისრია. ხაზი აქ სახვითი სისტემის საფუძველია, ისევე როგორც მოდერნის ფერწერაში, თუმცა განსხვავებული ხასიათი აქვს. ის არ იზღუდება მხოლოდ სიბრტყეზე არსებობით. რაკურსების, რთული მოძრაობის გადმოცემა, მოცულობისა და სიბრტყის ჰარმონია ხაზით მიიღწევა (ვ. სეროვის გვიანდელი წლების მხატვრობა). ხაზისა და მოცულობის, ხაზისა და მოცულობის სიბრტყესთან შერწყმის პრობლემა მოდერნის სტილის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხატვრულ თავისებურებას წარმოადგენს. ქიქოძესთან ილუზორული სივრცე მთლიანად გადალახულია, მოცულობა ლაქად იქცევა, იზრდება სიბრტყის მხატვრული ფასეულობა. მოდერნის სტილისტიკა ქიქოძის ამ სურათებში თავის უკიდურეს გამოვლენამდე არ მიდის.

სურათში „სამი მხატვარი“ სიმბოლურ-შინაარსობრივ გამომსახველობას ქიქოძე აკადემიური ფერწერის ფარგლებში იძლევა. ნატურული ხედვა ყოველთვის განსაზღვრავდა ქიქოძის შემოქმედებითი მეთოდის საფუძველს. იყო რა ნეორომანტიზმისა და სიმბოლიზმის ზღვარზე, ის ინარჩუნებდა კავშირს აკადემიურ სისტემასთან.¹² სახეობრივ სტრუქტურაში, სიმბოლიზმთან ერთად, ამ დროს ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ირონიის კატეგორიის როლიც მნიშვნელოვანია, რაც, თავის მხრივ, ქიქოძის შემოქმედებითი ბუნების დამახასიათებელი მხარეა. მხატვრის ირონიული დამოკიდებულება იმ ცდუნებების მიმართ, რომლებსაც პარიზის მრავალფეროვანი, ახალგაზრდა მხატვრებისათვის ახალი ყოფა-ცხოვრება უმზადებდა, ვლინდება სურათის ერთგვარად „უტრირებული“ სიმბოლური სტრუქტურით. სურათში რეალური გმირების – კაკაბაძის, გულიაშვილისა და ქიქოძის გარდა, იმავე „რეალობის დონეზე“ (ფო-

რმის თვალსაზრისით) გამოსახულია ალევორიული ფიგურები - „იუ“ (ვენერას რეპლიკა), რომლებიც მხატვრების ცდუნებას ცდილობენ. ქიქოძის სიმბოლიზმს ალევორიული ხასიათი აქვს, ის რაციონალური ხასიათისაა, სახის სიმბოლური მნიშვნელობა იოლად შეიძლება დაყვანილ იქნეს კონკრეტულ არსობრივ შინაარსამდე, სახის ალევორიულობამდე. სურათი მდიდარია სიმბოლური მნიშვნელობის შემცველ გმირთა „ატრიბუტებით“.¹³ ასეთი შერწყმა რეალურისა და მხატვრის წარმოსახვითი სამყაროსი მოდერნის სტილის არსობრივი მხარეა. სურათის ფორმალური სტილისტიკა - ილუზორულობის იგნორირება, სიბრტყის მხატვრული ფასეულობის დამკვიდრება, ხაზისა და ფერადოვანი ლაქის დეკორატიული ერთიანობა სრულ შესაბამისობაშია მოდერნის სტილთან.

ფორმალური სტრუქტურით „სამი მხატვრის“ ანალოგიურია „დღეობა“, მაგრამ მისგან განსხვავებით, თავისუფალია ლიტერატურული სიმბოლიზმისგან. მხატვრული სახიერებისათვის დამახასიათებელია ირონია და გროტესკი, რაც მის ერთგვარ მეტაფორულობას განსაზღვრავს. ეს სურათი ბრეიგელისეული მხატვრული სამყაროს მოდერნის სტილის „ტრანსკრიფციაა“. აქ გარკვეული ფილოსოფიურ-პესიმიზმური ელფერი მხატვრის სამყაროზე თავისებურ შეხედულებაში ჩანს, რომელსაც ის გარედან, დამკვირვებლის პოზიციიდან აღიქვამს. ადამიანთა დინამიკით, მათ ვნებათა და განწყობილებათა მრავალფეროვნებით იქმნება ხმაურიანი, „დიონისური“ ხასიათის დღესასწაული. სურათის გმირები ერთნაირად რეალურებიც და გროტესკულებიც არიან. მაგრამ ეს სურათი ბადებს ისეთ გრძობებსა და აზრებს, რომლებიც არ არიან მოკლებული ირონიასა და ხალველს. მხატვრის ექსპრესიული მსოფლალქმა, მისი შეხედულება ადამიანზე, შესაძლოა უფრო კონკრეტული მისამართით, თავისი ქვეყნის ისტორიულ რეალობაზე განსახიერებულა ადამიანთა სტიქიური დღესასწაულის მაგალითზე, რომლის გროტესკული ხასიათი და ფორმა კაცობრიობის უაზრო ყოფის ერთგვარი მხატვრული მეტაფორაა. განსხვავებით სხვა სურათებისგან, ეს კომპოზიცია თავისუფალი დინამიკით გამოირჩევა, სიბრტყე აქცენტირებულია ფერადოვანი ლაქებით, მაგრამ მის ფარგლებში ვლანდება მოცულობის მოდელირების ტენდენცია.

ავტოპორტრეტში „უდროოდ დაღუპული მეგობრის მოსაგონებლად“ განსაკუთრებული სიძლიერით ვლინდება ის საერთო

მელანქოლიური, მისტიკური განწყობილება, რომელმაც მოიცვა ევროპული საზოგადოება XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე. მხატვრული სახის სტრუქტურის განმსაზღვრელია სიკვდილის თემა. სიკვდილის განცდა, სიკვდილის გრძობა, განსჯა სიკვდილზე, საიდანაც ორი გზა მომდინარეობს - სულიერი განადგურებისკენ და ქრისტიანული ხსნისკენ - რომანტიზმის ცენტრალური თემაა, რომელიც XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე სულიერ კულტურაში ახალი ძალით ვლინდება და მხატვრის სიცოცხლის უკანასკნელი წლების სულიერი განცდების მნიშვნელოვანი და განმსაზღვრელი მხარეა. 1920 წლის აპრილში პარიზიდან სამშობლოში გამოგზავნილ წერილში ქიქოძე წერს: „ვაკეთებ ფილოსოფიურ კომპოზიციას. ცოტა არ იყოს, მეშინია, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ კარგად გადაკეთებ“. კონკრეტულად რომელ სურათს გულისხმობდა მხატვარი, გაურკვეველია, მაგრამ ამ შემთხვევაში მისი პოზიციას საგულისხმოა. ქიქოძის ავტოპორტრეტი ნატურალის და მხატვრული ფანტაზიით შექმნილ ერთიან მხატვრულ სამყაროს სურათს წარმოაჩენს. სურათის სტრუქტურის მეტაფორული არსი, სიმბოლურ-ალეგორიული აზროვნება, ფანტასტიკურ-მითოლოგიური საწყისი შემოქმედის სულიერი სამყაროს, მხატვრული სახის დახასიათების განმსაზღვრელი ფაქტორია. გარეგნული მოქმედების ნეიტრალიზაცია, პერსონაჟების თითქმის „რიტუალური“ ეფექტი მიღწეულია სურათის ფერწერულ-პლასტიკური აგებით, რომელიც კომპოზიციის სხვადასხვა ელემენტების სიმბოლური მნიშვნელობის შემცველ სახეობრივ-შინაარსობრივ შეფარდებას ეყრდნობა. სურათის პერსონაჟებს არა აქვთ აქტიური მოქმედების ნიშნები, ისინი საერთო მისტიკური განწყობის მატარებლები არიან, სპეციფიკური კერეტივი განწყობით.

სამფიგურიაანი კომპოზიციის პერსონაჟები გამოსახული არიან გემბანზე მოთავსებულ მაგიდასთან. მარჯვნივ მხატვარია, ცენტრში სიკვდილის სიმბოლური განსახიერების - ჩონჩხის ფრონტალური ფიგურაა ვაშლით ხელში და მკერდზე დამაგრებული თეთრი ნარგიზით, ვაშლი სიკვდილის სიმბოლოა, თეთრ ნარგიზს ადრეული სიკვდილის სიმბოლური მნიშვნელობა აქვს.

ხომალდის ცენტრალურ ნაწილში, რომლის სიმბოლური მნიშვნელობა მიუთითებს ცთომილობაზე სიკვდილსა და აღდგომას შორის, ერთმანეთის პირდაპირ გამოსახულია მხატვარი და ლიუციფერი, რომელიც გამჭოლი მზერით თავის მსხვერპლს უყურებს,

ლამობს მისი სულის დაპატრონებას. მისი საერთო იერი ნათლად ავლენს იმ ნიშნებს, რომელიც უნდა ჰქონდეს ამ მითოლოგიურ პერსონაჟს, რომელიც თავისი ნების გაღმერთების, სულის ზრწნადობისა და პიროვნების განადგურების სიმბოლოა. მათ წინ მაგიდის თეთრ ზედაპირზე გაბნეულია ქრისტიანული სიმბოლიკის შემცველი ხილი: – ვაშლები – სიკვდილის სიმბოლოები, მსხალი, რომელსაც ანალოგიური სიმბოლოური მნიშვნელობა ენიჭება და ბროწეული – აღდგომის სიმბოლო. მხატვრის წინ დგას ღვინიანი ქურქეული, რომელსაც ევქარისტული მნიშვნელობა აქვს, ხოლო ლიუციფერის წინ – თინჯანი, შესაძლოა, საწამლაკით. ამ შემთხვევაში დასაშვებია ლიუციფერის სატანისტური საწყისის გაიგივება მეფისტოფელთან, რომელიც მხატვარს აცდუნებს და ქეშმარიტების წვდომას სიცოცხლის ფასად სთხოვს. მხატვარს, ფაუსტის მსგავსად, უჩნდება სურვილი, სიცოცხლე გასწიროს იმისათვის, რომ შეერწყას სამყაროს და ამ ცდომილი გზით მის საიდუმლოებას ჩასწვდეს. მოქმედი პირების მითოლოგიური სიკვდილის ხომალდი სიკვდილის წყლებში ჯოჯოხეთისკენ მიცურავს.

ამ ხანის ევროპულ და ნაწილობრივ რუსულ მხატვრობაშიც, რომ არაფერი ვთქვათ სიმბოლისტურ პოეზიაზე და ქართველ სიმბოლისტებზეც, შეინიშნება გარკვეული იკონოგრაფიულ-თემატიკური ერთიანობა (ვრუბელის „პანი“, 1879, ტრეტიაკოვის გალერეა; შტუკის „პანი“ 1908, ჰილბერშტადი, კერძო კოლექცია; გრუბელის „დემონი“, 1890, ტრეტიაკოვის გალერეა; შტუკის „ლიუციფერი“, 1890, სოფია, ნაციონალური მუზეუმი; ვრუბელის „ფაუსტისა და მეფისტოფელის გაფრენა“, 1896, ტრეტიაკოვის გალერეა). ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ამ სიუჟეტების ინტერპრეტაციის განსხვავებულობის წარმოჩენა. აღვნიშნავთ მხოლოდ სიუჟეტური ანალოგიების ფაქტს, რაც, თავის მხრივ, მეტყველებს ამ ეპოქის ისეთ მოვლენებზე, რომლებზედაც ხშირად მიუთითებენ მკვლევრები – დემონიზმი, სიმბოლიზმი, მელანქოლია, მისტიკა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ რომანტიკულ ეპოქაში, რომელიც XIX-XX საუკუნეების მიჯნის ხელოვნების „უშრეტი წყარო“ იყო, შელინგის მეუღლეს კაროლინა მიხაელისს შილერი „ქალბატონ ლიუციფერს“ უწოდებდა.

ქიქოძის ავტოპორტრეტის სახვითი მოტივების სემანტიკური მნიშვნელობის დადგენა და სურათის კომპოზიციურ-შინაარსობ-

რივი ინტერპრეტაცია ადასტურებს, რომ მხატვრული სახის მთავარი ლაიტმოტივი სიკვდილის თემაა, სულიერი განცდა განადგურებისა და ქრისტიანული ხსნის ურთიერთდაპირისპირებისა.

სახის სიმბოლურ გამომსახველობას ქიქოძე რეალისტური ფერწერის სტილისტიკის ფარგლებში აღწევს. ის რეალობას გარდაქმნის არა ფორმალური ენით, როგორც ამ დროის ბევრი ევროპელი მხატვარი, არამედ ნატურულისა და გამოგონილ-ფანტასტიკურის შეთავსების საშუალებით. სხვებთან შედარებით, მასთან შენარჩუნებულია თხრობის სიუჟეტურობა, მაგრამ მისი ფორმალური ენა განიცდის ტრანსფორმირებას, რადგან მის სახვით ენაში მოქმედებს სხვადასხვა სტილური ნიშნების შეერთების პრინციპი: სამყაროს ნატურული აღქმა, მოძრაობის ბუნებრივი დამაჯერებლობა, იმპრესიონიზმის კადრულობა. მაგრამ ფორმალური ენის გრაფიკული დომინანტი განსაზღვრავს კომპოზიციის სიბრტყობრივობას და დეკორატიულობას. მისი ავტოპორტრეტისათვის დამახასიათებელია მოდერნის სტილისტიკა – ფერადოვანი ლაქის, ხაზისა და სიბრტყობრივობის პრინციპი. მხატვრული სახის სიმბოლურობა ფორმალური ენის საშუალებით დაყვანილია თითქმის კონკრეტულ მნიშვნელობამდე, ერთი შეხედვით, მხატვრის აზრებისა და გრძნობების სირთულის მიუხედავად, ქიქოძესთან, ისევე როგორც გერმანული მოდერნის სტილის მხატვართან – შტუკთან, სიმბოლური აზროვნების ალეგორიული არსი ვლინდება.

ქიქოძესთან ემოციური საწყისი გონით არის გაშუალედებული. მისი ავტოპორტრეტისათვის დამახასიათებელი მელანქოლიური, მისტიკური განწყობა ქმნის გარკვეულ ბალანსს ყოფიერებასა და არაყოფიერებას, რეალობასა და ფანტაზიას შორის, რაც ასევე მოდერნის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია.

მხატვრის შემოქმედებითი განვითარების ხარისხობრივად ახალ საფეხურს წარმოადგენს სურათების ჯგუფი „გურია“, „ქალ-ვაჟი“, „გურული ქალი“, „აქარა“.

მხატვარი აღარ მიმართავს ალეგორიას, ლიტერატურული საწყისიდან თავისუფლდება. ინარჩუნებს რა ნატურასთან კავშირს, აძლიერებს ფორმალური ენის სტილიზაციას, იყენებს მას რეალობის გარდაქმნისათვის. სიბრტყობრივი გამოსახულების ხაზობრივი საფუძველი ვლინდება მოცულობის ლაქამდე დაყვანითა და სილუეტის გამოვლენით. კომპოზიციური წყობის ორნამენტალიზაციის პრინციპი სტილიზაციით, ხაზისა და ფერის რიტმიზაციით ხდება. ქიქოძის ამ სურათებისათვის დამახასიათებელი სტილი-

ზაციის პრინციპი (და არა დეფორმაციის) გამოსახულ სამყაროს პირობით ხასიათს ანიჭებს, მაგრამ „ფორმის ნატურული საფუძველი“ სახის „ორგანზომილებიანობის“ – ერთდროულად რეალურის და პირობითის განმსაზღვრელია. ამ სურათებში ვლინდება მხატვრის სწრაფვა მხატვრული აზროვნების, ფორმის სინთეტიკურობისადმი, რაც განპირობებულია ამ ხანის ევროპულ-რუსული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ხელოვნების სხვადასხვა სახეების შერწყმის, მათი მიმსგავსების, „ურთიერთჩანაცვლების“ ტენდენციით,“ რაც, თავის მხრივ, შემოქმედების უნივერსალიზმით და სილამაზის იდეის გლობალური იდეით არის გამოწვეული. ხელოვნების სხვადასხვა სახეების სიახლოვე, ურთიერთმიტაცია მოდერნის სტილის ფორმადმქნადობის ერთ-ერთი თავისებურებაა. ქიქოძე ახდენს ფორმის განზოგადება-სინთეზირებას, რომელიც ემყარება მდებარება გონისა და გმობის, გონისა და რეალობის ერთიანობას. მისი პირობითი ენა ინარჩუნებს კავშირს რეალობასთან, ნატურული სამყაროს ფორმებთან. ის განაზოგადებს ხაზს, ქმნის კომპოზიციის ერთიან ხაზობრივ, მელიოდურ რითმს, რომელიც აერთიანებს ფიგურებსა და ფონს, ფონის სახვით მოტივებს. ამასთან ერთად, ფონი, სიუჟეტური მოტივებისგან დამოუკიდებლად, იძენს ესთეტიკურ ფასეულობას. ორნამენტულობის პრინციპი ხდება სურათის მხატვრულ-ესთეტიკური გამომსახველობის მნიშვნელოვანი კომპონენტი, განსაზღვრავს რითმულ მოძრაობას სურათის ზედაპირზე. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ფერი. გაზრდილია მისი ინტენსივობა და თვითფასეულობა. ფერის კონტრასტულობა და ინტენსივობა უფრო ძლიერდება იმით, რომ ფერადოვანი ლაქები განლაგებულია ზედაპირზე დამოუკიდებლად მათი სიშორისა მაყურებლისგან. წინა პლანის მასშტაბურად გაზრდილი ფიგურები ფონთან მთლიანობაშია ფერწერულ-კომპოზიციური ენის საშუალებით, ფიგურებისა და ფონის ხაზობრივი და ფერადოვანი „ერთგვაროვნება“ ზრდის მხატვრულ სახეთა ემოციურ-შინაარსობრივ განწყობულობას და პირობითობას, რაც კომპენსირდება კომპოზიციისა და ფორმალური ენის გამომსახველობით, განსაკუთრებული დეკორატიულ-სანახაობითობითა და ესთეტიკურობით.

ქიქოძის მხატვრობაზე თეატრის ესთეტიკის გავლენის თვალსაზრისით, ინტერესს იმსახურებს აქარის თემაზე შესრულებულ სურათებში ჩადრის მოტივის გარკვეული კულტივირება, რაც, ბუნებრივია, საქართველოს ამ მხარის ეთნოგრაფიით არის მოტი-

ვირებული, მაგრამ მხატვრის სურათებში იძენს ახალ ინტერპრეტაციას, ერთგვარად იღებს რა თავის თავზე მისი მხატვრული მეთოდის ფუნქციურ დატვირთვას.

არაერთხელ აღნიშნულა,¹ რომ მოდერნის მხატვრობაში, კერძოდ პორტრეტსა და „თეატრალურ ქანრის“ მხატვრობაში² ხშირად გვხვდება ნიღბის მოტივი, როგორც ერთგვარი, სხვა ადამიანებთან, ტიპიზირებულ სახესთან, ისტორიულ პერსონაჟთან, ცხოველთან და ა. შ. მიმსგავსების მხატვრული ხერხი.

ნიღბის მსგავსად, ჩადრი ქალის სახეს ფარავს, ამავე დროს გარდაქმნის. ეს ერთგვარი „დაშიფვრა“, რეალურისა და გარდაქმნილის ზღვარზე არსებობა, რეალური ყოფის თეატრალიზაცია მოდერნის სტილის მხატვრული სახიერების ნიშანია.³

აღსანიშნავია, რომ სახვითი სისტემის დონეზე მოდერნის სტილის ნიშნები ეხმიანებოდა იმ დროის ქართველი მხატვრებისათვის ასე სასურველ ეროვნულ სახვითი ესთეტიკის დამკვიდრების შინაგან მოთხოვნილებას: გრაფიკული საწყისისა და სიბრტყის ორგანიზაციის პრობლემებს. ის ერთგვარი შუალედური, გარდამავალი სტადია აღმოჩნდა, ისევე როგორც ევროპისათვის, XX საუკუნის ავანგარდული ხელოვნებისკენ, რომლისკენაც შემდგომში დავით კაკაბაძე წავიდა.

¹ ლადო გუდიაშვილი, „მოგონების წიგნი“. ე. „საბჭოთა ხელოვნება“, 1976, №8.

² მახვილი დახასიათების შემცველი გრაფიკული ჩანახატები, კარიკატურები, შარავები. მისი მოღვაწეობა მოსკოვის სატირისტულ-იუმორისტულ ეჟურნალში „ეშმაკის მათრახი“. საგულისხმოა, რომ ამ ეჟურნალში მოღვაწეობდნენ „მირისკუსტვას“ მხატვრები, ვრუბელი, პეტროვ-ვოლინი.

³ Блок А. Ирония. Собр. соч. в 8-и томах. т.5. М.-Л., გვ. 345-349.

⁴ ქიქოძის მოღვაწეობა მოსკოვის თეატრალურ ეჟურნალში „რამპა ი ეიზნ“, მოგვიანებით, 1918 წელს თბილისში, ეჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“, ქუთაისის თეატრალურ ეჟურნალში „თეატრი და მუსიკა“, ქართულ დრამატულ საზოგადოებასთან არსებულ „სასცენო ხელოვნების სტუდიაში“ სამხატვრო ხელმძღვანელად, სპექტაკლების გაფორმება.

⁵ V. Marcade. Le Renouveau d' Art pictoral russe. Lausanne, 1971, გვ. 185.

⁶ სინთეზის (ხელოვნებების, ხელოვნებისა და ცხოვრების, ხელოვნებისა და ადამიანის) ჭერ თეორიული და შემდეგ პრაქტიკული ცდები ევროპაში გერმანელი რომანტიკოსებიდან იწყება (ნოვალისი, ტიკი, ვაკენროდერი, XIX ს-ის შუა ხანაში რ. ვაგნერი, გოტფრიდ ზემპერი, ინგლისში- უილიამ მორისი, XIX ს-ის 90-იან წლების ბელგიაში ანრი ვან დე ველდე, ოდილონ რედონი და სხვა).

⁷ თუმცა რუსეთშიც იყო გარემოს ესთეტიკური ორგანიზაციის პრაქტიკული განხორციელების შემთხვევები (ერუბელის მიერ გაფორმებული ა. შოროზოვის, ზ. შოროზოვის საკუთარი სახლები მოსკოვში, თბილისში კაფე „ქიშკირი“).

⁸ აქ განხილული ქიქოძის სურათებიდან ორი „ავტოპორტრეტი თეთრი ქუდი“ და „აპარელი ქალი“ (1914) კერძო კოლექციებშია დაცული, დანარჩენი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

⁹ სტილისტური თვალსაზრისით, გარკვეული ანალოგია მყარდება მ.ერუბელის ბოლო პერიოდის ფერწერულ ტილოებთან. ფერის პირობით-დეკორატიული ხასიათი, კოლორიტის მძაფრი ელერადობა, ფერადოვანი ლაქისა და სიბრტყის ურთიერთკავშირი ბადებს „პარიზის სკოლის“ მხატვრების ვან-დონგენისა და კისლინგის ფერწერის ასოციაციებს.

¹⁰ უნდა გავიხსენოთ კლიმტის და ბიოკლინის მრავალრიცხოვანი პორტრეტები, სადაც სახის გადმოცემა მოცულობითია და ნატურალისტური სიზუსტით გამოირჩევა, ხოლო სამოსი, ანტურაჟი უკიდურესი პირობითობით, სიბრტყობით ხასიათდება.

¹¹ ელისეს მინდვრებზე „დამოუკიდებელ მხატვართა გამოფენაში“ (1921 წლის 23 იანვრიდან - 28 თებერვლამდე) მონაწილეობას იღებდნენ ლ. გულიაშვილი, დ. კაკაბაძე, შ. ქიქოძე.

¹² ანალოგიური შემოქმედებით მეთოდი ჰქონდათ XIX საუკუნის ბოლო ათწლეულების ევროპელ მხატვრებს: გერმანელებს - ბიოკლინს, კლინგერს, შტუკეს; ფრანგებს - პიუვი დე შავანსა და გუსტავე შოროს; ინგლისში - გვიანდელ პრერაფაელიტებს.

¹³ კაკაბაძის ფიგურის წინ მდგომარეობდა გაშლილ სუფრაზე ყურძენი, მხატვრის ხელში ჩიტი სულის გადარჩენის სულიერი სიწმინდის სიმბოლოებია, შესაძლოა, ეს ჩიტი ის „ლურჯი ჩიტი“, რომელიც მხატვრის ოცნებებისა და მისწრაფებების სიმბოლოა; ვაშლი ქალის ხელში ცდუნების სიმბოლოა, ხოლო გულიაშვილის წინ გამოსანული ბოლოკის კონა, თევზი ერთგვარი ქარაგმია მისი მხატვრობის სახვით მორტიკებზე; მწვანე მცენარე ნაუზე - მუდმივი ახალგაზრდობის და ა. შ.

¹⁴ ხელოვნების შერწყმის იდეა რომანტიზმის მთელი ესთეტიკისათვის იყო დამახასიათებელი. ფერწერა, მუსიკა, პოეზია, არქიტექტურა რომანტიკოსების მიერ განხილვებოდა როგორც მხატვრული აზროვნების ერთიანი მოვლენა, ხოლო გვიანდელი რომანტიკოსებისათვის და სიმბოლისტებისათვის, რ. ვაგნერიდან დაწყებული, თეატრი სინთეზის ახალი საფუძველი გახდა და მზი შენელოვნად განსაზღვრა თეატრისა და ხელოვნების სხვადასხვა სახეების ურთიერთდამოკიდებულება.

¹⁵ Володина М.И., "Мир искусства" и его зарубежные связи. Дипломная работа по кафедре истории и теории русского и советского искусства Исторического факультета МГУ. М., 1971. Сарабьянов Д.В. Стилль Модерн. М., 1989

¹⁶ სომოვი, სეროვი, ალ. იაკოვლევი, გერმანული მოდერნის მხატვრობა.

¹⁷ გავიხსენოთ ლ. გულიაშვილის შედარებით მოგვიანო პერიოდის სურათების თეატრალიზებული სამყარო, ბერკიკაობის თემა და ა. შ.

მეცნიერული მემკვიდრეობა

ვახტანგ იმანიშვილი

ალექსანდრე ცაგარლისა და ზუგო ზუხარათის ურთიერთობიდან

გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორს, ალექსანდრე ცაგარელს (1844-1929) ხშირად უხდებოდა უცხოეთში ყოფნა. ჭერ იყო და, 1868 წლის შემოდგომიდან ა. ცაგარელი მიუნხენის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის ფილოლოგიის განყოფილების სტუდენტი იყო, მომდევნო წელს იგი ტიუბინგენის უნივერსიტეტში გადავიდა, სადაც ერთ წელს დაყო, შემდეგ კი ვენის უნივერსიტეტს მიაშურა, რათა ფრიდრიხ მიულერის ლექციები მოესმინა შედარებით ენათმეცნიერებაში, იმავედროულად მხითარისტების კონგრეგაციაშიც დადიოდა და ხვეწდა თავის ცოდნას სომხურში. როცა ა. ცაგარელმა პეტერბურგის უნივერსიტეტში პროფესორის ადგილი დაიკავა, მას არაერთხელ მიეცა საშუალება, სამეცნიერო მივლინებით სწვეოდა ევროპის სხვადასხვა ქვეყანას და იქაურ ბიბლიოთეკებში ქართული სიძველეები მოეძიებინა და ეკვლია. ასე მაგალითად, 1890 წელს იგი ოთხ თვეს მუშაობდა რომში, ვენეციასა და კრაკოვში, 1891 წელს ბრიტანეთის მუზეუმს ეწვია, მომდევნო წელს ექვსი თვის განმავლობაში რომსა და ვენეციაში ეცნობოდა ქართულ ხელნაწერებსა და ისტორიულ-დოკუმენტებს, სამი წლის შემდეგ მესამედ გაემგზავრა იტალიას და ვატიკანში მიაკვლია ქართულ ოთხთავს, რომელიც X საუკუნით დათარიღდა. 1883 წელს მან რვათვიანი მივლინების დროს მოიარა სინა, იერუსალიმი, კონსტანტინოპოლი, ათონი და იქაური ქართული ხელნაწერები აღწერა. ამას გარდა, მას სისტემატურად უხდებოდა საერთაშორისო კონგრესებში მონაწილეობა. მაგალითად, იგი იყო ორიენტალისტთა III (1876, პეტერბურგი), VIII (1889, სტოკჰოლ-

ლმი), IX (1891, ლონდონი) კონგრესების მონაწილე, ასევე, ისტორიკოსთა და არქეოლოგთა ყრილობებში მიიღო მონაწილეობა რუსეთში და საზღვარგარეთ. ამგვარ თავყრილობებზე ა. ცაგარელმა არაერთ ცნობილ მკვლევართან დაამყარა მეცნიერული კონტაქტები. ბუნებრივია, იგი მჭიდრო ურთიერთობას ისეთ პირებთან უფრო ესწრაფოდა, რომლებიც ქართული ენითა და ლიტერატურით, საერთოდ, ქართული კულტურით იყვნენ დაინტერესებულნი.

ამ მხრივ საყურადღებოა ა. ცაგარლის ურთიერთობა სახელგანთქმულ ავსტრიელ ენათმეცნიერთან, გრაციის უნივერსიტეტის პროფესორთან, ჰუგო შუხართთან (1842-1927). შუხართი XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დაინტერესდა ქართულით და მალე ქართველ ენათმეცნიერებს დაუახლოვდა, რათა მათგან საჭირო ინფორმაცია და კონსულტაციები მიეღო ქართულ ენაში გასაწაფავად. ამ მიზნით მან კონტაქტები დაამყარა არა მარტო თბილისელ სწავლულებსა და საზოგადო მოღვაწეებთან, არამედ რუსეთის სხვადასხვა ქალაქში მოღვაწე მეცნიერებთანაც. კერძოდ, მოსკოვში მას კავშირი ჰქონდა ალექსანდრე ხახანაშვილთან, ოდესაში – პეტრე მელიქიშვილთან (რომელიც, მართალია, ენის სპეციალისტი არ იყო, მაგრამ ქართველ მეცნიერთაგან ყველაზე ახლოს იყო შუხართთან და დიდი მონდომებით ეხმარებოდა მას ქართულის შესწავლაში), პეტერბურგში – ალექსანდრე ცაგარელსა და ნიკო მარტთან.

რაკი ა. ცაგარელს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ხშირად უხდებოდა ევროპაში, კერძოდ, ავსტრიაშიც, ყოფნა, საფიქრებელია, იგი მალე გაეცნო შუხართსაც და მათ ერთმანეთთან ახლო ურთიერთობა დაამყარეს. საუკუნის მიწურულს ა. ცაგარელმა გრაცშიც ჩააკითხა სახელოვან კოლეგას (არ არის გამოორიცხული, რომ იგი იქ ადრეც იყო ნამყოფი). სხვათა შორის, სინას მონასტრიდან გამოტანილი და ვენაში გასაყიდად შეთავაზებული ძველი ქართული ხელნაწერების იდენტიფიკაცია, რაც შუხართს ვენის კარის ბიბლიოთეკის დირექციამ დააჯალა (1896 წლის ნოემბერში), გრაცელმა პროფესორმა სწორედ ალექსანდრე ცაგარლის აღწერილობის მიხედვით მოახდინა.

გრაკის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში, სადაც ჰუგო შუხართის არქივია დაცული, შემონახულია ალექსანდრე ცაგარლის ორი წერილი შუხართისადმი, ორივე 1895 წლითაა დათარიღებული და, როგორც ერთ-ერთი წერილიდან ჩანს, ა. ცაგარელი, ეტუობა, შუხართის აღრინდელი თხოვნის საფუძველზე, წერილებს რუსულად წერს და არა გერმანულად. გავეცნოთ ამ წერილებს.

№ 1

ს. პეტერბურგი, 28 აპრილი 1895
ფონტანკა 24

ღრმად პატივცემულო კოლეგავ!

თქვენი სურვილის თანახმად, ამ წერილს რუსულად გწერთ. თუ გაგება გაგიჭირდებათ, მაშინ გერმანულად მოგწერთ. გიგ ზავნით *Сведенія*-ს II ნაკვეთს. *Сведенія*-ს ამ სამი ნაკვეთიდან¹ დაინახავთ, თუ ჯერ კიდევ რამდენი უცნობი და საინტერესო მასალა გვაქვს ქართულ ლიტერატურაში. მეტად სამწუხაროა, რომ ისინი ნაკლებადაა ცნობილი დასავლეთ ევროპელებისათვის, უმთავრესად იმის გამო, რომ ქართული ენაცა და რუსულიც, რომელზეც ჩვენ, ჩვეულებრივ, ვბეჭდავთ ჩვენს ნაშრომებს, არ არის აღვილად გასაგები დასავლეთ ევროპელთათვის. ამიტომ თქვენი მონდომება, გავეცნოთ ქართულ ენასა და ლიტერატურას და გააცნოთ იგი ევროპულ სამყაროს, იმსახურებს დიდ ქებასა და მადლობას როგორც, საერთოდ, სწავლულების, ასევე ქართული საზოგადოების მხრიდანაც. ადრე (30-იან წლებში) საფრანგეთსა და იტალიაში მეტად ბეჭითად მუშაობდნენ ქართულ ენასა და ლიტერატურაზე, ახლა ინგლისშიც დაიწყეს ამ საკითხების შესწავლა, გერმანიაში კი ჯერ კიდევ ნაკლებად მუშაობენ ამ მიმართულებით.

თქვენ იცით, რომ ამასწინათ გამოვიდა წიგნი „*Die Sprachen des kaukasischen Stammes*“ რ. ფონ ერკერტისა (ვენა, 1895). მასში ბევრია შეცდომა, რადგან ავტორი თვითონ არ იცნობს ამ ენებს, მასალა კი

მიიღო ამ სერიოზულ და სპეციალურ საქმეში მოუმზადებელი პირებისაგან.

პეტერბურგში არის წიგნებით მოვაჭრე რიკერი (Buchhandler Karl Ricker, St. Petersburg, *Perspectiv von Nevsky* № 14), რომლის მეშვეობითაც შეიძლება ჩუბინაშვილის ქრესტომათიისა და ლექსიკონის, აგრეთვე ქართული ენის შესახებ სხვა წიგნების შოვნა. ჩუბინაშვილის ლექსიკონებს თავში ახლავს ქართული გრამატიკაც. რუსულ-ქართული სასაუბროების ახალი წიგნი არ გამოსულა, მაგრამ არის სახელმძღვანელო რუსებისთვის ქართული ენის შესასწავლად, შედგენილი ბატონ იაკობ გოგებაშვილის მიერ, გამოცემული ტფილისში. შევეცდები, რიკერის დახმარებით ვიშოვო იგი.

განსხვავება კ და ქ, ტ და თ, პ და ფ, ც და წ, ჩ და ჭ ბგერებს შორის არსებობს სომხურშიც.

ამ წერილით გაასუხობთ თქვენს თავაზიან წერილებზე გოთა-დან (29 აპრ.) და გრაციდან (5 მაისი, 1895).

თქვენი ერთგული და სამსახურისადმი მზადმყოფი

ა. ცაგარელი

PS. ჩემს გვარს გერმანულად ვწერ Z (ც)-თი, ფრანგულად კი Ts (ც)-თი. ქართული ლ გერმანულ 1-ზე მაგარია და ახლოსაა რუსულ 11-სთან, რომელიც 11-ს შეესატყვისება.

№ 2

ღრმად პატივცემულო კოლეგავ!

მომიტევთ, რომ პასუხი დაგიგვიანეთ: კავკასიაში ვიყავი და გვიან დაებრუნდი. მივიღე თქვენი ნაშრომი ქართული ენის შესახებ და სიამოვნებით წავიკითხე. როგორც ქართველოლოგს და როგორც ქართველს, არ შემიძლია არ მიხაროდეს, რომ თქვენ ამ საქმეს მოჰკიდეთ ხელი და, როგორც ჩანს, კარგადაც გარჯილხართ. ზოგი რამ თქვენ მიერ გამოთქმული აზრებიდან შეიძლება საკამათოც იყოს, მაგრამ ბევრი სწორია, მათში ბევრია მახვილგონივრული და

გამოწვლილვითი ანალიზი. შეიძლება მე რაიმე დავწერო მათ შესახებ. ბატონი სარაჯიშვილი² ამ ცოტა ხნის წინ იყო აქ. მას თქვენ კარგად ახსოვხართ ჰალედან. იგი დიდად მოხარული იყო, რომ თქვენ ქართულ ენას მოჰკიდეთ ხელი, და იმედოვნებს, რომ მოგინახვლებთ. ქართული გაზეთები ქებითა და მაღლობით მოიხსენიებენ თქვენს ნაშრომებს.

იცნობთ თუ არა შემდეგს გამოცემებს:

1. *The Kingdom of Georgia, by Oliver Wardrop, London, 1888.*
2. *Georgian Folk Tales, translated by Marjory Wardrop, London, 1894.*
3. *The Book of Wisdom and Lies, transl. with notes, by Oliver Wardrop, London, 1894.*

ამ წიგნის რუსული თარგმანი (*Книга мудрости и лжи*) მე მგონი გამოვიგზავნეთ.

4. *Der Mann im Tigerfelle, von Schota Rustaweli. Aus dem Georgischen übersetzt von Arthur Leist, Dresden-Leipzig, 1889-1890.*

5. *Di una Grammatica inedita della Lingua Georgiana, scritta da un cappuccino d'italia. Note di E. Teza, Venezia, 1894.*

6. *Ist die Ähnlichkeit des Glagolitischen mit dem Grusinischen Alphabet Zufall?* von Dr. R. Abicht... *Lector der polnischen und russischen Sprache an der Universität Breslau, Leipzig, Verlag von Raimund Gerhard, 1895.*

გისურვებთ წარმატებას და მზად ვარ თქვენი სამსახურისათვის.

ა. ცაგარელი

18/30 დეკ. 1895

ს. პეტერბურგი, ფონტანკა 24

PS. თუ თქვენ გაქვთ ცალკე ამონაბეჭდები თქვენი სტატიებისა, ხომ ვერ გამომიგზავნიდით მათ?

1898 წლის 16 ივნისს ჰუგო შუხართი თავის კოლეგას, ლიტერატურის ისტორიკოს ბონავენტურა ცუმბინის (1836-1916), წერილს უგზავნის იტალიაში:

„პატივცემულო კოლეგავ და მეგობარო!

პროფ. ალექსანდრე ცაგარელი, წარმოშობით ქართველი, პეტერბურგიდანაა და ქართული და სომხური ენების კათედრა უჭირავს იქაურ უნივერსიტეტში. რამდენიმე დღის წინ იგი გრაცში მეწვია, ამჟამად კი რომშია, რათა ვატიკანში იმუშაოს. მე მას შევთავაზე, რომ მოინახულოს ნეაპოლი, რომელსაც იგი ჯერ კიდევ არ იცნობს, და შესაძლებლობის შემთხვევაში დაათვალიეროს ქართული ხელნაწერები Torre del Greco-ში, რათა გადაწყვიტოს, რომელია მათგან გამოქვეყნების ღირსი. საფიქრებელია, რომ მას ცოტაოდენი დაბრკოლება შეხვდება გზაში, რადგან ნეაპოლში მას სრულებით არ იცნობენ, ამიტომ ჩემს თავს ნებას ვაძლევ, იგი თქვენ ჩაგაბაროთ, არა იმიტომ, რომ თქვენ ზედმეტად გაგსარჯოთ, არამედ იმიტომ, რომ სწორ გზაზე დააყენოთ, რაც მას დასახულ მიზანთან მიიყვანს.

ვიმედოვნებ, რომ კარგად ხართ და გულითადად მოგესალმებით
ჰუგო შუხართი“.

1895 წლის 1 აგვისტოს ოლივერ უორდროპი, რომელიც მაშინ ბრიტანეთის საკონსულოში მუშაობდა ქერჩში, შუხართს სწერდა: „გასულ წელს ბოსტონში გამოვაქვეყნე პროფ. ცაგარლის იერუსალიმის ქართული ხელნაწერების კატალოგის თარგმანი. გიგზავნით ასლს“ და იქვე: „დაახლოებით ორი კვირის წინ კისლოვოდსკში მიმავალმა ცაგარელმა გზად ჩვენთან, ქერჩში, შემოიარა და სამ დღეს დარჩა. ის, როგორც ყველა მისი თანამემამულე, გახარებულია, როცა ხედავს, რომ თქვენ სერიოზულად ხართ დაკავებული მათი ენით.“ უნდა აღინიშნოს, რომ 1895 წლის ივლისის ბოლოსათვის ა. ცაგარელს ჯერ კიდევ არ ექნებოდა ხელთ შუხართის პირველი გამოკვლევა ქართული ენის შესახებ, მაგრამ მან, ალბათ, უკვე იცოდა, რომ შუხართი ქართულით იყო დაინტერესებული და გამოკვლევასაც წერდა მის შესახებ. საფიქრებელია, რომ ცაგარელი და შუხართი ამ დროისათვის ერთმანეთს არ იცნობდნენ, ყოველ შემთხვევაში, უშუალო კონტაქტი ჯერ არ უნდა ჰქონოდათ. ამას მაფიქრებინებს შემდეგი გარემოება: ა. ცაგარელის მისამართი შუხართს, ჩანს, აცნობა არტურ ლაისტმა (რომელიც, ვფიქრობ, შუხართის ბეჯითი გზის

გამკვლევნი იყო საქართველოში და რჩევა-დარიგებას სწორედ ის აძლევდა გრაფელ პროფესორს ქართული ენის შესწავლის საქმეში და საამისოდ შესაფერის კანდიდატებსაც გულმოდგინედ შეურჩევდა ხოლმე) 1895 წლის 2 სექტემბერის წერილში: ქართული ენის შესახებ ცნობები შეგიძლიათ შემდეგი ბატონებისაგან მიიღოთო, იქვე დაუსახელა მხოლოდ ა. ცაგარელი და ა. ხახანაშვილი¹ და მათი მისამართებიც.

ჩანს, შუხართი დაუკავშირდა ცაგარელს და კონტაქტი დაამყარა მასთან. ეტყობა, მათი მიმოწერა არ იყო ინტენსიური, რადგან ა. ცაგარელის მხოლოდ ორი წერილია შუხართის არქივში შემონახული. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ფრ. მიულერთან მას იმ დროისათვის დაახლოებით 35 წლის ნაცნობობა ჰქონდა. ალბათ, ქართულით დაინტერესების პირველი ტალღის დროს, 1887-1888 წლებში, მას არაფერ მიუთითა ცაგარელზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი იმხანად უკვე თხუთმეტი წელი იყო, რაც პეტერბურგის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა, ახლა კი, 7 წლის შემდეგ, ა. ცაგარელი პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართულ-სომხური სიტყვიერების პროფესორია და სახელიც აქვს მოხვეჭილი.

1895 წლის 28 სექტემბერს ფრიდრიხ მიულერი სწერს შუხართს: „ჩუბინაშვილის გრამატიკა მაქვს. მე ვფიქრობ, რომ ის 1872 წელს მივიღე თვით ჩუბინაშვილისაგან ცაგარლის მეშვეობით“. ფრიდრიხ მიულერს არ უნდა ეშლებოდეს თარიღი. თუ გავიხსენებთ, რომ ტიუბინგენის შემდეგ 70-იანი წლების დასაწყისში ა. ცაგარელმა სპეციალურად ფრიდრიხ მიულერის ლექციების მოსასმენად მიაშურა ვენის უნივერსიტეტს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ პროფესორსა და სტუდენტს ახლო ურთიერთობა ჰქონიათ, ისეთი, რომ სწორედ ცაგარელი დახმარებია მიულერს პეტერბურგიდან ჩუბინაშვილის ლექსიკონის მიღებაში.

შუხართის სამუშაო რვეულებში დაკონსპექტებულია ა. ცაგარლის არაერთი შრომა, მაგალითად: Сравнительный обзор морфологии иберийской группы кавказских языков, СПб., 1872; Сведения о памятниках грузинской письменности (I და II ტომები).

1904 წლის 4 სექტემბერს ლაისტი სწერს შუხარტს: „ამჟამად პროფესორი ცაგარელი აქ იმყოფება. იგი და ბატონი დავით სარაჯი-შვილი გულითად მოკითხვას გითვლიან. დღეს სადილობისას თქვენი სადღეგრძელო შევსვით და ბატონმა სარაჯიშვილმა წუხილი გამოთქვა, რომ თქვენ აქამდე ვერ მოახერხეთ კავკასიაში ჩამოსვლა. ვიმედოვნებთ, ერთხელ მაინც მოინახულებთ კოლხეთის ზღაპრულ სამყაროს“. ეს იმაზე მიუთითებს, რომ აქ წარმოდგენილი წერილების დაწერიდან 9 წლის შემდეგაც სახელოვანი მკვლევრები ერთმანეთისათვის უცხოდ არ ქცეულან.

¹ იგულისხმება ა. ცაგარლის წიგნები „Сведения о памятниках грузинской письменности“.

² დავით სარაჯიშვილი (1848-1911) – ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მრეწველი, ჭელმოქმედი.

³ ალექსანდრე ხახანაშვილი (1864-1912) – მოსკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პროფესორი.

ნოე ჟორდანიას უცნობი წერილები

ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია (1868-1953) ახალგაზრდობისას, 1893-97 წლებში, საზღვარგარეთ იმყოფებოდა ცოდნის გასაღრმავებლად. 1896 წელს იგი ბერლინში ცხოვრობდა. 1896 წლის 3 მარტს არტურ ლაისტი ბათუმიდან სწერდა ჰუგო შუხართს, გამოჩენილ ავსტრიელ მკვლევარს, რომანული ენების ცნობილ სპეციალისტს, გრაცის უნივერსიტეტის პროფესორს, რომელიც იმხანად ქართული ენითაც დაინტერესდა და 1895 წელს ვენაში წიგნიც დაბეჭდა ქართული ენის შესახებ, რომელსაც შემდგომში არაერთი გამოკვლევაც დაუმატა ჩვენი ენის საჭირობო-როტო საკითხების შესახებ: „ბერლინში ამჟამად სწავლობს ერთი ახალგაზრდა ქართველი ბატონი ნოე ჟორდანია, მისი ადრესია: Lini-
enstrasse №100/II. მას, ალბათ, შეუძლია, დაგეხმაროთ ქართულ ენაში მეცადინეობისას. თუკი თქვენ ამას ისურვებდით, მაშინ ბატონი ნიკოლოზ ლოლობერიძე¹ დაავალებდა მას, სააღდგომო არ-
დადეგების დროს მოენახულებინეთ გრაცში.

როგორც ჩანს, ჰუგო შუხართი დაუკავშირდა ნოე ჟორდანიას, აუხსნა, რომ ქართული ენის ლაბირინთებში გასარკვევად დახმარება სჭირდებოდა და ქართველ კონსულტანტებს საჭიროებდა. ავსტრიელი მეცნიერის დიდ ავტორიტეტთან ერთად მისმა პიროვნულმა ხიბლმაც შეუწყო, ალბათ, ხელი იმას, რომ მალე შუხართსა და ნოე ჟორდანიას შორის თბილი დამოკიდებულება დამყარდა და ისინი ერთმანეთს წერილების საშუალებით უზიარებდნენ აზრებს. ჰუგო შუხართის პირად არქივში, რომელიც გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაშია დაცული, შემონახულია ნოე ჟორდანიას 7 წერილი, რომელთა გაცნობა, ვფიქრობ, დაინტერესებს ქართველ მკითხველს. წერილები მოიცავს პერიოდს 1896 წლის 13 მარტიდან 1897 წლის 25 მარტამდე. წერილები, ძირითადად, გერმანულადაა დაწერილი, თუმცა ზოგიერთ მათგანში (№№ 1,2,3) გარეულია ქართულად

დაწერილი აბზაცებიც. ქართულ ფრაგმენტებში დაცულია დედნი-
სეული მართლწერა.

მივყვეთ თანმიმდევრობით:

№ 1

13.3.96

ბერლინი

ლინიენშტრასე 100/11

ღრმად პატივცემული ბატონო,

ბათუმიდან მაცნობებს, რომ თქვენ ქართული ენის კვლევა დაგი-
წყიათ. სწორედ იმ დროს, როცა თქვენთვის წერილის მოწერას
ვაპირებდი, მივიღე თქვენი ძვირფასი ბარათი. ჩვენ, ქართველებს, ძა-
ლიან გვახარებს, როდესაც ევროპელი სწავლულები თავიანთ ყურა-
დღობას ჩვენკენ მომართავენ. მიუხედავად იმისა, რომ მე ფილოლოგი
არა ვარ, როგორც მცოდნე ქართული ენისა და ლიტერატურისა,
მზად ვარ, გემსახუროთ. აქ, ბერლინში, მე დავერჩები ზატხულის
სემესტრის დასასრულამდე. მე ვსწავლობ „Staatswissenschaft“¹³. აგვი-
სტო და სექტემბრის თვეებში პროვინციები მსურს ვნახო და მაშინ
გოტასაც¹⁴ ჩამოუვლი. თქვენი პირადი ნახვა და გაცნობა ძრიელ სა-
სიამოვნო იქნება. თუკი იმდენი ქართული იცით, რომ ამ ჩემ ნაწერს
წაიკითხავთ და გაიგებთ, ბევრი შეგისწავლიათ და ამ მხრით დიდი
შრომა აღარ დაგჭირდებათ. მე მზად ვარ, დაგეხმაროთ ქართული
ენის შესწავლაში. კარგია, ერთ თქვენ მიერ ქართულად დაწერილ
წერილს მივიღებდე. მაშინ შემოიძლია გავიგო, თუ რამდენად იცით
ქართული.

დავშთები თქვენი ღრმად პატივისმცემელი

ნოე ჟორდანია.

ღრმად პატივცემული ბატონო,

ძალიან მიხარია, რომ ჩემი ქართულად ნაწერი წერილი გაიგეთ. ასე რომ, დღეიდან მე თქვენ წერილებს მხოლოდ ქართულად მოგწერათ.

მართალი⁵ არ არის არც „ვეწულობ“ და არც „ვეწავლობ“. უნდა იყოს „ვესწავლობ“, რადგანაც ზმნა (Werb) არის „სწავლა“. აწმყო: მე ვ-სწავლობ, შენ სწავლობ, ის სწავლობს და სხ. „ს“ მუდამ რჩება. ქართულად ორნაირად შეიძლება წერა: სტამბური და ხელ-ნაწერი. მაგ., დრო – ეს სტამბურია, ღრ-ეს ხელნაწერია. შეცდომა არც ერთი არ არის. ხმა თ, ქ და ფ ძნელი გამოსათქმელია უცხოელისათვის. ფ არ არის ღიდად ძნელი. ფ = ფ = ph მაგ. Philosoph=Φιλοσοφία =ფილოსოფოსი. თ შეიძლება th-ით გამოიხატოს. თ=th. თუმცა კარგად არ გამოვა. ქ-ს გამოხატვა ძნელია.

თუ ლეიპციგ ში წავედი, უთუოდ ვნახავ თქვენ მიერ ნაჩვენებ პროფესორს. „ძლიერ“ და „ძრიელ“ – ორივეს სწერენ. ლიტერატურაში, ჩემის აზრით, მართალი უნდა იყოს „ძლიერ“, რადგანაც ის წარმოსდგება: „ძალა“, აქ „რ“ არ არის.

მე ვარ გურული (გურია). სასაუბრო ენა ერთი პროვინციის განსხვავდება მეორე პროვინციისაგან, მაგრამ ეს განსხვავება წერილმანია, როგორც, მაგალითად, აკცენტი. გურულს და კახელს კარგად ესმით ერთმანეთის ლაპარაკი. სალიტერატურო ენა ერთი და იგივეა.

ძლიერ კარგი იქნება უცხოელთათვის, ქართულ გრამატიკას თუ შეადგენთ. მგონი რომ მარი ბროსეს (Brosset) აქვს თავის „l'Histoire de la Géorgie“-ში ქართული გრამატიკის ფორმები ჩართული.

მე საზოგადოდ ცუდი ხელი (Handschrift) მაქვს და ამიტომ შეიძლება ამოკითხვა გაგიჭირდეთ. თუ რაიმე ქართული წიგნი ან ცნობა გსურთ, მომწერეთ და მე დავიბარებ საქართველოდან. თუ გრამატიკის კარგად მცოდნე ქართველთაგან მიწერ-მოწერა გსურთ

იქონიოთ, მაცნობეთ და მე მოგცემთ მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლური ენების ინსტიტუტის პროფესორის⁶ ადრეს(ს) და ის ყოველივე ცნობას მოგაწვდით.

დავ შეთები თქვენი ღრმად პატივისმცემელი

ნოე ჟორდანიას.

№ 3

6.7.96,

ვერფ შტრასე 11/III, ბერლინი
ვისბადენი. მოკითხვამდე

ღრმად პატივცემულო ბატონო,

მე მაშინვე მინდოდა თქვენთვის მომეწერა, როგორც კი არდადეგების დროს გაეჩერდი და მივიღე თქვენი ძვირფასი წერილი. მე აქედან მივემგ ზავრები ამ თვის 13-ში, ასე რომ, დღეიდან 8 დღის შემდეგ. ორ დღეს დავრჩები ლაიფციგ ში, შემდეგ კი მივემგ ზავრები ვისბადენში, სადაც 5-6 კვირას დავყოფ. სექტემბერში, ალბათ, გინახულვებთ გოთაში ან სადმე სამხრეთ-დასავლეთ გერმანიაში. ლაიფციგ ში შემიძლია ბატონი პროფესორი ზივერსი მოვინახულო, ოღონდ უკეთესი იქნებოდა, თუ თქვენ მას ამის შესახებ მისწერდით. მთიულები და აჭარლები ქართულს დიალექტ ზე ლაპარაკობენ, რა თქმა უნდა, მაგრამ მათი დიალექტი მთლად უმნიშვნელოა და ყოველი ქართველი გაიგებს მას. ჩვენში მხოლოდ მეგრული და სვანური დიალექტებია ცოტა გაუგებარი დანარჩენ ქართველთათვის, სხვა ყველა კი ქართულად ნაკლები გაღაბრით ლაპარაკობს. მაგალითად, გურიაში ამბობენ: წვეიღეთ, ქართლში: წავიღეთ და ა.შ. Аджаруа არიან⁷ აჭარელები ანუ აჭარნი⁸. Мтиულетиаყა – მთიულნი ანუ მთიულები, საიდანაც ალ. ყაზბეგის მოთხრობები სწარმოებს. აჭარლებია მაჰმადიანები, მთიულნი – მართლმადიდებელი ქრისტიანები. აჭარა გაამაჰმადიანეს მე-XVII-XVIII საუკ. და 1879 წლამდე ეკუთვნოდა სათათრეთს.

თქვენი პატივისმცემელი

ნოე ჟორდანიას.

P.S. „ივერიაში“ ერთი თქვენი წერილი იყო დაბეჭდილი იტალიიდან. სამწუხაროდ, „ივერია“ რვა თვით დაგვიხურეს. იგივე.

№4

22.9. 96
მიუნხენი

ციბლანდშტრასე 18^o/II

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

ორი დღის წინ მივიღე თქვენი ბარათი. ამჟამად მე ისე შორს ვიმყოფები გოთაიდან, რომ, სამწუხაროდ, საშუალება არა მაქვს, თქვენ რომ გეახლოვ. ამ თვის 15-მდე მე ვისბადენსა და ტაუნუსში დავრჩი და ყოველ დღე ველოდი თქვენგან ცნობას. რაკი თქვენგან არაფერი ისმოდა, ვიფიქრე, რომ თქვენ, ალბათ, აღარ გქონდათ დრო და ამ თვის 16-ში იქიდან აქ ჩამოვედი. მე აქ გაზაფხულამდე დავრჩები. ძალიან ვწუხვარ, რომ თქვენი გაცნობის პატივი არ მხვდა წილად.

საუკეთესო მოკითხვითა და ღრმა პატივისცემით

ნოე ჟორდანია.

№5

16 ოქტომბერი 96

ციბლანდშტრასე 18^o/II
მიუნხენი

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

ძალიან გავიხარებდი, თუკი თქვენი მოგზაურობისას მიუნხენსაც მოინახულებდით. მაგრამ თუ თქვენი აქ ჩამობრძანება მხოლოდ სააღდგომოდ არის გათვალისწინებული, მე თქვენ ვეღარ შეგხვდებოდით, რადგან მარტში ინგლისში ვაპირებ გამგზავრებას. ჩემთვის მეტისმეტად სასურველია, რამდენიმე რეკომენდაცია მქონდეს თქვენი აქაური ნაცნობებისადმი, განსაკუთრებით კი ბატონ დოქტორ გეორგ ჰირტთან. მე მინდოდა გავცნობოდი გაზეთ „N. Münch.

Nachrichten" –ის რედაქციის მოწყობილობას, უმთავრესად მის ტექნიკურ მხარეს – ქალაქის დამზადების პროცესს. ეს ჩემთვის ძალზე საინტერესო იქნებოდა. ამას ჩემთვის აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა. რადგან კავკასიაში დაბრუნების შემდეგ ჩვენს ტრადიციულ რედაქციებს ევროპულ ყაიდაზე გაეუკეთებდი რეორგანიზაციას.

აქედან საკმაოდ ძნელია ჩვენი მთის ხალხის ყოფის კვლევა. მათი სამეურნეო არსებობის საკითხები აქამდე არაა საფუძვლიანად შესწავლილი. ეთნოგრაფიის სფეროდან [წეს-ჩვეულებანი და სამართლებრივი დამოკიდებულებანი ერთმანეთთან], სიმართლე რომ ვთქვათ, ჩვენთან უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ბევრი რამ იქნა შესწავლილი, მაგრამ ეს ყველაფერი სხვადასხვა გაზეთსა და საუბრნალო მიმოხილვაში არის გაფანტული და ამიტომ ევროპელთათვის მიუწვდომელია. ჰაქსტჰაუზენის გამოკვლევა ნახევრად ფანტასტიკურია, მხოლოდ კოვალევსკის წიგნს „სამართალი და ადათები კავკასიაში“ (რუსულ ენაზე) აქვს მოპოვებული გარკვეული ავტორიტეტი.

ბატონი ნ. ლოლობერიძე ათი დღის წინ იყო ვენაში, ახლა ბათუმში უნდა იმყოფებოდეს. „ივერია“ დროებით დახურეს 8 თვის ვადით, ასე რომ, მარტამდე არ გამოვა.

საუკეთესო მოკითხვითა და ღრმა პატივისცემით

ნოე ჟორდანიას.

№6

საფოსტო ბარათი

ბატონ პროფესორ დოქტორ კუგო შუხართს

გრაცი(ავსტრია),
12.12. 96

ელიზაბეთშტრასე

ციბლანდშტრასე 18'/II

მიუნხენი

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო! სიტყვა „ორშა“, მართალია, არსებობს, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ არ

ვიცი, რას ნიშნავს. თუ არ ვცდები, „ორ შას“ ხმარობენ ქართლსა და
ქახეთში და იარაღი უნდა იყოს, მაგრამ რანაირი, ამაზე წარმოდგენა
არა მაქვს. თუ თქვენ ეს გაინტერესებთ, მაშინ საქართველოში გავი-
კითხავ. ალბათ, შეგიძლიათ მაცნობოთ, რომელ ლექსიკონშია
„ორ შა“ შეტანილი, როდის და ვის მიერაა იგი შედგენილი და რა
მიზნისთვის. ალბათ, ჩვენში ის უცნობია.

საუკეთესო მოკითხვით
თქვენი ერთგული

ნოე ქორდანიას.

არშიაზე მიწერილია: ვიმედოვნებ, თავს ძალიან კარგად
გრძნობთ.

№7

25.3.97
მიუნხენი

ციბლანდშტრასე 18^ა/11

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

ბატონმა ნიკოლოზ ლოლობერიძემ თქვენთვის გადმოსაცემად
გამომიგზავნა ჩუბინა შვილის ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსი-
კონი. წიგნს დღეს გიგზავნი და ამ შემთხვევას ვიყენებ იმისთვის,
რომ გამოგეთხოვოთ და მადლობა მოგახსენოთ. ზეალ ლონდონს
მივემგზავრები. ვიმედოვნებ, რომ თქვენ შეძლებთ ოდესმე ჩვენთან,
საქართველოში, ჩამოსვლას. თუ თქვენ რაიმე გჭირდებათ ქართული
ენის შესახებ, მისწერეთ ჩემს თანამემამულეს, ბატონ ფილიპე გოგი-
ჩაი შვილს, რომელიც სამი დღის წინ ჩამოვიდა აქ. მისი მისამართი
ზემოთაა მითითებული. თქვენ შეგიძლიათ მას ქართულად მი-
სწეროთ, რადგან მან ჯერ კიდევ არ იცის გერმანული ენა.

დიდი მოკითხვითა და ღრმა პატივისცემით

ნოე ქორდანიას.

1897 წლის 5 ოქტომბერს ფ. გოგიჩაიშვილი სწერდა შუხართს:

„რამდენადაც ვიცი, ნ. ჟორდანიას ნაკლებად ჰქონდა შესაძლებლობა პ. ჰირტის რედაქციის მონახულებისა, რადგან უნივერსიტეტში ლექციები უმეტესად ისეთ საათებში ტარდებოდა, როცა რედაქციის დასათვალისწინებლად შეშვება იყო ნებადართული.“

ცნობილი გერმანელი მეცნიერი ედუარდ ზივერსი (1850-1932), რომელიც ქართული ბგერებით იყო დაინტერესებული და მათს თავისებურებებს იკვლევდა, შუხართის რჩევით დაუკავშირდა ნოე ჟორდანიას და სთხოვა, დახმარებოდა მას ქართული ბგერების ბუნების შესწავლაში. შეთანხმების საფუძველზე ნოე ჟორდანიამ 1896 წლის ზაფხულში ეწვია ზივერსს ლაიფციგში. ნოე ჟორდანიამ პროფესორისათვის იყო ერთგვარი ცდის პირი ქართული ბგერების შესწავლისას, თუმცა ამ შეხვედრით ზივერსი, როგორც შუხართისადმი მიწერილი წერილიდან ჩანს (2.VIII. 1896), მაინცდამაინც კმაყოფილი ვერ დარჩენილა. სხვათა შორის, ნახევარი წლის შემდეგ, როცა ნოე ჟორდანიამ უკვე აღარ ცხოვრობდა მიუნხენში, ზივერსმა სხვა ქართველს მიაგნო ფონეტიკაში თავისი ცდების ჩასატარებლად. ეს იყო ფილიპე გოგიჩაიშვილი, შემდგომში სახელოვანი ქართველი მეცნიერი, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი (1872-1950), რომელიც იმჟამად მიუნხენში სწავლობდა. 1897 წლის 5 ოქტომბერს იგი სწერდა ჰუგო შუხართს: „თუ ბატონი პროფესორი დოქტორი ე. ზივერსი ქართული ენის ბგერათა ფიზიოლოგიას იკვლევს, მე ჩემის შესაძლებლობით დიდი სიამოვნებით შევიტანდი წვლილს“. 1898 წლის 22 თებერვალს კი ფ. გოგიჩაიშვილი ზივერსთან შეხვედრის შესახებ აცნობებდა შუხართს: „ერთი კვირის წინ ბატონ პროფესორ ზივერსთან ვიყავი. მან ბგერები მოისმინა და ჩაიწერა. მათგან განსაკუთრებით უცნაური ეჩვენა „ყ“. მან სურვილი გამოთქვა, კვლავ მომისმინოს მე, როგორც კი თავისუფალ დროს გამოძებნის, რაზეც მე, ჩემი მხრივ, სიამოვნებით დავთანხმდები.“

¹ ნიკოლოზ დოლობერიძე (1839-1911) – ქართველი საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი. სხვა ქართველ მეცენატებთან ერთად სტიპენდიებს უნიშნავდა საზღვარგარეთ მოსწავლე ქართველ სტუდენტებს. ჩანს, უცხოეთში ნოე ყორღანის სწავლის დაფინანსებაშიც იღებდა ერთგვარ მონაწილეობას.

² აქედან წერილი ქართულად გრძელდება.

³ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მეცნიერებები.

⁴ გოთა შუხართის მშობლიური ქალაქია, სადაც ის წლების განმავლობაში მშობლების მოსანახულებლად ჩადიოდა ხოლმე.

⁵ აქედან წერილი ქართულად გრძელდება.

⁶ იგულისხმება პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილი (1864-1912).

⁷ აქედან წერილი ქართულად გრძელდება.

⁸ ნახ. „A travers le Caucasic“ par Emil Levier, 1894, Lausann (ავტორის შენიშვნა).

⁹ გეორგ ჰირტი (1841-1916) – გერმანელი პუბლიცისტი.

ახალი სამეცნიერო პროექტები

ნოღარ ზოზიაზვილი

„ქართლის ცხოვრების“ ახალი გამოცემის ძირითადი პრინციპები

„ქართლის ცხოვრების“ გამოცემები დღემდე განხორციელდა 4 პრინციპის მიხედვით:

1. XVIII ს-ის სამი ნუსხის შეჯერებით (წ. 1, 1849, მ. ბროსეს გამოც., წ. IV, 1855, დ. ჩუბინაშვილის გამოც.).

2. ცალკეული ნუსხების მიხედვით („მარიამისეულის“, 1906, ე. თაყაიშვილის გამოც., „ანასეულის“, 1942, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა I).

3. ყველა არსებული ნუსხის შეჯერებით (წ. 1, 1955, წ. II, 1959 წ., ს. ყაუხჩიშვილის გამოც.).

4. „ქართლის ცხოვრების“ ცალკეული ნაწილების გამოცემები.
„ქართლის ცხოვრების“ ახალ გამოცემასთან დაკავშირებით დგება სამი პრინციპული საკითხი:

1. წარმოჩნდეს თუ არა „ქართლის ცხოვრების“ შედგენილობა და ავტორები გამოცემაში ამ საკითხზე გამოთქმული რომელიმე თვალსაზრისის მიხედვით, რომელსაც გამომცემლები მიანიჭებენ უპირატესობას, თუ ძეგლი გამოცემულ იქნეს ტექსტზე ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, ისე როგორც ეს არის ხელნაწერებში, სადაც ცალკეული თხზულებები ამ კრებულისა, მცირე გამონაკლისის გარდა, არ არის ერთმანეთისგან გამოყოფილი და „ქართლის ცხოვრება“ წარმოდგენილია როგორც ერთი მთლიანი, მონუმენტური ძეგლი, ერთიანი სახელწოდებით, ერთიანი ტექსტით.

2. რის საფუძველზე უნდა განხორციელდეს ტექსტის კრიტიკული დადგენა: რომელიმე ერთი ნუსხის, თუ ყველა შემორჩენილი ნუსხის ან ნუსხათა გარკვეული ჯგუფების (ვთქვათ: „ძველი ციკლის“ და „ახალი ციკლის“ ნუსხების).

3. რამდენ წიგნად უნდა გამოიცეს „ქართლის ცხოვრება“ და როგორ შემოიფარგლოს თითოეული წიგნის შედგენილობა.

ჩემი თვალსაზრისი ამ საკითხზე შემდეგია:

1. „ქართლის ცხოვრების“ ახალ გამოცემაში ტექსტი უნდა გამოიცეს ყოველგვარი დაყოფის გარეშე, ძეგლზე ძალდატანებისა და მკითხველისათვის რომელიმე თვალსაზრისის თავსმოხვევის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ძეგლი გამოიცემა ე.წ. „ტრადიციული“ დაყოფით, ე.ი. დაყოფით მას ცალკეულ ნაწილებად ი. ჭავჭავაძის მიერ შემუშავებული სქემის მიხედვით, მაშინ ასეთ გამოცემას აზრი ეკარგება, რადგანაც ასეთი პრინციპით „ქართლის ცხოვრება“ უკვე ორჯერ გამოიცა ს. ყაუხჩიშვილის მიერ. დღეს საჭიროა მკითხველს მივაწოდოთ ხელნაწერების მიხედვით დადგენილი „ქართლის ცხოვრების“ ნამდვილი ტექსტი და არა ხელოვნურად დანაწილებული.

2. „ქართლის ცხოვრება“, ჩემი აზრით, უნდა გამოიცეს 4 წიგნად, რაც ასახავს, შემორჩენილი ნუსხების მიხედვით, ამ კრებულის შედგენის ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას:

I წიგნი – დავით აღმაშენებლის ისტორიის ჩათვლით (იმ შედგენილობით, როგორც ეს არის „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანში);

II წიგნი – თამარის გამეფებიდან გიორგი V-ის გამეფებამდე;

III წიგნი – „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებები;

IV წიგნი – XVIII ს-ის ისტორიკოსების: ს. ჩხეიძის, პ. ორბელიანის და ომან ხერხეულიძის თხზულებები.

3. „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი ოთხივე წიგნში უნდა დადგინდეს ყველა ნუსხის შეჭვრებით და კონტრუქტურების გათვალისწინებით (მათ შორის ძველი სომხური თარგმანის).

ტექსტის დადგენაზე უნდა იმუშაოს სარედაქციო კოლეგიამ, ისტორიკოსებისა და ლინგვისტების შემადგენლობით.

ყოველ წიგნს უნდა დაერთოს რედაქციის შესავალი წერილი, სადაც მოცემული იქნება ძეგლის არქეოგრაფიული, კოდიკოლოგიური, ენობრივ-ლიტერატურული ანალიზი.

ბუნებრივია, რომ ყოველ წიგნს დაერთოს საძიებელი და ლექსიკონი.

ბ. შოშიაშვილი

26.11.1992 წ.

„ქართლის ცხოვრების“ ახალი
გამოცემისათვის

„ქართლის ცხოვრების“ გამოცემის საქმეში უკვე დიდი გამოცდილება დაგროვდა. ამ ძეგლის უკანასკნელი (აკადემიური) პუბლიკაცია განხორციელდა 40 წლის წინათ, სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ყველა იმ დროისათვის ცნობილი ხელნაწერის მიხედვით. ამ პუბლიკაციამ უდიდესი როლი შეასრულა როგორც, საერთოდ, საქართველოს ისტორიის კვლევაში, ასევე საკუთრივ „ქართლის ცხოვრების“ წყაროთმცოდნეობით შესწავლაში. მაგრამ გასული 4 ათეული წლის მანძილზე ამ მიმართულებით ბევრია გაკეთებული, დაიწერა არაერთი სპეციალური გამოკვლევა, გამოქვეყნდა და ითარგმნა „ქართლის ცხოვრებაში“ შესული ცალკეული თხზულებანი. ამავე დროს აღმოჩნდა ძველი (ვახტანგ VI-ის წინააღმდეგ), ე.წ. „მცხეთური ციკლის“ დათარიღებული (1697 წ.) ხელნაწერი. ყოველივე ამან, „ქართლის ცხოვრებისადმი“ მეცნიერული ინტერესის ზრდის პირობებში ჩვენთანაც და უცხოეთშიც, შექმნა საჭიროება ძეგლის კრიტიკულად დადგენილი ტექსტის ახალი გამოცემისა.

მუშაობა ამ მიმართულებით უკვე დაწყებულია სააკადემიო პროგრამით.

„ქართლის ცხოვრებაზე“ მუშაობის ორი ძირითადი მიმართულება ისახება: ერთია ძეგლის შედგენილობისა და ცალკეული ნაწილებისა თუ თხზულებების მოცულობის, დასათაურების, ავტორთა ვინაობის გარკვევა, მეორეა ტექსტოლოგიური კვლევა-ძიება და ძეგლის ტექსტის კრიტიკული დადგენა.

„ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის შედგენილობაზე, ავტორთა ვინაობაზე და ცალკეული ნაწილების თუ თხზულებების სათაურზე ისტორიოგრაფიაში განსხვავებული შეხედულებანი არსებობს (ე. კეკელიძე, პ. ინგოროყვა, ივ. ჭავჭავაძე, კ. გრიგოლია, ს. ყაუხჩიშვილი...). ბოლო წლებში გამოქვეყნებულ შრომებში კვლავ შეუთანხმებლობაა ამ საკითხებზე. მკვლევართა ნაწილი იზიარებს ე.

კეკელიძის თვალსაზრისს ლეონტი მროველისა და ჯუანშერის იდენტურობის შესახებ (ა. ბოგვერაძე, გ. არახაშია...), დიდი ნაწილი მხარს უჭერს ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისს, რომლის თანახმად ლეონტი მროველი და ჯუანშერი (ე.ი. ვახტანგ გორგასლის ცხოვრების ავტორი) სხვადასხვა პირია, თუმცა ორივე XI საუკუნის მოღვაწეა; პ. ინგოროყვა ლეონტი მროველს VIII ს-ის ავტორად მიიჩნევდა. არ არის გარკვეული, თუ სადამდე ვრცელდებოდა „მეფეთა ცხოვრება“, მოიცავდა მხოლოდ წარმართულ ხანას, თუ გრძელდებოდა შემდეგაც. ს. ყაუხჩიშვილისეულ პუბლიკაციაში „მეფეთა ცხოვრება“ წარმართულ ხანას მოიცავს, რაც მართებული უნდა იყოს. ამასთან, ჩანს, რომ ცალკე უნდა არსებულებოდა „მირიანის ცხოვრება“, რომელიც გამოყენებულია „ქართლის ცხოვრებაში“. მასში ჩართულია „ნინოს ცხოვრების“ „მოქცევაჲ ქართლისაჲსეული“ ვრცელი ვარიანტი. თხრობა მირიანის შემდგომი პერიოდის შესახებ — ბაკურიდან არჩილ I-მდე, ისევე როგორც შემდგომ ვახტანგის ისტორიაში — თავში არჩილიდან ვახტანგამდე და ბოლოში დაჩიდან არჩილ II-მდე — შემოტანილი უნდა იყოს VII ს-ის მათიანიდან, რომლის შემოკლებულ ვარიანტს წარმოადგენს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკა (ე. ხოშტარია-ბროსე). VII ს-ის მათიანის არსებობა ადრეც ივარაუდებოდა ისტორიოგრაფიაში (თ. ჟორდანიას, ე. თაყაიშვილი, პ. ინგოროყვა, ნ. ბერძენიშვილი).

მკვლევართა ნაწილი ჯუანშერს (ე. ი. ვახტანგ გორგასლის ცხოვრების ავტორს) VIII ს-ის მოღვაწედ მიიჩნევს (გ. ანჩაბაძე და სხვები). ამავე დროს საკითხი დგას ვახტანგის სიკვდილიდან არჩილამდე (ე. ი. არაბთა შემოსევამდე) ნაკვეთის ავტორობის შესახებ. მკვლევართა ნაწილი მას მიიჩნევს ფსევდოჯუანშერისეულად „არჩილის წამებამდე“ (გ. წულაია), ზოგი მხოლოდ არაბთა შემოსევამდე. ჩვენი თვალსაზრისით, არაბთა შემოსევიდან და მირისა და არჩილის შესახებ თხრობიდან იწყება ცალკე თხზულება — „არჩილის ცხოვრება“, რომელიც ადრე „წამებასაც“ შეიცავდა, ხოლო ეს უკანასკნელი შემდეგ გამოეყო მას ეკლესიაში საკითხავის სახით და ასე იქნა შეტანილი „ქართლის ცხოვრებაში“.

„მატიანე ქართლისაჲს“ შემდეგ მარიამისეული „ქართლის ცხოვრების“ ტიპის ნუსხების შედგენილობა მკვლევართა შორის კამათს არ იწვევს⁵.

ახლა რაც შეეხება „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის დადგენა-გამოცემას.

როგორც ცნობილია, „ქართლის ცხოვრებამ“ ჩვენამდე სხვადასხვა ნუსხების სახით მოაღწია. განსხვავება მათ შორის არის შედგენილობაშიც და რედაქციულ თავისებურებებშიც, მაგრამ ეს ნუსხები შესაძლოა დაჯგუფდეს ერთმანეთთან მეტ-ნაკლები მსგავსების თვალსაზრისით. ეს ეხება ვახტანგამდელ, ანუ ძველი ციკლის ნუსხებსაც და უფრო გვიანდელ (ვახტანგის შემდგომი ხანის) ნუსხებს. ასე მაგ., პირველ ციკლში ერთმანეთს, შედგენილობის თუ რედაქციული თავისებურებების თვალსაზრისით, უახლოვდება ე.წ. „მარიამისეული“ და „კლიმიაშვილისეული“ ნუსხები (მცხეთური ციკლი), რომელნიც შედგენილობით და რედაქციულადაც რამდენადმე განსხვავდებიან „ანასეული“ ნუსხისაგან. თავისებურება ახასიათებს ე.წ. ქალაშვილისეული ნუსხის ძველ ნაწილსაც.

იგივე სურათია ვახტანგის შემდგომდროინდელ ნუსხებშიც, რომელთაგან ზოგი მხოლოდ იმეორებს ადრეული ხანის ისტორიას, ზოგიც წარმოდგენილია ახალი პერიოდის თხრობით (გაგრძელებულია).

რაც შეეხება პუბლიკაციებს: ჯერ კიდევ XIX ს-ის შუახანებში მარი ბროსემ განახორციელა „ქართლის ცხოვრების“, ასე ვთქვათ, „შეჯერებული“ (სხვადასხვა ნუსხებზე დამყარებული) ვარიანტის გამოცემა.

ასეთი „შეჯერებული“ ვარიანტია სიმონ ყაუხჩიშვილის 1955-1959 წწ. პუბლიკაციაც („ქართლის ცხოვრების“ ტექსტი – დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით). მაგრამ ეს არ არის

⁵ დაწვრილებით იხილეთ: მ. ლორთქიფანიძე, რა არის „ქართლის ცხოვრება“, თბ., 1982; რ. კიკნაძე, საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები, 1, თბ., 1982; ე. სო მტარია-ბროსე, ლეონტი მროველი და „ქართლის ცხოვრება“, თბ., 1996.

„ქართლის ცხოვრების“ სინამდვილეში არსებული რომელიმე ტექსტი, არამედ არის ბროსესეული ან სიმონ ყაუხჩიშვილისეული ახალი ვარიანტების პუბლიკაციები (ასეთი ვარიანტები ფაქტობრივად არ არსებობდა), ასეთივე ხასიათისაა უკანასკნელ დროს, წინამორბედ გამოცემასთან განსხვავებით, სამეცნიერო აპარატის, კითხვა-სხვაობათა გარეშე გამოცემული „ქართლის ცხოვრება“ – ნ. შოშიაშვილის და ი. ანთელავასი (1996 წ.).

გვაქვს ცალკე ნუსხათა გამოცემებიც. ადრე გამოქვეყნებულთაგან ასეთი არის „მარიამისეული“ ნუსხის თაყაიშვილისეული გამოცემა (1906 წ.) და „ანასეულის“ სიმონ ყაუხჩიშვილის გამოცემა (1942 წ.).

წარმოებდა „ქართლის ცხოვრების“ ცალკეული შემადგენელი ნაწილების თხზულებების გამოცემაც. ჭერ ივ. ჭავჭავაძისეული ცალკე გამოსცა „ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე“, ასევე – ბასილი ეზოსმოდვრის თხზულებაც; კ. კეკელიძემ – „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთან“, რ. კიკნაძემ – „უამთააღმწერელი“ – ასწლოვანი მათიანე, მ. შანიძემ – დავით აღმაშენებლის თხზულება, გ. არახაძემ – „სუმბატ დავითის ძის ქრონიკა“.

უნდა ითქვას, რომ ყველა ამ გამოცემაშიც ტექსტი დადგენილია ყველა არსებული (ცნობილი) ნუსხის მიხედვით. ასე რომ, აქაც არსებითად საქმე გვაქვს „ქართლის ცხოვრების“ ამა თუ იმ თხზულების შეჭერებულ ტექსტთან, რომელიც რამდენადმე დაშორებულია ამა თუ იმ კონკრეტული ნუსხისაგან. თუმცა, ტექსტის გამართვის თვალსაზრისით, ეს ოპტიმალური ხერხია.

ასეთია აქამდე „ქართლის ცხოვრების“ გამოცემის ვითარება. როგორ მოვიქცეთ მომავალში? არსებობს ორი გზა თუ ხერხი. ერთია კვლავ ყველა (ძველი და ახალი ციკლის) ნუსხის მიხედვით ტექსტის დადგენა-გამართვა. ამ შემთხვევაში ისევ საქმე გვექნება არა საკუთრივ „ქართლის ცხოვრების“ რომელიმე კონკრეტულ ვარიანტთან (და არც ციკლთან), არამედ ისევ შეჭერებული ვარიანტი გამოგვივა (ე.ი. ჩვენეული). მეორე გზაა: გამოვცეთ „ქართლის ცხოვრება“ (უკეთ მისი ერთ-ერთი, ადრინდელი ნუსხა) ისე, როგორც მან მოაღწია ჩვენამდე – არა „მარიამისეულის“ მსგავსად (ხელნაწერის

ზუსტი ასლი), არამედ აღდგენილი სახით (ე. ი. კრიტიკულად დადგენილი). მაგრამ, რადგან არ მოგვეპოვება ძეგლის ადრინდელი ისეთი ნუსხა, რომელიც მეტ-ნაკლებად დაზღვეულია გადაწერის პროცესში დამახინჩებისაგან, იძულებულნი ვართ გამოცემის საფუძველად ავილოთ ადრეული ციკლის („მცხეთურის“) ძირითადი ნუსხები.

გასათვალისწინებელია ის, რომ „ქართლის ცხოვრება“ არის ქართული ენის ძეგლიც და ამიტომ არ არის მიზანშეწონილი ტექსტის „გაუმჯობესება“ (უკეთ წაკითხვის მიზნით). უნდა შემოვიფარგლოთ ტექსტის აღდგენით, ე. ი. ტექსტის იმასთან მიახლოებით, როგორც იგი უნდა ყოფილიყო თავდაპირველად (ენობრივი თავისებურებებით). ბუნდოვანი და დამახინჩებული ადგილების ყველა მართებული წაკითხვის წყარო სქოლიოში უნდა აღინიშნოს. ე. ი. მიზანშეწონილია „მცხეთური ციკლის“ კრიტიკულად დადგენილი ტექსტის გამოცემა გვიანდელი ნუსხების გამოყენებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ტექსტის აღდგენაში გვეხმარება.

„ქართლის ცხოვრების“ ახალი გამოცემის მომზადების დასაწყისშივე, საქ. მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის თხოვნით, ნოდარ შაშიაშვილმა, როგორც სარედაქციო ჯგუფის წევრმა, წარმოადგინა მისი შეხედულება ძეგლის ახალი გამოცემის ძირითადი პრინციპების შესახებ. ქვემოთ ქვეყნდება ნ. შაშიაშვილის მიერ წარმოდგენილი წინადადებები. ამასთან, წინასწარ უნდა შევნიშნოთ შემდეგი: უპირველეს ყოვლისა, ნ. შაშიაშვილის წინადადებებში არსებითია პრინციპი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის ყოველგვარი ძალდატანების გარეშე გამოცემისა, ე. ი. იგი არსებულ ნუსხათა ტექსტში ყოველგვარი ჩარევის, „ხელოვნური დანაწილების“ წინააღმდეგია. მართალია, ეს ეხება ცალკეულ თხზულებათა დასათაურებას, როდესაც ასეთი ტექსტში არა გვაქვს, მაგრამ იგივე პრინციპი უნდა გავრცელდეს საერთოდ ტექსტის გამართვაზედაც (ორთოგრაფიაზე და სხვა). თუმცა ყოველთვის ამ პრინციპის გატარება ვერ ხერხდება, რადგან გასათვალისწინებელია „ქართლის ცხოვრების“ ცალკეულ შემადგენელ ნაწილთა თავისთავადობაც, მით უმეტეს, რომ თვით ძეგლის ძველი ნუსხებისათვისაც არ არის უცხო ამ ნაწილთა დასათაურება, თავებად და ქვეთავებად

დაყოფაც. ეს დასტურდება ლეონტის ნაწილშიც. ამასთან, ცალკე სათაურებით გამოყოფილია ვახტანგ გორგასლის ისტორია, ზოგ ნუსხაში დავით აღმაშენებლის ისტორია, სუმბატ დავითის ძის თხზულება და ზოგი სხვა. ასე რომ, ამ დასათაურებათა არსებობა ერთგვარად საჭიროდ ხდის სხვა შემადგენელი ნაწილების გამოყოფასაც, როგორც ეს ს. ყაუხჩიშვილმა გააკეთა ივ. ჯავახიშვილზე დაყრდნობით. ცხადია, ამ ნაწილების დასათაურება ისე უნდა აღინიშნოს (კუთხურ კავებში), რომ მკითხველი მიხვდეს მათ არადენის-ეულ წარმომავლობას. შემთხვევითი არ არის, რომ თვით ნ. შოშიაშვილის და ი. ანთელავას მიერ გამოცემულ „ქართლის ცხოვრებაში“ (1996 წ.) ასეთი დაყოფა და დასათაურებაც გამოყენებულია.

მეორე პრინციპული საკითხია ის, თუ რას უნდა ემყარებოდეს და რას წარმოადგენდეს „ქართლის ცხოვრების“ ახალი გამოცემა. ნ. შოშიაშვილის წინადადებით: „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი უნდა დადგინდეს ყველა ნუსხის შეჯერებით და კონიექტურების გათვალისწინებით (მათ შორის სომხური თარგმანისა). ეს იგივე პრინციპია, რომელიც გამოიყენა ს. ყაუხჩიშვილმა და მოგვცემს ახალ ასეთსავე პუბლიკაციას. მაგრამ ასე იშლება სხვაობა ძველი ციკლისა (ვახტანგამდელის) და ახალი ციკლის (ვახტანგის შემდეგდროინდელის) ტექსტებს შორის. ამის თავიდან ასაცილებლად შესაძლებელია, ისინი გამოიცივს ცალ-ცალკე, ვთქვათ, თავდაპირველად ძველი ციკლის (ე.წ. „მცხეთურის“) ნუსხების შეჯერებული ტექსტი, ვახტანგის შემდეგდროინდელ ნუსხათა მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოყენებით და მათზე მითითებით, როდესაც ისინი გვეხმარება ბუნდოვანი ადგილების გამართვაში. ამით ნ. შოშიაშვილის წინადადება ნუსხათა შეჯერების აუცილებლობის შესახებ ძალაშია.

როგორც თავშივე ითქვა, მუშაობა ასეთი გამოცემის განსახორციელებლად დაწყებულია სააკადემიო პროგრამით, კერძოდ, საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის ხაზით.

რეცენზიები და ანოტაციები

მართი დაუზვიჟყარი რეცენზია*

18 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ძველი ქართული წარწერების კორპუსის — ლაპიდარული წარწერების პირველი წიგნი. მოგეხსენებათ, იგი შეადგინა, სათანადო გამოკვლევა დაუტოო და გამოსაცემად მოამზადა დღევანდელმა დისერტანტმა, ქართული პალეოგრაფიისა და ეპიგრაფიკის გამოჩენილმა მკვლევარმა ბ-მა ნოდარ შოშიაშვილმა.

გამოიცა უაღრესად ორიგინალური ნაშრომი, რომელშიც დამუშავებულია აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს V-X სს-ის 235 ლაპიდარული წარწერა. ნაშრომის მნიშვნელობა ამჟამად განუზომლად დიდია ფილოლოგთათვის, ისტორიკოსთათვის, ენათმეცნიერთა და სხვა ჰუმანიტარულ დისციპლინებში მომუშავე მკვლევართათვის. თუ გავითვალისწინებთ ნაშრომის აქტუალობასა და ორიგინალობას, მის როლს ეპიგრაფიკისა და პალეოგრაფიის განვითარების საქმეში, ამასთანავე იმას, რომ იგი საყურადღებო შენაძენი იყო ქართული ისტორიოგრაფიისათვის, რაზედაც არაერთხელ ყოფილა საუბარი წიგნზე გამოქვეყნებულ რეცენზიებსა (ნ. ვაჩნაძე) თუ სხვადასხვა გამოკვლევებში, წიგნის ავტორი იმთავითვე (1980 წ.) იმსახურებდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის (და არამარტო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის — ამის შესახებ ჭეშმომთ) სამეცნიერო ხარისხს. დისერტანტმა მართლაც რომ მნიშვნელოვანი ღვაწლი დასდო ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების და-

* კრებულში ვაქვეყნებთ ბ-ნ ნოდარ შოშიაშვილის სადოქტორო დისერტაციის ოფიციალური ოპონენტის, ბატონ გრიგოლ გიორგაძის რეცენზიას, რომლის დაწერიდან სულ რამდენიმე თვეში დისერტაციის ნაშრომის ავტორი, დიდად სამწუხაროდ, გარდაიცვალა უკვე როგორც ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. აღნიშნულ რეცენზიას ბ-ნი ნოდარი მოწონებით შეხვდა. რეცენზია იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით (რედაქტორი).

მუშავებას. ამიტომაც ახლა მიმაჩნია, რომ დისერტანტი, ფაქტობრივად, 18 წელია, რაც ისტორიის მეცნიერებათა დოქტორია. რაოდენ დასაანანია, რომ ამ მოვლენას იურიდიული ძალა, ჩემთვის სრულიად გაურკვეველი მიზეზების გამო, მხოლოდ დღეს ეძლევა.

ჩემთვის დიდი პატივია ვიყო ასეთი საყურადღებო ნაშრომის ოფიციალური ოპონენტი, რისთვისაც მაღლობას მოვახსენებ სამეცნიერო საბჭოს. ამ როლში ჩემი მოულოდნელი გამოსვლა კი გამაბედღინა მხოლოდ იმ გარემოებამ, რომ ბ-ნმა დისერტანტმა შექმნა ნაშრომი, რომელიც უყოყმანოდ, თანაც დიდი ხნის წინ, იმსახურებდა და, მით უმეტეს, დღესაც იმსახურებს უმაღლეს სამეცნიერო ხარისხს. დროთა მსვლელობამ მას მნიშვნელობა ვერ დაუკარგა, მიუხედავად იმისა, რომ წიგნის გამოქვეყნების შემდგომ აღმოჩნდა ისეთი უნიკალური ძეგლი, როგორიცაა „დავათის სტელა“ №1 წარწერით, რომელიც, მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, უნდა გამოყოფდეს თარიღს – ძვ. წ. 284 წელს, შესაძლოა, მანიშნებელს „ქართული დამწერლობის“ შექმნის წელს (რ. რამიშვილი, ზ. ალექსიძე, გ. აბრამიშვილი). წიგნში წამოყენებული ძირითადი დასკვნები არ შეცვლილა, მიუხედავად იმისა, რომ გამოქვეყნდა არაერთი ნაშრომი ამა თუ იმ ცნობილი ლაპიდარული წარწერის ახალი ინტერპრეტაციით (ე. მაქავარიანი, ვ. სილოგავა) და ა.შ. სარეცენზიო წიგნში გამოთქმული ძირითადი დებულებანი უცვლელი დარჩა დისერტანტის მიერ მომდევნო (1982, 1987, 1997, 1998) წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებშიც, რომელთა შესახებ აქ აღარ ვისაუბრებთ. ყოველივე ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ 18 წლის წინ შედგენილი კორპუსი წარწერებისა შესრულებულია თანამედროვე მეცნიერულ მოთხოვნათა დონეზე, რომელთაც ახლა იყენებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უძველეს წარწერათა კორპუსების (ძველებერძულ, არამეულ, ებრაულ და სხვა წარწერათა კორპუსების) გამოცემის დროს. ეს თავისთავად დასტურია იმისა, რომ ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლისა და პუბლიკაციის დონე საქართველოში დიდი ხანია სათანადო სიმაღლეზე დგას.

საპაექროდ წარმოდგენილი ამ ფუნდამენტური ნაშრომის შექმნა შეუძლებელი იქნებოდა ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების შეს-

წავლის ისტორიის განხილვის გარეშე, რასაც დისერტანტი დიდი სკრუპულოზობით ასრულებს. თითოეული მეცნიერის ღვაწლს ამ ძეგლების შესწავლის საქმეში (მათი რიცხვი კი საკმაოდ დიდია) იგი სათანადოდ აფასებს.

V-X სს-ის ქართული ლაპიდარული წარწერების ისტორიულ-პალეოგრაფიულ მიმოხილვაში დისერტანტს ჯერ განხილული აქვს ჭკაჯერების წარწერები, რომელთა უძველესი კერა საქართველოში ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხეა. ეს წარწერები, გარეგნული ნიშნებისა და დანიშნულების მიხედვით, დაჯგუფებულია უკვარცხლბეკო და კვარცხლბეკიან ჯვრებად. წიგნის ავტორის მიხედვით, უკვარცხლბეკო მცირე ზომის ჯვრების წარწერები ეპიტაფიებია, კვარცხლბეკიანი დიდი ჯვრები, პირველ რიგში, საკულტო ნაგებობებია, რომელთა ნაწილი კიდევ ორ მნიშვნელობას იქნის: იურიდიულს და მოსახსენებელ-მემორიალურს. როგორც ნაშრომის ავტორი ვარაუდობს, სტელა-ჯვრებს იურიდიული შინაარსი აქვთ „პოლიტიკური დაქუცმაცებულობის ხანაში, როდესაც არსებობს ცალკეული საუფლო-სამამფლოები და როცა ეს უფალ-მამფლები თავიანთ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ასეთი სტელა-ჯვრებითაც გამოხატავენ. ერთიანი ფეოდალური მონარქიის წარმოქმნის შემდეგ სტელა-ჯვრები კარგავენ თავიანთ აღნიშნულ შინაარსს. მათ ადგილს იკავებს სამეფო სტელა – „ჯელი“, სამიწენ სტელა და სამლოცველო ჭკაჯვარი“ (გვ. 19). როგორც ვხედავთ, ავტორის შეხედულება აღნიშნული ჯვრების მნიშვნელობის შესახებ უაღრესად საყურადღებოა ისტორიკოსთათვის, იურისტთათვის, მით უმეტეს, რელიგიის ისტორიის მკვლევართათვის.

ასევე საყურადღებოა კედლის ლაპიდარული წარწერების დახასიათება. კუთვნილებისა და დანიშნულების მიხედვით, ისინი შემდეგნაირადაა დაჯგუფებული: სამშენებლო წარწერები, მოსახსენებლები და იურიდიული აქტები. წარწერების თითოეულ ამ ჯგუფს ჰქონდა თავისი განსაკუთრებული შედგენილობა, რაზედაც ნაშრომის ავტორი ვრცლად ჩერდება (გვ. 21 და შმდ.). ეს წარწერები შედგენილია განსაზღვრული დიპლომატიკური ფორმით, რომელიც საუკუნეთა მანძილზე იქმნებოდა და კანონდებოდა. ამ წარწერათა

348

რიცხვს განეკუთვნებიან: უკვარცხლბეკო ჯვრები (კედლის ან საფლავის), სტელა-ჯვრის ბაზისები, სტელები, სტელა-ჯვრების კვარცხლბეკებზე ამოკვეთილი იურიდიული აქტები (VII-X სს), რომელთა სახეებია „ქელი“ და „დაწერილი“, ეკლესიის საამშენებლო (ქტიტორთა და ხუროთმოძღვარ-ხელოსანთა) წარწერები და მოსახსენებლები.

დიდ ინტერესს იწვევს ავტორის მოსაზრებანი V-X საუკუნეთა ქართული ლაპიდარული წარწერების ქრონოლოგიური და გეოგრაფიული განლაგების შესახებ. ნაშრომის ამ ადგილას საუბარია ქართული წერილობითი ძეგლების ქვედა და ზედა ქრონოლოგიურ ზღვარზე. როგორც ახლა ყველასათვისაა ცნობილი, წარწერების კორპუსის შემდგენელი ამ წერილობითი ძეგლების ქვედა ქრონოლოგიურ ზღვრად (ურბნისის სიონის წარწერაზე დაყრდნობით) მიიჩნევენ V ს-ის პირველ ნახევარს. ეს წარწერა თავისი პალეოგრაფიული ნიშნებით, ისევე როგორც წარწერის აგებულებით (ლაკონიურობით), ავტორს მიაჩნია უპირველესად დღემდე ცნობილ ქართული დამწერლობის ძეგლებს შორის. მისი დამწერლობა წინა საფეხურია ბოლნისის სიონის მთავრული დამწერლობისა. ჩვენთვის საინტერესო წარწერების ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად შერჩეულია X ს., როდესაც მომხდარია გარდატეხა ქართულ დამწერლობასა და ეპიგრაფიკული ძეგლების ხასიათში.

სარეცენზიო წიგნში ლაპიდარული წარწერების ქრონოლოგიურ-გეოგრაფიული განლაგება ასეთია. ქრონოლოგიურად წარწერები ასეა დაყოფილი: ქვაჯვრების წარწერები, ეკლესიის კედლის წარწერები, საფლავის ქვებისა და სარკოფაგების თარიღები თავსდება V-X სს-ში, ცალკე ჭკის ფილებზე შესრულებული წარწერები თარიღდება X ს-ით. გეოგრაფიულად ეს წარწერები მოიცავენ ქართლს (V-X სს.), კახეთს (VII/VIII-X სს.), სამცხე-ჯავახეთსა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (VII/VIII-X ს.), დასავლეთ საქართველოს (X ს.). აქედან გამომდინარე, ქართლი რომ ქართული დამწერლობის შექმნის უძველესი კერაა, ამაში დაეკვება არ შეიძლება.

შემდგომ ავტორი ცალკე პარაგრაფად გამოპყოფს V-X სს-ის ლაპიდარული წარწერების ძირითად პალეოგრაფიულ ნიშნებს: რე-

ლიეფურობასა და ჩაქრით ამოკვეთას, ტექსტის დაწყების ტექნიკურ ნიშანს, განკვეთილობის ნიშნებს, სიტყვების გამოყოფას, ქარაგმის ნიშანს, გრაფემების მოხაზულობას, ლიგატურას, კიდურწერტილოვნებას, კიდურწაისრულობას, განუსხურებას, გაკუთხოვნებას, ოთხხაზოვანი ბადით წერაზე გადასვლას, გრაფემების წითლად შეღებვას. რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, წერის ლაპიდარული სტილის ასეთი დახვეწილობა, წერის ამ სტილის დროს გამოყენებულ ნიშანთა ასეთი მრავალფეროვნება ძალზე იშვიათია სხვადასხვა ქვეყნის ადრეული ხანის ლაპიდარული ძეგლების წერის დროს. ყურადღებას იქცევს ფაქტი, რომ უძველესი ქართული ლაპიდარული წარწერებისათვის დამახასიათებელი არ არის ორი წერტილის გამოყენება როგორც სიტყვათა გამოყოფის ნიშნისა, რაც დამახასიათებელია არაერთი უძველესი დამწერლობისათვის. აღნიშნული დანიშნულებით ორი წერტილი ქართული დამწერლობის ძეგლებში მხოლოდ მოგვიანო ხანებში ჩნდება.

როგორც ცნობილია, წერითი სისტემის გამოსატულობის ანალიზი გულისხმობს ნიშან-სიმბოლოთა გრაფიკულ და პალეოგრაფიკულ ანალიზს. ამდენად, ადრეულ წერილობით ძეგლებს (განსაკუთრებით, V-VI სს-ისა) გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ქართული წერითი სისტემის წარმოშობასთან დაკავშირებით. ამ ძეგლებში მოცემულია ქართული წერილობითი სისტემის გრაფიკულ სიმბოლოთა გამოსატულებანი, გამოსახულია მათი გრაფიკული ცვლილებები სივრცესა და დროში, რასაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სარეცენზიო ნაშრომის ზემოთ აღნიშნულ ადგილას (გვ. 31-33). გასარკვევია, ამ წარწერებში შემორჩენილია თუ არა არქაული გრაფიკული ნიშნები და ა.შ. (წერითი სისტემის გამოსატულებას განეკუთვნება სისტემის პარადიგმატური სტრუქტურა, ანუ ნიშანთა თანამიმდევრობა, სისტემაში ნიშანთა „დალაგების“ პრინციპი, რაც შესანიშნავად დასტურდება „დავათის სტელით“).

სარეცენზიო ნაშრომში სათანადოდაა ასახული V-X საუკუნეთა ლაპიდარულ წარწერებში დადასტურებული საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება. ავტორს მიაჩნია, რომ ეპიგრაფიკული ძეგლები თავისებურად არეკლავს საქართველოს სოციალურ-

პოლიტიკურ ვითარებას და აღძრავს ამ მიმართებით მრავალ საკითხს, რომელთაგან ნაშრომში ყურადღება ექცევა ამ საკითხთა მხოლოდ ნაწილს. ჩვენც მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე შევჩერდებით.

ავტორის დასკვნით, V-VIII საუკუნეთა წარწერების თანახმად, შეინიშნება საფეოდალოების სიმრავლე ქართლში. მათი დახმარებით, შესაძლოა, გამოკვლეულ იქნეს საფეოდალო ცენტრები და ფეოდალურ საგვარეულოებთან დაკავშირებული საკითხები (გვ. 36); კარგად ჩანს წარჩინებულ საერო პირთა (უფალ-მამფალთა) და გამგებელთა, საერთოდ, გამგებელ-მონხელთა ინსტიტუტის არსებობა. საერთოდ, აღნიშნული ხანის ტექსტები ძვირფასი წყაროა აღრეფეოდალური პერიოდის აღმოსავლეთ საქართველოს სამამფლო II საუფლოების (ე.ი. საფეოდალოების) დასადგენად; დისერტანტი ეხება „ქართველთა ერისთავის“, ისე როგორც „ქართველთა მეფობის“ საკითხებს (გვ. 37); ნაჩვენებია, რომ VIII-IX საუკუნეების საქართველოში უკვე არსებობდნენ დიდი სენიორიები: საუფლო II სამამფლოები, ქართველ ბაგრატიონთა სამეფოები, საერისთავოები და საერისთავთ-ერისთავოები. ნ. შოშიაშვილის აზრით, დიდი სენიორიების წარმოქმნამ, არაბთა ბატონობის შესუსტებამ, ქვეყნის ეკონომიკურმა აღორძინებამ გააცხოველა საამშენებლო საქმე, გაიზარდა დიდ საკულტო ნაგებობათა მშენებლობა და ა.შ. (გვ. 39); X-XI საუკუნეებში არსდება ახალი ქართული ეპარქიები და შენდება საეპარქიო საყდრები (გვ. 40); IX-X საუკუნეებში მიმდინარეობს ბრძოლა ჰეგემონობისათვის საქართველოს დიდ პოლიტიკურ ერთეულთა შორის, ქართლში გაბატონებას ერთმანეთს ეცილებიან აფხაზთა მეფე, ტაოს მეფე, კახთა მეფე (გვ. 43); საამშენებლო წარწერების ცნობათა მიხედვით, ყურადღება ექცევა სატაძრო მშენებლობის (განსაკუთრებით, ოშკისა), მათ შორის ტაძრების განახლება-აღდგენის, ტაძრების მოხატვის საკითხებს; ნაშრომის ავტორი დაწვრილებით განიხილავს ცნობებს ტაოს ბაგრატიონთა შესახებ, წარმოგვიდგენს ტაო-კლარჯეთის გამგებელთა იერარქიას (კურაპალატი, ერისთავთ-ერისთავი, მაგისტროსი, ერისთავი (გვ. 56 და შმდ.);

დისერტანტი ეხება აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზთა მეფის ერისთავების საკითხს (გვ. 58), იძლევა ტბელების გენეალოგიას (გვ. 60) და იხილავს არერთ სხვა საკითხს, რომელთა შესახებ საუბარი შორს წაგვიყვანდა. აქვე აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ V-X საუკუნეების ლაპიდარული წარწერები ძვირფასი წყაროა, საერთოდ, ამ ხანის საქართველოს საზოგადოებრივი წყობის, განსაკუთრებით, საზოგადოების სოციალური სტრუქტურის, მიწისმფლობელობის ფორმების, სამართლებრივი ნორმების, რელიგიისა და კულტურის, ხელოვნების ისტორიის პრობლემათა კვლევისათვის. ცხადია, თითოეულ მათგანზე შეჩერებას და სათანადო დასკვნების გამოტანას ავტორი ვერ შეძლებდა გარკვეულ მიზეზთა გამო.

ამით ვამთავრებთ მოკლე მიმოხილვას მეცნიერული ნარკვევისა, რომელიც უშუალოდ წინ უძღვის ლაპიდარული წარწერების განხილვას.

ამის შემდეგ კი იწყება თვით წარწერების დეტალური განხილვა. კორპუსი შედგენილია წინასწარ შემუშავებული პრინციპების მიხედვით: დასაწყისში მოცემულია ტექსტის ზოგადი შეფასება, რომლის შემდეგ იწყება (რასაკვირველია, საჭიროების შემთხვევაში) წარწერის დაზიანების აღწერა, შემდეგ – წარწერის დათარიღება სხვა მკვლევრებთან, აღნიშნულია ტექსტის ავტორისეული დათარიღების საფუძველი, ჩამოთვლილია წარწერათა გამოცემები სხვადასხვა მკვლევრის მიერ, მოცემულია ასომთავრული ტექსტი თავისი ასლით (სურათით). სულ ასეთი 205 სურათი ერთვის ტექსტს და ტექსტის ავტორისეული წაკითხვა კომენტარებითურთ (ზოგჯერ განხილულია სხვა ავტორთა წაკითხვებიც). კორპუსს ერთვის თითოეული წარწერის ფოტო. აი, ამ პრინციპით განხილულია 235 ლაპიდარული წარწერა, რომლებიც ამოკვეთილია V-XI საუკუნეების აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს (შიდა და ქვემო ქართლის, ჭავჭავთის, სამცხის, კლარჯეთის, ტაოს, შავშეთის, კახეთის) 84 ძეგლზე, რომელთაგან V საუკუნეს განეკუთვნება 8 წარწერა, V-VI საუკუნეებს – 19, VII-VIII საუკუნეებს – 33, IX-X საუკუნეებს – 123 და X-XI საუკუნეებს – 52, ე.ი. სულ 235 (და არა 234, როგორც ეს რუსულ რეზიუმეშია, გვ. 349). ამგვარად, მარტო წარწერების

352

გამოცემასთან დაკავშირებით ჩატარებულია დიდი შრომატევადი სამუშაო, რომელიც, ალბათ, წლების მანძილზე გრძელდებოდა. შესაძლოა, კორპუსის ავტორის მიერ წარმოდგენილი წარწერების ზოგიერთი წაკითხვა თუ მათი დათარიღება სადავოც იყოს (მათზე ახლა აღარ შევჩერდები), მაგრამ ეს სავესებით ბუნებრივია, რადგან საქმე ეხება ურთულეს საკითხებს, რომელთაც სხვადასხვა მკვლევარი სულ სხვადასხვანაირად გაიაზრებს. ექვი არ არის, მომავალი კვლევა-ძიება ამ მხრივ არაერთ სადავო პრობლემას გადაწყვეტს.

ქართული ლაპიდარული წარწერების გაცნობის შემდეგ ნათელი ხდება შემდეგი გარემოება: დასტურდება ამ წარწერათა მრავალსახეობა, რაც დამახასიათებელია სხვადასხვა ქვეყნის ამ სახის ტექსტებისათვის. აშკარაა წერის ლაპიდარული სტილის გამოყენება V ს-ის პირველი ნახევრისათვის, რაც, შესაძლოა, გულისხმობს იმას, რომ იგი გამოყენებული უნდა ყოფილიყო უფრო ადრეულ ხანებშიც, როდესაც უნდა შექმნილიყო ქართული ასომთავრული დამწერლობა. როგორც ვვარაუდობ, წერის ლაპიდარული სტილის დასაწყისი საქართველოში არ შეიძლება არ დავუკავშიროთ I-II საუკუნეებს, როდესაც სწორედ ამ სტილში დაიწერა უნიკალური არმაზის მონოლინგვა არამეული დამწერლობით და არმაზის ბილინგვა ბერძნული და არამეული ტექსტებით, ისევე როგორც უფრო მოგვიანო ხანებით (III-IV საუკუნეებით) დათარიღებული ლაპიდარული წარწერები არამეული თუ ბერძნული დამწერლობით. ყოველ შემთხვევაში, არ შეიძლებოდა ამ სახის წარწერებს სათანადო გავლენა არ მოეხდინა ქართული ასომთავრული წარწერების ლაპიდარული სტილის შექმნაზე.

სარეცენზიო ნაშრომი მნიშვნელოვანი შენაძენი იყო და ასეთად დარჩა იგი დღემდე ქართული ისტორიულ-ფილოლოგიური მეცნიერებისათვის. ნაშრომი ამდიდრებს ჩვენს წარმოდგენებს ქართული პალეოგრაფიისა და ეპიგრაფიკის სხვადასხვა პრობლემების შესახებ. მან დიდი როლი შეასრულა ქართული ისტორიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი ბაზის განმტკიცებაში. ნ. შოშიაშვილის ნაშრომს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დღესაც, რადგან იგი ერთადერთი მეცნიერული ნაშრომია, რომელშიც თავმოყრილია

აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს V-X საუკუნეთა ლაპიდარული წარწერები, მოცემულია მათი მეცნიერული ანალიზი. იგი დიდი ხანია სამაგიდო წიგნად იქცა. ასევე დიდი ხანია მეცნიერული საზოგადოება ელოდება სარეცენზიო ნაშრომის II ტომს.

როგორც რეცენზიის დასაწყისში აღვნიშნე, ბ-ნი ნოდარი დიდი ხანია იმსახურებს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხს. გასათვალისწინებელია, რომ ბ-ნი ნოდარი ღირსია ატარებდეს არა მარტო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, არამედ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხსაც.

გრიგოლ გიორგაძე
10 სექტემბერი, 1998 წ.

ანოტაცია*

ქართული წარწერების კორპუსი. I. ლაკიდარული
წარწერები. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო
(V-X სს.). შუაღბინა და ბამოსაცვაგად მოაგზავდა
ნ. შოშიაშვილმა. თბ., 1980

სასიქადულო ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი ჯერ კიდევ ამ საუკუნის 20-იან წლებში მიუთითებდა ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების სრული, აკადემიური, ერთიანი პრინციპით შედგენილი მრავალტომეული კრებულის გამოცემის საჭიროებაზე, მაგრამ იმასაც დასძენდა, რომ „...ასეთ დიად საქმეს შესაფერისი მუშაობა უნდა უძღოდეს წინ და ამიტომ ესეც მხოლოდ მომავალშია შესაძლებელი“ -ო („ქართული პალეოგრაფია“, ტფ., 1926, გვ. 24). და აი, წინამდებარე ტომით საფუძველი ჩაეყარა ამ მეტად საშურ საქმეს, ამოივსო ის ხარვეზი, რომელიც აშკარად გააჩნდა ჩვენს მეცნიერებს: ლინგვისტებმა, ხელოვნებათმცოდნეებმა, ისტორიკოსებმა და სხვა ჰუმანიტარულ დარგებში მომუშავე სპეციალისტებმა მიიღეს თანამედროვე მეცნიერულ დონეზე შესრულებული კრებული, რომელშიც 234 ლაკიდარული წარწერა სრული მეცნიერული აპარატითაა გამოქვეყნებული.

კრებულის შემდგენელი და გამომცემელი, ქართული ეპიგრაფიკის, პალეოგრაფიისა და დიპლომატიკის აღიარებული მკვლევარი, ნოდარ შოშიაშვილი თითქმის სამი ათეული წელია რუდუნებით მუშაობს ამ დარგებში და, მაშასადამე, ეს კრებული ავტორის სამი ათეული წლის მოღვაწეობის შედეგია.

„კორპუსის“ I ტომი მოიცავს მრავალტომეულის ყველაზე მნიშვნელოვანი მონაკვეთის – V-X სს-ის – წარწერებს აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოდან, რომელთაგან 30 ქვეყნდება პირველად, ხოლო შესწორებები შეტანილია თითქმის ყველა წარწერის წაკითხ-

* დაბეჭდილია ჟურნალში „Geoergica“, Helf 6, Jena – Tbilisi, 1983, გვ. 115-120 გერმანულ ენაზე. ეს იყო პირველი ინფორმაცია უცხოეთში აღნიშნულ გამოცემაზე.

ვაში; ზოგჯერ ერთი შეხედვით არაფრის მთქმელი გრაფემებისაგან აღდგენილია გაბმული ტექსტი. მაგალითად, I. ბოლნისის სიონი. V/V1 სს. უკვარცხლბეკო სტელა-ჯვარი. სამსტრიქონიანი ასომთავრული, რელიეფური წარწერა.

გ. ჩუბინაშვილის წაკითხვით: „ესე ჟუარი [თ]ააბა—ისნახ“ (დედნისეული შრიფტი; ფოტო).

ა. ბაქრაძის და ს. ბოლქვაძის წაკითხვით: „ესე ჟუა[რი] [...]ააბა [...] ისნახ“ (დედნისეული შრიფტი; მხედრ. ტრანსკრ.; ფოტო).

ბ. შოშიაშვილის წაკითხვით: „ესე ჟუა[რ] [იწ(მი)დ]აა ბო[ლნი-ს]ის ნახ[პეტისაა]“ (დედნისეული შრიფტი; მხედრული ტრანსკრიფცია; გრაფიკული მონახაზი, ფოტო).

II. ბოლნისის სიონი. უკვარცხლბეკო სტელა-ჯვარი. V/VI სს. წარწერის ფრაგმენტი. წარწერას აკლია ორსტრიქონიანი დასაწყისი.

გ. ჩუბინაშვილის წაკითხვით: „უგუდენ“ (დედნ შრიფტი; ფოტო).

ა. ბაქრაძისა და ს. ბოლქვაძის წაკითხვით: „[ო]გოდენ“ (დედნ. შრიფტი; მხედრ. ტრანსკრ.; ფოტო).

ბ. შოშიაშვილის წაკითხვით: „[იეს]უ გუ[ადი]დენ“ (დედნ. შრიფტი; მხედრ. ტრანსკრ.; გრაფიკული მონახაზი, ფოტო).

III. ქვაჯვარი. VII ს-ით დათარიღებული წარწერა. ფრაგმენტი. იგი შემორჩენილია სწორკუთხოვანი ქვის II და III გვერდებზე; მეორე გვერდის პირველი სტრიქონის 5 გრაფემა და მეორე სტრიქონის ბოლო გრაფემის ნაშთი, III გვერდის ორი სტრიქონი, თითოეულში 4 გრაფემით.

ა. ბაქრაძისა და ს. ბოლქვაძის წაკითხვით: „[ს]ჰ ვვ მერა აზგე“ (დედნ. შრიფტი; მხედრ. ტრანსკრ.; ფოტო).

ბ. შოშიაშვილის წაკითხვით: „[მეწეგნით]ა; [ლ(მრთისაა)თა]ქე, რა[შ]ა [ზ გ]ე—I— (დედნ. შრიფტი; მხედრ. ტრანსკრ.; გრაფიკული მონახაზი, ფოტო).

IV. ქვაჯვარი. VIII ს-ით დათარიღებული წარწერის ფრაგმენტი (სამი სტრიქონი), ამოღარული, ასომთავრულით შესრულებული.

ა. ბაქრაძისა და ს. ბოლქვაძის წაკითხვით: „ბე ზ[ე] და[.]“

ნ. შოშიაშვილის წაკითხვით: „ქ(რისტე) — — [შ(ეი)წყ]ალე და [შ(ე)ლნი] [მის]ნი ყ(ოვე)ლნი“ (დედნ. შრიფტ.; მხედრ. ტრანსკრ.; გრაფიკული მონახაზი, ფოტო).

V. ჭვაჭვარი, რომელზედაც ამოჭრილია რელიეფური, ორტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, V/VI სს. დათარიღებული.

ჯ. ამირანაშვილის წაკითხვით:

„მა...ზი(?) ზ...“

ქ(რისტე)“ (მხედრ. ტრანსლიტ.; ფოტო).

ნ. შოშიაშვილის წაკითხვით:

„მა[მ] [ას] [ახ] ლ[ისი] [ქ] (რისტ) [ე] შ(ეიწყალე)“

(დედნ. შრიფტი, მხედრ. ტრანსკრიფტ.; გრაფიკული მონახაზი, ფოტო).

VI. ჭვაჭვარი, რომელზედაც ამოკვეთილია სამსტრიქონიანი, რელიეფური, ასომთავრული წარწერა, დათარიღებული V/VI სს-ით.

ჯ. ამირანაშვილის წაკითხვით: „...ლირ(?)“

კილ(?) ქედშ(?)

შეიწყალე“

(მხედრ. ტრანსლიტ.; ფოტო)

ნ. შოშიაშვილის წაკითხვით: „[ს] (უ)ლი ე - - - ი ქ (რისტ) [ე] [შ] (ეიწყალე)“ (დედნ. შრიფტი; მხედრ. ტრანსკრიფტ.; გრაფიკული მონახაზი; ფოტო).

V-X სს. წარწერათა დიდი უმრავლესობა დაზიანებულია. ამგვარი ადგილების უდიდესი ნაწილი გამომცემელმა ახლებურად აღადგინა. მაგალითად, ზარზმის სამონასტრო ანსამბლში, სამრეკლოზე ჩრდილოეთის მხრიდან მიდგმულ ერთნავიან სამლოცველოს შესასვლელის თავზე ჩადგმულია დიდი, სწორკუთხა ფილა (გადმოტანილი სხვა, ადრინდელი ნაგებობიდან და გამოყენებული როგორც საშენი მასალა). ფილაზე ამოკვეთილია ჩარჩოშემოვლებული ჭვარი ზომით 65X40. ჭვის ორივე მხარეზე შემორჩენილია ამოღარული ათსტრიქონიანი წარწერა. მარჯვენა მხარის წარწერა გაგრძელებად მარცხენა მხარისა, იგი მისივე სიდიდის უნდა ყოფილიყო, მაგრამ მარჯვენა ფილის ნაწილი ჩამოუჭრიათ (მისგან მარჯვენა ზედა კუთხე

შემოგვრჩა მხოლოდ), რის გამოც მარჯვენა მხარეზე ამოკვეთილი წარწერიდან შემორჩენილია მხოლოდ თითოეული სტრიქონის დასაწყისი, რაც წარწერის დაახლოებით 1/3-ია; წარწერის დანარჩენი ნაწილები დაკარგულია. ნოდარ შოშიაშვილისეული სავარაუდოდ აღდგენილი ტექსტი ლოგიკურია და მწყობრი.

გამომცემლის მიერ პირველადაა წაკითხული დაბლუტის წყლის ხეობის ჯვრის კვარცხლბეკების ძნელად წასაკითხი წარწერები. პირველი წარწერა V/VI სს-აა, მეორე – VII საუკუნისა. ისინი 1968 წლის ზაფხულში იქნა ნაპოვნი აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ და ღღემდე არ ყოფილა სამეცნიერო მიმოქცევაში.

ნოდარ შოშიაშვილს არ ჰყავს წინამორბედი უდეს წარწერის წაკითხვაში. ესაა შავი ქვის, პრიზმული ფორმის ოთხკუთხა სვეტზე ამოღარული ხუთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. სვეტის წინა სიბრტყეზე გამოქანდაკებულია, რელიეფურად, ხელაპყრობილი ფიგურა, მდგარი სწორკუთხოვან კვარცხლბეკზე, ხოლო მის წინ - მუხლმოდრეკილი ბავშვი (იხ. ტაბ. 40). ამის პარალელურ წახნაგზე, რელიეფურად, ამოკვეთილია გაბრიელ მთავარანგელოზი, ხოლო მეორე წვეთ კვარცხლბეკზე – სერაფიმები, შემდგარი ასევე კვარცხლბეკებზე (იხ. ტაბ. 42). ძეგლი აღმოჩნდა სოფელ უდეში 1886 წელს. ის უნახავს მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების ექსპედიციას გრაფინა პ. უვაროვას ხელმძღვანელობით, დაღმული ყოფილა უდეს ღვთისმშობლის ეკლესიის დასავლეთის კართან. იგი ამჟამად საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციაშია. წარწერა X საუკუნისაა. მოგვაქვს უდეს წარწერის ტექსტი ნოდარ შოშიაშვილის წაკითხვით:

„[წ(მიდა)ო ღ(მრ)თ(ი)სმშ(ო)ბ(ე)[ლო] მ(არია)მ, დ(ე)დ(ა)ო ღ(მრ)თ(ი)ს(ა)ო, მ(ეო)ხ(ე)ყ(ავ) ს(უ)ლსა ფ(ა)რსმ(ა)ნის და ს(უ)ლსა მანანისა. ესეა გ(ა)ბრ(ი)ელ – ან ჭ(ელო)ზისგან მ(ა)მ(ა)ე“.

* კორპუსში მოთავსებულია 120 ტაბულა.

ასევე არა ჰყავს ნოდარ შოშიაშვილს წინამორბედი ოლთისის ეკლესიის წარწერის წაკითხვაში. ესაა 958/966 წწ. საამშენებლო წარწერა დავით მაგისტროსისა. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ინახება წითელი ფერის ქვის ბურჯი, ოთხყურა კვეთისა. ოთხივე სვეტი დახვეულია ლარით. სვეტების თავზეა კაპიტელი – ლილვი და სადა, ოთხწახნაგა სიბრტყე, რომელზედაც ამოღარულია ასომთავრული წარწერა: ერთ, უფრო გრძელ წახნაგზე ხუთი სტრიქონი, უფრო მცირე წახნაგის ზედაპირზე – ოთხი სტრიქონი, იმავე ხელით, რითაც დიდი წახნაგის ბოლო ორი სტრიქონი. წარწერის სტრიქონების უდიდესი რაოდენობა გაყოფილია შუაზე, დაცილებების მანძილი საკმაოდ დიდია, მიზეზი – აუხსნელი. IV სტრიქონი შესრულებულია მიჯრით, უფრო მცირე გრაფემებით, ვიდრე დანარჩენი სტრიქონები, V სტრიქონი ამოკვეთილია ლილვზე, რაც დიდ სირთულეს უქმნიდა წარწერის ამომკვეთს. ლილვზე შემოვლებული ღარი ერთმანეთს აცილებს გრაფემებს. ამ ღარის გამო V სტრიქონის ბოლო სიტყვა სამ ნაწილად არის გაყოფილი. დიდ წახნაგზე პირველი სტრიქონის გრაფემების დიდი ნაწილი დაზიანებულია. მათი აღდგენა ძნელად ხერხდება.

ნოდარ შოშიაშვილმა წაიკითხა და პირველმა გამართა ურთულესი წარწერა ოქრობაგეთიდან. ოქრობაგეთის ეკლესია საქართველოს ისტორიულ თემში – შავშეთშია, არდაგანიდან ტბეთისკენ მიმავალ გზაზე (დღეს თურქეთის საზღვრებშია). ოქრობაგეთის ეკლესიის შესასვლელი კარის მარჯვნივ, წყობაში ჩადგმული ყოფილა ჯვრის გამოსახულებიანი ქვა, ზომით 155X62 სმ, თერთმეტსტრიქონიანი წარწერით. მთელი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ტექსტის პირველი ექვსი სტრიქონი მოთავსებულია ფილის მარჯვენა ნაწილში, ხოლო დანარჩენი ხუთი სტრიქონი – მარცხენა ნაწილში, რაც სრულიად უჩვეულო მოვლენაა. დამწერლობა გარდამავალია ასომთავრულიდან ნუსხახუცურზე, ზოგჯერ მხედრულზეც. შერეულია მთავრული გრაფემებიც. განკვეთილობის ნიშნები ნახმარია მხოლოდ ერთხელ. სიტყვები ერთმანეთისაგან არაა დაცილებული.

6. მარის წაკითხვით: „ქრისტე. სახელითა ღმრთისაჲთა აღვაშენეთ წმიდა ეკლესია ჩუენ მამალაჲსჲ (sic) ძეთ ქორონიკონსა [რ მილ] მეუფემან შეუნდოსჲ კჳ ტსს (კაპიტონს?) უფალმან შეუნდოსჲ

ბაგრატსა და მამას. უფალმან შეუნდოს ამდერკისა ძმასა მაკარსა. მწერალი და მკითხავი (sic) ღმერთმან და მოწამეთ შეიწყალენ”.

ნ. შოშიაშვილის წაკითხვა:

„ქ. ს(ა)ხ(ე)ლითა ღ(მ)რთისადათჲ აღვ(ა)შ(ე)ნეთ წ(მ)იღა ეკ(ლე)-
ს(ი)ა ჩ(უ)ენ, მ(ა)მ(ა)ლ(ა)ჲსა ძ(ე)თ, ქ(რო)ნიკო(ნ)სა რმიღ, მ(ე)ფ-
(ო)ბ(ა)სა კ(ურ)აპ(ა)ლ(ა)ტ(ი)ს(ა)სა, უფლ(ე)ბ(ა)სა ბ(ა)გრ(ა)ტ(ი)სა,
მ(ა)მ(ა)ს(ა)ხლ(ი)ს(ა)ობ(ა)სა მარკ(ო)ზ(ი)სადა ძმ(ი)სა მაკ(ა)რ(ი)სა.
მწ(ე)რაღ(ი) და მკ(ი)თ<ნი>> ხვ(ელ)ი და მწ(ი)რველი ღ(მ)ერთმან
შ(ე)იწყ(ა)ლენ”.

ასევე არა ჰყავს ნოდარ შოშიაშვილს წინამორბედი ოლთისის ეკლესიის წარწერის წაკითხვაში.

გამომცემელმა სრულიად ახლებურად წაკითხა X ს-ის ეპიგრაფიკული აქტები („კლი“, „დაწერილი“) მეჯუდას ხეობიდან. I. ქვის ოთხკუთხედ, გათლილ ფილაზე ამოღარულია ეპიგრაფიკული საბუთი – „კლი“, ასომთავრული დამწერლობით შესრულებული, ახლავს გვიანდელი (X ს-ის II ნახევარი) მინაწერები (შესაძლოა, ხელრთვები, როგორც ვარაუდობს გამომცემელი) ნუსხური დამწერლობით და რამდენიმე ამონაკაწრი ასო. II. ქვის ოთხკუთხა ფილა, რომლის ზედაპირის თითქმის მთელ ფართობზე ამოღარულია 16 სტრიქონიანი ნუსხური წარწერა. ეს გახლავთ ეპიგრაფიკული საბუთი – „დაწერილი“. წინა გამოცემებში ეს უკანასკნელი დათარიღებული იყო XI საუკუნის I ნახევრით, ნოდარ შოშიაშვილმა დაათარიღა X საუკუნით. როგორც სხვა შემთხვევებში, ისე აქაც მკვლევარმა მოგვცა ახალი დათარიღების საფუძველი: 1) პალეოგრაფიული ნიშნები – ნუსხური დამწერლობის ჩამოუყალიბებელი მოხაზულობა; ჭერ კიდევ ნახევრად, ან მთლიანად მთავრული მოყვანილობით: O დ, Ⴀ რ, P ფ, Ⴀ ი და სხვ; ოთხხაზოვან ბადეზე არაა მთლად გადასული; 2) დიპლომატიკური ტერმინი „კლი“ (ჭედა ქრონოლოგიური ზღვარი); 3) სოციალურ-პოლიტიკური ტერმინი „პატრონი“.

გამომცემელმა სრულიად ახლებურად წაკითხა სოფ. ქვემო ფორთის (მდ. იმერხევის ხეობა. დღეს თურქეთის საზღვრებშია) სამონასტრო კომპლექსის ნაგებობებზე შემორჩენილი, X და მომდევნო საუკუნეების რამდენიმე ასომთავრული წარწერა, რომლებიც,

ერთის გამოკლებით, თავის დროს გამოსცა ნიკო მარმა. X ს-ის წარწერა ასომთავრულით ამოღარულია ქვის სწორკუთხოვან, ნაცრისფერ ფილაზე. ფილას ჩამოტეხილი აქვს ქვედა მარცხენა კუთხე, ჩამოთლილი აქვს მარჯვენა კიდე. წარწერა 8 სტრიქონიანია, აკლია: 1) 6-8 სტრიქონების დასაწყისი, 2) ყველა სტრიქონის ბოლო ნაწილი, რაც მთელი სტრიქონის თითქმის 1/3 შეადგენს.

ასევე, ახლებურადაა წაკითხული სამსარის წარწერა.

ახლებურად წაკითხული ტექსტების დეტალური განხილვა შორს წაგვიყვანს, ვიტყვით მხოლოდ ერთს: ახლებურადაა წაკითხული თითქმის ყველა წარწერა. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ნოდარ შოშიაშვილმა კორექტივი შეიტანა ბოლნისის ცნობილ სამშენებლო წარწერის წაკითხვაში; V ს-ის ამ ღირსშესანიშნავ ეპიგრაფიკულ ძეგლს მან დაუმატა ურბნისის, ნიქოზის, აკაურთას წარწერები და, ამრიგად, გაზარდა V ს-ის ეპიგრაფიკულ ძეგლთა რაოდენობა.

ნოდარ შოშიაშვილმა ქართული ეპიგრაფიკის არაერთი ძეგლი გადაათარილა. მაგალითად, სამშვილდის სიონის სამშენებლო წარწერა, VIII ს-ით დათარიღებული მისი პირველი გამომცემლის ლევან მუსხელიშვილის მიერ, პალეოგრაფიული მონაცემებითა და შინაარსობრივი ანალიზის საფუძველზე დაათარილა X ს-ით, რამაც ორი საუკუნით გადმოსწია სამშვილდის სიონის აშენების თარიღი.

გამომცემელმა გადაათარილა და ახლებურად გაიაზრა აბასთუმნის წარწერა. ნაცრისფერი ქვის სწორკუთხოვან ორ ფილაზე გამოქანდაკებულია ასომთავრული რელიეფური წარწერა — 6 და 5 სტრიქონიანი.

წარწერა მკვლევართა მიერ სხვადასხვაგვარად იყო დათარიღებული. მაგალითად, ექ. თაყაიშვილი წერდა „ძალიან ძველს“, ს. კაკაბაძე VII ან VIII ს-ის I ნახევრით ათარიღებდა, ა. ბაქრაძე, თ. ბარნაველი — VI ს-ით, ვ. სილოგავა — X ს-ით. პალეოგრაფიული ნიშნებითა და შინაარსობრივი მონაცემებით (ბიზანტიის იმპერატორ იუსტინეს ზეობით: 685-695; 705-711; ტიტულებით: ქართველთა ერისთავი; პატრიკოსი; მამფალი), წარწერა ნოდარ შოშიაშვილმა 685/711 წწ.-ით დაათარილა. აბასთუმნის წარწერის საფუძველზე

გამოთქმულია თვალსაზრისი „არ შუშა ქართლისა პიტიახშის“ გაერისმთავრების შესახებ და, რაც მთავარია, დადგენილია, რომ ტიტული „ერისთავი“ მიემართებოდა ეთნიკურ ერთეულს – „ქართველთა ერისთავი“ (ისევე როგორც „ქართველთა მეფე“) და არა ტერიტორიულ ერთეულს, როგორც ეს იყო გვიან („ქართლის ერისთავი“, „პერეთის ერისთავი“).

ავტორის მიერ ახლებურადაა ინტერპრეტირებული წყისეს წარწერა: დადგენილია, რომ VII ს-ის საქართველოში გავრცელებული ყოფილა მცხეთის ჯვრის კულტი.

გამომცემელი პირველი იყო, ვინც სწორად წაიკითხა სოფელ ზემო ნიქოზის ღვთაების ტაძრის წარწერა: „†წ(მიდა)ო ს(ა)მ(ება)ო, ზ(აქ)ა(რ)ი(ა) პ(ი)რ(ვე)ლ(ე)პ(ის)კოპ(ოს)ი შ(ე)იწყალე“. ზემო ნიქოზის ღვთაების ტაძარი, საეპისკოპოსო კათედრალი, აიგო ვახტანგ გორგასლის დროს, V საუკუნეში. ვახტანგმაც დააარსა ნიქოზის საეპისკოპოსო. ზემო ნიქოზის წარწერა ნოდარ შოშიაშვილმა V ს-ით დაათარიღა, რის საფუძვლადაც მიიჩნია: 1) პალეოგრაფიული ნიშნები (ჟ „შ“ გრაფემის ზედა რკალი შეკრულია, ქვედა – ოდნავ გახსნილი; ჩ „წ“ გრაფემას შეკრული აქვს ორივე რკალი); 2) ტაძრის აგების თარიღი; 3) არქაული ფორმა „პირველეპისკოპოსი“.

ანდა ავიღოთ ქართული ეპიგრაფიკის ისეთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი, როგორიცაა მცხეთის ჯვრის ტაძრის გვიანდელ კანკელში, მარცხენა კუთხეში ჩაშენებული სტელა-ჯვრის კვარცხლბეკი, რომლის დამუშავებულ წახანაგზე ამოღარულია 11 სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. კვარცხლბეკის წარწერა მისი აღმოჩენიდან (1938 წ.) დღემდე თერთმეტჯერ გამოიცა: დედნისეული შრიფტით, მხედრული ტრანსკრიფციით; გრაფიკული მონახაზით, ფოტოთი; მხედრული ტრანსლიტერაციით, მხედრული ტრანსლიტერაციითა და ტრანსკრიფციით ერთდროულად, ქართული დედნისა და სომხური თარგმანის ლათინური ტრანსლიტერაციით სომხურ, რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ თარგმანებში. ამ წარწერის საფუძველზე გაკეთდა უმნიშვნელოვანესი დასკვნები, როგორიცაა „ყოველი ქართლის ერთიანობა“ VI საუკუნის დამლევს (ზ. ალექსიძის

თვალსაზრისი). ნ. შოშიაშვილმა წარწერის ეს ადგილი შემდეგნაირად წაიკითხა: „...სულ[თა] და კორც[თა] მათთა მეო[ხად] და ყ(ოვ)ლისა მ(ო)მ(ა)გ(ი)ლისა მცველად“ ნაცვლად: „ყ(ოვ)ლისა სახლისა“, როგორც კითხულობდა იმ მკვლევართა ჯგუფი, რომლებიც ემყარებოდნენ გ. ჩუბინაშვილის გამოცემას, ეს გამოცემა კი იმეორებს შემორჩენილი სტრიქონების წაკითხვაში ა. კალანდაძის წაკითხვასა და აღდგენას.

აღნიშნული წარწერის თარიღიც განსხვავებული იყო: ჯვრის ეკლესიის წინამორბედი ხანა, ე.თ. VI ს-ის II ნახევარი – 590 წ-ზე ადრე (გ. ჩუბინაშვილი), VII ს-ის დამდეგი (ბაქრაძე, აბულაძე), VI/VII სს-ის მიჯნა (ალექსიძე, ლორთქიფანიძე), VII ს-ის 30 წლები (I. Mollitor, A. B. Еремьян). ნოდარ შოშიაშვილმა წარწერა 595/605 წწ. დაათარიღა. წარმოდგენილი დათარიღების საფუძველია: 1) სტეფანოს I-ის ერისმთავრობის წლები: ა) ჭკედა ქრონოლოგიური ზღვარი – 595 წელი – დგინდება ქართულ-სასაზღვრო მონეტებით, რომლებიც 595-600 წლიდან სტეფანოს I-ის სახელითაა მოჭრილი, მანამდე კი 589/590 წლიდან გურგენ ერისმთავრის მონეტები გვაქვს; 2) სტეფანოსის ერისმთავრობის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი, რომელიც დგინდება ადარნასეს მოხსენებით ვრთანესის წერილში 603/605 წწ., ადარნასეს ერისმთავრობა კი სტეფანოს I-ის ერისმთავრობას მოსდევს.

„კორპუსის“ I ტომში წარწერების ტექსტები ჭკეყნდება როგორც დედნისეული შრიფტით – ასომთავრულით ან ნუსხახუცურით, ისე მხედრული ტრანსკრიფციით. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში მოცემულია კითხვა – სვავობები წინა გამოცემებთან და ტექსტოლოგიური ხასიათის შენიშვნები. ყოველ წარწერას ახლავს თარიღი, სათაური, არქეოგრაფიული აღწერილობა, სადაც აღნიშნულია სად, როდის და ვის მიერ არის აღმოჩენილი წარწერა, სად ინახება იგი დღეს; თუ წარწერა ეკლესიისაა, მითითებულია ზუსტი ადგილი ძეგლზე; აღნიშნულია შემორჩენილი გრაფემების სიმალლე; თუ წარწერა ფილაზეა, მოცემულია ფილის ზუსტი ზომები, თუ ძეგლზეა, მოცემულია ფართობი; აღნიშნულია სტრიქონების რაოდენობა, აღწერილია ქარაგმები და განკვეთილობის ნიშნები,

მინიშნებულია დაზიანებული ადგილები, მოცემულია წარწერის თავგადასავალი აღმოჩენიდან დაცვის ადგილამდე, წინამორბედ მკვლევართა დათარიღება, ახალი დათარიღების საფუძველი, გამოცემის სრული ბიბლიოგრაფია; ყოველ წარწერას ახლავს გრაფიკული მონახაზი და ფოტოპირი.

წარწერების ახლებული ინტერპრეტაციისა და გადათარიღების საფუძველზე ნოდარ შოშიაშვილი ახლებურად აყენებს და ხშირად წყვეტს კიდევ V-X სს-ის საქართველოს პოლიტიკური და კულტურის ისტორიის მრავალ საკითხს.

სანიმუშოდ მოვიტანთ ატენის სიონს. ეს ტაძარი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების ნამდვილი კრებულია. ამ წარწერებმა დიდხანია მიიპყრო მკვლევართა ყურადღება. ლაპიდარული და ფრესკული წარწერები ატენიდან გამოცემულია როგორც ცალკეულად, ისე კრებულის სახით დეჟუბუა დე მონპერეს, მ. ბროსეს, გრაფინაჰ პ. უვაროვას, ივ. ჭავჭავიშვილის, ს. ბარნაველის, გ. ჩუბინაშვილის, თ. ბარნაველის, ა. ბაქრაძის მიერ, ხოლო საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ექსპედიციამ ტაძრის კედლებზე გამოაგლინა არაერთი აქამდე უცნობი წარწერა. რამდენიმე წერილი და საგანგებო წიგნი ატენის სიონის წარწერებს უძღვნა ექსპედიციის ხელმძღვანელმა გ. აბრამიშვილმა. მან ნათელჰყო, რომ არც ქტიტორთა რელიეფები და არც ერთ-ერთ რელიეფზე ამოკვეთილი წარწერა („ნერსე სტეფანოზი“) არაა VII საუკუნის. მკვლევარმა ყველა ისინი X ს-ით დაათარიღა და დაასკვნა, რომ ფასადებზე გამოქანდაკებული ქტიტორები, ისევე როგორც ხუროთმოძღვარი თოდოსაკი, ტაძრის განმასახლებლები არიან და არა თავდაპირველი აღმშენებლები (Г. Абрамишвили. „Два стронительных периода Атенского Сиона“. „მაცნე“, ისტორიის სერია, I, 1972). მაშასადამე, გ. აბრამიშვილი ძალაში ტოვებს ჯერ კიდევ დიმიტრი ბაქრაძის მიერ გამოთქმულსა და შემდეგში გიორგი ჩუბინაშვილის მიერ შემადგრებულ თვალსაზრისს, რომლის მიხედვით ატენის სიონის აგება VII საუკუნეში მომხდარა, მცხეთის ჯვრის მიბაძვით.

გ. ჩუბინაშვილმა ტაძარზე შემორჩენილი წარწერების საფუძველზე დაასკვნა, რომ ხუროთმოძღვარი იყო თოდოსაკი, ხოლო მისი თანაშემწე — გრიგოლ დაპსი. გ. აბრამიშვილმა თოდოსაკიცა და ფა-

სადებზე გამოქანდაკებული ქტიტორებიც ტაძრის განმაახლებლებად მიიჩნია, თან დასძინა, რომ VII საუკუნისა ტაძარზე ძალიან ცოტა რამ შემორჩა.

ნ. შოშიაშვილის თვალსაზრისით, სრულიად აშკარაა, რომ ერთ-ერთი ქტიტორის ქანდაკების ქუსლებზე ამოკვეთილი წარწერა – „ნერსე სტეფანოზი“ არ არის VII ს-ის. პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვითა და თვით ფორმით („სტეფანოზი“ და არა „სტეფანოსი“) იგი IX საუკუნეზე ადრინდელი არ შეიძლება იყოს; IX ს. მიმდინარე მშენებლობაზე მიუთითებს ტაძრის სხვა – თარიღიანი წარწერები, მაგალითად, ინტერიერში ჩრდილო-აღმოსავლეთის კამარის წინ, ნახევრად წრიული ნიშნის ჩრდილოეთის ფრთაზე, ბათქაშზე ამოკაწრული სამსტრიქონიანი წარწერა, ნუსხურით შესრულებული 835 წელს. IX ს-ის ჩანს წარწერა ტაძრის აღმოსავლეთის ფასადის შვერილზე, ისევ და ისევ ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებული, მსგავსად ხელოსნის 835 წლის წარწერისა. 945 წელს ტაძრისათვის შემოუვლიათ ზღუდე, რასაც გვამცნობს მისი სამი წარწერა (თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, 1967, გვ. 36-37). როგორც ილია აბულაძემ და ზაზა ალექსიძემ პალეოგრაფიული ნიშნებითა და ენობრივი მონაცემების მოხმობით ნათელჰყვეს, არც თოდოსაკის სომხური საამშენებლო წარწერაა VII საუკუნის.

როგორც ვხედავთ, ატენის სიონის ყველა წარწერა, ქართულიცა და სომხურიც, მიანიშნებს მშენებლობაზე და IX-X სს-ით თარიღდება.

გიორგი ჩუბინაშვილის, დიდი ხელოვნებათმცოდნის, თვალმა კარგად შენიშნა, რომ ატენის წარწერებიცა და სკულპტურებიც ტაძრის თავდაპირველი აღმშენებლებისაა (ქტიტორების, ხუროთმოძღვრის და ხელოსნების) და არა განმაახლებლების. მაშ რაღა რჩება VII ს-ისა ატენის სიონში? ერთადერთი ის, რომ ატენის სიონი მცხეთის ჯვრის მინაბაძია, და ისიც სრულიად უხეირო მინაბაძი.

ნ. შოშიაშვილის აზრით, არ არის აუცილებელი ჯვრის ტაძრის მინაბაძი უეჭველად ორიგინალს უშუალოდ მოსდევდეს. ეს შეეძლოთ გაეკეთებინათ მომდევნო საუკუნეებშიც. ქტიტორის რელიეფის წაღების ქუსლებზე ამოკვეთილი ორი სახელი – „ნერსე“ და

„სტეფანოზი“ ეკუთვნის ამ ქტიტორს, ეს მისი ორმაგი სახელია — „ნერსე-სტეფანოზ“ (მღრ. ქობულ-სტეფანოს, ვარაზ-ბაკურ, ვარაზ-ვაჩე და სხვ.). მაშასადამე, ეპიგრაფიკული მასალის მიხედვით, ატენის სიონი IX ს-ში ჩანს აგებული. IX-X სს-ებში თვით ქვეყანაშიც ხომ შექმნილი იყო ხელსაყრელი პირობები დიდი საკულტო ტაძრების ასაგებად. და ეგებ, მცხეთის ჯვრის მინაბაძი ძეგლების მშენებლობა მართლაც მაშინ დაიწყო და არა VII ს-ში?!

ანალოგიური ვითარება გვაქვს წრომის ტაძართან დაკავშირებით, რომლის აგებას გ. ჩუბინაშვილი მასზე ამოკვეთილი წარწერების საფუძველზე ერისმთავრის (სტეფანოზ II-ის) სახელს უკავშირებს. მაგრამ ნ. შოშიაშვილმა პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით სრულიად აშკარად იგი IX ს-ით დაათარილა და მასში მოხსენიებული „სტეფანოზი“ არც უპატოსად მიიჩნია და არც ერისმთავრად, არამედ სახელის პირველ ნაწილად, „გ(ა)ბა“ — მეორე ნაწილად; „სტეფანოზი“ და „გ(ა)ბა“, შესაძლოა, ერთი პირის ორმაგი სახელი იყოს, ხოლო ეს პირი — ტაძრის ქტიტორი ანდა ხუროთმოძღვარი, ხელოსანი, შემწირველი თუ მლოცველი. თუ იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ VII-IX სს-ის ქართლში ეკლესიების მშენებლებად და ჯვრის აღმმართველებად ხშირად გვევლინებიან მამასახლისები (არმაზი, ატენი, არადეთი, ხატისოფელი), მაშინ წრომის ტაძრის აღმშენებლად შეიძლება მართლაც მივიჩნიოთ წრომის ეკლესიაში აღმოჩენილი IX-ის სტელა-ჯვრის აღმმართველი გრიგოლ მამასახლისი, რამდენადაც, ნ. შოშიაშვილის თვალსაზრისით, სტელა-ჯვრისა და ტაძრის კედლის წარწერა სინქრონულია. ამავე რიგშია განხილული მარტვილისა და სამწევრისის ტაძრები.

ზოგადად რომ დავასკვნათ, ნ. შოშიაშვილის მიერ მომზადებული და გამოცემული „კორპუსის“ I ტომი მოაზროვნე კაცის დაწერილია, მისი დებულებები არგუმენტირებულია და მყარადაც, ხოლო პიპოთეზები — იმპულსის მიმცემი მომავალ მკვლევართათვის.

ნათელა ვაჩნაძე

ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილი

დამსახურების აღიარება არასოდეს არის უნიადაგო ან ზედმეტი. მოღვაწე ყოველთვის იმსახურებს პატივისცემასა და მოკრძალებას.

ჩვენ ვალდებული ვართ, პატივი მივაგოთ ნიჭიერებას, ღვაწლს, სიკეთეს, ღირსებას.

მოამაგე კაცი საზოგადოებისათვის ისეთივე სათუთი, სანდო და საყვარელი უნდა იყოს, როგორც მორწმუნესათვის ხატი.

ასეთი შეგნება შთაგვაგონებს, რამდენიმე მართალი სიტყვა ვთქვათ ადამიანზე, რომელმაც აგერ ახლახან დაამთავრა დიდი შინაარსით საესე ამქვეყნად ყოფნა.

ჩვენი მოგონება იმასაც გულისხმობს, უცხო მკითხველმა გაიგოს, რის გამო იმსახურებს ბატონი ნოდარი სიყვარულს, მოკრძალებას, პატივისცემას, დაფასებას.

პროფესორი ნოდარ შოშიაშვილი შესანიშნავად ფლობდა ქართულ საისტორიო წყაროთა საიდუმლოებას. მას ჰქონდა უფლება შორეულ წინაპარ მეისტორიესათვის ეთქვა: „შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული, ღამე თენდება ეგრეთ ჩემი და დღე ღამდება“.

კაცი, ვისთვისაც მეცნიერება, უპირველეს ყოვლისა, იყო დაფარულის ხილვა და არა უკვე ხილულისათვის მხარის დაჭერა, ან, პირიქით, თავის კონფესიად აღიარებდა ცოდნის ყოვლისშემძლე ძლევა მოსილებას. ნოდარი ფლობდა მკვლევრის ყველა თვისებას (ერთი კორექტივით: იყო იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეცნიერი ალტრუისტი, ხშირად თავის ღროს სხვას სწირავდა). არასოდეს ლაპარაკობდა საკუთარ უფლებებზე, არ ითხოვდა არავითარ პრივილეგიას, კამათისას ყოველთვის გრძნობდა გამოსვლის საჭიროებას

* გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 4 თებერვალი, 1999.

და დროს. მუდამ თანასწორუფლებიანი დიალოგის მომხრე იყო, ამბობდა მხოლოდ საჭიროს და აუცილებელს. იშვიათად მიმართავდა მონოლოგს. არასოდეს ჩიოდა საკუთარი ცხოვრების გამო.

მას ყველა მიემართავდით სახელით – ნუკრი. იქნებ უხერხულიც იყოს, სამოცდაათს გადაცილებულ კაცს ნუკრი დაუძახო, მაგრამ მისი, წმინდანს მიმსგავსებული, გარეგნობა, ბავშვური უპრეტენზიოების, უშურველობის და უშუალობის სიმშვენიერე სრულიად იფერებდა ასეთ სახელს.

ნუკრის ცხოვრება მის შესახებ ყველაფრის ხმამაღლა თქმის უფლებას იძლევა.

რა დიდი სულიერი თავისუფლებაა, როცა კაცის ცხოვრების წარმოჩენისას არაფრის გამოგონება არ გვჭირდება და ავის თქმასაც ყველას უკრძალავს მხოლოდ პიროვნების ღირსება და არა მიცვალებულისადმი სავალდებულო პატივისცემა.

ბევრს ყვებიან ნუკრის თავისებურების შესახებ. ეპიზოდების ნაწილი, ალბათ, უტირირებულია, მაგრამ, მათ წარმოშობას აუცილებლად აქვს რალაც საფუძველი. ერთხელ, თურმე, ნუკრი, რომელსაც ლექცია უნდა წაეკითხა ისტორიის ფაკულტეტზე, შემოწმებისას ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტებთან აღმოუჩენიათ, სადაც გატაცებით კითხულობდა თემას. სტუდენტები დიდი გული-სყურით უსმენდნენ, „კანონიერი“ ლექტორი კარს უკან იღვა და ვერ მოეხერხებინა საქმის არსში გარკვევა.

ჩანს, მნიშვნელოვანზე ფიქრისას, ნუკრის „წვრილმანები“ ავიწყდებოდა.

მისთვის მთავარი იყო სრულყოფილად წაეკითხა ლექცია, ვისთან? ეს ნაკლებად აინტერესებდა. იქნებ ფიზიკის ფაკულტეტზე ლექციის წაკითხვა თავისებური პროტესტი იყო (საბჭოთა იმპერიის დროს თბილისის უნივერსიტეტში ძალზე შეზღუდულად იკითხებოდა მშობლიური ისტორია). ამბობენ, ამ პატარა კურიოზმა დაბადა „გაბედული“ იდეა, ფიზიკის ფაკულტეტზეც წაეკითხათ საქართველოს ისტორიის კურსი.

ქართული ისტორიოგრაფია ნოდარ შოშიაშვილს აუცილებლად მიუჩინს ადგილს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მას

ეკუთვნის, ჩვენ კი ახლავე შეგვიძლია, საქვეყნოდ ვთქვათ: იგი გამოჩენილი სწავლული და მშობლიური ისტორიის დიდი მოამბე იყო, რომელიც თავისი გონივრული შემოქმედებით საჩინოდ განამტკიცებდა აზრს – „ისტორია ერის უწმინდესი წიგნია.“ დარწმუნებით შეიძლება განვაცხადოთ, რომ ნოდარს, როგორც მეცნიერს, ოცნება აუხდა, მისი ნაღვაწი ნიადაგ საქირო იქნება ყველასათვის, ვინც ოდესმე დაინტერესდება საქართველოს ძველი ისტორიის შესწავლით.

ძალზე მოკლედ ასეთი არის ჩვენი აზრი ნოდარ შოშიაშვილის პიროვნების თაობაზე.

იქნებ მას, როგორც მოკვდავს, ჰქონდა რაღაც ადამიანური ნაკლიც, მაგრამ „ღირსეული ის კი არ არის, ვისაც ნაკლი არ გააჩნია, არამედ ის, ვინც ღირსებით გამორჩეულია.“

ჩვენ ქუდს ვიხდით პროფესორ ნოდარ შოშიაშვილის ღირსების წინაშე.

*მარიამ ლორთქიფანიძე
როინ მეტრეველი
გიორგი ნადირაძე*

SUMMARIES

ZAZA ALEXIDZÉ

LE PLUS ANCIEN RENSEIGNEMENT À PROPOS DE LA LIGNÉE DES BAGRATIDES

1. "Les Actes de Jean de Zédazéni" -l'oeuvre qui se retrouve dans le recueil découvert à Sinai(N/Sin-50)-contient les insertions qui n'ont aucun rapport avec le texte. Ces insertions datent généralement des VIII-X ss. En ce qui concerne concrètement le renseignement dont parle l'exposé, il ne peut être daté que d'une époque précédente de la fin du IX siècle.

2. L'insertion fait mention de l'éristave – chef princier de Kartli Guaram le Curopalate et de sa postérité. Les sources du renseignement sont sans doute les épitaphes des sépulcres et les chroniques familiales.

3. Se basant sur le renseignement récemment découvert l'auteur en tire les conclusions suivantes:

a) les chefs princiers de Kartli à la limite des VI-VII ss. Guaram, Stéphanose et Adarnersé (Adarnasé) sont l'un pour l'autre le père, le fils et le petit fils.

b) la lignée des Bagratides et les chefs de Kartli s'apparentèrent dans la première moitié du VII s. quand la petite fille du prince Guaram (soeur du prince Adarnersé) Latavri se maria avec le représentant de la lignée des Bagratides. Depuis cette alliance le rang de curopalate et celui du chef épincier de Kartli de temps en temps passent aux Bagratides.

c) les Bagratides sont à Kartli déjà au début du VII siècle (si seulement ils sont venus en effet de quelque part) et ils ne peuvent avoir un lien génétique direct avec les princes arméniens - Achote l' Aveugle et Vassac.

d) la sépulture des chefs princiers de Kartli et de leurs parents par alliance - les Bagratides a été l'église de la Croix de Mtskhéta, Mariamtsmida (l'église de la Sainte Vierge).

ANRI BOGVERADZE

TOWARDS THE ANALYSIS OF THE CHARTER OF 1195 /1196 OF QUEEN TAMAR TO MGHVIME

The charter of Queen Tamar refers to the fact of donation of the royal peasants, named Kosaisdze, settled on one farmstead in two families, to the Shiomghvime monastery by Anton Dchqondideli Mtsignobartukhutsesi. The analysis of the document led the author to the following conclusions: 1 Kosaisdzes were not from Abkhazia. They were royal peasants, i.e., they were considered the property of "Kings of the Abkhazians" (Kings of united Georgia) and that is why they were known as "Abkhazians". 2. Anton Dchqondideli turned the Kosaisdzes who had "one farmstead and two families" into full-farmstead peasants. 3. A farmstead at this time and place was approximately a plot of land to be ploughed and sown for 12 days and a vineyard to be tended during one day's work. 4. A peasant family (*kvamli* - "smoke") with an entire farmstead was still called a house.

MARIAM LORTKIPANIDZE

THE FORMATION OF THE GEORGIAN FEUDAL CENTRALISED MONARCHY (AN ATTEMPT OF COMPARISON)

The process of unification of feudal countries and formation of single centralised medieval monarchies, on the European scale, was largely characterized by common developments. However, in every country this process had its own features, which was determined by the concrete historical situation.

In European countries, e.g., in France or England, this process developed at the stage of flourishing feudal relations and ended at the stage of break-up of feudalism; royal power, strengthened on the basis of the support from broad strata of townsfolk and common citizens, attained consolidation of centralised authority.

The unification of Russian countries occurred at the ascending stage of feudalism, but, unlike other countries of Western Europe, a single

Russian state was formed at the same stage (by the 15th century), largely necessitated by the struggle against the invaders (Mongols).

The historical process of formation of a single Georgian medieval state, "Georgia", along with considerable similarity manifests a number of peculiarities.

The tendency of uniting Georgian countries into a single state was evident from the earliest period of Georgian history.

The internal decentralizing forces and the attempts of the invaders towards disintegration of the country hampered unity, the single country broke up and then reunited again. . .

One of the peculiarities of the unification of feudal Georgia and formation of a centralized monarchy was that, whereas - like in West-European countries - the initial stage of the struggle for unification in Georgia coincided with the stage of the ascending development of feudal relations, the subsequent centralization and formation of a single monarchy was accelerated under conditions of struggle against invaders. As a result, unlike West-European countries, cities did not constitute the power on which royal authority rested.

In contrast to the countries of Western and Eastern Europe, where unification was led by a single centre (Paris, London, Moscow. . .) around which the unification of the country took place, in Georgia under conditions of the existence of a strong authority of Arab invaders, the unification process started in the peripheries, the fight was carried on for the central region, i.e., Inner Kartli and the "King's" authority on the scale of the entire country was created by seizing this region.

Three principal stages are identifiable in the process of unification of the Georgian countries into a single state : first - in conditions of comparative weakening of the countries disintegrated owing to these invaders, into new states: the single West-Georgian state - Kingdom of the "Abkhazians", South-Georgian state- Kingdom of the "Georgians", the Kingdoms of Kakheti and Hereti were formed (end of the 8th century, early 9th century).

The second stage is their unification into a single state (the 970s, the first decade of the 11th century) under the crown of a single King, Bagrat III (975-1014) and formation of united "Georgia". The third stage is fight for incorporation of the Georgian countries left outside of the boundaries

of this "Georgia", which was completed under King David the Builder (1089-1125).

Economic factors also played a definite role in the unification process of Georgian countries into a single state, but the process was accelerated by the need of joint struggle against foreign enemies (Byzantium, the Caliphate), which determined the active role of the main strata of the society in the struggle for unification (similarly to Russia).

The Georgian church played a major role in the unification of the Georgian countries. Before uniting politically, Georgia was ecclesiastically united under the Mtskheta see.

As in European countries, the existence of national self-consciousness, the Georgian language as a language of literature, state administration and of divine service, the existence of single Georgian culture, strong national consciousness were of special significance.

DAVID NINIDZE

TOWARDS THE RELATIONSHIP OF THE EUROPEAN "CRISIS OF FEUDALISM" AND THE THEORY OF "DEADLOCK"

As a result of the developments of the 11th-14th centuries Europe moved towards the so-called "crisis of feudalism". It accelerated the process of the break-up of feudal structures and facilitated social progress. On the way of break-up of old relations and formation of new ones the "crisis of feudalism" led to the appearance of the "Renaissance" and the "New Era" - it heralded the downfall of feudalism and paved the way to capitalism for the West. The Kingdom of Queen Tamar of the turn of the 12th-13th centuries was prepared with its political and social-economic situation for the processes that gradually developed in Western Europe from the 13th century. However, serfdom prolonged its existence in Georgia, taking an ugly form instead of becoming abolished. The development of the country entered a "deadlock" and this kind of society does not create anything new, and there was no sight of a new era. In its content the "deadlock" of Georgia in the 14th-15th centuries was opposed to the "crisis of feudalism" of Western Europe in the same period, hence

Georgia deviated from the path of development taken by the West. A way out of the "deadlock" lay only in a long period of peace, an opportunity which was not given to the country: the Georgian Kingdom fell apart, a new one failed to emerge and accordingly, capitalism failed to develop.

GIVI JAMBURIA

IMMUNITY IN GEORGIA (6TH-13TH CENTURIES)

The Georgian correspondence of the Latin immunity is "freedom". The document that conferred the privilege of immunity was called "order of freedom".

In the 11th century, along with the terms "freedom" and "freeing" the term "inviolability" also occurs with the same meaning. In the Typicon of the 11th century Petritsoni Monastery of Georgians "aznaureba" is also used as a synonym for "freedom" and "inviolability". In the 12th century in parallel with "inviolability" the Perisan word "azadi" came into use. From the time of Mongol sway the word "tarkhnoba" was used as a synonym of immunity. "Freedom" and "inviolability" were largely used even in the late Middle Ages as the Georgian correspondence of the word "immunity", notwithstanding the terminological diversity.

Immunity in Georgia appeared in the early feudal period. The first report on monastic immunity is preserved in a piece of evidence referring to the second part of the 6th century. Immunity became current in the 8th-10th centuries and was further developed in the 11th-12th centuries. In Georgia, like in Western Europe, church immunity was more widespread. Unlike Western Europe, in Georgia individual churches had immunity (from the 12th century). Frequently the immunity of churches and monasteries was violated by secular feudal lords and king's officials (but subsequently renewed).

Big feudal lords enjoyed the same immunity (sometimes even to a greater extent) as churches and monasteries. Georgian immunity implied taxation, administrative and judicial privileges. Immunity, with a few exceptions, was never absolute and complete. Some obligations still remained with the person enjoying immunity. Usually, judicial immunity, too, included only civil and petty criminal cases. No feudal lord was

exempted from military duties. Taxation immunity was also frequent (mostly in churches and monasteries).

GIULI ALASANIA

FROM THE PAST OF RELATIONS BETWEEN GEORGIANS AND THE DANISHMENDIDS

The author comments on the evidence of the Georgian source from the 12th century concerning the Danishmendids, sharing the opinion of those scholars who consider the name of a founder of the Danishmendid dynasty Ahmed, dating his activities in Cappadocia back to the 60s-70s (and on) of the 11th century.

MERAB TIKADZE

STRUGGLE OF GEORGIAN MAMELUKES FOR SYRIA IN THE SECOND PART OF THE 18TH CENTURY (ALI BEY AL-KABIR AND OSMAN PASHA AL-KURJI)

In the second part of the 18th century Syria turned into an arena of fight and confrontation between two mamelukes of Georgian origin - Ali Bey al-Kabir and Osman Pasha al-Kurji. In November, 1770 an army of Sheikh al-Ballad of Egypt - Ali Bey - invaded Syria to oust the Wali (ruler) of Damascus Osman Pasha and join the country to Egypt. After a temporary success in June 1771 Egyptians under the leadership of Ali Bey's former mameluke Muhammad Bey Abu-l-Zahab, and with the help of the sheikh of Palestinian Bedouins Zahir al-Umar, captured Damascus, but after ten days (18th June, 1771) unexpectedly left the city and returned to Egypt. Ali Bey's attempt to restore the sultanate ended in failure.

After the departure of the Egyptians Osman Pasha al-Kurji's Ottoman rule was restored, but the defeat suffered by Osman Pasha in a clash with the Palestinian insurgent sheikh Zahir al-Umar's detachment led to his transfer to the post of Wali of Konya. After Osman Pasha al-

Kurji, the high post of Wali of Damascus was held by his sons Muhammad Pasha and Dervish Pasha (1783, 1783-1785 years). As to Ali Bey, in Egypt he was opposed by Abu-l-Zahab, in a battle with him in 1773 April 28 Ali Bey was defeated, and gravely wounded, he died on the 8th of May.

KARLO KUTSIA

"BAGDAD" IN GEORGIAN SOURCES

In medieval Georgian historical and hagiographic writings the place name *Bagdadi* is given in different meanings.

In historical works of Leonti Mroveli, Juansher and Sumbat Davitisdze *Baghdadi* clearly coincides with the capital of the Sassanid Empire (224-651) Ctesiphon and is used to designate it. However, this place name is also applied in its direct and immediate meaning. The capital of the Abbasid Caliphate that was founded by Caliph Abu Ja'far al-Mansur in 762 on the left bank of the river Tigris bears the same name.

The meaning of "Bagdad" as a centre of small political units is also attested in sources. It acquired such a status after the disintegration of the Caliphate (1258). Finally, it should be noted that in Georgian sources *Baghdadi* is often under the shadow of Old Babylon and sometimes these two cities of different ages are identified with each other.

DAREDSCHAN MEGRELADSE

ERKLÄRUNGEN ÜBER EINEN ABSCHNITT AUS DEM TESTAMENTTEXT VON DAVID DEM ERBAUER, DAS ER DEM SCHIO-MGVIME-KLOSTER ÜBERGEBEN HAT

Das dem Schio-Mgvime-Kloster übergebene Testament, das mit 1123-24 datiert ist, wurde 1895 erstmalig veröffentlicht. In den bisherigen Ausgaben von diesem Testament gibt es einzelne Versuche, den Text festzustellen, aber der Text ist in dieser Hinsicht noch nicht speziell erforscht worden.

Der Text ist nicht ganz korrekt und darüber steht es selbst im Testamenttext. Die Ursache soll darin liegen, daß er zu schnell angefertigt wurde. Vor dem Schreiben des Testaments bereitete sich der König David der Erbauer auf den Zug nach Schirvani, um gegen die Türken (Seldschuken) zu kämpfen und deshalb beeilte er sich. Im Testament findet man deswegen einige Stellen, die nicht deutlich, mangelhaft oder schwer zu verstehen sind.

Wir haben versucht so eine Stelle aus dem Text zu erläutern. Die Stelle betrifft die Auseinandersetzung mit den Feodalherren: Brüder Modistos und Dsagan Abuletidse. Sie besaßen große Güter, teils gerecht teils durch die Gewalt angeeignet. Der König versuchte ihnen die Güter wegzunehmen - anfangs durch die friedliche Weise, später, als er dadurch nichts erreicht hatte, durch die Gewalt.

Der vorliegende Beitrag ist ein Versuch den fehlerhaften Text zu korrigieren. Nach der Verbesserung des Testaments ist herausgestellt worden, daß die früher in der Fachliteratur verbreitete Meinung, daß „Matur“ ein Toponym, nämlich der Name eines Dorfes sei, falsch ist und es der Grabstein von Johannes von Sedaseni ist. „Ziche Marnisa“ aber, der früher erläutert war als ein Objekt die Festung der Grabstätte (des Weinkellers) wurde durch die Punktuation verbessert und erläutert als zwei Objekte, die im Besitz des Sedaseni-Klosters waren: Ziche - („Festung“) und Marani - („Grabstätte“).

TSISANA ABULADZE

THE CHARTER OF SELIM I YAVUZ TO MOUNT SINAI

Together with Muhammad's hypothetical Book of Condition, the charter issued by Selim I Yavuz determined the fate of the monastery complex of Mount Sinai. According to the charter, Mount Sinai was guaranteed ardent support of the sultan and his high court, it was protected from foreigners' encroachment; in an empire based on Sharia' laws Christian rituals were performed; it owned lands end meloks on three continents; received donations from different countries by land and sea; was exempted from levy, *jizya* and *kharaj* as well as from state

control; engaged in monastery economy; was independent in accepting heritage and distributing it.

As a rule, every Sultan resolved the complaints of priests and monks in their favour, confirmed and strengthened the distinguished privileged position of Mount Sinai. In this way the Sinai Monastery preserved the status of a powerful economic and cultural Christian centre in the Islamic world.

The Ottoman text of Selim I's charter is published in the paper, for which the facsimile printed in Kl. Schwartz's book was used together with the Georgian translation.

MZIA SURGULADZE

TOWARDS THE DATE OF PAVNELI'S "DATSERILI " (TEXT)

Fragments of several old documents presented in the paper are discussed. These documents have come down to us as a single text in the form of a copied copy. They contain interesting information for the description of Georgian feudal relations, hence they have always been of major interest to researchers. The text of the copy has been published three times, each editor identifies two documents and dates them to the 9th or 10th centuries.

The text of the copy is studied in the paper according to its juridical content and diplomatic structure, on the basis of which fragments of four documents are identified. In each of them textual peculiarities and factual data come to light that can provide additional information for dating the documents, viz, diplomatic phrasology, terms of official posts, names of monetary units, historical onomastics, the fact of a historical battle and the circumstances under which the copy was made, its purpose, composition, etc.

The findings of the study permit to date the documents in the following way: document I: datserili (deed) of purchase given by Pavnelli to Shiomghvime monastery - 1121; document II - datserili (deed) of purchase given by the Surameli feudal house to "the hegumenos of Sarkine monastery - the last decade of the 13th century; document III: datserili of Mikael Memghvime - turn of the 10th-11th centuries; document

IV: the letters patent presented by an unknown king to Shiomghvime Monastery - end of the 13th century.

ANNA BAKRADZE

THE CONTENT OF THE LEGENDS OF GEORGIAN SEALS AND THE RULE OF USING SEALS

According to their content, Georgian seals are divisible into three groups: seals whose legends contain only the name of the owner; seals in the legends of which the owner of the seal is mentioned by the name, title and post or name, surname and the position; and seals with long legends, often in verse form. The legends of such seals give noteworthy information about the country's socio-political situation.

Every person had several seals that were used in different periods of their activity for different kinds of documents. This fact is also confirmed by the sfragistics of the East and Near East.

DAREJAN KLDIASHVILI

"THE CHRONICLE OF SOULS" OF SINAI DONOR ACTIVITIES OF PANASKERTEL -TSITSISHVILI IN THE HOLY LAND

The 15th century and the first part of the 16th century are clearly marked by spiritual attraction of the aristocratic families of southern Georgia, namely, Samtske-Saatabago, to Georgian cloisters abroad. Representatives of these houses were engaged in large-scale construction work in the Holy land, sending lavish donations in order to preserve Georgian church seats existing there. This is proved by numerous agapae and services for the repose of souls entered in agape books of Athos and Jvari monasteries and "The Chronicle of Souls" of Mount Sinai, also colophons preserved in the collections of Georgian manuscripts found there.

In the Chronicle of Souls (Sin. 77) of the Georgian church of St.

George of St. Catherine's monastery on Mount Sinai several layers for Panaskertel-Tsitsishvili family are entered by supplements of various times. Study and juxtaposition with contemporaneous historical sources permits to isolate from the main text, and date the layers of feast reposals centered at different times. Furthermore, it permits to shed light on the participation of representatives of the Panaskertel-Tsitsishvili house in the socio-political life of the 15th century. The material offers the possibility to trace the donor activity of this house in the Holy Land and on Mount Sinai.

The essay discusses the fact of building the monastery of St. - Catherine in Jerusalem in the second decade of the 15th century, by joint donorship of the Panaskertel-Tsitsishvili and Tavkheldize-Machabeli houses.

ELENE METREVELI

WHO BUILT THE THEKLA MONASTERY OF JERUSALEM

The paper discusses the date of building the Thekla Monastery of Jerusalem and the written evidence on it, available to date.

It is clearly determined that the aim of the Georgian traveller of the 18th century, Bishop Timote Gabashvili to present the history of every Georgian monastery in Jerusalem was always based on written documents, mostly indicated by himself. The available written sources give different information about the donor of the Thekla Monastery. On the one hand we have Timote Gabashvili's "Travels", according to which the donor of the Thekla Monastery is Kristepore Zedginidze, on the other hand, there is an inscription discovered by the expedition (G.Pataraia, I.Onoprishvili, I. Rurua) sent to Palestine to film Georgian antiquities, where Kaikhosro Zedginidze is pronounced the builder of the wall and cell of the Thekla Monastery. It is suggested in the paper that when defining the donor of the Thekla Monastery Timote Gabashvili made use of the monastery building inscriptions, as for mixing the names (Kristepore instead of Kaikhosro) it was caused by the difficulty of deciphering the abbreviated name high on the wall. It is possible that Kaikhosro Zedginidze, a public figure of the 15th century, built the monastery in two

stages: first the monastery itself and then the wall and the cell. It is this second inscription on the building of the wall and the cell that has survived to date. According to the palaeographic evidence, the inscription is datable to the 15th century.

TINA TSERADZE

A FACT IN THE HISTORY OF RELATIONSHIP OF THE GEORGIAN SCHOLARLY SEATS

The Georgian's Jalia monastery in Cyprus was located to the east of the northern shore – of Krysohou Bay, roughly at a distance of seven kilometres in the vicinity of the town of Yalia. In Georgian sources scanty information is preserved about this monastery. Among Georgian analysts only one historian of Queen Tamar (1184-1213) refers to Jalia monastery, pointing out that Tamar supported this cloister with lavish donation, renewed the building and bought lands for the monastery. It is also known that the monks of Jalia monastery were occupied with scholarly research, as the manuscript containing the Georgian version of translations of the "Psalms" that at present is preserved in St. Petersburg Institute of Oriental Studies (manuscript H 18) was copied by an anonymous member of the association of this monastery.

The colophon of one of the Georgian monks, Romanoz, preserved in manuscript № 85 of the collection of Georgian manuscripts at the Greek Orthodox Patriarchate Library of Jerusalem, provides new information about Jalia monastery. In the author's view, according to the palaeographic evidence the colophon is datable to the 12th-13th centuries. We learn from the text of the colophon that Romanoz, who was at St. Dodo's monastery of Davit Garedja desert, visited Jalia monastery of Georgians and donated to it the above-mentioned manuscript (Jer. Georg. 85). The colophon mentions the father Ioane the Scholar who was the abbot of Jalia monastery at the time. It should be observed that this is the only document containing concrete information about the members (in this case about one of its hegumenai) of the Jalia monastery association. The colophon is interesting from the viewpoint that it clearly shows the

intensive relationships existing among different Georgian monastic centres.

The colophon of Romanoz of Garedja is published for the first time.

MIKHEIL KAVTARIA

ON THE HISTORY OF GEORGIAN BOOK PRINTING

A document (M 104) kept in the *fonds* of the Institute of Oriental Studies in St.-Petersburg is published here. The document had belonged to Acad. Marie Brosset. It was handed to him by Petre Kedadze in 1838.

The manuscript presents materials connected with the cost of distribution of Sadghesastsaulo ("Festive") published in Moscow in 1805-1808. The document is unique for the history of the Georgian Book.

ELENE TSAGAREISHVILI

ON THE HISTORY OF GEORGIAN ARMENISTICS

Armenian studies in Georgia have a fairly long history. The considerable interest of foreigners in old Armenian written sources can be explained by the fact that they do not confine themselves to recounting only the history of Armenia and the Armenian people, but, in most cases, they constitute a reliable source for the history of other countries and peoples due to the variety of material and detailed description of events.

This long since aroused the interest of Georgian society in Armenian written sources, creating the need and necessity of translating them into Georgian. The result of such a necessity is, e.g., the works translated into Georgian in the 17th-19th centuries: "The Life of the Orbelians" by the Armenian historian of the 13th-14th centuries Stepanos Orbelian, "The Book of Armenian Law" by Mkhitar Gosh, an Armenian writer and churchman of the 12th-13th centuries, separate parts of a "A Book of Questions" by Grigol Tatevctsi, a figure of the 14th-15th centuries

(translator: an unknown writer Giorgi Goreli); part of a "History of Armenia" by the Armenian historian Mikael Chamchian.

Armenian historical writings had claimed the attention of specialist researchers into Georgian history as far back as the 19th century. Acad. Marie Brosset was the first to begin laying the foundation of Armenian source studies with a view to conducting a perfect study of Georgian history and he devoted many significant works to research into questions of Armenistics.

In studying various questions specialists on Georgian history used Armenian sources, among whom special mention should be made of D.Bakradze. He was closely connected with Ilia Chavchavadze, ideologically as well as in work. Their collaboration especially manifested itself in their fight against the falsifiers of Georgian history.

I. Javakhishvili paid much attention to research into Armenological problems. He left a deep imprint both in Kartvelology and Armenology. Javakhishvili made a significant contribution to scholarly research into a number of problems of both fields on a large scale. His special studies in the field of Armenistics concern the civil history of Armenia, the history of the Armenian church, Armenian historical writings, source studies and palaeography, Armenian epigraphy, historical geography of Armenia, and so on. The establishment of new methods of research in Georgian Armenistics is connected with Javakhishvili's name.

Academicians S. Janashia and N. Berdzenishvili were well acquainted with Armenian written sources and used them widely in studying a number of questions of Georgian history. Janashia played a major role in the fight against the errors of the Pokrovsky school and, in general, against the attempts to falsify a number of issues of the peoples of the Soviet Union and world history.

The contribution of Acad. N. Marr to the research and study of old Georgian-Armenian sources is notable. In many cases Marr's studies of Georgian-Armenian literary-historical relations are confirmed and specified by new documents, and at times are dealt with in new ways in works of I. Javakhishvili, P. Ingoroqva, I. Abuladze and others.

Prof. L. Melikset-Beg made a major contribution to the development of Armenian source studies; he wrote many noteworthy works shedding light on a number of problems of old Armenian literature, Georgian-Armenian cultural-historical relations, historical geography of

Transcaucasia, history of Georgian and Armenian law, epigraphy and history of art.

Prof. I. Abuladze made an outstanding contribution to the development of Georgian Armenistics. Continuing the old traditions of the Georgian-Armenian philological research, he demonstrated the existence of Georgian Armenian literary and linguistic historical links and relations, he demolished many erroneous views put forward in connection with these problems and found sound and proper scholarly solutions and explanations to them. The Georgian scholarly community familiarized itself with sources of Armenian historical writings from the 1960s when "The commission of foreign sources about Georgia" was founded at the Academy of Sciences. The commission has already published a part of the Armenian historical sources (Lazar Parpetsi, Movses Khorenatsi, "A Book of Epistles", Ukhtanes, John Draskhanakertetsi, Aristakes Lasti-ertetsi, Grigol Akanetsi, Movses Kalankavetsi, Mkhitar Gosh, Mkhitar Airivanetsi, Tovma Metsopetsi, Arakel Davrizhetsi, Esaia Hassan Jalalians, Zakaria Aguletsi, Abram Erevanetsi).

Armenian epigraphy has also been studied as a source for Georgian history in parallel translation into Georgian and publication of Armenian historical sources. In this respect interest attaches to Sh. Darchiashvili's "Armenian inscriptions on stone, as a source for Georgian history (12th century- first third of the 13th century) "Armenian inscriptions of Ateni" by Z. Aleksidze, "Fresco inscriptions of Sabereebi" by Z. Skhirtaldze.

Note should be taken of the important work done by A. Abdaladze in studying the evidence contained in colophons of Armenian manuscripts (10th-12th centuries and 14th-15th centuries) about Georgia. "The Colophon" of the 12th century Armenian monastic David Kobairetsi, published by G.Maisuradze, also deserves attention.

The seat of Georgian Armenistics was established at Tbilisi University, where from the beginning, according to the curriculum of the Faculty of Philosophy, a course of new and old Armenian languages was taught by A.Shanidze and D. Qipshidze, while old Armenian historical writings were taught by I.Javakhishvili.

In 1922 a chair of Armenistics was founded at Tbilisi University and L. Mlelikset -Beg was appointed as its head. In 1945 immediately after the foundation of the Faculty of Oriental Studies, a section of Armenian

language and literature was set up. In 1963 Prof. I. Shilakadze was appointed head of the Armenistics department and since 1979 it has been directed by Prof. Z. Aleksidze.

The work of the members of the chair of Armenistics involves the study of Georgian-Armenian linguistic and literary relations, source studies, textual criticism and epigraphy. Special attention is paid to training specialist Armenologists.

Armenological research is also carried on at other scholarly institutions as well. At the K. Kekelidze Institute of Manuscripts of the Georgian Academy of Sciences schools of Kartvelology and Armenistics were established by I. Abuladze. Here work in Armenistics was from the beginning carried on along the line of textual criticism and source studies. Armenological research is conducted at the Javakhishvili Institute of History and Ethnography, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, G. Tsereteli Institute of Oriental Studies, and so on.

NANA QANCHAVELI

TOWARDS THE HISTORY OF DAGHESTAN LANGUAGES (LETTERS OF L. P. ZAGURSKI TO E. G. WEIDENBAUM)

The letters of L. P. Zagurski, researcher on the Caucasus, published here are preserved in the archival *fonds* of E. G. Weidenbaum, an eminent Caucasologist, and are addressed to him as well. The letters date to 1871-1881 and deal with Zagurski's particular intention, that is, to study (record linguistic materials, give their grammatical description, compile a vocabulary) groups of western Daghestan languages: Karatini, Chamalili, Tindi, Andi, Godoberi. To this end he travelled to Daghestan (as is known, Zagurski made a definite contribution to the study of the history, ethnography and languages of the Caucasus). Along with the main object, the letters tell of different things: difficulties connected with obtaining the informants, difficulties in everyday life, assistance rendered by local office employees and officials, and so on. In setting forth biographical facts and some other questions the author largely based himself on V. Kikilashvili's paper "Leonid Petrovich Zagurski and questions of linguistics" (IKE, annual, 1986, pp. 306-319).

IRINA ARSENISHVILI

SHALVA KIKODZE'S PAINTING

Easel paintings of Shalva Kikodze (1894-1921), one of the notable representatives of the Georgian artists of the first decade of the 20th century, are examined against the background of the artistic problems of European and Russian Art of the same period. As a result of stylistic analysis of the artist's paintings the stylistic peculiarities of K. Kikodze's paintings are defined, involving the outlook, artistic method, a broad system of theme and genres, composition and painting techniques. In the author's view, Kikodze's easel painting within modern style reveals an original character and echoes the inner demand of the establishment of national aesthetics, so desirable for Georgian artists: problems of aesthetic organization of the graphic principle and the plain. It proved to be a kind of intermediate, transitional stage, the same as for Europe that led to 20th century avantgardist art, later taken up by David Kakabadze.

VAKHTANG IMNAISHVILI

ON THE RELATIONSHIP BETWEEN ALEKSANDRE TSAGARELI AND HUGO SCHUCHARDT

The article concerns the correspondence between Aleksandre Tsagareli, an outstanding Georgian scholar, professor at St. Petersburg University and Hugo Schuchardt, a world-known Austrian researcher at the end of the 19th century. The correspondence is based on the unknown material obtained in the Graz University library. The approximate date of establishing scholarly relations between the two researchers is determined in the article. According to the published letters, it is quite evident how Georgian society appreciated the contribution of Hugo Schuchardt to the scholarly research into the Georgian language.

THE UNKNOWN LETTERS OF NOE ZHORDANIA

The article is based on the letters of Noe Zhordania, the well-known Georgian political figure, head of the Georgian "Menshevik" government in 1918-1921 to Hugo Schuchardt, an outstanding Austrian researcher. The unknown correspondence, which is kept in the Graz University library, provides much information about 19th century life in Georgia. The correspondence also concerns linguistic, ethnographic, economic and mundane life issues. One can also find interesting and informative materials on one of the first scientific experiments conducted on the character of the Georgian sounds research by Noe Zhordania and Philip Gogichaishvili, later an outstanding professor at Tbilisi University.

NODAR SHOSHIASHVILI

MAIN PRINCIPLES OF THE NEW EDITION OF "KARTLIS TSKHOVREBA"

The author's point of view on this issue is the following;

1. The text of "Kartlis Tskhovreba" in a new edition should be published without division and influencing readers with any point of view. In case the text is published with a "traditional division", i.e., we divide it into separate parts as the scheme elaborated by Dr. Javakhishvili, the publication loses its goal, since "Kartlis Tskhovreba" was already published twice based on this principle by S. Qaukhchishvili. Now we should present to readers the real text of "Kartlis Tskhovreba" instead of the one derived artificially.

2. According to the author, "Kartlis Tskhovreba" should be published in four books reflecting the chronological sequence of compiling the book.

The first book – including the history of David the Builder (as it is in the Armenian translation of "Kartlis Tskhovreba").

The second book – from Queen Tamar to Giorgi V. Third book – Fourth book – stories of historians of the 18th century – S. Chkheidze,

P. Orbeliani and O. Kherkheulidze.

3. The text of "Kartlis Tskhorveba" in all four books should be identified by taking into consideration all versions and conjectures (including the old Armenian translations).

An editorial board, consisting of historians and linguists, should work on the identification of the text.

An introduction of the editorial board, including an archaeological, codicological and linguistic literature analysis, should be attached to each book.

Contents and vocabulary.

EDISHER KHOSHTARIA-BROSSET

TOWARDS A NEW EDITION OF "KARTLIS TSKHOVREBA "

Sound experience has accumulated in editing "Kartlis Tskhovreba ". The last (academic) edition of this text came out 40 yeas ago under the editorship of Simon Qaukhishvili, based on all manuscripts known by that time. This publication played a major role both in the study of Georgian history and in the source study of "Kartlis Takhovreba" proper. However, over the past four decades much has been done in this respect, many special studies were written and individual works forming "Kartlis Takhovreba" were published and translated. At the same time an old (predating Vakhtang VI) manuscript assigned to the so-called "Mtskheta cycle" (1690) was discovered. All this, under conditions of growth of scholarly interest in "Kartlis Tskhovreba" in this country as well as abroad, has necessitated a new edition of a critically established text of the source.

Two main lines of future work on "Kartlis Tskhovreba" take shape: a) specification of the composition of the source and the size and the titles of its separate parts and individual works, determination of the authors, by textual and critical establishment of the text. As to editing "Kartlis Tskhovreba", there exist two ways or means. One is to reestablish and amend the text according to all manuscripts (of the old and new cycles). In this case we shall be dealing not with some particular version or with a cycle of "Kartlis Tskhovreba" proper, but again with a juxtaposed and

compiled version (that is, our own version). The second way is to issue "Kartlis Tskhovrcba" (at least one of its earlier manuscripts) in the form it has reached us—not like the "Mariani" MS (the exact copy of the manuscript), but in the restored (critically established) form. However, as no old manuscript of the source is available that would be more or less free from corruption in the process of copying, we are obliged to base the publication on the main manuscripts of the earlier ("Mtskheta") cycles.

These principles basically agree with the suggestions made by Nodar Shoshiashvili.

ზინაარსი

გივი ჭამბურია, გამოჩენილი სწავლული.....	5
ნოდარ შოშიაშვილის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომთა ნუსხა.....	11

სამართველოს ისტორია

ზაზა ალექსიძე, უძველესი ცნობა ბაგრატიონთა დინასტიის შესახებ.....	23
ანრი ბოგვერაძე , თამარ მეფის მღვიმისადმი 1195/1196 წლის სიგელის ახალიზისათვის.....	37
მარიამ ლორთქიფანიძე, ქართული ფეოდალური ცენტრალიზებული მონარქიის შექმნა (შედარების ცდა).....	48
დავით ნინიძე, ევროპის „ფეოდალიზმის კრიზისისა“ და „ჩიხის“ თეორიის მიმართებისათვის.....	56
გივი ჭამბურია, იმუნიტეტი საქართველოში (VI-XIV სს.).....	76

სამართველო და აღმოსავლური სამყარო

გიული ალასანია, ქართველების და დანიშმენდიანების ურთიერთობების წარსულიდან.....	107
---	-----

ახლო აღმოსავლეთის ისტორია

მერაბ ტიკაძე, ქართველი მამლუქების ბრძოლა სირიისათვის XV III ს-ის მეორე ნახევარში (ალი ბეი ალ-ქაბირი და ოსმან ფაშა ალ-ქურჯი).....	124
--	-----

წყაროთმცოდნეობა

კარლო კუცია, „ბაღდადი“ ქართულ წყაროებში.....	138
დარეჯან მეგრელაძე, დავით აღმაშენებლის მიერ მღვიმის მონასტრისადმი ბოძებული ანდერძის ტექსტიდან ერთი მონაკვეთის შესახებ.....	143

ლიტლოგიატიკა

ციხანა აბულაძე, სელიმ I იაჯღზის ს: გელი სინას მთისადმი.....	176
მზია სურგულაძე, ფავენლის დაწერილის თარიღისათვის.....	193

სფრანგისტიკა

ანა ბაქრაძე, ქართული ბექდების ლეგენდების შინაარსი და ბექდების ხმარების წესი.....	205
--	-----

ძულტუის ისტორია

ბართული სასულიერო კანონი უცხოეთში	
დარეჯან კლდიაშვილი, სინას სულთა მატინანე.	
ფანასკერტელ-ციციშვილთა საქტიტორო მოღვაწეობა წმინდა	
390	

მიწასა და სინაზე	215
ელენე მეტრეველი, ვინ ააშენა იერუსალიმის თეკლას მონასტერი?	241
თინა ცერაძე, ერთი ფაქტი ქართულ სამწიგნობრო კერათა ურთიერთობების ისტორიიდან	246

ბართული ნაბაზღი წიგნი

მიხეილ ქავთარია, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიიდან	263
--	-----

მეცნიერების ისტორია

ელენე ცაგარეიშვილი, ქართული არმენოლოგიის ისტორიიდან	275
ნანა ყანჩაველი, დადესტნური ენების შესწავლის ისტორიიდან (ლ. ზაგურსკის წერილები ე. ვეიდენბაუმიისადმი)	293

ხელოვნებათმცოდნეობა

ირინა არსენიშვილი, შალვა ჭიქოძის ფერწერა	307
--	-----

ეკსტრალური მემკვიდრეობა

ვახტანგ იმნაიშვილი, ალექსანდრე ცაგარლისა და ჰუგო შუხართის ურთიერთობიდან	321
ვახტანგ იმნაიშვილი, ნოე ჟორდანიას უცნობი წერილები	329

ახალი სამეცნიერო არმეტივები

ნოდარ შოშიაშვილი, „ქართლის ცხოვრების“ ახალი გამოცემის ძირითადი პრინციპები	338
ელე შერ ხოშტარია-ბროსე, „ქართლის ცხოვრების“ ახალი გამოცემისათვის	340

რეცენზიები და ანოტაციები

გრიგოლ გიორგაძე, ერთი დაუვიწყარი რეცენზია	346
ნათელა ვაჩნაძე, ქართული წარწერების კორპუსი. I. ლაპიდარული წარწერები. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბ., 1980	355

ხსოვნა

ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილი	367
Summaries	370

გამომცემლობის რედაქტორი **ც. ჯიშკარიანი**
მხატვარი **ვ. ჩიქვინიძე**

სამხატვრო რედაქტორი **ი. ჩიქვინიძე**
ტექნიკური რედაქტორი **ჟ. ბუღალაშვილი**
კორექტორი **მ. ვარაშაშვილი**

სელმოწერილია დასაბუქლად 31.10.02

საბუქლი ქალაქი 60X84

პირობითი ნაბუქლი თაბახი 22 სააღრ.-საგამომც. თაბახი 18,74
შეკევის № 8 გირაფი 200

ფასი სახელმეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის გამზ. 14.



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1

☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@posta.ge